114
1969
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

114

96

3

1969

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 46-ე № 3 მარტი, 1969 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

სანდრო შანშიაშვილი — ლექსები . . . 3
ვანო ურჯუმელაშვილი — ფერიცვალობა. რომანი. გაგრძელება . . . 5
ანდრო თევზაძე — ლექსები . . . 50
აკაკი გეწაძე — გაქვავებული მზე. მოთხრობა . . . 52
ლადო ხულაბერიძე — ლექსები . . . 75
ჯანსუღ ჩარკვიანი — ლექსები . . . 79
მორის ფოცხიშვილი — ლექსები . . . 82
ჯარჯი ფხოველი — ლექსები . . . 85
კ. პაუსტოვსკი — ოქროს ვარდი. დასასრული. თარგმანი გ. გოგიაშვილისა . . . 87

**100 ვ. ი. ლენინი 100**

გაბრიელ მეგრელიშვილი — ვ. ი. ლენინი და თანამედროვე იმპერიალისტური მილიტარიზმი . . . 102
ივ. ბაბალაშვილი — ვ. ი. ლენინის შთაგონებითა და მითითებით იქმნებოდა . . . 111

**კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა**

გივი ვარდოსანიძე — „ჩემი მაგნიტური არე“ . . . 124
ოთარ ჯინორია — „მოდერნიზმის“ არსი და ღირებულება თომას მანის „დოქტორ ფაუსტუსის“ მიხედვით . . . 134
ვახტანგ ჟვანია — ილია ჭავჭავაძის ერთი წერილის გამო . . . 164

**ფაქტები, მოგონებანი**

დავით ბაქრაძე — ფერფლში გადარჩენილი სიცოცხლე . . . 167
გიორგი ავალიანი — პროხოროვის კლდე . . . 175

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

# ნ ა რ კ ვ ე ვ ი

ვ. გურგენიძე — მესხეთ-ჯავახეთის ეკონომიური და კულტურული განვითარება . . . . . . . . . . . . . . . . 178

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წიგნების მიმოხილვა

ა. კოჭლავაშვილი — საინტერესო გამოკვლევა . . . . . . . . . 186
მერი ჭელიძე — ორიგინალური გამოკვლევა ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობის შესახებ . . . . . . . . . . . . . 190

მთავარი რედაქტორი ელგუჯა მაღრაძე

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო   კ ო ლ ე გ ი ა:
**ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, მ. ლებანიძე, ბ. ჟღენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი (პ/მგ. მდივანი), ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.**

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე

**რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.**

**ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11, პ/მგ. მდივნის — 93-55-18, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.**

გადაეცა ასაწყობად 6/II-69 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/III-69 წ., ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8. უე 02058. ტირაჟი 11.000. შეკვ. № 427.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანდრო შანშიაშვილი

## მოდი, ვუმღეროთ

გრიგალი ღმუის, თუ ცის თაღი ჩამონგრეულა?
— ეს ჩემი ხმაა! გრძნობა გულში ჯერ არ ძლეულა!
ჩემს ძმებს ვუყივი! წასულან და ომშიც გასულან...
მტერს მათი ზურგი არ უნახავს... ყველგან ქებულან!
ვაგლახ! ვაჟკაცნი უკან აღარ დაბრუნებულან!
სახსოვრად დამრჩა მონაწერი სისხლით ბარათი!
მოდი, ვუმღეროთ! მათ დიდება, ხსოვნა მარადი!

კიდევ დიდება მათ აღმზრდელებს, დიდ შემოქმედებს:
ღვთიშობლის მსგავსებს, ლამაზ ქალებს, გულითად დედებს!
მაგრამ სულდგმული ერთნაირად იზრდება ყველგან...
ვინ იყო იგი, ვინც ჩაგვძირა ახალ ცნებაში?
ვინც გადავიდა კაცთაგანი უკვდავებაში?
ჩვენც ხომ მისგან ვართ და ვსაზრდოობთ მისი მარაგით!
მოდი, ვუმღეროთ! მას დიდება! ხსოვნა მარადი!

კიდევ დიდება საბჭოეთში მრავალზე მრავალს,
დაზგაზე მშრომელს, მკურნალს, მთესველს და ცაში მავალს,
ვინც გაჭირვებას და სიძნელეს არ ერიდება...
ვინც აკვანშია და აკვნიდან წამოფრინდება...
ვინც იყო უწინ, დღესაც არის, მუდამ იქნება!
მოდი, ვუმღეროთ! გამარჯვება და ხალხს დიდება!

## ბედნიერება

ეცადე, იყო მუდამ ჯანმრთელი
და მეზობელიც ჯანმრთელი გყავდეს!
გახვიდეთ მინდვრად ერთად ხალისით
და მანქანებით შენზე მეტს ხნავდეს!

დაგიგროვდებათ დიდი მარაგი —
სიცოცხლის ფუძე და ძლიერება!
შემდეგ გრძელ სუფრას შემოუსხდებით...
აი, ეს არის ბედნიერება!

არ ხარ პეპელა, სულ იფარფატო!
ღამე ათიო, გრძნობები ჰფანტო!
. . . . . .

შენს მიტოვებულს ოჯახს მიხედე,
სხვაგან ვერც ილხენ, არც გემღერება,
როცა შენს ბავშვებს ჩაიკრავ გულში —
აი, ეს არის ბედნიერება!

თუ შენს მოკეთეს არ დაამცირებ,
რომ თვით გამოჩნდე პატარა დიდად;
თუ სწორე მიზანს არ გაამრუდებ
და ცხოვრებაში იქნები ხიდად;
თუ გზას გაუკვლევ ჩამორჩენილებს,
მისცემ, ვისაც რა შეეფერება,
შენს გულს სიმშვიდე დაეუფლება —
აი, ეს არის ბედნიერება!

ბედნიერება თვით შენს გულშია,
როგორც კვირტშია თესლი ნაყოფის;
სხვას ის მიაგე, რაც კი შენ გარგებს,
მაინც დაგრჩება მადლი სამყოფი!
მაგრამ ვინ არის, მახეს რომ აგებს?
არ ცხრება, შფოთავს და ომს აჩაღებს?
ნუთუ ის კმარა, რომ გველაძუებს
ვეძახით მკვლელებს და ხან ყაჩაღებს?
არა! ისინი შერიცხულ იქმნენ
ადამის მოდგმის მახინჯ გერებად!
მათ სახრჩობელა!... და ეს იქნება
ყველაზე დიდი ბედნიერება!!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანო ურჯუმელაშვილი

# ფერისცვალობა

## რომანი

ვერიკო ელიზბარს ქუჩაში გამოეგება.

— რა ხანია გელოდები, ასე რატომ დაიგვიანე?

— რა ვიცი, პატარა საქმე გამომიჩნდა!

— რაღაცას მიმალავ! გუშინწინ მოწყენილი ჩანდი, გუშინ გამხიარულდი, დღეს კი ვეღარა გცნობ, მხნედ გამოიყურები! ხომ სიმართლეს ვამბობ, გენაცვალე? მიყვარს გულწრფელი ადამიანი. თვადაც, რომ იცოდე, ასეთი ვარ!

— დასამალი არაფერია! გუშინწინ ცოლი სამშობიაროში დავაწვინე, გუშინ გათენებისას ვაჟიშვილი შემეძინა... საღამოთი კი სოფლიდან დედა ჩამომივიდა.

— რას ამბობ, ცოლშვილიანი ხარ!— გაიოცა ვერიკომ და შეეცადა სიხარული აღბეჭდოდა სახეზე, მაგრამ წყენისა და შურის მსგავსი რაღაც გამოუკრთა თვალებში. — მომილოცავს, მომილოცავს!

დღეს უფრო მხნედ შეუდგა ელიზბარი საქმეს, თავაუღებლივ თხრიდა, ზევით ამოყრილი მიწა ქუჩაში გაჰქონდა. გვიან-გვიან ისვენებდა.

ნაშუადღევს ვერიკომ გუშინდელზე უკეთესი სუფრა გაშალა ფანჩატურში.

— ნატო შინ არ არის, ბავშვი ზოოპარკში წაიყვანა. ამიტომ სამზარეულოში დღესაც მე მომიხდა ტრიალიო, ამბობდა ვერიკო.

რაღა არ ელაგა სუფრაზე: სულგუნი, ღვეზელი, ხაჭაპური, ცივად მოხარშული დედალი, მწვანილი და კონიაკი.

ვერიკო ისევ მაგიდასთან დასკუპდა.

ელიზბარი თავჩაღუნული ჭამდა, ქალს თვალს არიდებდა, ვერ უძლებდა მის გამჭოლავ მზერას.

ვერიკომ ჭიქა კონიაკით გავსო და ელიზბარს დაუდგა.

ელიზბარმა იცოდა, ქალი არ მოეშვებოდა, ამიტომ აიღო ჭიქა და კონიაკი გადაჰკრა.

ვერიკო დღეს უფრო მხიარული იყო. ცქმუტავდა, კისკისებდა... ნელ-ნელა ვაჟისკენ იწევდა, თავს მისკენ ხრიდა, გრძნობისამშლელ ცხელ ჰაერს გულმკერდსა და კუნთმაგარ მკლავებზე აორთქლებდა. თან ენას არ აჩერებდა. რაღაზე არ ჩამოაგდო სიტყვა... ეტყობა, თვითონვე გრძნობდა სისულელეებს რომ ლაპარაკობდა, ამიტომ წარამარა ჩერდებოდა, ფიქრს ეძლეოდა. მაგრამ რაღაც შინაგანი ძალა აიძულებდა ისევ ალაპარაკებულიყო.

ბოლოს ვაჟს შეეკითხა:

გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 1, 2.

— ყოველმხრივ შემკული ხარ, შეხედულებით, საქციელით, სიტყვა-პასუხით. რა დაგემართა, თუ განათლება ვერ მიიღე, რატომ ხელობა მაინც არაფერი ისწავლე? დღიური შრომით ცხოვრებაში როდის რას მიაღწევ, გენაცვალე?!

— შეპირებული არიან, მალე დავიწყებ სამსახურს. — მიუგო ელიზბარმა.

— სად?

— ალბათ, საწარმოში სადმე.

— რა სპეციალობა გაქვს?

— ინჟინერი ვარ!

— ინჟინერი?!

წელს დავამთავრე პოლიტექნიკური ინსტიტუტი!

— მერე არსად გაგანაწილეს?

— როგორ არა, მაგრამ მოხდა ისე, რომ დანიშნულ ადგილზე ვერ წავედი. ახლა აქ მპირდებიან სამსახურის გამონახვას!

— ვინ გპირდება, გენაცვალე!

— პირადად მე არავინ! ჩვენს... — და ელიზბარი შეჩერდა, არ იცოდა რა ეწოდებია სანებლიძისთვის, ახლობელი თუ ნათესავი. ბოლოს სიტყვა ასე შეაბრუნა: — ჩემს ცოლს შეჰპირდნენ, ვნახოთ, რა გამოვა!

ვერიკოს სალაპარაკო რომ გაუჩნდა, წახალისდა, ვაჟს ყველაფერი დაწვრილებით გამოჰკითხა. როცა იმის შესახებ მოისმინა, რომ სანებლიძე დახმარებას ჰპირდებოდათ, ერთხანს ჩაფიქრდა და მერე თქვა:

— ვერაფერი გამიგია, რატომ უნდა შესტკიოდეს უცხო ადამიანს თქვენზე გული? იქნებ ცარიელი სიტყვით გიმადლიერებთ?

— ადვილი შესაძლებელია! რა ვქნა. დამეხმარება ხომ კარგი, არ დამეხმარება და, სხვა გზას გამოვნახავ!

— აქ არა ვარ, მაშინ ჩემი იმედი იქონიე, გენაცვალე!

ელიზბარს გაეღიმა. თან სახეზე ხელი გადაისვა, არ უნდოდა, რომ მისი უადგილო ღიმილი თანამოსაუბრეს შეენიშნა, მაგრამ განა ვერიკოს რამეს გამოაპარებდა!

— რატომ გაიღიმე? — იკითხა ქალმა, ცოტა არ იყოს ნაწყენი ხმით.

ელიზბარმა ახლა კი მოურიდებლად ჩაიცინა და უპასუხა:

— შენც ხომ არაფერი ხარ ჩემი, ალბათ ცარიელი სიტყვით აპირებ ჩემს მომადლიერებას?

— მე მაინც სხვა ვარ! — აბნეულად წაილაპარაკა ვერიკომ, სული მოითქვა და გაბედულად განაგრძო, — ნუთუ ვერ ხვდები რანაირი ვარ?! ასეთი ჩვევა მაქვს, ხელი გავუწოდო გაჭირვებაში მყოფ ადამიანს! დაგინახე თუ არა, რატომღაც გითანაგრძნე, შემებრალე. გულში გამკრა, ნეტავი ისეთი რა გაჭირება ადგია ამ ყმაწვილკაცს, ასეთ მძიმე სამუშაოს რომ კიდებს ხელს-მეთქი.

ქალმა კმაყოფილებით აახამხამა გრძელი წამწამები, უფრო ახლო მიიწია ვაჟთან, შიშველი მუხლისთავები ერთმანეთზე მიაწყო და ბავშვური მიამიტობით განაგრძო:

— შენ ჯერ არ მიცნობ, გენაცვალე, და იმიტომ ლაპარაკობ ასე!

საღამოთი ელიზბარმა ადრე აიღო სამუშაოზე ხელი, რადგან დედის დარდი ჰქონდა.

დედას ლოგინი გამოემზეურებია, იატაკი მოეწმინდა, თეთრეული დაერეცხა და ახლა ეზოს ჰგვიდა.

დაინახა თუ არა ელიზბარი, მისკენ გაიქცა და ახარა:

— ბიჭი ვნახე, შვილო, ვნახე! შენი პატარაობა წარმომიდგა თვალწინ. შენი სახე, შენი ხელები, შენი ფერი! ჭიპიც შენნაირად აქვს ამოვარდნილი!

— მერე, როგორ შეხვედი, დედი?

— შევეხვეწე, სოფლიდან ჩამოვედი, დამდეთ პატივი და შვილიშვილი მანახეთ... არც მე დაგტოვებთ უპატივცემლოდ-მეთქი. შენც ასე უთხარი, შვილო, აი, ნახავ თუ არ შეგიშვან!

დედა იმ დღესვე გამოემშვიდობა ელიზბარს, სახლი უპატრონოდ დავტოვე, ათასი საქმე მაქვს, მალე ისევ გინახულებთო.

ელიზბარმა დედა გააცილა და სადგურიდან სამშობიარო სახლში მივიდა.

მოსაცდელი ჩვეულებისამებრ მნახველებით იყო სავსე. ხალხი რომ შეცოტავდება, მერე შევეხვეწები, მორიგესო, ფიქრობდა ელიზბარი და ოთახში მიდი-მოდიოდა. მნახველები კი სულ უფრო მატულობდნენ. ზოგი სამშობიაროში შესვლასაც ახერხებდა.

ელიზბარმა დიდხანს იარა მოსაცდელში, მაგრამ ხალხი რომ არა და არ შეცოტავდა, გამბედაობა მოიკრიბა და მორიგე ქალს წასჩურჩულა:

— სოფლიდან ვარ ჩამოსული, გეხვეწებით, გემუდარებით, შემიშვით! უპატივცემლოდ არ დაგტოვებთ!

— რა ვქნა, შვილო, მთავარი ექიმი აქაა, აბა, როგორ შეგიშვა! — უპასუხა მორიგემ.

— რაღა ჩემზე გამოტყვრებიან ხოლმე ხან მთავარი ექიმი, ხან კომისია და ხან კიდევ ჯანდაბა! — ეს კი მკვახედ გამოუვიდა და თავისთავს უსაყვედურა, ამ საწყალ ქალს ნეტავ რას ვერჩიო.

— იმათ რას უცქერი, შვილო, საშვები აქვთ! — თითქოს ეშინია არავინ გაიგონოსო, ხმადაბლა უპასუხა ქალმა.

რაკი სამშობიაროში შესვლის ყოველგვარი იმედი დაკარგა, ბარათი მისწერა ირმას, როგორ ხართ, ხომ არაფერი გჭირდებათ, რა შემოგიგზავნოთ. თქვენი ნახვა მენატრება, ბევრი ვეცადე, რომ შემოვსულიყავი, მაგრამ ვერ შევძელიო.

ორივენი მშვენივრად ვგრძნობთ თავს, უპასუხა წერილითვე ირმამ, მხოლოდ შენზე ვართ გულმოსული, სხვები მშვენივრად ახერხებენ მეღოგინე ცოლების ნახვას. დედაშენმაც კი შემოაღწია ჩვენამდე და შენ რა ღმერთი გაგიწყრა. ხვალ ნასადილევს მოდი, მაშინ უფრო იოლია შემოსვლაო.

მეორე დღეს ელიზბარი უთენია ადგა. გზად ბაზარში შეიარა, იყიდა ხილი, ქაღალდის პარკში ჩაალაგა და თან წაიღო სამუშაოზე.

შუადღემდე თავაუღებლივ თხრიდა, მერე ოთხთვალათი მიწა გაიტანა ქუჩაში. ვერიკოს არც გარეთ გამოუხედავს, არც ფანჯარაში. ელიზბარს ორჯერ მოეჩვენა, რომ დიასახლისი იმდღევანდელივით ფარდის უკან იდგა და უმზერდა...

არც ბავშვი ჩანდა... ერთხელ მხოლოდ ნატოს მოჰკრა თვალი. ჯერ საფენები გადმობერტყა, მერე თეთრეული გაფინა თოკზე და ისევ შინ შეიყუჟა.

ნაშუადღევს ელიზბარმა ხელ-პირი დაიბანა, პიჯაკი ჩაიცვა და ნატო გამოიხმო გარეთ, დღეს მეტს აღარ ვიმუშავებ, მივდივარ და კარი ჩაკეტეო.

— რა გეჩქარება, გესადილა მაინც!— გადმოსძახა აივანზე გამოსულმა ვერიკომ.

— გმადლობ, ქალბატონო, გადაუდებელი საქმე მაქვს!

— დიმიტრი გაგვინაწყენდება, რატომ არ ასადილეთო! — თქვა მტკიცედ ვერიკომ და ნატოს უბრძანა: — რაღას უდგეხარ, გოგო, ამოდი და ჩაუტანე სადილი.

ნატო სამზარეულოში რომ შევიდა, ვერიკომ ვაჟს განაზებული ხმით გადმოსძახა კვლავ.

— სანამ არ დანაყრდები, აქედან ფეხს ვერ მოიცვლი!

— რა ვქნა, დრო არ მაქვს, მაგვიანდება!

— ასე სად მიიჩქარი, გენაცვალე?

— სამშობიაროში. ვერა და ვერ მოვახერხე ბავშვის ნახვა. თურმე, ნასადილევს იოლია შესვლა!

— ერთი ეს მითხარი, რომელ სამშობიაროში ილოგინა შენმა მეუღლემ?

ელიზბარის პასუხი რომ მიიღო, ვერიკო ერთ წუთს ჩაფიქრდა. მერე უცებ შესძახა:

— შენ ისადილე. სამშობიაროში შესვლის ამბავს ტელეფონით მოგიგვარებ, გენაცვალე!

ნატომ მშვენიერი სუფრა გაშალა. ყველაფერი უხვად იყო, გარდა სასმელისა.

ელიზბარი ის იყო ჭამას მორჩა, რომ ვერიკო აივანზე გამოვიდა. ვაჟი თავისთან მიიხმო და პატარა ქაღალდი გაუწოდა.

— სამშობიაროს მოსაცდელიდან ამ ნომერზე დარეკე, ექიმი მუმლაძე იკითხე და უთხარი, გიორგიმ რომ გთხოვათ, ისა ვართქო. მეტი არაფერი გინდა!

ელიზბარს ცოლ-შვილის ნახვის ისეთი დიდი სურვილი ჰქონდა, ზედმეტ ხარჯსაც არ მოერიდა და ტაქსი დაიქირავა.

ათიოდე წუთში სამშობიაროში იქნება! ექიმი მუმლაძე ადგილზე მაინც დახვდეს! რა ყოჩაღი ქალია ვერიკო! რა უცებ გამონახა ნაცნობები. თუ ახლა სამშობიაროში შეუშვეს, მაშინ მართლა ბევრი რამ შესძლებია ამ ქალს.

„შეგიშვებენ, შეგიშვებენ, შეგიშვებენ„! — ესმოდა მანქანის ძრავას გუგუნში. .

აი, ესეც სამშობიარო!

სწრაფად აირბინა ქვის კიბე, მოსაცდელში შევიდა. სული მოითქვა და მაგიდაზე დადგმული ტელეფონის ყურმილი აიღო.

— ვინ გნებავს! — გაისმა ქალის უკარება ხმა.

— ექიმი მუმლაძე !

— ახლავე, ბატონო! — ქალს ხმა გაურბილდა, დაუტკბა, რამაც ელიზბარი დააიმედა, მაგრამ მაინც სუნთქვა ეკვროდა, ტუჩები უთრთოდა.

— გისმენთ! — შემოესმა მამაკაცის ბოხი ხმა.

— ექიმი მუმლაძე ბრძანდებით?

— დიახ!

— გიორგიმ რომ გთხოვათ, მე ის გახლავართ!

— კეთილი! აბა ერთი თქვენი გვარი მითხარით.

— საბაშვილი გახლავართ!

— ცოტახანს მოითმინეთ, მორიგეს დავურეკავ!

— გმადლობთ, ბატონო!

ყურმილი რომ დადო, პარკი კუთხეში მიდგა. დახე, რამდენი რამ შესძლებია ვერიკოსო, გაიფიქრა და შუბლზე ოფლი მოიწმინდა.

ამ დროს ტელეფონმაც გაიწკარუნა.

მორიგე მხოლოდ დიახ, დიახს გაიძახოდა. მალე სარკმელში თავი გამოჰყო და იკითხა!

— რომელია საბაშვილი?

— მე გახლავარ, ქალბატონო!

— მობრძანდით!

კარებთან შეჯგუფულმა მნახველებმა გზა მისცეს.

არასოდეს სჩვენებია ირმა ასეთი ლამაზი და წარმტაცი. ოდნავ შელახული, გაფერმკრთალებული სახე უფრო ფაქიზი და სანდომიანი გახდომოდა. დიდრონი, მოელვარე, თვალების შუქი შარავანდედად ადგა.

ელიზბარს არ გამოჰპარვია, რომ ირმას მის დანახვისთანავე კმაყოფილებისა და ნეტარების ღიმილი აღებეჭდა სახეზე, მაგრამ უცებ თითქოს რაღაც გაახსენდაო, შეშფოთდა, ზეზე წამოიწია და გაზეთი გადააფარა საწოლთან მდგარ ტუმბოს ,ნამცხვრითა და ტკბილეულობით რომ იყო სავსე. თან ქმარს წასჩურჩულა, თითქოს ერიდება, მელოგინე ქალებმა არ გაიგონონო:

— ვიღამ არ მინახულა! მოდიან და მოდიან! დახე, რამდენი ტკბილეული და ნამცხვარი დამიგროვდა!

ელიზბარი საწოლთან მიუჯდა ცოლს, დაკულულებულ თმებზე ხელი გადაუსვა, მერე ხელი ხელში ჩაჰკიდა.

— გმადლობ, გმადლობ, ირმა! — ეუბნებოდა მოფერებით.

— გინდა გაჩვენო ბიჭი? — კითხა ირმამ. და პასუხს არ დაელოდა, ზეწარი გადახადა გვერდში მწოლ ბავშვს.

ბიჭი გულაღმა იწვა, განაბული, თითქოს ელოდა ზეწარს როდის გადამხდიანო.

ბავშვმა დედას ხელი მოუცაცუნა მკერდზე და გაიღიმა.

— იცინის, იცინის! — აღტაცებით

შესძახა ელიზბარმა, დაიხარა და თავის პირმშოს ფუნჩულა ლოყაზე აკოცა.

სამშობიაროდან გამოსვლის წინა დღეს ირმამ ქმარს წერილი ჩამოუგზავნა, დღესვე წადი ფალიაშვილის ქუჩის ბოლოში, ვაკის პარკთან, ამადაამ ნომერში მოხუცი მარგალიტა იკითხე. ეს ქალი თურმე ოთახს აქირავებს, მისი ნათესავი იწვა ჩვენს პალატაში და იმან მიმასწავლა. თანაც შემპირდა, მოხუცთან მე გაგიწევთ შუამდგომლობას და ოთახს აუცილებლივ მოგაქირავებსო.

ელიზბარს როდი გასჭირვებია ბინის მიგნება. ვაკის პარკის ახლომახლო ვისაც კი შეეკითხა, ყველა იცნობდა მოხუც მარგალიტას.

სახლი ორსართულიანი იყო.

მოხუცი მარგალიტა მეორე სადარბაზოს ბელეტაჟზე ცხოვრობდა.

ელექტროზარს კარის ჩარჩოზე მიმაგრებული ღილაკი მოსძრობოდა.

ელიზბარმა მავთულის წვერების სახიფათო შეერთებას, კარზე ხელით დაკაკუნება ამჯობინა.

ვიღაცა ფეხაკრეფით მოუახლოვდა კარებს და შეჩერდა, ეტყობა, სათვალთვალოდან ამოწმებდა კარზე მიმდგარ სტუმარს.

— ვინა ხარ? — გაისმა ხმა.

— ოთახის თაობაზე გაწუხებ. შენ უკვე გცოდნია ჩვენს შესახებ. — უპასუხა ელიზბარმა.

კარი მაშინვე გაიღო.

ელიზბარი გამხდარ, დაჩიავებულ მოხუც ქალს გაჰყვა უკან და დიდ ნათელ ოთახში აღმოჩნდა. კუთხეში მიდგმულ საწოლს ყვავილებით მოქარგული წითელი ხავერდის გადასაფარებელი ამშვენებდა. საწოლის ერთ თავში მეტნაკლები ზომის ათამდე ბალიში პირამიდასავით აღემართათ, ხოლო ბოლოში შავი, ბანგჯვლიანი, კუდბუთქა კატა იწვა. კედელზე გაკრულ ხალიჩაზე ერთი და იგივე ქალის სხვადასხვა ასაკში გადაღებული სურათები ეკიდა. განსაკუთრებით ერთმა სურათმა მიიპყრო ვაჟის ყურადღება.

ოცდაათიოდე წლის ტანადი, მტევანივით შეკრული ქალი ზღვის ნაპირზე იდგა. ნეტარებისა და კმაყოფილების ღიმილი დასთამაშებდა სახეზე და თვალგაბრწყინებული გასცქეროდა წითელ ბურთადქცეულ მზეს, ზღვაში თავს რომ იხრჩობდა. ცეცხლი გასჩენოდა ცას, ცეცხლი ედებოდა ზღვასაც.

იმის შეგრძნებამ, რომ მისმა ახალგაზრდობისდროინდელმა სურათმა ჭაბუკი მოხიბლა, დედაბერს დიდიხნის წინათ მიძინებული სურვილი აღუძრა, რამენაირად ოცნებით მაინც განეცადა ის ნეტარება, რასაც ახალგაზრდობაში მისი სიტურფით აღტაცებულ მამაკაცთა ჭვრეტა ჰგვრიდა ხოლმე. მიმქრალი თვალებით შესცქეროდა ჭაბუკს, რომელმაც ასე უცებ მოიგო მისი ბებრული გული და თითქოს ეუბნებოდა: ეს მე ვარ, ასეთი ვიყავი ახალგაზრდობაშიო.

ელიზბარი ამას ისედაც მიხვდა, მაგრამ ის აოცებდა, ეს გამხდარი, ყბებჩაცვენილი ბებრუხანა, ოდესღაც ასეთი კეკლუცი, მზეთუნახავი ყოფილა! ლამაზ ქალებს ხომ მოხუცებულობაში ყველაზე უფრო სახე უმახინჯდებათ. თითქოს ბუნება ამით სამაგიეროს უხდის მათ. აჰა, ესეც თქვენა! რითაც ახალგაზრდობაში ამაყობდით, ტკბებოდით, თავს იდებდით, იმითივე იტანჯეთ მოხუცებულობისასო.

— აი, ამ ოთახს თქვენ დაგითმობთ. მე და ჩემი „კისა“ პატარა ოთახში ვიქნებით!— თქვა მოხუცმა და საწოლზე გაწოლილ კატას უბრძანა:

— კისა, ჩამოდი ახლავე ძირს!

კატამ თავი ასწია, ნაკვერცხლივით ანთებული თვალები ელიზბარს მიაპყრო, მერე იატაკზე გადახტა და მედიდურად გაემართა კარისკენ.

— სხვები ორმოც მანეთს მაძლევენ, თქვენ ათ მანეთს დაგიკლებთ, შვილო!— თქვა მოხუცმა.

— მოგართმევ, დედი!

რაკი ფასზე შეთანხმდნენ, დანარჩენ

პირობებზე იოლად მოილაპარაკეს. დიასახლისი ავეჯს ხელუხლებლად უტოვებდა. ერთ საწოლსაც შეჰპირდა, სარდაფში მაქვს და ხვალ გაშლილს დაგახვედრებთო.

მეორე დღეს ელიზბარი ადრიანად გადაბარგდა მოხუცის ბინაში.

სახლის პატრონს ავეჯის გარდა ყველაფერი გაეტანა ოთახიდან. მეორე ნიკელის საწოლიც დაედგა, ფანჯრები გაეწმინდა, იატაკი მოერეცხა.

ელიზბარმა ბარგი-ბარხანა ოთახის კუთხეში მიალაგა, ბარემ ცოლ-შვილსაც მოვიყვან და მერე დავლაგდებითო. სახლიდან რომ გადიოდა, მოხუცის ოთახში თვალი მოჰკრა სკამზე დასკუპებულ კატას, რომლის ანთებულმა თვალებმა უსიამოვნო ჟრუანტელი მოჰგვარა.

ირმა დამლაგებელმა ქალებმა ჩამოაცილეს მოსაცდელში. დედამ ბავშვი მამას არ დაანება, თვითონ დავიჭერ ხელშიო. წინასწარ დაქირავებულ ტაქსში ჩასხდნენ და ფალიაშვილის ქუჩისკენ აიღეს გეზი.

სახლის პატრონმა დაკაკუნებისთანავე გაუღო კარი.

კუთხეში მიკუნჭულმა კატამ, ყელზე წითელი ბაფთა რომ ეკეთა, უნდობლად შეათვალიერა ახალი მობინადრეები და თავჩაღუნული გასცილდა იქაურობას.

ცოლ-ქმარმა ჯერ აკვანი გამართეს. ბავშვი დააძინეს და მერე ოთახი დაალაგეს. დღის თორმეტ საათზე ელიზბარმა მოისაბაბა, სამინისტროში ვარ მისასვლელიო, სახლიდან გავიდა და მცხეთის ქუჩისკენ გაეშურა.

ქალები მარტო რომ დარჩნენ, მოხუცმა მარგალიტამ ირმა იმ ადამიანივით შეათვალიერა, რომელმაც იცის ფასი სილამაზისა, მხარზე ხელი მოუთათუნა და უთხრა:

— კარგი რამე ხარ, შვილო!

მოხუცი მთელი დღე გვერდიდან არ მოსცილებია ახალგაზრდა დედას. ბავშვის სახვევები გაურეცხა, ბავშვს აბაზანა გაუმზადა. ირმა ეხვეწებოდა, დეიდა, ნუ წუხდები, თავად გავაკეთებ ყველაფერსო, მაგრამ მარგალიტა მაინც თავისას არ იშლიდა.

მათ პირველ დღესვე გამონახეს საერთო ენა, დედაშვილურად შეეწყვნენ, შეეთვისნენ ერთმანეთს.

— რას იტყვი, ხომ კეთილი მოხუცია სახლის პატრონი! — შეეკითხა შინდაბრუნებული ელიზბარი ცოლს.

— ნუღარ იტყვი, მთელი დღე მხარში მედგა, რაღა არ გამიკეთა. — მიუგო ირმამ და მცირეხნის შემდეგ დაუმატა. — ამასთან უცნაურიცაა! ნეტავი რა ოხრად უნდა ეს ბებერი, ბანჯგვლიანი კატა?!

კატის ხსენებაზე ელიზბარს რატომღაც გააჟრჟოლა, ტანზე ხორკლი დააყარა, მკლავებზე ბალანი აებურძგა. მოეჩვენა, თითქოს ოთახის კუთხეში წყვილმა ნაკვერცხალმა გამოანათა, ეს უსიამოვნო გრძნობა თავიდან რომ მოეცილებია, ცოლს ხელი მოხვია, და უცებ კაცი გაშრა: ფაქიზი კანი ქალსაც ახორკლოდა.

ელიზბარმა ორი კვირა მოანდომა სარდაფიდან მიწის ამოღებას. ირმა გაოცებული იყო, ველარ მიცვნიხარ, მთელი დღე სად ხარ დაკარგულიო, საყვედურობდა ქმარს.

— სამსახურისათვის დავდივარ ორგანიზაციებში. — ეუბნებოდა ელიზბარი.

— ნეტავი ტყუილად რას ირჯები?! რითი ვერ გაიგე, რომ უხარჯოდ და უგულშემატკივროდ ვერაფერს გახდები?!

იმ დღეს, როცა ელიზბარი სარდაფის ამოღებას მორჩა, ოჯახის უფროსს სამსახურიდან მოსვლა შეაგვიანდა.

ელიზბარი ორ-სამ საათს ფანჩატურში იჯდა. გული გაუწყალდა. სახლშიც ეჩქარებოდა, დილით ცოლმა საპნისა და პუდრის ყიდვა დაავალა. ბავშვის ბანაობის დრო იყო და, ალბათ, ირმას გული ელეოდა მის ლოდინში.

ელიზბარმა ნატოს ასძახა, დრო აღარ მაქვს, მივდივარ, კარი ჩაკეტეო.

მოსამსახურე, იმის მაგივრად რომ ეზოში ჩასულიყო და კარი დაეკეტა, შინ შევიდა და დიასახლისს მოახსენა, ელიზბარი მიდისო.

ამასობაში ელიზბარი ქუჩაში გავიდა. ოციოდე ნაბიჯი ექნებოდა გავლილი, რომ ზურგსუკან ვერიკოს ხმა შემოესმა:

— დაელოდე, საცაა დიმიტრიც მოვა!

ქალი ჩქარი ნაბიჯით უახლოვდებოდა. თან ხელით ანიშნებდა, შეჩერდი, მე თავად მოვალ შენთანაო. ახლო რომ მივიდა, თითქოს ერიდება არავინ გაიგონოსო, ხმადაბლა უთხრა:

— რას გარბიხარ, ცოტა კიდევ მოგეცადა?

— რა ვქნა, მეტი დარჩენა აღარ შემიძლია, შინ მიმელიან. საღამოზე მოვალ.

— საღამოზე ნუ მოხვალ! დილაზე გამოიარე. უმჯობესია ჯერ დარეკო! აი, ჩვენი ტელეფონის ნომერიც. — და ვერიკომ პატარა ქაღალდზე დაწერილი ტელეფონის ნომერი მიაჩეჩა ხელში.— საერთოდ, სხვა დროსაც დარეკე ხოლმე. ეს ჩემთვის სასიამოვნო იქნება. დაიხსომე, თუ შინ მარტო ვარ, გიპასუხებ: დიახ, დიახ! თუ არადა — რა გნებავს, ბატონო-მეთქი.

ნეტავი რა საჭიროა ეს სიფრთხილე, რა მნიშვნელობა აქვს მარტო იქნება თუ არა ვერიკო? რა აქვთ საიდუმლო, ვისთან რა აქვთ მოსარიდებელი?!

ასეთი ფიქრები უტრიალებდა ჩქარი ნაბიჯით მიმავალ ელიზბარს. უცებ გაახსენდა, რომ ვერიკოს მიცემული ქაღალდი ისევ ხელში ეჭირა. ვერა, ამ ქაღალდს ჯიბეში ვერ ჩაიდებს. ირმამ რომ უნახოს, რა პასუხი გასცეს? ტყუილსაც ვერ ეტყვის! მას ხომ დაფიცებული აქვს, ყოველთვის გულწრფელი იყოს ცოლთან.

ერთი სიტყვით, ყოველივე გაუგებრობას ის ურჩევნია, ნომერი ზეპირად დაიმახსოვროს. ქაღალდზე დაწერილი ციფრები წაიკითხა, მერე გონებაში გაიმეორა ერთხელ, ორჯერ და, როცა დარწმუნდა, ზეპირად იცოდა, ქაღალდი ურნაში ისროლა.

— დღეს სადღა მიდიხარ? — შეეკითხა ირმა მეორე დილით, როცა ნასაუზმევს ელიზბარი გარეთ გადიოდა.

— ერთხელ კიდევ მივალ სამინისტროში, მაინტერესებს, რას მეტყვიან! — მიუგო ელიზბარმა.

„ეგეც შენი ტყუილი!" უსაყვედურა მან თავისთავს. მაშ რა ეთქვა, რა მოეგონა?! ხომ არ გაუმხელდა, ორი კვირაა სარდაფს ვთხრი და ახლა გასამრჯელოს მისაღებად მივდივარო. ერიჰა, ცხოვრება ისეა მოწყობილი, რაც არ გინდა, ხშირად იმას აკეთებ. რა ჰქნას, ის ხომ ცოლ-შვილის გულისათვის იქცევა ასე. საცა სამართალია, ეს მოტყუებად არც ჩაეთვლება.

სატელეფონო ჯიხურიდან დარეკა ვერიკოსთან. თითქოს ტელეფონთან დადარაჯებულაო, იმწამსვე ვერიკოს მეტისმეტად განაზებული ხმა გაისმა:

— დიახ, დიახ!

— გამარჯობა, ქალბატონო! ელიზბარი გახლავარ!

-- დიახ, დიახ, გამარჯობა! — ქალმა უფრო გაინაზა ხმა.

— თქვენთან მინდა მოსვლა, შეიძლება?

— დიახ, დიახ, მობრძანდი!

ჯერ ვერიკო არც დაენახა, რომ მისი კისკისი შემოესმა, რა შუა ეზოში გაჩერებულხარ, რისა გერიდება, მაღლა ამოდიო.

გულამოღებულ, მოკლესახელოიან, თეთრ კაბაში ჩვეულებრივზე ახალგაზრდად გამოიყურებოდა დიასახლისი. თვალებიც უფრო უციმციმებდა, პატარა გოგოსავით ენამოჩლექით ლაპარაკობდა.

ელიზბარს თვალი მოსჭრა გაკრიალებულმა ავეჯმა, ბდღვრიალა სარკეებმა, ბროლის ჭაღებმა, ვერცხლეულმა. განცვიფრებული ათვალიერებდა გემოვნებით მოწყობილ ოთახებს და ფიქ-

რობდა, აი ამას ჰქვია სიმდიდრე, ფუფუნება! ასი წელიც რომ ვიცოცხლო, რა დიდხელფასიან ადგილზეც არ უნდა ვიმუშაო, ამის მეათედსაც ვერ შევიძენო.

ქალმა სტუმარს ალერსიანად გაუღიმა და დივანზე მიუთითა, დაბრძანდიო.

ვაჟმა დაიმორცხვა, მორიდებით ჩამოჯდა წითელხავერდაგაკრულ დივნის კიდეზე.

ქალი უმალ გვერდით მიუჯდა.

— ჩემს ქმარს ათი მანეთი უკვე მოუცია. ასეა ხომ? — შეეკითხა ელიზბარს.

— დიახ, ქალბატონო!

— იმას არაფერი სჯობია, ადამიანს კარგი მეხსიერება რომ აქვს!

ვერიკომ რძესავით თეთრ, უფოსოო მუხლისთავებზე, ვაჟს რომ თვალს სტაცებდა, კაბა ჩამოიწია, მაგრამ კაბის კალთას ხელი გაუშვა თუ არა, მუხლისთავები ისევ აბდღვრიალდა.

— ჩემი ქმარი კი საშინელი გულმავიწყია! ამას წინათ ისეთი სასაცილო ამბავი გადახდა, სირცხვილით ვერავისთვის გამიმხელია. — გულიანად გადაიკისკისა და, ვითომ უნებურად, სტუმრისაკენ მიიწია. — დილით, სამსახურში წასვლისას, ქუდი დაეკარგა. აქეთ ეცა, იქით ეცა, მთელი სახლი გადააქოთა, მაგრამ ვერ იპოვა. ბოლოს მე შემომჩივლა, ქუდი დავკარგე და ხომ არ გინახავსო? სად იყო სიცილი! — და ვერიკომ ერთხელ კიდევ გადაიკისკისა. — რა იყო, რა დაგემართა, რას ხედავ სასაცილოსო, მისაყვედურა ქმარმა. როგორ არ გავიცინო, როცა ქუდი თავზე გახურავს-მეთქი. აი, ასეთი გულმავიწყია ჩემი ქმარი. ეს კიდევ არაფერი! სამწუხაროდ, ჩემს ქმარს სხვა ბევრი რამეც ავიწყდება! — ერთბაშად მოწყენილი სახე მიიღო. — ჰო, გენაცვალე. აი, ესეც შენი ფული. თორმეტი თუმანია. ჩემი ქმრის მოცემულს არ გითვლი. ათი მანეთით შენს ბიჭს ჩემ მაგიერ საჩუქარი უყიდე. გამომართვი, გამომართვი, ნუ გერიდება! —და ქალმა ძალად ჩაუდო ელიზბარს ჯიბეში ფული. —

— გმადლობ! — წაილაპარაკა ქალის გულუხვობით დაბნეულმა ვაჟმა.

ვერიკოს მოციმციმე თვალებიდან თავბრუდამხვევი, ჟინამშლელი, წმინდა ქალური სურვილი გამოკრთოდა.

მღელვარებისგან ელიზბარს სუნთქვა ეკვროდა, ხელებს ხან აკანკალებულ მუხლისთავებზე იწყობდა თითქოს მათ შეჩერებას ცდილობსო, ხან კიდევ მკერდზე იჯვარედინებდა, იქნებ აძგერებული გული მაინც დავიმშვიდოო. ის კი არა, გონებაც წაერთვა. ვერ მოესაზრებინა, კიდევ მჯდარიყო თუ ქალისათვის მადლობა გადაეხადა და გამომშვიდობებოდა.

ვაჟის დაბნეულობა ქალმა თავის სილამაზით ახსნა, რამაც კიდევ უფრო ალაფრთოვანა და წაახალისა.

ვაჟი, რა თქმა უნდა, მიხვედრილია ყველაფერს? ასეთ წარმოსადეგ, გონებით სავსე ყმაწვილკაცს განა რაიმეს გამოაპარებ?! მაშ, რატომ დუმს, რატომ არის ასეთი უმოქმედო?! ალბათ გამოუცდელია და მორცხვობს. რა სულელები არიან მამაკაცები! ქალის რამდენ ხვევნა-ალერსს, ამქვეყნიურ სიამოვნებას იკლებენ მორცხვობისა და თავდაჭერილობის გამო.

ვერიკოს შეებრალა მისი სილამაზით დაბნეული ყმაწვილკაცი. და უცებ დაუოკებელი სურვილი აღეძრა მიალერსებოდა, ვნებათა მორევში ჩაეხრჩო იგი.

ქალმა ხელზე ხელი გადაუსვა, ნაზად, მოფერებით. თან ისე ჯიქურად მიაჩერდა, როგორც იციან გრძნობამორეულმა ქალებმა, როცა ისედაც სუსტი მუხლი თავისით ეკეცებათ.

ამან კი არარაობად აქცია ვაჟის თვალში ქალი. ასეა საერთოდ. ვაჟზე მონადირე ქალები ეშხსა და მიმზიდველობას ჰკარგავენ, არარაობად იქცევიან. მამაკაცებს ხომ ქალისადმი სწრაფვა. მისი ხელში ჩაგდების წყურვილი ანიჭებთ ბედნიერებას!

თითქოს რაღაც დიდიხნის მივიწყე-

პული ამბავი გაახსენდაო, ელიზბარი ერთბაშად წამოდგა, თან ჯიბიდან ათმანეთიანი იძრო, ქალს ხელში მიაჩეჩა და მიახალა:

— ქალბატონო, ინებე, მოწყალებას არ ვარ ჩვეული!

— რატომ გგონია ასე, რატომ?! — შესძახა ქალმა. „ვაჟკაცი მეგონე, შენ კი ლლაპი ყოფილხარ“. — არა, ქალს ეს კი არ უთქვამს. გულში გაიფიქრა, მაგრამ ელიზბარმა მის თვალებში, თითქოს ესეც ამოიკითხა.

ელიზბარს აღარაფერი უთქვამს, შეტრიალდა და კარისკენ გაემართა.

— წადი, მაგრამ იცოდე, კიდევ მოხვალ ჩემთან. ნუ მომერიდები, ყოველთვის სიამოვნებით მიგიღებ, ხელს გამოგიწვდი, მეგობრობას გაგიწევ!

ვაჟი ისე გავიდა ოთახიდან, ქალისკენ აღარ მიუხედავს. უკან რომ მიეხედა, უთუოდ დაინახავდა, თუ როგორ დაემხო აქვითინებული ვერიკო დივანზე.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა შეიძინეს ქვაბები, ჭურჭელი, უთო, ბავშვის ჩასაცმელი და თეთრეული.

ელიზბარმა ცოლს ნეილონის პერანგი და ყორსეს კაბა უყიდა, დედაჩემმა დამიტოვა ფული, ირმას ჩემი სახელით რაიმე საჩუქარი მიართვიო.

თავისთვის ერთ შაურსაც არ იმეტებდა. ქუსლებმოცვეთილი, დაბრეცილი ფეხსაცმელი ეცვა. ირმა ჩასციებოდა, ღამის პერანგი უკან დაუბრუნე მაღაზიას და შენთვის ფეხსაცმელი გამოართვიო, მაგრამ ქმარი ვერ დაითანხმა.

ისინი მთელი დღე აკვნის გარშემო ტრიალებდნენ, ბავშვს აწვენ-აყენებდნენ, აბანავებდნენ, ეალერსებოდნენ.

პირველ ხანებში ირმას ღამით მკვდარივით ეძინა და ბავშვის ტირილს ვერ გებულობდა.

ელიზბარს გათენებამდე აკვანზე ჰქონდა ხელი ჩავლებული, როგორც კი ბავშვი წამოიტირებდა, მაშინვე აკვანს გადაარწევდა, თან ხმადაბლა ღიღინებდა. ბავშვი ზოგჯერ გაჯიუტდებოდა, ტირილით ჩაბჟირდებოდა, მაშინ ელიზბარი ცოლს აღვიძებდა, ბავშვს ძუძუ მოაწოვეო.

ბიბლიოთეკა

პატარა ბიჭი უმალ დაეძგერებოდა ხოლმე ძუძუს და მანამდე შეექცეოდა ტკბილ რძეს, სანამ დედის მკერდზე არ მიეძინებოდა.

ირმა ქმარს არწმუნებდა, სანებლიძე უთუოდ გვინახულებს და, ალბათ, შენს სამსახურის საქმესაც მოგვიგვარებსო.

ელიზბარი უხმოდ თავს უქნევდა. უმიმოდ გატარებულმა ბავშვობამ, გაუხარელმა სიჭაბუკემ, გაჭირვებამ, ხელმოკლეობამ უეშმაკო, მორჩილ ადამიანად აქცია იგი. მან ჯერ ისიც არ იცოდა, რა იყო ქალის ღალატი. ვერც კი წარმოედგინა, რომ სანებლიძის ხნისა და მდგომარეობის კაცი ორჯერ უმცროს ქალს შეიყვარებდა.

ვერიკოს საქციელმა ელიზბარი ჩააფიქრა, ვაითუ, სანებლიძეც იმიტომ იჩენს ჩვენდამი მზრუნველობას, რომ ირმას გულის მოგება სწადიაო. თუმცა ამ აზრს ხელის ჩაქნევით უკუაგდებდა, ვერა, ამას ვერ დავიჯერებ. ირმა საოცრად მოსიყვარულე ცოლი და დედაა, ასეთ რამეს არ იმსახურებს და ამაზე ფიქრიც კი დანაშაულიაო.

ალბათ მისი ეჭვი ამის იქით არც წავიდოდა, რომ ერთ გარემოებას მთლად არ აეფორიაქებია ახალგაზრდა კაცის გული.

შაბათ საღამოს იგი სოფელში წავიდა, შემოდგომაა, დედაჩემს ჩავეშველები, თან ცოტა რამ სანოვაგეს წამოვიღებ და სამშაბათს ჩამოვალო.

ელიზბარს ბიძაშვილები მიეხმარნენ, მოსავალი ჩააბინავა და ორშაბათს წამოვიდა თბილისში.

ახალშენებულ იყო ფალიაშვილის ქუჩაზე რომ გაუხვია. მათი სახლის წინ „ვოლგა“ იდგა. მანქანა მაშინვე დაიძრა და გვერდით რომ ჩაუქროლა, შენიშნა, საჭეს სანებლიძე უჯდა. ეს უკანასკნელი ელიზბარის დანახვაზე რატომღაც შეკრთა და უმალ განზე გაიხედა.

ნეტავი ვისთან იყო?“ — გაიფიქრა ელიზბარმა და აზრადაც არ მოსვლია, რომ შეიძლება მათთან ყოფილიყო, მაგრამ როცა კითხვა დაებადა, თვალი რატომ ამარიდაო, მაშინ კი გულში გაჰკრა. ჩვენსა ხომ არ იყოო.

რა მოხდა, შეიძლება ირმა ინახულა. მერე რაღა მისი შინ არ ყოფნისას მოვიდა. თუმცა საიდან ეცოდინებოდა სანებლიძეს, რომ იგი სოფელში წავიდა. კარგი და, რატომ თამარიც არ მოიყვანა ირმას სანახავად. ან რატომ აარიდა თვალი? რას მკითხაობს. აი, საცაა შინ იქნება და ყველაფერს გაარკვევს.

ირმამ ქმარი რომ დაინახა, ფერი ეცვალა და გაოცებით იკითხა:

— ელიზბარ, ჩამოხვედი?

— ჩამოვედი, ასე რამ გაგაკვირვა!

— შენ ხომ თქვი, სამშაბათამდე ვერ ჩამოვალო?!

— დღეს არ მღებულობ?

— რა იყო, რა შარზე ხარ, სიტყვა არ უნდა მათქმევინო?

ელიზბარმა ოთახს მოავლო თვალი, ჰაერი შეიყნოსა და თქვა:

— ეს რა პაპიროსის სუნი დგას, ვინ მოსწია!

ირმა დაიბნა, ვერაფერი უპასუხა. თვითონაც ოთახის ჰაერი ჩაისუნთქა და, შეეცადა დამშვიდებით ეთქვა, მაგრამ მის ხმაში ბზარი გაჩნდა:

— რა ვიცი, მე კი ვერ ვგრძნობ პაპიროსის სუნსა და!

— პაპიროსის სუნი აქედან გამოვიდოდა, ეს-ეს არის ჩემი ძმისწული გავისტუმრე. პაპიროსს პაპიროსზე სწევდა, კვამლით დამახრჩო! — გამოსძახა თავისი ოთახიდან მარგალიტამ და ქუჩის მხარეს ბრახუნით გაალო ფანჯარა.

მოხუცის ნათქვამმა ირმას გამბედაობა შემატა და უცებ ალაპარაკდა:

— ელიზბარ, სირცხვილი შენი! ორი დღეა შინ არ ყოფილხარ! იმის მაგივრად, რომ იკითხო, როგორ ვართ, რა გვიჭირს, რა გვილხინს, სულელური კითხვებით გულს მიწყალებ!

ელიზბარი ცოლს დააშტერდა, თითქოს მის თვალებში რაღაცის ამოკითხვა სწადიაო, მაგრამ ქალი ისე თამამად შესცქეროდა, წარბიც არ შეუხრია. [illegible]ქით, ვაჟმა ვერ გაუძლო ქალის მზერას, ხელი ჩაიქნია და აკვნისკენ შეტრიალდა. ბავშვს სახეზე პირსაფარი გადახადა და აღტაცებით შესძახა:

— უიმე დედა, ამას რას ვხედავ!

პატარა ბიჭი თვალგახელილი იწვა. თავი მშობლებისკენ გადაეხარა, თითქოს მათ საუბარს ყურს უგდებდა.

ელიზბარი ცდილობდა აკვიატებული ფიქრის თავიდან მოცილებას, მაგრამ რაკილა ეჭვის ჭია გულში შეუძვრა, მოსვენებას აღარ აძლევდა.

ნუთუ სანებლიძე იყო მათთან! მერე რატომ მალავს ამას ირმა?!

ამ დღეს ელიზბარმა განსაკუთრებული სიმწვავით იგრძნო, რომ ირმას ერთავად სანებლიძის სახელი ეკერა პირზე, თითქოს ის იყო მათი მფარველი ანგელოზი და უიმისოდ ერთი ნაბიჯის გადადგმაც არ შეეძლოთ.

და, აი, ერთხელ, როცა ირმა ქმარს ურჩევდა, დღესვე სანებლიძესთან მიდი და თავი შეახსენეო, ელიზბარმა ველარ მოითმინა და მკვახედ მიახალა:

— რა სულ სანებლიძეს გაიძახი, არ მინდა მისი დახმარება. ჩემს თავს თვითონ მოვუვლი.

— მაშ რაღა მხხრ-თეძოზე წამოწოლილხარ! ხომ ხედავ პურის ფული გვითავდება, რისი იმედი გაქვს, ვინ გამოგვიგზავნის?!

— ნუ გეშინია, მშივრები არ დავრჩებით.

ირმა მიხვდა, ქმარს რა ბოლმა უტრიალებდა, ამიტომ დათმობაზე წავიდა და დამშვიდებით თქვა:

— შენ თუ გეუხერხულება სანებლიძის შეწუხება, მაშ, ისევ მე მივალ. — მაგრამ ქალმა შეატყო, რომ ქმარს არც ეს ესიამოვნა, ამიტომ უმალ დაუმატა: — ისე კი სჯობია, ორივე ერთად წავიდეთ!

ელიზბარმა არაფერი უპასუხა.

ირმა ბუნებით ისეთი ქალი იყო, ვი-

საც შესწევს ძალა ქმრის დამორჩილებისა. არც ამჯერად გასძნელებია ელიზბარისათვის თავზე მოეხვია თავისი ნება-სურვილი.

ცოლ-ქმარს მხოლოდ ისღა აფიქრებდათ, მოხუც მარგალიტას ამარა ბავშვი როგორ დაეტოვებინათ.

რა უშავს, უცებ მივირბენთ და მოვირბენთ, მოხუცი ბავშვს თავს ევლება, საშიში არაფერიაო, ამბობდა ირმა. ელიზბარი ყოყმანობდა, მართალია, მარგალიტა ყოველმხრივ უზადო ქალია, მაგრამ მისი კატისა მეშინია, ბავშვს არ მიეპაროს და არაფერი ავნოსო.

როცა ირმამ ქმრის შიში მარგალიტას გაუმხილა, ამ უკანასკნელს ეს სასაცილოდ არ ეყო. აკვანში ჩაკრულ ბავშვს როგორ ვერ შევინახავ, ერთი წამითაც არ მოვცილდები გვერდიდან, კატისა კი ტყუილად გეშინიათ. მას უკვე აეუკრძალე თქვენს ოთახში შესვლა. მხოლოდ ნუ შეიგვიანებთ, ბავშვს არ მოშივდეს და არ ამიტირდესო.

სანებლიძე კაბინეტში დახვდათ.

— მოდი, ჯერ მე შევალ, პირს მოვუსინჯავ, თუ რამე მითხრა საიმედო, შენც დაგიძახებ! — უთხრა ელიზბარს ირმამ.

— როგორც გინდა! მიუგო ელიზბარმა, თან სახეზე წყენა აღებეჭდა, — ნეტავი მე რაღას წამომიყვანე?

ქმრის წინააღმდეგობას მიუჩვეველი ირმა გაშრა, დაიბნა. საჭირო იყო რითიმე თავი ემართლებია; ელიზბარის სიტყვებში ხომ მისადმი უნდობლობის მსგავსი რაღაც გაისმა. მერე რატომ, რის გულისათვის? განა ისეთი რა თქვა?! ან რა მიზეზი მისცა, რომ ქმარი დაეჭვდეს მის ერთგულებაში?! ფიქრობდა ირმა, მაგრამ თავისდაუნებურად, თითქოს მიხვედრილია შეცდომას და მის გამოსწორებას ცდილობსო, შეეცადა, რაც შეიძლება მშვიდად ეთქვა:

— მართალი ხარ, სჯობია ერთად შევიდეთ!

ირმა წინ გაუძღვა ქმარს, გაუფრთხილებლად შეაღო კარი და თამამად შევიდა კაბინეტში.

ელიზბარს არ გამოჰპარვია, რომ სანებლიძეს, დაინახა თუ არა ქალი, სახე გაუნათდა, მაგრამ როგორც კი მას შეასწრო თვალი, შუბლი მოეღუშა, წარბი შეეკრა. იქნებ ეს არც იყო ასე, მაგრამ რაკიღა მისი გონება ერთხელ შებოჭა ეჭვმა, ყველაფერი გაზვიადებულად ეჩვენებოდა.

სანებლიძე თავაზიანად შეეგება ცოლ-ქმარს, ორივეს ხელი ჩამოართვა, მაგრამ ვაჟი რატომღაც მარტო ელიზბარს მიულოცა, და სკამები შესთავაზა. მერე დაწვრილებით გამოჰკითხა, როგორ ხართ, რა არის თქვენ ცხოვრებაში ახალიო.

ირმა სანებლიძესთან უფრო ახლო იჯდა ყველა კითხვაზე ის პასუხობდა.

ელიზბარი ორივეს გულისყურით უსმენდა, ოღონ მათ სახის მოძრაობას მალულად აკვირდებოდა.

სანებლიძე ირმას თვალს არიდებდა, ირმაც ერთთავად განზე იხედებოდა, თითქოს ერთმანეთისადმი გულგრილნი არიანო.

საუბრის თავაზიანი კილო, დახვეწილი მიხვრა-მოხვრა სანებლიძის სისპეტაკეზე მეტყველებდა. ამ კაცს დღეს თავი რაღაც მორიდებით ეჭირა, თითქოს ვალის მოხდის მიზნით ელაპარაკებოდა ირმას, ცივად და უინტერესოდ.

შესცქეროდა ელიზბარი სანებლიძეს და ფიქრობდა, ნუთუ ამ მდგომარეობისა და სახელის, თან ასე კეთილშობილი და თავაზიანი კაცი შეიძლება ზნედაცემული და მატყუარა იყოსო.

ვერიკოს უდიერმა საქციელმა დაბადა მასში ეს ეჭვი. მერე რატომ ადარებს განსწავლულ, ყოველმხრივ უზადო კაცს ქარაფშუტა, გრძნობებს აყოლილ ქალს?! ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ ფაქტები, რომ სხვას ლაპარაკობენ. განა გარკვევით არ დაინახა, მარგალიტას სახლის წინ სანებლიძის მანქანა?! მარგალიტას ნათქვამი რა დასაჯერია? ქალი ყოველთვის ქალის მხარეზეა! ესეც რომ

არა, ოთახიდან ოთახში იმდენი კვამლი როგორ გავიდოდა.

ირმას სიამოვნებას ჰგვრიდა სანებლიძის თავდაჯერილობა .ვერაფრით აეხსნა, როგორ მიხვდა ეს კაცი, რომ დღეს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებდა. ჩანს, ასეთ საქმეებში გამოცდილია. ან არადა, ჭეშმარიტად უყვარს იგი. შეყვარებული გული კი მგრძნობიარე, მიხვედრილი და შორსმჭვრეტელია. და ირმა სანებლიძისადმი უფრო მეტი პატივისცემით, კეთილი სურვილებით განიმჭვალა.

ასეა საერთოდ, ქალის გულს ხომ ყველაზე იოლად ის მამაკაცი იპყრობს, ვისაც ძალუძს გრძნობების შენიღბვა, სიყვარულის საიდუმლოდ შენახვა.

ტელეფონის წკარუნმა შესწყვიტა მათი მუსაიფი.

— კი ბატონო, ახლავე მოვალ! — უპასუხა სანებლიძემ. ყურმილის დადებისთანავე წამოდგა და ცოლ-ქმარს მიმართა:

— მაპატიეთ, მთხოვენ! თუმცა რაღად უნდა გალოდინოთ! ბარემ მითხარით, რა გნებავთ?

— ვერიდებით თქვენ შეწუხებას, მაგრამ სხვა გზა არა გვაქვს! — წამოიწყო ირმამ.

— ჰო, მართლა, როგორ გადამავიწყდა. — და ვითომ თავის გულმავიწყობაზე ჩაიცინა. — გუშინ ჩემმა მეგობარმა დამირეკა, რატომ არ მიგზავნი შენს ნათესავსო. — მაგიდის უჯრიდან პატარა ქაღალდი ამოიღო და ელიზბარს გაუწოდა. — აი მისამართი, უთხარი, სანებლიძემ რომ გთხოვათ, ისა ვარ-თქო. ახლა კი მაპატიეთ, მელოდებიან! — და ისე გაისტუმრა ცოლ-ქმარი, არც ერთ მათგანისათვის აღარ შეუხედავს.

საჰაერო ბურთების საამქრო, საცა სანებლიძემ ელიზბარი გაგზავნა, გასული საუკუნის მიწურულში აგებულ საცხოვრებელი სახლის სარდაფში იყო მოთავსებული. ფასადის მხარეს სარდაფს ყრუ კედელი ჰქონდა, მისი უკანა მხარე კი, სანაპიროზე რომ გადიოდა, სანახევროდ მიწის ზემოთ იყო და კარფანჯარაც იქით დაეტანებიათ. ამ მხარესვე იყო საკმაოდ მოზრდილი ეზო. მაღალი ქვიტკირის კედლით. ეზოში ფინური სახლი იდგა. პატარა ოთახში მემანქანე ქალი იჯდა, მეორე ოთახი ბუღალტერიას ეკავა, დიდ ოთახში კი საამქროს გამგის კაბინეტი გახლდათ.

ელიზბარმა გამგის კაბინეტის კარზე მიაკაკუნა და, ის იყო უნდა შეეღო, რომ პატარა ოთახიდან მემანქანე გამოიჭრა ყვირილით, როგორ ბედავთ დაუკითხავად გამგესთან შესვლას, დაკავებულიაო.

— როდის მოიცლის? — შეეკითხა სახტად დარჩენილი ელიზბარი.

— არ ვიცი! — ცივად მიუგო ქალმა, კარი დაკეტა, ბოქლომიდან გასაღები გამოაძრო და თავის ოთახში შევიდა.

ელიზბარი ჯერ ვიწრო დერეფანში დადიოდა, მერე ეზოში გავიდა. ამასობაში სხვა მთხოვნელებიც გამოჩნდნენ.

რიგი რომ არ დაეკარგა, ელიზბარი ისევ მოსაცდელში შებრუნდა.

მთხოვნელები დუმილით შესცქეროდნენ საამქროს გამგის კაბინეტის კარებს. დროდადრო მემანქანესაც გადახედავდნენ ხოლმე. მისი გულგრილობით ნერვებაშლილმა ერთმა მთხოვნელმა ვეღარ მოითმინა და შესძახა:

— ის მაინც გაგვაგებინეთ, გამგე დღეს მოიცლის თუ არა?

— არ ვიცი! — მკვახედ მიუგო მემანქანემ.

— შედი და ჰკითხე!

— თქვენ დარიგებას არ ვსაჭიროებ! გამგე მოხსენებით ბარათს წერს... თქვენთვის არ სცალია!

საამქროს გამგემ, ეტყობა, მთხოვნელის ხმამაღალი ლაპარაკი გაიგონა. ჯერ მემანქანე გამოიძახა, მერე კაბინეტის კარი ფართოდ გააღო და განაცხადა:

— მეგობრებო, ყველა ერთად შემოდით! რა გვაქვს საიდუმლო? რის გაკეთებაც შემიძლია, სიამოვნებით გავაკე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებ, რისიც არა, უარს გეტყვით! რა ვქნა უკანონობას ვერ ჩავიდენ! ესაა ბიჭობა!

მთხოვნელები ყოყმანობდნენ, ვერ გადაეწყვიტათ ერთად შესულიყვნენ თუ არა კაბინეტში, მაგრამ გამგე მაინც თავისას გაიძახოდა,ერთმანეთს ნუ ერიდებით, რა გაქვთ დასამალი, შემოდით, შემოდითო. მთხოვნელებიც დაჰყვნენ გამგის სურვილს და კაბინეტში შელაგდნენ.

ელიზბარი რაკიღა რიგით პირველი იყო, წინ შევიდა და საამქროს გამგის მაგიდის გვერდით დაჯდა. სხვებმაც გრძელი მაგიდის აქეთ-იქით დაიკავეს ადგილები.

გამგე კაბინეტში ბოლთას სცემდა, თითქოს მთხოვნელებს თავს ასინჯებსო. ბრგე კაცი იყო, მოუხეშავი, იგი მძიმედ დაეშვა სკამზე. მთხოვნელებს თვალი მოავლო, ელიზბარის გვერდით მჯდომ ქალზე შეაჩერა მზერა და შეეკითხა:

— აი, მაგალითად. თქვენ რა გნებავთ, ქალბატონო?

ქალი მარჯვედ წამოდგა. ხელჩანთა გახსნა. რამდენიმე გამსკდარი საჰაერო ბურთი ამოიღო, მაგიდაზე დაალაგა და მწივანა ხმით დაიწყო:

— ამხანაგო კოტე, ამ ბოლო დროს უხარისხო ნაწარმს გვაწვდით! ყოველი მეორე ბურთი გაბერვისას სკდება. რა ვქნათ, გამსკდარ ბურთებს უკან არ ღებულობთ. ჩამოწერაზეც უარს გვეუბნებიან!

— მოითმინეთ, მოითმინეთ! — ხელი ასწია გამგემ. — მაგალითად, თქვენ გევალებათ ბურთების გაბერვა?

— ეს რა შეკითხვაა?

— თქვენ ჩემზე უკეთ იცით, რა შეკითხვაცაა. ბურთებს ნუ ბერავთ, ეს თქვენი საქმე არაა! ესაა ბიჭობა!

— ბურთის გაბერვა აუცილებელია... ამით მუშტარს ვიზიდავთ, ბავშვებს ცნობისმოყვარეობას ვუღვიძებთ!

— და ამასთანავე ხელსაყრელიცაა, არა? ვიმეორებ, ბურთის გაბერვა თქვენ არ გევალებათ! რა ძალა გადგიათ, რატომ იგდებთ თავს შარში! მაგალითად, ბურთი მომხმარებლის ხელში რომ გასკდება, ის თქვენთან ვეღარ მოვა პრეტენზიით. ესაა ბიჭობა!

— კი მაგრამ...

— არავითარი მაგრამ, სჯობია აქ დავსვათ წერტილი. მგონი, გასაგებად ვლაპარაკობ, ესაა ბიჭობა!

ნირწამხდარმა ქალმა გამსკდარი ბურთები ჩანთაში ჩაალაგა და თავჩაღუნული გავიდა კაბინეტიდან.

გამგემ მოზეიმე ღიმილით თვალი გააყოლა და იოლი გამარჯვებით წახალისებულმა, ამაყად მიმართა მეორე ქალს!

— მაგალითად, თქვენ რაღა საქმეზე ხართ, ქალბატონო?

— მე № 3 მაღაზიის სათამაშოების სექციის გამგე გახლავართ! ჩვენთანაც ანალოგიური ამბავია! — მიუგო ქალმა.

— მაგალითად, თქვენთვის რაღაა გაუგებარი?

ქალმა არაფერი უპასუხა.

— რაკიღა ასეა, შეგიძლიათ მიბრძანდეთ და ისე მოიქცეთ, როგორც თქვენს კოლეგას ვუთხარი! ესაა ბიჭობა! და საამქროს გამგემ მაგიდაზე ხელი დასცხო, რითაც, ალბათ, უნდოდა ეთქვა, თქვენთანაც მოვრჩი ლაპარაკსო.

ქალი თითქოს კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ხელი ჩაიქნია და ოთახიდან უხმოდ გავიდა.

— ერიჰა, ჰგონიათ მე ჭურში ვზივარ. მაგალითად, ბურთის ფასი სამი კაპიკია — გაბერილს კი შაურად ჰყიდიან. ერთი ჰაერია ამ ქვეყნად უფასო და, დახე, იმასაც ფასს ადებენ!

იგი წამოდგა, ვითომ აღელვებული იყო და დასამშვიდებლად კაბინეტში გაიარ-გამოიარა, მერე ისევ სკამზე დაეშვა და ელიზბარს ჰკითხა:

— მაგალითად, ძმობილო, შენ რაღაზე შეწუხებულხარ?

ელიზბარმა მთხოვნელებს გადაავლო თვალი, ეუხერხულებოდა მათი თანდასწრებით ლაპარაკი.

— თქვი, თქვი, ნუ გერიდება! — ძალას ატანდა გამგე.

— ექიმმა სანებლიძემ რომ დაგირეკათ, მე ის გახლავართ, — თქვა მორიდებით ელიზბარმა.

— ეგრე თქვი, შე კაი კაცო, რა არის აქ დასამალავი?!

გამგემ შეჭაღარავებულ ულვაშებზე ხელი გადაისვა, თვალმოჭუტული შესცქეროდა ელიზბარს, თითქოს მის სიმაღლეს ზომავსო და ბოლოს თქვა:

— მაგალითად, აღმიცხველად იმუშავებ?

ელიზბარი ქაღალდს მისჩერებოდა, გამგეს რომ ედო მაგიდაზე. უნებურად სამი სტრიქონი წაიკითხა:

„სალამი ჩემო საყვარელო ნელი! მაპატიე, წერილი რომ დაგიგვიანე. ყელამდე საქმეში ვარ, ერთი წუთი მოცლა არ მაქვს!“

გამგემ ელიზბარს თვალი შეასწრო, ქაღალდი გვერდზე გასწია, ალმაცერად გადახედა და ცალი ყბით უთხრა:

— იქნებ ხელსაყრელი არაა, ჭკუაში არ გიჯდება?!

ელიზბარმა ისევ ქაღალდისკენ გააპარა თვალი და პასუხი დააყოვნა:

— თანახმა ვარ, სამუშაოს გარდა სხვა არას დავეძებ!

— მაგალითად, — შეჩერდა, თითქოს სიტყვას ვერ პოულობსო, მერე კი თქვა — კარგი, რახან ასეა, განცხადება დაწერე. ხვალ გაგაფორმებ. სამუშაოზე კი ორშაბათიდან გამოცხადდი! ესაა ბიჭობა!

საამქროში ოთხი ხელოსანი მუშაობდა. ორი საჰაერო ბურთებს ამზადებდა, ორი კი კაპრონის ძაფიდან სასურსათო ბადეებს ქსოვდა. ხელოსნებს ორ-ორი ქალი ეხმარებოდათ.

ელიზბარს გამზადებული ნაწარმის აღრიცხვა ევალებოდა. ეს საქმე იოლი იყო, მაგრამ პირველ დღესვე სიძნელეს წააწყდა: ხელოსნები ცდილობდნენ ნაწარმი აღურიცხველად ჩაებარებიათ საწყობის გამგისათვის.

„რატომ აკეთებენ ამას?“ — ეკითხებოდა იგი თავისთავს და პასუხი ვერ ეპოვა.

როცა ამის შესახებ ერთერთ ხელოსანს ჰკითხა, ამ უკანასკნელმა ირონიით ჩაიცინა და უპასუხა, ნეტავი შენ რას ჰკარგავ, ის აღრიცხე, რასაც გეუბნებითო.

ელიზბარმა ეს ამბავი ინჟინერსაც მოახსენა.

— რას ამბობ? ამას ვერ დავიჯერებ! — შეიცხადა ინჟინერმა, მაგრამ მერე კი ხელის ჩაქნევით მიუგო, არ ღირს ამაზე ხმაურის ატეხა. არის ზოგი რამ ისეთი, რასაც უნდა წავუყრუოთო.

იმავე დღეს, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, ინჟინერმა ელიზბარი ლუდზე დაპატიჟა. როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, ბოთლს ბოთლი მოჰყვა. მთელი ორი საათი უსხდნენ მაგიდას, გულითადად საუბრობდნენ, ერთმანეთის ასავალ-დასავალს გებულობდნენ, ეცნობოდნენ.

ინჟინერმა ელიზბარის უბინაობის ამბავი რომ გაიგო, ურჩია, ჩვენმა სამმართველომ საცხოვრებელი სახლის მშენებლობა დაიწყო, ამთავითვე შეიტანე განცხადება, უბინაოდ ახლა ბევრი აღარავინაა და, ალბათ, ერთოთახიან ბინას მაინც მოგცემენო.

აი, თურმე რა ძნელია კაცის ბუნების გამოცნობა?! ინჟინერი გულქვა, უკარება, მოშურნე კაცი ეგონა, ის კი რა ჰუმანური, რა გულისხმიერი ადამიანი ყოფილა. დაპატიჟა, პატივი სცა, დაარიგა, ბინის თაობაზე განცხადების დაწერა ურჩია. ხვალვე დაწერს განცხადებას. ერთოთახიანი ბინა რომ მისცენ, ჯერჯერობით მეტიც არ უნდა. ეჰ, როგორ გაეხარდება ეს ამბავი ირმას!

მართლაც, ირმამ ეს რომ გაიგო, აღტაცებით ტაში შემოჰკრა, თითის წვერებზე შეტრიალდა, ქმარი გადაკოცნა, ეს რა სასიხარულო ამბავი მოთხარიო. განცხადება თვითონვე დაწერა, ელიზბარს უმტკიცებდა, შენ ხელი არ გივარგა, არც ბედი გწყალობს, ჩემი ნაწერი კი ყველას მოსწონს, თან ისეთი იღბლიანი ვარ, აი, ნახავ, თუ ბინა არ მოგვცენო.

ელიზბარმა განცხადების შეტანისას მემანქანე ქალისაგან შეიტყო, რომ ჯერჯერობით ბინის მთხოვნელი ათიოდე კაცი იყო, რამაც უფრო მეტად დააიმე-

და. გაიგო ისიც, რომ საცხოვრებელი სახლი სანაპიროზე შენდებოდა.

იმავე დღეს ცოლ-ქმარმა მშენებლობა მოინახულეს. სანახევროდ ამოღებულ საძირკველში ბულდოზერი მუშაობდა. მანქანები მიწას ეზიდებოდნენ. დურგლები ნაკვეთს მესერს ავლებდნენ.

— სწრაფი ტემპი აუღიათ, ალბათ სამაისოდ დამთავრდება სახლის აშენება! — თქვა ირმამ.

— მეც ასე მგონია! — მიუგო ელიზბარმა, თუმცა კარგად იცოდა, რომ ერთ წელიწადში სახლი არ აშენდებოდა, მაგრამ ისეთი დიდი სურვილი ჰქონდა ეს ასე ყოფილიყო, რომ ცოლის ნათქვამი იმანაც ირწმუნა.

ამის შემდეგ ცოლ-ქმარი ხშირად დადიოდნენ სანაპიროზე. გაიცნეს მშენებლობის საქმეთა მწარმოებელი, რომელმაც საცხოვრებელი სახლის პროექტიდან ერთოთახიანი ბინა აჩვენა, მერე კი, როცა სახლის საძირკველი ამოიყვანეს, ბინის კედლებიც უჩვენა.

ცოლ-ქმარს წარამარა ეუხერხულებოდათ მშენებლობაზე მისვლა, რას იტყვიან მუშები, ამ კაი ადამიანებს მეტი საქმე არ აქვთ, რომ მოდიან და შემოგვცქერიანო. ამიტომ ხანდახან მეორე სანაპიროდან გასცქეროდნენ მიწიდან ამოზრდილ ვებერთელა ნაგებობას.

— წამოიძახა ირმამ.

პირველი სართული რომ მოთავდა, ცოლ-ქმარი მშენებლობაზე მივიდნენ. საღამო ხანი იყო. აღარავინ მუშაობდა. მოხუცმა დარაჯმა იმათი მისვლის მიზეზი რომ გაიგო, უთხრა, დიდი სიამოვნებით, შვილებო, დაათვალიერეთ, სხვებიც მოდიან ბინების სანახავადო.

— უიმე, დედა, რა პატარა ოთახია! — ერთოთახიან ბინაში შესვლისთანავე წამოიძახა ირმამ.

— ოთახი პატარაა ,მაგრამ სათავსოებს არა უშავს რა. აი, აქ, ალბათ, აბაზანა იქნება, აქ კი სამზარეულო. მარტო ის რად ღირს, გიას აბაზანაში რომ ვაბანავებთ. მერე როგორ უყვარს წყალში ჭყუმპალაობა!

— ნეტავი მესამე ან მეოთხე სართულზე მაინც მოგვცენ! აქ თავი ისევ იმ სარდაფში მგონია, ავჭალის გზატკეცილზე რომ ვცხოვრობდით, ფანჯრიდანაც არაფერი ჩანს. მაღლა სართულიდან კი რა მშვენიერი გადასახედი გვექნება, მტკვრიდანაც მაცოცხლებელი ნიავი დაუბერავს! — და ირმა ფანჯრის კედელს ნიდაყვით დაეყრდნო და ისე წარმოსთქვა:

—„წარვედ წყლისა პირს სევდიანი, ფიქრთ გასართველად!..“

თუმცა ბინის მომლოდინე ცოლ-ქმარს ეჩვენებოდათ, რომ მშენებლობა ძალიან გაჭიანურდა, მაგრამ მოკლე დროში სანაპიროზე მშვენიერი რვასართულიანი სახლი წამოიჭიმა.

სახლს დიდძალი ხალხი მოაწყდა, ვინ ბინებს ათვალიერებდა, ვინ ეზოში საგარაჟე ადგილს არჩევდა. ბევრი კი განზე გამდგარიყო და აივნებს შესცქეროდა, ვით პატარა შაქარა, წითელლოყება ვაშლს რომ შენატროდა, ოჰ, ნეტავ ერთი მაინც მოწყდესო.

ირმა და ელიზბარი ახლა აღარავის ერიდებოდნენ და სანაპიროზე სიარულს მოუხშირეს. შედიოდნენ დერეფნებში, ფრთხილად ათვალიერებდნენ სათავსოებს, ეშინოდათ შეუმშრალი საღებავებით ტანსაცმელი არ მოგვესვაროსო. ოროთახიან და სამოთახიან ბინებსაც ნახულობდნენ. განსაკუთრებით ირმას იქით მიუწევდა გული, მეოთხე სართულზე, ოროთახიანი ბინა რომ ნახეს, აივანზეც გავიდნენ. აქედან მშვენივრად ჩანდა ქვის საწოლში მოდუდუნე მტკვარი, აქეთ-იქით გადაჭიმული სანაპიროთი, სპორტის სასახლე, მზის სხივებით გაბრწყინებული უნივერსიტეტის გუმბათი, ზემო ვერა, მთაწმინდა...

— აი, აქ რომ გვაცხოვრა, მაშინ ვიქნებით ბედნიერები! — თქვა ირმამ და ბინის ყველა კუთხე-კუნჭული კიდევ ერთხელ შემოირბინა.

— ჯერჯერობით ჩვენთვის ერთოთახიანი ბინაც მისწრებაა. ფიქრი არ არის, მერე გავფართოვდებით, — ისე თქვა ელიზბარმა, თითქოს ბინის გასაღები ჯიბეში სდებოდეს.

უცებ გულში გაჰკრა, ვინ იცის, იქნებ ერთოთახიან ბინასაც არ მაძლევენო.

საცა სამართალია, რატომ არ უნდა მისცენ?! ვილამ არ იცის, რომ უბინაოა და ქირით ცხოვრობს? სხვებს კი თავშესაფარი აქვთ, ცისქვეშ არავინ ცხოვრობს! ჰოდა, ისე რა ღმერთი გაუწყრებათ, თუ ახალ ბინას არა, ერთი პატარა, გამონაცვალი ოთახი მაინც არ გაიმეტონ.

ასე კი მსჯელობდა, მაგრამ გულის სიღრმეში შიშის ქარიც უქროდა! ვინ იცის რა ხდება? ხომ ამბობენ, სახლკარიანი და უსახლკარო, განურჩევლად, ყველა ბინას თხოულობს და, ვაითუ, არც არაფერი მარგუნონო.

ეს ეჭვი იმან უფრო გაუმწვავა, რომ საამქროს გამგემ, ერთხელ კიდევ როცა შეახსენა, ქირით ვცხოვრობ, გაჭირვებული ვარ, უბინაოდ არ დამტოვოთო, ასეთი პასუხით გამოისტუმრა, მე ჩემსას შევეცდები, ვნახოთ, რა გამოვაო. ეს კიდევ არაფერი, საქმე ის იყო, რომ გამგე გულცივად, უხალისოდ ელაპარაკებოდა, განზე იხედებოდა, თვალს არიდებდა, თითქოს რაღაც არასასიამოვნო ამბავი იცის და ვერ გადაუწყვეტია, უთხრას თუ არაო.

წლის მიწურულს საწარმოო თათბირზე, რომელსაც ინჟინერი, ბუღალტერი, საწყობის გამგე და ბრიგადირი ესწრებოდნენ, საამქროს გამგემ ამაყად განაცხადა:

— მიმდინარე თვის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა, მაგრამ ეს არ კმარა! ჩვენ უფრო მეტის გაკეთება შეგვიძლია! ესაა ბიჭობა!

ინჟინერი დაეთანხმა, გასული თვის გეგმას აღარაფერი ეშველება, მაგრამ მომდევნო თვისას ორმაგად შევასრულებთ, წუნსაც შევამცირებთო. სიტყვასიტყვით ეს გაიმეორა ბუღალტერმაც.

საამქროს გამგემ, საბოლოო სიტყვაში მოიწონა ინჟინრის გამოსვლა და თავის მხრივ დაუმატა:

— ამხანაგებო, ერთი შეხედვით, თითქოს ჩვენი საამქრო უმნიშვნელო ნაწარმს უშვებს. მართლაც, სურსათის ბადეები და საჰაერო ბურთები თითქოს დიდი არაფერია, მაგრამ ... აბა ღრმად ჩავუფიქრდეთ საკითხის არსს! სურსათის ბადე! იცით თუ არა, რომ ათასობით დიასახლისი, გიყვარდეს, ზოგიერთი ცოლისაგან დაბეჩავებული მამაკაციც, ჩვენი ბადით ეზიდება სურსათ-სანოვაგეს, ხილს, ბოსტნეულს... ესაა ბიჭობა! მაგალითად, საჰაერო ბურთების მნიშვნელობა უფრო შორს მიდის. ამხანაგებო, ფერადი საჰაერო ბურთებით ჩვენ შნოსა და ლაზათს ვმატებთ სადღესასწაულო კოლონებს. სიხარულს ვანიჭებთ, ვახალისებთ ჩვენი ცხოვრების ყვავილებს — ბავშვებს. ასევე აღვაფრთოვანებთ მოზრდილებს. მაგალითად, ჩემი თვალით მინახავს, საპირველმაისო დემონსტრაციაზე მშრომელებს როგორ უკავიათ ხოლმე თოკზე ახუნძლული ფერად-ფერადი საჰაერო ბურთები! ესაა ბიჭობა!

— მეც მინდა ორიოდე სიტყვის თქმა! — განაცხადა ელიზბარმა და საამქროს გამგეს მიმართა: — პატივცემულო კოტე. ეს-ეს არის ბრძანეთ, მიმდინარე თვეს საამქრომ უფრო მეტი ნაწარმი გამოუშვა, ვიდრე წინა თვეშიო.

— ყოჩაღ, გაგიგია! — მოუწონა საამქროს გამგემ და კეფიდან მელოტ თავზე გადავარცხნილ თმაზე ხელი გადაისვა.

— არა, ეს ასე არ არის, პატივცემულო კოტე!

— მაშ, როგორ არის, მაგალითად?! — გაიოცა საამქროს გამგემ, — ჩვენ აქ ზერელედ კი არ ვლაპარაკობთ! ეს ციფრები ბუღალტერმა დაიანგარიშა, დააზუსტა. ესაა ბიჭობაა! — უკანასკნელი ორი სიტყვით საამქროს გამგემ ბუღალტერს მიმართა, თავი ნიდაყვდაყრდნობილ ხელზე რომ დაებჯინა და თვლემდა.

— არ უნდა ლაპარაკი! — დაუდასტურა ბუღალტერმა და დამძიმებულ თავს მეორე ხელიც მიაშველა. —

— მაგალითად, შენ რა მოგეჩვენა?

— შეეკითხა საამქროს გამგე ელიზბარს.

— პატივცემულო კოტე, საქმე იმაშია, რომ ჩვენთან არ ხდება ნაწარმის ზუსტი აღრიცხვა. — მიუგო ელიზბარმა.

— როგორ თუ არ ხდება?! მაგალითად, ვილას ადანაშაულებ, რატომ არ ახდენ აღრიცხვას?

— როგორ მოვახდინო, როცა ხელოსნები ნაწარმს მალულად საწყობის გამგეს აბარებენ?!

— ერიჰა, — თითქოს რაღაც მნიშვნელოვან ამბავს მიაკვლიაო, თავი ჩაიქნია საამქროს გამგემ და უცებ ხმას აუწია. — მაგალითად, რატომ აძლევ ამის უფლებას?

— რა ვქნა, არ მემორჩილებიან! ეს ამბავი ინჟინერსაც მოვახსენე!

— ვის მოახსენე, ვისა? — დაფეთებული წამოვარდა ინჟინერი, რომელსაც უცებ გულში გაჰკრა, ეტყობა, ამ ღლაპმა შეიტყო, რომ განათლებით ინჟინერი კი არა, აგრონომი ვარ და ჩემს ადგილს უმიზნებსო. ამიტომ მთელი ხმით აყვირდა. — ცრუობს, ცრუობს! ცხელცხელი ტყუილი არ დაახეთქა! ეს ცილისწამებაა! ამაზე პასუხს ვაგებინებ, დიახ!

— ვერაფერი გამიგია, რას ვამბობ ცილისმწამებლურს, ან რაზე მაგებინებთ პასუხს, — მხრებს იჩეჩდა ელიზბარი.

— ტყუილის ლაპარაკისა და ინტრიგისათვის! დიახ! — არ ცხრებოდა ინჟინერი.

— მოითმინეთ, მოითმინეთ! — ხელის აწევით ორივეს მიმართა საამქროს გამგემ. — მაგალითად, უსაფუძვლოდ რატომ დავობთ? როგორ შეიძლება ზერელე, დაუსაბუთებელი ლაპარაკი. ამ საკითხს მე თვითონ შევისწავლი! ესაა ბიჭობა! მაგალითად, ამ ზერელე ლაპარაკს, სჯობია გადავიდეთ შემდეგ საკითხზე! — და ინჟინერს მიუბრუნდა. — აბა, ბრძანე რა ნოვატორული წინადადება გაქვს?

ინჟინერი წამოდგა, საქაღალდე გაშალა და ფურცლები ამოალაგა.

— ამხანაგებო! — დაიწყო მან ცოტა არ იყოს ხმამაღლა, ეტყობა, ამას თვითონვე მიხვდა, ამიტომ უმალ ხმას დაუწია. — დიახ, ჩემი ნოვატორული წინადადება უკვე გავაცანი სამმართველოში! მინდა გაცნობოთ, რომ ყველამ ერთხმად მომიწონა. დიახ, ამხანაგებო, ახლა კი ნება მიბოძეთ თქვენ გაგაცნოთ! აი, ესეც! — და ინჟინერმა, ორი საჰაერო ბურთის ნახატი უჩვენა. ერთს ფერადი ყვავილები ეხატა, მეორეს — რაკეტა. — ახსნა-განმარტებას არ მოვყვები, რადგან ყველაფერი ნათლად ჩანს. საჰაერო ბურთებს ყვავილები და რაკეტა უფრო მიმზიდველს გახდის, მყიდველს თვალს მოსტაცებს, ბავშვებს ცნობისმოყვარეობას გაუზრდის! ხომ მართალს ვამბობ, ამხანაგებო, დიახ!

— ეს საუკუნე რაკეტების საუკუნეა. ჩვენც მოვალენი ვართ გამოვეხმაუროთ ცხოვრებას! ესაა ბიჭობა! — თქვა გამგემ.

— დიახ, ბატონო კოტე, სწორედ ასე ბრძანეს ხელმძღვანელმა ამხანაგებმაც, — თქვა ინჟინერმა. საჰაერო ბურთებიც ხომ რაკეტების მსგავსად კოსმოსისაკენ მიისწრაფვიან. მართალია, ჯერჯერობით იქამდე ვერ აღწევენ, მაგრამ წარმოების ტექნიკა წინ მიდის; დადგება დრო და კოსმოსს ჩვენც მივაღწევთ.

— ის კი არადა, მეც მაქვს ნოვატორული წინადადება! — თითქოს წაიმღერა საამქროს გამგემ და მაგიდაზე თითები აათამაშა.

ბუღალტერმა უმალ გამგისაკენ მიიწია, ფრიად საინტერესოაო, წაილაპარაკა.

— რასაკვირველია! — დაუდასტურა ინჟინერმა. — კონსტანტინ დავიდოვიჩი ხომ არაერთი ნოვატორული წინადადების ავტორია.

— ესაა ბიჭობა! — განაგრძო გამგემ, გინდა დაიჯერეთ, გინდა არა, ეს იდეა უცებ დამებადა.

—ყველა დიდი იდეა უცებ იბადება! — თქვა ინჟინერმა.

გამგემ მოწონების ნიშნად თავი ჩაიქნია და განაგრძო:

— მაგალითად, ხომ არ ემჯობინება, რომ საჰაერო ბურთები გავახმოვანოთ!

— ვაჰ, შენი ჭირიმე, ეს რა კარგი იდეა მოგსვლია! აი, ამას ჰქვია შემოქმედებითი ნიჭი! დიახ! — შესძახა ინჟინერმა.

— მაშ არადა, ასეთი ბრძნული აზრი ჩვენ დაგვებადებოდა! — ჩაურთო ბუღალტერმა.

— პრაქტიკულად ეს ასე გაკეთდება, არ ცხრებოდა საამქროს გამგე,— საჰაერო ბურთს ყელთან ლერწმის ღეროს მოვარგებთ. ბურთიდან ჰაერის ნელ-ნელა გამოშვებით ლერწამი აჭყვიტინდება, ესე იგი, მივიღებთ მუსიკალურ ბგერებს. ჯერ ერთი, ამით ჩვენ ახალგაზრდებს პატარაობიდანვე მუსიკალურ ნიჭს განუვითარებთ. ამასთან ეს კარგი საშუალება იქნება მტირალა ბავშვების გასაჩუმებლად. აბა ახლა წარმოიდგინეთ: პირველი მაისია, ზეიმობს ბუნება, ზეიმობს ადამიანი! რუსთაველზე დემონსტრანტთა მწკრივები მიიმღერიან. და აი, გამოჩნდა ბავშვთა თვალუწვდენელი კოლონა! ოქტომბრელებს ხელში ფერადი საჰაერო ბურთები უჭირავთ. ისმის ძლიერი ჭყვიტინი, უფრო სწორად, მუსიკალური ბგერების ერთობლივი გუგუნი. რომელი სასულე ორკესტრის საზეიმო სვლა შეედრება ამას?! ჯერ იქნებ ადრეცაა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ, ალბათ. მოვა დრო, როცა საჰაერო ბურთების ორკესტრი სამუდამოდ დაასამარებს სასულე ორკესტრს! ესაა ბიჭობა!

ელიზბარს გულში ეღიმებოდა, ან მე ვერ ვგებულობ ამ ადამიანების ნათქვამს, ან სულელები არიან და თვითონაც არ იციან, რას ლაპარაკობენო.

— ესაა ბიჭობა! — გაიძახოდა გამგე. — გადაწყდა, მგონი, სადავო არაფერია. მომავალი თვიდან წარმოებაში დაინერგება ორივე ნოვატორული წინადადება. გამომგონებლებს მიეცემათ ფულადი პრემია!

თათბირის დამთავრების შემდეგ კაბინეტში საამქროს გამგე და ინჟინერი დარჩნენ.

— სანდო არ არის! — თქვა ინჟინერმა.

— რატომ? — იკითხა გამგემ.

— ცხვირს იქ ყოფს, საცა არ ეკითხება! დიახ!

— ჯერ ხამია, გამოუცდელი, როცა გათვითცნობიერდება, კბილს კბილზე დააჭერს!

— არა მგონია, ეგ ისეთი ბრიყვია, არც მერე მოვა ჭკუაზე. სჯობია ამთავითვე რაღაც ვიღონოთ! დიახ!

— მაგალითად, ასე უცებ ცოცხს ვერ შევაბამთ!

— ყოველ შემთხვევაში, უკვე საჭიროა ნიადაგის მომზადება! დიახ!

საამქროს გამგემ შეისწავლა თუ არა აღრიცხვის საკითხი, ელიზბარისათვის გაუგებარი დარჩა. ამაზე არც ბრძანება დაწერილა, აღარც თათბირზე უმსჯელიათ. ეს კია, რომ ხელოსნები აღურიცხველად აღარ აბარებდნენ ნაწარმს საწყობში.

თვის ბოლოს ელიზბარის დაჯამებული საჰაერო ბურთების რაოდენობა ათიათასით, ხოლო სასურსათო ბადეები ორი ათასით მეტი გამოვიდა, ვიდრე გეგმის შესრულებაში იყო ნაჩვენები.

ელიზბარს ვერ გადაეწყვიტა, მოეხსენებია თუ არა ამის შესახებ საამქროს გამგისათვის.

მომდევნო თვესაც ყურადღებით ჩაატარა აღრიცხვა... ყოველდღე ზუსტად ჰკრეფდა რიცხვებს, აჯამებდა. ამჯერადაც იგივე სურათი განმეორდა.

ციფრები ხელმეორედ შეაჯამა, ყველაფერი დააზუსტა და როცა ღრმად დარწმუნდა აღრიცხვის სისწორეში, გამგესათან შევიდა.

— მაგალითად, რაშია საქმე? — კარებშივე შეეკითხა საამქროს გამგე.

ელიზბარმაც უთხრა, რაშიც იყო საქმე.

— ჰმ! — ხმადაბლა თქვა გამგემ, მცირეხანს თვალი ელიზბარს გაუშტერა და უცებ გაიღიმა. — ყოჩაღ, ზუსტად აღგირიცხავს! მაგრამ, მაგალითად, მაინც მინდა ერთი რამ გირჩიო, რაც არ უნდა ბევრი იცოდე, ცოტა ილაპარაკე, ამით არასოდეს არაფერს წააგებ. ესაა ბიჭობა!

— გასაგებია.

— რაკიღა ასე გასაგებად ვლაპარაკობ, თავისუფალი ხარ, წადი, კბილს კბილი დააჭირე! იცოდე, თუ ჩემს სიტყვაზე ივლი, მოიგებ! შენ აქ, ძმაო, ჩემი მოყვანილი ხარ, ამიტომაც მხარს გიჭერ, ანგარიშს გიწევ. შენს განცხადებასაც გავეცანი. ბინის თაობაზე რომ დაგიწერია. ძნელია უბინაობა. რა საშინელებაა ყოველთვიურად ქირის გადახდა. მე ეს კარგად ვიცი, საკუთარ კისერზე გამომიცდია. მეც და სხვებიც დაგეხმარებით. ერთოთახიან ბინას მაინც მოგცემთ, მეტი რა გინდა?! მხოლოდ კარგად იმუშავე, დანარჩენი ჩემზე იყოს. ესაა ბიჭობა!

ელიზბარმა დიდი მადლობა გადაუხადა საამქროს გამგეს თანაგრძნობისათვის და სიტყვა მისცა, ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც თქვენ ბრძანებთო.

ირმას დეკრეტული შვებულება ოცი დღით გაუგრძელეს, რადგან მუცლის ქვედა არეს ტკივებდა. მერე ორი თვით უხელფასო შვებულება აიღო. დღედაღამ შვილს დასტრიალებდა, ძუძუს აწოვებდა, აბანავებდა, აძინებდა, თეთრეულს ურეცხავდა.

დღისით მარგალიტა ეხმარებოდა ბავშვის მოვლა-პატრონობაში. ღამით კი ელიზბარი უდგა მხარში. ბავშვი მტირალა იყო. თუ ატირდებოდა, სანამ ძუძუს არ მოაწოვებდნენ, არ ჩუმდებოდა.

ალბათ რაიმე აწუხებს, თორემ ჯანმრთელი ბავშვი ამდენს არ უნდა ტიროდესო, ეუბნებოდნენ მეზობელი ქალები.

ცოლ-ქმარმა რამდენჯერმე წაიყვანეს გია ბავშვთა კონსულტაციაში, პროფესორსაც გაასინჯეს, მაგრამ ყველა ერთი და იგივეს ეუბნებოდა — ბავშვი ჯანმრთელია. ეტყობა დედის ძუძუ არ ყოფნის, ამიტომ ცოტა დამატებითი საკვები მიეცითო. სხვათაშორის, სანებლიძემაც ასე ურჩია, თან დაუმატა, რაც უფრო ადრე გადაიყვან ხელოვნურ კვებაზე, შენთვისაც უმჯობესი იქნებაო.

— რა მხრივ? — შეეკითხა ირმა.

— ბუნების ნაჩუქარ სილამაზეს მოვლა უნდა. ძუძუს წოვება ქალის გარეგნობას ვნებს. ტანს უუშნოებს, სახეს უმახინჯებს.

— რას ამბობ, ამის გულისათვის ბავშვს საზრდოს როგორ მოვაკლებ!

ასე კი თქვა ირმამ, მაგრამ იმავე საღამოს დიდხანს აკვირდებოდა თავის თავს სარკეში. მართლაც, სახე თითქოს ჩამოგრძელებოდა, ცხვირი ოდნავ წაწვეტებოდა. თვალის გუგებზე ნაცრისფერი გადაჰკვროდა, მოთაფლისფერო გარსზე კი — სიწითლე, ქუთუთოები დანაოჭებოდა.

სარკის წინ შეტრიალ-შემოტრიალდა, თავის ტანს შეავლო თვალი. ისევ მოხდენილი იყო. წელი მოქნილი და წვრილი ჰქონდა, მაგრამ მუცელი დამჩნეოდა. ლაწვები ჩაღუნოდა, გაშლილი მხრები ოდნავ მოხროდა, რძით სავსე ძუძუები დაბლა დასწეოდა.

ოჰ, როგორ უხაროდა, როცა ადრე თავის უნაკლო სილამაზეს სარკეში უჭვრეტდა! ბედნიერებით ევსებოდა გული, ქვეყანაზე აღარ სურდა სხვა რამ სიხარული. ნეტავი ასე უცებ როგორ შეეცვალა სახე. მუცელი რაღამ დაამჩნია. ნუთუ სიახალგაზრდავეშივე მოშვებულ, მოდუნებულ დედაკაცად უნდა იქცეს?

ყოველთვის, როგორც კი შინ მარტო დარჩებოდა, მაშინვე სარკეს ეცემოდა და თავის გარეგნობას აკვირდებოდა. იქნებ ასეც არ იყო, მაგრამ რაკიღა ერთი შეაგონეს, ეჩვენებოდა, რომ დღითიდღე იცვლებოდა, მის სილამაზეს პუწი ეკარგებოდა.

ერთხელ, ირმა სარკის წინ რომ ტრიალებდა, მარგალიტამ შეასწრო თვალი:

— რა დაღონებული შესცქერი, შვილო, შენს თავს?

— რა ვიცი, აბა, ლოგინობის შემდეგ თითქოს ისეთი აღარ ვარ, როგორიც ვიყავი!

— რატომ, ქაა! პირიქით, ლოგინობის შემდეგ ქალი უფრო ლამაზდება, მშვენდება!

— აბა ერთი ადრე გენახე, მაშინ ასე როდიდა იტყოდი!

— ურიგო არც ახლა ხარ! მთელი ჩვენი მეზობლები გაგიჟებული არიან, ეს რა ლამაზი მდგმური გყავს, მაგის ბადალი გოგო თბილისში არ დადისო!

— კარგი რა, დეიდა მარგალიტა, განა არ ვიცი, ამას ჩემი გულის მოსაგებად ამბობ.

— არა, გენაცვა, სიმართლეს გეუბნები. ან რა ჩემი თქმა გინდა, განა თვითონვე არ გრძნობ, რომ ლამაზი ხარ! ვერ ხედავ, სანებლიძე შენთვის ლამის ჰკუაზე შეიშალოს!

— რას ამბობ, დეიდა მარგალიტა!— უნდა ეთქვა, ჩვენ ხომ ნათესავები ვართო, მაგრამ უმალ გაიფიქრა, მოხუცი ხომ მე და სანებლიძის ურთიერთობას მიხვედრილიაო, და ესღა თქვა, ასეთი რამ გათხოვილი ქალისათვის ცოდვააო.

— ცოდვა, შვილო, ეგ კი არა, ის არის, რომ ხელმოკლედ ცხოვრობ, შვილს ვაჭირვებაში ზრდი! რა ბედენაა ასეთი ცხოვრება?! ღარიბმა ადამიანმა რომ არ იცოცხლოს, ის ურჩევნია!

ირმამ არაფერი თქვა.

მარგალიტამ, სახეზე რომ რაღაც ფარული ფიქრისა და ზრახვის ჩრდილი არ სცილდებოდა, ირმას დუმილი თანხმობად ჩასთვალა, ამიტომ უფრო გაბედულად ალაპარაკდა:

— ადამიანის სიცოცხლე ხანმოკლეა, ახალგაზრდობა კიდევ უფრო ხანმოკლე. ოდესღაც მეც ვიყავი ლამაზი, კოპწია, სანდომიანი, საყვარელი. ახლა კი ვიღას რად ვუნდივარ! ყველამ ზურგი შემაქცია, აღარავინ მკითხულობს, აღარავის ვახსოვარ. ალბათ, [illegible] არ იციან, რომ ცოცხალი ვარ! გაირბენენ წლები, ახალგაზრდობა შენც ჩიტივით გაგიფრინდება, დარჩება მხოლოდ ბებრული ძვლები და გამოუყენებელ შესაძლებლობათა სინანული.

იმ დღეს ელიზბარი მარტო წავიდა სანაპიროზე. სამქროში ბინის განაწილების შესახებ ვერაფერს გებულობდა. სახლის სანახავად მოსულმა მოქალაქეებმა, ბინის მიღებას რომ ელოდნენ, ყველაფერი დაწვრილებით იცოდნენ.

ამჯერად სახლის წინ ჩვეულებრივზე უფრო მეტ ხალხს მოეყარა თავი. მეორე სადარბაზოსთან, სადაც ერთოთახიანი ბინები იყო, ორი სატვირთო მანქანა იდგა. ერთი ავეჯის ძირას მიეყენებიათ. მეორე სართულიდან მუშები აშლილ ტახტებსა და მონგრეულ ბათქაშს ჰყრიდნენ ზედ.

მეორე მანქანაზე კი, აბაზანა რომ შეედგათ, აყრილ კაფელს უდებდნენ.

— ჯერ არ აუშენებიათ და უკვე ანგრევენ?! — შეეკითხა ელიზბარი იქვე გაჩერებულ სამუშაოთა მწარმოებელს.

— რას იზამ, ძმაო, კედლებს ანგრევენ, თვითონ კი შენდებიან! ვერ ხედავ, ერთოთახიან ბინებს იერთებენ!

— ვინ?

— ახალი მობინადრენი!

— ჯერ ხომ ბინები არ გაუნაწილებიათ?

— ერიპა, შენ, გეტყობა, ჭურში ზიხარ, საძირკველიც არ იყო ჩაყრილი, ბინები რომ განაწილდა, ახლა კი ფორმალურად ოქმებს დასწერენ, ორდერებს დაარიგებენ!

— კი მაგრამ ერთოთახიან ბინებს როგორღა იერთებენ?!

— რას გაიგებ! თავიც რომ იტეხო, უკანონოს ვერაფერს უპოვი! გადასცვალეს, გადმოსცვალეს, ათასნაირი კომბინაცია გააკეთეს!

— მერე რატომ აძლევენ ხელმძღვანელები ამის ნებას?!

— რა ვიცი, ძმაო, წადი და იმათ ჰკითხე!

ელიზბარმაც იკითხა და ეს გაიგო: თურმე ზოგის დედას გარანტიით ჩაებარებინა ბინა, სამაგიეროდ ფართი კი შვილის გვერდით მიეღო. მთავარი სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილის სიდედრს უკვე მოეხერხებია ბინის გადაცვლა და სიძესთან სახლდებოდა. მესამე სართულზე რძალ-დედამთილი აპირებდნენ ერთად ცხოვრებას. მეხუთე სართულზე საჰაერო ბურთების საამქროს გამგის მშობლები მძახლებთან აერთიანებდნენ საცხოვრებელ ფართს. მეორე სართულზე კი უპატრონო პაპიდას მარჩენალი ძმისწულის გვერდით მიეღო ბინა.

ვთქვათ ყველაფერი ასეა, მაშ რატომღა გატიხრეს ოთახები?! ამ კაი ადამიანებს განა არ შეეძლოთ ადრევე დაეგოთ რუმინული პარკეტი, ჩეხური კაფელით მოეპირკეთებინათ სათავსოები, კედლებზე გაეკრათ ჩინური შპალერი?! ტყუილუბრალოდ რატომ გასწიეს ეს ამოდენა შრომა და ხარჯი?!

როცა ელიზბარმა უკმაყოფილება გამოსთქვა, რატომ უკანონოდ გაანაწილეთ ბინები და მე არაფერი მარგუნეთო, საამქროს გამგემ უთხრა:

— გირჩევ გაჩუმდე!

— როგორ გავჩუმდე, როცა ეს უსამართლობაა! ვისაც ბინა ჰქონდა, ისევ იმას მიეცით. მე კი უბინაო ვარ და გამონაცვალი ოთახიც არ მაღირსეთ!

— რა ვქნა, ხომ ნახე, რომ ჩვენი საამქროს კოლექტივს მხოლოდ ერთი ბინა გამოუყვეს. მთელი ჩემი ახალგაზრდობა აქ მუშაობას შევალიე. მამაჩემიც ოცი წელი ჩვენს სისტემაში იღწვოდა, რვა სული ვცხოვრობდით სამ ოთახად გადაკეთებულ ოროთახიან ბინაში. სანამ შვილები პატარები მყავდა, კარგად იყო თუ ავად, ვეტეოდით. ახლა კი ბავშვები წამოიზარდნენ, საკუთარი კუთხეები მოინდომეს. ერთი სიტყვით, დიდ სივიწროვეს განვიცდით. ღმერთმა იცის, არც განცხადება დამიწერია, არც ვინმესთვის მიმიმართავს, თვითონ ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჩვენი მძიმე მდგომარეობა და მამაჩემს სამოთახიანი ბინა მისცა. ჩემი სიმამრი კი მარტოდმარტო, ყველასაგან მოწყვეტილი, განცალკევებული ცხოვრობდა ავლაბარში. თავის მძახლების გვერდით მოინდომა ყოფნა. ჩემმა მშობლებმაც რა ჰქნან, მოხუცდნენ, უჭირთ დილიდან-საღამომდე ოთხკედელშუა მარტო ჯდომა. სხვა რომ არაფერი, საღამოობით კარტს მაინც ითამაშებენ, ლოტოს გაშლიან, ნარდს გააგორებენ, ესეც რამეა! მოხუცებს პატივი უნდა ვცეთ, დავაფასოთ, ხელი შევუწყოთ. ჩვენც მოვხუცდებით, ჩვენც გავხდებით იმათი ხნისა! ესაა ბიჭობა!

— ბატონო კოტე, რა იქნებოდა გამონაცვალი ბინა მაინც გაგემეტებინათ?

— რა მოგვეცა, როცა გამონაცვალი ბინა არავინ არ ჩაგვაბარა!

—მერე რატომ დაუშვით ასეთი რამ!? ზოგმა თურმე ძველ ბინაში დედა დატოვა, ზოგმა სიდედრი, ზოგმა ცოლისდა! ეს ღორობაა და მეტი არაფერი!

— მაგალითად, იცი რას გირჩევ, რამდენიც არ უნდა ილაპარაკო, ქვეყანაც რომ შესძრა, მორჩა, ველარაფერს გახდები! ბინები განაწილდა, ორდერები გამოიწერა, მობინადრეები უკვე შესახლდნენ. ამიტომ ზედმეტი ლაპარაკით მხოლოდ შენს საქმეს ავნებ და ინტრიგანად მოგნათლავენ. ორ-სამ თვეში სანაპიროზე მეორე საცხოვრებელი სახლის მშენებლობას ვიწყებთ. ისე აშენდება, ვერც გაიგებ. აი, მაშინ კი იმედი იქონიე, როგორც ჩემს საკუთარ ძმას, ისე დაგეხმარები!

— ვაითუ, მაშინაც... — წაილაპარაკა საამქროს გამგის თანაგრძნობით გულაჩუყებულმა ელიზბარმა და, შიშით, არ ავტირდეო, სიტყვა ველარ დაამთავრა.

— მაგალითად, თუ ზედმეტს არ

ილაპარაკებ, კბილს კბილზე დააჭერ, მოიგებ... ხომ იცი, რა სწერია სახარებაში — მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენიო? ესაა ბიჭობა!

— გატყუებენ, შე საცოდავო!—თქვა ირმამ, როცა ელიზბარმა უამბო, თუ რა პასუხით გამოისტუმრა სამქროს გამგემ.

— რატომ უნდა მომატყუონ! თუ არ უნდოდათ მოცემა, მეტყვიან არ მოგცემთო, მორჩა და გათავდა!

— თუ აქამდე გატყუებდნენ, ამას იქით ვეღარ შემოგბედავენ? ეტყობა, გამშვიდებენ, თავიდან გიცილებენ!

— მაშ რა ვქნა, რა გზას დავადგე? ხმას ავიმაღლებ, ვიჩივლებ, მაგრამ რომელ ერთს ვუჩივლო?! ვაითუ, ამით საქმეს ვავნო, ინტრიგანად გამომიყვანონ, სამსახურიდან გამომაძევონ!

— ამას არც მე გირჩევ, ჩივილით ვერაფერს გახდები. სჯობია, უფრო მეტი ფხა და მოქნილობა გამოიჩინო, უფროსებს პატივი სცე, დაუჯერო, დაემორჩილო!

მარგალიტა საკუთარი შვილიშვილივით უვლიდა პატარა ბიჭს. ერთთავად აკვანს უჯდა. ბავშვს ართობდა, ნანას უმღეროდა. ღრმა მოხუცებულობამდე ხომ ისე მიაღწია, არ განუცდია არც შვილის, არც შვილიშვილის სიყვარული.

მწუხრის ჟამს, როცა კატის მზრუნველობით ირთობდა თავს, მის არსებაში უცებ იფეთქა ძლიერმა თანდაყოლილმა დედობრივმა გრძნობამ. რა ვუყოთ, რომ ბავშვი მისი სისხლი და ხორცი არ იყო. სამაგიეროდ, ცეროდენა ბიჭს უახლოეს ადამიანად მიაჩნდა.. ულიმოდა, შესციცინებდა, არტახიდან ამოყოფილი ხელებით ეტანებოდა...

ერთ დროს ხომ ისიც ამ ბიჭუნასავით პატარა იყო, ასეთივე უჭკუო, გულუბრყვილო, უდარდელი! ვინ იცის, შემდგომში როგორ წარიმართება ბავშვის ბედი, რამდენ ტანჯვასა და გაჭირვებას ნახავს?

ირმა სამუშაოდ არ გადიოდა. ისევ უხელფასო შვებულების აღებას აპირებდა, მაგრამ მარგალიტა არ ეშვებოდა, რისა გეშინია, აქ არა ვარ, ბიჭუნას მე მოვუვლი, არაფერს მოვაკლებო.

ირმას თვითონვე მიუწევდა სამუშაოდ გული, უჭირდა დღედაღამ ოთხკედელშუა ჯდომა, მაგრამ მარგალიტას ამარა ბავშვის დატოვებაც ვერ გაებედა. იმიტომ კი არა, რომ მოხუცი ბავშვს ვერ შეუნახავდა, ან რაიმეს მოაკლებდა! მას მხოლოდ იმისი ეშინოდა, კატამ არაფერი ავნოს ბავშვსო, ელიზბარსაც მოსვენებას არ აძლევდა ეს ფიქრი.

ისინი ღამით ოთახის კარებს ღიას არ ტოვებდნენ, დღისით კი ერთი წუთითაც არ ანებებდნენ ბავშვს თავს.

მართალია, მარგალიტა ბოლო ხანებში ძველებურად აღარ ანებივრებდა კატას, აღარც საწოლზე წოლის ნებას აძლევდა, აღარც ბაფთებს აბამდა, რძითაც ნაკლებად უმასპინძლდებოდა. მაგრამ კუდბუთქა თითქოს ისტიბარს არ იტეხდა, ისევ ამაყად ეჭირა თავი.

კატა ახალ მობინადრეებში მოწინააღმდეგეებს ხედავდა, ამიტომ თვითონვე ერიდებოდა მათ, დერეფანში ნაკლებად გამოდიოდა. ოთახში კი ისევ მედიდურად დააბოტებდა, ან არადა, სამზარეულოს კუთხეში ჩასაფრებული თავვს ყარაულობდა. თუ წრუწუნას როგორმე თათებში მოიქცევდა, თითქოს მასზე იყრის ჯავრსაო, მატყლივით აპენტავებდა, თავს იატაკზე არტყმევინებდა, ბანჯგვლიანი თათით სცემდა და ტანჯვა-წვალებაში სულს ხდიდა.

ელიზბარს ჯერ ცოლის მალულად უნდოდა კატა ტომარაში ჩაესვა, პირი მოეკრა და მტკვარში გადაეგდო, მაგრამ ვერა და ვერ მოახერხა, რადგან მარგალიტა შინიდან გარეთ ფეხს არ ადგამდა.

კატა, თითქოს მიხვედრილია ელიზბა-

რის განზრახვასო, დაინახავდა თუ არა მას, ოთახში შეიჭრებოდა და მარგალიტას საწოლის ქვეშ ძვრებოდა, ბდღვრიალა თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა და შემზარავად კნაოდა.

ელიზბარმა ირმასაც გაანდო თავისი განზრახვა.

— ოჰ, მეც როგორ მძულს ეს საზიზღარი კატა! კარგი კი იქნება მაგის მტკვარში გადაგდება, მაგრამ მოხუცი უთუოდ ჩვენზე იეჭვიანებს, ვაითუ შეგვიძულოს და სახლი დაგვაცლევინოს— მიუგო ირმამ.

— ვერაფერსაც ვერ გაიგებს. თან ხომ ამჩნევ, თითქოს კატაზე იმანაც აიყარა გული. ამ დილით საწოლიდან ძირს გადმოისროლა და ჰიტლაყით გაუმასპინძლდა.

— მაშ, მოდი და სიტყვას გადავუკრავ. იქნებ თვითონვე უნდა კატის თავიდან მოცილება.

— მხოლოდ, ისე, სხვათაშორის, ჩამოუგდე სიტყვა, ნეტავი რას გიკეთებს ეს ბანჯგვლიანი კატა, რაც მაგის ჭამაზე ფული გეხარჯება, მისი საფასური რა მოაქვს-თქო?

იმავე საღამოს ირმამ მარგალიტას გასაგონად წაილაპარაკა:

— ოჰ, როგორ ვერ ვიტან ოჯახში კატას!

— ასე რად ამბობ, ქაა, კატა რას გიშავებს?! — გაიოცა მარგალიტამ.

—არაფერს, მაგრამ... — და სიტყვა არ დაამთავრა ირმამ.

— მაგრამ, რა, მითხარი, ნუ მერიდები?

— დეიდა მარგალიტა, ვიცი გეწყინება, მაგრამ არ შემიძლია სიმართლე არ გითხრა, ძალიან მეზიზღება თქვენი კატა. რა ვქნა, შვილის პატრონი ვარ, თურმე კატა ჩვილ ბავშვებს ათასნაირი ავადმყოფობით აავადებს.

— რახან ასეა, შვილო, ამას იქით კატას სამზარეულოშიც ავუკრძალავ ფეხის შედგმას.

მართლაც, ამ დღიდან კატა სამზარეულოში აღარ უნახავთ.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარი გაოცებული იყვნენ, ასე როგორ ჰყავს მოხუცს კატა დაგეშილი, რომ რასაც უბრძანებს, ყველაფერს უსრულებსო.

— კატა კი არა, ქაჯია! — ამბობდა ელიზბარი.

— ქაჯს რა უჭირს, სატანაა, სატანა! მისი პატრონი კი ნამდვილად კუდიანია, აბა, მაშ, როგორ ელაპარაკება კატას ადამიანური ენით, როგორ ატარებს თავის სიტყვაზე?!

მოხუცი და პატარა გია დღითიდღე ეჩვეოდნენ ერთმანეთს. ბავშვს მარგალიტასი უფრო ესმოდა, ვიდრე დედისა. ასე გასინჯეთ, მის მიწოდებულ რძესაც უფრო გემრიელად შეექცეოდა. თუ ატირდებოდა, საკმარისი იყო მოხუცს გადაერწია, რომ მაშინვე ტკბილ ძილს მისცემოდა.

ყოველივე ამან ირმას გაამბედვინა ბავშვისათვის მარგალიტა მიეჩინა, თვითონ კი სამსახურში გასულიყო.

მთავარმა ექიმმა ირმას გამოუცხადა, შენ ადგილზე სხვა დავნიშნეთ, შენ კი ქირურგიულ განყოფილებაში გადაგიყვანეთ, იქაც ექიმ სანებლიძესთან იმუშავებო.

ეს ამბავი ირმას ეწყინა და გაეხარდა კიდეც. ეწყინა, რადგან მტკიცედ გადაწყვიტა სანებლიძისაგან, რაც შეიძლება შორს დაეჭირა თავი. რაც ადრე მეპატიებოდა, ახლა დედა ვარ და აღარ მომეტევებაო. სიხარულის მიზეზი კი ის იყო, რომ სანებლიძე სრულ თავისუფლებას მისცემდა, საჭირო შემთხვევაში ბავშვთანაც გაუშვებდა.

ისინი დერეფანში შეხვდნენ ერთმანეთს.

სანებლიძემ ერთი კი გაუღიმა, თითქოს ვალის მოსახდელად, მერე ხელი ჩამოართვა, მიხარია, შენი დანახვაო, და უმალ გასცილდა.

სანებლიძე იმ დღეს რომელიღაც საავადმყოფოში იყო მიწვეული კონსულიუმზე და დილითვე წავიდა.

ასევე გულცივად შეხვდა მეორე დღესაც. უხალისოდ მიესალმა, თან თვალი აარიდა, მთელი დღე არ დალა-

პარაკებია. ისიც კი არ გააგებინა, რა ევალებოდა, რა უნდა ეკეთებინა!

საოპერაციოში სანებლიძე მხოლოდ ასისტენტსა და მეორე მედდას იშველიებდა, ირმას კი არავითარ დავალებას არ აძლევდა.

ასისტენტი ოცდახუთი წლის ტანმომცრო ქალიშვილი იყო, მკერდულა, კალოს მწყერივით ჩათქვირებული, უეშხო და ულამაზო. არა, ასე ირმას ეჩვენებოდა, თორემ თავის საკმარისი სილამაზე მასაც გააჩნდა. ჩაცმა-დახურვის გიჟი იყო. ცისმარე დღე კაბას იცვლიდა, ფერად-ფერად წინდებს იცვამდა, მის ფეხზე სადაურ ფეხსაცმელს არ ნახავდით. განსაკუთრებით თმის ვარცხნილობით გამოირჩეოდა. შავ, დაბუჩქულ თმას ხან ხელეურივით გამოინასკვავდა, ხან ბულულივით აიწოწოლებდა, ხან შუბლზე ჩამოიშლიდა, ხან ოფოფივით ყალყზე შეიყენებდა, ხან კიდევ... ეჰ, ვინ იცის, როგორღა არ გადაიწ-გადმოიწეწავდა.

მდიდრული ჩაცმა-დახურვა მის გარეგნობას ოდნავადაც არაფერს მატებდა, ეგ არის, თავის თავზე ისედაც დიდი წარმოდგენის მქონეს, უფრო მეტად ამაყებდა...

ირმას ეჩვენებოდა, რომ ასისტენტს მისი ლერწამი ტანი, სინარნარე და პირვარდობა შურით ავსებდა. მტრული თვალით უმზერდა. ვიწრო, შეკრულ შუბლზე ეწერა: ყველაფრით შენზე უკეთესი ვარ: განათლებით, ქცევით, ცხოვრებით, სიტყვა-პასუხით, თუ ჩაცმა-დახურვითო.

ირმას ყველაზე უფრო იმაზე შემოკვნესოდა გული, რომ სანებლიძე ასისტენტს ათამამებდა, შეუფერებელი ქათინაურებით ამკობდა. ყველაფრით ცდილობდა მისი მოწონება და სიყვარული გამოეხატა, თუმცა გუმანით ხვდებოდა ირმა, რომ ამ კაცის მთელი გულისყური მისკენ იყო მიპყრობილი. თან იმასაც გრძნობდა, რომ სანებლიძე თვალებში ვეღარ იყურებოდა, ცდილობდა რამენაირად თავისი დანაშაული გამოესყიდა.

საოცარია! ისინი ერთმანეთთან ვითომ შემომწყრალები არიან. მაგრამ ყველაზე უკეთ ახლა გრძნობს, თუ რა ძლიერ უძგერს ლადის მისი სილამაზით აღგზნებული გული, თითქოს იმასაც კი ხედავს, როგორ უზის თვალის წამწამზე?!

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ის ხომ მის წინაშე დამნაშავეა! დიახაც, რომ დამნაშავეა! ჯერ ერთი, დაუპატიჟებლად კარზე მიადგა!

მერედა, რაღა ნასვამს გაახსენდა. ეს რაღამ ათქმევინა, ვიცოდი, ქმარი შინ არ გყავდა და იმიტომ მოვედიო. ალბათ, ელიზბარის სოფელში წასვლა მარგალიტამ გააგებინა. აკი ეუბნებოდა, სახლის პატრონისა ნუ გერიდება, სანდოა, გამტანი, კრინტს არ დასძრავსო. რის თქმა უნდოდა ამით, რა ჰქონდა განზრახული?! ნეტავი რა თავს იტყუებს! განა ყველაფერს უმალ არ მიხვდა? კეთილი, წესიერი კაცია სანებლიძე, მაგრამ პატარა მხეცი მის არსებაშიც ზის. არც მარგალიტასი მოერიდა, არც იმას გაუწია ანგარიში, რომ აკვნიდან ბავშვი შესციცინებდათ. უცებ ქორივით დაეცხრა, ჩაკოცნა, მკერდში ჩაიკრა. ამასაც არ დასჯერდა, ხელი დაავლო და საწოლისკენ გაიტაცა. საკადრისი პასუხი კი გასცა, ხელის კვრასაც არ მოერიდა, მაგრამ ცოტათი თავის თავსაც აღანაშაულებს. რატომ მიიყვანა საქმე აქამდე?! რატომ თავიდანვე არ აღშფოთდა ლადის უწესო საქციელის გამო. ეტყობა, სანებლიძე მას უჭკუო, ქარაფშუტა გოგოდ თვლის. სულაც არ არის ასეთი. ის გათხოვილია, ჰყავს მოსიყვარულე ქმარი. ქვეყანას ურჩევნია თავისი პირმშო. ყველაზე მეტად ბავშვის ერიდება. რა მეტყველი თვალები აქვს! ისე დააცქერდება ხოლმე, თითქოს რაღაცას საყვედურობსო! სანებლიძესთან ახლო ყოფნაც რომ სწყურია. სიამოვნებს ასეთი განათლებული, ყველასაგან დაფასებული, სა-

ჩინო კაცი პატივს რომ სცემს, აფასებს, ქირსა თუ ლხინში გვერდით უდგას!

ერთხელ, დღის ბოლოს, ირმა საავადმყოფოდან რომ გამოდიოდა, იქვე, მანქანასთან გაჩერებული სანებლიძე დაინახა. რატომღაც ეგონა, რომ მას ელოდებოდა, ამიტომ კიბე რომ ჩაათავა, შეჩერდა.

სანებლიძის მთელი არსება ქალმა მაგნიტივით მიიტაცა, რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ პირზე მომდგარი სიტყვა ენის წვერზე შეეყინა, რადგან ამ დროს საავადმყოფოს კარებმა გაიჭრიალა და ვიღაცა გამოვიდა გარეთ.

სანებლიძეს სახეზე ღიმილი წაეშალა, შუბლი შეეკრა. ირმასაკენ მექანიკურადღა იმზირებოდა, მთელი გულისყური კი საავადმყოფოდან გამოსული ადამიანისაკენ ჰქონდა მიპყრობილი.

ირმას არ მიუხედავს, უამისოდაც გრძნობდა, რომ ეს ასისტენტი იყო. თითქოს იმასაც ხვდებოდა, რომ იგი აგდებით მისჩერებოდა უკანიდან. უხერხულობაში ჩავარდნილმა ესღა წაილაპარაკა, ბატონო ლადი, კარგად ბრძანდებოდეთ, და წასვლა დააპირა.

— ირმა, მანქანით წაგიყვან! — მიმართა გაუბედავად სანებლიძემ. ქალმა უცებ ვერაფერი უპასუხა, რადგან გული მანქანისაკენ მიუწევდა, გაჭირვებით სძლია სურვილს და მიუგო:

— გმადლობ, ფეხით წავალ!

ირმას მანქანამ გვერდით რომ ჩაუარა, ასისტენტმა მედიდურად გადმოხედა: გასკდი გულზე, მე მანქანით მივსეირნობ, შენ კი ფეხით მოჩანჩალებო.

„ხამი, უმეცარი, როგორ უკვირს ყველაფერი!" — გულში ჩაილაპარაკა ირმამ და მანქანას თვალი აარიდა.

ნეტავი რას გადაეკიდა ასისტენტი, რას ერჩის?! ერთთავად ჯიბრში უდგას, ხალხის თვალში ამცირებს, ფეხქვეშ თელავს. ოპერაციის დროს რაიმე დავალებას რომ აძლევს, ისე ხმადაბლა ელაპარაკება, ვერაფერს გებულობს. რა ქნას, წარამარა ხომ არ ჩაეკითხება, ვერ გავიგონე, რა მითხარიო. რაკიღა იმის ნათქვამი არ ესმის, ხშირად დანის მაგივრად მაკრატელს აწვდის, ან, პირიქით, ალბათ ექიმებს ცრუ ჰგონიათ, ან უვიც და გაუგებარ ადამიანად თვლიან.

ლადი რაღას ეფერება ასისტენტს! ვინ იცის, იქნებ ახლა ის შეიყვარა. აკი ეუბნებოდა, უსიყვარულოდ სიცოცხლე არ შემიძლიაო. მერე ამ ეშმაკის მაშხალაზე უკეთესი ვერავინ გამონახა? ის როგორ ამჯობინა მის თავს! იქნებ არც ამჯობინა, მაგრამ რაკიღა მისგან უარი მიიღო, ახლა ასისტენტს შეუჩნდა. ასისტენტი ატაცებულია, იცვამს, იხურავს, ქალიშვილობს, სიყვარულს ეძებს. კაცები ხომ ქალიშვილებს ყოველთვის უპირატესობას აძლევენ. თუმცა, ვინ იცის, ეგებ ასისტენტი არც არის ქალიშვილი. ხომ ამბობენ, ნაქმარევიაო. ოღონდ ეს არა და, სანებლიძემ სხვა ვინც გინდა დაიახლოოს. ოდნავადაც არ დასწყდება გული. როგორ იბღინძება! თან ექიმობაც როგორ აქვს თავში ავარდნილი! თურმე საშუალო სკოლა სამებზე ძლივს დაამთავრა. მერე კი რაღაც ხვრელებით სამედიცინო ინსტიტუტში შეძვრა. სუსტად სწავლობდა, ძლივს ახერხებდა კურსიდან კურსზე გადასვლას. ასე-ამგვარად გამოიჩეკა ექიმად. უფრო სწორად დიპლომი მიიღო ექიმისა. თურმე რეცეპტის გამოწერაც არ იცის!

ერთი თითონ უნდა მოხვდეს როგორმე სამედიცინო ინსტიტუტში?! თავაუღებლივ ისწავლის, წიგნებს თავს ჩააკლავს, მაგრამ ვინ მისცა ამის ბედი!

— მაგალითად, ლამის გულზე გავსკდე, ვტრაბახობდი, საამქროში ინტრიგანებს, მჯღაბნელებს არ ვაჭაჭანებმეთქი. სხვებს ვარიგებდი ჭკუას და, დახე, მეც იმათ ტაფაში არ მოვექეცი! — ამბობდა საჰაერო ბურთების საამქროს გამგე და ანონიმურ განცხადებას, ხელში რომ ეჭირა, ხან შორიდან აცქერდებოდა, ხან სულ ახლო მიჰქონდა თვალებთან...

— მაშ, მაშ, ამ ვიღაც გარეწარმა რამხელა ჩრდილი მიაყენა ჩვენს ორგანიზაციას! — თანაგრძნობით თავი ჩაიქნია ინჟინერმა და მცირე ხნის შემდეგ თქვა: — კონსტანტინ დავიდოვიჩ, კიდევ კარგი, ანონიმური წერილი თქვენვე გადმოგიგზავნეს. თორემ რა გვეშველებოდა?! დიახ!

— ვენაცვალე სამმართველოს უფროსს, კაცია კაცი! განცხადება გადმომცა, თან მეგობრულად დამარიგა, დეტალურად გაეცანი, ნაკლოვანებები გაითვალისწინე და იქნებ დამწერის კვალსაც მიაგნო, თორემ ეს ვიღაცაა, არ მოისვენებს, ზემდგომ ორგანოებსაც გაუგზავნის ანონიმურ განცხადებასო! ეჰ, ნეტავი გამაგებინა, ვინ არის ამის დამწერი და თუგინდ ორი ათასი მანეთი ვალი მქონდეს.

— ასე უცებ რას გაიგებ! საერთოდ ასეთ საქმეში აჩქარება არვარგა! საჭიროა ყველაფერი დეტალურად გაირკვეს, დაზუსტდეს!

— ესაა ბიჭობა! — თქვა ხმის აწევით გამგემ და ინჟინერს შეხედა. — ხომ იცი, ქვეყნად გაუგებარი არაფერია.

ინჟინერმა ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და სახეზე ოფლი მოიწმინდა. მერე ხელებით თვალები მოიფშვნიტა, ამით, ეტყობა, თავი დაიზღვევა, ვაითუ, ვერ გაუძლო გამგის შემკითხავ მზერასო.

— ჰმ! — წარმოსთქვა გამგემ.

ინჟინერს კი მოეჩვენა, თითქოს გამგე რაღაცას მიხვდაო.

გამგემ ანონიმური წერილი ერთხელ კიდევ ჩაიკითხა და წახალისებით თქვა!

— ეს ვიღაც ოხერია, საიდან შემოგვიჩნდა! როგორ კარგად იცნობს საამქროს ყოველ წვრილმანს! ეს კი მხოლოდ მე, შენ და ბუღალტერმა ვიცით. ჩვენს სამში ერთ-ერთია ამის დამწერი.

ინჟინერმა ხელები გაასავსავა. რაკილა აუღელვებლად ლაპარაკს ცდილობდა, ხმა ქალივით გაუწვრილდა.

— რას ამბობ, კონსტანტინ დავიდოვიჩ, ამას ვერ დავიჯერებ!

— რას ვერ დაიჯერებ?

— ვერა, ვერ დავიჯერებ, რომ ეს მან...

— მაგალითად, ვინ?

— ვინ და... — და ცერი ბუღალტერის ოთახისკენ გაიშვირა.

— თუ იმან არა, მაშინ ჩვენ ორში ერთ-ერთია ამის დამწერი!

— კონსტანტინ დავიდოვიჩ, როგორ გეკადრება! — სული ძლივს მოითქვა ინჟინერმა და სითამამე მოიკრიბა. — თუმცა, რას გაიგებ, წალხი გამოიცვალა. შეხედავ კაცია, ქუდი ხურავს, სადღეგრძელოების თქმაში არავის ჩამოუვარდება, სიყვარულს გეფიცება, გეხვევა, გკოცნის. არც სიფხიზლეში აკლია თავაზიანობა, გამგონეა, მორიდებული. დიახ! აბა როგორ დავიჯერო, რომ ასეთ კაცს გული ღვარძლით ჰქონდეს სავსე?! კონსტანტინ დავიდოვიჩ, ჩემი მარტო უფროსი კი არა, მეგობარიცა ხარ. დიახ! ამიტომ არ შემიძლია გულახდილი არ ვიყო.

— ესაა ბიჭობა!

— ჯერ ერთი, ბუღალტერი წილში დგას. სულელი ხომ არ არის, რომ ასეთი რამ გააკეთოს. მეორე კიდევ ისა, რომ ჩვენ სამივე აგერ უკვე ათი წელია ერთად ვმუშაობთ. ასეთ სიბინძურეს კი არასოდეს ადგილი არ ჰქონია! დიახ!

— მაგალითად! — თავი ჩაიქნია გამგემ, თვალი უჩინარ წერტილს გაუშტერა და უცებ წაავარა. — სწორ დასკვნებს აკეთებ, მსჯელობაში ხუთი გეკუთვნის, მაგრამ მაინც გულახდილად არ ლაპარაკობ!

— ხომ იცი, კონსტანტინ დავიდოვიჩ, მომპარავმა ერთი ცოდვა ჩაიდინა, დამკარგავმა ათასიო. მიჭირს თქმა, მაგრამ, რა ვქნა, საერთო საქმე მოითხოვს, ვიყო ულმობელი. დიახ! კონსტანტინ დავიდოვიჩ, აღმრიცხველზე მოგახსენებ. ურიგო ბიჭი არ არის, თითქოს საქმეც უყვარს.. ამას წინათ შენც ხომ ბრძანე მცოდნე, დაკვირვებული, პერს-

პექტიული ახალგაზრდააო. მჯერა, ან რა უფლება მაქვს შენი ნათქვამი არ ვიწამო, მაგრამ რას გაიგებ, კაცის გული ხომ მკერდქვეშა ძგერს? თვალით ვერ დაინახავ, ხელით ვერ შეეხები. ვინ იცის, რამდენი გარეგნულად მორჩილი და უპრეტენზიო ადამიანი ღამეებს თეთრად ათენებს იმაზე ოცნებით, თუ როგორ მოიპოვოს თანამდებობა, როგორ იბატონოს ადამიანებზე! დიახ!

— ესაა ბიჭობა! — მაგიდაზე მუშტის დარტყმით დაუდასტურა გამგემ. მხოლოდ ჩემს ნათქვამს ნუ ჩაეჭიდები! ვინც რას ამბობს, ყველაფერი მართალი როდია! — გულში კი გაივლო, დიდი მოხერხებული ვინმეა ინჟინერი, ვითომდა არ იცის, რომ მის დასაშინებლად ვაქებდი აღმრიცხველს. ალბათ თვითონვე არ სძინავს ღამეები, შიშის ქარი იტანს, ჩემს ადგილზე აღმრიცხველი არ დააყენონო. მოსაჩვენებლად კი თავი რა მშვიდად უჭირავს. ახლავე წაუხდენს ხასიათს. იმას არაფერი სჯობია, ხელმძღვანელს ხელქვეითი ლაგამამოდებული რომ ჰყავს!

— აღმრიცხველი მშვენიერი ახალგაზრდაა, გამგონე, დაუზარელი, მომავლის მქონე! — თქვა გამგემ.

— დიახ! — ძალაუნებურად წაიბუტბუტა ინჟინერმა, გულში კი ფიქრი უტრიალებდა, გამგე რაღაც სხვანაირად ლაპარაკობს, სანამ გვიან არ არის, რაღაც უნდა მოვახერხოო, და ნაცადუ ხერხს მიმართა:

— რა ვქნა, კონსტანტინ დავიდოვიჩ, მე არ მომწონს აღმრიცხველი, ოღონდ ენ მომაცილე, თუგინდ ორად გავიჭრები. მორჩა, ჩემი სიტყვა, სიტყვაა!

საამქროს გამგემ კმაყოფილებით ჩაიცინა, ულვაშებზე ხელი გადაისვა და თქვა:

— ჩემი ღრმა რწმენით, ადამიანი, რაც არ უნდა წესიერი იყოს, პატარა ინტრიგანიცაა!

— კონსტანტინ დავიდოვიჩ, ეს რა ძვირფასი რამე თქვი, ინტრიგანებზე ასეთი ბრძნული აზრი ჯერ არ მომისმენია.

— ესაა ბიჭობა, გამოდის, რომ სწორად უთქვამთ, ციხე შიგნიდან ტყდებაო. ნუთუ ის არის?

— ულვაშებს ვფიცავ, ის არის, დიახ!

— მეც ასე მგონია! განცხადებაში სწორედ იმ საკითხებზეა ყურადღება გამახვილებული, რაც საწარმოო თათბირზე ითქვა.

— ესაა ბიჭობა! — შესძახა ინჟინერმა და უმალ ენის წვერზე იკბინა, რაღა მისივე საყვარელი სიტყვებით დაუდასტურე ნათქვამი, ემანდ, ეს დაცინვად არ მიიღოსო, ამიტომ შეეცადა, რაც შეიძლება მეტი თანაგრძნობა ჩაექსოვა სიტყვებში, ხმაში ცრემლი გაურია და ნაღვლიანად წაილაპარაკა:

— საქმე ის არის, რაღა გვეშველება, რაღა ვიღონოთ!

— მაგალითად, მაგის მეტი სადარდებელი არაფერი მომცეს ღმერთმა! ორ-სამ დღეში ყველაფერს მოვაგვარებ!

— მადლობა ღმერთს! ეჰ, იმას არაფერი სჯობია, ხელმძღვანელს ჭკუაგონებასთან ერთად გამოცდილებაც რომ აქვს! დიახ!

მეორე დღეს საამქროს გამგემ აღმრიცხველი გამოიძახა.

— ჩემო მეგობარო, მოდი, აი, აქ დაჯექი! — და თავის მაგიდის გვერდით სკამი უჩვენა.

„რაღაც ვერ არის საქმე კარგად!“ — გაიფიქრა ელიზბარმა და მითითებულ სკამზე დაჯდა.

— ჩემო ძვირფასო მეგობარო!—გაიმეორა საამქროს გამგემ გულშემატკივარი ადამიანის ყალბი თანაგრძნობით. — ნუ დამემდურები, რაც კი შემეძლო ყველაფერი გავაკეთე, მაგრამ ვერაფერი გიშველე.

ელიზბარს ეგონა, ბინის თაობაზე განცხადება რომ შევიტანე, ალბათ იმის შესახებ მელაპარაკებაო.

არც ისეა თურმე საქმე! ეტყობა, საამქროს გამგეს დახასიათება მოსთხოვეს. რაკიღა საქმე აქამდე მივიდა, არა უშავს რა, ცოტას კიდევ მოითმენს,

წელს თუ ვერ დააკმაყოფილეს, გაისად გამონაცვალ ბინას მაინც მისცემენ. და საამქროს გამგეს ისეთი მოკრძალებით გადაუხადა მადლობა, თითქოს მასთან ერთად, მისმა ხმამაც მოიხარა უფროსის წინაშე ქედი.

„ან დიდი გულუბრყვილოა, ან თავფეხიანად გაიძვერაა!“ — გაიფიქრა საამქროს გამგემ და, ყოველშემთხვევაში, თავის დაფასება ამჯობინა.

— არ ღირს მადლობის გადახდად. ეს ჩემი სამსახურებრივი მოვალეობაა! შეხედულებით ვარ ასე მკაცრი, თორემ ბავშვივით მგრძნობიარე გული მაქვს. მეცოდები, თანაგიგრძნობ, მაგრამ ვერაფერი გიშველე. მაგალითად, რას ფიქრობ, სად აპირებ წასვლას? მითხარი, ცოტაოდენს მეც დაგეხმარები, ხალხს ვიცნობ, შუამდგომლობას გაგიწევ!

— აქეთ-იქით სიარულით რას გავხდები! რიგს დაველოდები, როცა იქნება რაღაცას მომცემენ?

— ერიჰა, რა საწყალი ყოფილხარ! დაიხსომე ჩემგან, ვერასოდეს ვერაფერს მიიღებ, თუ არ ეცდები და არ მოითხოვ!

— რა ვქნა, დროდადრო მივაკითხავ!

— მოდი, ჯერ ჩვენ მმართველთან მიდი, მოახსენე, ასე და ასეა საქმე. შტატი შეამცირეს და უადგილოდ დავრჩითქო... იქნებ იმანაც გამოგინახოს რაიმე ადგილი!

ელიზბარი გაშრა, მკვდრის ფერი დაედო. ყველაფერი რომ ეფიქრა, ამას როგორ წარმოიდგენდა, რომ საამქროს გამგე ბინის შესახებ კი არა, იმ საშინელ ამბავზე ელაპარაკებოდა, რისიც სიკვდილზე მეტად ეშინოდა.

— ესაა ბიჭობა! — არწმუნებდა საამქროს გამგე, — აი, ნახავ, თუ რაღაცას არ მიაღწევ!

— გმადლობ, გმადლობ! — ცრემლნარევი ხმით მიუგო ელიზბარმა და კარისაკენ შებრუნდა.

საამქროს გამგე ფეხზე წამოდგა, მაგიდის წინ გამოვიდა, ვითომ კარებამდე უნდოდა ელიზბარის მიცილება, მაგრამ ეს უკანასკნელი შეუჩერებლივ გავიდა გარეთ, თან კარი ისე გაიხურა, უკან აღარ მიუხედავს.

— რაც დაიმსახურე, ის მიიღე! ესაა ბიჭობა! — ღიმილით ჩაილაპარაკა საამქროს გამგემ და ფანჯარასთან მიირბინა იმის გასაგებად, გარეთ გასული აღმრიცხველი უკმაყოფილებას ხომ არ გამოსთქვამსო.

იგი ბორძიკით მიაბიჯებდა თავჩაღუნული...

უმზეო, მაგრამ ნათელი დღე იყო. იმას კი ეჩვენებოდა, ვითომ ქვეყანას ნისლი დასწოლოდა და ორ ნაბიჯზე არაფერი ჩანდა. თან ყველაფერი ირწეოდა, ბრუნავდა, ნაბიჯს ფრთხილად ადგამდა, თითქოს სიფრიფანა ყინულზე მიდის და ეშინია არ ჩაემტვრესო. ეზოდან ისე გავიდა, თავი მაღლა არ აუღია, აღარც უკან მიუხედავს. უკან რომ მიეხედა, ხეს ამოფარებულ ინჟინერს დაინახავდა, დამცინავი ღიმილით რომ მიაცილებდა.

აღარ იცოდა როგორღა მისულიყო შინ, რა ეთქვა ცოლისათვის, რითი გაემართლებია თავი. გუშინ არ იყო, რომ არწმუნებდა, სამსახურში კარგა ავაწყე საქმე, ყველა პატივს მცემს, ყველა მაფასებს, უფროსები დაწინაურებას მპირდებიან. ალბათ მალე ბინასაც მივიღებ და მერე აღარაფერი გაგვიჭირდებაო. და აი მისთვის სრულიად მოულოდნელად ყველა იმედი დაიმსხვრა, გაცამტვერდა! სხვა რომ არაფერი, რას იფიქრებს ირმა, ეს რა მკვეხარა და გაუგებარი ყოფილაო. თუმცა რა იმისბრალია, როცა შტატი შეამცირეს. ვინც არ უნდა ყოფილიყო მის ადგილზე, ასეთივე ბედი ეწეოდა. ის კი არა, უნდა ახლავე მივიდეს სამმართველოში. მათ სისტემაში დიდიხანი არაა რომ მუშაობს, მაგრამ ცოტაოდენ ანგარიშს გაუწევენ, მთლად უყურადღებოდ არ დატოვებენ. თუ საჰაერო ბურთების საამქროში არ დააბრუნებენ, იქნებ სხვაგან მაინც ამუშაონ.

სულაც არ გასძნელებია სამმართვე-

ლის მიგნება. არასოდეს ყოფილა იქ, მაგრამ იცოდა მისი ადგილსამყოფელი.

ფართო მოსაცდელის კუთხეში მიდგმულ მაგიდასთან ხანშიშესული ქალი იდგა, ფანჯრიდან ქუჩას ცაჰყურებდა, თან ტელეფონით ლაპარაკობდა.

ელიზბარი კარებთან შეჩერდა, ოთახში რომ შევიდე, ვაითუ, ქალს ლაპარაკში ხელი შევუშალოო.

ქალს ვაჟის მოკრძალება შეუმჩნეველი არ დარჩა, რისთვისაც ღიმილით დაასაჩუქრა და ხელით ანიშნა, დაჯექი და ცოტა მოითმინეო.

ელიზბარმა თითის წვერებით გაიარა და მითითებულ სკამზე დაეშვა.

ქალი არც თუ ისე ხმადაბლა ლაპარაკობდა, მაგრამ ელიზბარი თავის ფიქრებში იყო და მისი არცერთი სიტყვა არ გაუგონია. აბა, სხვა რაზე უნდა ეფიქრა, თუ არა ის, რა ეთქვა უფროსისათვის, როგორ შეებრალებია თავი!

ქალმა ლაპარაკი რომ დაამთავრა, მაგიდას მიუჯდა და ვაჟს ჰკითხა:

— ჩემო ძმაო, ვინ გინდა?

— უფროსი!

— რა საკითხზე ხარ?

— საჰაერო ბურთების საამქროდან გახლავარ. შტატი შემცირეს და უადგილოდ დავრჩი. უფროსს მინდა ვთხოვო, იქნებ სხვა რაიმე სამუშაოზე გამგზავნონ!

— ჩემო ძმაო, ცოტა მოითმინე!

ქალი უფროსის კაბინეტში შევიდა და კარი შეიხურა.

ელიზბარმა მხოლოდ ამის გაფიქრება მოასწრო, უფროსმა უარით რომ გამომისტუმროს, მერე რა გზას დავადგეო. ქალი უკან გამოვიდა. კარი ღიად დატოვა და თავაზიანად მიმართა:

— ჩემო ძმაო, შებრძანდი.

იგი თავჩაღუნული რაღაცას კითხულობდა. ელიზბარს, კაბინეტში შესვლისთანავე სათვალეს ზემოდან ერთი კი შეავლო თვალი და ექსტაზში შესული დირიჟორივით ხელი უცებ დაიქნია, რითაც ანიშნა დაჯექიო.

ელიზბარი ცანაპირა სკამზე დაჯდა. თან თვალებს ახამხამებდა, თითქოს კაშკაშა შუქს აეჭრელებინოს. კაბინეტში კი ისეთივე შუქი იყო, როგორც მოსაცდელში. საქმე იმაში გახლდათ, რომ დირექტორის მაგიდასთან მჯდარი კაცი დიმიტრის მიამსგავსა, მცხეთის ქუჩაზე რომ სარდაფი ამოუდო.

„ის არის და არც ის არის!" — გუნებაში ეჩურჩულებოდა თავისთავს და გაოცებული იყო, ადამიანი ასე როგორ უნდა შეიცვალოსო. მართალია, ადრე არ უნახავს დიმიტრი სათვალით, მაგრამ იგი მის მეხსიერებაში დარჩა, როგორც რბილი, დამთმობი თვინიერი, ადვილად შესაგუებელი ადამიანი. აქ კი მას მრისხანე მბრძანებლის სახე მიეღო.

მისი მოსაზრება თვით დიმიტრიმ დაადასტურა, როცა ქაღალდები გვერდზე გადააწყო და მკვახე ხმით იკითხა:

— რას მიბრძანებ, რითი შემიძლია გემსახურო, ჯეელო?

— ბრძანებას როგორ გკადრებთ, ბატონო დიმიტრი?

დიმიტრიმ ნაძალადევად გაიღიმა და ხელების სრესით თქვა:

— ააა, მეც გიცანი. შენ ალბათ იმის გასაგებად მოხვედი, ბაღჩა დავაბარინე თუ არა?! ბედი გქონია, ჯერ ეს არც გამხსენებია. ახლავ ცაგზავნი მანქანით. მხოლოდ ღრმად დაბარე. გასამრჯელოზე არ გაგანაწყენებ, რაცა ღირს, იმაზე მეტს მიიღებ!

— ეს რა სალაპარაკოა, ბატონო დიმიტრი! სულაც უფასოდ დაგიბარავთ. მომისმინეთ, თქვენთან სათხოვარი მაქვს.

— მითხარი, მითხარი, თორემ თათბირზე ვარ წასასვლელი, მაგვიანდება!

ელიზბარმაც უთხრა თავის გასაჭირი, მის ყოველ სიტყვაზე დიმიტრის შუბლი ეკვრებოდა, გვერდზე იწევდა.

— ერიჰა, მაშ ეს შენ ხარ, ჯეელო!— თქვა რაღაც დანანებით, როცა ელიზბარი ლაპარაკს მორჩა. — მერე რა დაგემართა, რატომ ჰკუით არ მოიქეცი?

—რაც შემეძლო ყველაფერს ვაკეთებდი, ბატონო დიმიტრი, არ ვიცი,

სხვანაირად როგორღა მოვქცეულიყავი?

— აი, სწორედ ესაა ცუდი, რომ ყველაფერს აკეთებდი! რაც მოხდა იმას აღარაფერი ეშველება. შტატს ვეღარ აღვადგენთ, ვერც იმას შეგპირდები, ჩემს დაქვემდებარებულ რომელიმე საწარმოში გამოგინახავ ადგილსმეთქი, ისე რომ, იმედს ნუ იქონიებ!

— ბატონო დიმიტრი, იქნებ შემდგომში მაინც გამომინახოთ რაიმე ადგილი?

— ვერ შეგპირდები!

— ბაღის დასაბარად როდისღა მოვიდე?

— ნუ მოხვალ, ნუ! ახლა გამახსენდა, რომ ყარაული შემპირდა დაბარვას, ორი კვირაა წყნეთში არ ვყოფილვარ, ვინ იცის, შეიძლება კიდევაც დაბარა!

ელიზბარმა მადლობა გადაუხადა დიმიტრის, თან თავი მორჩილად დახარა და კაბინეტიდან გავიდა.

იგი ხალხით სავსე ფილაქანზე თავჩაღუნული მიაბიჯებდა. საგნებს ბუნდოვნად ხედავდა. თითქოს ყველაფერი ტრიალებდა. ისიც ტრიალებდა, მაგრამ კედელ-კედელ მიდიოდა, რომ არ წაქცეულიყო. რატომღაც თითო-ოროლა მოქალაქე დამცინავად აყოლებდა თვალს. უნდოდა მიემართა მათთვის, რას მერჩით, ვისთვის რა დამიშავებია, რად მიგდებთ აბუჩად, რად დამცინით, მაგრამ კრიჭა შეჰკვროდა, ენას პირში ვერ იბრუნებდა.

ერთ აზრს მოეცვა: რაც შეიძლება ჩქარა გასცლოდა ახმაურებულ ქუჩას და სადმე მყუდრო ადგილას მიეყუჟულიყო. მეორე მხარეს პარკი ეგულებოდა და იქით გასწია. ქუჩაზე რომ გადადიოდა, ვიღაცამ ხელი უბიძგა, მოითმინე, მანქანა მოდისო, მაგრამ იგი არ შეჩერებულა.

მძღოლმა გახანგრძლივებული სიგნალი მისცა, თან მარჯვედ დაამუხრუჭა. მანქანა თითქოს ყალყზე შედგა, მერე აქეთ-იქით გასრიალდა და ელიზბარს ოდნავ ფრთა გაჰკრა.

მძღოლმა ღია ფანჯრიდან თავი გამოყო, აი, შე ხეპრე, ამხელა ვირგლა, რა ბატივით დაბორიალობო, და გამჩენის დღე გადაუკურთხა. ის კი გაშტერებული იდგა და უაზროდ აქეთ-იქით იხედებოდა.

ვიღაც ხნიერმა კაცმა მკლავში ხელი წაავლო, ფილაქნამდე მიაცილა და ასეთი დარიგება მისცა:

— ახალგაზრდა კაცი ხარ, ძმაო, ამდენს რატომ სვამ, თუ სიცოცხლე მოგბეზრდა, სხვას რატომღა აგდებ შარში?

ელიზბარმა მადლობა გადაუხადა დარიგებისთვის, სხვა არაფერი უთქვამს, ან რა ეთქვა, რითი შეეძლო თავის მართლება.

პარკში რომ შედიოდა, ჭიშკართან საათს შეხედა, გაოცებული დარჩა: დღის ორი საათი იყო, ცა შავ ღრუბლებს დაეფარა. იმას კი დროის ვარაუდი დაჰკარგვოდა და ეგონა, რომ ქალაქი ნაცრისფერ ბინდში იძირებოდა.

განცალკევებულ სკამზე დაეშვა, სახე მუხლებზე დაყრდნობილ ხელებში ჩარგო! სრულიად არაფერზე ფიქრობდა. თუ ამას ფიქრად არ ჩავთვლით: ეს რა დიდი უბედურებაა ჩემს თავს, მე კი ფიქრი არ შემიძლიაო.

თავისდაუნებურად ელიზბარი სახლში სწორედ იმ დროს მივიდა, როცა, ჩვეულებისამებრ, სამსახურიდან ბრუნდებოდა ხოლმე.

ოთახში შესვლისთანავე, პიჯაკი გაიძრო და ტახტზე ისროლა.

ირმამ იცოდა, რომ ქმრის ასეთი მოქმედება კარგს არაფერს მოასწავებდა.

— რა დაგემართა, ასე რამ აგაღელვა, ელიზბარ? — შეეკითხა იგი.

— არაფერი, ირმა!

— მითხარი, ნუ დამიმალავ, ელიზბარ!

— მეც არ ვიცი, როგორ გითხრა, ირმა!

— დედისაგან ცუდი ამბავი ხომ არაფერია, ელიზბარ?

— არა, ირმა!

— აბა, მაშ, რა უბედურებაა ჩვენს თავს, ელიზბარ?

— უბედო კაცი არ უნდა გაჩნდეს ქვეყანაზე, ირმა!

— მითხარი, რა მოხდა, ელიზბარ?

— სამსახურიდან გამათავისუფლეს, ირმა! — ქმრის ხმაში ისეთი დიდი წუხილი გაისმა, რომ ცოლს თვალები აუცრემლდა.

— რატომ, ელიზბარ?

— შტატის შემცირების გამო, ირმა!

ქმარმა ცოლის წინაშე ბევრად უფრო მწვავედ იგრძნო თავზე დატეხილი უბედურება. თან მის დარდ-წუხილს ისიც დაემატა, რომ უტაქტოდ მოიქცა. ასე უცებ რად მივახალე ჩემი განთავისუფლების ამბავი, განა არ სჯობდა შემეპარებიაო.

ირმასათვის მძიმე და შემზარავი იყო ეს.

არასოდეს ისე არაფერი გახარებია, როგორც ქმრის სამსახურში მოწყობა. რაღას არ ფიქრობდა, რაღას არ ოცნებობდა! ფუფუნებით არ ცხოვრობდნენ, მაგრამ ადრინდელივით აღარ უჭირდათ. სასმელ-საჭმელი ჰქონდათ, ცოტა რამ ჩასაცმელ-დასახურსაც ყიდულობდნენ, ბავშვსაც არაფერს აკლებდნენ. თავისი და ქმრის ხელფასიდან ყოველთვიურად ათ, ხან ოცმანეთს ზოგავდა. ამ ფულით გიასთვის უნდოდა რაიმე საჩუქარი ეყიდა დაბადების დღეს. ეჰ, რა ცოტა რამ სდომებია ადამიანს სიხარულისათვის! ცოლ-ქმარს ეგონა, იმათზე ბედნიერი ქვეყანაზე არავინ იყო. გვიანობამდე არ იძინებდნენ. იმ ბედნიერ დღეზე ოცნებობდნენ, როცა ბინას მიიღებდნენ, ავეჯს შეიძენდნენ. მერე კი გიას ყოველ წელიწადს დაბადების დღეს გადაუხდიდნენ. და, აი, უცებ თავზე რა დიდი უბედურება დაატყდათ. ვინ იცის, როდისღა იშოვის ელიზბარი სამსახურს! აბა ვიღას მიმართონ, ვიღა აღმოუჩენთ დახმარებას?! ქვეყანა რომ შესძრან, უხარჯოდ და უგულშემატკივროდ ვერაფერს გახდებიან. ვეღარც სანებლიძეს შეაწუხებს! ვინ იცის, იქნებ აღარც დაეხმაროს. ამ ბოლო დროს ხომ გაურბის, აღარ ეკარება, თვითონაც ეშინია მასთან სიახლოვისა, რადგან გრძნობს, დღითიდღე როგორ ეჩვევა ამ კაცს. ეს კი არც მას, არც მის ქმარ-შვილს კარგს არაფერს უქადის!

სანებლიძე ნასვამი რომ მივიდა, მართალია, ახლო არ გაიკარა, ხელიც უბიძგა, მაგრამ სადღაც, გულის სიღრმეში ხომ ესიამოვნა მისი ხვევნა-ალერსი? კაცს ცოტა მეტი შეუპოვრობა რომ გამოეჩინა, ალბათ, ვეღარც კი გაუმკლავდებოდა მოწოლილ გრძნობას. სახეზე ხელებს იფარებდა, რომ ალაკრული ლოყები დაემალა. ლაპარაკს ერიდებოდა, სუნთქვა არ შეჰკვროდა.

სანებლიძე ღიმილით უმზერდა, თითქოს უნდოდა ეთქვა, ხელს მკრავ, მაგრამ ვიცი, რაც ხდება შენს გულშიო. ხომ გამოუტყდა კიდეც, ჯერჯერობით ამითაც კმაყოფილი ვარ! მალე, სულ მალე ჩემი იქნებიო! ეხლაც ყურში უდგას მისი სიტყვები, თუ უწესოდ მოგეპყარი, ამაში მე კი არა, შენი სილამაზეა დამნაშავე! ეს მოზღვავებული სიყვარულის აფეთქებად მიიღეო.

ეტყობა, ელიზბარი გულმოკლულია. რაღაც შეშინებულივითაა. სახეზე მკვდრის ფერი ადევს, თვალები უტირის. გულმოკლული როგორ არ იქნება. რის ვაივაგლახით იშოვა სამსახური, მერე რა დიდი ხალისით, რა მონდომებით მუშაობდა. როგორ უხაროდა ხელმძღვანელები კარგი თვალით მიცქერიან, უთუოდ დამაწინაურებენ, ბინის მიღებაში დამეხმარებიანო. და უცებ ყველაფერი დაჰკარგა, ხელში აღარაფერი შერჩა!

ოჰ, ნეტავი რითიმე ანუგეშოს ქმარი, როგორმე გული გაუმაგროს, დააიმედოს...

ელიზბარის სადარდებელიც ეს იყო, რა ვუთხრა ირმას, რით ვანუგეშო, მომავლის რწმენა როგორ ჩავუნერგოო.

მაგრამ რაკიღა არც ერთს არ შეეძლო რაიმე საიმედოს თქმა, ისინი უნებ-

ლიედ ერთმანეთს ჩაეკვრნენ და ატირდნენ.

ელიზბარი დილით ადრე გარბოდა სურსათის საყიდლად. რძეზე რიგს დაიჭერდა, ბაზარში ჩაირბენდა, ხუთ-ექვს კვერცხს ან ორ კილო კარტოფილს იყიდდა, ერთ გორგოლა პურს იღლიაში ამოიჩრიდა და უკან ბრუნდებოდა. მერე კი მთელი დღე უსაქმოდ შინ იჯდა.

გია უკვე აკვანში აღარ იწვა. ბავშვი გათენებისას ახელდა თვალს და მშობლებსაც აღვიძებდა. ტიტინებდა, კისკისებდა, ხან მამას მიახტებოდა მკერდზე, ხან დედას მიეხუტებოდა, ერთი-ორი საათის მერე ისევ ჩაიძინებდა და თერთმეტ-თორმეტ საათამდე აღარ იღვიძებდა.

ელიზბარი ირმას რომ სამსახურში გაისტუმრებდა, ბავშვს მარგალიტას უტოვებდა, თვითონ კი ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოში გარბოდა. უფროსთან შესვლას ვეღარ ბედავდა. ან რისთვის მისულიყო, იმან ხომ ცივი უარით გამოისტუმრა. ამიტომ სამმართველოს წინ ტრიალებდა, ხან დერეფანშიც შედიოდა, იქნებ უფროსი შემხვდეს და გამომელაპარაკოსო.

ერთხელ ელიზბარი მანქანიდან გადმოსულ დიმიტრის შეეფეთა. დიმიტრიმ თვალი აარიდა, უნდოდა გვერდით ჩაევლო, ვითომ ვერც იცნო, მაგრამ ელიზბარი წინ გადაუდგა და თავისდაკვრით მიესალმა:

— გამარჯობათ, პატივცემულო დიმიტრი!

— აგაშენა, ვეღარ გიცანი! — თქვა დიმიტრიმ და ხელი გაუწოდა.

ელიზბარმა დიმიტრის ხელი მორიდებით ჩამოართვა.

— სად ხარ, სად დაიწყე მუშაობა? — შეეკითხა უფროსი.

— ჯერჯერობით არსად, ბატონო დიმიტრი!

დიმიტრიმ ყალბი თანაგრძნობით თავი გადააქნ-გადმოაქნია, ვერ არის სასიამოვნო ამბავიო, და ნაბიჯს აუჩქარა.

ელიზბარი გვერდით გაჰყვა. უცებ გონებაში აზრმა გაურბინა, თუ ახლა უფროსს თავის გულისტკივილს ვერ ეტყოდა, ეს კაცი ამას იქით კიდეც რომ შეხვედროდა, აღარც მიესალმებოდა, აღარც სასაუბროდ გაუჩერდებოდა. გამბედაობა მოიკრიბა და თავაზიანად უთხრა:

— პატივცემულო დიმიტრი, ძალიან გთხოვთ მომისმინოთ!

— მითხარი, რა გინდა? — მიუგო გულცივად დიმიტრიმ, ამასთან მის ხმაში თითქოს ესეც გაისმა, შენთან სალაპარაკოდ არ მცალია, მეჩქარებაო.

— თქვენი ჭირიმე, ბატონო დიმიტრი, ამხელა ქალაქში თქვენს მეტი კაცი არ მყავს ისეთი, ვისაც შემიძლია ჩემი გასაჭირი შევჩივლო. აღარ ვიცი, რა ვქნა, რა წყალში გადავვარდე. სამსახურს ვერ ვშოულობ! ცხოვრება კი მიჭირს, ძალიან მიჭირს! რა იქნება, დამეხმარეთ!

დიმიტრის გულში თითქოს რაღაც მგრძნობიარე სიმი შეირხა, თვალში თანაგრძნობის გამომხატველი სხივი გაუბრწყინდა, მაგრამ შუბლი მაინც არ გაიხსნა და თვალარიდებით თქვა:

— ვნახოთ, შევეცდები!

— ბატონო დიმიტრი, გეხვეწებით, გემუდარებით!

— რა ვქნა, მეც ადამიანი ვარ! თანაგიგრძნობ, მინდა დაგეხმარო, მაგრამ ჯერჯერობით შესაძლებლობა არ მაქვს და ვერ შეგპირდები. იცი, რას გირჩევ, თუ დრო გაქვს, წადი წყნეთში და ჩემს აგარაკზე ბაღჩა დაბარე.

— ბატონო დიმიტრი, თუ კი რამე შემიძლია, მზად ვარ გემსახუროთ.

— აგაშენა! რაღა აქეთ-იქით ვეძებო მუშა! შენზე ალალია! მხოლოდ ღრმად დაბარე! ისე არ მინდა, ჯანჯალი როდი ვარ, ფულზე არ გალაპარაკებ!

დიმიტრიმ მძღოლი გააფრთხილა, ეს ყმაწვილი ჯერ ჩემთან მიიყვანე სახლში, ვერიკოს გასაღები გამოართვით, მერე წყნეთში წაიყვანე, ჩემი აგარაკი აჩვენე და მალე ჩამოდი უკანვეო.

მძღოლი ერთი-ორჯერ შეეცადა ელი-

ზბართან საუბრის გაბმას, მაგრამ რაკილა ეს უკანასკნელი უგულოდ პასუხობდა, თავისთვის აღიღინდა და მისკენ აღარც გაუხედავს.

ელიზბარი კი ფიქრს მისცემოდა.

ეჰ, რა ვუყოთ, რომ დიმიტრიმ ნაკვეთის დასაბარავად წყნეთში უკრა თავი! ბარვა მისთვის უცხო ხილი როდია! ეს არც ეზარება, არც ეთაკილება! ერთი რამ აფიქრებს მხოლოდ, ნეტავი მარგალიტა მაინც გაეფრთხილებია, რომ საღამომდე შეაგვიანდება. თუმცა ამასაც ეშველება! დღეს ნასადილევს აიღებს სამუშაოზე ხელს. შემდეგ დღეებში კი გვიანობამდე იმუშავებს. განა ისეთი რა ნაკვეთი აქვთ, რომ ორსამ დღეში ვერ მორჩეს. თუმცა ეს რა საფიქრებელია! რაც უფრო მეტხანს იმუშავებს, მისთვის უმჯობესია, უფროსს გასამრჯელოს არ გამოართმევს და სამუდამოდ მოიგებს მის გულს. დიმიტრიმ ისედაც მოწყალების თვალით შეხედა. აუცილებლივ დაეხმარება, სამსახურს უშოვნის!

ისინი უკვე მცხეთის ქუჩაზე იყვნენ.

რკინის ჭიშკართან მანქანა რომ შეჩერდა, ელიზბარმა მძღოლს გადახედა, ეგონა, ის წავიდოდა გასაღების გამოსატანად. ეს უკანასკნელი კი მას მიუბრუნდა:

— რაღას უზიხარ, ძმაო, მიდი და დიასახლისს გასაღები გამოართვი!

ელიზბარი მანქანიდან უსიტყვოდ გადავიდა, ეზოში შევიდა და აივნის კარებზე დააკაკუნა.

გარეთ ვერიკო გამოვიდა. ჩაცმულდახურული იყო, ყვავილებით მოქარგული შინდისფერი თავშალი ენვია, ცისფერი, მბზინავი ლაბადა ეცვა, ხელში თეთრი ლაქის ჩანთა ეჭირა. წვრილქუსლიანი ფეხსაცმელები ეცვა, რაც უფრო ტანადსა და მოქნილს ხდიდა.

ქალმა ელიზბარის დანახვა გაიოცა და შესძახა:

— ეს შენა ხარ?! უცებ ვეღარც გიცანი!

— დიახ, ქალბატონო, მე გახლავარ!

— ძალიან მესიამოვნა შენი დანახვა! — ალერსიანად გაუღიმა და შეეცადა ,რაც შეიძლება თანაგრძნობით ეთქვა. — ეჭვი არ მეპარებოდა, რომ მოხვიდოდი, მაგრამ არ მეგონა, თუ ასე დიდხანს შემელეოდი!

ელიზბარმა კბილებში ძლივს გამოსცრა:

— ქალბატონო, მე გასაღებისათვის მოვედი!

— რა გასაღებისათვის?!

— აგარაკისა! ბატონმა დიმიტრიმ მთხოვა ბაღი დამიბარეო.

— დიდი სიამოვნებით, ახლავე, — თქვა გამოცოცხლებით ქალმა, რომლის გაბრწყინებულ თვალებში კმაყოფილების სხივი აკიაფდა.

სანამ ვერიკო გასაღებს გამოიტანდა, ელიზბარმა ბაღჩა შეათვალიერა. ხეხილს კვირტი მოსწოლოდა. ვაზიც უკვე შეშმუშვნილიყო. ახალდაბარულ ნიადაგს გამოღვიძებული მიწის სურნელი ასდიოდა.

ვერიკო მალე გამოვიდა. თექვსმეტი წლის გოგოს სიმარდით ჩაირბინა კიბე.

— აი, ესეც გასაღებები. —და პატარა გორგოლაზე ასხმული გასაღებები გაუწოდა. — ყველაფერი სარდაფში გვაქვს შეყრილი და, ალბათ, ბარიც იქ იქნება. წავედით, ცოტაზე გამოგყვებით. ვერიკო მძღოლის გვერდით დაჯდა, ელიზბარმა კი უკან დაიკავა ადგილი.

— ლენინის მოედანზე, საჩუქრების მაღაზიასთან! — ბრძანა ვერიკომ.

მძღოლმა უსიტყვოდ დასძრა მანქანა და ჭავჭავაძის პროსპექტისაკენ გაემართა.

ვერიკო ერთი-ორჯერ ელიზბარს გამოელაპარაკა, მძღოლს კი ზედ არ უყურებდა, არაფრად აგდებდა.

მძღოლიც თვალს არიდებდა, ერთთავად გზას გასცქეროდა.

საჩუქრების მაღაზიასთან ვერიკომ მძღოლი გააფრთხილა, ცოტახანს დამელოდეო, და მანქანიდან გადავიდა.

— წასულია ჩვენი საქმე, დღეს რაღაც სეირნობის ხასიათზეა და აქეთ-

იქით სიარულში გამოგვალამებს! — ხმა დაბლა ჩაილაპარაკა მძღოლმა.

— უყვარს მანქანა? — შეეკითხა ელიზბარი.

— ეჰ, მანქანა ვის არ უყვარს, მაგრამ ამისთანა მანქანის გიჟი მეორე არ მინახავს!

მძღოლი, ეტყობა, კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ მაღაზიიდან გამოსულ ვერიკოს შესწრო თვალი და კბილს კბილი დააჭირა.

ვერიკო მარჯვედ ჩახტა მანქანაში და ბრძანა: — მარჯანიშვილის მოედანზე! — და მძღოლისთვის არც ამჯერად შეუხედავს.

საჩუქრების მაღაზიასთან ვერიკო მანქანიდან რომ გადავიდა, მძღოლმა თქვა, აქ დგომა არ შეიძლება, მეორე მხარეს, — „ბორჯომის“ წყლების მაღაზიასთან გავჩერდებიო.

—საცა გინდა, გაჩერდი, ოღონდ როცა გამოვალ, აქ დამხვდი! — უთხრა მკვახედ ვერიკომ და მაღაზიაში შევიდა.

მძღოლმა მანქანა მეორე მხარეს, „ბორჯომის“ წყლების მაღაზიის წინ გააჩერა.

ელიზბარმა და მძღოლმა თითო ჭიქა ბორჯომის წყალი დალიეს, მერე თითო სიგარეტი გააბოლეს. ამასობაში ვერიკოც გამოჩნდა. ხელში რაღაც პატარა შეფუთული ეჭირა.

მძღოლმა მოედანს ირგვლივ შემოუარა და „საჩუქრების“ მაღაზიის წინ შეაჩერა მანქანა.

— ახლა სით, ქალბატონო? — იკითხა მან, როცა ვერიკო მანქანაში ჩაჯდა.

— სტადიონთან! — მიუგო ვერიკომ.

რაკიღა „ნაკადულამდე“ აღარ შეეძლო მანქანის შემობრუნება, ამ სიშორეზე წასვლას მძღოლმა მარჯვნივ ჩახვევა ამჯობინა.

ფსიქიატრიულ საავადმყოფოს გვერდით რომ ჩაუარეს, ვერიკომ მძღოლის გასაგონად უკმაყოფილება გამოთქვა, რაღა ხაგიჟეთის გვერდით დაგვასეირნებო.

ელიზბარს მძღოლის ნათქვამი გაახსენდა, ვერიკო მანქანის [illegible] და გაეღიმა. ვერიკოს კი ეგონა, ჩემი მოსწრებული ნათქვამი მოეწონაო.

— სხვაგან არსად შეიძლებოდა მობრუნება და, აბა, მაშ „ნაკადულზე“ ხომ არ გავიდოდი. — თქვა გამომწვევად მძღოლმა.

— ამ ოღრო-ჩოღრო გზებზე სიარულს, გამზირზე გასეირნება სჯობდა.

„ეს კაი ქალი, ნეტავი ვიღას ემდურის! თუ ქუჩაზე გადასვლა დაეზარა, ეს რაღა ახირება იყო, მანქანა მაღაზიის წინ დამახვედრეო. ხომ შეეძლოთ მანქანა მოედანზე ცოტა უკან გაეჩერებინათ. სულ რაღაც ოციოდე ნაბიჯის გადადგმა მოუხდებოდა ფეხით და აქეთ-იქით ამდენს აღარ იტრიალებდნენ!“ — ფიქრობდა ელიზბარი.

ვერიკო სტადიონთან ელიზბარს გამოემშვიდობა, მძღოლი კი გააფრთხილა, ექვს საათზე მოხვალ ჩემს წასაყვანად, ბაზარზე ვაპირებ გავლას, მწვანილი მაქვს საყიდელიო.

— მადლობა ღმერთს, რახან მთელი ქალაქი არ შემოგვარბენინა! აი დედასა, რანაირი ხალხი არ ცხოვრობს ქვეყანაზე! — მანქანა რომ დასძრა, თქვა მძღოლმა, თან ისე ამოიოხრა, თითქოს გულში დიდიხნის დაგროვილი ბოღმა თან ამოაყოლაო. — რაღაც ოთხი წელია ამ მანქანაზე ვმუშაობ და რაც მე წვალება გამოვიარე, ომში არ გადამხდომია. ქალბატონი ფეხმძიმედ რომ იყო, მთელი დღე სახლის წინ მამორიგეებდნენ, ვითომ მუცელი რომ ასტკივდებოდა, მანქანა საძებნელი არ გახდომოდათ. ჯანაბას, ამას არაფრად ჩავთვლიდი, საწყენი ის იყო, ბოლოს, თითქოს განგებ, საქმე ისეააწყეს, როცა მუცელი ასტკივდა, მე გურჯაანში გამამწესეს, ის კი სამშობიაროში სხვა მანქანით წაიყვანეს. ორი კვირა ცისმარე დღე დიმიტრი სამშობიაროში დადიოდა. საათობით იჯდა ცოლთან, მე კი გარეთ ვუყურყუტებდი. როცა მელოგინე გამოწერეს, იმ დღეს ავჭალაში გამაგზავნეს და მერე კი მე დამადანა-

შაულეს, დროზე არ მოხვედი და იძულებული გავხდით ტაქსი დაგვექირავებინაო. ასეთი ხალხი არ მინახავს, ვგიჟდები, რა!

„თუ ბავშვი აყვანილი ჰყავთ, მაშ ვერიკომ სამშობიაროში როგორღა ილოგინა?!“—ფიქრობდა ელიზბარი. მძღოლისათვის კითხვაც კი დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა, განა ჩემთვის სულ ერთი არ არის, გინდა ასე იყოს, გინდა ისეო?! იქნებ საიდუმლოდ ინახავენ და, რა ჩემი საქმეა, მე რად უნდა გავახმაურო ეს ამბავიო.

მანქანა ორსართულიანი სახლის წინ შეჩერდა.

— მოვედით! — თქვა მძღოლმა.

ელიზბარი მანქანიდან რომ გადავიდა, მძღოლმა ჩაილაპარაკა, წავალ, უფროსს ჩავხედავ, თორემ, ისეთი ბედი მაქვს, მე გამინაწყენდება, აქამდი სადა ხარო.

სახლი მაღლობზე იდგა. სამმხრივ ღია აივანი ჰქონდა. კარ-მიდამოსთვის რკინის ბოძებზე გაბმული მსხვილი მავთულის ბადე შემოევლოთ. ჭიშკრიდან სახლამდე თეთრი მარმარილოს განიერი კიბე ასდევდა. მარმარილოსრიკურებიან მოაჯირს მარმარილოსავე უშველებელი ვაზები ამშვენებდა. ვაზებში ჩარჩენილი გამხმარი ღეროები მოწმობდნენ, რომ შიგ ყვავილებს თესავდნენ. სახლის ერთ მხარეს ხეხილი დაერგოთ, მეორე მხარეს ვაზი ჩაეყარათ. სახლის უკან შადრევანი ამოჩუხჩუხებდა. აუზში თევზები დაცურავდნენ.

ჯერ ვენახის დაბარვა გადაწყვიტა, რადგან კვირტმოწოლილი ვაზისათვის ძირების გამობარვა მადლი იყო.

მოღრუბლული დღე იყო, მთებიდან გრილი ქარი უბერავდა.

ელიზბარი ხალისით ბარავდა. საფერფულზე ღონივრად ურტყამდა ფეხს და მარჯვედ გადმობრუნებულ ვეება ბელტებს ბარის პირით აფხვიერებდა.

სამი-ოთხი საათი თავაუღებლივ იმუშავა და ვენახის თითქმის ორიმესამედი მოათავა. მისი ვარაუდით უკვე დღის ოთხი საათი იყო და გადაწყვიტა საქმეზე ხელი აეღო. როგორმე ცოლისათვის უნდა დაესწრო სახლში მისვლა და არ გაეგებინებია, რომ მთელი დღე მარგალიტას ამარა ჰყავდა ბავშვი მიტოვებული.

ფეხსაცმელები დაიწმინდა, ტანსაცმელი გაისუფთავა, ონკანზე ხელ-პირი დაიბანა, დაკეტა ჭიშკარი და ავტობუსის გაჩერებისაკენ გასწია. დიდხანს არ დასჭირვებია ლოდინი. ოც-ოცდახუთ წუთში ავტობუსით თბილისში ჩავიდა. სოფლის მეურნეობის ინსტიტუტთან ჩამოხტა და ხუთს რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, უკვე შინ იყო.

გიამ დერეფანში შესული მამა დაინახა თუ არა, ხელები გაშალა და მისკენ გაიქცა ტიტინით:

— მამიკო, რატომ მალე არ მოხვედი!

— რა ვქნა, შვილო, საქმე გამომიჩნდა! — მიუგო ელიზბარმა, ბიჭი ხელში აიტაცა და ფუნჩულა ლოყები დაუკოცნა.

— კარგი ბებიკოა... რძე დამალევინა, კაკაც მაჭამა, გარეთაც გამიყვანა! — ისე ეუბნებოდა მამას გია, თითქოს ნიშნს უგებსო.

— გიაც კარგი ბიჭია, ყველაფერს მიგონებდა, არც უტირია! — სამზარეულოდან გამოსძახა მარგალიტამ.

ელიზბარმა ფაციფუცით შეჭამა ერთი მათლაფა რძის ფლავი. მერე მარგალიტასთან მოიმიზეზა, მაღაზიაში მივირბენ, ბულგარულ კონსერვებს ელოდებიანო, და ფრთხილად გავიდა გარეთ.

ის მართლაც სასურსათო მაღაზიაში გაიქცა და ავტომატიდან დიმიტრის ოჯახში დარეკა.

— დიხ, დიახ! — გაისმა ყურმილში ვერიკოს მეტისმეტად განაზებული ხმა.

— ეს მე ვარ... — დაიწყო ელიზბარმა, მაგრამ ვერიკომ სიტყვის თქმა აღარ აცალა:

— დიახ, დიახ, გენაცვალე! ისევ იქ მეგულებოდი, ადრე წამოსულხარ!

— შინ არ იცოდნენ და იმიტომ წამოვედი ადრე!

— ხვალ როდემდე იმუშავებ?

— როგორ გითხრათ? სანამ სულ არ მოვათავებ, იქ ვიქნები! ქალბატონო, იმიტომ შეგაწუხე, არ ვიცი, გასაღები მოვიტანო, თუ მე მქონდეს?

— რატომ უნდა იწვალო, გასაღები შენთან იყოს! ჰო, მართლა, ხვალ რითი აპირებ წყნეთში ასვლას?

— ავტობუსით!

— კარგი, გენაცვალე!

— ბოდიში, ქალბატონო, კარგად ბრძანდებოდე!

— შენც კარგად იყავი, გენაცვალე!

ის იყო ვერიკომ ტელეფონის მილი დადო, რომ ოთახში დიმიტრი შევიდა.

— მოხვედი! — შესძახა ცოლმა, ქმართან მიირბინა, ყელზე შემოეხვია და ლოყები დაუკოცნა.

— შემოგევლე, ასე გაგეხარდა ჩემი მოსვლა?!

— დიახაც, რომ გამეხარდა! — მიუგო ვერიკომ და კიდევ ერთხელ დაუკოცნა ქმარს ლოყები.

ხვევნა-ალერსით გული რომ იჯერეს, ცოლმა თქვა:

— ჰო, იმან დარეკა!

— ვინ იმან?

— წყნეთში ბაღს რომ ვაბარვინებთ!

— ჩვენს სისტემაში მუშაობდა, გაათავისუფლეს. რახანია მიტორლიალებს. ვერიდებოდი, მაგრამ გუშინ უცებ წინ შემეფეთა. თავი შემაბრალა, მიჭირს, დამეხმარეო! მეც ავდექი და ჯერჯერობით ეს საქმე გავუჩინე!

— რატომ გაათავისუფლეს?!

— წერა ჰყვარებია!

— რას წერს, ლექსებს თუ მოთხრობებს?

ქმარი გულიანად ახარხარდა, შემოგევლე, პატარა ბავშვივით გაუგებარი და გულუბრყვილო ხარო.

— აბა, მაშ, რას წერს? — ენა მოიჩლიქა,ვითომდა ქმრის სიტყვებით განაწყენებულმა ვერიკომ.

— რას და, ანონიმურ განცხადებებს! ის კი არა, იმისიც მეშინია, ოჯახში ასე რომ ჩავახედე, მეც არ მეჩივლოს.

— ეს ყველაფერი ზღაპარია. რატომღაც მგონია, რომ იგი წესიერი, ალალმართალი ახალგაზრდაა. თანაც ჩვენ ხომ მისთვის არაფერი დაგვიშავებია?! მაშ, ანონიმური წერილი რატომ უნდა დაგვიწეროს?

— რას გაიგებ, შემოგევლე, რაღანაირი ხალხი არ ცხოვრობს ქვეყანაზე. ასეა თუ ისე, სიფრთხილეს თავი არ სტკივა. სჯობია გასამრჯელო ცოტა მეტი მივცეთ. უჭირს და ყველაზე უფრო ამით მოვიგებთ მის გულს. ხვალ მე ვერ მოვიცლი, იქნებ შენ აირბინო წყნეთში. მითხარი, მანქანა რა დროს გამოგიგზავნო?!

—არ მინდა, ავტობუსით წავალ.

— როგორ გეკადრება, შემოგევლე. სხვა რომ არაფერი, ხალხი დაგვცინებს, ეს როგორი უფროსის ცოლია, ავტობუსს ჩამოკონწიალებიაო!

— შენი უჟმური მძღოლის გვერდით ჯდომას ხალხის დაცინვა მირჩევნია. თავი ისე მოაქვს, თითქოს მანქანა ჩვენი კი არა, მისი საკუთრება იყოს. რა გახდა, რითი ვერ მოიცილე ეგ საზიზღარი თავიდან.?!

— რა ვქნა, შემოგევლე, არაფერს აშავებს და როგორ მოვხსნა?!

— ასეთი უშნო როგორ ხარ, მძღოლი თავიდან ვერ მოგიცილებია. შე კაი კაცო, სწორედ ავტოინსპექტორებს სთხოვე, მიზეზს ისინი უპოვნიან.

— რაკიღა შენ ასე ხარ მოწადინებული, ცოტა დამაცადე, ამ საკითხსაც მოვაგვარებ. მაშ, ხვალ ტაქსით მაინც წადი. ხომ იცი, ყარაული ოცდახუთ მანეთს მთხოვდა, მაგას ორმოცი მიეცი. ოღონდ ღრმად დაბაროს! — და უცებ ხელი ჩაიქნია. — რა გულმავიწყი გავხდი! ამ საღამოს საჰაერო ბურთების საამქროს გამგესთან ვარ დაპატიჟებული! შემოგევლე, მთავარი სამმართველოს უფროსიც იქნება.

— რა ამბავია, კოტემაც ხომ დაწინაურება არ მოინდომა?!

— ეტყობა, ჩემი ადგილი აქვს გულში.

— მერე შენა!

— მე წინ წავალ!

— ეს რა სასიხარულო ამბავი მითხარი! — ტაში შემოჰკრა ვერიკომ. — მერე რას გაჩუმებულხარ, რატომ არაფერს მეუბნები!

— აი, ხომ გითხარი! რა უნდა დაგიმალო და, ეს იმიტომ უფრო მინდა, რომ სარწმუნო წყაროებიდან გავიგე, თურმე ჩვენს სამმართველოს აუქმებენ. მეშინია, რიყეზე არ დავრჩე. მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეობიდან კი არ დავიკარგები.

— დარდი ნუ გაქვს, მთავარი სამმართველოს უფროსს რასაც ვთხოვ, ყველაფერს შემისრულებს.

— აგაშენა!

— მხოლოდ ის მაფიქრებს, ვაითუ ზემოდან მხარი არ დაგიჭირონ?!

— გადამწყვეტი სიტყვა მთავარი სამმართველოს უფროსს ეკუთვნის. მის კანდიდატურას წინ არაფერი დაუდგება.

— მაშ დაიმედებული იყავი, ყველაფერს გავაკეთებ!

შემდეგ ცოლ-ქმარმა დავა დაიწყეს, თუ რომელი ტანსაცმელი ჩაეცვათ.

დიმიტრის საკითხი მაშინვე გადაწყდა, რადგან ვერიკოსათვის სულერთი იყო, როგორ გამოეწყობოდა მისი ქმარი. დიმიტრი კი თავს იტეხდა არჩევანით, ხან რომელ კაბას დაადებდა ხელს, ხან რომელს. ცოლი კი ყველას იწუნებდა. ბოლოს ვერიკომ დაიჟინა, ინგლისურ ნაქსოვ კაბას ჩავიცვამ, ჯერ არ მცმია და რიღასთვის ვინახავო. ქმარი უარობდა, ყორსეს კაბა სჯობია. უფრო გშვენის და, რაც მთავარია, ძალიან გაახალგაზრდავებსო.

როგორც ყოველთვის, ალბათ, ამჯერადაც ცოლი თავისას გაიყვანდა, მაგრამ ისე დიდად ესიამოვნა ქმრის ნათქვამი, ყორსეს კაბა გაახალგაზრდავებსო, მაშინვე კარადიდან გამოიღო და ჩაიცვა, სარკის წინ შეტრიალ-შემოტრიალდა და ყველა მხრიდან შეათვალიერა თავისი მოხდენილი ტანი.

— ოჰ, რა ლამაზი ხარ, შემოგევლე!— დიმიტრი ცოლს გარს უვლიდა,

— შენ ის მითხარი, კაბა როგორ მადგია? — იკითხა ქედმაღლურად ქმრის ქათინაურით წათამამებულმა ვერიკომ.

— კარგად, ძალიან კარგად!

— თითქოს ახალგაზრდაც ვჩანვარ!

— თექვსმეტი წლის ქალიშვილსა გავხარ, შემოგევლე!

— მერე ცოტა მოკლე არ არის?! სულ შენი ბრალია. ნეტავი მე სულელმა, მკერავთან რას წაგიყვანე, აიჩემე, გრძელია, გრძელიო, მეც ავდექი და დავამოკლებინე.

— რას ამბობ, შემოგევლე, თუ მე მკითხავ, ცოტა გრძელიცაა. ახლა მოკლე კაბების მოდაა!

ვერიკომ სარკეში შეამოწმა კაბის სიგრძე და თქვა:

— ამაზე მოკლე რაღა უნდა იყოს, სკამზე რომ ვჯდები, მუხლისთავებიდან ერთ მტკაველზე იწევს! — და ვერიკო თავის ნათქვამის დასადასტურებლად დივანზე დაჯდა. ისედაც მოკლე კაბა კიდევ უფრო დაუმოკლდა.

კაბის საკითხი რომ გადაწყდა, მერე ტუალეტს შეუდგა ვერიკო. უწინარეს ყოვლისა, ოყნა გაიკეთა, რათა კუჭნაწლავი განეტვირთა, რომ ბანდაჟი კარგად მორგებოდა და ვიწრო კაბაში მუცელი არ დამჩნეოდა. მერე ნუშის ზეთით შეზავებული ცხელი აბაზანა მიიღო. ხელ-პირი რძით დაიბანა, ათასნაირი ფერ-უმარილით დაიზილა, წარბწამწამი შეიღება და მთელ ტანზე ფრანგული სუნამო უხვად იპკურა.

დიმიტრიმ წასვლისას ცოლი თავით-ფეხებამდე შეათვალიერა და აღტაცებით თქვა:

— შენი ბადალი ქალი ვახშამზე არ იქნება! — და კმაყოფილების ნიშნად ორივე ხელის თითები დაუკოცნა.

მართლაც, ვერიკო სუფრის თვალი იყო.

მამაკაცები ალტაცებას ვერ მალავდნენ. თვალ-წარბში შესციცინებდნენ. ქათინაურებით ამკობდნენ. სამაგიეროდ მათი ცოლები მისადმი შურითა და სიძულვილით იმსჭვალებოდნენ. ვერიკო კი იმათ ჯიბრზე სულ უფრო კეკლუცობდა, ნებივრობდა. თანაც მამაკაცებს იმ დაუფარავი ალერსით უმზერდა, ქალები რომ თავიანთ გულის რჩეულთ აჯილდოებენ.

რაც უფრო მხიარულდებოდა ვერიკო, მით უფრო ნაღვლიანდებოდა მის გვერდში მჯდომი დიმიტრი.

— ცოლი სჯობია ქმარს! იმის მაგივრად, რომ ქმარი ამაყობდეს, რატომღაც სახე ჩამოსტირის! — ჩასჩურჩულა დიასახლისმა ოჯახის უფროსს.

საჰაერო ბურთების საამქროს გამგემ მხრები აიჩეჩა:

—აქ რაღაც ამბავია?! ვაითუ, დიმიტრი მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ აღარ გადაჰყავთ! ნუთუ ეს ამოდენა ხარჯი წყალში გადავყარე?!

საქმე კი იმაში გახლდათ, რომ არ მოვიდა ის, ვისი ეშხითაც იყო დიმიტრი ვახშამზე მოსული. მასპინძელივით მასაც ცალი თვალი შემოსასვლელისაკენ ეჭირა. კარი გაიღებოდა თუ არა, სუნთქვა ეკვროდა, თვალებს აცეცებდა, მაგრამ მთავარი სამმართველოს უფროსი არა და არ გამოჩნდა.

მასპინძელი დაბეჯითებით ამბობდა, მთავარი სამმართველოს უფროსი არ დამაღალატებს, უთუოდ მოვა, ცოტა უნდა დავიცადოთო.

კაცები ნარდს მიუსხდნენ. ქალებმა ლოტო გააჩაღეს.

რაკილა სამსახურიდან მოსულ ზოგიერთ სტუმარს ჯერ არ ესადილა, დიასახლისმა მათ ცხელ-ცხელი ხაჭაპურები მიართვა, უარობდნენ არ გვინდა, მოვითმენთო, მაგრამ დიასახლისი სამზარეულოში შებრუნდა თუ არა, ყველამ ხაჭაპურს წაატანა ხელი. მარტო ისინი კი არა, ვინც ამბობდა, დილას აქეთ პირში ლუკმა არ ჩაგვიდვიაო, სხვებიც მიეძალნენ ხაჭაპურს და, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, კუჭს ბოძი შეუყენეს.

დიასახლისმა კიდევ ორჯერ გამოიტანა ხაჭაპური და ორჯერვე ისე აასუფთავეს ლანგარი, ნამცეციც არ დატოვეს.

კაცებს კამათლების გორებით ხელები დასწყდათ, შეძახილებით ხმა წაერთვათ. ქალებს რიცხვების ძებნით თვალები დაელალათ.

სტუმრები მაინც მოთმინებით ელოდნენ, თუმცა ხანდახან მასპინძელს დაცინვით გადახედავდნენ ხოლმე, და ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ, მთავარი სამმართველოს უფროსი აქ მომსვლელი აღარ არის და გათენებამდე ხომ არ უნდა გვაყურყუტონო.

ღამის პირველის ნახევარზე საჰაერო ბურთების საამქროს ინჟინერმა ნაღვლიანად წაილაპარაკა:

— მგონი აღარ მოვა!

— რატომ გგონია? — იკითხა რამდენიმე კაცმა ერთდროულად.

— ახლა უკვე კვირაა და შაბათს დაპატიჟებული კაცი რაღა პირით გეწვევა!

ყველა დიმიტრის მიაჩერდა, თანამდებობით ის იყო უფროსი და აქაც გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნოდა.

— უფროსი არ მოდის, მაგრამ ჩვენ ხომ არაფერი დაგვიშავებია? მაშ რატომ ვიკლებთ საიმოვნებას, მაგიდებს მივუსხდეთ! — თქვა დიმიტრიმ.

ვინ იცის, რამდენჯერ აუწერიათ ღრეობა და დროსტარება?! ამიტომ თავს არ შეგაწყენთ იმის გადმოცემით, თუ როგორ შეესივნენ ლოდინით გულგადალეული სტუმრები თევზეულს, შემწვარ წიწილებს, ცივად მოხარშულ დედლებს, დაბრაწულ გოჭის ხორცს.

მასპინძელმა თამადად დიმიტრი დაასახელა. რაკილა თანამდებობით უფროსი იყო, აქაც უპირატესობა მის მხარეზე იყო.

სტუმრებმა ერთხმად შესძახეს, დიმიტრის გაუმარჯოს, დიმიტრიზე უკეთ

სუფრას ვინ გაუძლვებაო, და მქუხარე ტაში დასცხეს.

მასპინძლის გვერდით ადგილობრივი-მრეწველობის მექანიკური საამქროს გამგე იჯდა. შუახნის კაცი იყო, დაბა-ლი, ჯმუხი. თავაუღებლივ ჭამდა. ვინც უნდა დალაპარაკებოდა, სულ ერთია, ეკითხებოდნენ თუ არა რაიმეს, ყველას თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა. მისი შემყურე კაცი იფიქრებდა, გაუთავებე-ლი ქნევით გახდომია თავი ნესვისებუ-რიო. მხოლოდ ერთი-ორჯერ წაილაპა-რაკა მასპინძლის გასაგონად:

— რა ვქნა, ჭამა მიყვარს, ჭამა! ღმერთს ჭამა რომ არ დაეწესებინა, შა-ური არ ეღირებოდა წუთისოფელი.

მასპინძელი ნაძალადევი ღიმილით ეუბნებოდა, შეგერგოს, კუკური, შე-გერგოს. გულში კი ბრაზობდა, ეს კაი კაცი, მტრის ოჯახში ხომ არ არისო. თუ მე არ მზოგავს, თავის თავი მაინც დაზოგოს, ამალამ ან როგორ დაიძი-ნებს, ან ამოდენა საჭმელს როგორ მოინელებსო.

ბოლოს ველარ მოითმინა და კუკურს ესლა უთხრა:

— ბედნიერი კაცი ხარ, მე რომ ამ-დენი ვჭამო, ღამეს ველარ გავათენებ.

კუკურიმ ქაღალდის ხელსაწმენდით პირი მოიწმინდა, ხელები გაბერილ მუ-ცელზე შემოიწყო და თქვა:

— აი, მე ეს მესმის! თუ გამაძღარი არ დავწექი, მთელი ღამე ფერდებში უსიამოვნებას ვგრძნობ. ამაღამ კი მკვდარივით დამეძინება!

დიასახლისმა მრგვალი ლანგრით ხინკალი შემოიტანა.

ქალები ხინკალს ახლო არ გაეკარ-ნენ. რაკიღა ვერიკომ უარი თქვა, მისი მიბაძვით სხვებმაც ალარ გადაიღეს.

კაცები კი უმალ წაეტანენ. ცხელი ხინკლით პირი რომ დაიგემოვნეს, დია-სახლისი შეაქეს, დიდებული ხინკლის გაკეთება გცოდნიაო.

ქათინაურებით ფრთაშესხმული დია-სახლისი მაგიდას გარს უვლიდა, სტუმ-რებს აძალებდა, მიირთვით, მიირთვით, მეორე ქვაბ ხინკალს კიდევ ვხარშავო, თან სამზარეულოსაკენ იხედებოდა, შექეიფიანებულ მზარეულს ღმერთი არ გაუწყრეს, ხინკალი თვითონ არ შეჭ[illegible] მოიტანოს და არ შემარცხვინოსო.

— აი, მე ეს მესმის! — ამბობდა კუ-კური, ხინკალს ხინკალზე ილებდა და პირს არ აჩერებდა. როცა ლანგარი და-ცარიელდა, ხელები ისევ მუცელზე შე-მოიწყო და კიდევ ერთხელ ჩაილაპარა-კა, აი, მე ეს მესმისო.

ამასობაში ხინკალი ხელმეორედ გა-მოიტანეს.

კუკურიმ ორიოდე ხინკალი კიდევ შეჭამა და ამჯერად მოწონების ნიშნად მხოლოდ თავი ჩაიქნია, რადგან სუნთ-ქვა უჭირდა და ლაპარაკი აღარ შეეძ-ლო.

მისი ღორმუცლობით გულმოსულმა მასპინძელმა ყასიდად უთხრა:

— კუკური პავლოვიჩ, რას მოიწყი-ნე, მიირთვი!

— საკმარისია, უკვე თორმეტი ხინ-კალი შევჭამე.

— თორმეტი კი არა, ოცდაათი იყო. ოღონდ ნუ მომატყუებ და თუგინდ ერთი ამდენი კიდევ შეჭამე, ღმერთმა შეგარგოს, ესაა ბიჭობა!

სტუმრები კარგა გემოზე შექეიფია-ნებული იყვნენ, რომ ქუჩაში მანქანის უცხოური სიგნალის ხმა გაისმა.

— ის არის! — ფეხზე წამოიჭრა რა-მდენიმე კაცი.

— ვინ ის? — იკითხა ვილაცამ.

— მთავარი სამმართველოს უფრო-სი!

მასპინძელმა ხმამაღლა შესძახა:

— ესაა ბიჭობა! ესაა ბიჭობა! — და გარეთ გავარდა.

ფეხდაფეხ ცოლი გამოედევნა ყვი-რილით:

— კოტე, კოტე, ჭიშკარი გახსენი, მანქანა ეზოში გააჩერონ!

მთავარი სამმართველოს უფროსი ცოლისძმისა და მძღოლის თანხლებით შემოვიდა. ფეხზე ამდგარ სტუმრებს ხელის აწევით მიესალმა და მიმართა:

— ბოდიშს ვიხდი დაგვიანებისათვის, დაბრძანდით! — მერე მაგიდას ირგვ-

ლივ შემოუარა და ყველა მანდილოსანს ხელზე აკოცა.

ამასობაში მაგიდის თავში სამი ადგილი გაათავისუფლეს.

დიასახლისმა სუფთა თეფშები, ჭიქები, დანა-ჩანგალი და გაქათქათებული ხელსახოცები შემოარბენინა.

მთავარი სამმართველოს უფროსი დაჯდა. აქეთ-იქით მძღოლი და ცოლისძმა მოუსხდნენ.

მამაკაცები ისევ ფეხზე იდგნენ. ზოგი მთავარი სამმართველოს უფროსსა და მის თანხლებ პირებს საჭმელს აწვდიდა, ზოგი ღვინოს უსხამდა, ზოგიც მხოლოდ ზრდილობის გულისათვის არ ჯდებოდა.

— კეთილი, კეთილი! — გაიძახოდა მთავარი სამმართველოს უფროსი.

მისი ცოლისძმა და მძღოლი კი შუბლშეკრული ისხდნენ, თითქოს ეს ყველაფერი ასე უნდა ყოფილიყო და ესოდენ დიდ პატივისცემას არაფრად სთვლიდნენ.

არც მთავარი სამმართველოს უფროსი, არც მისი თანხლები პირნი უარს არაფერზე ამბობდნენ, რაც კი მიაწოდეს, ყველაფერი გადაიღეს და თეფშებზე ხორცეული დაახორავეს.

როცა თავაზიანობის ცერემონიები მოთავდა, მამაკაცები დასხდნენ, მთავარი სამმართველოს უფროსი კი წამოდგა. იმავე წამს კაცებმა იხუვლეს და ყოჩაღი ჯარისკაცებივით გამოიჭიმნენ.

— დასხედით! — თითქოს ბრძანება გასცაო, ერთბაშად შესძახა მთავარი სამმართველოს უფროსმა, მაგრამ არავინ დამჯდარა.

— სად გაგონილა, თქვენ ფეხზე იდგეთ, ჩვენ კი ვისხდეთ! — ამბობდნენ სტუმრები.

— მაშინ მეც დავჯდები! — თქვა მთავარი სამმართველოს უფროსმა და სკამზე დაეშვა.

სტუმრებიც დასხდნენ, მაგრამ წამოდგა თუ არა მთავარი სამმართველოს უფროსი, კაცებიც იმწამსვე წამოიშალნენ.

— კეთილი! — თქვა დიდად საპატიო სტუმარმა, ღვინით სავსე ჭიქა აიღო, ჯერ გამოსცალა, მერე კი წაილაპარაკა, ეს თქვენ მიერ წარმოთქმულ სადღეგრძელოებს გაუმარჯოსო, და უმალ დაჯდა.

— აი, სადღეგრძელო ამას ჰქვია! — შესძახა რამდენიმე კაცმა.

— სუფრას ეშხი მოემატა, ღვინოს — გემო! — ამბობდნენ მეორენი.

— იცოცხლე, იხარე, იდღეგრძელე! — გაიძახოდნენ სხვები.

ცოლისძმამ და მძღოლმა ულაპარაკოდ შესვეს სადღეგრძელო. თამადამ ვეებერთელა ყანწები მოითხოვა. ერთი მასპინძელს ესროლა, მეორე კი ღვინით გაალიცლიცა და მაღლა შემართა:

— მეგობრებო, მე მინდა შემოგთავაზოთ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი სადღეგრძელო. გაუმარჯოს გივი სიმონიჩს, უშესანიშნავეს ადამიანს, თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეს, ერის და ხალხის დიდ მოამაგეს! მაშ, როგორ! არ შემიძლია ორიოდე სიტყვით არ აღვნიშნო გივი სიმონიჩის დამსახურება ხალხისა და სახელმწიფოს წინაშე. მაშ, როგორ?! — თამადა ჩაფიქრდა, თითქოს სათქმელი მოფიქრებული აქვს, მაგრამ აზრის უკეთ ჩამოსაყალიბებლად სიტყვებს ეძებსო, და უფრო რიხიანად განაგრძო. — მაშ, როგორ, ამხანაგებო, გივი სიმონიჩს დიდი დამსახურება აქვს! — ისევ შეჩერდა. დაფასთან გასულ მოწაფესავით აქეთ-იქით იხედებოდა, თითქოს თანამესუფრეებს ანიშნებდა, სათქმელი დამავიწყდა და მიკარნახეთო.

ყველას უნდოდა ეკარნახა, დახმარებოდა თამადას. იმიტომ კი არა, რომ დიმიტრის შველა ეწადათ, არა! გივი სიმონიჩთან თავის გამოჩენა უნდოდათ, მაგრამ სათქმელი არაფერი ჰქონდათ და კრიჭაშეკრულნი ისხდნენ.

თამადამ, დრო რომ მოეგო, თათბირზე გამომუშავებულ ხერხს მიმართა, მაგიდაზე ღონივრად დასცხო მუშტი და აყვირდა:

— გაჩუმდით, გაჩუმდით!

სტუმრები გაინაბნენ, ბუზი რომ გაფ-

რენილიყო გაიგონებდით, მაგრამ დიმიტრი მაინც ყვიროდა:

— გაჩუმდით, გაჩუმდით!

— შე კაი კაცო, კრინტს არ ვძრავთ, გვითხარი, რა გინდა?! — წაილაპარაკა ვილაცამ.

— მაშ, როგორ! — იწყინა დიმიტრიმ, — მაშ სიმართლეს არ ვლაპარაკობ? გივი სიმონიჩი შესანიშნავი ადამიანია, დიდი სახელმწიფო მოღვაწე! მინისტრის ტოლი კაცია! მაშ, როგორ!

— როგორ გეკადრება, მინისტრზე მეტია! — შესძახა მექანიკური საამქროს გამგემ.

— დიახ, მინისტრზე მეტია! — დაუდასტურა დიმიტრიმ.

— მეგობრებო, არ ხართ მართალი, არც მინისტრის ტოლი ვარ, არც იმაზე მეტი! — თქვა გივი სიმონიჩმა და ვითომ ხუმრობით დაუმატა, — მინისტრი ვარ, მორჩა და გათავდა, მინისტრი! — და მედიდურად გადახედა სტუმრებს.

— მინისტრია, მინისტრი! — შესძახა დიმიტრიმ.

— ასეა, ასეა, ვაშაა! — ტაშისკვრით აყვირდნენ სტუმრები.

მთავარი სამმართველოს უფროსი ფეხზე წამოდგა, ქალს თუ კაცს ხელით კოცნა გაუგზავნა. მერე ღვინით სავსე ჭიქა აიღო, თამადასთან მივიდა, ყანწზე მიუჯახუნა და მადლობა გადაუხადა, სხვებსაც ასე უხდიდა მადლობას და ჭიქას ჭიქაზე ურტყამდა. ქალებს კი დამატებით ხელზე ჰკოცნიდა და ქათინაურებით ამკობდა.

ვერიკოსაც ხელზე აკოცა, თან წასჩურჩულა:

— მადლობელი ვარ, მაგრამ უნდა გისაყვედურო, ასე რატომ მიმივიწყე.

ვერიკომ სტუმრებს მედიდურად თვალი მოავლო და ამაყად წარმოსთქვა:

— გმადლობ, ბატონო! — მერე უცებ ხმას ისე დაუწია, მთავარი სამმართველოს უფროსის გარდა, სხვა არავის გაუგია მისი სიტყვები, — ორ-სამ დღეში უსათუოდ გინახულებ!

— დიდად მასიამოვნებთ, ლამაზო!

გათენებამდე გაგრძელდა ლრეობა.

მთავარი სამმართველოს უფროსი ვერიკოს გულისყურით უსმენდა, ქათინაურებით ამკობდა.

ფრთებშესხმული ვერიკო ზეიმობდა, ნებივრობდა, ლაღობდა, გულიანად იცინოდა.

ქალები ვერიკოს წარმატებით შურით ივსებოდნენ. მათი ქმრები კი ვერიკოს ალერსითა და სიყვარულით უჭვრეტდნენ, რის საზღაურადაც ვერიკოს სილამაზით დაჩაგრული ცოლები ბარძაყზე ჩქმეტდნენ და ფერდში ნიდაყვს ურტყამდნენ.

დიმიტრის ისე ეჭირა თავი, ვითომ ბაიბურში არ იყო და, ყველაფერ ამას ნორმალურად თვლიდა.

შინ რომ დაბრუნდნენ, არც მაშინ უგრძნობინებია ცოლისათვის რაიმე უკმაყოფილება. პირიქით, ეფერებოდა, ეალერსებოდა, ძვირფას საჩუქრებს ჰპირდებოდა. ვახშამზე ჩამოაგდო სიტყვა და, სხვათა შორის, ესეც თქვა:

— კარგ გუნებაზე იყო გივი სიმონიჩი. ის რომ არ მოსულიყო, გათენებამდე სუფრაზე რა გაგვაჩერებდა, რა ფასი ექნებოდა ჩვენს დროს ტარებას!

— მერე რა მხიარული, ლხინის მოყვარული ადამიანია! მიკვირს, ეს კაცი ყოველმხრივ ასე როგორ არის შემკული!

— აბა, მაშ რისი მთავარი სამმართველოს უფროსია, შემოგევლე, ჰო, მართლა რას გეჩურჩულებოდა?

— ისეთს არაფერს... ნუთუ ჩემი თავი ერთხელ მაინც არ დაგეჭირდა, რატომ არაფერზე მომაკითხავო.

— მერე შენ რა უთხარი?

— შევპირდი, ამ დღეებში უთუოდ გინახულებ-მეთქი.

— ბარემ ხვალ დღის ბოლოს მიდი. უთხარი, ტელეფონით მოსვენებას არ გვაძლევენ, გაუთავებლივ რეკავენ... დიმიტრის დაწინაურებას ულოცავენ-თქო.

— ვეტყვი, მაგრამ ვითომ გამოვა რამე?!

— არის შანსები... ახლა ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული... აბა, შენ იცი, როგორ ელაპარაკები. ისიც უთხარი, ჩემს ქმარს გაგიჟებით უყვარხართქო. ამბობს, გივი სიმონიჩი დიდებული ადამიანია, საქმით იწვის, გასაოცარი ორგანიზატორია-თქო. ისიც გააგებინე, ჩვენს ოჯახში ორი ჭიქა ღვინო არ დაილევა, რომ თქვენი სადღეგრძელო არ შეისვას-თქო. ერთი სიტყვით, ვერიკო, შენ იცი და შენმა ქალობამ, ბევრი რამ არის შენზე დამოკიდებული. როგორც უკვე გითხარი, სჯობია სამუშაოს დამთავრებისას მიხვიდე.

— ვითომ რატომ?

— მაშინ უფრო ყურადღებით მოგისმენს. თან იქნებ... — იმის თქმა უნდოდა, თან იქნებ მანქანით სახლამდე მოგაცილოს და ჩვენს მტრებსა და ავადმახსენებლებს თვალები დაუბრმაოო, მაგრამ თავი შეიკავა, ვაითუ, მეზობლებმა ჩემი ცოლი გაჭორონო, და სიტყვა ასე გადააკეთა: დილით შეიძლება დაკავებული იყოს და ლოდინი არ მოგიხდესო.

— დარდი ნუ გაქვს, თვითონვე მითხრა, ჩემი კაბინეტის კარი შენთვის ყოველთვის ღიააო!

მამაკაცები ისე გვანან ერთმანეთს, თითქოს ერთი დედ-მამის შვილები იყვნენ. ისინი აშკარად, თუ ფარულად ეტრფიან, მის ხელში ჩაგდებას ლამობენ. სანებლიძის ყოველ გამოხედვაში კი, მისი მზერის სურვილთან, თითქოს მის სულში ჩაძრომის სურვილიც იგრძნობა. ამ კაცისა ვერაფერი გაუგია, ხან გულს არ უჩვენებს, გაურბის, ახლო არ ეკარება. ხან კი ერთთავად მის ირგვლივ ტრიალებს, აღარ იცის, რით ასიამოვნოს, ლამის ფეხქვეშ გაეგოს, გულში ჩაისვას. რაღაც ათიოდე დღის წინ გულგრილად ექცეოდა, თვალს არიდებდა. ასისტენტს კი აქეთ-იქით დაასეირნებდა, ქათინაურებით ამკობდა. ნუთუ სანებლიძე ამას მოსაჩვენებლად, მის ჯიბრზე აკეთებდა! ამის გამო ხომ არც უსაყვედურებია, არც ქარაგმულად უთქვამს რაიმე, მაგრამ ლადი თითქოს ყველაფერს თავისით მიხვდა. ასისტენტს ზურგი შეაქცია, ახლო აღარ გაიკარა, და ამით ერთხელ კიდევ მოიგო მისი გული. თვითონაც არ იცის რა ემართება. არაერთხელ უთქვამს, ამ კაცს უნდა მოვერიდო, თავი შორს დავიჭირო, თორემ მასთან სიახლოვე კარგს არაფერს მიქადისო. მაგრამ სანებლიძეს მაინც ვერ ელევა! ერთთავად მისკენ მიუწევს გული. იმასაც გრძნობს, როგორ იმსჭვალება მისადმი სიმპათიით, კეთილი სურვილებით. არ შეუძლია მის ალერსიან გამოხედვას მომღიმარე თვალები არ შეაგებოს! განა არ იცის, რომ გათხოვილ ქალს ეს არ შეშვენის?! რა ჰქნას, სხვანაირადაც რომ არ შეუძლია მოიქცეს. ეს კაცი ხომ მფარველად, მხარდამჭერად მოევლინა. მგონი, დახმარებაზე არც ახლა ეტყვის უარს. მხარში ამოუდგება, მიჰყვებ-მოჰყვება, ხელს გაუწვდის. ეგ არის, რომ ეხათრება, უმძიმს წარამარა მისი შეწუხება. სანებლიძემ თვითონვე მაინც ჩამოუგდოს ელიზბარზე სიტყვა. აი, მაშინ კი გაუადვილდება დახმარების თხოვნა! იქნებ იცის კიდეც მათი გასაჭირი?! ამ ბოლო დროს ხომ მეტისმეტად გულთბილად ექცევა, გვერდიდან არ იცილებს. ისე დღე არ გავა, წინასწარ არ გააფრთხილოს, სამუშაოს დამთავრების შემდეგ შინ უჩემოდ არ წახვიდე, მანქანით წაგიყვანო. ან არადა, რაიმე დავალებას მისცემს, ეს საკითხი მომიგვარე და პასუხი დღის ბოლოს გამაგებინეო.

იმ დღესაც, ელიზბარი წყნეთში ბაღჩის დასაბარად მეორედ რომ წავიდა, სანებლიძემ ირმა გააფრთხილა, უჩემოდ არ წახვიდე, შენთან გადაუდებელი საქმე მაქვსო.

ისინი ერთად გამოვიდნენ საავადმყოფოდან და მანქანაში ჩასხდნენ, სანებლიძე ირმას ჩააცივდა, წინ დაჯექიო, მაგრამ ქალმა იუარა, მეშინია, ქმარმა თვალი არ შემასწროსო.

ის იყო მანქანა დაიძრა, რომ საავადმყოფოდან ასისტენტი გამოვიდა. ხელის ქნევით ჩაირბინა კიბე, თან გაიძახოდა, ბატონო ლადი, რა იქნება, სახლში მეც წამიყვანეო.

ლადიმ მანქანა შეაჩერა.

ირმას ეგონა ასისტენტი მასთან დაჯდებოდა, ამიტომ გვერდით გაიწია. ასისტენტმა კი პირქუშად შეხედა ირმას, ცხვირაბზეკილმა მანქანას წინიდან შემოუარა და სანებლიძის გვერდით დასკუპდა. მერე კი უფროსივით ბრძანა:

— აბა, წავედით! — და ენა წაიგრძელა, ხან რაზე ჩამოაგდო სიტყვა, ხან რაზე. თავი ქედმაღლურად ეჭირა, კისკისებდა, ირმას კი ერთხელაც არ შეხედა, თითქოს იგი მანქანაში არც მჯდარიყოს. უნივერმაღს რომ გაუსწორდნენ, ლადისაკენ გადიხარა და მეტისმეტად ალერსიანი ხმით უთხრა:

— აქ ორი წუთით ჩამოვხტები, დირექტორი ფრანგულ სუნამოს შემპირდა!

— დიდი სიამოვნებით! — მიუგო სანებლიძემ და მანქანა შეაჩერა, — მხოლოდ ვერ დაგელოდები, მეჩქარება.

— არც მინდა! — მკვახედ უპასუხა ასისტენტმა, შუბლშეჭმუხნილი გადავიდა მანქანიდან და არც გამომშვიდობებია, ისე გასცილდა.

„ეგეც შენა!“ — გულში ჩაილაპარაკა ირმამ, იმით გახარებულმა, რომ ასისტენტს ხასიათი წაუხდინეს. თანაც საკითხი, რომელიც მას აწუხებდა, ნეტავი სანებლიძე ჩვენ ორში რომელს მისცემს უპირატესობას, ჯერ ვის მიიყვანს სახლში, მის სასარგებლოდ გადაწყდა და, როგორც ჩვეულებრივ გამარჯვებულ ქალებს, თვალში სიხარულის ნიხავი აუკიაფდა. მედიდურად გადაწვა სავარძლის საყრდენზე და ისევე დამცინავად გადახედა ასისტენტს, როგორც ამ უკანასკნელს მისთვის არაერთხელ გადაუხედავს.

სანებლიძემ ღიად დარჩენილი კარი ხელმეორედ დახურა და მანქანა დასძრა.

— მადლობა ღმერთს, ასე იოლად რომ მოვიცილე! საოცარი უნარი შესწევს, რომ ადამიანს სიცოცხლე მოუშხამოს! — თქვა მან.

ასიოდე ნაბიჯიც არ ჰქონდათ გავლილი, რომ სანებლიძემ მანქანა შეაჩერა.

— ირმა, გადმოჯექი წინ, უხერხულია ასე ლაპარაკი!

— რა განსხვავებაა, აქ ვიჯდები! — მიუგო ირმამ, მაგრამ უცებ აზრმა გაუელვა, შეიძლება ასისტენტი თვალს გვადევნებს, წინ გადასულს რომ დამინახავს, გული გაუსკდებაო. სანებლიძემ განმეორებით სთხოვა თუ არა, უსიტყვოდ გადაჯდა მის გვერდით.

ორივე მშვიდად გაჰყურებდა გზას, თითქოს არ უნდოდათ შემჩნეოდათ ის სიხარული, რასაც კაცი ქალის გულის მოგებით განიცდიდა, ხოლო ქალი — ქალზე გამარჯვებით.

— ირმა, რატომ არ გამაგებინე, რომ ელიზბარი გაათავისუფლეს? — შეეკითხა ბოლოს კაცი.

ირმა დუმდა.

— გულახდილად მითხარი, რატომ მომერიდე?

— რა ვქნა, პატივცემულო ლადი, ვეღარ შეგაწუხე!

— განა ასე მიცნობ? შენი ქმრის განთავისუფლების ამბავი გავიგე თუ არა, სამქროს გამგეს დავურეკე, მაგრამ კაბინეტში არ დამხვდა. აუცილებლივ აღვადგენინებ. თუ ეს ვერ შევძელი, მაშინ სხვაგან მოვაწყობ!

კაცი ორი ქალიდან აუცილებლივ ერთს ამჯობინებს. ქალი კი, რამდენი თაყვანისმცემელიც არ უნდა ჰყავდეს, ყველას შენარჩუნებას ცდილობს. ეს არის მიზეზი, რომ ქალები სულ იმის ცდაში არიან, თაყვანისმცემელთა შორის კეთილგანწყობილება დაამყარონ.

ირმას ამ მხრივ საფიქრებელი თითქმის არაფერი ჰქონდა. სანებლიძე გულისხმიერად ეპყრობოდა ელიზბარს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველანაირად მხარს უჭერდა, ეხმარებოდა, არასოდეს ცდილა მის დამცირებას, დაცინვას, განადგურებას. ელიზბარს კი, მართალია თავიდანვე არ სიამოვნებდა სანებლიძის სიახლოვე, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ მის ქმარს გულის სიღრმეში ემაყებოდა ასეთ ღირსშესანიშნავ ადამიანთან ურთიერთობა.

სანებლიძისა და ელიზბარის კეთილგანწყობილებას ქალი პირველის სულგრძელობით, კეთილშობილებით, დიდბუნებოვნებით ხსნიდა.

ამჯერადაც ელიზბარისადმი მისმა ყურადღებამ გამოუთქმელი შვება მოჰგვარა.

სანებლიძე ირმას არ უცქეროდა, მაგრამ გრძნობდა, რომ ქალი კმაყოფილი იყო, იგი ინსტინქტურად ირმას ხელს წაეტანა. ქალმა ეს როდი იუცხოვა, ამან კი კაცი უფრო წაათამამა.

ირმა მშვიდად გაჰყურებდა გზას, სათნო სახეზე ბედნიერება ეხატა.

— აი, აქ ჩამოვალ! — თქვა ქალმა, როცა ისინი ორასიოდე ნაბიჯით იყვნენ სახლიდან დაცილებული.

სანებლიძემ მანქანა გააჩერა.

— გმადლობ, ლადი! ნეტავი იმას მოვესწრებოდე, რომ სიტყვით კი არა, საქმით შემეძლოს სამაგიეროს გადახდა.

— დღეს რაღაც მშვენიერი საღამოა. მოდი, მცხეთისაკენ გავისეირნოთ. ერთ რამედა ღირს ჯვარზე ასვლა! — თითქოს თავის თავს ებაასებაო, წაილაპარაკა კაცმა.

— დღეს არ შემიძლია! — მიუგო ქალმა, გულში კი ინანა, ნეტავი რატომ ვუთხარი უარი, მე ხომ მენატრება იქ ასვლაო.

სანებლიძე კი არ ეშვებოდა, რა იქნება, ეს ერთხელ გაიარე ჩემს სიტყვაზე. სულ რაღაც ორი საათი დრო დაგვჭირდება, ძალიან ნასიამოვნები დარჩებიო.

ირმამ ბევრი იუარა, მაგრამ ბოლოს მაინც დათანხმდა, მხოლოდ ჯერ შინ შევირბენ, ბავშვს დავხედავ, თუ ელიზბარი არ არის მოსული, ათ წუთში გამოვალ, თუ შევაგვიანო, ნუღარ დამელოდებიო.

— ახლა ექვსი საათია, შვიდამდე ფეხს არ მოვიცვლი. გამოხვალ, ხომ კარგი. არადა, ჩემთვის ისიც სასიამოვნო იქნება, რომ მთელ საათს შენს ლოდინში გავატარებ!

ირმა სახლისაკენ რომ მიეშურებოდა, სანებლიძე თვალს არ აცილებდა, თან ფიქრობდა:

„რა უეშმაკო, ბავშვივით მიმნდობი და ხათრიანია. რა მგრძნობიარე გული აქვს! ეს მას უფრო მომხიბვლელსა და საყვარელსა ხდის!“

მკვირცხლად მიმავალი ირმა კი ფიქრობდა, მეტი არაფერი მინდა, ელიზბარი შინ არ დამხვდეს. გიასაც ეძინოს! რად უნდა დავკარგო „ჯვარზე“ ასვლის შესაძლებლობა. თან სანებლიძეც ნასიამოვნები დარჩება, თხოვნას რომ შევუსრულებო.

ირმას ნატვრა აუსრულდა, ელიზბარი შინ არ დახვდა, ბავშვსაც ეძინა.

ერთ ჩემს ამხანაგთან მივირბენ და მალე დავბრუნდებიო, უთხრა მან მარგალიტას და მაშინვე გაბრუნება დააპირა, მაგრამ მოხუცმა შეაჩერა:

— შვილო, საცაა დაღამდება. სადღა მიდიხარ?

— ხომ გითხარი, დეიდა მარგალიტა, ამხანაგთან მივდივარ-მეთქი!

— უკვე გვიანაა, დილაზე წადი! მალე ელიზბარიც მოვა, ბავშვიც გაიღვიძებს.

მოხუცის სიტყვამ ირმა ჩააფიქრა.

ისე კი, მართლაც, გვიანაა! ალბათ, მალე ელიზბარიც მოვა. გიაც გაიღვიძებს და დედას მოიკითხავს.

მოხუცისათვის არაფერი უთქვამს, ჩანთა საწოლზე მიაგდო და ქუჩის მხარეს გამავალ ფანჯარას მიუჯდა, იქნებ სანებლიძემ აქეთ ჩაიაროსო.

ამ კაცისათვის ყოველი წუთი ხომ ძვირფასია. განა ისეთ რა სიამოვნებას პოულობს მასთან ყოფნით, რომ ამდენი დროის დაკარგვასაც არ ერიდება. თვითონ კი მისდამი გულგრილობას იჩენს.

რახან „ჯვარზე“ არ მისდევს, გააფრთხილოს მაინც, რომ ტყუილუბრალოდ ნუღარ ელოდება.

მარგალიტასთან ისღა მოისაბაბა, კარტოფილის ფქვილი დამავიწყდა, ახლავე სასურსათო მაღაზიაში მივირბენ და ვიყიდიო.

სანებლიძემ დაინახა თუ არა გარეთ გამოსული ირმა, მაშინვე მის შესახვედრად დასძრა მანქანა. ქალი ხელით ანიშნებდა, გაჩერდი, მე თვითონ მოვალო, მაგრამ სანებლიძე ვერ მიუხვდა და მანქანა მისგან ორ ნაბიჯზე გააჩერა. თან წინა კარი გააღო და სახის მოძრაობით ანიშნა, დაჯექიო.

— ბატონო ლადი, იმის სათქმელად გამოვედი, რომ დღეს ვერ წამოვალ! — უთხრა ირმამ.

— რატომ?

— უკვე გვიანაა! სხვა დროისათვის გადავდოთ „ჯვარზე“ ასვლა!

— როგორც შენი ნებაა! — ისე თქვა სანებლიძემ, ვითომ ჩემთვის ეს სულ-ერთიაო, მაგრამ მის ხმაში აშკარა სინანული გაისმა.

— სასურსათო მაღაზიამდე გამოგყვები! — თქვა ირმამ. თან მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ მიცქერისო. მარგალიტას ოთახის ფანჯრებსაც შეავლო თვალი, მაგრამ ვერ შენიშნა, რომ ფარდას ამოფარებული სახლის პატრონი გაფაციცებით უთვალთვალებდა.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანდრო თევზაძე

## გიორგი ლეონიძის ხსოვნას

შენს ტირილში მე არ მოვალ,
არ დაგხედავ კუბოს მძინარს,
ჩამქრალ თვალებს არ ვიხილავ,
არც ბაგეებს გაუღიმარს.

მინდა გულში ისე დარჩე,
როგორც იყავ, ლომის დარი,
თვალცისკარი, გულღადარი,
ქართულ სიტყვის მოისარი.

სანამ მკერდში გული მიცემს
და შენს სურათს ვუცქერ ვიდრე,
არ მოგავლებ შავ არშიას,
მკვდრად არასდროს წარმოგიდგენ.

პოეზიის დიდო მუხავ,
საქართველოს თავში მდგარო,
როგორ ჩავდვათ სამარეში,
მიწა როგორ მოგაყაროთ!

არა, არ მსურს გნახო მკვდარი,
ვერ შევხედავ შენს დიდ კუბოს,
როგორ ვნახავ შენს ბადრ სახეს
უცეცხლოს და უსაუბროს?

მაგ სიკვდილით განა მოკვდა
შენი ჩანგი ფრთაბრიალა?
შენმა ლექსმა ქართლის მთები
ქუხილივით გადიარა.

შორს გასტყორცნა გულის შუქი,
სიკვდილის ზღვარს გააცილა,
გააწბილა მისი ხუნდი,
უკვდავება გარგო წილად!

არა, არ მსურს გნახო მკვდარი,
ვერ შევხედავ შენს დიდ კუბოს,
როგორ ვნახავ შენს ბადრ სახეს
უცეცხლოს და უსაუბროს?

მინდა გულში ისე დარჩე,
როგორც იყავ, ლომის დარი,
თვალცისკარი, გულღადარი,
ქართულ სიტყვის მოისარი!..

## ყველგან საქართველოში

აქ, სადაც ახლა ჩვენ ვდგავართ,
ოდესმე იდგა რუსთველი,
ამ მაღალ მთების მცქერალი,
ამ ლაღ ჰაერის მსუნთქველი.

ამა მზის სხივთა შემკვრელი
ლექსების ხელეურებად;
იქნებ აქედან უყვარდა
თამარის თვალთა ყურება.

იქნებ ამ ველზე აღმოთქვა
მან ავთანდილის სიმღერა,
ჭარადი სიყვარულისთვის
მეფენი გადაიმტერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნება ვაჟას არწივი
აქ დაითრიეს ყორნებმა;
იქნებ სამშობლომ აკაკის
აქ გაუბრწყინა გონება.

იქნება ბარათაშვილმა
აქ გააქროლა მერანი,
იქნება გალაკტიონმაც
აქ ამოაშრო მელანი.

მე კი რა ღმერთი გამიწყრა,
რომ ჩემი ქვეყნის საუნჯე
უკვდავ მშვენებით მაღელვებს
და ლექსის თქმისთვის მამუნჯებს!

## იავნანა

იავნანას როცა ვისმენ,
მეფინება გულზე ია,
თითქოს მშობლიური მთებით
მონაბერი ნიავია.

იგი მზრდიდა ბალღობიდან,
დედის უტკბეს რძესთან ერთად;
თითქოს ვდგავარ ხელანკესით
ჩემი სოფლის მდინარესთან.

თითქოს მესმის აკვნის რწევა,
ღინჭილების ხაჭა-ხუჭი,
შიგ ბურცხალა ბიჭი გორავს,
თვალბრიალა, თმახუჭუჭი.

მინდვრად დასდევს ფრთაჭრელ პეპლებს,
კაკლით ივსებს ჩანთა-უბეს;
კენწეროებს დაღმა არხევს,
არ აყენებს ჩიტის ბუდეს.

გადაპენტილ ზამთრის დილით
მუხლზე თოვლში კოტრიალი,
ყინულების ჩურჩხელები
მარტის მზეში მომტირალი.

ყვავილების ველზე ცვენა
დილის ცვარით დანამული,
ხევში ვერცხლის წყარო, როგორც
ხმაწკრიალა სალამური.

დედის კაბის შარიშური,
თავმანდილის ქარზე ფრენა;
მხოლოდ მათ შუქს შეუძლია
ჩემი ლექსის გადარჩენა.

იადონის ხმით მოსილი
ჩემი ტკბილი დედა ენა,
რა ვისმინე, წამს გულიდან
სევდის ჩრდილი განიდევნა.

როცა მესმის იავნანა,
გულზე ია მეფინება,
ტკბილი ყრმობა მაგონდება
და საამოდ მეძინება!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი გენაძე

# გაქვავებული მზე

## მოთხრობა

ეზოში სამმწკრივად გაყოლებულ გრძელ სუფრას ადამისყამინდელი კაკლის ხე დაჰყურებს. გიგო თუმცა შუა სუფრასთან ზის, იმ დიდი კაკლის გარდა თითქმის ვერაფერს ხედავს, არც არაფერი ესმის. გარკვევით მხოლოდ ჩურჩული გაიგონა: ბოლო სადღეგრძელოა და ავდგეთო. მანამდე ერთმანეთში არეული უამრავი ხმის მორევი ტრიალებდა ბერიკაცის ირგვლივ. ამ ხმაურით გაოგნებული თავის ფიქრებში იყო ჩაძირული. მისი გული და გუმანი აქ არ იყო.

ჩურჩულის შემდეგ თამადამ გრძელ სუფრას რიხიანად გასძახა: ვინც განსვენებულ ბასილას პატივი სცა და გააპატიოსნა, ყველას გაუმარჯოს, მომავალში ერთმანეთს ლხინის სუფრაზე შევხვედროდეთო.

ხალხი ერთბაშად წამოიშალა და ეზოდან გაიკრიფა. მერე სუფრას გოგობიჭები დაუტრიალდნენ, ხორაგის ნარჩენი, სურები, ბოთლები და თეფშები ფაციფუცით აალაგეს. მხოლოდ გრძელ ფიცრებზე გადაფარებული დასვრილდაგლეჯილი თხელი, ტკიცინა ქაღალდი დატოვეს. საიდანღაც ორი ძაღლი მოსუნსულდა და სუფრის ქვეშ შეძვრა. თუმცა ძვლები და ნახორხალი ბლომად ეყარა, მაინც ერთმანეთს დაუწყეს ღრენა, ცალ-ცალკე იჩემებდნენ: მთელი ეს სიკეთე მარტოოდენ ჩემია და ნუ მეცილებიო.

გიგოს არც შია, არც სწყურია, აქედან წასვლა მაინც ეზარება. ზის ცარიელ სუფრასთან, ძაღლების შუღლს უყურებს და თავს აქნევს.

შემოდგომის ქანცმილეულმა და დაღლილმა მზემ კაკლის ტოტებიდან ირიბად ჩამოიხედა, ერთი თითქოს სევდიანადაც გაიღიმა და თავგადაყვითლებულ ქედს მიეფარა.

ბერიკაცმა მზეს გააყოლა თვალი, ჯერ იმ მზესავით სევდიანად გაიღიმა, მერე რატომღაც ხელი ჩაიქნია და ამოიხვნეშა.

ჩამავალი მზის ღიმილს ჩაუქნია ხელი, თუ...

ეს რა დაემართა? თავის თავს ველარა სცნობს გიგო. მისი სიხარულიცა და სევდაც სულ სხვანაირია ახლა. ბერიკაცს უცნაური ფიქრი მოეძალა. ამ ფიქრმა ყველაფერი წალმა-უკუღმა დაუტრიალა და თავბრუ დაახვია.

ბინდდება უკვე. დაბერტყილი კაკლის ტოტებში გახლართულ ცას ღრუბელი არ შემოსჯარვია, იერი მაინც შეეცვალა. თითქოს გაშლილი შუბლი შეეჭმუხნაო.

„ეს პატარა დღე არ გვიცდის, სადღაც გარბის. ეჰ, წავალ ახლა შინ, თორემ ვინ რას იფიქრებს? არ იტყვიან, ეს

გადახჩუებული ბერიკაცი აქ რაღას უცდისო?“

ტაროსის ცვლილება აღარ აინტერესებს, არც მზის ჩასვლა-ამოსვლის ამბავი, ცას ერთხელ კიდევ მაინც გახედა, უაზროდ გახედა, მძიმედ წამოდგა, ხელი კვლავ ჩაიქნია და ჭიშკართან მილასლასდა. ახლა-ღა მოაგონდა, ჭირისუფალს რომ უნდა დამშვიდობებოდა. მიმოიხედა, იქ აღარავინ იდგა, უკან მიბრუნება ეუხერხულა და გზაზე გაბარბაცდა. უბანს რომ გასცდა, შეჩერდა, შუბლი მოისრისა და დაკოჟრილი ხელი სახეზე ჩამოისვა. იმ ეზოში, ადამისყამინდელი კაკლის ქვეშ თითქოს რაღაც დარჩა და ვერ მოუგონებიაო.

ასეთი ფიქრი გზაზე მიმავალ გიგოს ადრეც ბევრჯერ აჰკვიატებია. ხშირად ეჩვენებოდა, წამოსვლისას რაღაც დამრჩაო. მისთვის ეს უჩვეულო გრძნობა სულაც არ იყო.

„ახლაც ძველებურმა ფიქრმა მომიარა, თუ რაღაც მართლა დამრჩა? იქნებ დღეს კი არა, გუშინწინ დამრჩა? იქ რომ მივედი, არაფერი მეჭირა. ორივე ხელი დამუშტული მქონდა, თითქოს ვინმეს ვემუქრებოდი: გზა მიტიეთ, საბრძოლველად მოვედი-მეთქი. რის საბრძოლველად? არ ვიცი... საერთოდ, საბრძოლველად... არც არაფერი მიმიტანია, არც არაფერი წამომიღია... შესაწირავი ხომ არ ითვლება... ის უკვე ჩემი აღარ იყო... ჰო, დამუშტული მივედი, ახლა ორივე ხელი გაშლილი მაქვს, ეგ არის და ეგ... არა, არსად არაფერი არ დამრჩენია... მხოლოდ ფეხის ნაკვალევი, სხვა არაფერი, შეუმჩნეველი ნაკვალევი...“

გზაზე ყვითელი ფოთლები ყრია. ქარი არ უბერავს. ცა გამჭვირვალეა, ნათელი, ჯერ ვარსკვლავებს თვალი არ გაუხელიათ.

მიდის გიგო და ეჩვენება: ვიღაც უკან მომყვებაო. მიიხედ-მოიხედავს, ყურს მიუგდებს და ხელს ჩაიქნევს — არავინაა. გზას მდინარე მოსდევს და მხოლოდ მისი დუდუნი ისმის.

გადაყრუებული მოხუცია, ფეხებს ძლივსღა დაათრევს, მაგის გვერდით სასიარულოდ მცალია სწორედ, გიგოს არავინ მოუცადა. ყველამ გაასწრო ყველაზე ხნიერ კაცს. ჰოდა, ახლა მარტოდმარტო მიბარბაცებს. აქამდეც უვლია ხოლმე კენტად, მაგრამ მარტოობა არ უგრძნია, ახლა სულ მარტო დარჩა ქვეყნიერებაზე... თუმცა, ის ვინ არის?

„ნამდვილად მომდევდა ვიღაც. მდინარის დუდუნი კი არა, ფეხის ხმა მესმოდა აშკარად. ეტყობა, უკან ჩამომრჩა. იქნებ წინაც გამისწრო და მოსახვევში ისე მიიმალა, ჩაფიქრებულმა ვერ შევამჩნიე“.

მძიმედ წალასლასდა. მიდის და მუხლები ეკეცება. თითქოს ვიღაც უხილავი წამოეწია და მხარზე უშველებელი ხურჯინი გადაჰკიდაო.

მდინარის გაღმა ფერდობი მოჩანს ლანდად. იმ ადგილს სავარდიას ეძახიან, თუმცა გიგოს იქ ვარდი არასოდეს უნახავს.

ყმაწვილკაცობისას სწორედ სავარდიას ფერდობზე დასდევდა ცხვრებსა და ხბორებს. ხან ხბო ეკარგებოდა, ხან ცხვარი. პოულობდა და ისევ ეკარგებოდა.

„ადამიანი მთელი თავისი სიცოცხლე რაღაცის მწყემსია, ყოველდღე რაღაც ეკარგება, მერე რაღაცას პოულობს და კვლავ ეკარგება“.

ფერდობის მარჯვნივ წინათ ვენახი იყო, ვენახს იქით — ყანა, ყანის თავზე — ტყე. ახლა იქაურობა მთლიანად გახრიოკებულია. ტყე კარგა ხანია გაიჩეხა, ვენახი გადახმა, უტყეო მიწა ღვარებმა დასერეს და დაშაშრეს. დაღვარულ ფერდობზე ყანა ფეხს ვეღარ იკიდებდა და მიატოვეს. ხალხი უფრო იოლ ცხოვრებას მიეჩვია, ფერდობებზე ფხოწიალს ერიდებიან. დიდი გზის ბრალია.

ბერიკაცს ის ტყეც ენანება, ყანაც და ვენახიც, ყველაზე მეტად კი ტყის პირას, შაკვლდესთან განმარტოებით მდგარი ზღმარტლი. თვალი დახუჭა და თეთრად ტოტებგადაპენტილი, ტანდაბალი ხე დაინახა. ჯერ თოვლისფერმა,

მსხვილმა ყვავილებმა შემოანათეს, მერე იმანაც...

ხისქვეშ ლოდზე გოგონა ჩამომჯდარა, თვალებზე ხელები მიუფარებია და გულამოსკვნილი ტირის. ფეხშიშველაა, შავკოპლებიანი თეთრი კაბა აცვია, თავდახრილს ორი მსხვილი ნაწნავი ძირს დასთრევს. ზღმარტლს აყვავებული ტოტები გოგონასათვის ქოლგასავით მოუჩრდილებია.

— თებრო, თებროლე, შენა ხარ, გოგო? რა გატირებს?

გოგონა შეცბა, წამოხტა, ცრემლიან თვალებში მუჭი ამოისვა და გიგოს ირიბად გამოხედა.

— რა გინდა შენ?

— არაფერი. რა გატირებს?

— მე არა ვტირი, ისე... ორკრავიანი დედაცხვარი დამეკარგა, აქაურობა შემოვიფხოწიალე, არ არის არსად.

— ნუ გეშინია, მგელი შეჭამდა, — გაუცინა ბიჭმა.

ვინმეს პირუტყვი რომ დაეკარგებოდა, ზემოუბნელი ივანიკა ყველას ასე ანუგეშებდა ხოლმე და გიგო მის ოხუნჯობას დაესესხა.

თებრომ ღრიალი მორთო.

— მართლა კი არა, გოგო. მგელი ახლა ამ ტყეებში არც არის, ერმალოზა მონადირემ ერთიანად გაჟლიტა. მეც დამეკარგა ცხვარი, ერთად იქნებიან. ღელის გაღმა იყავი?

თებრომ თავი გააქნია, არაო, ცრემლით დასველებული წამწამები აათრთქიალა და ნაწნავები ზურგზე გადაიყარა.

— ნამდვილად იქ იქნებიან, აგერ ნახავ თუ არა. წამომყევი.

ტყეს წამოჩიტული ფოთლები ყურებივით დაეცქვიტა, თითქოს რაღაც იდუმალი ხმა ესმისო. ნაირნაირი ყვავილები უხმოდ იცინოდნენ.

წინ მიმავალ გოგონას ალმაცერ ბილიკზე ფეხი დაუცდა, ბიჭს რომ არ დაეჭირა, ხევში გადაეშვებოდა. ვაკის მკლავებში ჩავარდნილი თებრო წამით გაირინდა და უმალვე გაითავისუფლა თავი. მერე სახეალეწილ გოგოს რატომღაც გაეცინა.

— კინაღამ არ გადავკოტრიალდი? შენც კინაღამ გადაგიყოლე.

ცოტაც რომ გაიარეს, თებროს ფეხისგულში ეკალი შეესო. თვითონ ხელით კი სწვდებოდა, მაგრამ კარგად ვერ ხედავდა და წვალობდა.

— მოიტა, წამში ამოგიღებ! — შველა შესთავაზა გიგომ.

— არა, მე თვითონ...

თვითონ ვერას გახდა და ბოლოს თებროს ფეხი ბიჭმა მოიგდო ხელში. მართლაც, წამში ამოუღო ეკალი.

— გეტკინა?

— არა. ტკბილი ხელი გქონია.

იმ ღამეს გიგომ თვითონაც ვერ გაიგო, ეძინა თუ არა. თვალწინ სულ მსხვილყვავილებიანი, თეთრი ზღმარტლი უტრიალებდა, იმ ზღმარტლზე უფრო დიდი და ლამაზი. ხე ადამიანივით უღიმოდა და რაღაც იდუმალს ეჩურჩულებოდა. ეს ცხადი მოლანდებაც იყო და სიზმარსაც ჰგავდა.

იმ დღიდან გიგო სულ თებროს ცხვრის დაკარგვას ნატრობდა: სავარდიის ბილიკებზე ერთად ვიხეტიალებთ, გოგოს ცხვარს ვაპოვნინებ და გავახარებო.

ისმის მდინარის დუდუნი და შავკლდესთან, ფერდობზე ცალკე მდგარ ზღმარტლს ყვავილები სცვივა.

ვინ მოთვლის, ის თეთრყვავილებიანი და ტოტებგაშლილი ხე შემდეგ რამდენჯერ ესიზმრა გიგოს. ზღმარტლთან გავლა უხაროდა, თავი ისევ სიზმარში ეგონა. მისი ყვავილები ყველაზე ლამაზად ეჩვენებოდა, ნაყოფი კი ყველა ხილზე მეტად ეგემრიელებოდა. ზღმარტლი გვიან, შემოდგომის მიწურულში მწიფდებოდა, როცა ჩამოთოვდა, მერე ზოგჯერ შუა ზამთარშიც ესხა. ყინვაგამოვლილი უფრო ტკბილიც იყო, იმ ჩაყურჭებულ ნაყოფს მაინც თეთრად გადაპენტილ ტოტებს ამჯობინებდა. ყვავილი გულს უნათებდა.

თებროს ცხვარი აღარ დაჰკარგვია,

მაგრამ იმ დღიდან თებროსა და გიგოს ცხვრები და ბოჩოლები სავარდიის ფერდობზე მუდამ ერთად სძოვდნენ. იქ დათვისმსხალაც ჰყაოდა და შავ-წითელი კუნელიც, ასკილიც ისე გადააბრდღიალებდა მიდამოს, მიწაზე დაწოლილი ქულა ღრუბელი გეგონებოდათ. აყვავებული ზღმარტლის სილამაზეს მაინც ვერაფერი ჩრდილავდა.

იქნებ ასე მხოლოდ გიგოს ეჩვენებოდა, რაკი ზღმარტლი უზომოდ შეუყვარდა და სიცოცხლეს ერჩია?

აი, თებრომ და გიგომ შუადღისას ცხვარი მდინარესთან გაჭიმულ მინდორში ჩარეკეს, თვითონ კი ცაცხვებით დაჩრდილულ რიყეს მიაშურეს.

გიგომ ცაცხვს ფართო ფოთოლი მოაგლიჯა, მარცხენა ხელის ცერა და საჩვენებელ თითი ბეჭედივით დაიჭირა, ზედ ფოთოლი ბრტყლად დაადო და მარჯვენა ხელისგული ოდნავ მოხრილად დაარტყა.

— ტკაც!

— ვაიმე!

წინ მიმავალი თებრო უცებ შემობრუნდა და გიგოს მოეხვია. მერე ვაჟის ოინს მიხვდა, ხელი ჰკრა და გაბუტულივით განზე გადგა.

— იჰ, რანაირი ხარ, ბიჭო?

— შეგეშინდა? რა გეგონა?

თებრომ ორ მსხვილ მათრახად შეკრული შავი თმა ზურგზე გადაიყარა და უხმოდ შეტრიალდა. წყენამ მალე გაუარა. ერთად იბანავეს. მერე გიგომ რიყის ქვებით ციხე-კოშკის აშენება დაიწყო და თებროც მიეხმარა.

— შეხე, რა ლამაზად მოუხატავს განგებას! — თებრომ ბრტყელი რიყის ქვა მოარბენინა. — ჩვენს საყდარზე რომ მზე ახატია, ღმერთმანი, იმას ჰგავს.

ეს მზე ამოჩუქურთმებული კი არ იყო, თითქოს ქვაში იყო ჩასმული და მერე სწორად გადალესილი.

ბებიას დანატოვარ გრძელ სკივრს წინაპირზე სხივებგაშლილი მზე ეხატა. იმ მზეს გულში ჯვარი ჰქონდა ამოჩუქურთმებული. თებროს ნაპოვნი ქვა გიგომ ბებიას სკივრზე ამოჭრილ მზეს მიამგვანა. იმ სკივრის მზისნაირ მზეს დედა ზოგჯერ ნამცხვარზე ახატავდა და ბიჭს მზითმოხატული პური რატომღაც უფრო გემრიელი ეჩვენებოდა. გიგო კორჩიოტას ბოლქვს ხშირად სათამაშო წისქვილის ბორბლად აკეთებდა. ზედ ფრთებად ჩხირებს უსობდა. თებროს მოტანილი ეს გულჯვრიანი და სხივებგაშლილი გაქვავებული მზე სათამაშო წისქვილის ბორბალსაც ჰგავდა. ბუხარზეც ასეთი მზე ეხატა.

ის ქვა ციხე-კოშკში არ დაუტანებია, დიდი ცაცხვის ღრუში შეინახა, სალამოზე შინ წავიღებო, მაგრამ ბიჭი გოგოსთან თამაშით ისე გაერთო, იმ დღეს ქვის წაღება დაავიწყდა და, რაკი ერთხელვე მირჩა, კარგა ხანს აღარ გახსენებია.

მერე უფრო ხშირად შავკლდის წყაროსთან ადიოდნენ. ის კამკამა წყარო უგემრიელესი იყო, თანაც ყინულზე ცივი, კბილები ეძაგრებოდათ. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ხოლმე, აბა, პირში რომელი უფრო დიდხანს გავიჩერებთო. ორივეს ამუნჯებდა ხოლმე წყლის სიცივე, ენას უშეშებდა. ამიტომ ჩალამკალამის ღეროთი სვამდნენ. ჩაყოფდნენ ყინულში და წუწნიდნენ. კბილები მაინც ეძაგრებოდათ.

იმ წყაროს აქეთ, ზღმარტლის მეზობელ პატარა მინდორში დიდი მუხა იდგა. ბერმუხის ქვედა ტოტზე გიგომ ღვლერჭით გრძელი ძელი ჩამოაბა, ძელს ღვლერჭი გრეხილად ქვემოთაც ჩააბა და შიგ შინდის მსხვილი ჯოხი გაუყარა. ამ საქანელა-საკვინჭიაროზე გოგო-ბიჭები რიგრიგობით ჯდებოდნენ და ჰერი! ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო მაღლა გაიქროლებდა. ფეხებს ცას ურტყამდნენ და გახარებულნი ჰყვიროდნენ. მათი ცხვრები და ხბოები კი არხეინად სძოვდნენ ფერდობში.

ერთხელაც გაცვეთილმა ზედა ღვლერჭმა ველარ გაუძლო და საქანელა ჩამოწყდა, გაქანებული გოგო ჰაერში შეტრიალდა და მიწაზე ისე მარ-

ჯვედ დახტა, ფრჩხილიც არ ასტკენია. თებრომ ერთი შეჰკივლა, მერე გაღიმებული ვაჟი დაინახა და თვითონაც გაიღიმა.

სწორედ იმ დღეს ცამ პირი მოაღო და კოკისპირული დაუშვა. თებრომ და გიგომ ჯვალოს ტომრების ძირს ცალცალი კუთხე შიგ შეუკეცეს, თავზე წამოიხურეს, ცხვრები წინ გაირეკეს და შუბლწამოწეულ კლდეს შეაფარეს თავი.

სველი ტომრები გაწურეს და გვერდზე მიყარეს.

ჯერ ერთმანეთის მოშორებით მიიყუჟნენ, მერე, რაკი საფარველი პატარა იყო, ახლოს მიჩოჩდნენ.

ჯვალოს ტომარამ შხაპუნა წვიმას ვერ გაუძლო და თებროს თმა დაუსველდა. თითქოს ყვავილიაო, სველი თმა სურნელოვანი გახდა და ამ სურნელმა დაათრო და გააბრუა გიგო.

ღრუბლებში ელვა დაიკლაკნა, ცა ქუხილმა შეაზანზარა და მეხმა სადღაც ხე გახლიჩა.

უნებლიეთ ერთმანეთს მიეკრნენ. ვაჟმა ქალის სხეულის საოცარი სითბო იგრძნო. მერე მისი თმაც გაელამუნა ლოყაზე და ამან სულ გადარია. გიგოს ძარღვებში აჩქროლებულ სისხლს თითქოს თაფლი და ღვინო ერთად შეერიაო, უცნაურმა სიტკბომ დაარეტიანა.

თებროს ერთი ნაწნავი დაეშალა და თმა შუბლზე ჩამოუცვივდა. გიგოს რატომღაც ძალიან მოუნდა, თებროს თმას კიდევ შეხებოდა და შუბლზე ჩამოშლილი თმა ფრთხილად გადაუწია.

თბილი, სურნელოვანი და ქრუანტელის მომგვრელი თმა თებროს შავად უბზინავდა. თვალები კიდევ უფრო უბზინავდა თებროს. მისი მარწყვისფერი ტუჩები კი თითქოს სველი იყო და ეს სისველეც უცნაურად ანათებდა, გეგონებოდათ, წითელ ფერს სარკე ირეკლავსო.

ისევ იელვა და იქუხა. იმ დღეს წვიმამ თავი შეაყვარა გიგოს. ინატრა, ნეტავი სულ ასე იწვიმოსო, მაგრამ ერთბაშად გადაიღო და მალე მზემაც გამოიხედა.

წვიმამ დაახლოვა ისინი. მერე კი გიგოს თებროსთან მიახლოვება ძალიან აშინებდა და უბრალოდ ხელის მოკიდებაც ერიდებოდა. თითქოს ქალიშვილის სხეული ცეცხლად იქცა, ნაკვერცხლად იქცა... შეეხები და უმალვე დაგწვავსო. თითქოს იმდღევანდელმა უცნაურმა ქრუანტელმა და სისხლის აჩქროლებამ გოგოსთან მიახლოვება აუკრძალაო, ველარც თვალს უსწორებდა. რატომღაც იმ დღიდან თებროც უფრთხოდა და გოგოს ეს უფრო მიმზიდველსა ხდიდა. მაგრამ რაც უფრო სწყუროდა ვაჟს გოგოს მოხვევა, რაც უფრო იზიდავდა მისი სურნელოვანი თმა და სხეული, რატომღაც გოგოს უფრო ერიდებოდა. ერთხელ, ვიწრო ბილიკზე მხარდამხარ რომ მიდიოდნენ, შემთხვევით ტიტველ მკლავზე მოუხვდა ხელი და დარეტიანებული კინაღამ წაიქცა. ეტყობა, გოგოსაც ასე დაემართა. მაშინ ვერც ერთმა ვერ გაიგო, რა მოხდა?

* * *

გოგოს ძუძუები პირველად იმ გაზაფხულზე გამოეკვირტა, მეორე გაზაფხულზე უკვე კაბას უჭიმავდა მკერდზე. ეს ცვლილება გიგოს უმალვე მოხვდა თვალში. არც სხვას დარჩენია შეუმჩნეველი.

ჩვენი თებრო უცებ დაქალდაო, — ალაპარაკდნენ მეზობლები.

დაქალებულ გოგოს მწყემსად ვინღა გაუშვებდა, ბოლო დროს შინიდან ფეხსაც არ ადგმევინებდნენ. ჰოდა, ახლა გულზე ცეცხლწაკიდებული ვაჟი თებროს სიზმარში უფრო ხშირად ხედავდა, ვიდრე ცხადად, ხედავდა მუდამ გაბუტულს. თებრო უხმოდ რაღაცას საყვედურობდა. გიგოს რამდენჯერმე ძილშიც კი წამოსცდა თებროს სახელი. პავლია ბაბუამ ეშმაკურად ჰკითხა:

— ბიჭო, ვინ არის ის თებრო მზეთუ-

ნახავი, მთელ ღამეს თავგადაკვლით რომ ეძახდი და არ გაგაგონა? ჰა, გამოტყდი, ბიჭო, სიყვარული სირცხვილი კი არაა.

დამუნჯდა გიგო. მერე თექვსმეტი წლის ბიჭს მამამ ჭრელი ხურჯინი გადაჰკიდა და კავკავში საშოვარზე მიმავალ მეპურე თედორეს გააყოლა: ხელობას ისწავლი, თანაც ქვეყნიერებას ნახავო, სამიოდე წელიწადში საცოლე ვაჟკაცი დადგები და რაღაც-რაღაცეების თადარიგის დაჭერა ახლავე გმართებსო.

გიგომ ცხრა მთა გადაიარა, ერთ წელიწადს თედორესთან შეგირდად იყო, მერე შეუამხანაგდა, ორიოდე წელიწადს კიდევ იმუშავა, თეთრი ჩოხა და აზიური ჩექმები ჩაიცვა, ვერცხლის ქამარ-ხანჯალი შემოირტყა და კრავერის ქუდი დაიხურა, საცოლისათვის აბრეშუმის საკაბე, ფირუზისთვლიანი ბეჭედი და ლამაზი საყურეები იყიდა, არც შინაურები დაივიწყა, ხურჯინის ორივე თვალი გატენა, გადაიკიდა და გამოუდგა შინისკენ გზას. კავკავში ჩასვლას ერთ კვირას მოუნდა, იგივე გზა უკან სამ დღეში გამოიარა. თურმე საითაც მიგიხარია, გზა უფრო მოკლე ყოფილა. სიხარულის გზაზე არც საამო ტვირთი ყოფილა მძიმე.

„ეჰ, ბედი ზოგჯერ ისე დასცინის კაცს...“

ამაოდ მოუხაროდა გიგოს. შიუკაანთ თებროლა შარშან შემოდგომაზე ბასილა ბიჭაშვილმა შეიბა უღელშიო, სოფელში არც იყო მისული, რომ გაიგო.

— მოიტაცა?

— სამაგისო ბასილას რა სჭირს? თებრო თუ ლამაზი გოგოა, არც ბასილაა ურიგო ვაჟკაცი, კაი ოჯახისშვილიცაა. რა მოგივიდა, გიგო? უცებ მკვდრის ფერი დაგედვა?! შენ ხომ არ გყავდა დანიშნული, ბიჭო?!

ისევ დამუნჯდა გიგო. კინაღამ უკანვე გაბრუნდა. შინ ცოცხალმკვდარივით შეაბიჯა. მას მერე თავის თავთან უხმო ლაპარაკი დასჩემდა. ერთი ხავსმოდებული ჭრელი კლდე ამოირჩია, ჩამოჯდებოდა კლდის ცხვირზე და თვალმოუშორებლად სავარდიას გაჰყურებდა, ზღმარტლს მიშტერებოდა, ხელებსა შლიდა და მხრებს იწურავდა.

გარინდებულ შვილს ერთხელ მამა წაადგა თავს.

— რა მოგივიდა, ბიჭო?

გიგომ ხელი ჩაიქნია და თვალი მოარიდა.

— ველარ გცნობ, შვილო, გზაზე ხომ არავინ გაგთვალა? იქნებ ვინმემ შეგაშინა ან ჯადო-თილისმა მოგაცხო? შელოცვა მოგიხდება.

თავის გულში ჩაკეტილმა გიგომ ისევ ხელი ჩაიქნია.

— მითხარი, ბიჭო, რა გაწუხებს? მამა ვარ შენი.

რა უნდა ეთქვა? შვილმა მამას ხვაშიადი არ გაუმხილა, გული არ გადაუხსნა და მამა ისე რას დაინახავდა?

— ეჰ, ეს რა დარდი გამიჩინე, ბიჭო? იმ დასაქცევ ქალაქში ნეტავი სულ არ გამეგზავნე!

გიგო თავს შეებრძოლა, მაგრამ თებრო ვერ ამოიგდო გულიდან. სიზმარცხადში მარტო იმ გოგოსა ხედავდა. თითქოს აყვავებულ ზღმარტლთან იდგა და ხელს უქნევდა, აქ ამოდიო. გიგომ კარგად იცოდა, რომ ეს მხოლოდ მოჩვენება იყო, მაგრამ ამ მოჩვენებას რაღაც სასწაულის მოხდენის მოლოდინიც ახლდა. რატომღაც თავს ინუგეშებდა: ერთ მშვენიერ დღეს თებრო ფეხს დაჰკრავს და ჩემთან გამოიქცევაო.

— სხვისი ნაცოლარი ქალი რაღად გინდა, ვაჟკაცო? — ეკამათებოდა ვიღაც.

გიგო იმ ვიღაცას პასუხს არ აძლევდა. გამოქცეულ თებროს ესაუბრებოდა.

— რატომ წაჰყევი ბასილას?

— ძალით გამატანეს. ჰოდა, თითიც არ დაუკარებია, ასე რომ...

ამ ფიქრს ისიც უწყობდა ხელს, რომ ბასილა ქალის მოყვანის შემდეგ მალე ქალაქში წასულიყო საშოვარზე და აქამდე არ დაბრუნებულიყო.

„ხომ შეიძლება სულაც არ დაბრუნ-

დეს? გზა ხიფათიანია, იმდენი უბედურება ხდება... — გიგომ მეტოქე სასიკვდილოდაც კი გაიმეტა. — ჰო, მაშინ იქნებ ჩემი ბედი წაღმა შემობრუნდეს".

ტუჩზე იკბინა გიგომ, უცებ ცოდვამ შეაშინა, ეს რა გავიფიქრეო.

„ამაოა ჩემი წადილი. ბასილა რომ ხიფათმა იმსხვერპლოს, თებრო დაქვრივდება და გამწარებული ქალი, ვინ იცის, რა გუნებაზე დადგება, იქნებ მეორედ გათხოვება და გვირგვინის დადგმა აღარც ისურვოს. მის გამოქცევასაც ტყუილად ვფიქრობ. გამოქცევა თუ უნდოდა, ადრევე გამოიქცეოდა. მე რომ ვნატრობ, ასე მხოლოდ ზღაპრებში ხდება... მხოლოდ ზღაპრებში ბოლოვდება ყველაფერი კეთილად. ეეჰ!"

ბოლოს თავის ოცნებასაც ჩაუქნია ხელი, მაგრამ ბედს კი არ შერიგებია. ერთი სურვილი მაინც დარჩა: თებროს დავიმარტოხელებ და ვკითხავ, მე რომ გიყვარდი, ბასილას რატომ გაჰყევიო?

ბასილა ქალაქიდან ახალი დაბრუნებული იყო, გიგო გზაზე მარტოდ მომავალ თებროს რომ გადაეყარა. ქალმა დაინახა და თითქოს უხილავმა ვიღაცამ მიწაზე მიალურსმაო, გახევდა და თავი ჩაღუნა. გულაკანკალებული გიგო მიუახლოვდა და ისიც გახევდა. კარგა ხანს იდგნენ ენაწართმეულებივით, ვერც ერთმა ვერ დასძრა კრინტი. მერე თებროს უცებ ტირილი წასკდა, შეტრიალდა და ზლუქუნით გაიქცა.

თებროს ატირება გიგოს საამოდ დაურჩა: ეტყობა, ჩემი სიყვარულის დაკარგვას დღემდე ვერ შეურიგდა, თორემ ასე არ მოიქცეოდაო. იმედის ნაპერწკალი კვლავ აენთო გულში. ახლა ყველაზე მეტად საწვიმარი ღრუბლებით სავსე ცის დანახვა ახარებდა. ასე ეგონა, მისთვის და თებროსთვის კვლავინდებურად საყვარლად წვიმდა, ორივესთვის ერთნაირად წვიმდა და ცეცხლმოკიდებულ გულს მალამოდ ესალბუნებოდა. წვიმა თებროს თმას სურნელოვანს ხდის და როგორ შეიძლება თებროს წვიმა არ უყვარდესო. როდესაც გაწვიმდებოდა, გიგო შინ ვერ ჩერდებოდა და ქუდმოხდილი ალთაბალთას დაეხეტებოდა.

ცის ჭექა-ქუხილი და ტირილი სიამოვნებდა, მაგრამ წვიმის გარდა ყველაფერი სძულდა, ზოგჯერ საკუთარი თავიც კი. მხოლოდ წვიმა და თებრო უყვარდა... ის თებრო, იმ წვიმიდან მზესავით რომ გამოიხედავდა ხოლმე და უსიტყვოდ საყვედურობდა: იმ გადასაკარგავში სამ წელიწადს რა გინდოდა, ცოტა ადრე ვერ დაბრუნდიო? იმ წუთში გიგო თავს დამნაშავედ გრძნობდა და არ იცოდა საკუთარი თავი როგორ დაესაჯა. თუმცა რაღა მეტი დასჯა უნდოდა?

— თებრო, ჰაუ, თებრო! — ცის ქუხილზე ძლიერად და შემაძრწუნებლად გრუხუნებდა კაცი. ეს სულის კივილი იყო, თორემ თვითონ გიგოს ტუჩები ისე ჰქონდა მოკუმული, დანითაც ვერ გაუხსნიდით.

როცა გამოიდარებდა, წვიმაში ნახეტიალები და ძილგატეხილი გიგო ზეცას გახედავდა ხოლმე და ეჩვენებოდა, რომ იქ გუნდ-გუნდად შავ-შავი ვარსკვლავები ბუდედანგრეული ჭიანჭველებივით ირეოდნენ.

მარტოოდენ კედელს კი არა, უკაცრიელ გზასაც ჰქონია ყური.

ბასილას ვიღაცამ ენა მიუტარტალა: გზაზე მარტოდ მიმავალ შენს ცოლს გიგო ყაჩაღივით დაუხვდა და ისეთი რამ აკადრა, ატირებული ქალი ძლივს გამოექცაო.

ბასილა გაღმა ცხოვრობს, გიგო გამოღმა, შუაში მდინარე მოდუდუნებს, მდინარეზე წითლადმოაჯირშელებილი რკინის ხიდია. ბასილას უბანს ძველისძველი ციხე-კოშკი დაჰყურებს თავზე. სოფლის განაპირას, ციხის მოპირდაპირე მხარეს თოვლივით თეთრი ეკლესია დგას, იქვეა სასაფლაოც. ორივე უბნიდან იმ სასაფლაოსკენ ერთი გზა მიდის. ორივე უბანი ეკლესიაში სალოცავად იმ ერთი გზით დადის. გიგო და ბასილა ერთმანეთს იმ გზაზე შეხვდნენ.

ეტყობა, ქმარმა ცოლს არ დაუჯერა, რომ გიგოს მისთვის ცუდი არაფერი უკადრებია. ქალი იმას ხომ არ ეტყოდა, ნამდვილად რამაც აატირა? ბასილამ ალბათ იფიქრა, ცოლი შეურაცხყოფას იმიტომ მიმალავს, უფრო ცუდი ამბავი რომ არ მოჰყვესო.

— ვაჟკაცო, ჩემ ცოლს შუაგზაზე რატომ დაუხვდი? — სალმის თქმა დაივიწყა და დანახვისთანვე მიახალა ბასილამ გიგოს, თან ვერცხლისბალთიან ქამარზე დაკიდებული ხანჯლის ტარზე დაიდო ხელი.

— არ დავხვედრივარ, — მშვიდად მიუგო გიგომ.

— სოფელს ათასი თვალი აქვს, ქვეყნად დაუნახავი არაფერია. თუ რაიმე ანგარიში გაქვს გასასწორებელი, ქალს რატომ იბრიყვებ, მე აგერ არა ვარ? ვაჟკაცურად გავსწორდეთ.

— არ დავხვედრივარ-მეთქი! — გიგომ ახლა ჯიქურ შეხედა ბასილას. — რას მეშარები, თუ იცი?

— ერთი ამას უყურე შენ, რა ურცხვი ყოფილა, თვალსაც რომ მისწორებს?

— თუ დანაშაული არაფერი მაქვს, თვალი რატომ უნდა მოგარიდო? კაცურად გეუბნები, არ დავხვედრივარ. შარი თუ გინდა, კი, ბატონო, ვინც გაგექცეს, დედალი იყოს!

—მე შარიანი კაცი არა ვარ, სიმართლე მინდა გავიგო. მითხრეს: შენი ცოლი და გიგო შუაგზაზე ერთად იდგნენო. თებრო უცებ შეტრიალდა და ატირებული შინისკენ გაიქცაო. თუ ეს ტყუილია, პასუხს ამბის მომტანს ვაგებინებ, არა და...

— ეგ მართალია. მე გზაზე მივდიოდი და თებრო შემომხვდა. ერთმანეთისთვის ხმაც არ გაგვიცია, თებრომ ფეხი დაჰკრა და ატირებული გაიქცა.

— რატომ?

— ეგ თებროსა ჰკითხე, მე რა ვიცი?..

ბასილამ რაღაცის თქმა დააპირა და ენა დაება, მერე გიგოს ისე მრისხანედ შეხედა, მთელ ერთ თვეს საწვიმრად მოქუფრული და ჭექა-ქუხილისთვის გამზადებული ღრუბელი რომ გამოჩნდებოდა, გიგოს ბასილად ეჩვენებოდა. თითქოს მისი მეტოქე ცარგვალში ასულიყო, გაზრდილიყო, გაფოფრილიყო და გიგოს შორიდან უბღვერდა. არა, გიგოს არ ეშინოდა მისი, მაგრამ მტრულ მუქარას კი გრძნობდა და ეს არ ასვენებდა, მუდამ დაძაბული იყო კაცი, ბასილასთან პირისპირ შეხვედრას გაურბოდა, ვაითუ, ავი ამბავი დატრიალდესო. ყველას და ყველაფერს უნდობლად უყურებდა. ახლა გიგოს მტერი იყო არა მარტო ბასილა, ცაც და მიწაც.

ვის რა დაუშავა გიგომ? ქალი ჭეშმარიტად უყვარდა და ხელიდან გამოაცალეს, დრო უხელთეს, როცა შინ არ იყო, და მოსტაცეს. ახლა გიგოსვე ემტერებიან. რა დაუშავა ან ბასილას, ან მიწას, ან ცას?

იქნებ ის იყო მისი დანაშაული, საშოვარზე წასული ბასილას დაღუპვა რომ ინატრა გულში? მერე ეკლესიაში ღვთისმშობლის ხატს ხომ გამოსთხოვა პატიება? ბოროტი კაცი არ იყო გიგო, ცოტა ხნით ცხოვრებამ გააბოროტა და ის ცოდვაც მაშინ უნებლიეთ გაივლო გულში, ეს იყო და ეს. გზაზე წაქცეული ბასილა რომ ენახა, იქნებ პირველი თვითონვე მიშველებოდა და გადაერჩინა? ნუთუ იმ პაიპარად გულში გავლებულ ცოდვას არ აპატიებს უფალი და ასე დღენიადაგ მუქარის თვალს არ მოაშორებს.

„უცნაური ყოფილა წუთისოფელი. თურმე რამაც გული ძლიერ გატკინა, ან რამაც ძალიან გაგახარა, მხოლოდ ის გამახსოვრდება. ცხოვრება ტკივილისა და სიამოვნების ჯაჭვი ყოფილა, სხვა არაფერი...“

გიგო არც აქამდე იყო ენაგაშლილი, ახლა სულ უთქმელი და სიტყვაძვირი გახდა. ხალხში გასვლას ერიდება, დარდსა და ვარამს მუყაით ჯაფაში კლავს. ცელს იქნევს თუ ვენახსა სხლავს, ხმას არ იღებს, სიტყვა გაზით უნდა ამოაძრო პირიდან. მამამისს ღიღინით მუშაობა უყვარს, კრიჭაშეკრულმა შვილმა ისიც დაამუნჯა.

მარიამობისთვის ერთ დღეს, კალოობას რომ მორჩნენ, გიგო საბანაოდ მდინარეზე ჩავიდა, ნახა, ვიღაცას ცაცხვი მოუჭრია. მის ღრუში შენახული მზისჩუქურთმიანი ლამაზი ქვა ახლაღა მოაგონდა, შინ წაიღო და ჭიშკართან ყორეში შემალა. მესამე დღეს ხედავს, ქვა იქ აღარ არის. სწორედ ამ დროს ღელის ბილიკზე გაღიმებულმა მამამისმა ამოირბინა.

— მამა, რამ გაგახარა?

— გავიგე, შვილო, გავიგე, შენ რამაც გამოგაშტერა. გვეშველა ორივეს. ვიღაცას ჯადო შემოუპარებია და ვუტირე ყოფა.

— რა ჯადო?

— ყორეში უცნაური რიყის ქვა ვიპოვე. თუ ჯადო არ არის, აქ საიდან გაჩნდა თავისით?

— მერე, რა უქენი იმ ჯადოს?

— ხომ გითხარი, ყოფა ვუტირე-მეთქი. ქვას ვერ დაწვავ, ღელის გაღმა მოვისროლე, საარვისოში.

— ნუ გეშინია, მამა, ეგ ლამაზი ქვა მე მოვიტანე რიყიდან. ტყუილად გგონია, რომ მოჯადოებული ვარ.

— აბა, რა უბედურებაა ჩემს თავს? შენ ადრე ასეთი არ იყავი, ვეღარა გცნობ, ბიჭო. ზოგჯერ ისე გამოშტერდები, ყურთან ზარბაზანი რომ დაგიცალონ, აღარ გესმის. გონს მოდი, შვილო, გონს! გამიმხილე, რა ნაღველი გისხია გულში, მითხარი, რა გაწუხებს? იქნებ ვიცოდე წამალი?

— არაფერი არ მაწუხებს.

— ნუ მიმალავ, მამა ვარ შენი. გაღმელებმა მითხრეს, შარშან თურმე შიუკაანთ თებროლიას დახვედრიხარ გზაზე.

— სხვა რა გითხრეს?

— აგიტირებია. მართალია?

— მრუდედ მოუტანიათ ამბავი. მე არ ამიტირებია, თვითონ ატირდა.

— მართლა გიყვარდათ ერთმანეთი?

— გვიყვარდა.

— მერე იმ ბავშვურ სიყვარულს თან ხომ არ უნდა გადაჰყვე? რასაც აღარაფერი ეშველება, იმაზე დარდს გული არ უნდა შეაჭმევინო. რაღა დროს იმ ქალზე ფიქრია, აკვანს უზის — უკვე-მარტო თებროს მხარზე ხომ არ იდგა შენი ცა? ქვეყნიერების ზურგზე საქალეთი კი არ გამწყდარა, კარგად გაიხედ-გამოიხედე! ცხოვრებას ჩვენ უნდა ავუწყოთ ფეხი, ცხოვრება კი ვერ აგვიწყობს ჩვენ ფეხს, აბა!

მამა-შვილმა კარგა ხანს ისაუბრა. ზოგ რამეზე იკამათეს კიდეც. შვილმა ხვაშიადი გაანდო მამას და გული გაუხალვათდა, აფორიაქებული სული დაიმშვიდა. დარწმუნდა: არც ცა ემუქრებოდა, არც მიწა, არც სხვა ვინმე. ეს ყველაფერი მხოლოდ თვითონ ეჩვენებოდა. მიხვდა: უგუნებობით თავსაც აწუხებდა და სხვებსაც. ამიერიდან ასე ცხოვრება არ შეიძლებოდა. საბოლოოდ შეეგუა იმ ამბავს, რომ აკვანთან მიმჯდარი თებრო მისი არასოდეს გახდებოდა და ამან შვებაც კი მიანიჭა. ახლა ისიც კი გადაწყვიტა, თებროსთან გულდაგულ მივალ და თამამად ვეტყვი, იმ დღეს რატომ ატირდი და კინაღამ შარში გამხვიე-მეთქი. მერე იქნებ ისიც ვკითხო: მე რომ გიყვარდი, ბასილას რატომ წაჰყევი-მეთქი. ეს ისე, სიმართლის გასაგებად.

აღდგომა დღეს გიგომ თებრო ეკლესიის ეზოში დაინახა. მისკენ მშვიდად წავიდა და უცებ შეჩერდა, თებრო თავის ქმარ-შვილზე ისე სიყვარულით ლაპარაკობდა, ახლა რაიმეს კითხვა სირცხვილიც იყო. იქნებ ყმაწვილქალობისას თებროს გიგო ძალიანაც უყვარდა, მაგრამ ახლა... ის სიყვარული, ეტყობა, აღარც ახსოვდა და ძალით გახსენება რა საჭირო იყო? თებრო თითქოს განგებ ლაპარაკობდა ხალხში ქმარ-შვილის სიკარგეზე, ლაპარაკობდა უფრო გიგოს გასაგონად, აქაოდა, ხომ გესმის, ჩემი ოჯახი როგორ მიყვარს, შენ სულაც აღარ მაგონდები და თავი დამანებეო. ახლა იმ ძველი სიყვარულისა და შეხვედრის გახსენება გიგომ თავის დამამცირებლადაც კი მიიჩნია და ბილიკზე ისე ჩაიარა, თითქოს თებრო არც დაუნახავს.

თებრო კი ამოიგდო გულიდან, მაგრამ მისი ხელმოკიდებული გაქვავებული მზე ვერ გაიმეტა. ღელეში ჩავიდა, მოძებნა, ისევ შინ მოიტანა და უძვირფასესი განძივით ბეღელში შეინახა. ზღმარტლთანაც უჭირდა გულგრილად ავლა-ჩამოვლა, მთისკენ მიმავალი უექველად შეჩერდებოდა, შავკლდეზე ჩამოჯდებოდა და იქაურობას ნაღვლიანად გადაჰყურებდა. ეს სევდა რაღაცნაირად წმინდა, ნათელი და ლამაზი იყო. ამიტომ, როცა ეცალა, იქ უსაქმოდაც ადიოდა და თავისი ნათელი სევდით ტკბებოდა. ეს ადგილი მისი სულის სავანე გახდა, თებრო ასე თუ ისე, დაივიწყა, ზღმარტლის შემოგარენი კი კვლავინდებურად უყვარს, იქნებ უფრო მეტადაც. ყოველ გაზაფხულზე ზღმარტლის აყვავებას ისე მოელის, თითქოს მისი რტოების აყვავებასთან ერთად ამ ქვეყნად ყველაფერი გამეორდება, ერთ მშვენიერ დღეს აყვავებული ხის ძირას მტირალა გოგონა დაუხვდება და დაკარგული ცხვრების საძებრად ერთად წავლენ, გოგოს ბილიკზე ფეხი დაუცდება და... მერე შხაპუნა წვიმაც მოვა, გოგონას თმას დაუსველებს და... ეჰ, რა ამაოა ახლა ეს ფიქრი!

გიგოს ქალაქში შეხვედრილი ერთი კაცი მოაგონდა. იმ კაცს ქუჩის მაწანწალასავით ეცვა, მთვრალიც იყო, გონებაფხიზელი ბრძენივით კი ლაპარაკობდა. მგონი, ყველაფერი იცოდა, რაც ცაში და მიწაზე ხდებოდა. ახლად აყვავებულ, გაფურჩქვნილ ხეხილს რომ შეხედა, ისეთი უცნაური რაღაც თქვა, გიგოს მთლად ზუსტად როგორ დაამახსოვრდებოდა, მაგრამ ბევრიც არაფერი დავიწყნია.

აი, ხეხილი კვლავ ყვავილობს და იფოთლება, მაგრამ წლევანდელი ყვავილები და ფოთლები სულ სხვანაირად შრიალებენ, ვიდრე შარშანდელი და შარშანწინდელიო. ამ ყვავილებმა და ფოთლებმა ისიც კი არ იციან, წინათ ამავე ხეზე ფოთლები როგორ შრიალებდნენ და ტოტები როგორ ჰყვაოდნენო. აღრინდელი ყვავილები და ფოთლები ალბათ სულ სხვა რამეს ფიქრობდნენ, ესენი კი — სულ სხვა რამესო. ყველა ახალ ყვავილსა და ფოთოლს თავისი საზრუნავ-საფიქრალი აქვსო. მხოლოდ ხის ფესვი რჩება უცვლელი, მაგრამ ხე თავის ფესვებს ვერ ხედავსო...

„ჰო, ეტყობა, ასეა, ასე. იმ გაზაფხულისდროინდელი ყვავილების გაშლას ამაოდ ელი, გიგო, თავს ნუ მოიტყუებ, დაჭკნა ის ყვავილები და ჩამოცვივდა. ნაყოფი კი, ნაყოფი ყინვამ თუ რაღაცამ დააზრო..“

* * *

გიგომ ზემოური ქალი მოიყვანა. სიდონიას დიდხანს არ უპატარძლია, კვირის თავზე მკლავები დაიკაპიწა და სახლ-კარის თავის საგუნებოდ მილაგმოლაგებას შეუდგა. ეს უბრალო რიყის ქვა ბეღელში რად უგდიათო, აიღო და ეზოს ნაფალავ მტვერსა და ღორღს გადააყოლა ღელეში. გიგოს არ უთქვამს, რატომ გადააგდეო, ჩუმად მოიტანა, ისევ ყორეში დაუპირა შენახვა და უმალვე გადაიფიქრა, ბეღლის საძირკველსა და საყრდენ ბოძშუა შედო.

სიდონიას სიკეთემ თებრო თითქმის სულ გადაავიწყა. ცოლი არაფერზე ედავებოდა, არც გიგო ეჩხუბებოდა ცოლს. წუთისოფლის ჭაპანს შეხმატკბილებულად ეწეოდნენ. მალე შვილიც გაუჩნდათ. პატარას ბაბუას სახელი დაარქვეს — პავლე, და მამისეულ აკვანში ჩააწვინეს. ამ აკვანს ოჯახში სასოებით ინახავდნენ — ბედნიერიაო. ვინ მოთვლის, ამ აკვანში რამდენი გაიზარდა — შინაურიც, გარეულიც... მაგრამ სულ სხვა გრძნობა იყო, გიგოს ნაწოლ აკვანში მის ვაჟს არტახებით ხელ-ფეხი რომ გაუკრეს და ააჭყვირეს. გიგო მაშინ ისეთ გუნებაზე დადგა, თითქოს ხელახლა დაეწყოს სიცოცხლე. დაეწყოს ჩვილობიდან. რაღაც ძველი მოკვდა მის არსებაში და ახალი გაცოცხლდა. მიწაზე ფეხი უფრო თამამად დაადგა. ცას უფრო იმედიანად ახედა. შვილის სახელზე ქვევრი ჩამარხა, წითე-

ლი კამკამა ღვინით გაავსო, სარქველი აყალოთი გულმოდგინედ გადაგოზა და ჩაუთქვა: პავლეს ქორწილამდე ხელს არ ვახლებო. ახალი ვენახი გააშენა, ეზოში ახალი ნერგები ჩარგო, ტყეში შვილის სახელზე მწვანე მსხალიც კი დაამყნო.

ის აკვანი გიგოს ახლაც შენახული აქვს. შიგ ალარავის აწვენენ, მაინც ინახავს.

„ნეტავი ვისი ნახელავია? კუბოს ფიცარს ვინ გაუთლის, დაბეჯითებით ეს არავინ იცის, მაგრამ ვინც აკვანი გაგვითალა, ეს მაინც არ უნდა ვიცოდეთ?"

სად არის იმ კაცის საფლავი, გიგოს აკვანი რომ გამოუხატა? რა უმადურებაა, ერთხელ მაინც რატომ არავის ჰკითხა ეს? თავის დროზე უნდა ეკითხა, თორემ ახლა ვინღა ეტყვის? ვინც ეს იცოდა, ყველას უკვე ეგერ, ე, გაღმა, ჯვრებითა და ლოდებით მოქარგულ მიწაში სძინავს...

ახლა იქ სძინავთ თებროსაც და სიდონიასაც. ჯერ თებრომ დაიძინა, მერე სიდომ. გიგოს ის დღე ახლაც ახსოვს. სიდონიას რომ მიასვენებდნენ, ლურჯად მოხასხასე ცაზე საოცრად ლამაზი ქულა ღრუბლები გამოჩნდა, ისინი ერთად თავშეყრილ ანგელოზებს ჰგავდნენ.

გიგო ცოლს აღმერთებდა. კარგა ხანს იგლოვა. სიდონიას სიკვდილის შემდეგ მხოლოდ ბასილას ჯიბრითღა უნდოდა სიცოცხლე, იმ კაცთან თითქოს სამტრო აღარაფერი ჰქონდა, მაინც ძველ მეტოქედ მიაჩნდა და უნდოდა რაღაცით ეჯობნა...

ცოლის საფლავი რომ დაუძველდა, იქ სიარულს უკლო. მერე რატომღაც სიდონიაზე ხშირად თებროლე აგონდებოდა. საიქიოში წასვლა რომ მომიწევს, პირველი სიდო კი არა თებრო შემომეგებებაო.

გიგოს სიდონიასთან ჰყავდა ფესვის გამგრძელებელი შვილი, თითქმის ნახევარი საუკუნე ამ ქალთან მოათია, ვიდრე სიდო გვერდით ჰყავდა, თებრო აღარც აგონდებოდა, გავიდა ჟამი და სიდო თანთადან დაავიწყდა, თებროსთან გატარებული დღეები კი შემოუბრუნდა და კვლავ ჩაესახლდა გულში. ახლა ხომ ორივე მიწაში იწვა, თებროც და სიდოც, ცოლს ყოველთვის მკვდრად იგონებდა, თებროლე კი მუდამ ცოცხლად ედგა თვალწინ.

„იქნებ თებრო უფრო კარგად იმიტომ დამამახსოვრდა, რომ დავკარგე? რაც დაგიკარგავს, გულს უფრო გტკენს და... თებრო ხომ ჩემთვის აუსრულებელი სურვილი იყო და... ალბათ ისევ იმიტომ ვეპოტინები..."

გიგო ხშირად აყვავებულ ხესთან ხედავს ჩითისკაბიან გოგონას. დგას გაღიმებული თებრო და ხელს უქნევს, უხმოდ ეძახის.

მოხუცმა ბოლოს ისიც აღმოაჩინა, რომ სიდოსეული არაფერი შემორჩენია, თებროსეული ქვა კი ისევ შენახული აქვს. ახლაც ინახავს სანუკვარი განძივით. ხელს რომ შეავლებს, ბავშვივით ხარობს. ის პირველი სიყვარული და მზის ჩუქურთმა თითქოს ერთად გაქვავდა და ამ ქვაში გაეხვიაო.

გაქვავებულ მზეს უყურებს და მის გულშიც აყვავებულ ხესა და იმ ხესთან დამდგარ გაღიმებულ გოგონას ხედავს. უცებ, საიდანღაც ბასილა მოვარდება და ამ ხატს ეფარება. აყვავებული ზღმარტლიცა და შავნაწნავებიანი გოგოც უმალვე ქრება.

გიგოს გული მოსდის ბასილაზე. არ ემუქრება, მაგრამ იმას კი დღენიადაგ ფიქრობს, რაღაცით უნდა ვაჯობოო.

ჰოდა, აჯობა კიდეც. დღეს ერთი მუჭა მიწა ბასილას გიგომაც მიაყარა და იჭაურობას ისე გადახედა, თითქოს თავის კარ-მიდამოს ათვალიერებსო.

გალავანთან მისულ-მიჯუნჭული სასაფლაო ბოლო დროს მდინარისკენ მიიწევს, წინ რაკი არ უშვებენ, უკან იხევს. აქ ნაირ-ნაირი საფლავებია: ლოდიანი და ულოდო, ბორცვიანი და ჩაზნექილი, ლოდაყირავებული და ჯვარდასმული, ზოგს თავთით უბრალო რიყის ქვა უსვია, უმზეო რიყის ქვა, ზოგი სულ ნიშანდაუდებელია, ან ჰქონდა ნიშანი და დაეკარგა. ზოგ საფლავს

მოაჯირ-მესერი ავლია, უმეტესობა კი შეუღობავია. ერთგან წინათ ქანდაკებაც იდგა, კარგა ხანია ის ქანდაკება თავმომტვრეული და მკლავებდაგლეჯილი ბუჩქებში აგდია. ზოგ საფლავზე ბალახი ბიბინებს, ზოგიც ეკლებითაა შეკრულ-გადაბარდული. აქა-იქ ხეებიც ამოსულა. სიდოს საფლავიც და თებროს საფლავიც ბუჩქებშია დამალული. ძველად აქ საფლავებს რკინის მოაჯირს არ უკეთებდნენ, ჭირისუფალი რაღაცით გამორჩეულ რიყის ქვას დაუსობდა და საფლავიც მონიშნული იყო, მეტი არაფერი უნდოდა. იშვიათად მესერსაც შემოავლებდნენ, მაგრამ ის სამიოდე წელიწადში ლპებოდა და ინგრეოდა, განახლებას კი არავინ ფიქრობდა — არ ვარგაო. რამდენიმე წლის შემდეგ თავისიანის საუკუნო სავანეს ზოგი ჭირისუფალიც კი ვეღარ აგნებდა. წარწერიანი ლოდი არც თებროს ედო გულზე, არც სიდოს. ორივეს რიყის ქვა დაუსვეს თავთით, მერე იქაურობას ბუჩქები მოედო და რიყის ქვები მთლიანად გადაფარა.

სასაფლაოსთან ეკლესია უკვე დანგრეულია.

„იმ წელს დაანგრიეს.. როდის იყო ეს? სულ ერთი არ არის?“

ბასილა თებროს გვერდით არ დაუმარხავთ, ვერ მიაგნეს მის საფლავს. შვილი ცოცხალი აღარ ჰყავდა, შვილიშვილები კარგა ხანია ქალაქში ცხოვრობდნენ და ბებიას საფლავი ვერც ერთმა ვერ გაიხსენა. მიიკითხ-მოიკითხეს, ვერავინ უთხრათ. თებროს საფლავი ბასილამ იცოდა და სიკვდილმა დაამუნჯა სამარადისოდ.

იქნებ ბასილას ანდერძის დაბარებაც კი უნდოდა, ჩემ თებროლიასთან დამმარხეთო, არ დასცალდა, ძილში გაიპარა, უწვალებლად მოკვდა. ვიღაცამ ისიც კი თქვა: ღმერთო, შეგცოდე, და ახლა მაგის სიკვდილი მადლიც იყო, საწყალი საკუთარ პერანგს ვეღარ ერეოდაო.

ანდერძს ვინღა დაეძებს, ვინ იცის, ბასილას კიდევ რამდენი რამ ჰქონდა სათქმელი, იქნებ სადავოც ამ წუთისოფელთან. სამარადისოდ გაციებულმა მისმა ბაგეებმა ანდერძის გარდა ალბათ სხვა ბევრი საიდუმლოც გაიყოლიეს თან.

მიცვალებულის სანახავად გიგო იმ დღესვე მივიდა. დახედა და თვალი მოარიდა. ბასილა თითქოს თვალებმოჭუტული უყურებდა გიგოს, გამომცდელად თვალებმოჭუტული: აბა, ჩემო მეტოქევ, მკვდარს რომ დამინახავ, როგორ მოიქცევიო? პირიც ღრიჭოდ ჰქონდა გაღებული, თითქოს გიგოს რაღაც უნდა უთხრასო.

რაღა რაღაც, თებროს საფლავი ახლა მხოლოდ გიგომ იცოდა, მარტოოდენ გიგომ. თქმა დააპირა, მაგრამ უმალვე ენას კბილი დააჭირა. ისინი თუ ერთად არ დაიმარხებოდნენ, ეგონა, ამით ბასილაზე რაღაცნაირად შურს იძიებდა.

„იქნებ მე სწორად არ მოვიქეცი და რაიმე დანაშაული ჩავიდინე, მაგრამ შენ კი, ბასილა, ცხოვრებაში ყოველთვის მართალი და უცოდველი იყავი? თებრო ხელიდან რომ გამომაცალეთ, მაშინ ცოტა მაინც არ სტყუოდით შენ და სხვები? მე არავის არაფერს არ ვართმევ, ჩემი კუთვნილის დაბრუნება მინდა... აქ კი არა, საიქიოში. თუ ეს ცოდვაა, დაე, პირველი სიყვარულის მადლმა შემინდოს, სიყვარულის გამგებელმა მაპატიოს!“

წინათ გიგო ღვთისმოშიში იყო, მერე უთხრეს: ნურაფრის გეშინია, ღმერთი არ არისო. უნამუსობა და სიავკაცე მაინც არაფერი ჩაუდენია: ცაში ღმერთი თუ არ არის, მიწაზე ცოდვა-მადლი ხომ ტრიალებსო? ღმერთს თითქოს შეელია, მაგრამ მერე ისიც უთხრეს, არც ღმერთია და არც საიქიოო, ამან კი გული მოუკლა. ღმერთის სიკვდილს შეურიგდა და საიქიოს გაქრობის ამბავს — ვერა. მწარე ფიქრი მოეძალა: როგორ თუ საიქიო არ არისო?! აბა, თებროს ვეღარ უნდა შეხვდეს? ვერც სხვას? ვინც უყვარდა, შინაური თუ შორებელი ვერ უნდა ნახოს? საფლავს

იქით აღარაფერი არ არის? აქეთ რომ თითქმის არაფერი გვრჩება, თუ იქითაც არაფერია, მაშინ... ნეტავი არ ეთქვათ, ღმერთი არ არისო, ნეტავი არ დაენგრიათ ის ეკლესია... ღმერთის დაკარგვა საიქიოს რწმენასაც აკარგვინებს... არა, არა, გიგო ღმერთს შეელევა და საიქიოს — ვერა. გიგოს არ უნდა ადამიანის სიცოცხლე საფლავთან გათავდეს, იმის იქითაც უნდა სიცოცხლე, უფრო ნეტარი სიცოცხლე... სადაც თებროს ვეღარავინ წაართმევს.

აი, გიგომ ბასილას სად აჯობა. ჰო, რაღაცნაირად შური იძია, თებროს საფლავის ადგილსამყოფელი საიდუმლოდ რომ შეინახა. არავის ეტყვის, არავის. ეს კიდეც რომ გაუგონ რამენაირად, ვინ რას მიხვდება, რატომ ჩაიდინა? მისი და თებროს ამბავი ქვეყანაზე ვიღას ახსოვს?

გიგომ ბასილას ერთი მუჭა მიწა მიაყარა და მიმოიხედა.

„გიგო, გიხარია, ბასილა თებროსთან რომ ვერ დამარხეს?“

„თუ ეს ცოდვაა, ცოდვა გამხელილი სჯობს, ნამდვილად ასეა... იქნებ არის საიქიო და...“ — თავის თავს გამოუტყდა გიგო და სასაფლაოს ისევ გახედგამოხედა. „მეც აქ დამმარხავენ. ნეტავ რომელ ბუჩქთან? სიდოსთან თუ თებროს ახლო: იქნებ ბასილას გვერდითაც? ანდერძის დაბარება უნდა მოვასწრო, ე, ემ მაღალ ბუჩქთან დამმარხონ, თებროს გვერდით“. — იმ ბუჩქამდე მანძილი თვალით გაზომა. — „ჰმ! აქედან ჩემ საფლავამდე ორმოციოდე ნაბიჯია, ერთ ჩასუნთქვა-ამოსუნთქვას თუ მოასწრებს კაცი...“

მაგრამ გიგომ ანდერძი ვისლა დაუბაროს — იქ დამმარხეთო? მისი სიტყვა ვიღას ესმის? ამქვეყნად გიგოს ჭკუაზე ვინღა დადის?

— ეეჰ!

ბერიკაცმა უცებ აღმოაჩინა, რომ ამქვეყნიური ამბები თითქმის სულ მოეთავებინა და ახლა საიქიოსთვისღა ზრუნავდა. თითქოს აქამდე მართლაც მხოლოდ ბასილას ჯიბრითღა ცოცხლობდა და რაკი მისი მეტოქე მოკვდა, სიცოცხლის მიზანი თვითონაც დაკარგა და მთლიანად დაიცალა კაცი.

ნუთუ ბასილასთან ერთად გიგოც გათავდა?

აქამდე რამდენჯერ ჩავარდა ლოგინად, ყველას ეგონა, აღარ გადარჩებაო, მაგრამ გიგომ უხილავს აჯობა და წამოუდგა ფეხზე. ჯიუტობდა მისი სული, რაღაცას ელოდა, ჰოდა, მოვიდა ის რაღაცა... თურმე ეს რაღაცა მეტოქის სიკვდილი ყოფილა... მეტოქის სიკვდილს მოჰყვა გიგოს უხილავი რაღაცაც და უცებ აილანდა მის წინ, ხილული და ხელშესახები გახდა.

არა, ბასილა მხოლოდ მტერი და მეტოქე არ ყოფილა, თურმე სწორედ ეგ აფხიზლებდა გიგოს, სიფხიზლე კი აცოცხლებდა, სიკვდილის წინაშე ქედს არ ახრევინებდა...

ბასილას წითელი კუბო ვიწროდ გაჭრილ სამარეში ჩაუშვეს, ერთი მუჭა მიწა გიგომაც მიაყარა და... იმ ერთ მუჭა მიწას ჩააყოლა ყველა წადილი, ადამიანი მთლიანად დაცარიელდა, გიგოს სიცოცხლეს თითქმის ყველა სურვილი და მიზანი წაერთვა... მხოლოდ ამ სამარემდე მოჰყვა სიცოცხლის ყველა სურვილი და უცებ გაუთავდა, გაზაფხულის თოვლივით შემოადნა ხელში და დაეწრიტა. ამ სამარის იქით გიგოსთვის უდაბნოა, გამომშრალ-გამოფიტული უდაბნო, არავითარი სიცოცხლის ნიშანწყალი რომ აღარ ეტყობა. უსურვილო სიცოცხლე სწორედ იმ უდაბნოსა ჰგავს.. უსურვილო და უმიზნო სიცოცხლე სიკვდილზე უარესია. არა, გიგოს აღარ უნდა ასეთი სიცოცხლე, როცა აღარავის უპირისპირდება, როცა აღარავის ეჯიბრება, როცა აღარავის ებრძვის... თითქოს არც აღარავის სჭირდება...

ეს აღმოჩენა გიგოს მომაკვდინებელ ლახვრად დაეცა გულზე, ამ ფიქრმა მეტოქის საფლავთან მდგარი კაცი სულიანხორციანად შეაძრწუნა.

„ნუთუ ადამიანი მხოლოდ ამისთვის ცოცხლობს, რომ ვიღაცას ეკამათოს,

ედავოს და გაეჯიბროს? ფუუ! შენი სამართალი კი დაიქცეს, წუთისოფელო! სანამ ადამიანს გულზე მიწას არ მიაყრი, არ უნდა მოასვენო? უჯიბროდ სიცოცხლე არ უნდა დაანებო? აი, ბასილა მიწაში ჩააწვინეს და იმასთან ერთად თითქოს მეც დამმარხეს... ბასილამ მე მომკლა რაღაცნაირად, თვითონ კი, თვითონ, მგონი, არც მომკვდარა. მე რომ სული ამომივა, მხოლოდ მაშინ მოკვდება ყველა, ვინც მარტოოდენ მე მახსოვს. მე თვითონ კი მაშინ მოვკვდები, როცა აღარავის ვემახსოვრები. ჰო, ადამიანი მანამდე ცოცხლობს, ვიდრე ვიღაცას ახსოვს. ეს ჭეშმარიტად ასეა, ასე. ჰოდა, ამიტომ ბასილასთან ერთად მე რაღაცნაირად მოვკვდი, თვითონ ბასილა კი რაღაცნაირად ცოცხალია ჩემში..."

თურმე აქამდე რა გულუბრყვილოდ ფიქრობდა გიგო. ეგონა, მეტოქეს ვაჯობეო, გზიდან ჩამოვიშორეო, უიმისოდ კი ქვეყნიერება მთლიანად დაუცარიელდა. მეტოქე აღარა ჰყავს და აღარც ცოცხლობს, ბასილამ მისი სიცოცხლეც თან წაიღო და გიგო ცისა და მიწის შუა ფიტულივით გამოკიდებული სულ მარტოდმარტო დატოვა.

მოხუცი გზაზე ცალად მიბარბაცებს და ფეხები ეკეცება. ისევ ეჩვენება, რომ მხარზე დიდი ჭრელი ხურჯინი ჰკიდია, იმაზე დიდი ხურჯინი, ქალაქიდან მიმავალს რომ ეკიდა. ეს იმ ხურჯინსა ჰგავს და აღარცა ჰგავს. ის მძიმე ხურჯინი გიგოს მჩატედ მოჰქონდა, ეს კი უსაშველოდ ამძიმებს, ძლივს უძლებს, ცოტაც და წაიქცევა.

„ეს, ჩემო გიგო, უბრალო ხურჯინი კი არაა, მთელი შენი წუთისოფელია. ასეთი ხურჯინი თურმე ადამიანს, ვიდრე ცოცხალია, მოუშორებლად ჰკიდია, ოღონდ ვერ ამჩნევს, ან მის საყურებლად არ სცალია. წუთისოფლის ხურჯინსაც ჩვეულებრივი ხურჯინივით ორი თვალი აქვს, ოღონდ ჯერ მისი წინა თვალია სავსე და უკანა ცარიელი, მერე წინა თვალი თანდათან იცლება და უკანა თვალი ივსება, მაგრამ იმით კი არა, რაც წინა თვალში იდო... ახალგაზრდობისას ხურჯინის წინა თვალი სავსეა ოცნებებით, იმედებით და სურვილებით. ეს იცლება თანდათან და ბოლოს სულ იჩუტება. სამაგიეროდ უკანა თვალი მოგონებებით ივსება, განვლილი გზის მოგონებებით. მოხუცის ხურჯინის წინა თვალი მთლიანად დაცლილია, უკანა თვალი კი ყმაწვილკაცობის მოგონებებითაა გატენილი... ისე რომ, შემდგომდროინდელი მოგონებებისათვის შიგ ძალიან ცოტა ადგილია დარჩენილი. სწორედ ამის ბრალია, რომ მოხუცი წინ იყურება და უკან კი მიდის. მოგონებებით გატენილი ხურჯინის თვალი ექაჩება უკან და ყმაწვილკაცობის დღეებისაკენ აბრუნებს".

ესეც ქალაქში გაიგონა გიგომ და ახლა ფიქრში გაუცოცხლდა. მარტო ეს კი არა, ყველაფერი აგონდება, რაც მის ახლანდელ ცხოვრებას ესადაგება.

ადამიანს ვიდრე სიბერე მუხლს არ დაუძაბუნებს, ვიდრე წინ თამამად სიარული შეუძლია, უკან საყურებლად ვერ იცლის, მერე კი... მერე სულ უკან იყურება და მოგონებებით ერთობა. მწარე მოგონებებიც კი ატკბობს, თითქოს ტანჯვა-წამებითა და ვაი-უბედურებით განვლილი წუთისოფლის ჭეშმარიტ სიამესა და გემოს ახლაღა გრძნობს. ნამდვილ ცხოვრებას, დღევანდელ დღეს, ბინდბუნდად ხედავს, მოგონებებით გაცოცხლებულს კი — ცხადად.

გიგოს ყმაწვილკაცობის სიზმრებიც კი ახსოვს, სიბერის მხოლოდ ის — რომ დაბერდა. ქალაქიდან რომ ხურჯინი მოჰქონდა, ერთგან გახვრეტილი იყო, ღამით თაგვებმა გამოჭამეს. მერე ასეთი წვრილმანები აღარ ამახსოვრდებოდა.

ვიდრე ჭირის სუფრასთან იჯდა, გაურკვეველი ხმაური უჟუოდა ყურებში, ვინ რას ამბობდა, ვერ იგებდა. ყურში ესმოდა და ვერ იგებდა. გიგოსთვის აქ ყველა უცნობი იყო. მისი თაობის კაცთაგან სოფლად აღარავინ დარჩენილა, სხვებს კი ვერ სცნობდა. ვინც მოგვია-

ნებით გაიცნო, ყველა დაავიწყდა. მხოლოდ ყმაწვილკაცობისას გზაზე შეხვედრილი ხალხი ახსოვს, ისინი კი კარგა ხანია დანგრეულ ეკლესიასთან წვანან, ზოგი ლოდქვეშ, ზოგიც უბრალოდ მიწამიყრილი.

გიგო იმ ადამიანთა ფიქრსაც კი ხედავდა, მათი ზიარი გუმანი ჰქონდა, ვის რა უჭირ-ულხინდა, უთქმელადაც ხვდებოდა ხოლმე, მათი ნათქვამი ყველა სიტყვა მკაფიოდ ესმოდა, აზრსაც ადვილად იბეჭდავდა გულზე. მერე მოსული ხალხი კი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, სულ სხვანაირად ლაპარაკობს. თითქოს ისევ ქართულად, მაგრამ რაღაც სხვა სიტყვებით, გიგოსთვის ნახევარზე მეტი გაუგებარია, აზრი ვერ გამოაქვს. ახლების სახეებსა ხედავს და სულს — ვერა. მათი სული გიგოსთვის სულ უცნობია, ძალიან შორსაა და იმას როგორღა გაიგებს, ახლები რას ფიქრობენ, რა უხარიათ და რა აწუხებთ? გიგო მათ ნალაპარაკევს იმდენად ვერ იგებს, ზოგჯერ ყველაფერი უკუღმა ეჩვენება, ჭირი ლხინად, ლხინი ჭირად.

თავის თაობაში გიგოს მოყვრებიც ჰყავდა და მტრებიც, მეგობრებიც და მეტოქენიც, იმ სუფრაზე კი აღარც მოყვარე ჰყავდა, აღარც მტერი. აქ ბასილას სახელი ტრიალებდა, მაგრამ ბასილაც თურმე მისი მტერი არ ყოფილა, უფრო მეგობრად დაბადებულა, სიცოცხლის გამაფხიზლებლად...

იჯდა გიგო სუფრასთან და სასაფლაოზე მწოლარე ნაცნობი ადამიანების საუბარი ესმოდა, აქ მყოფი ხალხის სიტყვები კი არა.. რაღაც ანდღლეული ხმა უჟღრიალებდა ყურებში. ახლა მისთვის მიწისქვეშ ამოდებული ხალხი ცოცხალი იყო, მიწაზე მოსიარულე კი — მკვდარი. მკვდრები ცოცხლებად ექცნენ და ცოცხლები მკვდრებად.

ეს არ უკვირს გიგოს. პავლია ბაბუას რამდენჯერ შემოუჩივლია: ბიჭო, გარკვევით მელაპარაკე, რასაც შენ ამბობ. ნახევარზე მეტს ვერ ვიგებო

სხვადასხვაა მოხუცისა და ახალგაზრდის ფიქრიც და სიტყვაც. ეტყობა, სისხლიც კი სხვადასხვანაირად ჩქეფს და გულსაც სხვადასხვანაირი ხმა და ექო აქვს. მოდიან ახალი თაობები და რაც უფრო გრძელი ჟამი დევს უფროს-უმცროსთა შორის, ერთმანეთს ნაკლებად უგებენ. სოფელ-ქვეყანას რა უსაყვედუროს გიგომ, როცა ერთ ოჯახშიც კი ერთმანეთის რიგიანად აღარა ესმით რა. რაც უფრო იზრდებოდა გიგოს შვილი ან შვილიშვილი, მისთვის უფრო შორეული და გაუგებარი ხდებოდა, სხვა იყო, გიგოს არ ჰგავდა. თავისიანებიც კი თანდათან უცნობები ხდებოდნენ. შვილის, ასე თუ ისე, ცოტ-ცოტა ესმოდა გიგოს, შვილიშვილის ჰა და ჰა, ბადიშიშვილის—თითქმის არაფერი. მათ შორის უხილავი უფსკრული თუ სიცარიელე ჩადგა. მალე იზრდებიან და იცვლებიან ბავშვები, ჩვენი შვილები და შვილიშვილები, ჩვენ რომ გვინდა, იმ გზით არ მიდიან, თავისი ჭკუა უჩნდებათ და სხვა ქარს მისდევენ. ჰო, ერთი ოჯახის წევრებიც კი უცხოებივით არიან. გიგომ ბადიშიშვილის სახელიც კი ვერ დაიმახსოვრა კარგად, ხან ანდრიას ეძახის. ხან ბეჟას, ხან ბარნაბას. დასცინის ბადიშიშვილი.

ხე ყოველ გაზაფხულზე ახალი ფოთლებით იმოსება. წლევანდელი ფოთლები შარშანდელი ფოთლებივით აღარ შრიალებენ, ამ ფოთლებს თავისებური ხმა აქვთ, თავისებური სუნთქვა. წლევანდელმა ფოთლებმა არ იციან, შარშან ამავე ხეზე მათი წინამორბედი ფოთლები როგორ შრიალებდნენ... ხის ფესვი კი იგივეა. ალბათ ჩვენც ასე ვართ. კაცობრიობას ერთი უცვლელი ფესვი აქვს, ფიქრ-საზრუნავი კი ყველა თაობას თავისი, სრულიად ახალი — ძველს თითქოს რაღაცით რომ ჰგავს, მაგრამ არასოდეს იმეორებს. ფესვი ეს — ერთმანეთზე გადაბმული, ერთმანეთში ჩახლართული სიყვარულ-სიძულვილია, ჭირი და ლხინია... სიცოცხლეა ეს ფესვი, ხის უკვდავი ფესვი. ეს სიცოცხლე იმეორებს ფოთლებს სხვადასხვა შრიალით.

ჰო, იმ ქალაქელმა ბრძენმა მაწანწალამ ასე თქვა მაშინ. იქნებ სულ ამ სიტყვებით არა, მაგრამ აზრი ეს იყო. გიგო ზუსტად ხომ ვერ დაიმახსოვრებდა ყველაფერს? ერთხელ გაიგონა და სამუდამოდ შეინახა გულში. ახლა ყველაზე მეტად გრძნობს ამ ნათქვამის ჭეშმარიტებას, ახლა, როცა თავისი თაობის უკანასკნელი კაცი იმ ქვეყანაში გაიცილა, უკანასკნელი ნაცნობი და მეტოქე დამარხა და... დაიცალა კაცი, თითქმის აღარაფრის სურვილი აღარა აქვს და ამ ქვეყნიერებასთანაც აღარაფერი ესაქმება, წუთისოფელთან დავასა და დავიდარაბას მორჩა, მოგონებებითღა ებღაუჭება ცას... ცას და სიცოცხლეს. გიგოს სიცოცხლეს ახლა მოგონება ჰქვია, სხვა არაფერი. ერთხელაც უნდა იმის დანახვა, რაც უნახავს, რომ ხურჯინის უკანა თვალიდან ამოალაგოს, გულზე გადაიბეჭდოს და თან წაიღოს მარადისობის გზაზე... სხვა რა მიაქვს, რომ ესეც არ წაიღოს?

ახალი რამის დანახვის სურვილი კარგა ხანია აღარა აქვს, სულ ერთია, ვეღარ იმახსოვრებს.

„ეჰ, მე ყველა ნაცნობი დავმარხე, მე ყველა უცნობი დამმარხავს... არავის დავენანები, საფლავზეც არავინ მოვა. შვილი რომ მყავდეს ცოცხალი, ის მოვიდოდა ხოლმე, ვიღაცის დასანახავად მაინც მოვიდოდა, შვილიშვილს სხვა საზრუნავი აქვს. უნიშნოდ დავიკარგები. ო, რა საშინელია უნიშნოდ დაკარგვა! ნეტავი იმ ქვეყანაში ადრე წავსულიყავი, თავის დროზე, როცა ნაცნობები ცისქვეშ მეგულებოდნენ და შვილიც ცოცხალი მყავდა. ეწყინებოდათ ჩემი სიკვდილი, მიტირებდნენ და, ასე თუ ისე, საფლავსაც მოუვლიდნენ, არ დამეკარგებოდა საფლავი. ახლა ვიღას ვატკენ გულს? მგონი, თავიც კი მოვაძულე ყველას ჩემი გრძელი სიცოცხლით. ალბათ ჩემზედაც იტყვიან: ღმერთო, ნუ გვიწყენ და მადლი კი იყო მაგის სიკვდილი...“

ო, რა მარტო დარჩა ამ უზარმაზარ ქვეყანაში?! ძნელია, ძნელი მარტო სიარული, როცა ხმის გამცემი და შენი ფიქრის გამგები აღარავინ გეგულება! ეეჰ!

ქელეხში ერთი ჭიქა დასცალა მხოლოდ: გაანათლოს ბასილას სული. ეს შხამიც რომ ყოფილიყო, მაინც უნდა დაელია. არა, არ დამთვრალა, მისი ბარბაცი ღვინის ბრალი არ არის.

კლდეს მიეყუდა. არ ჩამჯდარა, ვაითუ ვეღარ ავდგეო. გიგომ თითქმის ყველა სურვილი დაკარგა, მაგრამ შინ მისვლა კი სწადია. შეისვენა და ისევ წაბარბაცდა, გზაზე არ დამაღამდესო.

ვიღაც წამოეწია. არა, ის არა, გზაზე გამოსვლისას უხილავად რომ მოსდევდა. ეს გიგომ ცხადად დაინახა, ახალგაზრდა კაცი ჯანიანად მოაბიჯებდა, მის ფეხქვეშ რიყის ქვითმოყრილ გზას ჭახაჭუხი გაუდიოდა.

გიგომ მგზავრი ვერ იცნო. მგზავრმა ერთი შემოხედა, თავი დაღუნა და გულგრილად ჩაუარა, ხმისგაუცემლად. ეტყობა, მოხუცის თანამგზავრობა დაეზარა. გიგომ აბრუ არ გაიტეხა, გამოლაპარაკება სცადა:

— სადაური ხარ, ყმაწვილო?

— კლდისუბნელი.

— ვისი ხარ?

— შალიკო ბრეგვაძის.

— კლდისუბანში, მგონი, ორი შალიკო ბრეგვაძე იყო. ბაბუაშენს რა ერქვა?

— ერასტი.

— ერასტის მამას?

— ბაბუაჩემის მამას? რა ვიცი...

„ეჰ, შვილიშვილმა არ იცის, ბაბუამისის მამას რა ერქვა. თუმცა, არც მე ვიცოდი... როცა ვიკითხე, უკვე გვიან იყო, ვერავინ მითხრა“.

— კლდისუბანში ორი ერასტი ბრეგვაძე იყო, პაკიასი და არჩილასი.

— არ ვიცი... ბაბუაჩემს ერასტი ერქვა.

გიგო არჩილასაც კარგად იცნობდა, პაკიასაც, ორივე შალიკოს ცოტ-ცოტათი, შალიკოს შვილს კი სულ არ იცნობს, ისიც არ იცის, რომელ შალიკოს რამდენი შვილი დარჩა.

— წადი, შვილო, მე ნელა ვივლი, შენ ალბათ გეჩქარება, ჩემთვის სულ ერთია, ნუ მომიცდი.

მგზავრს მოცდა არც უფიქრია, გიგომ ეს სიტყვის ბარაქად თუ რაღაცის დასაფარავად უთხრა. გიგო ვეღარავისა სცნობს, თორემ ზოგ-ზოგი გიგოს კი სცნობს. იქნებ იმ მგზავრმაც იცნო, მაგრამ... რას ვიზამთ!

ახლა, კაცმა რომ თქვას, გიგოს ვინმე უცნობის ამგზავრება არც უნდა, თავის ნაცნობებთან საუბარი ურჩევნია. ხურჯინის უკანა თვალს ასე ფართოდ ტყუილად ხომ არ გაუხსნა პირი?

ვინც დღეს ამ გზაზე დადის, ბერიკაცისათვის ყველა უცნობია. რაზე უნდა ესაუბროს? წყალი ნაყოს? სხვების ქვეყნიერება სავსეა, მისი ქვეყნიერება დაცლილი. ერთმანეთს მაინც ვერაფერს გააგებინებენ.

არა, ეს უსაშველო სიცარიელე ერთბაშად არ მოსულა. გუბეში კენჭს რომ ჩააგდებ, წრე თანდათან ფართოვდება და ბოლოს ნაპირზე მიმწყდარი ქრება. იმ წრესავით იშლებოდა სიცარიელე. მიდიოდნენ გიგოს თანატოლები, მისი ნაცნობები, ფიქრისა და ჭირ-ლხინის თანამოზიარენი და გიგოსთვის სამყარო ფსკერგახვრეტილი ჭურჭელივით ცარიელდებოდა. მოდიოდნენ ახლები, მაგრამ გიგოსთვის არაფერი — ვერ ავსებდნენ ამ სიცარიელეს. თუ ადამიანებს ვერ გაიცნობ, ვერაფერი ვერ გიშველის. გიგო ადამიანებს ვეღარ იცნობს, თორემ გაღმა მინდორში რომ ტოტებგადაბარდნილი მუხა დგას, შუაწყალში შავი კლდე კოშკივით რომ არის ამოშვერილი, მდინარე და ეს გზა უკეთ ეცნობა, ვიდრე თავისი შვილიშვილები. მზეს, მთვარეს და ცას თავისი თანატოლებივით იცნობს. რა თქმა უნდა, შეიცვალა რაღაც: ამ მდინარეზე ტივი კარგა ხანია აღარ დაუნახავს, აქ ხეებს აღარ აცურებენ, გიგოს კი ეს მდინარე მაინც ტივებიან მდინარედ ეცნობა. ასე ხედავს, თვალს რომ დახუჭავს. რა ხანია ამ გზაზე დააბოტებს, ამ მდინარის ხიდზე გადიგამოდის. ათიოდე წლის წინათ ძველი ხიდი აჰყარეს და ახალი გააკეთეს. ძველ ხიდს წითლად შეღებილი რკინის მოაჯირი ჰქონდა, ახალს ცემენტის რიკულებიანი მოაჯირი აქვს, კირით თეთრად შეფეთქილი. ახალგაზრდები გაიძახიან — ლამაზიაო. გიგოს კი ძველი ერჩია. ძველი მისი იყო, ეს სხვისია, სხვების სასიარულოდ ააგეს. გიგოს ეს ახალი ხიდი თითქოს არც სიამოვნებს. თუ ცემენტის თეთრი მოაჯირი არ დაინახა, ჰგონია, ჩემ ძველ ხიდზე გადავდივარო და თავჩაღუნული მიაბიჯებს ხოლმე. მდინარე ხომ ისევ ძველებურად დუდუნებს, როგორც წითელმოაჯირიანი ხიდისქვეშ დუდუნებდა?

მოხუცი ახლა იმ ხიდისკენ მიბარბაცებს და ეჩვენება, რომ ვიღაც კვლავ ფეხდაფეხ მოჰყვება. მიიხედ-მოიხედავს, არავინაა. გზაზე დაყრილი ყვითელი ფოთლებიც კი არ შრიალებს. მხოლოდ მდინარის დუდუნი ისმის. ეს დუდუნი ნაცნობია, თორემ გიგო ამასაც ვერ გაიგონებდა.

გზასთან ფეხმოდგმულ უფრო დიდ კლდეს მიეყუდა და ხელი მოჰკიდა. მუჭში რაღაც რბილი მოჰყვა.

„ეს რა არის? ჰო, ხავსია... ნაცნობი ხავსი...“

ახლა გიგოს მხოლოდ ხავსი უჭირავს ხელში. შორს გადაგდება დაუპირა, ფეხებთან დაუვარდა. უცებ საამო სუნი ეცა.

„ვითომ ხავსისაა? არა, შემწვარი ნიყვის სუნია, ნაკვერცხლებზე შემწვარი მარილმოყრილი სოკოს სუნი“.

ერთხელ თებრომ და გიგომ დიდი მუხების ტყეში ორი კალათა ნიყვი დაკრიფეს. წითელქუდა სოკო ძალიან ლამაზი იყო. მერე გადმოხურულ კლდესთან მწყემსების დანთებულ ცეცხლს წააწყდნენ და რამდენიმე ნიყვი იქვე შეწვეს.

ნიყვის სურნელს აკაციის დამათრობელი სუნი შეენაცვლა.

მაისი იყო მაშინ. გიგომ თებროს აკაციის თეთრი მტევანი მოუწყვიტა.

— შენ? შენ არ გინდა?

— რატომაც არა.

აკაციის მტევნებს თაფლის გემო ჰქონდა. ერთმანეთს აძალებდნენ.

ახლა თითქოს ის აკაციის ხე ცაში ასულა და უზარმაზარი მტევნებით დახუნძლული ტოტები გადმოუკიდნია. მტევნებს ფუტკარი ახვევია.

„ეს მართლა ფუტკარი ზუზუნებს, თუ ბოძებზე გაბმული მავთულები ქუჯიან? შეღამებისას თეთრი ღრუბელი რომ არ იცის ცაზე, ახლა საიდან გაჩნდა? თეთრი ღრუბელია თუ... აყვავებული ზღმარტლი ანათებს გაღმიდან?“

— ბასილა, რატომ წამართვი ის გოგო?

— არ წამირთმევია.

— გოგოს მე ვუყვარდი.

— მისმა მშობლებმა მე მომცეს. შენ უყვარდი თუ არა, არ ვიცი. რაც ჩემ ოჯახში ფეხი შემოდგა, ჩემ მზესა და მთვარეს იფიცებდა.

— თქვენ ჩხუბობდით.

— ყველა ცოლ-ქმარი ჩხუბობს. ხშირად შეყვარებულებიც ჩხუბობენ... სიყვარულს ჩხუბი უყვარს.

— სიყვარულს ყოველთვის არ უყვარს ჩხუბი. მე და სიდო არა ვჩხუბობდით...

— არ ვიცი...

— პირველად იმ გოგოს მე ვუყვარდი.

— იქნებ შენ ჩემზე უკეთესი თვალტანადი იყავი, უფრო ყოჩაღიც, ჩემი სახლის დირეზე რომ გადმოდგა ფეხი, იმ დღიდან მე მაღმერთებდა, მე შენზე მეტად შევუყვარდი.

— კი არ შეუყვარდი, პატიოსნებამ მიაჯაჭვა შენს კერაზე.

— რას გადამეკიდე? მომშორდი, თორემ შეგაჯენ შავ კამეჩზე.

გიგომ კარგად იცის, ეს რასაც ნიშნავს, მოგკლავო, დაემუქრა ბასილა.

კლდეზე მიყუდებულმა, თვალდახუჭულმა გიგომ ხელი გაიქნია, დამუშტული ხელი.

— მკვდარს ებრძვი?

— მკვდარი მოხუცი ბასილაა, მე ახალგაზრდა ბასილას ვებრძვი, ცოცხალ ბასილას. ვიდრე ფიქრის თავი მაქვს, ისიც ცოცხალია და მე იმ ცოცხალ ბასილას ვებრძვი, ვის რა ეკითხება?

— რას ერჩი?

„მართლაც რას ვერჩი? დამნაშავე არც მე ვიყავი, არც ის... დამნაშავე იყო ვიღაც სხვა“.

გიგომ დამუშტული ხელი იმნაირადვე გაშალა, როგორც დღეს სასაფლაოზე და მოეჩვენა, რომ წითელ კუბოს ერთი მუჭა მიწა მიაყარა, მერე სხვების გასაგონებლად კი არა, თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს, თურმე აქამდე ეგ კაცი მაცოცხლებდა და არ ვიცოდი.

მოხუცი კლდეს მოშორდა. ძალ-ღონე წვეთწვეთობით ეცლებოდა, ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ჭირის ოფლს ასხამდა, მაინც მიდის. სხვა აღარაფერი, შინ მისვლა სწადია. ხიდი თუ გადაიარა, მერე შინაც მივა, მთავარია, ხიდი მოიტოვოს უკან. მხარსა და ზურგზე რაღაც უსაშველოდ აწვება. ეს ალბათ ის უხილავი ხურჯინია. უნდა გადაიგდოს და ვერ ახერხებს. ვერ ახერხებს კი არა, ჯერჯერობით გულით არც უნდა მისი მოშორება. ესეც რომ მოიშოროს, ვაითუ... ეს ისეთი ტვირთია, გიგოს შეუძლია თავისი წუთისოფლის ბორბალი სხვანაირად დაატრიალოს, რაც აქამდე გზა გამოუვლია, უკანსვლით გაიაროს, მერე ისევ წინ წამოვიდეს და... თავისი სიცოცხლე აკვნიდან ამ დღემდე სამიოდე წუთში გაიმეოროს. განვლილი ცხოვრების მოგონებებით გავლა-გამოვლა ასჯერ და ათასჯერ შეიძლება. კაცი ერთხელ იბადება და ერთხელ კვდება, მაგრამ მარტოოდენ ერთხელ არ ცოცხლობს... შუალედში თავის სიცოცხლეს უამრავჯერ იმეორებს. ადამიანის ერთ სიცოცხლეს მოგონებათა გუნდი ათასად ამრავლებს. ეს არის განგებისა თუ წუთისოფლის ყველაზე ჭკვიანური გამოგონება. ხურჯინის მეორე თვალი რაღაცით პირველზე უკეთესი ყოფილა. ეს რომ არ გვქონდეს...

გიგომ ხურჯინის უკანა თვალში ჩაიხედა, თავისი გამოვლილი მთელი საუკუნის გზა ორიოდე წუთში გაირბინა და... აკვნამდე დაბრუნდა...

„ჰო, მართლა! ჩემს აკვანსაც მზე ეხატა, ცხრა მზე! ისეთივე მზე, გაქვავებული რომ შევინახე. წინათ ყველა აკვანს მზეს ახატავდნენ...“

აკვანთან დაბრუნებულმა გაბავშვებულმა ბერიკაცმა ხელახლა აიდგა ფეხი და წინ წამობაჯბაჯდა, მუხლი თანდათან გამართა და გზას შეუტია.

გიგოს ჭარმაგობისას ეგონა, ჩემი ნამდვილი სიცოცხლე იქ გათავდა, სადაც ხურჯინის წინა თვალი დამეცალა და მოგონებების ხურჯინის თვალი ამეკიდაო, იმხნობიდან ჩემი სიცოცხლე მოგონებებად და ნამდვილი სიცოცხლის აჩრდილად იქცაო. ახლა მიხვდა: მოგონებები ზოგჯერ სიცოცხლეზე ძვირფასიც ყოფილა. ეს რაღაც უცნაური სარკეა, ჯადოქრული სარკე, რომელშიც კაცის ცხოვრება ყოველთვის ჩანს, შიგ როცა არ უნდა ჩაიხედო. ეს მარტოდენ ჯადოქრული სარკეც არ არის, მოგონებების ჯადოქრული ქვეყანაა, მოგონებების გზა და ბილიკია.

ახლა გიგო თითქმის ყველაფერს უყურებს, რაც სიბერემდე თვალში მოხვედრია და იქვე თავის თავსაც ხედავს. ორეულდაქცეულ მეორე გიგოს კი არა, თავის თავს. ახლა თითქოს თავისი თავის ორეული თვითონაა, ხურჯინის უკანა თვლიდან ამომძვრალი გიგო კი— ნამდვილი გიგო. მოგონებებმა კაცი თავისი თავის ორეულად აქციეს. თუმცა, ეს ხომ უბრალო მოგონება არაა, გიგო ხელმეორედ ცოცხლობს. ოღონდ იმ გიგოს, იმ თავისთავ გიგოს თვითონ შორიდან ადევნებს თვალყურს და ეკამათება. მისი საქციელი ხშირად მოსწონს და აქებს კიდეც, ზოგჯერაც არ მოსწონს და ტუქსავს, მაგრამ ვეღარაფერსა ცვლის.

იქ უკვე აღარაფრის შეცვლა არ შეიძლება, ყველაფერი გაქვავებულად მოძრაობს. გიგოს შეუძლია მხოლოდ თავის ნაფეხურებს მიჰყვეს, ვერც მარცხნივ გადაუხვევს, ვერც მარჯვნივ.

ბერიკაცს სიცოცხლის გამეორება მაინც ესიამოვნა, თითქოს წინანდელი ჯანი შემოუბრუნდაო, ღონე მოემატა და გზას ბარაქა დაატანა.

მერე ისევ სცადა სიცოცხლის გამეორება — წუთში საუკუნის გავლა.

პირველად სიბერემდე მიბარბაცდა.

მეორედ ჭარმაგობამდე მიაღწია, იმის იქით კი ვეღარაფერი გაიხსენა.

მესამედ სიჭაბუკეს გადააბიჯა და წინ ვეღარ წავიდა.

გიგო თანდათან უკან იხევდა, უფრო სწორად, უკანდახეული წინ მთელი გზის გავლას ვეღარ ახერხებდა. თითქოს მის გავლილ გზას სიბერიდან ბავშვობისაკენ ვიღაც თანდათან შლიდა.

ახალგაზრდობის მოგონებებს ერთ ხანს თითქოს ნისლმა გადაუარაო, გამკრთალდა და გაბუნდოვანდა. მერე ბინდბუნდიდან თებრომ გამოიხედა და ყველაფერი გაანათა. ირგვლივ ჩახჩახა სინათლე ჩამოდგა და გიგო გარკვევით მაინც ვერ ხედავს, თებრომ ეს რა გამოუწოდა, მზის ჩუქურთმებით მოხატული სკივრი, მზით მოხატული პური, თუ... ის რიყის ქვა?

თებრო ელვასავით გამოჩნდა და გაქრა, გიგო კი ახალგაზრდობას დაუბრუნდა. წინანდებურად იმდროინდელი ყველა სახე დაინახა, ყველა ხმა გაიგონა, ცოცხლად დაუდგა თვალწინ ყველა მაშინდელი ადამიანი, ყველა ხე, ყველა ქვა-ლოდი. აქედან ფეხის მოცვლა აღარ უნდა, სხვა არაფრის დანახვა არა სწადია. ახალგაზრდობისას ნანახი ისეთმა ელვამ გაუნათა, მზეს რომ ურჩევნია. ეს შუქი მისთვის ყველა სინათლისა და ხილვაზე ძვირფასია.

მოგონებების გზას მეოთხედ რომ მიუბრუნდა, გიგომ თებროს გათხოვებაღა გაიხსენა.

მერე, მერე, რა მოხდა?

ამის შემდეგ გიგოს თითქოს აღარც უცხოვრია, თითქოს მისი სიცოცხლე იქ გაჩერდა. ნამდვილი გიგო იქ გათავდა, მერე მოგონილი გიგოღა არსებობდა, მოჩვენებადქცეული გიგო.

ქვეყნიერებაზე დანარჩენი მისი ჩალიჩი მოლანდება იყო მხოლოდ და ლანდივით გაქრა. *ელვამ გაანათა და ელვამვე გააქრო.*

„ბასილა, შენ რომ თებრო გყავდა, მე იმას კი არ გართმევ, ბიჭო, ჩემი თებრო მინდა დავიბრუნო, სურნელოვანთმიანი წმინდა გოგონა... სანამ შენ წამოგყვებოდა, თებრო ჩემი იყო, ბიჭო, ჰოდა, ის ჩემი თებრო მე უნდა დამიბრუნდეს... შენ არაფერს არ გეცილები... თუმცა, ბასილას რას ვედავები, ვინ არის ბასილა? თებროს ქმარი? თებრო როდის გათხოვდა?“

არა, თებრო არ გათხოვილა, ზღმარტლის თეთრ ყვავილებში ჩამალულა, ახლა იმ დიდი ყვავილებიდან ამოძვრა და გიგოს ხელს უქნევს.

ზღმარტლი და თებრო, ხე და გოგონა უცებ ერთ არსებად იქცნენ.

ის ზღმარტლი კი არა, რაღაც სხვა, უფრო დიდი და ლამაზი ხე თეთრყვავილებიან ტოტებს უქნევს და უხმოდ ეძახის. გიგოს კი იქ მისვლა აღარ შეუძლია. ხელ-ფეხზე ბორკილი ადევს. ბავშვია და არტახები აქვს მოჭერილი. გაიბრძოლა და აკვნიდან გადმოვიდა.

გიგო მოგონებას შემოუბრუნდა. ყმაწვილკაცობასაც ვეღარ მისწვდა. იქით გაიხედა, სადაც აყვავებული ხე და ხელქცეული გოგონა ეგულებოდა. იქ ვეღარც ხე დაინახა, ვეღარც ხელქცეული გოგო.

რა დაემართა, რატომ ვეღარ იგონებს რამეს?

— ვინა ვარ მე? — მოხუცს თავისი სახელიც კი დაავიწყდა.

— გიგილო! ჰაუ, გიგილო, ამდენხანს სადა ხარ ბიჭო ვიღაც ბავშვობის სახელს მეძახის. — ჰაუ, გიგილო, შინ წამოდი, შინ.

დიდი ხანია ეს სახელი აღარავის დაუძახნია, თვითონაც აღარ ახსოვდა, ახლა კი ვის მოაგონდა?

მიაყურა, არავინაა.

„მამეჩვენა? თითქოს მამაჩემის ხმასა ჰგავდა. ასე მეძახდა ხოლმე ტყეში ან სათიბში. მაგრამ აქ რა უნდა მამაჩემს? იქნებ მე ვარ იქ?“

მოხუცს უცებ იქ დაბრუნების სურვილი გაუჩნდა, კიდევ მოუნდა მამის ხმის გაგონება.

„თუ ეს მოვახერხე, მერე იქვე დედის ალერსიან ხმასაც გავიგონებ, წყევლასაც... დედის წყევლაც კი ტკბილია, ზოგჯერ ალერსზე ტკბილიც. დედის პირი იწყევლება, ძუძუები კი ილოცებიან.

ოღონდ დედის ხმა გაიგონოს და... ეს ხმა ისე ენატრება... მისი ლოცვაც, დედა ლოცვის დროს მტრედივით აღუღუნდებოდა ხოლმე. ლოცულობდა დამით, როცა წვებოდა. ლოცულობდა დილით, როცა დგებოდა. ნამგლით პურის ყანაში რომ გავიდოდა, მკის დაწყებამდეც ლოცულობდა. ეკლესიაში ხომ ლოცულობდა და ლოცულობდა, იქ სალოცავად ქმარ-შვილიც დაჰყავდა.

„ჰო, მეც ხშირად დავყავდი და ხატების წინ მაჩოქებდა“.

მოხუცს ვიღაცამ სანთლები შიგ გულში აუნთო და გაუჩახჩახა. სწორედ ასე იყო გაჩახჩახებული ეკლესია, პირველად რომ ნახა. გულგაჩახჩახებული ახლა თვითონ იქცა იმ ეკლესიად. ოღონდ იმ ეკლესიაში ახლა არავინ ჩანს, მარტოოდენ თვითონ დგას. კედელზე კი უამრავი ხატი ჰკიდია. ერთი ხატი დედას ჰგავს, მეორე პავლე ბაბუას, მესამე მამას, მეოთხე ბიძას... შუაში თებროს ხატია. ბასილას ხატი განზე გაწეულა და შუბლმოღუშული იყურება.

დგას ბერიკაცი თავის ეკლესიაში, ხატებს უცქერის და არაფერს არ ევედრება, მხოლოდ უხმოდ ალსარებას ანდობს და ისინიც უხმოდ უსმენენ.

ვიღაცა სანთლებს აქრობს და ინგრევა ეკლესია. ახლა ეს ეკლესია აღარავის სჭირდება, ყველა თავის ეკლესიას იშენებს და იმ ეკლესიაში მხოლოდ თავის ხატსა ჰკიდებს, სხვისი ხატი ხატად აღარავის სწამს.

ინგრევა მოხუცის ეკლესია...

სხეული დაკარგა.

ყველაფერი დაკარგა მცირე ფიქრის გარდა.

ეკლესიად ქცეული კაცი ახლა ამ მცირე ფიქრად იქცა.

ეს ფიქრიც აპირებს გაქრობას... ვერ ელევა...

ეტყობა, ხურჯინის ის მეორე თვალიც დაცარიელდა. პირველი თვალი რომ იცლებოდა, მეორე ივსებოდა, მეორეც დაიცალა და ის უხილავი ჭრელი ხურჯინი მთლიანად დაიფშუტა.

— გობოჩია, გამაგრდი! — უთხრა თავის თავს.

მერე მიხვდა, ეს მისი ხმა არ იყო. პავლე ბაბუა ეძახდა ასე.

ბაბუას ხმის გაგონება ეამა და ეწყინა კიდეც.

— კიკილა, ჰეი, კიკილა! ღამდება, წამოდი შინ!

ეს კი დედის ხმაა. შორიდან მოესმა. სიცარიელემ ექო გამოსცა ყრუდ.

ყველაფერი დაავიწყდა და ეს ხმაღა ახსოვს.

საიდანღაც ეძახის დედა. თითქოს ბავშვი ეზოს გარეთაა გასული და უხმობს: შინ შემოდიო. კარგა ხანია არ უნახავს და ალბათ მოენატრა.

— მოვდივარ, დედა, მოვდივარ!

თვალი გაახილა, შინ ჰგონია თავი.

„ჩემ სახლს ჭერი როგორ ამაღლებია? ლურჯ ჭერს თეთრი ლაქები აცხია, თუ ზედ აკაციის მტევნებია მიკრული?“

ცა გადაყირავდა და ცასთან ერთად ქვეყნიერებაც...

მთელი სამყარო გადაყირავდა...

„ეს რა ქუხილია? აკაციის მტევნების ქუხილი ვის გაუგონია? ქუხილს წვიმა მოჰყვება...“

შუადღისას ქულა ღრუბლები უცებ ჩაშავდნენ და ყომრალი ცა ელვის ისრებმა დახიეს. პავლე ბაბუა კევრიდან ჩამოხტა, ხარები უღლიდან გამოხსნა და შინაურებს დასჭყივლა:

— არნადი ჩქარა! შევხვეტოთ კალო, თორემ ჭირნახული გაგვივერანდება. ჩქარა! ჩვენს ნაოფლარს ნიაღვარს ნუ გავატანთ.

დიდ-პატარა დატრიალდა. გაულეწავი კალო ნიჩბებითა და არნადებით საბძლის გადმოხურულში მიხვეტეს. მერე ზედ ყავარი და გრძელი ტილო გადააფარეს.

კოკისპირული დაუშვა, იქაურობა გადარეცხა, ჭირნახული კი გადარჩა.

„როდის იყოს ეს? ჰო, მაშინ სულ პატარა ვიყავი, ყველას ფეხებში ვებლანდებოდი. კალოს არნადით რომ მიხვეტავდნენ, მეც კინაღამ გამხვიეს ხვავში. იცოცხლე, მე ღრიალი მოვრთე...“

მოხუცი მიწაზე წევს და რაღაცას ელოდება.

კვლავ იგრგვინვა. ჭექა-ჭუხილია?

არა, ეს ჭექა-ქუხილი გარედან არ ესმის, თვით მის გულსა, ძარღვებსა და სისხლში განგაშობს. რაღაც ინგრევა იქ... ელვაც იქ ანათებს. ეს ელვაა, ასე ცხადად რომ ანახვებს ყველაფერს, რისთვისაც ბავშვობისას თვალი მოუკრავს...

მთავარია, ახლა ხიდზე გავიდეს. მერე ალბათ, სხვა რამესაც ცხადად დაინახავს და... ეს ჭექა-ქუხილიც აღარ შეაწუხებს.

ხიდი სადღაც აქვეა. რატომ არ გავიდა? იმას ელოდება? ჯერ არ წამოსწევია?

„ხიდზე რომ გამეღწია... თუმცა, რა ბედენაა. ასე თუ ისე, გზაზე კვდება ყველა, გზას კი დასასრული არა აქვს... ვკვდები კი ნამდვილად? კი არ ვკვდები, ჩემი სიცოცხლე სხვებს გადავეცი, სხვებს დავუტოვე, თვითონ ხელცარიელი დავრჩი და... სხვაგან მივდივარ. რატომ დავრჩი ხელცარიელი? ყველაფერი იქ ხომ არ დამრჩა? რა ვიცი... იქ რომ მივედი, არაფერი მეჭირა. ორივე ხელი მომუშტული მქონდა მხოლოდ. თითქოს ყველას ვემუქრებოდი, გზა მიტიეთ, საბრძოლველად მოვედი-მეთქი... რის საბრძოლველად? არ ვიცი... საერთოდ საბრძოლველად... ჰო, არც არაფერი მიმიტანია, არც არაფერი წამომიღია. შესაწირავი ხომ არ ითვლება. შესაწირავი ყველას მოაქვს ხოლმე... ჰო, დამუშტული მივედი, ახლა ორივე ხელი გაშლილი მაქვს, ეგ არის და ეგ...

შემომხედეთ, თან არაფერი მიმაქვს-მეთქი... არა, არაფერი დამრჩენია იქ... მხოლოდ ფეხის ნაკვალევი, სხვა არაფერი, შეუმჩნეველი ნაკვალევი..."

უაზროდ აიხედა მაღლა. აღარაფერი აინტერესებს, არც ტაროსის შეცვლა, არც მზისა და მთვარის ჩასვლა-ამოსვლის ამბავი. „დავიღალე. ხელში დაცლილი სიცოცხლეღა შემრჩა. თუმცა, მთლად ასეა ვითომ? ჩემი ცხოვრება, დავიჯერო, ცარიელი იყო? მე რომ ვენახი გავაშენე, ისევ ისხამს და კარგა ხანს არ გადახმება, ჩემი დარგული ხეხილიც ბევრჯერ დაიხუნძლება და დიდ-პატარას გაახარებს... კაკალი გაისად მოისხამს. ეს ახალი ხიდი მე ავაშენე... სხვებისთვის ავაშენე... მე ძველი მერჩია, ახალგაზრდებისათვის კი ეს ავაშენე, რაკი თვითონ ურჩევნიათ... ჩემი ცხოვრება ცარიელი არ ყოფილა, არა. სიცარიელე მხოლოდ ახლა წამომეწია, ცოტა ხნით გვერდში ამომიდგა და უნდა წინ გამიძღვეს... ეეჰ!"

ჯადოქრული სარკე გატყდა, ქვეყნიერება დაინგრა, გზა-ბილიკი გაწყდა და კაცის სულიც აბოლდა.

— სულ ესა ხარ? ხურჯინის ორი თვალი? — კიდევ შეეკამათა წუთისოფელს. — ცოტაც გეცლია, ხიდი გადამევლო...

გული დასწყდა, ყველა მოგონება ასე მალე რომ შეადნა.

წუთში საუკუნე ეტეოდა და მალე შემოადნებოდა, აბა, რას იზამდა?

„საიდან მოვდივარ და სად მივდივარ? მგონი, სადღაც სტუმრად ვიყავი. სად?"

ვერ მოიგონა.

ბავშვობის ამბებსაც ვეღარ იხსენებს რიგიანად. ისღა დაინახა, რომ მზით მოხატულ აკვანში არტახებით ხელფეხშეკრული წევს. „ეს პატარა დღე არ გვიცდის, სადღაც გარბის და გარბის. ეჰ, წავალ ახლა შინ, თორემ ვინ რას იფიქრებს? არ იტყვიან, აქ რაღას უცდისო?"

უცნაური ტირილ-კივილი გაიგონა. ეს ხმა მშობიარე ქალის კივილსაც ჰგავდა და ახალდაბადებული ბავშვის ტირილსაც.

ეროვნული

— კიკილა, კიკილა! — ისევ დედა ეძახის. წეღან ალბათ ამისთვის ეძახდა. მოიყვანა, ჩვილად აქცია, ძველ აკვანში ჩააწვინა, ხელ-ფეხი არტახებით გაუკრა და ახლა ნანას უგალობს — დაიძინეო.

ეს რაა, სიბერიდან უკან გაბრუნდა კაცი და ბოლოს იქ მივიდა, საიდანაც პირველი ნაბიჯი გადმოდგა? სადაც თვალი პირველად გაახილა?

აკვანი, ძველი აკვანი... ირწევა მზით მოხატული ძველი აკვანი...

სადღაც ზევით საქანელა ჰკიდია. ძირს უფსკრულების ქვეყანაა. საქანელაზე თებრო შემოჯდა და გაქანდა. შავკოპლებდაყრილი თეთრი კაბა უფრიალებს, მსხვილი შავი ნაწნავი ცეკვით ეხვევა საქანელას.

ხიდი, ხიდი სად არის? ამ მდინარეს ხიდი არა აქვს? ლანდადაც არ ჩანს — არც წითელმოაჯირიანი, არც თეთრადშეფეთქილი.

ტივით ვერ გავა? სადაა ტივი, თორემ...

გამყინავი მდინარიდან გამოვიდა. სამარისებური სიჩუმეა. თითქოს მდინარე აქვეა, მისი ხმა კი ყრუდაც აღარ ისმის. ყველა ხმა გაქრა, მისი საკუთარი ხმაც კი... აბა, რომ ყვირის, რატომ აღარ ესმის?

ეს ქვევრი აქ ვინ მოაგორა? პავლე ბაბუას ასეთ ქვევრში უყვარდა სიმღერა. გობოჩია ყურს რომ მიუგდებდა, ეგონა, დედამიწა გუგუნებსო. ბოხისხმიანი პავლე ბაბუა კი ქვევრში ყოველთვის მღეროდა. ერთხელ გობოჩიაც ჩასვა შიგ. შეეშინდა გობოჩიას დიდმუცლიან ქვევრში. ბაბუას ომახიან სიმღერას შვილიშვილის ტირილი დაეწყვილა. გობოჩია ბებიამ ამოიყვანა ქვევრიდან, ბაბუა კი დატუქსა: ბავშვი არ გადამირიო, თორემ არ გაცოცხლებო. ბებიამ გობოჩიას სამჯერ შეულოცა.

ახლა გობოჩია იმ ქვევრში უშიშრად ჩავიდა. ქვევრი იმ მდინარესავით ცი-

ვი იყო. უკანვე დააპირა ამოსვლა, ქვევრის თავს მოეჭიდა, მაგრამ ვეღარ ამოვიდა.

ბნელა და ცივა. ქვევრი ყინულივით ცივი წყლით ივსება.

— როცა პავლე ბაბუას შესცივდებოდა, სარცხს უფრო ჯანიანად იქნევდა და ხურდებოდა, შენც გაიქნიე ხელები და გათბები!

ბაბუა ქვევრში ბლის ქერქის ან კრაზანის სარცხს იქნევდა. გობოჩია იმ სარცხს ეძებს. ვერ ნახა. უსარცხოდ კი ხელებს რატომღაც ვერ იქნევს.

ქვევრმა ცივ წყალს ვეღარ გაუძლო და გასკდა. გობოჩია სადღაც, მინდორში გადააგდო.

წამოდგა და მიმოიხედა. შორს მაღალი მთა დაინახა, მზისფერი მთა. ახლა მოხუცის დატოვებული კარ-მიდამო, სახლი და შრამელი იმ მთაზე იდგა. სადღაც მეხი გავარდა და ჯერ სახლი და მარანი დაინგრა, მერე ბეღელიც.

ბეღლის საძირკველში შენახული ქვა მთაზე ბორბალივით დაგორდა და თანდათან გაიზარდა, უბრალო ქვა უშველებელ ლოდად იქცა, გიგოს დაეჯახა, წააქცია და გულზე დააწვა.

ისევ გაიბრძოლა, მაგრამ ამ ლოდს ვეღარ წამოუდგა.

ერთი რამის გაფიქრება მაინც მოასწრო:

„აი თურმე ამ ქვას რისთვის ვინახავდი! არა, უბედური არა ხარ! ეს წუთისოფლის თავისებური ჯილდოა. გაქვავებული მზის ბორბალი დაგეცა გულზე, სხვა კი არაფერი...“

კაცი ლოდქვეშ იწვა და ბედნიერი იყო, რადგან ამ ლოდზე გულჯვარიანი მზე ეხატა, ისეთივე მზე, ადამისყამიდან სკივრებსა და აკვნებზე რომ აჩუქურთმებდნენ, ბუხარსა და პურზე რომ ხატავდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლადო სულაბერიძე

# შემოდგომის დღის ქრონიკა ლენინის ქალაქში

1.

ლენინის ქალაქში დავდივარ ახლა
რუს მეგობრებთან.
ნევის პროსპექტს ნისლი მოსცილდა.
მე საქართველოს ცხელი მზე მახლავს,
ვთბები მზითა და
მკერდზე დედის ავგაროზითა,
შემოდგომის დღე მაღალ სართულთა
ჩუქურთმებს წვიმის წვრილ ძაფებით მიმოხლართვია.
ხელისგულებზე ცივი ქარი აგვიფართქუნდა,
მერე სასტუმროს ფანჯარასთან ღამე ათია.

2.

მარსის მოედანზე პატარა ბიჭის,
პატარა კოტე მღებრიშვილის საფლავის ლოდი
მარადი ცეცხლის ალზე ითბობს გაყინულ თითებს.
რევოლუციის აგიტატორს სიმღერის ნიჭი
შეახმა ყელზე...
ახლა კი მოდის
შემოდგომის დღე
და აფარებს ლოდს ფოთლებს ყვითელს.

3.

ბრინჯაოს ულაყებს
შეუმართავთ მაღლა ფლოქვები
და გრძელ ნახტომებს ზომავენ ხვნეშით.
შემჯდარა ქალაქი ულაყებზე,
აქოთქოთებით
მიჰქრის და ნევა აღვირივით უჭირავს ხელში.
უნაგირზე კი
შემოუსვამს შემოდგომის დღე,
ქარიანი და წვიმიანი
შემოდგომის დღე.

4.

შორიდან
წივის,
წივის,
წივის
დანტესის ტყვია,
ტყვია, რომელიც გაუკვდავდა პუშკინის გულში.
...
შემოდგომის დღეს,
შემოდგომის
დღეს სადღაც მიაქვს
ტყვიისფერი წვიმა,
ცივი ქარი
და მზერა ქუში.

5.

ჩამოვისვენეთ „ავრორას“ ახლოს...
აქედან მოსჩანს ერმიტაჟთან რიგები გრძელი.
ლივლივებს ნევა...
შემოდგომა ყვითელ ხელს ჩაჰყოფს

და მთვლემარ თევზებს დააფეთებს
თითებით ხმელით.
ახლა ნევა ჰგავს იმ ქალის თვალებს,
რომლებშიც ფარფლი დაუკეცავთ
მითვლემილ თევზებს,
შემოდგომა კი გაეკიდა ქალაქელ ქალებს
და მათ გარშემო მამალივით სცემს ყვითელ
დეზებს.
„ავრორა“ მშვიდად იღიმება,
დაღლილი ბრძოლით,
შემობურვილი
ნევის ცით და იისფერ ბოლით.

6.

პუშკინის თეატრს შეასკდა ტაში...
„შენ ხარ ვენახოს“ უსიტყვო ჰიმნით
შემოდის ქორო დიდ სცენაზე...
მერე კი დაშლილ
კრეონის ბრმა სულს
გააქვს ჟღარუნი გაბზარულ რკინის.
ფრთებს გაშლის ლაღად
ანტიგონეს დაღლილი სული,
„ — ადამიანი!“ —
კვლავ გუგუნებს მღელვარე ქორო...
ვიღაცას მკერდზე აუქავდა დამცხრალი
წყლული.
(ეკატერინეს ძეგლთან სცივა ხეების
კორომს).
შეასკდა ტაში თეატრის სცენას.
და ჩვენი დოდო ალექსიძე —
(რომელმაც დადგა
სოფოკლეს ძველი ტრაგედია) — ვით
ფოთოლცვენას,
შეუდგა ტაშის მოზღვავებულ ქუხილს და
დგანდგარს.
სცენაზე დოდო ალექსიძემ დაჰხარა თავი
და მოსვა ღვინო პოეზიის ალისფერ სურით.

* * *

შემოდგომა კი
ახლა ღამის მანტიით შავით
გდის ქალაქში ანტიგონეს დაღლილი
სულით.

7.

სმოლნის კედელთან,
სვეტებიან კედლების ახლოს,
ორი ქართველი პოეტი ვდგავართ
და სურათს გვიღებს აქაური ძმაკაცი ჩვენი.
რევოლუციის სათავესთან,
აქედან,
მთავარ
გზებისაკენ ხელი გაუწვდია ვლადიმერ
ლენინს.
და ქარი ძეგლის ხელისგულზე დააგდებს
ფოთოლს,
აშრიალდა და
ქვის თითები შეირხა თითქოს.
შემოდგომის დღეც წავა...
მერე ლამაზად მოთოვს
და ცივი თოვლიც შეადნება ამ ხელის
სითბოს.

## ქართული ენის ღაღადი

რომელ ენაზე უნდა ვთქვა —
ვაშა,
რომელ ენაზე უნდა ვთქვა —
რაში,
რომელ ენაზე უნდა ვთქვა —
ლაშა,
რომელ ენაზე უნდა ვთქვა —
მახვში,
წუთისოფელო,
წყარო რომ დაშრეს,
როგორც დაუშრათ წყარო ლათინებს.
ვაიმე,
მერე ჯიშიან ბავშვებს
რომელ ენაზე გამანათვლინებ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ექო ღამით

აზმუვლდნენ,
აყმუვლდნენ მგლები,
კრავს ეძებს მგლების ხროვა.
თოვლში შეიმალნენ გზები,
დაფეთდა ლამაზი თოვა.

თოვლს სპილოს ძვლებივით ხრავენ,
ცხელ ლაშზე ადნებათ თოვლი,
მისდევენ ფიფქების კრავებს,
უგზოდ და უდედოდ ლტოლვილთ.

აზმუვლდნენ,
აყმუვლდნენ მთებიც,
დაფეთდა მგლების ხროვა...
მთებს მოაქვთ მაღალი მხრებით
კრავი და ლამაზი თოვა.

## შენი დახნული მიწა

მე შენს ამღვრეულ თვალებში,
ბიძა,
მზეს დავინახავ და გავხურდები.
შენი ხარებით გადახნულ მიწას
დაბელტებია ცხელი კუნთები.

შენი კლდეების ნიამორები
გამიტაცებენ წარაფებიდან.
შენს ოფლიან მკერდს ვეამბორები,
შეკრულს ძარღვების კანაფებითა.

მე შენი სევდის ვწოვე ძუძუნი,
შენი როხროხის კვლავ მესმის ექო.
მე დავიღალე შენსკენ ძუნძულით,
ისე მოვადექ ამ მაღალ ბექობს.

ეს მე ვარ,
შენი დახნული მიწა,
და ბელტებივით მიძგერს კუნთები...
მე შენს ამღვრეულ თვალებში,
ბიძა,
მზეს დავინახავ და გავხურდები.

## ზამთარი წყაროსთან

იქ ერთი წყაროა მთებში,
და ათოვს,
და ათოვს წყაროს.
ზამთარი დათოვლილ პეშვით
მიადგა ლიკლიკა წყაროს.
იქ ყოველ ბუჩქში და ხეში
წყარო შედის და ხარობს.
ფიფქები ადნება ხელში
ბამბუკის ღარიან წყაროს.

და წყარო თამაშობს თოვლში,
ხარხარებს,
ფიფქებთან როკავს.
ბებიას
საზამთრო ქოშით
მოაქვს თუნგი და კოკა.

მიდი,
შეუშვირე პეშვი,
დარეკე,
ბავშვობის ზარო...
იქ ერთი წყაროა,
მთებში,
და ათოვს,
და ათოვს წყაროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაღმა გორაკიდან

თოვს...
გაღმა გორაკიდან,
გაღმა გორაკიდან
ხეებს
გამოუშვერიათ შიშველი მკლავები.
ნეტავი რამეს ცეცხლად მომაკიდა,
მათთან ცად ამაგდო ბუხრის კვამლივით.

თოვს...
გადაბურულია ზეცა მთოვარი,
გადაბუმბლულია ხეები თოვლით.
იღრჩევა,
იღრჩევა ნაეზოვარი
სამეზობლოდან გადმოჭრილ ბოლით.

ლანდები გასული ხეებზე
ჩიტების
თვალებით გასცქერენ ჩემს ახალ გორაკს.
ბიები,
ვაშლები,
ლეღვები,
შვინდები
ელიან გამოღმა გადმომყვან ბორანს.

ნეტა იქ რამეს
ცეცხლად მომაკიდა,
ზეცას ბუხარივით შევეკვამლები...
თოვს...
გაღმა გორაკიდან,
გაღმა გორაკიდან
ხეებს
გამოუშვერიათ შიშველი მკლავები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანსულ ჩარკვიანი

## ბედნიერება

მე შენ მოგიტან სიმშვიდეს და
უცხო ყვავილებს,
ოღონდ ის ბავშვი
ერთხელ ხელში ამაყვანინე.
შემოგიზიდავ ზღვის სიმღერებს
თეთრი გემებით,
დავრჩები შენთან
და ვერასდროს ვერ შეგელევი.
. . . . . .
ბედნიერება —
იგი ჩემი ღვიძლი შვილია,
არ ამიტიროთ ბედნიერება.

* * *

ჩემო ლაჯანურო,
შენი მოლაჯება,
ჩემო ხელიშურო
შენი შარიშური,
ჩემი თარიგონი,
ჩემი დანიშნული,
ჩემი საამბორო,
ლამაზი თაბორი,
წყალში ჩაძირული
ათასი ვენახი,
თინია, რომელიც
ვერაფრით ვერ ვნახე,
გუშინ, ცხრა დეკემბერს,
ზუსტად სამ საათზე,
როგორ მომენატრა,
როგორ მომენატრა.

* * *

— საითკენ მიგეჩქარება,
შუადღის ლურჯო ნიავო,
— იქითკენ მიმეჩქარება
საცა ქარები ქრიანო,
მერე გრიგალად ვიქცევი,
ქარები რას მიქვიანო...
მე გამახსენდა სიმღერა,
ასაკში რომ იტყვიანო —
პატარა ბიჭი ვიყავი,
პატარა დათუნიაო,
პატარა გოგო მიყვარდა,
პატარა ხათუნიაო.

* * *

შეხეთ მუხებს,
შეხეთ მუხებს,
რა მუხლი აქვთ,
რა ხელები,
ბუხუნებენ, ბუხუნებენ
და გონჯ ხეებს ახედებენ...
სიცოცხლე რომ უხარიათ —
მათი ბოლოც ბუხარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოეშვი. წადი...

მითხარი, ძმაო,
რაღაცა გიჭირს,
რაღაც გაღონებს,
რაღაც გადარდებს.
ჭაობისფერი, გამხდარი იჭვი,
როგორც მთქნარება, ისე გადამდე,
მითხარი, ძმაო,
რაღაცა გიჭირს,
რაღაც გაღონებს,
რაღაც გადარდებს.

თუ კი ისევ იმ ბოროტზე ფიქრობ, —
მოეშვი,
წადი და მოიძულე;

იგი საკუთარ სიცოცხლეს იქრობს,
იგი საკუთარ სულს იბინძურებს;
თუ კი ისევ იმ ბოროტზე ფიქრობ,
მოეშვი,
წადი და მოიძულე.

*

თუ არა,
ზღვიდან წყალს იღებ საცრით,
გახარებული გიმზერს ლაქია...
ჩვენ სიყვარულის წვიმები გვაწვიმს,
ჩვენი ფიქრები ცაში დაჭქრიან,
ქალაქში ერთი ბოროტი კაცი
თუ არ არსებობს, რა ქალაქია.

## 1942

თბილისი მუქი,
ჩუმი და წყნარი,
მე ნავთის რიგში მაწერია
სამასჩვიდმეტი
და ორთავ მხრებზე
ნაფტალინი მაყრია ბლომად...
თბილისი ჩუმი,
ნერვიული ჩემი თბილისი.
თეთრი დოლბანდით
დაჯვარული ფანჯრის მინები
და ჩვენსამარა დარჩენილი ხარაძე ნელი...
ცოტა პური და დიდი იმედი...
ლევიტანის ხმა, მოსკოვი, კრემლი...
ნერვიული ჩემი თბილისი...

## მწუხრსა აქეთა

მწუხრსა აქეთა,
მწუხრსა აქეთა,
როგორც ყოველთვის,
მე გელოდები...
იქნებ სოფელი ისე გაკეთდა,
რომ აღარასდროს განვშეორდებით,
იქნებ სოფელი ისე აყეფდა,
იმალები და არ მენახვები...
იქნება მიხმობ ისევ საკრეფად
ლურჯი ბაღების და ვენახების.
ვინ იცის, იქნებ ბნელი გაკვეთა
ჩემზე ფიქრმა და
ჩემსკენ მოელტვის...
მწუხრსა აქეთა,
მწუხრსა აქეთა,
მე გელოდები,
როგორც ყოველთვის.

## ს ი ზ მ ა რ ი

სიბნელე? არა
ტყე მოგვერია,
ქუხილი? არა,
მთები გვეძახის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ მღერიან,
ისევ მღერიან —
ქარიშხალს გულმკერდს
ისევ შევახლით,
ასი წლის მერე
შვილიშვილს უხმობ
და დასაკრეფი გიდგას ვენახი.
. . . .

ნათელი? —
ჩვენი დიდება მოსჩანს,
ტყე — სახლი არის,
ტყე — აკვანია,
ბიჭებო ვცოცხლობთ,
გათავდა, მორჩა,
სიცოცხლე ხელში აგვიყვანია.
. . . . . .

და თუ ნათელი ბნელსა შინა ჩანს
და ბნელი იგი მას ვერ ეწია,
გეტყვი წინასწარ,
გეტყვი წინასწარ,
არ თქვა. „სიცოცხლე ერთი ბეწვია“...
იყურე, შვილო,
შავი ავაზა
მოგვდევდა,
მაგრამ ვერ დაგვეწია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მორის ფოცხიშვილი

## მზე კვლავ ამოდის

იური გაგარინს

სად მიაქროლებს
ისტორიის ქარი იკაროსს,
ვაითუ ზეცამ
იკაროსი არ მიიკაროს?!

სად ამდორებენ იჭვის მდინარეს,
ან სად იშლება რწმენის აფრები,
ან ხარბი გული რატომ ღრიალებს:
— ან ყველაფერი, ან არაფერი!

კა რად ციმციმებს ციურ ციფრებით,
ღრუბლებია თუ ჭრელი რუქები, —
ვინ მეჯიბრება, ვის ვეჯიბრები?
ვინ მემუქრება? ვის ვემუქრები?

რად მეღობება, რად ვეღობებით
ბორბლებს ბორბლები, გემებს გემები,
თავის ქალები, როგორც კოლბები,
რად ავსებულა შავი გენებით?!

სად მიაქროლებს
ისტორიის ქარი იკაროსს,
იქნება ზეცამ
იკაროსი არ მიიკაროს?!

მაგრამ მიდიან... ბრუნდებიან...
ისევ მიდიან...
და სიმშვიდეა... სიმშვიდეა...
სულ სიმშვიდეა...
შენი ღიმილის მერედიანი
შენი ოცნების დიდი მშვილდია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე ჩადის...
    მზისებრ ვიმპელი მღერის.
ცა ვეშაპივით ისევ ვეშაპობს
და გალაქტიკას თითბერის ფერი
ასხივებს, როგორც სისხლი
    ე შ ა ფ ო ტ ს...

მზე ჩადის, მაგრამ
        მ ზ ე კვლავ ამოდის,
გზა იკირწყლება ვარსკვლავთ კრებულით
და კვლავ შრიალებს ხე ცნობადისა
შენი სულივით გაცისკრებული.

## თეთრი კედელი

მენატრება შქერის რტო,
ტუია და კლერტა...
ხვალ რომ ჩემი დაბადების დღე იყოს,
რას მომიტან, ნეტა?

ვაი, ველარ ვხედავ მზეს,
ზედაზენს და მცხეთას,
ხვალ რომ ჩემი გაგიჟების დღე დადგეს,
რით მიწამლებ, ნეტა?

მთვარე თეთრად მაბოდებს,
თეთრ ოთახში მკეტავს, —
საყვარელო, მე რომ ახლა არ მოვკვდე,
ხვალ რა მომკლავს, ნეტა?

## ნოეს კიდობანი

უკვე დაიწყო ეს წყალდიდობაც.
ჩემი ოთახი დაემსგავსა
        ნოეს კიდობანს.

გავაღებ სარკმელს, —
გაფრინდება ფიქრი მტრედივით:
— არის თუ არა მიწა სადმე?
— არის მშვიდობა? —
ჩემი ოთახი დაემსგავსა
        ნოეს კიდობანს.

ჟანგმოდებული ოკეანე,
                ვით საწამლავი,
მიმზიდველია და საამური, —
დასაბამური ქაოსია
                და ქაოტიურ
ცოდვის ძაფივით იწელება
                გზა საღამური...

ვიხსენებ სიყრმის მისამართებს.
                სულის ბორკილად

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქვი კომპასის ისრად ქანაობს
და მიკვირს, — ნუთუ
ბედთან მორკინალს
არაფერი მაქვს ღმერთთან სადაო?!

არაფერი მაქვს მართლაც სადაო?
მიშვებული აქვს სურვილს სადავე, —
განტვირთული ვარ სირთულისაგან,
აღჭურვილი ვარ,
ვით სისადავე.

აღჭურვილი ვარ, ვით სისადავე,
ქარიშხალია და წყალდიდობა...
— არის თუ არა მიწა სადმე?
— არის მშვიდობა?
— სად არის ჩემი მახარობელი?

— სად არის ჩემი ფიქრის ფრინველი? —
ვბღავი ჩურჩულის ტოლი ბღავილით
და მელანდება
ზეთისხილის შტო,
როგორც იმედის თეთრი ყვავილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯარჯი ფხოველი

# ლექსები

* * *

იახსრის გორზე შუადღისას დაკლული
ხარის
თვალები დადის ჩემი ქოხის
ჩათვლემილ ჭერზე...
და ხსოვნას ჯერაც ათრთოლებულ ხელებით
მოაქვს
ლორთქო ბალახის მეწამული აქვითინება.
ხელგამოწვდილო ჯარისკაცო,
შენ გეუბნები: აივსო ძვლებით ეს ქვეყანა
და გარდასულთა ჩურჩული ისმის
მარტოდმარტო
მარადიული.
ჩურჩული ისმის დანგრეული სამრეკლოების
ირგვლივ... ყველაფრის გარეშემო,
ყველაფრის
იქით:
შორს, ვიეტნამის გორაკებიდან, სადაც
ასკილი დამწიფდა უკვე...
და დაღვრემილი ოსვენციმიდან...
ჩურჩული ისმის, ჯარისკაცო,
მხოლოდ ჩურჩული.
მე კი ხმა მინდა ამ ღამეში,
ხმა, თუნდაც ხარის,
იახსრის გორზე რომ აღმოხდა
უკანასკნელად.

* * *

ჩონჩხებზე დახრილ მუზარადებით
ძველი სანგრები მოხოხავენ, თანდათან,
ჩვენსკენ...
შრიალებს მთვარის უმწეო ცრემლი...
თეთრი იფნების თავზე,
მთვარეულ
ხეთა თვალებზე, იქით და იქით...
ხელებდაჭრილო უღრანებო,
ტყვიით ნაცემო,
რკინით ნაღეჭო,
მუხლუხებით გალახულო ტევრებო, —
ვის გაუგია? —
გეკითხებით,—
ვის გაუგია?...
შრიალებს მთვარის უმწეო ცრემლი...
და გაკაფული ტევრებიდან,
მოთხრილ გზებიდან,
ბერწი მინდვრების მრეში ნისლიდან,
შორს...
დუნაიდან ელბისაკენ
მხოხავი ჭვლიკის
მწვანე და ჭროღა თვალებიდან —
ახლოვდებიან ძველი სანგრების
ჩონჩხებზე დახრილ მუზარადებით...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

სალამოს ქარი ეხმარება დამფრთხალ
ბეღურებს
გადაფრენაში...
ფოთოლცვენის მწუხარე ფერი
ნელა დაცოცავს ნაცნობ ჭალებზე.
შენ დგახარ გზასთან,
ფოთლის ჩრდილი გაცვია ტანზე
და
ბილიკიდან,
ჭალაკიდან,
სანახებიდან
ახვეტილ ფოთლებს მოაფრენს ქარი
შენსკენ ჩურჩულით.

დამდგარია ფერისცვალება
ბალახთა,
ხეთა,
მდინარეთა...
სალამოს ქარი
გადაფრენაში ეხმარება
დამფრთხალ ბეღურებს,
მოწყვეტილ ფოთლებს,
გადაწვენილ ხეთა აჩრდილებს...
და
ფოთოლცვენის მდუმარება
დადის ჭალებზე.

* * *

რას ხედავს სული —
მთების იქით —
მთები და მთები —
სივრცე —
რომელიც ცას ესაზღვრება,
და მხოლოდ ქარი...

უკედლებო სახლების განცდა...
და გასწვრივ ყოვლის —
კავკასიონი —
მთვარის ნათელზე გარინდული სპილოთა
ჯოგი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე პაუსტოვსკი

# ოქროს ვარდი

ბუნინი უნდა იკითხო და სამუდამოდ აილო ხელი ჩვეულებრივი, არაბუნინისებური სიტყვებით იმის მოყოლის უბადრუკ ცდაზე, რაც მან კლასიკური ძალითა და სიცხადით დაწერა.

შეუძლებელია შენი სიტყვებით გადმოსცე პუშკინის „დღე მიიწურა ავდრიანი“, ლევიტანის „სამუდამო განსასვენებელი“ ან ლერმონტოვის „ჰაერის ხომალდი“. ეს ისეთივე ამაო საქმეა, როგორც მოცარტისა თუ სხვა დიდი კომპოზიტორების ჰარმონია ალგებრის უსიცოცხლო ენით რომ შეამოწმო.

ამიტომ ტყუილად ვერ ვიტყვი, რომ ბუნინს მოგიყვებით და, რაც დაუწერია, ყველაფერს „დღიურ ჭირ-ვარამთან“ შეფარდებით განვმარტავ.

„დღიური ჭირ-ვარამი“ ანუ, სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, თანამედროვეობის გაგება, ისე ვერ იარსებებს, გადაჯაჭვული რომ არ იყოს ყოველივე იმასთან, რაც წინ უსწრებდა ჩვენს დროს და რამაც ასე თუ ისე განსაზღვრა იგი.

ბუნინის წიგნები საყურადღებოა სწორედ იმით, რომ მთლიანად მწერლის თანამედროვე ცხოვრებას ასახავენ და ამასთანავე ცოცხალი კავშირი აქვთ ჩვენი ხალხის წარსულთან.

ბუნინის პროზასა და პოეზიაში აშკარაა განცდა სიცოცხლისა როგორც ხანგრძლივი და თავის საფუძველშივე საამო გზისა ადამიანის გაჩენის დღიდან ვიდრე სიკვდილამდე. განსაკუთრებით ძლიერად არის გამოხატული ეს განცდა „არსენიევში“.

„არსენიევი“ არა მარტო ქებათა-ქებაა რუსეთისა, არა მარტო ჯამია ბუნინის ცხოვრებისა, არა მარტო გამოხატულებაა მამაპაპათა მიწა-წყლის ულრმესი და პოეტური სიყვარულისა, გამოხატულება სამშობლოს წინაშე ნაღველისა და ალტაცებისა, ხანდახან სიმწრის კენტი ცრემლივით რომ გამოკრთის წიგნის ფურცლებიდან, ეს კიდევ რაღაც სხვაა.

და არა მარტო კრებულია რუსი ადამიანებისა — გლეხების, ბავშვების, მათხოვრების, გალატაკებული თავადების, ჩარჩების, სტუდენტების, სალოსების, მხატვრების, თვალმშვენიერი ქალების, — იმ უამრავი ადამიანისა, მწერლის ყოველ გზასა და გზაჯვარედინზე რომ დგანან და მძაფრი, ზოგჯერ კი თავბრუდამხვევი ძალით არიან დახატული.

„ცხოვრება არსენიევისა“ რაღაცნაირად მხატვარ ნესტეროვის სურათებს მოგვაგონებს. ერთ-ერთ იმ სურათს „წმიდა რუსეთი“ ჰქვია, ხოლო მეორეს — „ძველ რუსეთში“. ეს ტილოები, მხატვრის გაგებით, საუკეთესო გამოხატულებაა რუსეთისა და რუსი ხალხისა.

ერთმანეთს მისდევენ წარაფები და გორაკები, ჩაშავებული ძელური ეკლესიები, ბალახგადავლილი სასაფლაოები და პატარა სოფლები. და ამ გარემოში მოჩანს მთელი ძველი რუსეთი — ფარჩა-დიბითა და ბაჯაღლო ოქროთი შემოსილი მეფე-ბატონი, აბრანძული ბუტუსურა გლეხები, გრძელშოლტიანი მწყემსი ბიჭები, თავზე სკუფიაწამომხობილი მწირად მავალი კაცები და ქალები, მორცხვად წამწამებდახრილი ქალიშვილები, ერთნაირი უბიწო შინაგანი შუქით გაცისკროვნებულ სახეზე იმ თითქოსდა საოლავით შეღებილ წამწამთა მკრთალი ჩრდილი რომ აფენიაო. აქვე არიან ქადაგად დაცემულნი, უპოვარნი, გულარჯალა დედაბრები, ხელარგნიანი გოროზი ბერიკაცები, თავთეთრა ბავშვები.

ბრბოში ლევ ტოლსტოი მოჩანს, იქვე შორიახლო დგას დოსტოევსკიც. ისინი თავიანთ სიმართლის მაძიებელ ხალხთან ერთად მიდიან ნათელ, მაგრამ ჯერ ისევ მიუკვლეველ შორეთში, რაზეც მთელი სიცოცხლე დაუღალავად ლაპარაკობდნენ.

ამ სურათებს რაღაცა საერთო აქვთ ბუნინის

---

დასასრული.

წიგნებთან. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ბუნინის თვალით დანახული სამშობლო ქვეყანა უფრო უბრალო და ღარიბია, ვიდრე ნესტეროვის თვალით დანახული.

ჩვენი შიდა რუსეთი ბუნინს წარმოუდგება გაცრიატებული დღეების სიტურფით, ველ-მინდვრების სიმშვიდით, წვიმებითა და ნისლ-ბურუსით, ზოგჯერ კი ჩანავლებული დაისის ცრიაგი შარავანდით.

აქ მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ ბუნინს ჰქონდა ფერებისა და განათების იშვიათი და შეუცდომელი შეგრძნების უნარი.

სამყარო ფერებისა და შუქის უთვალავი შენაერთისაგან შედგება: და ვინც ადვილად და ზუსტად ამჩნევს ამ შენაერთებს, უბედნიერესი ადამიანია, მეტადრე თუ მხატვარია ან მწერალი.

ამ აზრით ბუნინი ფრიად ბედნიერი მწერალი იყო. ყველაფერს ერთნაირად გამჭრიახი თვალით ხედავდა: შიდა რუსულ ზაფხულსაც, მოქურუშებულ ზამთარსაც, გვიანი შემოდგომის „დუხჭირ, ტყვიისფერ, მყუდრო დღეებსაც“ და ზღვასაც, რომელმაც „ულრანი ტყით დაფარულ ბექობებს იქიდან ანაზდეულად შემომხედა ბნელით მოცულ უზარმაზარ უდაბნოსავით“.

ბუნინის ჩანაწერებში ერთი მოკლე ფრაზაა, 1906 წლის ზაფხულის დამდეგს ჩაუწერია: ლამაზი ღრუბლების ჟამი დგებაო, — და ამით თითქოს გაგვიმჟღავნა თავისი მწერლური ცხოვრების ერთ-ერთი საიდუმლო. ამ სიტყვებით აღნიშნულია მოახლოება აუცილებელი და სასურველი შრომისა, რაც ბუნინისათვის დაკავშირებული იყო ზაფხულის დადგომასთან, „ღრუბლების ჟამთან“, „წვიმების ჟამთან“, „ყვავილობის ჟამთან“.

ამ ოთხი სიტყვით ბუნინი ამბობს, რომ უკვე შეუდგა ცის დაკვირვებას, მუდამ იდუმალ და მიმზიდველ ღრუბელთა შესწავლას.

ყოველთვის, როცა კი ბუნინი ზაფხულზე ლაპარაკობს, ამ ჩანაწერს იხსენებ. ბუნინის სიტყვები, რაც ზაფხულზეა, მუდამ მომთენთავი სიტყვებია, გინდ სულ ორი სტრიქონი იყოს.

„ბაღმა დაიყვავილა და შეიმოსა, ბაღში მთელი დღე ბულბული გალობდა, ფანჯრის ქვედა ჩარჩოები მთელი დღე აწეული იყო“...

ბუნინი ყველაფერს ერთნაირად მახვილი თვალით და ძირისძირობამდე ხედავდა, რის ნახვაც ცხოვრებაში უხდებოდა. ნახვით კი ძალიან ბევრი რამ ნახა — სიყრმიდანვე მოუსვენარი იყო, ხეტიალი უყვარდა, უნახავ გზებსა და ქვეყნებს ეტრფოდა.

არასოდეს ისე ბედნიერად არ მიგრძვნია თავი, როგორც მაშინ, როცა წინ შორი გზა მქონდა გასავლელიო, გულახდილად ამბობდა ხოლმე ბუნინი.

არის რაღაც მკვიდრი კავშირი ისეთ მოვლენებს შორის, როგორიც შუქი, სუნი, ბგერა და ფერია.

მაინც რა კავშირია? აი თუნდაც რა — როდესაც ვანგოგის სურათზე ვუცქერით ვეებერთელა ზაფრანისმაგვარ უცნობ ყვავილებს, ვუცქერით მკვრივ შუქს, რომელიღაც უცხო ნაყოფის გამჭვირვალე წვენს რომ გვაგონებს, უცაბედად გვეცემა ამ ნაყოფის მოტკბო სუნი და წამით სველი ქვიშის სიგრილესაც ვიგრძნობთ. ამ სუნს თითქოს სურათების გალერეამდე მოაქვს შორი კუნძულებიდან მონაბერი ნიავი.

ბუნინის კითხვისას ხშირად გვიპყრობს ამგვარი განცდები. საღებავი წარმოშობს სუნს, ფერი — საღებავს, ბგერა კი არაერთ საოცრად ზუსტ სურათს აღადგენს. ეს ყველაფერი ერთად ბადებს განსაკუთრებულ სულიერ მდგომარეობას — ხან მთელ გულისყურს ერთ რაიმე საგანს მიაპყრობ და ნაღველი მოგერევა, ხანაც თავს ლაღად იგრძნობ და ცხოვრება სიხარულს მოგგვრის თავისი თბილი ქარებით, ხეთა შრიალით, ოკეანის უკიდეგანო გუგუნით, ბავშვებისა და ქალების საამო სიცილ-კისკისით.

„არსენიევში“ ბუნინი ლაპარაკობს, როგორ გრძნობდა საღებავებს და რა თვალით უცქეროდა ბუნების ფერებს:

„საღებავებიანი ყუთის მარტო დანახვაზეც კანკალი ამიტანდა ხოლმე, დილიდან საღამომდე ვდღაბნიდი ქაღალდს, საათობით ერთ ადგილას ვიჯექი და ვუცქეროდი იისფრად მოლივლივე საოცარ ცის ლაჟვარდს, ცხელ ამინდში მზის პირდაპირ ხშირ კენწეროებში რომ ატანს, თითქოსდა იმ ლაჟვარდში მცურავი ხეების კენწეროებში, — და სამუდამოდ განვიმსჭვალე მიწიერი და ციური ფერების ჭეშმარიტად ღვთაებრივი აზრისა და მნიშვნელობის ულრმესი გრძნობით. როცა ვფიქრობ, ცხოვრებამ რა მომანიჭა-მეთქი, ვხედავ, რომ ეს ერთ-ერთი უმთავრესი მადლია ჩემი კაცობისა. ამ იისფერ ლაჟვარდს, ტოტებსა და ფოთლებში ჩამოცრილს, სიკვდილის წინაც მოვიგონებ“...

შიდა რუსეთისათვის დამახასიათებელი ოდნავ გაყრუებული, მცხრალი საღებავები უმალ მცხუნვარებასა და სიმკვრივეს იძენენ, როცა ბუნინი ლაპარაკობს სამხრეთზე. ტროპიკებზე, მცირე აზიაზე, ეგვიპტეზე, პალესტინაზე.

1912 წლის შემოდგომა ბუნინმა კუნძულ კაპრიზე გაატარა და იმჟამად ბევრს ებაასებოდა ხოლმე თავის დისწულს ნიკოლოზ ალექსის-ძე პუშეშნიკოვს.

პუშეშნიკოვი ყოველ საუბარს იწერდა. დრომ დღემდე შემოინახა ის მეტად უბრალო ჩანაწერები, ბუნინს — უაღრესად თავშეკავებულ ადამიანს — იშვიათი გულახდილობის წუთებში რომ გვიჩვენებენ.

პუშეშნიკოვის ყველა ჩანაწერი აშკარად მეტყველებს, რა გაშმაგებით ეტრფოდა ბუნინი

სიცოცხლეს. ერთხელ, ვაგონის ფანჯრიდან ორთქლმავლის დაძენძილი ბოლის ჩრდილს რომ უცქეროდა, თურმე თქვა:

— მართლა კარგი რამ არის სიცოცხლე! ჯანდაბას, თანახმა ვარ, გინდაც მარტო ამ ბოლსა და ამ შუქს ვუცქირო. ხელ-ფეხიც რომ არა მქონდეს, მარტო ერთ ადგილას ჯდომა და ჩამავალი მზის ცქერა-ღა შემეძლოს, მაინც ბედნიერი ვიქნებოდი. საჭიროა მხოლოდ ხედავდე და სუნთქავდე. ფერებისნაირად არაფერი არ ატკბობს ადამიანს. მე მიჩვეული ვარ ცქერას. ამ ხელოვნებას მხატვრებმა მაზიარეს... პოეტებმა არ იციან შემოდგომის აღწერა. იმიტომ, რომ ფერებსა და ცას არ აღწერენ. ფრანგებმა — ერედიამ, ლეკონტ დე ლილმა — აღწერაში უჩვეულო სრულყოფას მიაღწიეს.

პუშეშნიკოვის ჩანაწერებში ერთი საოცარი ადგილია, ბუნინის ოსტატობის „საიდუმლოებას“ გვამხელს.

ბუნინს უთქვამს, რაიმეზე წერას რომ ვიწყებ, უწინარეს ყოვლისა ჯერ ბგერა უნდა ვიპოვნოო. „როგორც კი ბგერას ვიპოვნი, ყველაფერი თავისთავად კეთდება“.

რას ნიშნავს „ბგერის პოვნა“? ეტყობა, ბუნინი მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ სიტყვებს, ვიდრე ერთი შეხედვით გვეჩვენება.

„ბგერის პოვნა“ იგივეა, რომ პროზის რიტმსა და ძირითად ჟღერადობას მიაგნო, ვინაიდან პროზას ისეთივე შინაგანი მელოდია აქვს, როგორც ლექსსა და მუსიკას.

პროზის რიტმისა და მუსიკალური ჟღერადობის გრძნობის ფესვი, როგორც ჩანს, მშობლიური ენის კარგ ცოდნასა და ფაქიზ გრძნობაშიც არის.

ბუნინი ბავშვობაშიც კი მძაფრად გრძნობდა ამ რიტმს. ჯერ კიდევ ყმაწვილმა შენიშნა პუშკინის „რუსლანის“ პროლოგში ლექსის ლაღი წრიული მოძრაობა („ჯადო წრისებრი, უწყვეტელი მოძრაობისა“).

„დღითა — და ღამით — კატა — სწავლული — დადის — დაჰყვება ჯაჭვს — ხის გარშემო“.

მშობლიური ენის ცოდნის მხრივ ბუნინი სწორუპოვარი ოსტატია.

სიტყვათა უძირო მარაგიდან ის ყოველი მოთხრობისათვის შეუცდომლად არჩევდა სიტყვას — ყველაზე ხატოვანს, ყველაზე მუხლნაყარს. თხრობასთან რაღაც უხილავი და თითქმის იდუმალი კავშირით დამაგრებულს, ამ თხრობისათვის ერთადერთ გამოსადეგს.

ბუნინის ყოველი მოთხრობა და ყოველი ლექსი ანდამატსა ჰგავს, აქეთ-იქიდან რომ იზიდავს ამ მოთხრობისა თუ ლექსისათვის საჭირო ნაწილაკებს.

ახლა ვინმე ქრისტიან ანდერსენისნაირი მეზღაპრე რომ იყოს, შეიძლება დაეწერა ზღაპარი, როგორ მიფრინავენ ჯადოსნური ანდამატის მქონე მწერლისაკენ ყველანაირი მოულოდნელი საგნები — თუნდაც რთვილდადებულ ბუჩქნარში მიმალული მზის სხივი, ანდა თალხი საავდრო ღრუბლების ნაფლეთები, მწერალი კი ყველაფერ ამას ალაგებს თავის გუნებისად, განსაკუთრებული წესითა და რიგით, ზედ ნამს აპკურებს, და აი ქვეყნად ჩნდება ახალი ნაწარმოები — პოემა, ლექსი ან მოთხრობა, — და ველარაფერი მოჰკლავს ამ შემონაქმედს. ის უკვდავია, ვიდრე დედამიწის ზურგზე ადამიანი სულდგმულობს.

ბუნინის ენა სადა, თითქმის ძუნწი, წყაროს წყალივით ანკარა და კაზმული ენაა. ამასთანავე არაჩვეულებრივად მდიდარია სახეებისა და ბგერების მხრივ — ხან წინწილივით ჟღერს და ხანაც წყაროსავით რაკრაკებს, ხან ლითონივით ნაჭედია, ხანაც ქსოვილის სილბოთი გვხიბლავს, ხან ღიღინივით გაისმის, ანდა ბიბლიურ მხილებასავით მქუხარებს, ამ ენით ამბობს თავის სათქმელს სიტყვაკვიმატი ორიოლელი გლეხკაციც.

მე მხოლოდ მოვიხსენიე „ცხოვრება არსენიევისა“. ამ მოთხრობას კი გულდასმით უნდა წაკითხვა.

„ცხოვრება არსენიევისა“ მოთხრობაა-მეთქი რომ ვთქვი, რასაკვირველია, სწორი არ არის. ეს არც მოთხრობაა და არც რომანი. სრულიად ახალი, ჯერაც სახელდაურქმეველი ჟანრის ნაწარმოებია, საოცარი და ერთადერთი ჟანრისა, ადამიანის გულის მტანჯველი და ამასთანავე საამო ტყვეობის ბორკილს რომ ადებს.

ფიქრობენ, რომ „ცხოვრება არსენიევისა“ ავტობიოგრაფიაა. ბუნინი უარყოფდა ამ აზრს — „არსენიევი“ ავტობიოგრაფიად არ გამოდგება, მეტისმეტად თავისუფლად არის დაწერილიო.

ცხადია, ბუნინი მართალი იყო. „ცხოვრება არსენიევისა“ ამქვეყნიური სევდა-ნაღველის, ფიქრებისა და სიხარულის ზოდია, განსაცვიფრებელი რკალია ერთი კაცის ცხოვრების ამბებისა, ქვეყნებისა, ქალაქებისა, ზღვებისა, მაგრამ მთელ ამ მრავალფეროვნებაში ყოველთვის წინ დგას ჩვენი შიდა რუსეთი. „ზამთრობით უკიდეგანო თოვლის ზღვა, ზაფხულობით პურის ყანების, ბალახბულახისა და ყვავილების ზღვა... და ამ ველ-მინდვრების მარადიული სიმშვიდე, იდუმალი მდუმარება“...

ბუნინმა „არსენიევში“ მოახერხა ერთგვარ ჯადოსნურ კრისტალში მოექცია მთელი თავისი ცხოვრება, ოღონდ, პუშკინისეული კრისტალისაგან განსხვავებით, ამ მოთხრობის სივრცე, თვით მწერლის ცხოვრების სივრცე გამოკვეთილია ძალზე მკვეთრად და ძირის-ძირობამდეა განათებული.

მე ისევ მოთხრობა ვუწოდე „არსენიევს“, თუმცა ასევე შემეძლო პოემა ან თქმულება მეწოდებინა.

„ცხოვრება არსენიევისა“ მსოფლიო მწერ-

ლობის ერთ-ერთი უშესანიშნავესი მოვლენაა და, საბედნიეროდ, უწინარეს ყოვლისა რუსულ მწერლობას ეკუთვნის.

ამ საოცარ წიგნში პოეზია და პროზა ერთად შერწყმულა, ორგანულად შეკრულა და ახალი შესანიშნავი ჟანრი შეუქმნიათ.

სამყაროს პოეტური აღქმისა და გარეგნულად პროზაული გამოხატვის ამ შერწყმაში არის რაღაც მკაცრი, ზოგჯერ კი სასტიკი ძალა. ამ ნაწარმოებს თვით სტილშია რაღაც ბიბლიური.

„არსენიევში“ ძნელია პოეზიისა და პროზის ერთმანეთისაგან გარჩევა და ბევრი სიტყვა ვულს გავარვარებული შანთივით ხვდება.

საკმარისია წავიკითხოთ დედაზე ნათქვამი სულ რამდენიმე სტრიქონი, რათა მივხვდეთ, რა ზუსტად მიაგნო ბუნინმა ერთადერთ საჭირო და შესაძლებელ გამოხატულებას ყველაფრისათვის, რისი თქმაც სურდა.

თუ არა სულიერი მღელვარებით, სხვანაირად ვერ წაიკითხავ ამ სტრიქონებს:

„დაე იძინოს მშვიდად შორეულ მშობლიურ მიწაში მარტოდ-მარტომ, ქვეყნიერებისაგან სამუდამოდ მივიწყებულმა, და კურთხეულ იყოს უკუნითი უკუნისამდე დედის საყვარელი სახელი. ნუთუ ის ქალი, რომლის თვალებდათხრილი თავის ქალა და ნაცრისფერი ძვლები ახლა სადღაც იქ, მივარდნილი რუსული ქალაქის სასაფლაოს ტევრში, ბალახგადავლილ უსახელო სამარეში განისვენებენ, დედაა ჩემი, ოდესღაც ხელში აყვანილს რომ მარწევდა ხოლმე?“

„არსენიევის“ ენისა და ზუსტი სახის ძალა წარმოშობს კაეშანს, მღელვარებასა და ცრემლსაც კი. იმ იშვიათ კენტ ცრემლს, რომელსაც მშვენიერება იწვევს.

სიახლე „არსენიევისა“ ისიც არის, რომ ბუნინს ესოდენ სრულად არცერთ სხვა ნაწარმოებში არ უჩვენებია ის მოვლენა, რომელსაც, ჩვენი ენის სღარიბის გამო, ადამიანის „შინაგან სამყაროს“ ვეძახით. თითქოს მართლა იყოს რაიმე ცხადი ზღვარი შინაგან და გარე სამყაროს შორის! თითქოს გარე სამყარო შინაგან სამყაროსთან ერთ მთლიანობას არ შეადგენდეს!

რასაც ბუნინი ამ წიგნში ლაპარაკობს, ყველაფერი ნათლად ჩანს, მკაფიოდ გვესმის, ნიშნეულ-ნივთიერია და კარგა ხნით გვახარებს ან გვანაღვლიანებს. ქვემოთ ამ წიგნიდან რამდენიმე ნაწყვეტს მოვიყვან. აი, მაგალითად, პატარა ბიჭის პირველი შეხვედრა ქალაქთან:

„ყველაზე... საკვირველი ქალაქში ვაქსი იყო. ვინ მოთვლის, ქვეყნად რამდენი რამ ნივთი მინახავს. მაგრამ ჩემს სიცოცხლეში ისეთი აღტაცება და სიხარული არ განმიცდია, რაც ამ ქალაქის ბაზარზე განვიცადე, ხელში ვაქსის პატარა ხოკრი რომ მეჭირა. მრგვალი ხოკრი იყო ხრალისა, მაგრამ ხრალიც არის და ხრალიც! მერე რა კოხტად იყო დაწნული! ვაქსი ხომ იყო და იყო! შავად ლაპლაპებდა, სპირტივით სუნი ჰქონდა“.

ღატაკი სამშობლო მხარე ბუნინს ძუნწი გამომსახველობით აქვს აღწერილი:

„სად დავიბადე, სად ვიზრდებოდი, რა ვნახე? არც მთები, არც მდინარეები, არც ტბები, არც ტყეები — მხოლოდ ბუჩქნარიანი ხევ-ხუვები, ალაგ-ალაგ წარაფები და... მინდვრები, მინდვრები, პურის ყანების თვალუწვდენელი ოკეანე... მერე ღრანტეები და ფერდობები, დაქანებული ხირხატი საძოვრები. იქაური სოფლები და ქალამნიანი გლეხკაცობა ღვთისაგან მიტოვებულთ ჰგვანან...“

მწერლებს მოქანდაკეთაგან ნასესხები ერთი ტერმინი აქვთ — ადამიანის ძერწვაო, იტყვიან. მაგრამ ცოტანი თუ ძერწავენ ადამიანს ისე შეუცდომლად, ხან ულმობლად და ხან ამაღელვებლად, როგორც ბუნინი. აი, მაგალითად, მწყემსი ბიჭი:

„პატარა მწყემსი... წარმოუდგენლად მარილიანი მორბედი იყო: ხამი ტილოს პერანგი და მოკლე საწმერთული ეცვა სულმთლად დაფხავებული, ხელ-ფეხი და სახე დამწვარ-დამაშრული ჰქონდა მზისაგან და კანი სძვრებოდა, ხმელი ჭვავის პურის, ძირხვენისა და კვის ზალახის ჭამით ტუჩები დასწყლულებოდა, თვალებს ქურდულად აცეცებდა: მან კარგად იცოდა ჩვენი მეგობრობის მთელი ცოდო-ბრალი და ისიც ესმოდა, რომ გვაგულიანებდა ღმერთმა უწყის რაღა არ გვეჭამა. მაგრამ, ეჰ, რა ტკბილი იყო ეს ცოდო-ბრალიანი მეგობრობა! რა კარგი, რა გულისწამღები იყო, რასაც ის საიდუმლოდ გვიყვებოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად და თან წარამარა უკან რომ იცქირებოდა. გარდა ამისა, კაცს გაუკვირდებოდა, ისეთნაირად იქნევდა, ისე ატკაცუნებდა თავის გრძელ შოლტს და ქაჯივით ხარხარებდა, როცა ჩვენც იმნაირად გვინდოდა მოგვექნია და შოლტის წვერს ყურებში მწარედ ვიხვედრებდით“...

რუსულმა პეიზაჟმა თავისი სილბოთი, კრძალული გაზაფხულის იერით, თავისი შეუხედაობით, რაც ცოტა ხანში მშვიდ, ნაღვლიან სილამაზედ იქცევა ხოლმე, როგორც იყო, მიაგნო თავის გამომხატველს, რომელსაც არასოდეს არ უცდია მისი შელამაზება. რუსულ პეიზაჟში არა ყოფილა რაიმე სულ მცირედიც კი, ბუნინს რომ არ შეენიშნოს და არ აეწეროს.

„გავიარეთ თიხიანი ტბორი, თავისი წაგრძელებული ალხიანი ზედაპირით გულის გადამლევად რომ ლაპლაპებდა საქონლისაგან გადაჯეგილ ფერდობებს შუა მოქცეულ ღარტაფში. იმ ფერდობებზე აქა-იქ დასანახ ადგილას როგორღაც მიუსაფრად ისხდნენ თავჩაქინდრული ჭილყვავები“.

„არსენიევში“ არის ერთი პატარა თავი. აი როგორ იწყება:

„სადაც ყრმობის წლები გავატარე, იქ ჩემს

გარშემო ყველაფერი ძალზე რუსული იყო“. შემდეგ ბუნინი ლაპარაკობს სოფელ სტანოვაიას ახლოს გამავალ შარაგზაზე, ყაჩაღებზე, შიშზე, ღამეებზე, მაგრამ არცთუ ისე ძველი რუსეთის რა საოცარი სურათია აქ დახატული:

„სტანოვაიას შორიახლო შარაგზა ძირს ეშვებოდა, საკმაოდ ღრმა ხევში, ჩვენებურად „ზევითას“ რომ ვეძახდით, და ეს ადგილი ყოველ დაგვიანებულ მგზავრს, ცოტა არ იყოს, ცრუმორწმუნეობრივ შიშსა ჰგვრიდა ყოველთვის... ახალგაზრდობაში მეც ბევრჯერ ავუტანივარ ამ წმინდა წყლის რუსულ შიშს, როცა კი სტანოვაიასთან ჩამივლია... სულ მეჩვენებოდა, რომ მიყელეს და პირდაპირ ჩემკენ მოდიოდნენ — ხელთ პატარა ცულები ეჭირათ, ქამრები წელქვევით, ზედ კუდუსუნთან შემოერტყათ, დაცეცებულ თვალებზე ქუდები ჩამოეფხატათ, უცებ ერთ ადგილას გაჩერდებოდნენ და ხმადაბლა, მომეტებული სიდინჯით ბრძანების კილოთი მეტყოდნენ: „დაიცა, ერთ წუთს დაიცა, ჩოვდაგარო...“

საუცხოო ადგილი ამ წიგნში უამრავია. მე არ მეგულება ჩვენს პროზაში ზამთრის ისეთი აღწერა, როგორსაც ქვემოთ მოვიყვან:

„და მახსოვს კიდევ ზამთრის მრავალი ცრიატი და სუსხიანი დღე, მრავალი უსიამოვნო და ძენძეხი ღლმა, როცა მეტისმეტად ძნელასატანია რუსული სამაზრო ცხოვრება, როცა სუყველას თავპირი ჩამოსტიროდა, სუყველა ავისმდომივით იცქირებოდა ხოლმე, — რუსი კაცი მართლაც პირველყოფილივით განიცდის ბუნების ზეგავლენას! — და ყველაფერი, ისევე როგორც საკუთარი არსებობა, ილაჯს გვიწყვეტდა თავისი ნამეტანობით.

მახსოვს, ხანდახან კვირიდან კვირამდე ჰქროდა თვალგაუვალი აზიური ქარბუქი და თოვლის კორიანტელში ძლივს ვარჩევდი ქალაქის სამრეკლოებს. მახსოვს ნათლისღების ყინვები, ფიქრით ძველ, გულისგულ რუსეთში რომ გადავყავდი, როცა თურმე ტეხვრა „ერთ საჟენზე ხეთქავდა დედამიწას“: მაშინ ერთიანად ნამქერში ჩამარხულ, თეთრად გადაპენტილ ქალაქს ღამღამობით თავს ადგა ორიონის თეთრი თანავარსკვლავედი, ყორნისფრად ჩაშავებულ ცაზე ავად რომ ენთო, დილით კი სარკისებრ, ავბედითად ბრწყინავდა ხოლმე ორი უძალო მზე, ჰაერი არ იძვროდა, ყინვაგამჯდარს ზარივით გაჰქონდა წკრიალი, მთელი ქალაქი მძიმედ და პირქუშად ბოლავდა...“

ბუნინზე როცა ლაპარაკობ, ძალაუნებურად აბეზარი ხდები, სულ გინდა ზედმიყოლებით უჩვენო შენს თანამოსაუბრე მკითხველს ბუნინის წიგნების წარმტაცი ადგილები. სულ გეჩვენება, — აი ეს კი უკანასკნელიაო. მაგრამ იქით და იქით ბევრი კიდევ უკეთესი ადგილი გვხვდება და გაჩუმება აღარ შეგიძლია. აი, მაგალითად, სიყმაწვილეზე და თითქმის ბავშვურ სიყვარულზე ნათქვამი სიტყვები. გარდასულ სიყმაწვილეს მუდამ ნაღვლიანად ვიგონებთ. მაშინ ყველანი ერთნაირად ვეტრფოდით სიყვარულს და ყველაფერი გულით გვიყვარდა, რაც ამ სიყვარულს მოჰქონდა: გვიყვარდა „შვიდფეროვანი ვარსკვლავი, მშვიდად რომ ციმციმებდა აღმოსავლეთის მხარეს, ბაღის გადასწვრივ, სოფლის გადაღმა, ზაფხულის ფერებით შემკულ ველ-მინდვრებს იქით, საიდანაც ხანდახან ოდნავ გასაგონად და ამიტომ გულისწამლებად აღწევდა მწყერების შორეული ქვითქვითი“, გვიყვარდა მძინარე სატრფოს სუნთქვაც, — „არ ვიცი, როგორ გადმოგცეთ ის გრძნობა, რა გრძნობითაც ვიცქირებოდი იქ, იმ ოთახში, სადაც ფიქრით ვხედავდი ფოთლების შარიშურში მძინარე ლიზას, ფოთლები ჟუჟუნა წვიმასავით ხმაურობდნენ გარეთ, ღია ფანჯრებთან, და მინდვრებიდან მონაბერი თბილი ქარი ნანასავით ჩაესმოდა ძილში, რომელზე უწმინდესი და უმშვენიერესი ქვეყნად არაფერი არ მეგონა“.

* * *

რაც მეტს ვკითხულობ ბუნინს, მით უფრო ნათელი ხდება, რომ ბუნინი თითქმის ამოუწურავი მწერალია.

ყოველ შემთხვევაში, ძალიან ბევრი დროა საჭირო, რათა ყველაფერი შევიცნოთ, რაც დაუწერია და, მიუხედავად ავტორის ელეგიურობისა, ჩავწვდეთ ბუნინის ბობოქარ, მოუსვენარ და მთის მდინარესავით დაუდგრომელ ცხოვრებას.

თავისი ცხოვრების ერთი ნაწილი ბუნინმა თვითონ მოგვითხრო („არსენიევსა“ და იმ მოთხრობებში, თითქმის ყველა მეტნაკლებად მწერლის ბიოგრაფიასთან რომ არის დაკავშირებული), ნაწილი ცოლმა გვიამბო — ვერა ნიკოლოზის ასულმა მურომცევა-ბუნინამ, რომელმაც 1958 წელს პარიზში გამოსცა ფრიად საგულისხმო წიგნი „ცხოვრება ბუნინისა“.

მთელი თავისი სიცოცხლე ბუნინმა ხეტიალსა და შემოქმედებას მოანდომა.

ბუნინი თავგამოდებული, პატიოსანი შემოქმედი იყო. თავის „სოფელში“ მან ერთ-ერთმა პირველმა გამოაცალა ნიადაგი იმ დაშაქრულ მითს, შინიდან გარეთ გამოუსვლელმა ხალხოსნებმა რომ შეთხზეს რუს გლეხზე, როგორც ღვთითშემოსილზე.

გარდა ბრწყინვალე, სავსებით კლასიკური მოთხრობებისა, ბუნინს აქვს უზადო სურათოვნებით, იშვიათი დაკვირვების უნარითა და შორეული ქვეყნების განცდით აღბეჭდილი ნარკვევები იუდეაზე, მცირე აზიაზე, თურქეთზე, საბერძნეთსა და ეგვიპტეზე.

ბუნინი გამორჩეული პოეტია, თუ შეიძლება ასე ითქვას, წმინდა „კასტალიური“ სკოლისა.

მისი ლექსები დღემდე შეუფასებელია. გამომსახველობისა და ძნელად შესამჩნევი, ხელჩაუკიდებელი ამბებისა თუ საგნების გადმოცემის მხრივ ამ ლექსებში ბევრი ჭეშმარიტი შედევრია.

ბუნინი მთელი სიცოცხლე ბედნიერებას ელოდა, დაეძებდა, ადამიანის ბედნიერებაზე წერდა. მან ამ ბედნიერებას თავის პოეზიასა და პროზაში, სიცოცხლისა და სამშობლო ქვეყნის ტრფიალში მიაგნო და დიდებულად თქვა, ბედნიერება მხოლოდ მცოდნეთა ხვედრიაო.

ბუნინმა რთული, ათასგვარი წინააღმდეგობებით სავსე ცხოვრების გზა განვლო. მან ბევრი რამ ნახა ქვეყნად, ბევრიც იცოდა, ბევრი რამ უყვარდა და სძულდა, ბევრს შრომობდა, არაერთხელ შემცდარა კიდეც, მაგრამ გული არასოდეს არ შესცვლია, გულში მუდამ გაუნელებლად ენთო სამშობლო ქვეყნის — რუსეთის უნაზესი და ალალი სიყვარულის ცეცხლი.

მომენატრება ყვავილები, გზები ნაჩვევი,
პაპანაქება, ცის ლაჟვარდი, ბედის ფერება...
დადგება ჟამი — და უძლებ შვილს მკითხავს
გამჩენი:
„რა ჰქენ, იგემე, შვილო ჩემო,
ბედნიერება?“

ნაცნობ ბილიკებს გავიხსენებ მგზავრი
გვიანი
და თავს წამართმევს უეცარი ფიქრის
მორევი.
სიტყვას ვერ დავძრავ, დავმუნჯდები
თვალცრემლიანი,
ძირს დავეცემი და მუხლებზე ვეამბორები.

## სამყაროს ხილვის ხელოვნება

მხატვრობა გვასწავლის ცქერასა და ხედვას (ეს ორი სხვადასხვა რამ არის და იშვიათად ემთხვევა ერთმანეთს). ამის წყალობით მხატვრობა ცოცხლად და ხელუხლებლად გვინარჩუნებს იმ გრძნობას, რითაც განირჩევიან ბავშვები.

ალექსანდრე ბლოკი

ადამიანი განცვიფრებული ჩერდება ისეთი რამის წინაშე, რასაც არავითარი როლის შესრულება არ ძალუძს კაცის ცხოვრებაში — ჩერდება ანარეკლთან, რომელსაც ხელით ვერ დაიჭერ, ფრიალო კლდესთან, რომელსაც ვერ მოხნავ, ვერც დათესავ, და ცის საკვირველი ფერის წინაშე.

ჯონ რასკინი

ქვეყნად ბევრი უცილობელი ჭეშმარიტებაა, მაგრამ ხშირად უქმად აწყვია და, ჩვენი სიზარმაცისა თუ უმეცრების გამო, არცერთი არ ახდენს რაიმე გავლენას ადამიანის საქმიანობაზე.

ერთ-ერთი ამგვარი ჭეშმარიტება ეხება მწერლურ ოსტატობას, მეტადრე პროზაიკოსთა მუშაობას. ამ ჭეშმარიტების არსი ის არის, რომ ხელოვნების ყველა მომიჯნავე დარგის — პოეზიის, მხატვრობის, ხუროთმოძღვრების, ქანდაკებისა და მუსიკის ცოდნა უჩვეულოდ ამდიდრებს პროზაიკოსის შინაგან სამყაროს, ნიშანდობლივ გამომსახველობას ანიჭებს მის პროზას, ავსებს მხატვრობის შუქითა და საღებავებით, პოეზიისათვის დამახასიათებელი სიტყვის ტევადობითა და ყუათით, ხუროთმოძღვრების თანაზომიერებით, ქანდაკების ხაზის გამოკვეთილობითა და სიცხადით, მუსიკის რიტმითა და მელოდიურობით.

ეს ყველაფერი დამატებითი სიმდიდრეა, თითქოს შემავსებელი ფერებია პროზისა.

მე იმ მწერლებისა არა მწამს რა, ვისაც პოეზია და მხატვრულობა არ უყვარს, ისინი ანცოტა ზარმაცი და ამპარტავანი ხალხია, ანდა უმეცარნი არიან.

მწერალმა არ შეიძლება უგულებელყოს რაიმე, რაც თვალთახედვას უფართოებს, თუკი, რასაკვირველია, ოსტატია და არა ხელოსანი, თუ ფასეულობათა შემქმნელია და არა ობივატელი, ცხოვრებას ისევე ჯიუტად რომ სწოვს კეთილდღეობას, როგორც ამერიკულ საღეჭ რეზინს ღეჭავენ.

ხშირად ხდება, რომ მოთხრობისა თუ საკმაოდ მოზრდილი რომანის წაკითხვის შემდეგ არაფერი არ გამახსოვრდება, გარდა უსიცოცხლო ადამიანების ზედახორისა. წვალობ, გინდა როგორმე თვალი შეავლო ამ ადამიანებს, მაგრამ ვერა ხედავ, ვინაიდან მწერალს არცერთისთვის სული არ ჩაუდგამს.

და მოქმედებაც ამ მოთხრობებისა თუ რომანებისა ვითარდება საღებავებსა და შუქს მოკლებულ რომელიღაც ცრიატ დღეს; ავტორი

საგნებს კი არა ხედავს, მხოლოდ ასახელებს და ამიტომ ის საგნები არც ჩვენთვის, მკითხველებისთვის, არის თვალადსაჩენი.

მიუხედავად თემის თანადროულობისა, უსუსურობის ბეჭედი აზის ყველა ამ თხზულებას, ხშირად ყალბი მხნეობით დაწერილს. ზოგიერთი ცდილობს სწორედ ყალბი, ცრუ მხნეობით შეცვალოს სიხარული, მეტადრე შრომის სიხარული.

მწერლის ემოციური სიყრუისა და უწიგნურობის გარდა, ნაწარმოების უგემურობის მიზეზი ისიც არის, რომ ავტორს არც თვალი უვარგა, თევზივით უსიცოცხლოდ იცქირება აქეთ-იქით.

ამისთანა მწერლის მოთხრობასა თუ რომანს მინდა მუშტი დავკრა და ჩავლეწო, როგორც ჩახუთული, მტვრიანი ოთახის დაგმანული ფანჯარა, რომ დამსხვრეული მინა წკრიალით დაცვივდეს და გარედან ერთბაშად შემოიჭრას ქარი, წვიმის შხაპუნი, ბავშვების ჟრიამული, ორთქლმავლების საყვირის ხმა, სველი ქვაფენილების ელვარება, შემოიჭრას თვითონ ცხოვრება შუქის, საღებავებისა და ხმაურის თვალად აღუფხული და მაინც მშვენიერი სიჭრელით.

ჩვენში ცოტა როდია წიგნები, თითქოსდა ბრმებს რომ დაუწერიათ. მაგრამ ისინი განკუთვნილია თვალხილულთათვის და სწორედ ეს არის ამგვარი წიგნების გამოცემის მთელი უაზრობა.

თვალი რომ აგეხილოს, აქეთ-იქით ცქერა როდი კმარა. საჭიროა დანახვა ისწავლო. ადამიანისა და ამ ქვეყნის კარგად დანახვა მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც ერთიც უყვარს და მეორეც. პროზის უფერულობა და ულიმღამობა ხშირად მწერლის გაყინული სისხლის შედეგია, კალმოსნის კვდომის მაუწყებელი ავი ნიშანია. მაგრამ ხანდახან უცოდინარობის ბრალიც არის, არცოდნა კი, როგორც იტყვიან, არცოდვაა და ამ საქმეს როგორმე მოევლება.

მხატვრებს შეუძლიათ გვასწავლონ, როგორ დავინახოთ, ანდა როგორ აღვიქვათ შუქი და საღებავი. ისინი ჩვენზე უკეთესად ხედავენ და დანახულის დამახსოვრებაც იციან.

მახსოვს, წერა სულ ახალი დაწყებული მქონდა, ერთმა ნაცნობმა მხატვარმა მითხრა:

— ჯერ მაინცდამაინც ნათლად ვერა ხედავთ, ჩემო კარგო. ბუნდოვანი და გაუჩვეველი თვალი გაქვთ. თქვენი მოთხრობების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მარტო ძირითად ფერებსა და მკვეთრად შეღებილ ზედაპირს ამჩნევთ, ხოლო იერი და ელფერი ერთმანეთში გერევათ, სურათი ერთფეროვანი გამოგიდით.

რა ვქნა, თვალს ხომ არ გამოვიცვლი-მეთქი, თავისმართლებით ვუპასუხე.

— გამოცვლა რა შუაშია! კარგ თვალს მონაგრება უნდა. არ იზარმაცოთ, წაიმუშავეთ მხედველობაზე. როგორც იტყვიან, თვალაცქვეტით ყოფნაა საჭირო. სცადეთ და ერთი-ორი თვე ყველაფერს ისე უცქირეთ, ვითომ ფერმწერალი ხართ და, რასაც ხედავთ, აუცილებლად უნდა დახატოთ. ტრამვაიში იქნება თუ ავტობუსში, ყველგან ამ თვალით უყურეთ ადამიანებს. დიდი დრო არ უნდა, ორ-სამ დღეში დარწმუნდებით, რომ ადრე იმის მეათედიც არ დაგინახავთ, რაც იმათ ახლა შეამჩნიეთ სახეზე. ორ თვეში კი უკვე თვალგაწაფული იქნებით, აღარაფრის დანახვა არ გაგიჭირდებათ.

დავუჯერე მხატვარს, და ყოველი ადამიანი თუ საგანი მართლაც უფრო საინტერესო მეჩვენა, ვიდრე წინათ, როცა უყურადღებოდ და ზერელედ ვუცქეროდი.

ცოტა არ იყოს, სინანულმა შემიპყრო — ვაი, რა ბრიყვი ვყოფილვარ, რა ოქროსავით დრო დამიკარგავს-მეთქი. ვინ მოთვლის, რამდენი შესანიშნავი რამის დანახვა შემეძლო იმ დაკარგული წლების მანძილზე! მაგრამ ჩავლილსა და გავლილს რაღა ეშველება!

ეს იყო პირველი გაკვეთილი, მხატვარმა რომ მომცა. მეორე გაკვეთილი უფრო თვალსაჩინო იყო.

ერთხელ შემოდგომით მოსკოვიდან ლენინგრადს მივდიოდი, მაგრამ კალინინისა და ბოლოგოეს გავლით კი არა, საველოვის რკინიგზის სადგურიდან — კალიაზინისა და ხვოინაიას გავლით.

ბევრ მოსკოველსა და ლენინგრადელს აზრადაც არ მოსდის ამ გზის არსებობა. მართალია, ცოტა შორია, მაგრამ უფრო საინტერესოა, ვიდრე ბოლოგოეზე გამავალი ნაჩვევი გზა. საინტერესო კი იმით არის, რომ სულ უდაბურ და ტყიან ადგილებში გადის.

გზად ერთი ტანმორჩილი, მოჯაჯული კაცი ამემგზავრა. იმ კაცს ზეთის საღებავებით სავსე კარგა მოზრდილი ყუთი და დაგრუნტული ტილოს გრაგნილები მოჰქონდა. შევხედე თუ არა, მივხვდი, მხატვარი იყო.

მალე გამოველაპარაკეთ კიდეც ერთმანეთს. მხატვარმა გული გადამიშალა, ქალაქ ტიხვინის ახლოს მივდივარო, მითხრა, იქ ერთი ნაცნობი მეტყევე მყავს, ჩავალ, მივიხედ-მოვიხედავ, შემოდგომის სურათებს დავხატავო.

ეგრე შორს რატომ მიდიხართ-მეთქი, ვკითხე.

— იქ ერთი ადგილი მაქვს ამორჩეული, — გამენდო მხატვარი და საოცრად პატარა, მაგრამ ცოცხალ თვალებში სხივი ჩაუდგა. — ადგილიც არის და ადგილიც! იმნაირს ვერსად ვერ იპოვნი. თავანკარა ვერხვნარია! დიდი-დიდი თითო-ოროლა ნაძვი ერიოს. შემოდგომით ვერხვისთანა ლამაზი, ტყუილია, არცერთი ხე არ არის. მერე როგორი ხალასი ფოთოლი აქვს! ფერებს ხომ ნუღარ იტყვით! მარტო მეწამული, ნარინჯისფე-

რი და სოსანი კი არა, ოქროსფრად დაწინწკლული შავი ფოთოლიც ასხია. მზეში მართლაც ჭიაკოკონასავით ბურბურებს. ჩავალ, ზამთრის პირამდე წავიმუშავებ, ზამთარში კი ფინეთის ყურეს მივაშურებ, ლენინგრადს იქით. მთელ რუსეთში ყველაზე საუკეთესო რთვილი იქ იცის. სხვაგან არსად იმისთანა რთვილი არ მინახავს.

მაგ ცოდნის პატრონს შეუძლია ერთი კარგი მეგზური შეუდგინოს მხატვრებს, სად რა დახატონ-მეთქი, ხუმრობის კილოთი ვუთხარი, წყენინება არ მინდოდა.

— აბა, რა გგონიათ! — სერიოზულად მიპასუხა მხატვარმა. — შედგენა ადვილია, მაგრამ აზრი არა აქვს. ყველა ერთ ადგილს მიაწყდება, ახლა კი თვითეული ცალ-ცალკე ეძებს სილამაზეს. რა შედარებაა, ასე უკეთესია.

— ვითომ რატომ?

— ქვეყანა უფრო მრავალფეროვნად იხატება. რუსულ მიწა-წყალზე იმდენი სილამაზეა, ყველა მხატვარს ეყოფა ათას წელიწადს. მაგრამ იცით რა, — გულისტკივილით დაუმატა მან, — ადამიანმა მიწას რაღაც ძალიან დაუწყო აოხრება და გაპარტახება. მიწის სილამაზე კი, მოგეხსენებათ, წმიდათა წმიდა რამ არის, ნამდვილად დიდი ძალაა ჩვენს სოციალურ ცხოვრებაში. ჩვენი ერთ-ერთი საბოლოო მიზანიც აკი ქვეყნის სილამაზეა. თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე ღრმად მჯერა, სწორედ ასეა. აბა, ის რა წინ წასული ადამიანია, ვისაც ამის გაგება და შესმენა არა აქვს!

ღლისით თვალის წასატყუებლად წამოვწექი, მაგრამ ჩემმა მეზობელმა მალე სულ დამიფრთხო ძილი.

— ნუ გამიჯავრდებით, — მორიდებულად მეუბნებოდა მხატვარი, — გაიღვიძეთ, რა დროს ძილია. გარეთ საოცარი სურათი იშლება. გაიხედეთ, სექტემბრის ჭექა-ქუხილს სხვა ეშხი აქვს.

ფანჯრიდან რომ გავიხედე, სამხრეთიდან უზარმაზარი ღრუბელი მძიმედ მიიწევდა მაღლა, ნახევარი ცის ოდენა იყო, ელვის შუქი გარდიგარდმო სერავდა.

— ღმერთო ჩემო! — შესძახა მხატვარმა.— რა საღებავებია! ლევიტანიც რომ იყო, ამნაირ განათებას მაინც ვერ აღბეჭდავ ტილოზე.

რა განათებაზე ლაპარაკობთ-მეთქი, დაბნეულმა ვკითხე.

— ღმერთმანი, გადამრევთ! — სასოწარკვეთით თქვა მხატვარმა. — მანდეთ სად იცქირებით! ტყისკენ გაიხედეთ, რა დღეშია, ღრუბლის ჩრდილმა ერთიანად ჩაქუფრა, ჩააყრუა. აი ცოტა მოშორებით კი ყვითელი და მომწვანო ლაქები ატყვია მკრთალად: ეგ ღრუბელს ამოფარებული მზის ბრალია, მიმტკნარებულმა შუქმა იცის. შორს, ხომ ხედავთ, მთლად მზეში ღაღადებს, ბაჯაღლო ოქროსფერია. თანაც შიგ თვალი ატანს, იტყვი, მოხატული ოქროს კედელიაო. ანდა ცის ტატნობზე გაშლილი მანდილი გეგონება, ჩვენი ტიხვინელი ოსტატი ქალების მოქარგული. ახლა ცოტა უფრო აქეთ დააცქერდით, ნაძვების ზოლს გახედეთ. აი ხედავთ, ბრინჯაოსფრად ანთია წიწვი? ეგ ტყის ოქროს კედლის შუქია. ის აბდღვრიალებს ნაძვებს. ძნელია ტილოზე მაგის გადატანა, არეკლილი შუქია და მხატვრის ხელში ადვილად უხეშდება. აგერ იქით, ხომ ხედავთ, უკვე ოდნავღა ციალებს. ძალიან მარჯვე და დამდგარი ხელი თუ არა, ტყუილია, მაგ ციალს ვერ გადმოსცემს.

მხატვარმა შემომხედა და გაიცინა.

— მაინც ამისთანა რა ძალა აქვს შემოდგომის ტყეებისაგან არეკლილ შუქს! მთელი კუპე გაკაშკაშებულია. თქვენც ნათელი გადგათ სახეზე. აი ეგრევე უნდა დაგხატოს კაცმა. მაგრამ, სამწუხაროდ, წუთიერი ამბავია. ხელად გაივლის.

მხატვრის საქმე სწორედ ის არის, რომ წუთიერი რამ სამუდამოდ შეაჩეროს-მეთქი, ვუთხარი.

— ვცდილობთ, — მიპასუხა მხატვარმა, — თუ ამ წუთიერმა უცაბედად არ მოგვისწრო, როგორც ახლა. ისე კი, კაცმა რომ თქვას, მხატვარს მუდამ თან უნდა ჰქონდეს საღებავებიც, ტილოც და ფუნჯიც. თქვენ რა გიჭირთ, მწერლებს. ამ საღებავებს მეხსიერებით ატარებთ. აბა, შეხედეთ, რა სწრაფად იცვლება ყველაფერი. ტყეში ხან შუქი დგება, ხან კუმეტი.

საავდრო ღრუბლის წინ ნაფლეთ-ნაფლეთად ქცეული სხვა ღრუბლები დაიძრნენ ჩვენკენ და გიჟური ქროლა-სრბოლით მართლაც სულ აროვდარიეს საღებავები დედამიწაზე. შორს, ტყეების მხარეს, ნელ-ნელა ჩამოდგა ძოწეულის, ბაჯაღლოსა და ვერცხლის, მალაქიტის, ჭიაფერისა და ლურჯი მწუხრის ნარევი.

ხანდახან ღრუბლიდან შიგადაშიგ მზის სხივი დაეცემოდა ხოლმე არყის ხეებს და ისინიც ოქროს ჩირაღდნებივით ენთებოდნენ ერთიმეორის მიყოლებით, მაგრამ მაშინვე ქრებოდნენ. ველრის მაუწყებელი ქარი ზუზუნით აწყდებოდა არე-მარეს და კიდევ უფრო ურევდა ისედაც არეულ-დარეულ საღებავებს.

— ცას შეხედეთ ერთი, ცას! — შეჰყვირა მხატვარმა. — რასა შვრება ეგ დალოცვილი!

საავდრო ღრუბელი ნაცრისფრად ხრჩოლავდა და სწრაფად ეშვებოდა მიწისაკენ. ერთიანად ასპიდისფერი იყო. მაგრამ ელვა ცას რომ დახანჯლავდა, ღრუბელში წამით აჩენდა მოქარვისფრო ავბედით ქარებს, ლურჯ მღვიმეებსა და დაკლაკნილ ნაბზარებს, შიგნიდან ვარდისფერი მღვრიე ცეცხლით განათებულს.

ელვის თვალისმომჭრელ შუქს ღრუბლის სიღრმეში სპილენძისფერი ალის ნათება სცვლი-

და. ხოლო ღრუბელსა და ტყეებს შუა კოკისპირული წვიმის ზოლებს უკვე დაესერათ ჰაერი.

— როგორია! — გაიძახოდა ეშხში შესული მხატვარი, — ეგრეთ რამეს იშვიათად თუ ნახავს კაცი!

ორივენი აქეთ-იქით დავრბოდით. ხან კუპეში ვიდექით ღია ფანჯარასთან, ხან დერეფანში. სახეში ქარი გვცემდა. ფარდების რხევა კიდევ უფრო აძლიერებდა შუქის ციმციმს.

მალე კოკისპირულად დაუშვა. ვაგონის გამყოლმა ჩქარა-ჩქარა ასწია ფანჯრები. წვიმის წყალი წურწურით ჩამოდიოდა მინებზე. თანდათან ჩამობნელდა, ჩაიშრიტა შუქი, და მხოლოდ სადღაც, დასაკარგავში, ზედ ცის დასალიერთან, ჯერ კიდევ კრთოდა წვიმაში ტყის უკანასკნელი მოყვითლული ზოლი.

— დაგამახსოვრდათ რამე? — მკითხა მხატვარმა.

— ძალიან ცოტა.

— მეც მხოლოდ ზოგიერთი რამ დავიხსომე, — გულნაკლულად წარმოთქვა მან. —წვიმა რომ გადაიღებს, საღებავი უფრო გამკვრივდება. მზე ათამაშდება სველ ფოთლებსა და ტოტებზე. სხვათა შორის, ღრუბლიან ამინდში წვიმის წინ აუცილებლად დააკვირდით შუქს. წვიმამდე შუქი სხვაა, წვიმაში სულ სხვა, ხოლო წვიმის მერე სრულიად განსაკუთრებულია — სველი ფოთლებისაგან ჰაერი ოდნავ ბრწყინავს, ციაგმკრთალია და თბილი. საერთოდ, საღებავებისა და შუქის შესწავლა ნეტარებაა, გენაცვალე. მართალი რომ გითხრათ, მხატვრობას არაფერზე არ გავცვლი.

ღამით მხატვარი ერთ პატარა სადგურში ჩავიდა. გვიან იყო, მაგრამ გმოსამშვიდობებლად მაინც გავედი ბაქანზე. სადგურის შენობასთან ნავთის ფარანი ენთო. წინ მძიმედ ქშინავდა ორთქლმავალი .

რა ბედნიერი კაცია-მეთქი, შევნატროდი მხატვარს, და უცებ ყველაფერზე ბრაზი მომივიდა, რის გულისთვისაც კიდევ უნდა განმეგრძო გზა და არ შემეძლო თუნდაც რამდენიმე დღით დავრჩენილიყავი ჩრდილოეთში. აქ ჩვეულებრივი მანანის თვითეული ტოტი ალბათ იმდენ ფიქრს აღმიძრავდა, რომ ერთს კი არა, ას პოემას დავწერდი პროზად.

ახლა მეტადრე ის მწყინდა, რომ ცხოვრებაში, როგორც ბევრი სხვა, არც მე ვუგდებდი ყურს გულის კარნახს და მხოლოდ გადაუდებელ საქმეებს ვიყავი გადაყოლილი.

საღებავებსა და შუქს ბუნებაში იმდენად დაკვირვება არ უნდა, რამდენადაც განცდა. ხელოვნებისათვის მხოლოდ ის მასალაა გამოსადეგი, გულში მკვიდრად რომ დაუდვია ბინა.

პროზაიკოსისათვის ფერწერა მარტო იმით კი არ არის მნიშვნელოვანი, რომ საღებავებისა და შუქის დანახვასა და სიყვარულში შველის. ფერწერა მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მხატვარი ხშირად ისეთ რამეს ამჩნევს, რასაც ჩვენ სრულებით ვერა ვხედავთ. მხოლოდ მხატვრის სურათის ნახვის შემდეგ აგვეხილება ხოლმე თვალი და გვიკვირს, რატომ აქამდე ვერ შევნიშნეთო.

ფრანგი მხატვარი მონე ლონდონში ჩავიდა და ერთ-ერთ ჩვეულებრივად ნისლიან დღეს ვესტმინტერის სააბატო დახატა. მონეს სურათზე მეწამულ ნისლში ძლივს მოჩანს სააბატოს გოტიკური მოხაზულობა. სურათი უაღრესი ოსტატობით არის შესრულებული.

როცა გამოფინეს, სურათმა, ცოტა რ იყოს, შეაფიქრიანა ლონდონელები. ისინი გაოცებას იყვნენ, ნისლი ნაცრისფერი ვიცით, მეწამული სად გაგონილაო.

მონეს სითამამე ლონდონელებმა კადნიერებად მიიჩნიეს და თავდაპირველად აღშფოთდნენ. მაგრამ გარეთ რომ გავიდნენ და ნისლს დააკვირდნენ, პირკატა ეცათ — ნისლი მართლაც მეწამული ფერისა იყო.

ყველა თავისებურად ხსნიდა ამ მოვლენას, ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას. ბოლოს შეთანხმდნენ, სულ ბოლის ბრალია, ნისლს რომ წითელი ელფერი დაჰკრავსო. თუმცა, აგურის სახლებსაც აბრალებდნენ — ნისლს მეწამულ ფერს აგურიც აძლევსო.

მაგრამ, ასე იყო თუ ისე, მონემ გაიმარჯვა. იმ სურათის ნახვის შემდეგ ლონდონის ნისლს ყველა ისეთს ხედავდა, როგორიც მხატვარმა დაინახა, მონეს „ლონდონის ნისლის შემქმნელსაც“ კი უწოდეს.

რაღა შორს მივდივარ, ჩემსას ვიტყვი—მთელი მრავალფეროვნება რუსული უამინდობის საღებავებისა პირველად ლევიტანის სურათმა „სამუდამო განსასვენებელმა“ დამანახვა.

მანამდე უამინდობას ჩემს თვალში ერთი უსიცოცხლო, ნაღველის მომგვრელი ფერი ახლდა. უამინდობა, ჩემი ფიქრით, სწორედ იმიტომ ანაღვლიანებდა ადამიანს, რომ ნთქავდა საღებავებს და ბინდისფერ საბურველში ხვევდა დედამიწას.

მაგრამ ლევიტანმა ბუნების ამ მჭმუნვარებაში თვალი შეასწრო სიდიადის ერთნაირ ელფერს, რაღაც სიხარულის მომგვრელ სხივს, და ბევრი ხალასი ფერი მოიძია. იმ დღიდან უამინდობა გულს აღარ მიმძიმებდა. პირიქით, შემიყვარდა კიდეც. შემიყვარდა სუფთა ჰაერის, ლოყების ამწველი სუსხის, მდინარეების კალისფერი ჭაულისა და მძიმედ დაძრული ღრუბლების გამო. თან კიდევ იმიტომ, რომ უამინდობაში მეტად ვაფასებთ ყოველგვარ უბრალო მიწიერ სიკეთეს — თბილ ქოხს, საყვარლად აგიზგიზებულ რუსულ ღუმელს, სამოვრის შიშინს, ღამით იატაკზე ლოგინის მაგივრად გაშლილ ფარდაგ-

გადაფარებულ თივას, ძილის მომგვრელად აზმაურებულ წვიმასა და ტკბილად თვლემას.

თითქოს ყოველი მხატვარი, რომელ დროსა და რომელ სკოლასაც არ უნდა ეკუთვნოდეს, ახალი კუთხით აჩენს სინამდვილეს.

მე ბედნიერება მქონდა რამდენჯერმე მენახა დრეზდენის გალერეა.

გარდა რაფაელის „სიქსტეს მადონასი“, იქ ძველი ოსტატების ბევრი სურათია, რომელთა წინაშე გაჩერება პირდაპირ საშიშია. ისინი თითქოს ერთ ადგილას გაქვავებენ, აღარ გიშვებენ. ამ სურათებს შეიძლება უცქირო საათობით, დღედაღამ. და რაც უფრო დიდხანს უცქერი, მით უფრო მეტი გაურკვეველი სულიერი მღელვარება გიპყრობს. თანდათან იმ ზომამდე მიდიხარ, რომ ძლივსღა იმაგრებ ცრემლებს.

რა არის მიზეზი ამ დაუღვრელი ცრემლებისა? რა არის და—ამ ფერწერულ ტილოებს მადლი სცხიათ სრულქმნილი სულისა და ნიჭის ძალმოსილებისა, რაც გვაიძულებს ვესწრაფოდეთ საკუთარი ზრახვების სიწმინდეს, ღონიერებასა და კეთილშობილებას.

მშვენიერებას რომ ვუმზერთ, სუნთქვა გვეკვრის, ვღელავთ და ის ღელვა წინ უძღვის ჩვენს შინაგან განწმენდას. თითქოს, რაც წვიმებს, ქარებს, აყვავებული მიწის სუნთქვას, შუაღამის ცასა და სიყვარულით დაღვრილ ცრემლებს მადლი აქვს, ჩვენს დავალებულ გულში ისადგურებს და სამუდამოდ გვეუფლება.

იმპრესიონისტებმა თავიანთ ტილოებს თითქოსდა მზის სინათლე მოჰფინეს. ისინი ღია ცისქვეშ ხატავდნენ და ხანდახან ალბათ განგებ აძლიერებდნენ საღებავებს. ამიტომაც არის, რომ დედამიწა იმპრესიონისტულ სურათებზე რაღაც საზეიმოდ აფერადებული გამოიყურება.

დედამიწას სადღესასწაულო იერი დაედო, მაგრამ ამით იმპრესიონისტ მხატვრებს არაფერი არ შეუცოდავთ. რაც ადამიანს თუნდაც მცირეოდენ სიხარულს მატებს, იქ ცოდვის ძებნა აღარ უნდა დავიწყოთ.

როგორც წარსულის მთელი დანარჩენი მდიდარი მემკვიდრეობა, იმპრესიონიზმიც ჩვენი კუთვნილებაა. ამ მემკვიდრეობაზე უარის თქმა ნიშნავს, რომ შეგნებულად შევიზღუდოთ თავი. აბა, როდის უარვყოფთ რაფაელის „სიქსტეს მადონას“, თუმცა ეს გენიალური სურათი რელიგიურ თემაზეა შექმნილი. რით არიან ჩვენთვის საშიშარნი სიახლის მოთავე პიკასო, იმპრესიონისტები—მატისი, ვან-გოგი ან გოგენი? ის გოგენი, რომელმაც ტაიტელების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა გაუმართა საფრანგეთის კოლონიურ ხელისუფალთ.

რა არის საშიში ანდა ცუდი ამ მხატვართა შემოქმედებაში? რომელ მოშურნე ან სხვათა ფეხის ხმას აყოლილ ადამიანს შეიძლება მოუვიდეს აზრი, რომ საკაცობრიო და, კერძოდ, რუსული კულტურიდან აუცილებლად უნდა ამოიშალოს მთელი წყება ბრწყინვალე მხატვრებისა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატარებელში მხატვარს რომ შევხვდი, იმის მერე ლენინგრადს ჩავედი. კვლავ გადამეშალა თვალწინ „პეტრეს ქმნილების“ მოედნებისა და გეგმაზომიერი შენობების წარმტაცი ანსამბლები.

ყველაფერს გულდაგულ ვაკვირდებოდი, ვცდილობდი ამომეცნო ამ შენობათა არქიტექტურული საიდუმლოება—ისინი ერთნაირად სიდიადის შთაბეჭდილებას ახდენდნენ, ნამდვილად კი არცერთი არ იყო მაინცდამაინც დიდი. ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი ნაგებობა —მთავარი შტაბის შენობა, ზამთრის სასახლის პირდაპირ კოხტად რომ მორკალულა, ოთხსართულიან სახლზე მაღალი როდია. თუმცა უფრო დიდებული ჩანს, ვიდრე მოსკოვის რომელიც გნებავთ მრავალსართულიანი სახლი.

საიდუმლოება იოლი ამოსაცნობი გამოდგა. შენობათა დიდებულ იერს განსაზღვრავდა თანაზომიერება, მწყობრი თანაფარდობა და სამკაულების—ფანჯრის თამასების, კარტუშებისა და ბარელიეფების სიმცირე.

როცა ამ შენობებს აკვირდები, გასაგები ხდება, რომ კარგი გემოვნება უწინარეს ყოვლისა ზომიერების გრძნობაა.

დარწმუნებული ვარ — ცალკეულ ნაწილებს შორის თანაზომიერების ამავე კანონებს, კანონებს სისადავისას, რომლის დროსაც ყოველი ხაზი ჩანს და ჭეშმარიტად სიტკბოებას გვანიჭებს, რაღაც საერთო აქვთ პროზასთანაც.

მწერალს სრულქმნილი კლასიკური არქიტექტურული ფორმები თუ უყვარს, თავის პროზაში ტლანქ და მოუქნელ კომპოზიციას ვერ აიტანს. ის შეეცდება მიაღწიოს ნაწილების თანაზომიერებას და სიტყვიერი სურათის დახვეწილობას. აუცილებლად აარიდებს თავს პროზის დამშაქრავ ზედმეტ სამკაულებს — ეგრეთწოდებულ მოჩუქურთმებულ სტილს.

პროზაული ქმნილების კომპოზიციამ იმ მდგომარეობას უნდა მიაღწიოს, როცა ისე ვერაფერს ამოაკლებ და ვერც მიუმატებ, თუ არ დაარღვევ თხრობის აზრი დ კანონზომიერი დინება მოვლენებისა.

როგორც მუდამ მემართება ხოლმე ლენინგრადში ყოფნისას, ყველაზე მეტი დრო რუსულ მუზეუმსა და ერმიტაჟში დავყავი.

ერმიტაჟის დარბაზების ოქროცხებული მწუხრი წმიდათა წმიდად მეჩვენებოდა. ერმიტაჟში ისე შევდიოდი, როგორც კაცობრიული გენიის საგანძურში. ჯერ კიდევ სრულიად ჭაბუკმა იქ პირველად ვიგრძენი ბედნიერება, რომ ადამიანი ვიყავი. და მივხვდი, რაოდენ დიდი და კარგი შეიძლება იყოს ადამიანი.

პირველ ხანებში ადგილს ვერ ვპოულობდი

ჯარად მომდგარ მხატვართა შორის, აღარ ვიცოდი, რომელი ერთისთვის მეცქირა. საღებავების სიუხვე და ფერადოვნება თავბრუს მხვევდა და სულის მოსათქმელად იმ დარბაზში გავდიოდი, სადაც ქანდაკება იყო გამოფენილი.

იქ კარგა ხანს ვიჯექი ხოლმე. და რაც მეტს ვუცქეროდი უცნობ ელინელ მოქანდაკეთა ალალმებსა თუ კანოვას ოდნავ პირმცინარ ქალებს, მით უფრო აშკარად ვგრძნობდი, რომ მთელი ეს ნაქანდაკარი მშვენიერებისაკენ უხმობდა ადამიანს, როგორც კაცობრიობის ნანატრი განთიადის მაუწყებელი. მაშინ ყოველი ადამიანის გულს პოეზია დაეუფლება და სოციალური წყობა — ის წყობა, რომლისკენაც შრომის, ათასგვარი საზრუნავისა და სულიერი დაძაბულობის გზით მივდივართ, — დაეფუძნება სამართლიანობის სილამაზეს, გონების, გულის, ადამიანებს შორის ურთიერთდამოკიდებულებისა და ადამიანის სხეულის სილამაზეს.

ჩვენი გზა ოქროს საუკუნისკენ მიდის. ოქროს საუკუნე აუცილებლად დადგება. გულსატკენი მხოლოდ ის არის, რომ ჩვენ ვეღარ მოვესწრებით. მაგრამ თავი მაინც ბედნიერად უნდა ვიგრძნოთ, ვინაიდან იმ საუკუნის ქარი უკვე ჰქრის ჩვენს გარშემო და თანდათან ძლიერად აძგერებს ყოველი ჩვენგანის გულს.

ჰაინე ტყუილად როდი დადიოდა ლუვრში. ის საათობით იჯდა ხოლმე ვენერა მილოსელის ქანდაკების შორიახლო და ტიროდა.

ვიცი, მკითხავთ, რა ატირებდაო. რა და — შებღალული უმწიკვლობა ადამიანისა. და კიდევ ისიც უკლავდა გულს, რომ სრულყოფილობისაკენ მიმავალი გზა მძიმე და შორი იყო მისთვისაც, ჰაინესათვის, ვინც თავისი გონების შხამი და ნათელი მიწის შვილთ არგუნა. რასაკვირველია, ბოლმა ახრჩობდა, რომ ვერც ის მიაღწევდა იმ აღთქმულ მიწას, საითაც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე უხმობდა მოუსვენარი გული.

აი რა ძალა აქვს ქანდაკებას, რომლის შინაგანი ცეცხლი თუ არ ანათებს, ისე წარმოუდგენელია მოწინავე ხელოვნება, მეტადრე ჩვენი ქვეყნის ხელოვნება. უამცეცხლოდ წარმოუდგენელია სრულფასოვანი ღონიერი პროზაც.

ვიდრე იმას ვიტყოდე, რა გავლენას ახდენს პოეზია პროზაზე, მინდა რამდენიმე სიტყვით შევეხო მუსიკას, მით უმეტეს, რომ პოეზია და მუსიკა ხშირად განუყოფელია ერთმანეთისაგან.

ჩემს ამ მოკლე საუბარს მუსიკაზე მხოლოდ იმით შემოვფარგლავ, რასაც რიტმსა და პროზის მუსიკალობას ვეძახით.

ნამდვილ პროზას ყოველთვის აქვს თავისი რიტმი.

უწინარეს ყოვლისა პროზის რიტმი მოითხოვს სიტყვათა ისეთ განლაგებას, რომ მკითხველმა ჭაპანწყვეტით კი არა, ერთშაბად აღიქვას მთელი ფრაზა. სწორედ ამას ეუბნებოდა ჩეხოვი გორკის, როცა სწერდა, რომ „სიტყვა-კაზმული მწერლობა ერთბაშად, თვალის დახამხამებაში უნდა გაუჯდეს მკითხველს ცნობიერებაში".

ადამიანს თავის მტვრევა არ უნდა დასჭირდეს წიგნის კითხვისას, წარამარა არ უნდა ჩერდებოდეს, იქნებ როგორმე სული მოვითქვაო, ის ერთიანად უნდა გაიტაცოს სიტყვათა სწორმა მიმოქცევამ, პროზის ამა თუ იმ მონაკვეთის ხასიათს რომ შეესაბამება.

საერთოდ მწერალმა მუდმივად დაძაბული უნდა იყოლიოს მკითხველი, ხელჩაკიდებულს წინ უნდა გაუძღვეს და აარიდოს ბუნდოვან თუ არარიტმულ ადგილებს, თორემ ის აუცილებლად წაიბორძიკებს იმ ოღროჩოღრო ადგილებში და ხელიდან დაუსხლტება მწერალს.

ამ დაძაბულობაში, მკითხველის გულის დაპყრობაში უნდა ხედავდეს მწერალი თავის მიზანს. პროზაც სწორედ მაშინ არის პროზა, როცა მკითხველი ძალაუნებურად ავტორის საფიქრალს ფიქრობს და განიცდის.

პროზის რიტმულობას ხელოვნური გზით ვერასოდეს ვერ მიაღწევ. პროზის რიტმი დამოკიდებულია ნიჭზე, ენის გრძნობაზე, კარგ „მწერლურ სმენაზე", ამ კარგ სმენას რამდენადმე ნათესაური კავშირი აქვს მუსიკალურ სმენასთან.

მაგრამ პროზაიკოსის ენას ყველაზე მეტად პოეზიის ცოდნა ამდიდრებს.

პოეზიას ერთი საკვირველი თვისება აქვს. სიტყვას პირვანდელ მადლსა და უბიწობას უბრუნებს. ყველაზე ფერჩამქრალი, ჩვენ მიერ ათასჯერ „ნაღეჭი" სიტყვები, ხატოვანება პირწმინდად რომ დუკარგავთ და მხოლოდ სიტყვიერ ნაჭუჭად ქცეულან, პოეზიაში უცხოდ ბრწყინავენ, წკრიალებენ, სურნელს აფრქვევენ!

რითა ხსნით ამ ამბავსო, რომ მკითხოთ, ვერაფერს გიპასუხებთ. თუმცა, ჩემი ვარაუდით, სიტყვა ორ შემთხვევაში შეიძლება გაცოცხლდეს.

ჯერ ერთი, როცა დავუბრუნებთ თავის ფონეტიკურ (ბგერითს) ძალას. ეს კი გაცილებით ადვილია სასიმღერო პოეზიაში, ვინემ პროზაში. ამიტომ არის, რომ სიმღერისა თუ რომანსის სიტყვა უფრო ძლიერად მოქმედებს ჩვენზე, ვიდრე ჩვეულებრივი მეტყველებისას.

მეორეც, ლექსის მელოდიურ მუსიკალურ დინებაში მოქცეული სიტყვა, ერთგვარად ძალადაკარგულიც რომ იყოს, თითქოსდა იელვთება ამ ლექსის საერთო მელოდიით და დანარჩენ სიტყვებთან შეხმატკბილებულად იწყებს ჟღერას.

და, ბოლოს, პოეზია მდიდარია ალიტერაციით, რაც მისი ერთ-ერთი ძვირფასი თვისებაა.

ამ პოეტურ ხერხზე არც პროზაიკოსები ამბობენ უარს.

მაგრამ მთავარი ეს როდია.

მთავარი ის არის, რომ სრულქმნილი პროზა არსებითად უკვე ნამდვილი პოეზიაა.

ჩეხოვი ამბობდა, ლერმონტოვის „ტამანი“ და პუშკინის „კაპიტნის ქალიშვილი“ სიტყვამაღლიან რუსულ ლექსთან პროზის ნათესაობას ადასტურებენო.

„ვიცი, ვერასოდეს ვერ ჩავხვდები, — წერდა ლევ ტოლსტოი, — სადა დევს ზღვარი პროზასა და პოეზიას შუა“. ხოლო თავის „ახალგაზრდობის დღიურში“ უჩვეულო გულფიცხობით კითხულობდა:

„რატომ არის გადაჯაჭვული პოეზია პროზასთან, ბედნიერება უბედურებასთან? რა ქნას ცხოვრებაში კაცმა? თავისი მეცადინეობით პოეზია უცებ პროზასთან შეაერთოს თუ ჯერ ერთით დატკბეს, და მერმე მეორეს მიენდოს? ოცნებას აქვს ისეთი რამ, რაც სინამდვილეზე მაღლა დგას. სინამდვილეშიც არის ზოგი რამ, ოცნებაზე მაღლა რომ დგას. ერთსაც და მეორესაც თუ შევაერთებდით, სრული ბედნიერება იქნებოდა“.

ცოტა ნაუცბათევად ნათქვამ ამ სიტყვებში მართალი აზრია ჩადებული: მწერლობაში ყველაზე უებრო, საგულისხმო მოვლენა და ნამდვილი ბედნიერება მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს, პოეზია და პროზა ერთმანეთს ბუნებრივად თუ შეერწყმიან, ანდა, უფრო სწორად, პროზას პოეზიის მადლი და დამატყვევებელი ძალა თუ გამსჭვალავს.

ამ შემთხვევაში ოდნავაც არ მაშინებს სიტყვა „დამატყვევებელი“ (სხვანაირად თუ ვიტყვით — „ტყვედმქმნელი“). პოეზია ხომ მართლაც ტყვედ იგდებს, ატყვევებს და შეუმჩნევლად, მაგრამ მოურევნელი ძალით ამაღლებს ადამიანს, ამაღლებს და თანაც იმ მდგომარეობას უახლოებს, როცა ის ნამდვილად ხდება დამამშვენებელი მიწისა, ანუ, როგორც ჩვენი წინაპრები გულუბრყვილოდ, მაგრამ გულწრფელად ამბობდნენ, „გვირგვინი ბუნებისა“.

მგონი, მართალი იყო ვლადიმერ ოდოევსკი, რომელმაც თქვა, პოეზია კაცობრიობის იმ მდგომარეობის მაუწყებელია, როცა ადამიანს მისაღწევი აღარაფერი ექნება და მიღწეულის გამოყენებას დაიწყებსო.

## საბარგო მანქანის ძარაში

1941 წლის ივლისში დნესტრის რიბნიციდან სამხედრო საბარგო მანქანით ტირასპოლს მივდიოდი. სიტყვაძვირი მძღოლის გვერდით ვიჯექი კაბინაში.

მანქანის თვლებქვეშ მზით გახურებული მტვრის კორიანტელი ტრიალებდა. რაც რამ გარშემო ჩანდა — ქოხები, ლილიფარა, აკაციები და გამხმარი ბალახი — ყველაფერი ამ მტვრით იყო დაფარული.

ცა ცას არა ჰგავდა. მზე კი არ ანათებდა, ხრჩოლავდა. ალუმინის მათარაში წყალი გაცხელებულიყო და რეზინის სუნი ჰქონდა, დნესტრის გაღმა ზარბაზნების ხშირი სროლის ხმა ისმოდა.

მანქანის ძარაში რამდენიმე ახალგაზრდა ლეიტენანტი იჯდა. ისინი ხანდახან ბრახა-ბრუხს აუტეხებდნენ ხოლმე კაბინას და ყვიროდნენ, ჰაერში მტერიაო. მძღოლიც აჩერებდა მანქანას; საქმე გასწრებაზე იყო, ზოგი საით გავრბოდით, ზოგი საით და გზის შორიახლო ვწვებოდით. ყორნისფერი გერმანული თვითმფრინავები ავი ღმუილით აყრუებდნენ არე-მარეს, ზოგჯერ შეგვნიშნავდნენ ხოლმე და ტყვიამფრქვევს გვიშენდნენ. მაგრამ საბედნიეროდ, ზიანი არავის მოსვლია. ტყვიის წვიმა უცაბედად გადაიღებდა, თვითმფრინავები თვალს მიეფარებოდნენ, და მერე კარგა ხანს გვტანჯავდა სხეულში გამჯდარი სიმხურვალე გავარვარებული მიწისა. თავბრუდამხვევი ზრიალი და წყურვილი.

ერთხელ, მტრის თვითმფრინავებმა თავი რომ დაგვანებეს და ისევე მანქანაში ჩავსხედით, მძღოლმა უცებ მკითხა:

— რაზე ფიქრობთ ხოლმე, როცა მიწაზე ვწევართ და თავს ტყვია გვაწვიმს? ალბათ ათასი რამ გახსენდებათ, არა?

გახსენებით, იცოცხლე, მახსენდება-მეთქი, ვუპასუხე.

— მეც ეგრე ვარ, — ნაღვლიანად თქვა მძღოლმა, — სულ ჩვენს კოსტრომის ტყეებს დავტრიალებ. თუ ცოცხალი გადავრჩი, ჩავალ და ვთხოვ მეტყევედ გამიშვან. ცოლსაც თან წავიყვან — წყნარი ქალია, ლამაზი — და პატარა გოგოსაც, ბევრი არ გვინდა, ბუდრუგანაშიც კარგად ვიცხოვრებთ. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, როგორც კი ამაზე ვიფიქრებ, გული ფრიალს მიწყებს. ვიცი, მძღოლს გულის ფრიალი არ გამოადგება, მაგრამ რა ვქნა!

ეტყობა, ტყეებს ეგრე სცოდნიათ, მეც წარამარა თავს მახსენებენ-მეთქი, ვუთხარი.

— თქვენშიც კარგი ტყეებია? — მკითხა მძღოლმა.

უკეთესს ადამიანის თვალი ვერა ნახავს-მეთქი, ვუპასუხე.

მძღოლმა მწვანე ჯარისკაცული ქუდი შუბლზე

ჩამოიწია და გაზი ჩართო. სიტყვა არც ერთს აღარ დაგვიძრავს.

მართალი გითხრათ, არასოდეს ისე არ მომნატრებია საყვარელი ადგილების ნახვა, როგორც ომში. ძალიან ხშირად ვატყობდი ჩემს თავს, რომ მოუთმენლად ველოდი ხოლმე დაღამებას, როცა სადმე დამშრალ ხევში, საბარგო მანქანის ძარაში წამოწოლილს და ფარაჯაში გახვეულს, შემეძლო ოცნებით დავბრუნებოდი იმ ადგილებს, იქ სიარულით მომეოხებინა გული და ფიჭვნარის ჰაერის სუნთქვით გავმაძღარიყავი. „დღეს შავ ტბაზე წავალ, — ვიტყოდი გულში, — ხვალ კი, ცოცხალი თუ დავრჩი, მდინარე პრას ნაპირებს ან ტრებუტინოს მოვინახულებ“. და ამ წარმოსახული მგზავრობის წინათგრძნობით გული მეკუმშებოდა.

აი ასე ფარაჯაში გახვეული ვიწექი ერთხელ და ვცდილობდი გონების თვალით ზუსტად წარმომედგინა შავი ტბისკენ მიმავალი გზა. მეჩვენებოდა, რომ ჩემზე ბედნიერი ქვეყნად კაცი არ იქნებოდა, თუ ისევ ვნახავდი იმ ადგილებს და მივივლ-მოვივლიდი იქაურობას. მაშინ ალბათ დარდსაც დავივიწყებ და გულიც სხვანაირად ამიძგერდება-მეთქი, ვფიქრობდი.

ჩემს ამ ფიქრებსა და ოცნებებში ყოველთვის სადმე სოფლად ვიყავი, დილით ადრე გავდიოდი სახლიდან და ძველი ქოხმახების გასწვრივ ქვიშიან ქუჩას მივყვებოდი. ყოველი ფანჯრის რაფაზე კონსერვის თუნუქში ჩადგმული ცეცხლისფერი პატარძალა ჰყვაოდა. ამ ყვავილს იქაურები „ვანია მოკრის“ ეძახიან. ალბათ იმიტომ, რომ პატარძალას მსხვილ ღეროში მზეზე მწვანე წვენი ციმციმებს და შიგ ხანდახან ჰაერის ბუშტულებიც კი ჩანან.

ჰასთან, სადაც გახუნებული ჩითის კაბებით შემოსილი, ფეხშიშველა, ენაცქვიტი გოგოები მთელ დღეს ვედროებით ტრიალებენ, ორღობეში, ანუ, კუთხურად თუ ვიტყვით, შუკაში უნდა შეუხვიო. იმ ორღობეში, სულ ნაპირა ქოხში, ერთი მამალი ჰყავთ, უბრალო კი არა, სილამაზით განთქმული. ის მამალი ხშირად ზედ მზის გულზე დგას აცალფეხებული და ისე ღვივის, როგორც გინახავთ ნალვერდალი.

მამალს იქით აღარც ერთი სახლია, ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა მიიკლაკნება და ტყისკენ რკალივით უხვევს. რკინიგზის გაყოლებაზე სულ სხვა ყვავილი ხარობს, გარშემო კი სხვა ყვავილებია. არსად იმდენი ვარდკაჭაჭა არ მინახავს, რაც მზით გახურებულ იმ ვიწრო ლიანდაგებთან ვნახე.

რკინიგზის გადაღმა გაუვალი მესერივით მოჩანს ნორჩი ფიჭვნარი. გაუვალი მხოლოდ შორიდან გეჩვენება. გაღწევა თუ გინდა, გააღწევს კიდეც, მაგრამ ფიჭვის შიმალები, რასაკვირველია, ნემსებივით დაგჩხვლეტენ და თითებზე წებოსავით აგეკვრის ფისი.

ქვიშიან მიწას შიმალსა და შიმალს შუა გალიხებული გამხმარი ბალახი მოსდებია. ბალახს შუაში თეთრი ფერი დაჰკრავს, თვალად მუქი მწვანეა. შენ ბალახი უთხარი — ხელს დანასავით ბალთავს. აქ ხაოიანი ყვითელი ნეგო ყვავილიც ხარობს და წითლად დაწინწკლული თეთრი სურნელოვანი მიხაკიც ბლომად ამოსულა. ტანმორჩილ ფიჭვებქვეშ კი რძიანი მჭადასოკო ამოხუჩხუჩებულა. სოკოებს ფეხებზე ნაცრისფერი წმინდა ქვიშა აჰკვრიათ.

ნორჩ ფიჭვნარს იქით ხშირი წიწვიანი ტყეა. ტყის პირს ბალახგადავლილი გზა მიჰყვება.

აქ სულ სხვა ჰაერია, სუნთქვა აღარ გიჭირს. მართლა ერთ რამედ ღირს ქოხივით წამობურულ ფიჭვქვეშ გულაღმა წოლა, თხელ პერანგში მიწის სიგრილე რომ გატანს და ცას შესცქერი. მალე ალბათ ჩაგეძინება კიდეც — თეთრი, ქათქათა ღრუბლების ყურებაში ვერც გაიგებ, ისე მოგერევა რული.

არის ერთი კარგი რუსული სიტყვა «Истома».[1] ამ ბოლო დროს რატომღაც სულ დავივიწყეთ. მაგრამ ვერც ერთი სხვა სიტყვით უკეთესად ვერ განმარტავს კაცი, რა მოგვდის, რატომ მოვეშვებით ხოლმე და საძილედ რატომ გვიკვდება თავი, როცა დილით სადმე ჩამთბარ ტყეში ვწევარ და ღრუბლების დაუბოლოებელ ქარავანს ვუცქერით. ის ღრუბლები ლურჯ სიშორეში იბადებიან და მერე ღმერთმა უწყის საით უდევთ გზა-კვალი.

ამ წიწვიანი ტყის პირას წამოწოლილს ხშირად გამხსენებია ბრიუსოვის ლექსი:

ნეტავი ვიყო ქვეყნად ხიზანი
და ჭრელ მინდვრებში მქონდეს სავალი,
არ ფათურობდეს გულში მიზანი
აღარც წარსული, არც მომავალი.
სულ ბლუჯა-ბლუჯა ვკრიფო ყაყაჩო
და დავიმშვენო დაჭრილი მკერდი,
მერე სიკვდილმა სადმე დამახრჩოს,
აღარ ვისურვო აღდგომა მკვდრეთით.

მიუხედავად სიკვდილის ხსენებისა, ამ ლექსში იმდენი რამ იყო ჩაქსოვილი, რომ სხვა არა მინდოდა რა, ოღონდ სულ ტყის პირას ვწოლილიყავი და ცისკენ თვალაპყრობილს ჩემი გუნებისად მეფიქრა.

ბალახგადავლილი გზა ძველ ფიჭვნარზე გადის. დაბერძუღლებული ფიჭვნარი ჯერ კიდევ გამყინვარების ხანაში წამომეჭეჭავებულ გორაკებზეა შეფენილი. ისინი ზღვის ვეებერთელა ტალღებივით ენაცვლებიან ერთმანეთს. გორაკების წვერზე უამრავი კენკეშა ჰყვავის, დაბლობი ადგილები კი ერთიანად გვიმრას დაუფარავს.

1 მოთენთვა, მოდუნება, მოშვება.

გორაკებზე შეფენილ მზეჩამდგარ ტყეში თვალი შორს ატანს.

ეს ტყე ვიწრო ზოლად გადაჭიმულა (დიდი-დიდი, ორ კილომეტრზე), ტყის იქით კი ქვიშიანი ვაკე ადგილია და მუხლნაყარი ყანები კურდღლაობენ. მერე უკვე ულრანი ტყე იწყება.

ყანების თავზე საოცრად ფაშფაშა ღრუბლები დაცურავენ. ცა ოთხივ კუთხივ მოჩანს.

ყანებს ბირკამოდებული მიჯნები ჰყოფენ. სიარულით სწორედ მიჯნა-მიჯნა უნდა იარო. ზედ მიჯნებზე ალაგ-ალაგ იისფრად ღაღანებს დილხაში.

რაც ახლა გონების თვალით წარმოვიდგინე, მხოლოდ შესავალია ნამდვილი ტყეებისა. ამ ტყეებში ისე შედიხარ, გეგონება, უზარმაზარ მყუდრო ტაძარში შედიოდე. ჯერ ვიწრო ნაკაფს უნდა გაჰყვე კარგა მოზრდილი ტბორის გასწვრივ. ტბორს წყლის პერი მოსდებია, იტყვი, ღია მწვანე ხალიჩა გადაუფარებიათო. იქვე, შორიახლო თუ შეჩერდი და ყური მიუგდე, შეიძლება ხრაშუნის ხმაც გაიგონო — წყალქვეშ კარჩხანა ბალახობს.

მერე ერთი პატარა ნესტიანი არყნარი იწყება. ხეებზე ზურმუხტისფერი ხავერდივით ბზინავს ხავსი. ძირს ძველი ფოთოლი ყრია, ჩახურებული და სუნი აუშვია.

ყველაფერ ამას საბარგო მანქანის ძარაში წამოწოლილი ვფიქრობ. გვიანი ღამეა. რაზდელნაიას სადგურის მხრიდან აფეთქების ხმა ისმის, — ეტყობა, იქაურობას ბომბავენ. გრუხუნი რომ მინელდება ხოლმე, არემარეს ყრუ ჭრიჭინი ეფინება — ქვეყნის დაქცევის შიშით გულგახეთქილი ჭრიჭინები რიხიანად ველარ ჭრიჭინებენ. ცას იისფერი ვარსკვლავი სწყდება, ჭურვივით ეშვება ჩემკენ. თავს ვატყობ, რომ ძალაუნებურად ვუთვალთვალებ: ნეტავი როდის აფეთქდება-მეთქი. მაგრამ ვარსკვლავი არ ფეთქდება, უხმაუროდ ქრება ზედ დედამიწის პირზე. ვაგლახ, რა დიდი გზაა პატარა ნესტიან არყნარამდე, ნაცნობ დაბურულ ტყეებამდე! ახლა იქაც ღამეა, მაგრამ წყნარი, უშფოთველი, ვარსკვლავების შუქით გალაღლადებული. იქ დენთისა და ბენზინის სუნი კი არა, დამდგარი წყლისა და ღვიის სუნი ტრიალებს.

არყიან წარაფს იქით გზა უცაბედად ქვიშიან ფლატეზე ადის. ლიჭყიანი დაბლობი უკან რჩება, მაგრამ ნიავს ხანდახან აქაც მოაქვს, გაფიცხებულ ტყეში, იოდიანი ჰაერი იმ დაბლობი ადგილებისა.

სერზე ასულს რა გული გამიძლებს, თვალს წყალი არ დავალევინო. მე შენ გეტყვი, ცივშა მიწამ არ გამაციოს — ძირს ხმელი წიწვი კოჭზე ყრია. გინდ დაჯექი, გინდ წამოგორდი. რასაც არ უნდა შეახო ხელი, ყველაფერი თბილია.

პაპანაქებაა, მიწას ალმური ასდის. როგორც იტყვიან, ზაფხული აღარ ხუმრობს.

ჯირკვებზე პატარა წითელფრთიან ნემსიულაპიებს სძინავთ, ქოლგებივით გაშლილ ცისფერ ყვავილებზე კი კრაზანები სჭედენ.

ჩემი ხელით შედგენილ რუკას დავცქერი და ვამოწმებ ადგილმდებარეობას — შავ ტბამდე კიდევ რვა კილომეტრი დარჩა. ამ რუკაზე ყველა ნიშანია აღნუსხული — გზის პირას მდგარი ხმელი ფიჭვი, სამიჯნე ბოძი, ჭანჭყატიანი შამბნარი, ჭიანჭველების ბუდე, მერე ისევ დაბლობი ადგილი, სადაც მუდამ ჰყვავის კესანე, დაბლობს იქით კი ლიტაო ფიჭვი დგას, ზედ ამოჭრილია ასო „ტ“ — ნიშანი ტბის სიახლოვისა. ამ ფიჭვთან პირდაპირ ტყეში უნდა შეუხვიო და ფისით პირშეკრულ ნაჭდევებს გაჰყვე. ის ნაჭდევები 932 წლისდროინდელია.

ნაჭდევს ანუ ნაკოდს რომ იპოვნი, უსათუოდ შეჩერდები და ზედ შემხმარ ქარვას ხელით მოსინჯავ. ხანაც ააციცქნი ქვასავით გამაგრებულ ფისის წვეთს და ჩააცქერდები. შიგ მზის სხივი ციმციმებს ყვითლად.

ტბის შორიახლო ბალახმორეული ღრმა ხნარცვებია ატეხილ მურყნიანში. ეტყობა, ძველად აქ პატარ-პატარა ტბები ყოფილა.

მერე კვლავ აღმართია კენკრაშემხმარი ღვიით ღაფარული და, ბოლოს, უკანასკნელი ნიშანი — ფიჭვის ტოტზე გაფხოკილი ჩიჩლათანი ჰკიდია. ჩიჩლათანს ლილო მინდორი მოსდევს, იმას იქით კი ციცაბო ფლატეა.

ტყე თავდება. ქვევით ნაჭაობარი, ფშატარი ადგილია. ერთმანეთში არეულა არყი, ვერხვი და მურყანი.

აქ ცოტას კიდევ დავისვენებ. შუადღე უკვე კარგა ხნის გადასულია. ჰაერს უჩინარი ფუტკრის ნაყარივით გააქვს ზუზუნი. ნიავი რომ დაუბერავს ხოლმე, წვრილიანში ტალღასავით ლივლივებს მკრთალი შუქი.

სადღაც იქით, ორ კილომეტრზე, შამბნარში მიმალულა შავი ტბა — სამეფო დაბინდული წყლის, ბოჯოჯლა ხეებისა და ვეებერთელა ყვითელი დუმფარებისა.

ნაჭაობარზე ფრთხილად უნდა იარო: სქელ ხავსში ხმელი წვეტიანი ტოტებია ალაგ-ალაგ ამოჩრილი. ძალიან თუ არ მოერიდე, შეიძლება ფეხი გაიფუჭო.

წვრიმალაში დახუთული ჰაერია, შმორის სუნი ტრიალებს, ფეხქვეშ შავი ტორფიანი წყალი ჰყაპუნობს. ხეები თითქოს წაქცევის შიშით ირწევიან და ცახცახებენ. გულდაგულ უნდა იარო. ვითომ არც იცი, რომ ტორფისა და ნეშომპალას ქვეშ ღრმა წყალია, მიწისქვეშა ტბაა. როგორც ამბობენ, ამ ტბაში თურმე ნახშირივით შავი ქარიყლაპია იცის.

ტბის ნაპირი ცოტა მაღალზეა და შედარებით მშრალია. მაგრამ არც იქ შეიძლება დიდხანს ერთ ადგილას დგომა — ნაფეხურში აუცილებლად წყალი ჩადგება.

ტბაზე გავლა საღამო ჟამს უკეთესია, როცა

წყლისა და პირველი ვარსკვლავების უძალო კიაფი, ფერჩამქრალი ცის იალ-კიალი, და ხეთა უძრავი კენწეროები მდუმარებას ისეთნაირად ერთვიან, რომ ყველაფერი ამ მდუმარებით შობილი გეგონება.

ლოცონის პირას სულგანაბული ზიხარ, შენს ტკაცა-ტკუცს ყურს უგდებ და შენი გუნებისად ფიქრობ, რომ მართლა კარგი რამ არის ცხოვრება, ოღონდ შიშით არ უნდა უცქეროდე და გულღიად უნდა მიენდო...

აი ასე დავეხეტებოდი მოგონებებში ხან ტყეტყე, ხან ნევის სანაპიროებზე, ანდა პსკოვის ხირხატ გორაკებზე, სადაც ცისფრად ბიბინებდა ყვავილდასხმული სელი.

დავეხეტებოდი და თან გული მიტიროდა, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ყველაფერი სამუდამოდ დავკარგე და ვეღარც საყვარელ ადგილებს ვნახავდი ვერასოდეს. და ალბათ ამ გრძნობის ბრალი იყო, რომ ჩემს წარმოდგენაში ის ადგილები თანდათან უჩვეულო სილამაზეს იძენდნენ.

აბდენ ეშხს ნეტავი წინათ რატომ ვერ ვამჩნევდი-მეთქი, ვეკითხებოდი ჩემს თავს, და იმ წუთას ვხვდებოდი, რომ დანახვით, რასაკვირველია, ადრეც ვხედავდი და ვგრძნობდი ყოველივე ამას, მაგრამ მხოლოდ განშორების ჟამს მეჩვენა მშობლიური პეიზაჟი მთელი თავისი თვალწარმტაცი მშვენიერებით. [illegible] ბუნებას ისე უნდა შეეთვისო, როგორც თვითეული ბგერა, თუნდაც ყველაზე სუსტი, ეთვისება ერწყმის მუსიკის საერთო ჟღერას.

ბუნება მთელი თავისი ძალით მხოლოდ მაშინ იმოქმედებს ჩვენზე, როცა სულს ჩავუდგამთ, ჩვენს სისხლად და ხორცად გავიხდით, როცა ჩვენი სულიერი მდგომარეობა, ჩვენი სიყვარული, სიხარული თუ ნაღველი ბუნებისად იქცევა და ერთმანეთისაგან უკვე ვეღარ განვასხვავებთ სისხამი დილის ნათელსა და საყვარელი თვალების შუქს, ტყის შრიალსა და განვლილ ცხოვრებაზე ფიქრს.

პეიზაჟი არც დანამატია პროზისა და არც სამკაულია. პეიზაჟს გულში უნდა ჩახედო, თუ გინდა რომ იგრძნო დაცვარული ფოთლის სიგრილეც, სუნიც და სუნთქვაც.

ერთი სიტყვით, ბუნება უნდა გიყვარდეს, და ეს ტრფიალი ბუნებისა, როგორც ყოველი სიყვარული, თვითონ იპოვნის მართალ გზებს, თავისი თავის რაც შეიძლება მეტი ძალით გამოსახატავად.

თარგმანი **გურამ გოგიაშვილისა.**

**100 ვ.ი.ლენინი 100**

გაბრიელ მეგრელიშვილი

# ვ. ი. ლენინი და თანამედროვე იმპერიალისტური მილიტარიზმი

მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიოსმა მასწავლებელმა, ბელადმა და თეორეტიკოსმა ვ. ი. ლენინმა, რომელმაც ახალ ისტორიულ პირობებში განავითარა პროლეტარული მსოფლმხედველობა, შეიმუშავა მეცნიერული თეორია იმპერიალიზმის არსისა და მისი განვითარების კანონზომიერებათა შესახებ, ამავე დროს, დაეყრდნო რა მარქსისა და ენგელსის დიად მეცნიერულ მემკვიდრეობას, გვიჩვენა ის თავისებურებანი, რომელიც ახასიათებს მილიტარიზმის განვითარებას იმპერიალიზმის, პირობებში. თანამედროვე იმპერიალისტური მილიტარიზმის არსში შეიძლება გავერკვეთ, გამოვიცნოთ მისი განვითარების ტენდენციები და სოციალ-პოლიტიკური შედეგები მხოლოდ ლენინური მემკვიდრეობის ღრმა ათვისების საფუძველზე.

წინააღმდეგობებში გახლართული თანამედროვე კაპიტალიზმი უღრმეს კრიზისს განიცდის, იგი დიდი ხანია, როგორც ეს აღნიშნულია სკპ პროგრამაში, „თავისი მზის ჩასვენებისა და დაღუპვის პერიოდში შევიდა. გახრწნის გარდაუვალი პროცესი მოედო კაპიტალიზმს საფუძვლიდან მწვერვალამდე: მის ეკონომიურ და სახელმწიფოებრივ წყობილებას, პოლიტიკასა და იდეოლოგიას“[1].

თანამედროვე კაპიტალიზმის — იმპერიალიზმის გახრწნისა და ლპობის, მისი, როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობის, უაღრესი რეაქციულობის მაჩვენებელია სწორედ მილიტარიზმი, რომელიც იჭრება კაპიტალისტური ქვეყნების ცხოვრების ყველა მხარეში და, რაც მთავარია, ეკონომიკაში, რომელსაც ის სულ უფრო და უფრო აქცევს ადამიანის საქლეტ და კაცობრიობის მატერიალურ და კულტურულ ფასეულობათა განადგურების საშუალებების მწარმოებელ ეკონომიკად. მილიტარიზმის ასეთი საშიში განვითარება მსოფლიო კაპიტალიზმის მიერ გადაჭრით აყენებს კაცობრიობის წინაშე ამოცანას, გაითავისუფლოს თავი რეაქციული კაპიტალიზმისაგან, გაათავისუფლოს ადამიანის მიერ შექმნილი მძლავრი საწარმოო ძალები და გამოიყენოს ისინი მთელი საზოგადოების საკეთილდღეოდ. თანამედროვე კაპიტალისტურმა სინამდვილემ დაადასტურა ლენინის ის დასკვნა, რომ კაპიტალიზმის იმპერიალისტურ სტადიაზე არნახულ ტემპებსა და ფარგლებში ძლიერდება ტენდენცია პოლიტიკისა და ეკონომიკის მილიტარიზაციისა. ვ. ი. ლენინმა მოგვცა მილიტარიზმის არსის განსაზღვრა. ლენინმა გვიჩვენა, რომ მილიტარიზმი დამახასიათებელია საზოგადოების ექსპლოატატორული ფორმებისათვის, რომლებიც კლასთა ანტაგონისტური წინააღმდეგობით ხასიათდებიან. იგი საზოგადოების ექსპლოატატორული კლასების მიერ ძალმომრეობის პოლიტიკის განხორციელებაა მშრომელთა წინააღმდეგ. მილიტარიზმის ყველა სახისათვის დამახასიათებელია ძალმომრეობის გზით მშრომელთა დათრგუნვა და დამორჩილება გაბატონებული კლასებისადმი; მილიტარიზმი ექსპლოატატორულ ურთიერთობათა ძალმომრეობის, სამხედრო გზით დაცვისა და განმტკიცების სისტემაა, ექსპლოატატორთა მიერ შეიარაღებული ძალების გამოყენებაა მშრომელთა ასალაგმავად, სხვათა ტერიტორიების დასაპყრობად და ხალხების დასამონებლად. ლენინმა ცხადყო, რომ კაპიტალიზმის პირობებში მილიტარიზმი უსწრაფესი ტემპებით ვითარდება, განსაკუთრებით იმპერიალიზმის დროს. მილიტარიზმმა მო-

---

1 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, გვ. 27.

იცვა ბურჟუაზიული საზოგადოების ყველა სფერო, პოლიტიკა, ეკონომიკა და კულტურა. იგი იქცა თანამედროვე იმპერიალიზმის ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ ნიშნად. ლენინმა გვიჩვენა, რომ პოლიტიკაში მილიტარიზმი ნიშნავს სამხედრო პირების როლის ზრდას, ბურჟუაზიული დესპოტური რეჟიმების განმტკიცებას, დემოკრატიის შეზღუდვას, ქვეყნის სამხედრო მეთოდებით მართვას, ხოლო ეკონომიკაში სახალხო მეურნეობის თანდათან დამორჩილებას სამხედრო წარმოებისადმი, მის თანდათან გადაქცევას წარმოების მთავარ დარგად. ლენინმა მოგვცა იმპერიალისტური მილიტარიზმის არსის შემდეგი განსაზღვრა :„თანამედროვე მილიტარიზმი კაპიტალიზმის შედეგია. თავისი ორივე ფორმით იგი არის კაპიტალიზმის „ბუნების გამოვლინება“: როგორც სამხედრო ძალა, რომელსაც იყენებენ კაპიტალისტური სახელმწიფოები თავიანთ საგარეო შეტაკებათა დროს... და როგორც იარაღი, რომელიც გაბატონებული კლასების ხელში პროლეტარიატის ყოველგვარი (ეკონომიური და პოლიტიკური) მოძრაობის დათრგუნვის საშუალებას წარმოადგენს“.[1] ლენინს იქვე ხაზგასმული აქვს, რომ „მილიტარიზმი... წარმოადგენს ბურჟუაზიულ კლასობრივი ბატონობისა და მუშათა კლასის პოლიტიკური დამორჩილების მთავარ იარაღს“[2].

ლენინი გვასწავლის, რომ იმპერიალისტური მილიტარიზმის ძირითადი ამოცანაა სამხედრო ძალით დაიცვას და განამტკიცოს კაპიტალისტური წყობა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება იმპერიალიზმის წარმოქმნიდან ოქტომბრის რევოლუციამდე, და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდგომ, კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში. ვ. ი. ლენინს არა ერთხელ აღუნიშნავს, რომ კაპიტალიზმის საერთო კრიზისის წარმოქმნამდე, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე, იმპერიალისტური მილიტარიზმის ძირითად ამოცანებს წარმოადგენდა მსოფლიო მუშათა მოძრაობის ჩახშობა, ომების გზით იმპერიალისტურ საგარეო წინააღმდეგობათა გადაწყვეტა, სუსტად განვითარებული ქვეყნებისა და კოლონიურ ხალხთა დამონება. ლენინს არა ერთხელ აღუნიშნავს, რომ მსოფლიოს ორ სისტემად გათიშვის შემდეგ, როცა მსოფლიო ისტორიული განვითარებისათვის მთავარ წინააღმდეგობად იქცა კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის წინააღმდეგობა, ამ დროიდან იმპერიალისტური მილიტარიზმის მთავარი პოლიტიკური ამოცანაა კაპიტალიზმის განმტკიცება, გამარჯვებული სოციალიზმის სამხედრო განადგურების გზით. ლენინს აღნიშნული აქვს, რომ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ იმპერიალისტური სახელმწიფოების საერთაშორისო პოლიტიკაში მთავარი ტენდენციაა — იმპერიალისტურმა ონავრებმა ჩამოაყალიბონ ერთიანი სამხედრო კავშირი სოციალიზმის წინააღმდეგ. უდავოა, რომ დღესაც თანამედროვე იმპერიალისტური მილიტარიზმი მიისწრაფის მსოფლიო კაპიტალისტური ერთიანი სამხედრო კავშირის ჩამოყალიბებისაკენ მსოფლიო სოციალიზმის წინააღმდეგ. „ახლანდელი მსოფლიო მდგომარეობის დროს, აღნიშნავდა ლენინი, იმპერიალისტური ომის შემდეგ, ხალხთა ურთიერთ დამოკიდებულებას, სახელმწიფოთა მთელ სისტემას განსაზღვრავს იმპერიალისტურ ერთა მცირე ჯგუფის ბრძოლა საბჭოთა მოძრაობისა და საბჭოთა სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომელთა სათავეში დგას საბჭოთა რუსეთი“.[1]

იმპერიალიზმი ცდილობს გააერთიანოს და განავითაროს მსოფლიო კაპიტალიზმის სამხედრო ძალები სოციალიზმისა და მსოფლიო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ და, აგრეთვე, იყოლიოს საკმაო სამხედრო ძალები ცალკე ქვეყნებში რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ თანამედროვე მილიტარიზმის აჩქარებული ტემპებით განვითარება გაპირობებულია მხოლოდ პოლიტიკური მიზეზებით. ლენინს დაწვრილებით დახასიათებული აქვს ის პოლიტიკური და ეკონომიური მიზეზები, რომლებიც იწვევენ მილიტარიზმის გაძლიერების ტენდენციებს იმპერიალიზმის დროს: ეს მიზეზები მონოპოლისტური კაპიტალიზმის ბუნებითაა განპირობებული, მილიტარიზმის ზრდა კაპიტალიზმის განვითარების გარდუვალი შედეგია, და მისი საერთო საფუძველია იმპერიალისტური ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობა. იმპერიალიზმის დროს მილიტარიზმის და მისი უმნიშვნელოვანესი გამოსახულების ეკონომიკის მილიტარიზაციის სწრაფი ზრდა განპირობებულია ურთიერთ-დაკავშირებულ, მუდმივად და დროებით მოქმედ ეკონომიურ და პოლიტიკურ მიზეზთა ჯგუფით, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება: წინააღმდეგობების გამწვავება იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის, ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს შორის, იმპერიალისტურ სახელმწიფოებსა და კოლონიებს შორის და სხვ. ამავე დროს ლენინს ხაზგასმული აქვს, რომ განსაკუთრებით ეკონომიკის მილიტარიზაციისკენ მიისწრაფვის მონოპოლისტური ბურჟუაზია, უმაღლესი მო-

1 ლენინი, მებრძოლი მილიტარიზმი, ტ. 15, გვ. 222—223.

2 ლენინი, იქვე.

1 ლენინი, კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესი, ნაციონალურ და კოლონიურ საკითხთა კომისიის მოხსენება, ტ. 31, გვ. 286.

გების მიზნით, სწორედ იმიტომ, რომ ხალხთა ქლეტისა და მატერიალურ ფასეულობათა განადგურების საშუალებანი მეტად სარფიანი დარგია კაპიტალისტური წარმოებისა ,რომ სამხედრო მრეწველობა არის წყარო ზემონოპოლიურ მოგებათა მიღებისა. თანამედროვე იმპერიალიზმის ფაქტიური ისტორია სავსებით ადასტურებს ლენინის ამ მოსაზრებებს იმპერიალისტური მილიტარიზმის არსისა და განვითარების კანონზომიერებათა შესახებ.

თანამედროვე იმპერიალიზმში ეკონომიკისა და პოლიტიკის მილიტარიზაცია განსაკუთრებით გაძლიერდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მართალია, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მცირე ხნით ადგილი ქონდა „დემილიტარიზაციას“, მაგრამ 1949 წლიდან, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც იმპერიალისტური აგრესიული სამხედრო ბლოკი ნატო ჩამოყალიბდა, იმპერიალისტურმა მილიტარიზმმა აჩქარებული ტემპებით იწყო აღორძინება. თანამედროვე კაპიტალიზმში მილიტარიზმის გაძლიერებული აღმავლობა განპირობებულია იმპერიალისტური ბურჟუაზიის აგრესიული მიზნებით მსოფლიო სოციალიზმის წინააღმდეგ, იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა არსებობით და განვითარებით ცალკე ქვეყნებს შორის და ქვეყნების შიგნით და ბოლოს იმით, რომ მილიტარიზმის გაძლიერება, განსაკუთრებით ეკონომიკის მილიტარიზაცია, უმსხვილესი მონოპოლისტური ჯგუფების უდიდეს ეკონომიურ ინტერესს წარმოადგენს. უმსხვილესი სამრეწველო მონოპოლიები და ფინანსური ოლიგარქია ეკონომიკის მილიტარიზაციისაკენ მიისწრაფიან, რომ მონოპოლიებმა სამხედრო წარმოების გაფართოების გზით უზრუნველყონ ზემონოპოლიური მოგებანი და გამოიყენონ ეკონომიკის მილიტარიზაცია, როგორც კაპიტალისტური ეკონომიკის რეგულირებისა და სტიმულირების საშუალება. სწორედ ზემოაღნიშნულმა პოლიტიკურმა და ეკონომიურმა მიზეზებმა განაპირობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იმპერიალისტური მილიტარიზმის ასეთი საშიში განვითარება კაცობრიობისათვის. თანამედროვე იმპერიალიზმი უდიდეს სახსრებს ხარჯავს მილიტარიზმის განსავითარებლად, კერძოდ, სამხედრო მრეწველობის უსწრაფესი განვითარებისათვის, ეკონომიკის მილიტარიზაციაზე, ომის წარმოების უახლოესი ტექნიკური საშუალებების განვითარებაზე. ამიტომ თანამედროვე იმპერიალისტურ სახელმწიფოების ბიუჯეტებში სამხედრო ხარჯების ხვედრითი წილის ზრდა კანონზომიერი მოვლენაა და სწორედ ყველაზე უფრო ამაში გამოიხატება თანამედროვე იმპერიალიზმის ანტიხალხური, უაღრესად რეაქციონური და პარაზიტული ხასიათი.

თუ აშშ-ის ყველა სამხედრო ხარჯებს მივიღებთ მხედველობაში 1949–1965 წლამდე, აღმოჩნდება, რომ ამერიკამ 800 მილიარდი დოლარი დახარჯა სამხედრო მიზნებზე. თუ თვალს გავადევნებთ ომებისა და მათთვის მზადების ხარჯებს, რომელიც იმპერიალიზმმა აიძულა კაცობრიობას გაეღო 1900–1950 წწ., აღმოჩნდება, რომ მთელი მსოფლიოსათვის ეს ხარჯები უდრის ასტრონომიულ ციფრს, 4 ტრილიონ დოლარზე მეტს და, მართლაც, თანამედროვე იმპერიალიზმის დანაშაული და ანტიხალხური ხასიათი მარტო ის კი არ არის, რომ ერთი მუჭა მილიონერები და მილიარდერები უკონტროლოდ განაგებენ კაპიტალისტურ ეკონომიკას და მათ ხელშია საზოგადოებრივი სიმდიდრის უდიდესი ნაწილი, არამედ იმაშიც, რომ კაპიტალისტურ წინააღმდეგობებში გახლართული იმპერიალისტები იძულებულნი არიან სამხედრო ძალით დაიცვან კაპიტალისტური ექსპლოატატორული ურთიერთობანი, რაც საწარმოო ძალების განვითარებას, ტექნიკისა და მეცნიერების განვითარებას სავსებით მახინჯ ფორმებს აძლევს და აძლიერებს მათ ხალხთა საწინააღმდეგო ხასიათს. იმპერიალისტური ონავრები სახალხო მეურნეობას, ტექნიკისა და მეცნიერების განვითარებას ერთ-ერთ მთავარ ამოცანად უსახავენ კოლოსალური მოცულობით აწარმოოს ადამიანთა საჟლეტი საშუალებანი და უზრუნველყოს მესამე მსოფლიო ომის მომზადება პროგრესული კაცობრიობის წინააღმდეგ.

როგორც ცნობილია, ყოველი წარმოების წესის პროგრესულობის მაჩვენებელია საზოგადოებრივ საწარმოო ძალთა განვითარების დაჩქარება და შრომის ნაყოფიერების ამაღლება. ამ თვალსაზრისით თუ შევხედავთ თანამედროვე კაპიტალიზმს, აღმოჩნდება, რომ იგი იქცა უკიდურესად რეაქციულ ძალად, რომელიც აფერხებს ეკონომიურ პროგრესს და მიმართავს წარმოების ტექნიკისა და მეცნიერების განვითარებას მუშათა კლასის და მშრომელთა წინააღმდეგ, ერებისა და ხალხთა ინტერესების წინააღმდეგ. თვით კაპიტალისტური სახელმწიფოების სტატისტიკური მონაცემები ადასტურებენ, რომ საუკეთესო მეცნიერულ-კვლევითი ლაბორატორიები ემსახურებიან მილიტარიზმის მიზნებს. იმპერიალიზმისათვის მთავარი ამოცანა ის კი არ არის, რომ ჩააყენოს ხალხის სამსახურში ეკონომიკა, განავითაროს ამ მიმართულებით ტექნიკა და მეცნიერება, უზრუნველყოს მშრომელთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობა, უსწრაფესად გადაწყვიტოს თანამედროვე მედიცინის ურთულესი პრობლემები, გააფართოოს სკოლების ქსელი და ხელმისაწვდომი გახადოს კულტურისა და განათლების მიღება იმ ადამიანებისათვის, რომლებიც საზოგადოებრივი სიმდიდრის შემქმნელებია, პირიქით, იმპერიალისტური მტაცებლები იმას ცდილობენ, რომ ბიოლოგიურმა და ქიმიურმა მეცნიერებებმა შექმნან ისეთი მომწამვლელი ნივთიერებანი, რომელთა

მცირე დოზით გამოყენებასაც კი შეეძლება რამდენიმე საათში სიცოცხლე წაართვას ათეულ მილიონობით მშრომელ ადამიანს.

უდიდესი დანაშაული იმპერიალიზმისა ის არის, რომ ერთი თაობის ცხოვრების მანძილზე ორი მსოფლიო ომი გააჩაღა, რასაც მოჰყვა 80 მლნ ადამიანის დაღუპვა და დასახიჩრება, მთელი მსოფლიო მოსახლეობის აუტანელ მდგომარეობაში ჩაყენება, საცხოვრებელი საშუალებების მასიური განადგურება, რომ არაფერი ვთქვათ მატერიალურ ფასეულობათა კოლოსალურ ნგრევასა და კულტურის უნიკალური ძეგლების მოსპობაზე. ასეთია იმ უბედურებათა მოცულობა, რომელიც იმპერიალიზმმა და იმპერიალისტურმა მილიტარისტულმა პოლიტიკამ მოუტანა კაცობრიობას. მიუხედავად ამისა, მსოფლიოში არის არამცირე ჯგუფი ადამიანებისა, მათ შორის მეცნიერებისა, რომლებიც უტიფრად ამტკიცებენ, რომ მილიტარიზმი და ომები კაცობრიობის აყვავებას იწვევენ, უზრუნველყოფენ მშრომელთა კეთილდღეობას. ესაა ადამიანთა ის კატეგორია, რომელიც დაქირავებულია მსოფლიო იმპერიალისტების შავი საქმოსნების მიერ და რომელთა ძირითადი ფუნქციაა გარყვნან საზოგადოებრივი აზრი და ამ გზით ხელი შეუწყონ კაპიტალიზმის განმტკიცებას. ამტკიცო მილიტარიზმი სიკეთეა, ან გიჟი, ან იმპერიალიზმის დაქირავებული ლაქია უნდა იყო. როგორ შეიძლება იმ წყობილების იდეალურობასა და პროგრესულობაზე ფიქრი და ლაპარაკი, რომლის დაცვას და არსებობას რამდენიმე ათეული მილიონი ადამიანის სიცოცხლე და კეთილდღეობა შეეწირა, რალაც ნახევარი საუკუნის მანძილზე და რომელიც დღეს თავისი სამხედრო რაკეტული და ატომური ყუმბარებით მთელ მსოფლიოს ემუქრება უდიდესი კატასტროფით.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ იმპერიალიზმმა ორ მსოფლიო ომში, რომლებიც მან კაცობრიობას თავს მოახვია, როგორც უდიდესი უბედურებანი, მშრომელებს ოთხი ტრილიონი დოლარი გაალებინა, რომელიც ეკონომიური თვალსაზრისით, კაცობრიობამ წყალში გადაყარა, და საკითხავია, რა შეეძლო ოთხ ტრილიონ დოლარს გაეკეთებინა ადამიანთა საზოგადოებისათვის თუ კაცობრიობა საშუალებას არ მისცემდა იმპერიალიზმს ეს სახსრები ადამიანთა ქლეტისა და მატერიალურ ფასეულობათა ნგრევისათვის გამოეყენებინა? ოთხი ტრილიონი დოლარით შეიძლებოდა უფასო პურით გამოკვებილიყო ჩვენი პლანეტის მოსახლეობა ნახევარი საუკუნის განმავლობაში, როგორც ეს გამოიანგარიშეს ჩვენმა პროგრესულმა ეკონომისტებმა. ამ სახსრებით შეიძლებოდა აშენებულიყო კეთილმოწყობილი ბინები ხუთასი მილიონი ოჯახისათვის, ე. ი. მსოფლიო მოსახლეობის 2/3-თვის.

ცნობილია ,რომ იმპერიალიზმი აიძულებს კაცობრიობას ყოველწლიურად ხარჯოს სულ ცოტა ასი მილიარდი დოლარი სამხედრო ასიგნოვების სახით. ამ თანხის 20% კი რომ ხმარდებოდეს სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობას, როგორც ეს მოწინავე ეკონომისტებმა გვიჩვენეს, 25 წლის მანძილზე შესაძლებელი იქნებოდა სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიური დაწინაურება და მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარება ხალხთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად. ხოლო თუ ყოველწლიურად 100 მილიარდი დოლარი მოხმარდებოდა სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკას, მაშინ მნიშვნელოვნად დაჩქარდებოდა ხუთი წლის მანძილზე აღნიშნული ქვეყნების ეკონომიური აღმავლობა. ამ მაგალითებით განა ცხადი არ არის, რომ მილიტარიზმი ეკონომიკისა და ხალხთა კეთილდღეობის ამაღლება კი არ არის, არამედ რეაქციული მოვლენაა, რომელიც აფერხებს სახალხო მეურნეობის განვითარებას და დაბლა სწევს ხალხის მატერიალურ-კულტურულ დონეს.

თანამედროვე ბურჟუაზიის იდეოლოგები ამტკიცებენ, რომ იმპერიალისტური მილიტარიზმი და მისი მთავარი გამოსახულება ეკონომიკის მილიტარიზაცია შესაძლებელს ხდის კაპიტალიზმის უკრიზისო, გეგმურ განვითარებას, აჩქარებს ეკონომიურ პროგრესს, რამდენადაც ის წარმოების პროცესში აბამს დამატებით კაპიტალსა და დამატებით სამუშაო ძალას, სპობს უმუშევრობას და იწვევს მუშათა და საშუალო ფენების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებას. არცერთი ეს მოსაზრება არ არის სწორი და, ცხადია, ძალაში რჩება იმპერიალისტური მილიტარიზმის, ეკონომიკის მილიტარიზაციის შესახებ ლენინის მოსაზრებანი, ის რომ, მილიტარიზმი და კაპიტალისტური ეკონომიკის მილიტარიზაციის გაძლიერების პროცესი ამწვავებს კაპიტალისტურ წინააღმდეგობებს, აძლიერებს ექსპლოატაციას და აუარესებს მუშათა კლასის მდგომარეობას. ლენინმა გენიალურად გვიჩვენა, რომ იმპერიალისტური მილიტარიზმის გაძლიერება, საზოგადოებრივი წარმოების მილიტარიზაცია, რეაქციული პროცესია, რომელიც სავსებით და მთლიანად თანამედროვე კაპიტალიზმს უაღრესად რეაქციონულ, ანტისაზოგადოებრივ, ხალხთსაწინააღმდეგო წყობად აქცევს, რომლის არსებობა უაღრესად საშიში ხდება კაცობრიობისათვის. იმპერიალისტური მილიტარიზმის გაძლიერება ეწინააღმდეგება ხალხის ძირეულ ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესებს. სწორედ 1919 წლის ივლისში ლენინი მიუთითებდა — კაპიტალიზმმა ამოსწურა თავისი თავი, იგი იქცა ურეაქციონერეს შეფერხებად კაცობრიობის განვითარებისა. ლენინს მითითებული აქვს, რომ სწორედ მილიტარიზმის გაძლიერება გამოხატავს ყველაზე უფრო

მკაფიოდ თანამედროვე იმპერიალიზმის ანტიხალხურ ხასიათს და იგი მკაფიო მაჩვენებელია ამავე დროს იმისა, რომ სწორედ მილიტარისტული ტენდენციების გაძლიერების შედეგად თანამედროვე იმპერიალიზმი უაღრესად პარაზიტული და ლპობადი ხდება. ლენინს აღნიშნული აქვს, რომ სწორედ მილიტარიზმის განვითარების გამო, უდიდეს საზოგადოებრივ ბოროტებას თანამედროვე იმპერიალიზმი იმიტომ წარმოადგენს, რომ ტექნიკის, მეცნიერების, საწარმოო ძალების და კულტურის განვითარებას იგი ანტისაზოგადოებრივ მიზნებს უსახავს, ანტიხალხურ მიმართულებას აძლევს.

მართლაც, დღეს უდიდესი დანაშაული თანამედროვე იმპერიალიზმისა მთელი კაცობრიობის წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ ის უფრო და უფრო მნიშვნელოვან ნაწილს საწარმოო ძალებისა აქცევს დამანგრეველი და საკლეტი საშუალებების მწარმოებელ ძალებად, საზოგადოებრივი შრომის მნიშვნელოვან ნაწილს უკარგავს საზოგადოებრივ ხასიათს და აიძულებს მას შექმნას სამხედრო პროდუქცია, დამანგრეველი და საკლეტი საშუალებანი. ამავე დროს ეკონომიკის მილიტარიზაციასთან და მილიტარიზმის ზრდასთან საზოგადოდ დაკავშირებულია სამხედრო არმიების ზრდა, რაც იმპერიალიზმის პერიოდში მასიური ხდება და მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში იგი მოიცავს რამდენიმე მილიონ კაცს. კაპიტალისტური წყობის რეაქციულობა ამ შემთხვევაში ისაა, რომ იგი საზოგადოებრივ წარმოებას ხელიდან აცლის ყველაზე ჯანსაღ და ენერგიულ ნაწილს სამუშაო ძალისას, სწყვეტს მას წარმების პროცესს, მნიშვნელოვან წილად მთავარ საწარმოო ძალას, მშრომელს გამოთიშავს წარმოების პროცესიდან, შემოქმედებითი შრომიდან, მშვიდობიანობის პერიოდში ხდის მას პარაზიტულ და უმოქმედო ნაწილად მოსახლეობისა, ხოლო ომის შემთხვევაში წარმოების გაფართოებისა და განვითარების ფაქტორიდან აქცევს საზოგადოებრივი წარმოებისა და მატერიალურ სიკეთეთა დამანგრეველ და მომსპობ საშუალებად.

მაშასადამე, თანამედროვე კაპიტალიზმის უდიდესი დანაშული და მანკიერება გამოიხატება იმაში, რომ საზოგადოების მთავარ საწარმოო ძალას მუშებისა და სხვა მშრომელების უფრო და უფრო დიდ მასებს გამოთიშავს სასარგებლო, ნაყოფიერ შრომის პროცესიდან და იწვევს შრომითი რესურსების უდიდეს მფლანგველობას, რაც ცხადია ამუხრუჭებს წარმოების გაფართოებას და სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვნად ამცირებს საზოგადოების არსებით მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას. მაშინ, როდესაც ადამიანები განიცდიან მატერიალურ სიკეთეთა ნაკლებობას, იმპერიალიზმი საზოგადოებრივ შრომას და მატერიალურ რესურსებს ახმარს ომის მომზადებას. ამიტომაცაა, რომ კაპიტალიზმის პირობებში XX საუკუნემ, საწარმოო ძალების ციკლოპური ზრდისა და მეცნიერების განვითარების საუკუნემ, ჯერ კიდევ ვერ მოუღო ბოლო ასეულ მილიონობით ადამიანების სიღატაკეს, ვერ მოუტანა მატერიალური და სულიერი სიკეთის სიუხვე ადამიანებს დედამიწაზე. ამაში ბრალი მარტო კაპიტალიზმს მიუძღვის თავისი მილიტარიზმით. უდიდესი ბოროტება, რომელსაც თანამედროვე კაპიტალიზმი ჩადის კაცობრიობის წინაშე, ის არის, რომ ტექნიკურ პროგრესს და მეცნიერების განვითარებას იგი იყენებს საზოგადოების ინტერესების წინააღმდეგ. ერთი უდიდესი ბოროტებათაგანი თანამედროვე კაპიტალიზმისა ის არის, რომ მეცნიერებას და ტექნიკას, რომლებიც მოწოდებულია ხელი შეუწყონ შრომის ნაყოფიერების განვითარებას, სკოლების გამრავლებას, ხალხის ჯანმრთელობის დაცვის საქმის ამაღლებასა და სხვა, აქცევს სამხედრო პროდუქციის მწარმოებელ საშუალებად.

იმპერიალიზმი სულ უფრო და უფრო ამცირებს შესაძლებლობებს გამოყენებული იქნას მეცნიერება და ტექნიკა საზოგადოების საარსებო და კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

გამოჩენილი ინგლისელი ფიზიკოსის ჯონ ბერნალის სიტყვით ჯერ კიდევ 1961 წლისათვის ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის და დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებისათვის მეცნიერული გამოკვლევების 60-დან 80 პროცენტამდე სამხედრო ხასიათისა იყო. აშშ-ში 1960-61 საბიუჯეტო წლებში მეცნიერული სამუშაოებისათვის განკუთვნილი 7,9 მილიარდი დოლარიდან სამხედრო გამოკვლევებზე მოდიოდა 6,6 მილიარდი დოლარი. მაღალი კვალიფიკაციის 20000 ამერიკელი სწავლულიდან უკვე მაშინ 1960-1961 წლებში ნახევარი მუშაობდა რაკეტულ და თერმოატომგულის იარაღის განვითარების პრობლემებზე. სავსებით სამართლიანად არის აღნიშნული პარტიის პროგრამაში, რომ „მონოპოლისტური კაპიტალის ბატონობის პირობებში ტექნიკური პროგრესი მუშათა კლასის წინააღმდეგ წარიმართება, მონოპოლიები იყენებენ ახალ ფორმებს და აძლიერებენ მუშათა კლასის ექსპლოატაციას. კაპიტალისტური ავტომატიზაცია ლუკმა პურსართმევს მუშას — იზრდება უმუშევრობა და ქვეითდება ცხოვრების დონე. ტექნიკური პროგრესი წვრილ მწარმოებელთა სულ ახალ ფენებს ღუპავს. იმპერიალიზმი ტექნიკურ პროგრესს უმთავრესად სამხედრო მიზნებისათვის იყენებს. იგი ადამიანის გო-

ნების მილწევებს თვით კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართავს“[1].

სავსებით უნიადაგოა ის იმედები, რომლებსაც ეკონომიკის მილიტარიზაციაზე ამყარებენ თანამედროვე ბურჟუაზიის იდეოლოგები. მილიტარიზმისა და ეკონომიკის მილიტარიზაციის საბოლოო შედეგები ის არის, რომ იგი კი არ იწვევს კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკის აღმავლობას, კაპიტალიზმის განმტკიცებას, არამედ საბოლოოდ კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკის გამოფიტვის, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ რამდენად დიდია სამხედრო წარმოება და რამდენად მასიური სამხედრო პროდუქცია, იმდენად მცირეა ის საშუალებანი, რომელნიც უნდა მოხმარდეს წარმოების გაფართოებას. სამხედრო პროდუქციის სულ მზარდი და მზარდი წარმოება ნიშნავს საზოგადოებრივ პროდუქციაში სამოქალაქო წარმოების საშუალებებისა და მოხმარების საშუალებების შემცირებას. სამხედრო პროდუქცია წარმოადგენს პროდუქციის იმ სახეს, რომელიც არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც დამატებითი საშუალებანი წარმოების გაფართოებისათვის. სამხედრო პროდუქციის ზრდა იმას ნიშნავს, რომ ამ ზრდის შესაბამისად მცირდება ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქციის ის ნაწილი, რომელიც გამოიყენება შრომის პროცესში, როგორც საწარმოო მოხმარების საშუალებანი და **როგორც პირადი** მოთხოვნილების საგნები. სამხედრო პროდუქცია საერთოდ არ წარმოადგენს ისეთ პროდუქციას, რომელიც შეიძლება ჩართულ იქნას კვლავწარმოების პროცესში, როგორც დამატებითი საშუალებანი და პირადი მოხმარების საგნები. სწორედ ამის გამო ეკონომიკის მილიტარიზაციის აბსოლუტური კანონზომიერება არ შეიძლება არ იყოს ეკონომიური განვითარების, მისი ზრდის ტემპების შენელება გამოუკლებლივ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში. ეკონომიკის მილიტარიზაციას არ შეუძლია, როგორც ამას ფიქრობენ ბურჟუაზიული ეკონომისტები, იხსნას კაპიტალისტური ქვეყნები ეკონომიური კრიზისისაგან.

მარტო ის გარემოება, რომ ეკონომიკის მილიტარიზაცია უმთავრესად დაყრდნობილია მშრომელთა გადასახადებზე, ხოლო ეს გადასახადები კი ნიშნავს ხელფასის ფაქტიურ დაცემას, მშრომელთა სყიდვითი უნარიანობის მნიშვნელოვან შემცირებას და მაშასადამე, სახალხო მოხმარების მნიშვნელოვან შეზღუდვას, ანტაგონისტური წინააღმდეგობის გაღრმავებას წარმოებასა და მოხმარებას შორის, სწორედ ამიტომ მილიტარიზმს არ შეუძლია იხსნას თანამედროვე კაპიტალიზმი ეკონომიური კრიზისებისაგან. როგორადაც არ უნდა სწყუროდეს ეს ბატონ იმპერიალისტებსა და მათ დაქირავებულ იდეოლოგებს. თვით თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარების ფაქტები ადასტურებენ იმას, რომ ეკონომიური კრიზისები და უმუშევრობა, მიუხედავად კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკის გაძლიერებული მილიტარიზაციისა, ფაქტია ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში. თუ ისეთ ქვეყანას ავიღებთ, როგორიცაა აშშ-ი, სადაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეკონომიკის გაძლიერებული მილიტარიზაცია მიმდინარეობს, იქ ეკონომიური კრიზისები და უმუშევრობაც მნიშვნელოვნადაა გაზრდილი.

როდესაც ჩვენ ვახასიათებთ იმპერიალისტურ მილიტარიზმს, არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ დღეს მის პოზიციებს საფუძვლიანად ასუსტებს მსოფლიო კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გამწვავება. მხედველობაშია აგრეთვე მისაღები, რომ მეორე მსოფლიო ომის შედეგად მსოფლიო სოციალისტური სისტემის წარმოქმნამ შეზღუდა იმპერიალისტური ბანაკის სამხედრო-ეკონომიური პოტენციალი და დაასუსტა იმპერიალიზმის სამხედრო პოზიციები სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. იმპერიალიზმის პოზიციების დასუსტება სამხედრო ეკონომიურ-სტრატეგიული თვალსაზრისით გამოიხატება შემდეგ ფაქტებში: მეორე მსოფლიო ომის შედეგად შევიწროვდა ტერიტორიული სივრცე იმპერიალიზმისა, შემცირდა მისი ნედლეულისა და ადამიანთა მასის რესურსები, ამავე დროს სოციალიზმმა მნიშვნელოვნად შეავიწროვა კაპიტალისტური მსოფლიო მატერიალური წარმოების სფეროში. მეორე მსოფლიო ომში ფაშისტური ქვეყნების დამარცხებამ და შემდგომ აგრესიული პოლიტიკის წარმოებამ აშშ-ის იმპერიალისტების მეთაურობით, იმპერიალისტების ბრძოლამ ომის შემდგომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ, დაუკარგა კაპიტალიზმს მორალური ავტორიტეტი ფართო მასების თვალში და შეზღუდა მისი სოციალური საყრდენი. მსოფლიოს ორ სისტემად დაშლამ ნამდვილად საქმე მიიყვანა იმპერიალისტური ბანაკის არა თუ ბუნებრივ სანედლეულო ბაზის შემცირებამდე, არამედ მთელი რიგი სამხედრო უპირატესობების საბოლოოდ დაკარგვამდე. დადგენილია, რომ ამჟამად იმპერიალიზმის ნედლეულის წყაროები გაცილებით ნაკლებია სოციალისტური ქვეყნების ნედლეულის რესურსებზე. მსოფლიო სოციალიზმზე მოდის 80% ნავთის გამოკვლეული მარაგისა, 60% ნახშირისა, 50%-ზე მეტი რკინის საბადოებისა და ბოქსიტებისა, მარგანეცის 90%, 85% კალიუმის მარილებისა, 33% ფოსფორიტებისა და აგრეთვე მნიშვნელოვანი მარაგები ბუნებრივი გაზისა და ცხელი ფიქალებისა, ფერადი და იშვიათი ლითონებისა. მაგრამ იმპერიალიზმის არახელსაყრელობა აქ იმაში გა-

1 სკპ პროგრამა, გვ. 37.

მოიხატება, რომ ნედლეულის ძირითადი წყაროები იმყოფება არა მთავარ იმპერიალისტური სახელმწიფოთა ტერიტორიებზე, არამედ ყოფილ კოლონიებში. მეორე მსოფლიო ომის შედეგად შემცირდა იმპერიალისტური ბანაკის ადამიანთა რესურსები. ამ ომის დაწყების წინ კაპიტალისტურ ქვეყნებში ცხოვრობდა მსოფლიო მოსახლეობის 91%, ახლა კი ცხოვრობს დაახლოებით 65%, აქედან 19% განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში. მაგრამ კაპიტალიზმის ტრაგედია არა მხოლოდ მოსახლეობის არათანაბარ განაწილებაშია, არამედ იმაშიც, რომ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ გამოიყენონ მოსახლეობის შრომითი და სამხედრო რესურსები ისე ეფექტურად, როგორც ეს შეუძლიათ სოციალისტურ ქვეყნებს. აღსანიშნავია ის, რომ მატერიალური წარმოების სფეროშიც, რომელიც სამხედრო ძლიერების წყარო და საფუძველია, შეიცვალა ძალთა თანაფარდობა სოციალიზმის ძალთა სასარგებლოდ და შეცვლება მომავალში კიდევ უფრო სოციალიზმის სასარგებლოდ, რადგანაც სოციალიზმის ქვეყნების ეკონომიკას განვითარების უფრო მაღალი ტემპები ახასიათებს კაპიტალისტური ეკონომიკის ტემპებთან შედარებით.

თანამედროვე პირობებში სახელმწიფოთა სამხედრო ძლიერება განისაზღვრება არა მარტო საზოგადოებრივ საწარმოო ძალთა დონით, არამედ ამავე დროს წარმოებით ურთიერთობათა ხასიათით. სწორედ წარმოებით ურთიერთობათა კაპიტალისტური ხასიათი არ აძლევს საშუალებას თანამედროვე იმპერიალიზმს ეფექტურად გამოიყენოს საწარმოო ძალები, მატერიალური და ადამიანური რესურსები, როგორც მშვიდობიან, ისე ომის პირობებში. უდიდესი მოვლენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ეს სოციალიზმის ბანაკის წარმოქმნაა. მაგრამ არა მარტო ამაში გამოიხატა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კაპიტალიზმის დასუსტება, არამედ იმაში, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებამ გამოიწვია იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლა — იმპერიალიზმმა დაჰკარგა უდიდესი ტერიტორიები მილიარდნახევარი მოსახლეობით. იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლა კიდევ უფრო ასუსტებს მსოფლიო იმპერიალიზმის სამხედრო ეკონომიურ ბაზას და მის სტრატეგიულ პოზიციებს. ყოფილ კოლონიურ ქვეყნებში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა წარმოქმნამ შეზღუდა ბუნებრივი სიმდიდრის, ნედლეულისა და ადამიანთა რესურსების გამოყენების შესაძლებლობები იმპერიალისტური სახელმწიფოების აგრესიული მიზნებისათვის. გარდა ამისა ნედლეულის ის გაფანტულობა, რომელიც წარმოებასა და სანედლეულო ბაზებს რამდენიმე ათასი კილომეტრით აცილებს ერთმანეთს, წარმოადგენს თანამედროვე პირობებში მსოფლიო იმპერიალიზმის მნიშვნელოვან სამხედრო სისუსტეს.

ცხადია, რამდენიმე შენიშვნა უნდა გავაკეთოთ სოციალისტური ქვეყნების სამხედრო პოლიტიკაზე. ჩვენ უნდა შევნიშნოთ, რომ სოციალიზმის მონაპოვართა დაცვა ეს კომუნისტური მშენებლობის ზოგადი კანონზომიერებაა. ჩვენ ვიცით, რომ საბჭოთა კავშირი და საერთოდ სოციალიზმის ქვეყნები წარმოადგენენ იმ ქვეყნებს, რომლებშიაც კანონით აკრძალულია ომის სასარგებლო პროპაგანდა. საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტით ზავის შესახებ ომი გამოცხადებულია კაცობრიობის წინაალმდეგ უდიდეს ბოროტებად. სოციალიზმი, რომლის უძირითადესი საზრუნავია ადამიანი და მისი კეთილდღეობა, თავისი ბუნებით წინაალმდეგია ომის პოლიტიკისა, ომის წარმოებისა, რადგან სოციალისტურ ქვეყანას არ შეიძლება სხვა ქვეყნების დამონების ინტერესები ამოძრავებდეს. ბუნებრივია, რომ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, საზოგადოებრივი წარმოების მთლიანად ხალხის სამსახურში ჩაყენება ხალხის მატერიალურ-კულტურული უზრუნველყოფის მიზნით მშვიდობას მოითხოვს, მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ სოციალიზმის მონაპოვართა დაცვა არ წარმოადგენდეს ისტორიულ აუცილებლობას. ლენინი გვასწავლიდა ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე, რომ პროლეტარიატის გამარჯვება გამოიწვევს ბურჟუაზიის ცდებს პირდაპირი სამხედრო ძალით განადგურებულ იქნეს სოციალისტური სახელმწიფო. ლენინი გვასწავლიდა, რომ ყოველი რევოლუცია რამედ მაშინ ღირს თუ კი მას შეუძლია თავდაცვა. ლენინი გვასწავლიდა, რომ თავდაცვა სოციალიზმის უმნიშვნელოვანესი კანონზომიერებათაგანია და მისი უზრუნველყოფის გარეშე შეუძლებელია ახალი საზოგადოების არსებობის შენარჩუნება და განვითარება. სოციალიზმი იძულებულია აწარმოოს თავდაცვითი ომი და დააყენოს თავდაცვის საქმე უმაღლეს დონეზე, რადგან მის წინაალმდეგ მიმართულია იმპერიალიზმის დიდი სამხედრო ძალები. ლენინი მიუთითებდა, რომ მუშების და გლეხების შეიარაღება არა მარტო იმიტომაა აუცილებელი, რომ აიღონ ძალაუფლება ხელში, ექსპროპრირებული და განიარაღებული იქნას ბურჟუაზია, არამედ იმისათვისაც, რომ დაცულ იქნას რევოლუციის მონაპოვარი საერთაშორისო იმპერიალიზმის თავდასხმისაგან. ავითარებდა რა იდეას სოციალისტური სამშობლოს შეიარაღებული დაცვის აუცილებლობის შესახებ, ლენინი მოითხოვდა, სერიოზულ, შეუნელებელ ყურადღებას ქვეყნის თავდაცვის საკითხებისადმი. 1921

წლის დეკემბერში საბჭოთა ყრილობაზე ლენინი აღნიშნავდა: ჩვენ ხელი მოვკიდეთ მშვიდობიან მშენებლობას და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ის განუწყვეტლივ გრძელდებოდეს. ამავე დროს ლენინი მოუწოდებდა, რომ გავფრთხილებოდით ქვეყნის თავდაცვის უნარიანობას როგორც თვალის ჩინს და არ დაგვეშვა მისი შესუსტება წამითაც კი.

„რაკი ხელი მოვკიდეთ, ამბობდა ლენინი, მშვიდობიან მშენებლობას, მთელ ძალღონეს გამოვიყენებთ, რომ განუწყვეტლივ განვაგრძოთ იგი. ამავე დროს, ამხანაგებო, იყავით ფხიზლად, თვალისჩინივით გაუფრთხილდით ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი წითელი არმიის თავდაცვის უნარიანობას და გახსოვდეთ, რომ უფლება არა გვაქვს ერთი წუთითაც დავუშვათ ჩვენი მუშათა და გლეხთა და მათ მონაპოვართა შესუსტება“.[1] პარტია გამოდის რა ლენინის ამ მითითებიდან, ქვეყნის სამხედრო ძლიერების უზრუნველყოფის საქმეს პირველი რიგის ამოცანად თვლის: საბჭოთა სახელმწიფოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობამ კარგად იცოდა, რომ ახლო მომავალში მსოფლიო იმპერიალიზმის წამყვანი ძალები სამკვდრო-სასიცოცხლო ომს გააჩაღებდნენ ერთად-ერთი სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ, და თუ ქვეყანა აგრესიის წინააღმდეგ არ იქნებოდა მომზადებული სოციალიზმის მონაპოვარი დაიღუპებოდა. სწორედ უმოკლეს ვადაში ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ერთ-ერთი მთავარი ამოცანათაგანი იყო უზრუნველეყო საბჭოთა კავშირის ძლიერება ისე, რომ სოციალიზმის ერთადერთი ქვეყანა გამკლავებოდა თავდასხმის შემთხვევაში მსოფლიო იმპერიალიზმს. ეს ამოცანა ბრწყინვალედ იქნა შესრულებული, რაც მეორე ომის მთელმა მსვლელობამ დაადასტურა. ჩვენი პარტია დღესაც შეუნელებელ ყურადღებას აქცევს სამხედრო მრეწველობის განვითარებას, მან კარგად იცის, რომ იმპერიალისტები კიდევ ოცნებობენ სამხედრო ძალით გაანადგურონ სოციალიზმი და განამტკიცონ კაპიტალიზმი, ჩვენ არ შეგვიძლია მხედველობიდან გავუშვათ, რომ ეკონომიკის მილიტარიზაციას კაპიტალისტურ ქვეყნებში არასოდეს არ ქონია ისეთი ფართო გასაქანი როგორიც დღეს აქვს. ამავე დროს ფაქტია, მსოფლიო იმპერიალიზმის დამრტყმელი ძალები მიისწრაფვიან იმისკენ, რომ შექმნან მსოფლიო იმპერიალისტური კოალიცია სოციალიზმის წინააღმდეგ.

ასეთ პირობებში მსოფლიო სოციალისტური ქვეყნების ერთ-ერთი უძირითადესი ამოცანა არის უზრუნველყონ საერთო ძალებითა და თანამშრომლობით მსოფლიო სოციალიზმის მონაპოვართა დაცვა. დღეს სოციალისტური ქვეყნების ერთი კანონზომიერებათაგანია იმპერიალისტურ კოალიციას დაუპირისპირონ სოციალისტური ქვეყნების თავდაცვითი თანამშრომლობა, ერთიანი სამხედრო თანამეგობრობა. სოციალისტური ქვეყნების ეკონომიური და სამხედრო თანამშრომლობა აჩქარებს თავდაცვის მატერიალურ-ტექნიკური საფუძვლების განვითარებას. ამიტომ არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ ყველა სოციალისტური ქვეყნის ამოცანაა გააძლიეროს სამხედრო მრეწველობის განვითარება და იქცეს ერთიან სამხედრო ბანაკად ჯერ კიდევ ვერაგი და ძლიერი მტრის წინააღმდეგ.

მსოფლიო სოციალიზმი სამხედრო თვალსაზრისით უფრო ძლიერია, ვინემ კაპიტალისტური სისტემა. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის შედეგად, თანდათან კომუნისტურ ურთიერთობებზე გადასვლის შედეგად, მსოფლიო სოციალიზმი კიდევ უფრო ძლიერი იქნება და სავსებით კანონზომიერი ფაქტი გახდება ის, რომ სამხედრო ძლიერების მთელი რიგი მაჩვენებლების ხაზით მსოფლიო კომუნიზმი უკან ჩამოიტოვებს მსოფლიო იმპერიალიზმს, რისი შედეგიც იქნება რეალური შესაძლებლობების გაზრდა, გამოირიცხოს მსოფლიო ომები ისტორიული პროცესიდან. სოციალიზმის სამხედრო უპირატესობანი იმპერიალისტურ მილიტარიზმთან შედარებით დაკავშირებულია სოციალიზმის არსთან, იმასთან, რომ სოციალიზმს, როგორც კაპიტალიზმისაგან განსხვავებულ წარმოებით ურთიერთობათა სისტემას, შეუძლია უზრუნველყოს საწარმოო ძალთა და კერძოდ სამხედრო ტექნიკის აჩქარებული განვითარება, ვინემ კაპიტალიზმს. სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონი, რომელიც სოციალიზმის არსს გამოხატავს, თავისი ამოცანის განხორციელებას ტექნიკურ განვითარებაში პოულობს, მაგრამ ამავე დროს სოციალისტური წარმოება, დაყრდნობილი წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებაზე, ფართო გასაქანს აძლევს საწარმოო ძალების აღმავლობას, რაც თავის მხრივ საფუძველი ხდება თავდაცვის საშუალებათა აჩქარებული განვითარებისა. ეს არის ერთი უძირითადესი სამხედრო უპირატესობა სოციალიზმისა თანამედროვე იმპერიალიზმის წინაშე.

კაპიტალისტური წარმოება ზედმეტი ღირებულების წარმოება და მითვისებაა, ამიტომ ამა თუ იმ კაპიტალისტური წარმოების ომის სამსახურში ჩაყენება ყოველთვის როდი შეესაბამება ცალკე კაპიტალისტური ჯგუფების მოგების მიღების ინტერესებს. გარდა ამისა სამხედრო წარმოების გაფართოება ომის მსვლელობაში იწვევს სამომხმარებლო საგნების წარმოების მნიშვნელოვან შეზღუდვას,

1 ლენინი, რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ, ტ. 33, გვ. 164.

ამის გამო ფასების მკაცრ აწევას, სპეკულაციას სამომხმარებლო საგნებზე და ამიტომ მთელი რიგი კაპიტალისტური მონოპოლიები, რომელთაც შეექმნათ რეალიზაციის მაღალი კონიუნქტურა, როდი არიან დაინტერესებული რომ გადავიდნენ სამხედრო წარმოებაზე. ამავე დროს მთელი ჯგუფები კაპიტალისტებისა ერიდებიან სტრუქტურულ ძვრებს წარმოებაში, რადგან კარგად იციან, რომ ომის დამთავრების შედეგად მათ კვლავ მოუხდებათ წარმოების მიმართულების შეცვლა ან შეკვეცა, რაც მათთვის საზარალოა. მეორე მსოფლიო ომმა დაამტკიცა, რომ კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობანი ხელს უშლიან, ამუხრუჭებენ კაპიტალისტური სახალხო მეურნეობის სამხედრო რელსებზე გადაყვანას. მონოპოლისტური ჯგუფები ცდილობენ გამოიყენონ ომის მსვლელობა თავიანთი ინტერესებისათვის. სწორედ სხვადასხვა სახის მონოპოლიების მაქინაციები და მიდრეკილება სამხედრო კონიუნქტიურის გამოყენებისა მოგების მიზნით, აძლიერებს ანარქიულობას, არ იძლევა საშუალებას მატერიალური და ფინანსური რესურსების შეუფერხებელი მობილიზაციისა ომის საჭიროებისათვის და სხვა. სოციალიზმის პირობებში ამ მოვლენებს ადგილი არა აქვს. მართალია, ომი არ სცვლის სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა ბუნებას, ეკონომიური განვითარების კანონებს, მაგრამ თავის მხრივ სოციალისტური საწარმოო ურთიერთობანი ქმნიან ხელსაყრელ პირობებს, ჩაყენებულ იქნას მთელი სახალხო მეურნეობა ფრონტის სამსახურში.

სოციალიზმის დროს არ შეიძლება არსებობდეს წარმოებანი, რომლებსაც შეეძლებათ რაიმე წინააღმდეგობა გაუწიონ ცენტრალიზებულ დაგეგმვას და სამხედრო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ცდებს. სახელმწიფო რეზერვების და სამობილიზაციო მარაგების გამოყენებაში, სამხედრო წარმოების გაფართოების ხაზით საკადრო სამხედრო ქარხნებში, სამხედრო პროდუქციის ზრდაში და ახალი სამხედრო ტექნიკის დანერგვასა და მასობრივ წარმოებაში, არ შეიძლება რაიმე სოციალური დაჯგუფება არსებობდეს ასევე სახალხო მეურნეობის სამოქალაქო დარგების მობილიზაციისა და მათ გადაყვანაში სამხედრო მასალების წარმოებაზე. ასევე არ შეიძლება რომელიმე სოციალური ჯგუფი და ფენა წინ აღუდგეს სოციალისტურ სახელმწიფოს ფინანსური და ფულადი რესურსების მობილიზაციის საქმეს, სამხედრო წარმოების გაფართოების მიზნით. უპირატესობა გააჩნია სოციალიზმს შრომითი რესურსების და კვალიფიციური კადრების მობილიზაციის, განაწილებისა და გამოყენების მხრივ. სწორედ იმიტომ, რომ სოციალიზმს არ ღრღნის კერძო საკუთრების საფუძველზე წარმოშობილი ანტაგონისტური წინააღმდეგობანი, მას შეუძლია უმოკლეს ხანში ჩააყენოს მთელი სოციალისტური ეკონომიკა, ბუნებრივ-მატერიალური და შრომითი რესურსები ფრონტზე გამარჯვების სამსახურში; როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველაფერი ეს გამორიცხულია კაპიტალიზმის დროს. სწორედ ამაშია მსოფლიო სოციალიზმის სამხედრო უპირატესობანი მსოფლიო იმპერიალიზმის წინაშე. საზოგადოდ როგორადაც არ უნდა გააძლიეროს იმპერიალიზმმა თავისი სამხედრო შესაძლებლობანი „მონოპოლისტური ბურჟუაზია ატომგულის იარაღითაც ვერ იხსნის თავს ისტორიული განვითარების გარდუვალი მსვლელობისაგან. კაცობრიობამ გამოიცნო კაპიტალიზმის ნამდვილი სახე. ასეულ მილიონიობით ადამიანი ხედავს, რომ კაპიტალიზმი ეკონომიური ანარქიისა და პერიოდული კრიზისების, ქრონიკული უმუშევრობისა და მასების სილატაკის, საწარმო ძალების მტაცებლური ფლანგვის წყობილებაა, რომელიც განუწყვეტლივ გვიქადის ომებს. კაცობრიობას არ სურს შეურიგდეს და არ შეურიგდება დრომოჭმულ კაპიტალიზმის სისტემას“, ნათქვამია სკკპ პროგრამაში.

მთელი მსოფლიოს მშრომელთა გმირული ბრძოლა, პროლეტარიატის მეთაურობით, კაპიტალიზმს ისტორიის სანაგვე ყუთში გადაისვრის, როგორადაც არ უნდა განავითარონ მილიტარიზმი იმპერიალისტურმა მტაცებლებმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ივ. ბაბალაშვილი**
გენერალ-მაიორი

# ვ. ი. ლენინის შთაგონებითა და მითითებით იქმნებოდა

## საბჭოთა საქართველოს სამხედრო კადრები დიდ სამამულო ომამდე

დღეს, როცა მრავალეროვანი საბჭოთა ხალხი გაორკეცებული ენერგიითა და შეუნელებელი პატრიოტული პათოსით იღწვის იმისათვის, რომ ეკონომიკისა და კულტურის დარგებში ახალი შემოქმედებითი მიღწევებით აღნიშნოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ფუძემდებლის, კომუნისტური პარტიის შემქმნელის და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის სწორუპოვარი ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთავი, არ შეიძლება უღრმესი მადლიერების გრძნობით არ გავიხსენოთ მისი როლი და უდიდესი ღვაწლი, კერძოდ, ქართული ეროვნულ შეიარაღებული ძალების ორგანიზაციისა და განმტკიცების საქმეში.

ის იყო, საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება და საქართველოს რევოლუციური კომიტეტი შეუდგა სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, მათ შორის, სამხედრო-საზღვაო კომისარიატის ორგანიზაციას. 1921 წლის 2 მარტით დათარიღებულ წერილში ვლადიმერ ილიას ძე სწერდა გ. კ. ორჯონიკიძეს:

„გადაეცით ქართველ კომუნისტებს და სპეციალურად საქართველოს რევკომის ყველა წევრს ჩემი მხურვალე სალამი საბჭოთა საქართველოსადმი. განსაკუთრებით ვთხოვ მათ, მაცნობონ — არის თუ არა ჩვენს შორის სრული თანხმობა სამ საკითხში.

პირველი: საჭიროა დაუყოვნებლივ შევაიარაღოთ მუშები და ულარიბესი გლეხობა და ამნაირად შევქმნათ საქართველოს მტკიცე წითელი არმია... გთხოვთ პასუხს“.[1]

გ. კ. ორჯონიკიძე, უპასუხებდა რა ამ წერილზე. დეპეშით ატყობინებდა ვ. ი. ლენინს:

„თქვენ მიერ მითითებულ საკითხებზე შემიძლია გაცნობოთ, რომ ქართველ კომუნისტებს სრული ერთსულოვნება აქვთ ჩვენთან. მუშები და გლეხები იარაღდებიან... ორჯონიკიძე“.[1]

ქართული წითელი არმიის შექმნის იურიდიულ დასაწყისად უნდა ჩაითვალოს 1921 წლის 21 მარტი, როცა გამოიცა საქართველოს სამხედრო-საზღვაო კომისრის ბრძანება მენშევიკური არმიის დაშლისა და საქართველოს წითელი არმიის ფორმირების დაწყების თაობაზე. 1921 წლის 20 მარტს თბილისიდან ბათუმს ჩავიდა სახალხო კომისარი შ. ელიავა, დაწვრილებით გაეცნო მდგომარეობას მენშევიკური არმიის სამხედრო ნაწილებში, მეთაურთა შემადგენლობას და მეორე დღეს ხელი მოაწერა საორგანიზაციო ბრძანებას.

ეს ბრძანება ითვალისწინებდა სამხედრო ნაწილების დაშლის წესს და გრძელვადიან შვებულებაში 1895 წელს და უფრო ადრე დაბადებულ რიგით ჯარისკაცთა და უმცროს მეთაურთა შემადგენლობის გაშვების მორიგეობას. აქვე მითითებული იყო ღონისძიებანი და ვადები დარჩენილი იმ პირადიშემადგენლობის ფორმირებისა ძირეული რეორგანიზაციის საფუძველზე, რომელმაც აღიარა თავისი ერთგულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი. ჯარების სარდლად დაინიშნა გენერალი გ. მაზნიაშვილი, რომელსაც დაევალა საორგანიზაციო ბრძანების შესრულება. თუმცა ფაქტიურად მანამდე, 1921 წლის მარტის პირველ რიცხვებში, ბათუმში თავმოყრილი მენშევიკური არმიის მთელი რიგი ნაწილები, გადმოვიდნენ საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე, დაინახეს თუ არა მენშევიკუ-

---

1. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. 32, გვ. 189, სახელგამი, 1953 წ.

1 გ. კ. ორჯონიკიძე, „სტატიები და სიტყვები, 1 ტომი, გვ. 211, სახელგამი, 1953 წ.

რი მთავრობის მიერ ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების გაცემა, სახელდობრ, მენშევიკური მთავრობის შეთანხმება თურქეთის ხელისუფლებთან, გადასცემოდა თურქეთს მთელ რიგი ქართული დასახელებული პუნქტები, მათ შორის, ქალაქი ბათუმიც.

ბათუმის რევოლუციურმა კომიტეტმა საბჭოთა საქართველოს ტერიტორიიდან თურქ ოკუპანტების გასადევნად საბჭოთა მთავრობის მხარეზე გადმოსულ მენშევიკური ჯარის ნაწილებში დიდი პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა გააჩაღა. როცა დარწმუნდა, რომ ეს ნაწილები მზად არიან შეასრულონ საბრძოლო ამოცანა, ჯარების სარდლად დანიშნა გენერალი გ. მაზნიაშვილი, ხოლო სამხედრო კომისრად რევკომის წევრი თენგიზ ჟღენტი. სულ რამდენიმე დღეში თურქეთის საოკუპაციო ჯარები სასტიკად იქნენ დამარცხებული და საბჭოთა საქართველოს მიწა-წყლიდან განდევნილი, ხოლო ნაწილი დატყვევებული.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველსავე დღეებში ქართველმა ახალგაზრდობამ თურქ დამპყრობლებთან გამართულ გააფთრებულ ბრძოლებში უხვად დაღვრილი სისხლით დაამტკიცა უსაზღვრო ერთგულება თავისი ხალხის ინტერესებისა და საბჭოთა სამშობლოსადმი.

1921 წლის აპრილისათვის საბჭოთა საქართველოს უკვე ჰყავდა თავისი არმია, რომელშიაც შედიოდა ოთხი ქვეითი პოლკი, ორი ცხენოსანთა პოლკი, სამბატარეანი შემადგენლობის ცალკე საარტილერიო დივიზიონი, ორი ჯავშნიანი მატარებელი, სხვადასხვა სპეციალური და ზურგის ნაწილები, რიგითთა და მეთაურ-უფროსთა შემადგენლობა 17 ათასი კაცის საერთო რაოდენობით. წითელ მეთაურთა მოსამზადებლად მოეწყო კურსები, სადაც სწავლობდა უმთავრესად კომკავშირული საგზურით მივლინებული 43 კურსანტი.

იმხანად საქართველოს მეტად მძიმე ფინანსური მდგომარეობა ჰქონდა, რესპუბლიკის სუსტად განვითარებულ ეკონომიკას არ შეეძლო უზრუნველეყო მთლიანად არმიის ზრდა-განმტკიცება საჭირო რაოდენობის შეიარაღებით, საჭურველით, ფორმის ტანსაცმლით და ა. შ. ყოველივე ამან აიძულა საბჭოთა საქართველოს მთავრობა არა მარტო დროებით შეეჩერებინა ქართული წითელი არმიის ნაწილების შემდგომი ფორმირება, არამედ შეემცირებინა ზოგიერთი საჯარისო შენაერთი და ნაწილი.

ემიგრირებული მენშევიკური მმართველნი, მათი მფარველები — მეორე ინტერნაციონალის ხელმძღვანელები, აგრეთვე, ზოგიერთი კაპიტალისტური ქვეყანა ვერასგზით ვერ ურიგდებოდნენ საბჭოთა წყობილების დამყარებას საქართველოში, საბჭოთა რუსეთთან და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან საბჭოთა საქართველოს მეგობრობის თანდათან განმტკიცებას. მხედველობაში ღებულობდნენ და [illegible] მიზნით იყენებდნენ რა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის შინაგან ეკონომიურ და სხვა ხასიათის დროებით სიძნელეებს, ისინი ყოველმხრივ ცდილობდნენ გაემწვავებინათ საბჭოთა საქართველოს უამისოდაც რთული საერთაშორისო მდგომარეობა, ამასთან, მთავარი მახვილი გადაქონდათ იმაზე, თითქოს საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა და ისევ იქცა რუსეთის პროვინციად, თითქოს იგი ოკუპირებული იქნა რუსეთის შეიარაღებული ძალებით, თითქოს საბჭოთა ხელისუფლება ეყრდნობოდა მხოლოდ და მხოლოდ რუსულ ხიშტებს.

ისინი ლამობდნენ რუსეთის წითელი არმიის ნაწილების გაყვანას საბჭოთა საქართველოდან, იმ იმედით, რომ წითელი არმიის ნაწილების გაყვანის შემთხვევაში, მათი კუდები — ყოფილი თავადები, აზნაურები, ოფიცრები და სხვა კონტრრევოლუციური ელემენტები შეძლებდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, საბჭოთა რუსეთისაგან საქართველოს კვლავ ჩამოშორებას და საერთაშორისო რეაქციის დასაყრდენად მის გადაქცევას.

მაგრამ კომუნისტური პარტიის და მისი ბელადის დიდი ლენინის შორსმხედველმა პოლიტიკამ წინასწარ განჭვრიტა რა რევოლუციის რენეგატების — საქართველოში კვლავ გაბატონების სურვილით შეპყრობილი მენშევიკების შესაძლებელი ოინები და ხრიკები, იმთავითვე გაითვალისწინა აუცილებელი რეალური ღონისძიებანი.

შექმნილი ვითარება მოითხოვდა, რომ საქართველოს კომუნისტურ პარტიას და მთავრობას უმოკლეს ვადაში მიეღო ეფექტური ზომები რესპუბლიკის ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების, უწინარეს ყოვლისა, ქართული წითელი არმიის გასაძლიერებლად. სწორედ ამას აქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას ვ. ი. ლენინი. სრულიად საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობის წინადღეს ლენინი სწერდა გ. კ. ორჯონიკიძეს:

„ამხ. სერგო! აბსოლუტურად აუცილებელია, რომ საქართველოს საბჭოების ყრილობამ მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს წითელი არმიის უეჭველი გაძლიერების შესახებ და რომ ეს გადაწყვეტილება ნამდვილად შესრულდეს.

უკიდურეს შემთხვევაში, თუ გლეხები წინააღმდეგი არიან, უნდა გატარდეს გადაწყვეტილება თუნდაც უაღრესად ზოგადი სახით: აუცილებლად იქნეს ცნობილი „საქართველოს წითელი არმიის უეჭველი გაძლიერება, მოვუწოდოთ ხელისუფლების ყველა ორგანოს და

მთელ მშრომელ მასებს იმუშაონ ამ საქმეზე“ და სხვა.

მაგრამ *საქმით* რაღაც უნდა დაჯდეს, და *დაუყოვნებლივ* უნდა გავადიდოთ და გავაძლიეროთ საქართველოს წითელი არმია. თავდაპირველად დაე იყოს ბრიგადა, თუნდაც უფრო ნაკლები. 2-3 ათასი წითელი კურსანტი, აქედან ათას ხუთასი კომუნისტი, რომ ამ კურსანტებს (როგორც კადრებს) შეეძლოთ არმიად გაშლა, *როცა ეს საჭირო გახდება*, — ეს აბსოლუტურად აუცილებელია.

შესაძლოა სტალინმა დაუმატოს უფრო ვრცლად შესრულების სამხედრო-ტექნიკურ წესებზე.

მე ვჯერდები საქმის პოლიტიკურ მხარეს: ამის შეუსრულებლობისათვის პარტიიდან გაგაგდებთ *მოურიდებლად*. აქ ხუმრობა არ შეიძლება. **ეს პოლიტიკურად აბსოლუტურად აუცილებელია, და როგორც თქვენ პირადად,** ისე საქართველოს მთელი ცენტრალური კომიტეტი პასუხს აგებთ ამისათვის მთელი პარტიის წინაშე. თქვენი ლენინი. 13/ XI.[1]

სრულიად საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობა გაიხსნა თბილისში 1922 წლის 25 თებერვალს და დამთავრდა 3 მარტს. იგი იხილავდა და წყვეტდა მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს აქტუალურ საკითხებს რესპუბლიკის ეკონომიკის განსამტკიცებლად; იქვე ირჩეოდა საქართველოს წითელი არმიის საკითხი. მომხსენებელმა სამხედრო-საზღვაო კომისარმა შ. ელიავამ ყრილობას განუცხადა, ეკონომიური სიძნელეების გამო ქართული არმიის შექმნის გეგმა მთლიანად ვერ შესრულდა და უფრო მეტი, დაგვჭირდა რეორგანიზაცია. მისი შემცირების მიზნითო. ამასთან შ. ელიავამ ყრილობის ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა და საერთაშორისო ვითარება დაჟინებით მოითხოვს საქართველოში ისეთი წითელი არმიის არსებობას, რომელიც შესძლებდა საბჭოთა ხელისუფლების ინტერესების და სახელმწიფო საზღვრების დაცვას. ვიდრე არ შეიქმნება სწორედ ასეთი არმია, არ შეიძლება დაისვას საქართველოს ტერიტორიიდან რუსული სამხედრო ნაწილების გაყვანის საკითხი. პირიქით, აუცილებელია მივილოთ მიმართვა საბჭოთა რუსეთის მთავრობისადმი და ვთხოვოთ მას, დასტოვოს საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის წითელი არმიის ნაწილებიო. მან აღნიშნა, აგრეთვე, ქართულ საარმიო ფორმირებათა განმტკიცების და განვითარების საქმეში რუსეთის წითელი სამხედრო ნაწილების პრაქტიკული და დიდი საბრძოლო გამოცდილების გამოყენების განსაკუთრებული საჭიროება. მომხსენებელმა საგანგებო ყურადღება მიაქცია ქართული ეროვნული სამხედრო კადრების აღზრდის და მომზადების მდგომარეობას. სამხედრო არმიის ყველა სახეობის ჯარისთვის მეთაურთა შემადგენლობას ამზადებს ქართული გაერთიანებული სამხედრო სკოლა, სადაც უკვე 288 კურსანტი სწავლობს, ამასთან, ამ სკოლაში შექმნილია განმეორებითი კურსები ომის დროის ყოფილი ოფიცრების გადასამზადებლად. ამის გარდა, ბათუმში დაარსდა სამხედრო-საზღვაო სასწავლებელი, სადაც სამხედრო-საზღვაოსნო ცოდნას ღებულობს 90 ახალგაზრდა. რაც შეეხება ადგილობრივი სამხედრო სამმართველოს ორგანოებს, უკვე მოქმედებენ რესპუბლიკური, სагუბერნიო, სამაზრო სამხედრო კომისარიატები, რომელთაც აღრიცხული ჰყავთ 140 ათასი სამხედრო ვალდებული, შედგენილი აქვთ 1901-1902 წწ. დაბადებულ წვევამდელთა სიები, და ახლა შეუდგნენ სამობილიზაციო გეგმების შედგენას. მოხსენების დასასრულს საზღვაო-სამხედრო კომისარმა განაცხადა, შეუძლებელია დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოს არსებობა, თუ არ გვეყოლა ჩვენი საკუთარი ეროვნული შეიარაღებული ძალებიო.

ამავე ყრილობაზე ამ საკითხის ირგვლივ საფუძვლიანი მოხსენებით გამოვიდა გ. კ. ორჯონიკიძე, რომელმაც, სხვათა შორის, თქვა: „ჩვენს წინაშე სდგას მორიგი ამოცანა, დაკვრითი ამოცანა—რაღაც არ უნდა დაჯდეს სულ უახლოეს თვეებში გავადიდოთ საქართველოს წითელი არმიის ძლიერება. ჩვენი კომუნისტური პარტია ამისათვის აკეთებს პირდაპირ ყველაფერს, რის გაკეთებაც კი შეუძლია. რამდენიმე დღის წინ მან გადაწყვიტა მოახდინოს პარტიის რიგებიდან 3 ათასი კომუნისტის მობილიზაცია და გადაისროლოს ისინი არმიაში... წითელი არმიის ორგანიზაციისათვის არ კმარა არც წუთიერი ენთუზიაზმი, არც ძალიან მქუხარე ტაშისცემა, არც კარგი მოწოდებები. წითელი არმიის შესაქმნელად საჭიროა რაღაც მეტი... საჭიროა მივცეთ წითელ არმიას პური, მივცეთ მას კარგი ტანსაცმელი, კარგი ყაზარმები. საჭიროა მივცეთ მას საუკეთესო ვაჟიშვილები წითელი არმიისათვის. თუ თქვენ ყოველივე ამას გააკეთებთ, იქნება წითელი არმია, იქნება დამოუკიდებელი საქართველო, იქნება საბჭოთა საქართველო. იქნება ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფო, ხოლო თუ თქვენ ამას არ გააკეთებთ, მაშინ. თქვენ შეგაჩვენებენ მთელი მსოფლიოს მშრომელები... და აი ამხანაგებო, თუ თქვენ გინდათ იყოთ ისეთი ქვეყანა, რომელიც წინ წავიდოდა, თქვენ უნდა შექმნათ საქართველოში მძლავრი წითელი არმია. თქვენ უნდა გააკეთოთ ეს რაღაც უნდა დაჯდეს, აქეთკენ მოგიწოდებთ მე თქვენ“[1]. ამ სიტყვებით დაამთავრა გ. კ. ორჯონიკიძემ თავისი მოხსენება სრულიად

---

1 იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 33, გვ. 226-227, სახელგამი, 1953 წ.

1 გ. კ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, ტ. 1, გვ. 292-296-297, თბ. სახელგამი, 1953 წ.

საქართველოს საბჭოთა პირველ ყრილობაზე.

ყრილობამ ერთხმად მოიწონა მიმართვა საბჭოთა რუსეთისადმი საქართველოს ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ნაწილების დატოვების თაობაზე, აგრეთვე აუცილებელი ღონისძიებები ქართული წითელი არმიის განმტკიცებისა და განვითარებისათვის.

საქართველოს კომუნისტურ პარტიას და მთავრობას ამ დიდი და რთული ამოცანის გადაწყვეტა მოუხდა მეტად მძიმე პირობებში, იმ დროს, როცა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში თარეშობდნენ და მოსახლეობას იკლებდნენ კონტრრევოლუციური ბანდები. მაგ. 1922 წლის სექტემბრის დამდეგს ხევსურეთში, თელავის, სიღნაღისა და თიანეთის მაზრებში მოქმედ ქ. ჩოლოყაშვილის საკმაოდ მოზრდილი კონტრრევოლუციური ბანდის სალიკვიდაციოდ გაიგზავნა შეერთებული საექსპედიციო რაზმი. მასში შედიოდნენ ქართული გაერთიანებული სამხედრო სკოლა (უფროსი ი. ტალახაძე, სამხედრო კომისარი ბ. ძნელაძე). მსროლელთა პირველი ქართული პოლკი (მეთაური ი. ბრეგვაძე), უმცროს მეთაურთა ქართული სკოლა (უფროსი მეთაური პ. სანიკიძე, სამხედრო კომისარი პ. ობოლაძე), აგრეთვე მთელი რიგი სხვა ნაწილები და ქვედანაყოფები. შეერთებულმა საექსპედიციო რაზმმა პირველი ქართული დივიზიის უფროსის ს. ლექვთაძის და სამხედრო კომისრის თ. ქლენტის მეთაურობით წარმატებით შეასრულა სამხედრო ამოცანა, მოსპო ზემოხსენებული ბანდა და დაბრუნდა თბილისში, სადაც მას საზეიმო შეხვედრა მოუწყეს ქალაქის მშრომელებმა. რაზმის პირად შემადგენლობას გამოეცხადა მადლობა. ბევრი მებრძოლი, მეთაური და პოლიტმუშაკი მთავრობამ დააჯილდოვა.

1923 წლის დამდეგს სამხედრო სასწავლებლის პირადმა შემადგენლობამ და ახალგაზრდა ქართული წითელი არმიის ნაწილებმა ასევე ბოლო მოუღეს ოზურგეთის მაზრაში მოქმედ კიდევ ერთ მენშევიკურ ბანდას. კომუნისტური იდეალების და საბჭოთა სამშობლოს ინტერესებისათვის ბრძოლამ შეიწირა ბევრი ახალგაზრდის, მათ შორის, პოლიკარპე სანიკიძის, ალექსანდრე ობოლაძის და დავით ჩუბინაშვილის სიცოცხლე. ამ ბრძოლებში გმირობისა და სიმამაცის გამოჩენისათვის წითელი დროშის ორდენებით დაჯილდოვდნენ მსროლელთა პირველი დივიზიის მეთაური ს. ლექვთაძე, გაერთიანებული სამხედრო სკოლის უფროსი ი. ტალახაძე, სკოლის სამხედრო კომისარი ბ. ძნელაძე, უმცროს მეთაურთა სკოლის კომისარი ა. ობოლაძე, პოლკის ქვედანაყოფების მეთაურები ვ. კილაძე, ა. მამულაშვილი, პოლიტხელი ვ. კაჭარავა.

საქართველოს საბჭოების მეორე ყრილობაზე (1923 წლის 30 დეკემბრიდან 1924 წ. 3 იანვრამდე) ქართული სამხედრო ნაწილების მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა დივიზიის სამხედრო კომისარი თ. ქლენტი. გააკეთა რა ქართული არმიის საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებას დეტალური ანალიზი, მან აღნიშნა, რომ მოკლე ხანში დივიზიის ნაწილებმა, სამხედრო სკოლებმა და სპეციალურმა ქვედანაყოფებმა საკმაოდ კარგ შედეგებს მიაღწიეს. პირადი შემადგენლობის პოლიტიკურ-მორალური მდგომარეობა მაღალია, ხოლო დისციპლინა-დამაკმაყოფილებელია. ნაწილებში და ქვეგანაყოფებში იდეურ-პოლიტიკური აღზრდის და საერთო განათლების ასამაღლებლად მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ინტენსიური მასობრივი მუშაობა. ამ მიზნით ნაწილებში მოქმედებენ: 32 კლუბი, 4 კინოთეატრი, 26 ბიბლიოთეკა. ყოველივე ეს საშუალებას აძლევს სამხედრო ახალგაზრდობას არა მარტო დაეუფლოს სამხედრო ცოდნას, არამედ აიმაღლოს საერთო კულტურა. დემობილიზებული არმიელები, როცა მშვიდობიან შრომას უბრუნდებიან, აქტიურ დახმარებას უწევენ კომუნისტებს სახალხო მეურნეობის აღსადგენად და გასავითარებლად მშრომელი მასების მობილიზაციის საქმეში. დასასრულ, მომხსენებელმა საჭიროდ სცნო გახანგრძლივდეს და გაუმჯობესდეს სწავლება სამხედრო-პოლიტიკურ სკოლაში იმ მიზნით, რომ ამ სკოლის კურსდამთავრებული პოლიტმუშაკნი გახდნენ მაღალ კვალიფიციურნი, როგორც პოლიტიკურად, ისე სამხედრო მომზადების მხრივ.

ამავე ყრილობაზე კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სარდალმა ეგოროვმა მაღალი შეფასება მისცა ქართული წითელი არმიის ნაწილებს, აღნიშნა, რომ მათ კარგ შედეგებს მიაღწიეს არა მარტო პოლიტიკური და საბრძოლო მომზადების საქმეში, არამედ კონტრრევოლუციურ ბანდებთან ბრძოლაშიც, დაამტკიცეს თავისი უსაზღვრო ერთგულება კომუნისტური პარტიისა და მთავრობისადმი. მან გამოთქვა რწმენა, რომ საქართველოს საბჭოების მეორე ყრილობა მიიღებს გადაწყვეტილებას, რომლის ძალით შეიქმნება სწავლების სამილიციო (ტერიტორიულ) სისტემაზე დამყარებული მეორე ქართული მსროლელთა დივიზია, იმ მიზნით, რომ სამხედრო მომზადებამ მოიცვას ახალგაზრდობის მთელი გასაწვევი კონტინგენტი და მომავლისათვის გვეყოლოს, რაც შეიძლება, მეტი მომზადებული სამხედრო კადრები.

გ. კ. ორჯონიკიძემ და შ. ზ. ელიავამ თავიანთ გამოსვლებში სავსებით მხარი დაუჭირეს ამხ. ეგოროვის წინადადებას ქართული წითელი არმიის გაძლიერებისა და მეორე ტერიტორიული დივიზიის შექმნის შესახებ. გ. კ. ორჯონიკიძემ აღნიშნა რა ქართული სამხედრო ნაწილების წარმატებანი, განსაკუთრებული გულთბილობით მოიხსენია დივიზიის მეთაურის ს. ლექვთაძის მოღვაწეობა, გამოთქვა იმედი, რომ საბჭოების მესამე ყრილობისათვის ჩამოყალი-

ბებული ტერიტორიული დივიზია ისე, როგორც მთელი ქართული ჯარი, გახდება უფრო ბრძოლისუნარიანი და საჭიროების შემთხვევაში შესძლებს ღირსეულად დაიცვას საბჭოთა სამშობლოს ინტერესები.

ყრილობამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია ახალი ტერიტორიული დივიზიის ჩამოყალიბების თაობაზე და წინადადება მისცა მთავრობასა და ადგილობრივ ორგანოებს ყოველმხრივი სისტემატური დახმარება გაუწიონ სამხედრო უწყებას ამ საქმეში, რათა არც ერთი ახალგაზრდა მუშა და გლეხი არ დარჩეს არმიის რიგების გარეშე.

მეორე ქართული დივიზია ჩამოყალიბდა 1924 წლის აპრილში, მის ორგანიზაციასთან დაკავშირებით გაორკეცდა ქართული სამხედრო სასწავლებლების კურსანტთა რაოდენობა მეთაურთა და პოლიტმუშაკთა მოსამზადებლად. შემდგომი ქმედითი ღონისძიებებით შესაძლებელი გახდა ქართული ჯარების უფრო გაძლიერება და ორგანიზაციული განმტკიცება, რაც მთავარია, ეროვნული სამხედრო კადრების გადიდება, მათი აღზრდისა და მომზადების გაუმჯობესება. ყოველწლიურად საბჭოთა საქართველოში იწრთობოდა სახმელეთო არმიის ყველა სახეობის ათასობით სპეციალისტი, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, საბჭოთა პატრიოტიზმის, კომპარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით გამსჭვალული ქართული სამხედრო კადრები, რაც შემდგომში მთელი სიცხადით გამოვლინდა და დამტკიცდა დიდი სამამულო ომის წლებში.

ქართული წითელი არმიის მშენებლობის პერიოდი დიდხანს როდი გაგრძელებულა, იგი დაარღვია მენშევიკური ნაძირალების ავანტურისტულმა გამოსვლებმა.

საქართველოდან გაძევებული მენშევიკთა მესვეურები, დასავლეთის ბურჟუაზიული სახელმწიფოების მხარდაჭერის იმედით წაქეზებულნი, საქართველოში დარჩენილ თავის მიმდევართა დახმარებითა და ხელშეწყობით ფიქრობდნენ დაემხოთ საბჭოთა წყობილება და აღედგინათ თავისი ბატონობა. მართლაც, 1924 წლის აგვისტოს დამლევს მენშევიკური არამზადები, ყოფილი თავადები, აზნაურები, მღვდლები და მეფის ოფიცრები საზღვარგარეთ გაქცეულ ბელადთა მითითებით და ყოველი ჯურის კონტრრევოლუციონერთა წაქეზებით, იარაღით გამოვიდნენ საბჭოთა ხელისუფლებისა და საქართველოს მშრომელთა წინააღმდეგ; მათ იმედი ჰქონდათ, რომ მიიმხრობდნენ მოსახლეობას, უწინარეს ყოვლისა, გლეხობას; რომ ახალგაზრდა ქართული წითელი არმია წინააღმდეგობას არ გაუწევდა და გადავიდოდა მათ მხარეზე. მაგრამ იმედი გაუცრუვდათ და მოხდა სულ წინააღმდეგი იმისა, რასაც ვარაუდობდნენ.

საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა, უწინარეს ყოვლისა, კომუნისტებმა, ქართული წითელი არმიის ნაწილებთან ერთად, სულ რამდენიმე დღეში გაანადგურეს მენშევიკური ბანდები და ბოლო მოუღეს ამ კონტრრევოლუციურ წამოწყებას.

მენშევიკურ ავანტურაზე გამარჯვების მთავარი ფაქტორი იყო ის, რომ მას მხარი არ დაუჭირეს მშრომელმა მასებმა. მნიშვნელოვანი როლი ამ ოპერაციაში შეასრულეს ქართული წითელი არმიის ნაწილებმა, რომლებმაც პრაქტიკულად დაამტკიცეს მაღალი მორალურ-პოლიტიკური დონე და მთელი პირადი შემადგენლობის კარგი სამხედრო გაწრთვნილობა.

1924 წლის 5 სექტემბერს გ. კ. ორჯონიკიძემ თბილისის საბჭოს სხდომაზე განაცხადა.

„ამხანაგებო! ჩვენი მტრები დიდ იმედს ამყარებდნენ საქართველოს წითელ არმიაზე. ისინი ყველგან გაიძახოდნენ საქართველოს მთელი წითელი არმია ჩვენს მხარეზეა და ისიც გამოვა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მაგრამ როგორ გაუცრუვდათ მათ იმედი, როდესაც პირველსავე დღეს ქართულმა ნაწილებმა ბრწყინვალედ შეასრულეს ბრძანება „დაჰკათ ნაციონალ-დემოკრატთა და მენშევიკთა ბანდებს“. საქართველოს ახალგაზრდა წითელმა არმიამ, რომელსაც აქამდე არც ერთ ბრძოლაში არ მიუღია მონაწილეობა. „სამოქალაქო ომის“ ცეცხლში მიიღო ნათლობა და უაღრესად გადაჭრით შეება მუშურ-გლეხური ხელისუფლების მტრებს“. სიტყვა გ. კ. ორჯონიკიძემ დაამთავრა მოწოდებით.

„გაორკეცებული, გაათკეცებული ენერგიით შევუდგეთ კვლავ, ამხანაგებო, ჩვენი ქვეყნის კულტურულ-ეკონომიური აღორძინებისათვის მუშაობას. უფრო მეტი ყურადღებით მოვეპყროთ ჩვენი გლეხობის საჭიროებას. უფრო მეტი სიყვარულით მოვეპყროთ ჩვენს ახალგაზრდა ქართულ წითელ არმიას, რომელიც ამ დღეებში უჭკნობი დიდებით შეიმოსა“ [1].

ამ ავანტურის დამარცხების შემდეგ, შეიქმნა სრული შესაძლებლობა მშვიდობიან ვითარებაში დამთავრებულიყო ორგანიზაციული ღონისძიება ახალი სამხედრო ნაწილების ჩამოსაყალიბებლად. კიდევ უფრო განმტკიცებულიყო ორგანიზებულობა და სამხედრო დისციპლინა, ამაღლებულიყო პირად შემადგენლობის — ეროვნული სამხედრო სპეციალისტების საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ხარისხი.

სახალხო მეურნეობის აღდგენის ნაყოფიერმა შედეგებმა საქართველოს კომპარტიასა და მთავრობას საშუალება მისცა გაეუმჯობესებიათ მშრომელთა კეთილდღეობა და ამასთან აემაღლებიათ ქართული წითელი არმიის პირადი შემადგენლობის მატერიალური უზრუნველყოფის დონე, რასაც არ შეიძლებოდა არ გაეუმჯობე-

[1] გ. კ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, ტ. I, გვ. 441-442, 453, სახელგამი, 1953 წ.

სებია ახალგაზრდობის სამხედრო აღზრდის საქმე.

1925 წლის დასასრულს ქართული წითელი არმია უკვე წარმოადგენდა სავსებით ბრძოლისუნარიან სამხედრო გაერთიანებას, რომელიც მთელ წითელ არმიასთან ერთად იდგა ჩვენი სოციალისტური ქვეყნის სახელმწიფო საზღვრების სადარაჯოზე.

ქართული სამხედრო სასწავლებლების მოღვაწეობა თუმცა დიდხანს არ გაგრძელებულა, მაგრამ იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი და ფრიად ნაყოფიერი, მათ მოამზადეს ქართული წითელი არმიისათვის მეთაურთა და პოლიტ-მუშაკთა მთელი ძირითადი მასა. ბევრმა ქართველმა მხედართუფროსმა. რომელთაც თავი გამოიჩინეს დიდ სამამულო ომში, პირველი სამხედრო განათლება ამ სასწავლებელში მიიღეს და აქ აღიზარდნენ პარტიისა და სამშობლოსადმი უსაზღვრო თავდადების სულისკვეთებით, ხოლო ზოგიერთმა აქ აღზრდილმა თავისი გმირობით, მამაცობითა და მამულისათვის თავგანწირვით უმაღლესი წოდება — საბჭოთა კავშირის გმირის წოდება დაიმსახურა.

ბათუმის სამხედრო-საზღვაო სასწავლებელმა თავისი არსებობის ორი წლის მანძილზე პირველდაწყებითი პოლიტიკური აღზრდა და სამხედრო-საზღვაოსნო განათლება მისცა ბევრ ქართველ სამხედრო მეზღვაურს. აქ სწავლობდნენ კონტრადმირალები ს. ა. კაპანაძე, ვ. ნ. ლეჟავა, კ. დ. სუხიაშვილი, ოფიცრები ლ. ჭინჭველაძე, შ. ჟუჟუნაძე, პ. ჩეჩელაშვილი, ვ. ცინცაძე და სხვები.

ქართული წითელი არმიის პირადი შემადგენლობის პოლიტიკური აღზრდის საქმეში დიდმნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის 1922 წელს დაარსებულს ქართულ სამხედრო-პოლიტიკურ სკოლას, რომელმაც მოამზადა ქართველ სამხედრო პარტიულ-პოლიტიკურ მუშაკთა დიდი უმრავლესობა. აქ მიიღო წრთობა სამასამდე ქართველმა სამხედრო პოლიტიკურმა ხელმძღვანელმა, რომელთაგან ბევრმა თავი ისახელა დიდი სამამულო ომის წლებში იმ მხრივ, რომ მარჯვედ, მიზანსწრაფულად ეწეოდნენ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას ბრძოლების ორგანიზაციის, და მიმდინარეობის დროს, ხოლო ზოგჯერ, საჭიროების შემთხვევაში, ცვლიდნენ ნაწილებისა და შენაერთების მეთაურებს. ამ თავდადებულ სამხედრო პარტიულ-პოლიტიკურ მუშაკთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავი არიან: მ. ბუსკაძე, ა. კაკაბაძე, ბ. კაკაურიძე, ვ. კოხრეიძე, ვ. კიკალიშვილი მ. მაჩიტაძე, ი. მითაიშვილი, მ. ნოზაძე, გ. რობაქიძე, ვ. ხუსკივაძე, კ. ხუჭუა, პ. ჩხიკვიშვილი და სხვები.

მეთაურთა აღზრდის მთავარ სამჭედლოდ იქცა ქართული გაერთიანებული სამხედრო სკოლა, რომელიც ამზადებდა კადრებს სახმელეთო არმიის თითქმის ყველა სახეობის ჯარებისათვის.

საქართველოს კ. პ. ცკ-ის და მთავრობის უშუალო ხელმძღვანელობით, გ. კ. ორჯონიკიძისა და შ. ზ. ელიავას სისტემატური ხელშეწყობით, კომკავშირული ორგანიზაციების მიერ გაწეულმა მუშაობამ სკოლის მეთაურებს საშუალება მისცა ეს სასწავლებელი სულ მოკლე ხანში გადაექციათ ერთ-ერთ საუკეთესო სკოლად მთელს საბჭოთა კავშირში. სკოლაში უდიდესი მნიშვნელობა ეძლეოდა კურსანტების აღზრდას პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით. სკოლაში მაღალ დონეზე იდგა სამხედრო დისციპლინა და ორგანიზებულობა. მცირეოდენი უსაქციელობა და წესრიგის დარღვევა არა მარტო კომკავშირული ორგანიზაციის, არამედ კურსანტთა მთელი საზოგადოებრიობის მსჯელობის საგანი ხდებოდა. კურსანტებში ინერგებოდა მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა, როგორც პირადი ყოფაქცევისათვის, ისე სამხედრო წესრიგის დაცვისათვის ქვედანაყოფში. ბუნებრივია, თუ სამხედრო საგნების სწავლებას ეთმობოდა მნიშვნელოვანი დრო და ადგილი, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა შესასწავლი დისციპლინების პრაქტიკულ ათვისებას, მათ თეორიულ საფუძვლების შესწავლასთან ერთად. ყოველი კურსანტი ატარებდა გარკვეული რაოდენობის მეცადინეობას სხვადასხვა თემაზე და დისციპლინებში იმისათვის, რომ დაუფლებოდნენ ხელქვეით ჯარისკაცთა წრთობის ჩვევებს. სამხედრო-პოლიტიკური მომზადების პარალელურად, კურსანტები სწავლობდნენ საერთო-საგანმანათლებლო საგნებს. მათთან სამეცადინოდ მოწვეული იყვნენ მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგები, მათ შორის შემდგომში სახელგანთქმული აკადემიკოსები გიორგი ახვლედიანი, დიმიტრი უზნაძე და სხვები.

საგანგებო ყურადღება ექცეოდა საველე წრთობას, სამწყობრო და ფიზიკურ მომზადებას. ყოველწლიურად სამი თვე ხმარდებოდა საბანაკო სწავლება-მეცადინეობას სოფელ ადგილას, სადაც კურსანტები ფიზიკურად კაჟდებოდნენ და ღებულობდნენ პრაქტიკულ გამოცდილებას მომავალ სამხედრო სპეციალობაში. ვინაიდან იმავე ადგილებში იმართებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამხედრო სკოლების საბანაკო შეკრებები, კურსანტებს საშუალება ეძლეოდათ ახლო ურთიერთობა დაემყარებინათ სხვა ეროვნების კურსანტებთან და ჯანსაღი სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე პრაქტიკულად განეხორციელებიათ ძმური მეგობრობა ერთმანეთს შორის, ახალგაზრდა მეთაურთა შორის. აღზრდისა და სწავლების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის სკოლის უფროსებს, სამხედრო კომისრებს, მეთა-

ურ-უფროსთა შემადგენლობასა და პედაგოგებს.

როგორც უკვე აღინიშნა, ქართული გაერთიანებული სამხედრო სკოლის პირადი შემადგენლობა აქტიურ, სისტემატურ მონაწილეობას ღებულობდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის მიღებულ ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებაში.

ამ სკოლაში მიღებული ცოდნა და მეომრული გამოცდილება მისმა აღზრდილებმა, რომლებიც შემდგომში მეთაურობდნენ ქვედანაყოფებსა და ნაწილებს, წარმატებით გამოიყენეს ბრძოლებში ხასანის ტბის რაიონში, სსრ კავშირის ჩრდილოეთ საზღვარზე (ფინეთში) და ბელორუსიისა და უკრაინის დასავლეთ ოლქების განთავისუფლებისათვის. ამ სკოლის აღზრდილთა დიდი ნაწილი სამამულო ომის წლებში ვრცელი ფრონტის სხვადასხვა უბანზე წარმატებით ართმევდა თავს მოვალეობას, როგორც უფროსი და უმაღლესი მეთაური, რისთვისაც ბევრი მათგანი დაჯილდოებული იქნა საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე სახელმწიფოების ორდენებითა და მედლებით, ხოლო გენერალ-პოლკოვნიკ პ. ჩანჩიბაძეს, პოლკოვნიკ ა. გეგეშიძეს, პოლკოვნიკ ბ. ზუმბულიძეს და პოდპოლკოვნიკ ვ. ლესელიძეს მიენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

1921 წლიდან 1927 წლამდე სკოლამ გამოუშვა საშუალო სამხედრო და პოლიტიკური განათლების 591 სპეციალისტი, რომელთაგან ბევრმა შემდგომში დაიკავა საპასუხისმგებლო თანამდებობა საბჭოთა არმიაში, ასე, მაგალითად: საერთო-საჯარისო არმიების სარდლები იყვნენ გენერალ-პოლკოვნიკი კ. ლესელიძე და გენერალ-პოლკოვნიკი პ. ჩანჩიბაძე, არმიის, ხოლო შემდეგ სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი იყო გენერალ-ლეიტენანტი ვ. პ. მჟავანაძე; კორპუსის მეთაური, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის პირველი მოადგილე — გენერალ-მაიორი ი. ბაბალაშვილი, ამიერკავკასიის ფრონტის პოლიტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე — პოლკოვნიკი ი. მაისაია, არმიის სარდლის მოადგილეები საბრძოლო მომზადებაში — გენერალ-მაიორები ნ. კილაძე და პ. შიოშვილი, ფრონტის კონტრდაზვერვის სამმართველოს უფროსი — გენერალ-მაიორი მ. როსტომაშვილი, კორპუსის მეთაური — გენერალ-მაიორი ნ. თავართქილაძე; კორპუსის მეთაურის მოადგილეები — გენერალ-მაიორი ი. რაზმაძე და არტილერიის გენერალ-მაიორი გ. ჯინჭარაძე, ფლოტის სარდლის მოადგილე კონტრადმირალი მ. ჯინჭარაძე, შავი ზღვის ფლოტის სადაზვერვო სამმართველოს უფროსი — გენერალ-მაიორი დ. ნამგალაძე. დივიზიის მეთაურები — გენერალ-მაიორები პ. აბრამიძე, კ. ჯახუა, ვ. ძაბახიძე, მ. კიკნაძე, გ. ყურაშვილი, ი. სილაგაძე. პოლკოვნიკები ა. ბაჯელიძე, დ. ბაქრაძე, მ. ყაზიშვილი, ი. ქანთარია, გ. კანაჩაძე, ა. ნაკაშიძე და სხვები, საავიაციო შენაერთების მეთაურები იყვნენ — პოლკოვნიკები ა. დაჩანიძე, შ. ძამაშვილი, ა. მიხჯიაშვილი და სხვები; დივიზიის სამხედრო კომისრები — პოლკოვნიკები შ. ქვანია, ვ. ონიანი, კ. სოხაძე, გ. ჩარგეიშვილი, კ. ჩირაძე, გ. გუმბერიძე, პოდპოლკოვნიკი გ. ენუქიძე და სხვები. დივიზიის მეთაურის მოადგილეები და ნაწილების მეთაურები იყვნენ: — პოლკოვნიკები გ. ალიბეგაშვილი, ა. ანთაძე, კ. ასათიანი, გ. ბაზარაშვილი, დ. ბექანიძე, ქ. ბეალავა, შ. ვასაძე, ვ. გაგუა, ა. გეგეშიძე, ი. გირგვლიანი, შ. გოგიშვილი, ლ. გოგატიშვილი, ი. გორგიშვილი, შ. ჯაში, ფ. დომუზაშვილი, ბ. ზუმბულიძე, ე. ქანთარია, ფ. კარახანაშვილი, ა. ქვათაძე, ი. მალალაშვილი, გ. მანაგაძე, დ. მაჭარაძე, ტ. მეძმარიაშვილი, გ. ნადირაძე, დ. საცერაძე, ა. სხირტლაძე, ს. ტარიელაშვილი, ა. ჩიჩუა, ტ. ჭოხონელიძე, ა. შავლიაშვილი, ვ. შარაშენიძე, პოდპოლკოვნიკები ბ. გამკაძე, ნ. გველესიანი. ვ. ჯინჭარაძე, შ. ქარუმიძე, ვ. ლესელიძე, რ. მალალაშვილი, ი. მაჭავარიანი, გ. სიხარულიძე, ი. ხახანაშვილი, გ. ელიოსიძე და ბევრი სხვა.

საბჭოთა ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვისათვის ბრძოლებში დიდი ძალი სისხლი, მათ შორის, ბევრი ქართველი მეომრის სისხლი დაიღვარა. დიდი სამამულო ომის ფრონტებზე გმირულად დაეცნენ ბრძოლის ველზე ქართული გაერთიანებული სკოლის ბევრი კურსდამთავრებული, მათ შორის, გ. ალიბეგაშვილი, ვ. გაგუა, შ. გოგიშვილი, დ. დარბაისელი, ი. დევიძე, ს. დეგელოვი, მ. ყაზიშვილი, ი. ქანთარია, ვ. ქარჩხაძე, ა. ქვათაძე, ვ. ლესელიძე, გ. მეძმარიაშვილი, ი. მალალაშვილი, რ. მალალაშვილი, ბ. საყვარელიძე, ს. ტარიელაშვილი, ი. ხახანაშვილი, დ. ჭიჭინაძე, ს. შერაზადიშვილი, გ. ელიოსიძე და სხვ.

1927 წლის დამლევს ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეროვნული სამხედრო სკოლები, მათ შორის ქართულიც, გაერთიანდნენ ერთ სკოლად — ა/კ საქვეითო სკოლად, რომელიც ამზადებდა ეროვნულ კადრებს მსროლელი ჯარებისათვის. დანარჩენი სახეობის სამხედრო სპეციალისტებს ამზადებდნენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა სამხედრო სასწავლებლები, სადაც მრავალმა ქართველმა ახალგაზრდამ მიიღო საშუალო სამხედრო განათლება, გარდა ამისა, საშუალო მეთაურ-უფროსთა შემადგენლობის დაკომპლექტება ხდებოდა ზევადიანი სამსახურის უმცროსი მეთაურებით, რომლებიც წინასწარ სათანადო საშუალო განათლებას ღებულობდნენ და ექსტერნად აბარებდნენ გამოცდებს საშუალო სამხედრო განათლების პროგრამის ფარგლებში.

საშუალო მეთაურთა და უფროსთა შემადგე-

ნლობის მომზადება თადარიგში ჩასარიცხავად, როგორც წესი, ხდებოდა სამოქალაქო უმაღლესი სასწავლებლების სამხედრო კათედრებსა და ერთწლიან კურსებზე ჯარის ნაწილებში. ბევრი მათგანი, რომლებიც წარმატებით ამთავრებდნენ კურსს, ირიცხებოდნენ, კადრში და ინიშნებოდნენ ოცეულის მეთაურებად.

მთელმა რიგმა ქართველმა ახალგაზრდებმა, რომლებმაც პირველდაწყებითი სამხედრო განათლება ა/კ საქვეითო სკოლაში ან წითელი არმიის სხვა სასწავლებლებში მიიღეს, შემდეგში დაიკავეს მაღალი საკომანდო და პოლიტიკური თანამდებობა. ასე, მაგალითად, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი ვლ. ნანეიშვილი, რომელმაც პირველდაწყებითი განათლება საავიაციო სკოლაში მიიღო, ფინეთის კამპანიის დროს უკვე მეთაურობდა საავიაციო ბრიგადას: მამაცობისა და გმირობისათვის მიიღო საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და ავიაციის გენერალ-მაიორობა. დიდი სამამულო ომის წლებში ეჭირა საჰაერო არმიის სარდლის მოადგილის, ხოლო შემდეგ საჰაერო არმიის სარდლის თანამდებობა.

გენერალ-მაიორი დ. შანშაშვილი, რომელმაც ა/კ საქვეითო სკოლა დაამთავრა, ლენინგრადის დაცვის მრისხანე წლებში იყო საჰაერო არმიის სამხედრო საბჭოს წევრი.

გენერალ-ლეიტენანტი ვლ. ჯანჯღავა, რომელმაც საშუალო სამხედრო განათლება ა/კ სკოლაში მიიღო, ბერლინის ოპერაციის დროს მეთაურობდა 354-ე მსროლელთა დივიზიას, საბრძოლო ამოცანების ბრწყინვალე შესრულებით დაიმსახურა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება; სამსახური არმიაში დაასრულა მსროლელთა კორპუსის მეთაურის თანამდებობაზე.

გენერალ-ლეიტენანტი ა. ინაური — კრასნოდარის საკავალერიო სასწავლებლის აღზრდილი, 1942 წელს მეთაურობდა ცხენოსანთა დივიზიას ირანში, შემდეგ მექანიზირებულ დივიზიას გერმანიაში. მიაღწია სამთო-მსროლელთა კორპუსის მეთაურის პოსტს.

გენერალ-ლეიტენანტი მ. ღლონტი (დაამთავრა ა/კ საქვეითო სკოლა) კავკასიის გმირული დაცვის პერიოდში სათავეში ედგა ჯერ მე-10, შემდეგ მე-11 გვარდიულ მსროლელთა კორპუსს; თადარიგში გავიდა გვარდიული არმიის შტაბის უფროსის თანამდებობიდან.

ვიცე-ადმირალი გ. აბაშვილი — ლენინგრადის სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის აღზრდილი, ლენინგრადის დაცვის აქტიური მონაწილე, მეთაურობდა საესკადრო ნაღმოსანთა დივიზიონს, ხოლო დიდი სამამულო ომის შემდეგ, ეჭირა რა რიგი დიდი საპასუხისმგებლო პოსტები, გახდა ფლოტის სარდლის მოადგილე.

გენერალ-მაიორი ე. კობერიძე (დაამთავრა, საქ. ცაკის სახელობის სანიმუშო სკოლა მოსკოვში) ომის წლებში მეთაურობდა მსროლელთა დივიზიას, რომელმაც თავი ისახელა პოზნანის ოპერაციის დროს, — შტურმით აიღო ძლიერ გამაგრებული რაიონი და ქალაქი ვაჟკაცური შემართებისა და სიმამაცისათვის ე. კობერიძეს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ავიაციის გენერალ-მაიორი შ. ჰანკოტაძე (კიევის სამხედრო-საავიაციო სკოლის კურსდამთავრებული), სამამულო ომის წლებში მეთაურობდა პირველად საავიაციო პოლკს, შემდეგ — საავიაციო-სატრანსპორტო დივიზიას.

გენერალ-ლეიტენანტი ხ. ხარაზია (დაამთავრა კრასნოდარის საკავალერიო სასწავლებელი) 1941 წლის აგვისტოდან იყო 21-ე ცხენოსანთა დივიზიის მეთაურის მოადგილედ, ხოლო სტალინგრადის ოპერაციების დროს მე-4 გვარდიული ბრიგადის მეთაური. ომის შემდეგ მეთაურობდა სხვადასხვა შენაერთებს.

კონტრადმირალი ს. რამიშვილი (ლენინგრადის სამხედრო-საზღვაოსნო სასწავლებლის აღზრდილი) ფინეთის კამპანიის პერიოდში მეთაურობდა საგანგებო დანიშნულების რაზმს, შემდეგ დაინიშნა ზემოხსენებული სასწავლებლის უფროსად, 1941 წლის მაისში მიენიჭა კონტრადმირალის წოდება. ლენინგრადის დაცვის წლებში მეთაურობდა კურსანტთა ბრიგადას, ხოლო შემდეგ დაინიშნა სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამხედრო-საზღვაო სასწავლებლების უფროსად.

გენერალ-მაიორი ი. ჯორჯაძე სამხედრო მეცნიერების შესწავლას დაეწაფა ჯერ კიდევ ლენინგრადის სამთო ინსტიტუტში. 1940 წელს წარმატებით დაამთავრა საარტილერიო აკადემია. ბერლინის ოპერაციის დღეებში მეთაურობდა საარტილერიო პოლკს: ომის შემდეგ განაწესეს პედაგოგად იმავე აკადემიაში, რომელიც დაამთავრა. აქ დაიცვა ჯერ საკანდიდატო, შემდეგ სადოქტორო დისერტაცია და სათავეში ჩაუდგა კათედრას.

ავიაციის გენერალ-მაიორი ე. ტატანაშვილი (დაამთავრა სამხედრო-საავიაციო სკოლა) დიდ სამამულო ომში წარმატებით მეთაურობდა საავიაციო დივიზიას.

გენერალ-მაიორმა პ. ჩხობაძემ დაამთავრა უმაღლესი საშტაბო კურსები და 1940 წელს დაინიშნა მოტორიზებული პოლკის მეთაურად. ეს პოლკი ფრიად აქტიურად მოქმედებდა მოსკოვის დასაცავად გაჩაღებულ გააფთრებულ ბრძოლებში. თადარიგში გავიდა 414-ე ქართული მსროლელთა დივიზიის მეთაურის თანამდებობიდან.

ავიაციის გენერალ-მაიორი შ. ქირია (დაამთავრა სამხედრო-საავიაციო სასწავლებელი) მსახურობდა შორეულ აღმოსავლეთში განლაგებულ საავიაციო ნაწილებში; დიდი სამამულო ომის წლებში სახელი მოიხვეჭა როგორც ერთ-ერთმა საუკეთესო საჰაერო ას-მა: 1944 წლის

26 ოქტომბერს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

1-ელი რანგის კაპიტანი იარო იოსელიანი (დაამთავრა ლენინგრადის სამხედრო-საზღვაო სასწავლებელი) უმთავრესად მსახურობდა წყალქვეშა ნავების ფლოტში: კავკასიის დაცვის პერიოდში მეთაურობდა წყალქვეშა ნავს შავ ზღვაზე. საბრძოლო დავალებათა ჩინებული შესრულებისათვის, ვაჟკაცური მეომრული შემართებისა და სიმამაცისათვის მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. ომის შემდეგ წყალქვეშა ცურვის სასწავლებლებში ზრდიდა სამხედრო-საზღვაო კადრებს.

საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს საბჭოთა მთავრობის მიერ დიდი ლენინის მითითებათა განუხრელი განხორციელების შედეგი, მათი ყოველდღიური მზრუნველობის შედეგი იყო ის, რომ ქართული სამხედრო ნაწილები და შენაერთები მაღალი პოლიტიკურ-მორალური მდგომარეობით, ორგანიზებულობით და დისციპლინით, მეომრული და პოლიტიკური მომზადებით, დასრულ, ბრძოლისუნარიანობითა და საბრძოლო მზადყოფნით თავისი არსებობის მთელს პერიოდში ითვლებოდნენ როგორც ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის, ისე საბჭოთა კავშირის მთელი წითელი არმიის საუკეთესო სამხედრო შენაერთებისა და ნაწილების მოწინავე რიგებში.

ქართული წითელი არმია მისი არსებობის პირველ წლებში მოინახულეს და მის მდგომარეობას გაეცნენ გამოჩენილი საბჭოთა სამხედრო მოღვაწეები. ასე მაგალითად, 1923 წელს მას ეწვია საბჭოთა კავშირის მარშალი ს. მ. ბუდიონი, 1925 წელს — მ. ვ. ფრუნზე, ხოლო 1936 წელს — საბჭოთა საქართველოსა და მისი არმიის 15 წლისთავზე — სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი კ. ე. ვოროშილოვი. ამ დიდმა საბჭოთა მხედართმთავრებმა ინსპექცია გაუწიეს ქართულ შენაერთებს და ნაწილებს, თან დიდი პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინეს ეროვნული სამხედრო კადრების აღზრდის და მომზადების გაუმჯობესების საქმეში, ასევე ჯარების ბრძოლისუნარიანობისა და საბრძოლო მზადყოფნის ამაღლების საქმეში.

საფუძვლიანად გაეცნო რა ქართული წითელი არმიის მდგომარეობას, ამხ. კ. ე. ვოროშილოვმა 1936 წლის 24 თებერვალს საქართველოს სსრ ცაკის საიუბილეო სესიის საზეიმო სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში ასეთი შეფასება მისცა მას: „...პირველი და მეორე ქართული დივიზიები საბჭოთა მიწაწყლის საზღვრების ხელშეუხებლობის არა მარტო საწინდარს, არამედ პროლეტარული სახელმწიფოს პირობებში საერთო კულტურულ ფაქტორს წარმოადგენდნენ ამავე დროს. ქართული დივიზიები ისე, როგორც მთელი მუშურ-გლეხური წითელი არმია, არა მარტო ამზადებენ ერთგულ, შეუპოვარ, მამაც, რთულ საომარ ტექნიკას სანიმუშოდ დაუფლებულ მედგარ დამცველებს საბჭოთა ქვეყნისა, არამედ წარმოადგენდნენ შესანიშნავ ბოლშევიკურ სკოლას, რომელიც სჭედს მუშაკებს სოციალისტური მშენებლობისათვის... ჩვენ ვიცით, რომ თუ საჭირო გახდება, ჩვენი ძლიერი მუშურ-გლეხური წითელი არმია, რომლის სასახელო შემადგენელი ნაწილია პირველი და მეორე ქართული დივიზიები, მოსპობს და გაანადგურებს თავდამსხმელ მტერს, დაიცავს დამოუკიდებლობას, ხელშეუხებლობას და სოციალიზმის საქმეს ერთიანი დიდი საბჭოთა ხალხის მიწის ყოველ უბანზე... ჩვენ ვიცით ამხანაგებო, რომ მუშურ-გლეხური წითელი არმია, — ეს არის მშვიდობის დასაყრდენი მთელს მსოფლიოში, მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში არ არის არცერთი ისეთი მებრძოლი, ისე როგორც ჩვენს ქვეყანაში არ არის არც ერთი ისეთი მშრომელი, რომელიც ომზე, დაპყრობაზე ოცნებობდეს, მაგრამ ამავე დროს მუშურ-გლეხურ წითელი არმიის რიგებში, მათ შორის, ორდენოსანი 1-ლი და მე-2 ქართული დივიზიების რიგებში არ არის არც ერთი ისეთი მებრძოლი, რომელიც არ იყოს მზად სისხლი დაღვაროს სოციალიზმის საქმისათვის, საბჭოთა კავშირის ხალხების საქმისათვის“ (გაზ. „ზარია ვოსტოკა“, 25/II 1936 წ.).

მართლაც, კ. ე. ვოროშილოვის რწმენა და იმედი, რომელსაც იგი ამყარებდა ქართულ საბჭოთა მხედრობაზე, სავსებით გამართლდა დიდი სამამულო ომის წლებში. თუმცა ფაშისტ დამპყრობლებთან გაафთრებული ბრძოლების პერიოდში ორგანიზაციულად არც ერთი ზემოხსენებული ქართული დივიზია უკვე აღარ არსებობდა, მაგრამ მათი ტრადიციები, მეომრული სიმამაცე, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოსათვის თავდადებულობა საქმით განაგრძეს და განამტკიცეს შემდგომში ახლად ჩამოყალიბებულმა ქართულმა დივიზიებმა.

გარდა ამისა, 17 წლის მანძილზე ქართულ საჯარისო შენაერთებში და ნაწილებში აღზრდილი და მომზადებული ასი ათასობით ქართველი მეომარი ვაჟკაცურად იბრძოდა საბჭოთა კავშირის წითელი არმიის მრავალი პოლკის, ბრიგადის და დივიზიის რიგებში და სისხლს ღვრიდა საბჭოთა ხალხის და სოციალიზმის ინტერესებისათვის.

საბჭოთა საქართველოს არსებობის 15 წლისთავის აღსანიშნავად სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა სამშობლოს წინაშე საბრძოლო დამსახურებისათვის, მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგების განმტკიცებისათვის, საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში წარმატების მოპოვებისათვის ორდენებით დააჯილდოვა ამიერკავ-

კასიის სამხედრო ოლქის მთელი რიგი სამხედრო ფორმირებანი, მათ შორის, წითელი დროშის ორდენი მიენიჭათ 1-ელ ქართულ სამთო-მსროლელ დივიზიას (მეთაური კომბრიგი ლ. აგლაძე), კავკასიის მე-3 სამთო-მსროლელ დივიზიას (მეთაური კომდივი გ. თუხარელი): წითელი ვარსკვლავის ორდენი: კავკასიის 1-ელ სამთო-მსროლელ დივიზიას (მეთაური პ. კევლიშვილი), მე-2 ქართულ მსროლელ დივიზიას (მეთაური კომდივი ს. ბუაჩიძე) და 1-ელ ქართულ ცხენოსანთა პოლკს (მეთაური პოლკოვნიკი ა. მოსიძე).

ამის შემდეგ ქართულ დივიზიებსა და ნაწილებს ეწოდა: 1-ელ დივიზიას — სტალინის სახელობის წითელდროშოვანი 47-ე ქართული დივიზია: მეორე დივიზიას — ფრუნზეს სახელობის წითელვარსკვლავოსანი 63-ე ქართული მსროლელი დივიზია; ცხენოსანთა 1-ელ ქართულ პოლკს — ცხენოსანთა წითელვარსკვლავოსანი 24-ე ქართული პოლკი. გავიდა დაახლოებით ორი წელიწადი და მოხდა ქართული დივიზიების და ნაწილების რეორგანიზაცია ჩვეულებრივ საერთო საჯარისო შენაერთებად და ნაწილებად. და ისინი, როგორც ეროვნული სამხედრო ერთეულები, გაუქმდნენ. ამ რეორგანიზაციის პროცესში რიგითი და უმცროს მეთაურ-უფროსთა შემადგენლობა, წვრილ-წვრილ ჯგუფებად დაყოფილნი გაიგზავნენ წითელი არმიის სხვადასხვა ნაწილებში და შენაერთებში, უმთავრესად, დასავლეთ სამხედრო ოლქების ჯარებში, საშუალო და უფროს მეთაურ-უფროსთა შემადგენლობა გადაყვანილ იქნა სხვა სამხედრო ოლქებში და ამასთან, ზოგიერთი დაინიშნა უფრო მაღალ თანამდებობაზე. ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენდა სტალინის სახელობის წითელდროშოვანი 47-ე მსროლელთა დივიზიის 47-ე ქართული საარტილერიო პოლკი, რომლის ბაზისზე შეიქმნა ორი ცალკეული სამთო-საჭაპანო საარტილერიო დივიზიონი. 1938 წლის მაისში ორივე გაიგზავნა შორეულ აღმოსავლეთში. ერთი იმ დივიზიონთაგანი, რომელსაც მეთაურობდა კაპიტანი ლ. კეკელიძე, 25 დღეღამის შემდეგ ჩავიდა სადგურ ბაბსტოვოში (ხაბაროვსკის მხარე) და ჩაირიცხა ამ მხარეში განლაგებული 38-ე მსროლელთა დივიზიის 38-ე საარტილერიო პოლკში. შემდეგ, გააკეთა რა 80-კილომეტრიანი მარში ჩინეთის საზღვრებისაკენ, განლაგდა ცალკე გარნიზონად სოფ. კუკელოვოში, რომელიც უშუალოდ სახელმწიფო საზღვართან მდებარეობს. მეორე დივიზიონი (მეთაური კაპიტანი ხ. გაფრინდაშვილი), დაახლოებით ერთი თვის მგზავრობის შემდეგ, გადმოსხდა სადგურ შმაკოვკაში (ზღვის პირის მხარე), განლაგდა ცალკე გარნიზონად შვიდი კილომეტრის მანძილზე ამ სადგურიდან და ჩაირიცხა 66-ე მსროლელი დივიზიის 66-ე მსუბუქ საარტილერიო პოლკის შემადგენლობაში (ამ დივიზიის შტაბი მოთავსებული იყო უსურის რაიონულ ცენტრში). ამ მხარეში განლაგებული დივიზიების სარდლობამ ქართული საარტილერიო დივიზიონები კარგად მიიღო. თავისი გარეგნული მხედრული შესახედაობით, საბრძოლო და პოლიტიკური მომზადებით, დისციპლინით, აგრეთვე, ბრძოლის უნარიანობით და საბრძოლო მზადყოფნით მათ განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს ახალ სარდლობაზე.

ხასანის ტბასთან გამართული ბრძოლების პერიოდში ორივე დივიზიონმა საბრძოლო პოზიციები დაიკავა — ერთმა მდ. ამურის პირად, სოფელ კუკულევოს რაიონში, მეორემ — სადგურ ლაზოს დასავლეთით, ზედ მდინარე უსურის ნაპირზე. ხასანთან ოპერაციების დამთავრებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, სოფ. კუკულოვოს რაიონში განლაგებული ქართული საარტილერიო დივიზიონი დაიშალა და მისი პირადი შემადგენლობით დაკომპლექტდა სხვა ნაწილები და ქვედანაყოფები, ხოლო მეორე დივიზიონი (მეთაური კაპიტანი ხ. გაფრინდაშვილი) 1934 წლის შემოდგომამდე დარჩა 66-ე მსუბუქ საარტილერიო პოლკის შემადგენლობაში, მაგრამ რიგით ჯარისკაცთა და უმცროს მეთაურთა მორიგი დემობილიზაციის შემდეგ, გადავიდა მშვიდობიანი დროის შტატზე და დარჩა ქართულ ნაწილად, სადაც საბრძოლო და პოლიტიკური მომზადება ქართულ ენაზე წარმოებდა, 1940 წლის შემოდგომაზე, როცა რიგით ჯარისკაცთა და უმცროს მეთაურთა დემობილიზაცია მოხდა, დივიზიონი შეივსო რა სხვადასხვა ეროვნების ახლადგაწვეულებით, გახდა ჩვეულებრივი ინტერნაციონალური საარტილერიო ქვედანაყოფი.

ბევრი პირი ამ დივიზიონების საშუალო მეთაურთა შემადგენლობიდან დიდი სამამულო ომის წლებში საარტილერიო ნაწილებს ან შენაერთების არტილერიას მეთაურობდა, მათ შორის უნდა დავასახელოთ: პოლკოვნიკები: გ. ბურჭულაძე, ხ. გაფრინდაშვილი, ნ. გრძელიშვილი, ნ. ყაზიშვილი, გ. კეზევაძე, ა. ცირეკიძე, გ. ჩხარტიშვილი და სხვ.

ზემოხსენებული ქართული საარტილერიო დივიზიონების პირადი შემადგენლობის გარდა, ბევრი ქართველი მეომარი, როგორც რიგითნი, ისე მეთაურნი სამხედრო სამსახურს გადიოდნენ შორეული აღმოსავლეთის ჯარებში და გახდნენ ხასანის ტბის რაიონში გამართული ბრძოლების უშუალო მონაწილენი, რომელთაგან არა ერთმა და ორმა ისახელა თავი და დაიმსახურა მთავრობის ჯილდო. მათ შორის, მსროლელთა პოლკის მეთაურმა პოლკოვნიკმა პ. გ. ჩანჩიბაძემ, პოლიტხელის მოადგილემ ა. ი კუჭავამ, მსროლელთა ასეულის მეთაურმა ალ. გაგუამ და სხვ.

აი, რას წერდა გაზეთი „იზვესტია“ 1938

წელს 29 აგვისტოს ნომერში ამ ქართველ ლეიტენანტ გაგუაზე: ალ. გაგუამ... „მაღლობ ზაოზიორნაიას ასაღებად ასეული შტურმზე წაიყვანა. თუმცა ფეხში დაიჭრა, მაგრამ ქვეგანაყოფის მმართვა არ შეუწყვეტია: წინ სამშობლოსათვის, წინ... ალ. გაგუა განაგრძობს სვლას არტილერიისა და ტყვიამფრქვევების ძლიერ ცეცხლში. იაპონელები დაუზოგავად უშენდნენ ღარტაფს, სადაც ასეული მიიწევდა... ალ. გაგუა გაერთხა მიწაზე, რომ ფორთხვით გადაცოცებულიყო... მაგრამ უცებ მარცხენა ფეხმა უმტყუნა... ალ. გაგუა დაიჭრა. ერთმა მებრძოლთაგანმა ფრთხილად გააძრო წაღა და ჭრილობა შეუხვია. ასე ცალწაღიანი განაგრძობდა ცოცვით წინსვლას, ასეულის წინ ალექსანდრე გაგუა. მაღლობი ზაოზიორნაია კვლავ საბჭოური გახდა. მის წვერზე ამაყად ფრიალებს წითელი ალამი“.

ჯერ კიდევ ქართული ეროვნული სამხედრო შენაერთებისა და ნაწილების რეორგანიზაციამდე ბევრი ქართველი მეომარი უმთავრესად, უფროს მეთაურთა შემადგენლობიდან, გადიოდა ნამდვილ სამხედრო სამსახურს სხვა სამხედრო ოლქების ჯარებში, ხოლო რეორგანიზაციის შემდეგ, 1938 წლის მაისიდან არა მარტო ათასობით საშუალო და უფროსი მეთაური, არამედ ათი ათასობით რიგითი ჯარისკაცი და უმცროსი მეთაური გაიგზავნენ შემდგომი სამხედრო სამსახურისათვის საბჭოთა კავშირის წითელი არმიის და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სხვადასხვა ნაწილებსა და შენაერთებში. ქართველ ახალწვეულთა უდიდესი ნაწილი, როგორც წესი, იგზავნებოდა უმთავრესად დასავლეთის სამხედრო ოლქების ჯარების შესავსებად. 1939 წელს საბჭოთა საქართველოში გაწვეული იქნა და საბჭოთა არმიის ჯარების დასაკომპლექტებლად გაიგზავნა 1918 წ. 1919 წ. და უფრო ადრე დაბადებულნი, სულ 45817 კაცი, რომელთაგან 32,9%-ს საშუალო და უმაღლესი განათლება ჰქონდა, 55,6% იყო კომკავშირის წევრი, 46,9% „იმშთ“-ის ნიშნოსანი, 45,9% — ვოროშილოველი მსროლელი, 60,9% „სჭთ“-ის ნიშნოსანი. ბევრმა პირველდაწყებითი მომზადება მფრინავის, პარაშუტისტის, პლანერისტის, შოფრის, სნაიპერის, მეტყვიამფრქვევის და ნაღმტყორცნელის სპეციალობა მიიღო თავდაცვაავიაქიმიის სასწავლო ორგანიზაციებში.

განსაკუთრებით დიდი პოლიტიკური აღმავლობით მიმდინარეობდა 1920 და 1921 წლებში დაბადებულთა გაწვევა 1940 წელს. 32, 308 გაწვეულიდან 54,4% იყო კომკავშირელი, 32,2%-ს ჰქონდა საშუალო და უმაღლესი განათლება. ბევრი გაწვეულთაგანი დაუფლებული იყო რთულ სამხედრო სპეციალობას. 1940 წელს გაწვეულთა მთელი კონტინგენტის თითქმის ერთი მესამედი გაიგზავნა დასავლეთის სამხედრო ოლქების ჯარების დასაკომპლექტებლად, სახელდობრ, ბალტიისპირა სამხედრო ოლქის ჯარებში განწესდა 2325 კაცი, დასავლეთის სამხედრო ოლქში — 1.114, კიევის სპეციალურ სამხედრო ოლქში — 5,694 და ხარკოვის — 1.480 — სულ დასავლეთ ოლქებში — 10.613 კაცი გაიგზავნა.

1939 წელს ბელორუსიისა და უკრაინის დასავლეთ ოლქების გამათავისუფლებელ ოპერაციებში მონაწილეობა მიიღო მრავალმა ათასმა ქართველმა რიგითმა და მეთაურ-უფროსთა შემადგენლობამ, ამათგან რამდენიმე ათეული წარმატებით მეთაურობდა ჯარის ნაწილებს და შენაერთებს, ან იყვნენ დივიზიების მეთაურთა მოადგილეები (პ. აბრამიძე, ა. ბაჯელიძე, კ. ა. გიორგობიანი, შ. გოგიშვილი, ა. დაჩანიძე, შ. ძამაშვილი, ა. ინაური, ნ. კალაძე, ე. კობერიძე, გ. ყურაშვილი, კ. ლესელიძე, ი. მაჭავარიანი, ნ. თავართქილაძე, ა. ჩიჩუა, გ. ელიოსიძე და სხვ.).

საბჭოთა კავშირის სხვა ეროვნების მეომრებთან ერთად კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ქვეყნისათვის იშვიათი თავდადება და მტკიცე დისციპლინა გამოავლინა ათასობით ქართველმა მებრძოლმა თეთრ ფინებთან ბრძოლის პერიოდში 1939-40 წწ. ბევრი ქართველი მხედარი უფროს მეთაურთა შემადგენლობიდან წარმატებით ხელმძღვანელობდა დიდ სამხედრო შენაერთთა საბრძოლო მოქმედებას. მაგალითად, ჩქაროსნულ ბომბდამშენთა მე-18 საავიაციო ბრიგადა, პოლკოვნიკ ვლ. ნანეიშვილის მეთაურობით, არა მარტო სპობდა და აცამტვერებდა მნიშვნელოვან მიწისზედა სამხედრო ობიექტებს, არამედ თავზარსა სცემდა მოწინააღმდეგის ავიაციის პირად შემადგენლობას, სწორედ ბრიგადის ნაწილებზე ჩინებული მეთაურობისა და მარჯვე ხელმძღვანელობისათვის, ვაჟკაცური შემართებისა და პირადი სიმამაცისათვის მიენიჭა ვლადიმერ ნანეიშვილს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და ავიაციის გენერალ-მაიორობა.

თეთრ-ფინელებთან ომში განსაკუთრებით თავი ისახელა 72-ე წითელდროშოვანმა (სამოქალაქო ომის პერიოდში სახელმოხვეჭილმა ყოფილმა მე-4 თურქმანულმა) დივიზიამ, რომელიც პოლკოვნიკ პ. აბრამიძის მეთაურობით და უნარიანი ხელმძღვანელობით დიდი წარმატებით აწარმოებდა საომარ ოპერაციებს. ამ დივიზიის ბევრი არმიელი და მეთაური დაჯილდოვდნენ საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით, თვითონ დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი პ. აბრამიძე დაჯილდოვდა წითელი დროშის ორდენით, შემდეგ კი მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება.

სამხედრო-საზღვაო აკადემიის კურსდამთავრებული ს. რამიშვილი, რომელმაც ჩინებული მეომრული გამოცდილება მოიპოვა რესპუბლიკური ესპანეთის მხარეზე ფაშისტებთან ბრძოლებში, ფინური კამპანიის პერიოდში მოხერ-

ხებულად მეთაურობდა საგანგებო დანიშნულების საზღვაო რაზმს; მან თავი გამოიჩინა, როგორც შესანიშნავმა ორგანიზატორმა და ფრიად ნიჭიერმა სამხედრო-საზღვაო უფროსმა ხელმძღვანელმა. საბრძოლო დავალებათა ბრწყინვალე შესრულებისა და პირადი მამაცობისათვის ს. რამიშვილი დაჯილდოვდა წითელი დროშის ორდენით, ხოლო 1941 წელს მიეკუთვნა კონტრადმირალის სამხედრო წოდება. ამათ გარდა, ბევრ ქართველ მეთაურს, სამხედრო უფროსს საომარი ოპერაციების უნარიანი ხელმძღვანელობისათვის, მეომრული შემართებისა და სიმამაცისათვის მიეკუთვნათ საბჭოთა კავშირის ორდენები და მედლები. წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდნენ: ლ. გოლიაძე, კ. ჯახუა, ვ. მჟავანაძე, ე. ტატანაშვილი და სხვები; წითელი ვარსკვლავის ორდენით — ვ. ჯანჯღავა, ნ. კალაძე, ა. ჩიჩუა და ბევრი სხვა. ფინეთის კამპანიის პერიოდში დამატებით გაწვეულ იქნენ თადარიგის სამხედრო ვალდებულნი, კერძოდ, საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატმა მობილიზაცია გაუკეთა 1703 კაცს მეთაურ-უფროსთა შემადგენლობიდან, აქედან დიდ უმრავლესობას — 1458 კაცს სამწყობრო მეთაურები შეადგენდნენ, 105 კაცს — მედიკოსები, 33 — ტექპერსონალი, 23 — ვეტერინარი და ა. შ. გარდა ამისა, სამოქალაქო-საჰაერო ფლოტის საქართველოს სამმართველო 1940 წლ. 15 იანვრიდან შეუდგა სამოქალაქო ავიაციის 150 მფრინავის მომზადებას საბრძოლო ჩქაროსნული თვითმფრინავებისათვის.

საქართველოს კ. პ(ბ) ცკ-ისა და მთავრობის მიერ სისტემატურად ხდებოდა სამხედრო მეთაურთა შერჩევა უმაღლეს სამხედრო განათლების მისაღებად. დიდ სამამულო ომამდე ათასობით ქართველმა მეთაურმა და პოლიტმუშაკმა დაამთავრა (ბევრმა მათგანმა ფრიადზე) საბჭოთა კავშირის უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი სხვადასხვა სპეციალობისა, შემდეგ, კურსდამთავრებულნი წარმატებით ართმევდნენ თავს უმაღლეს საკომანდო და პოლიტიკურ თანამდებობებს, როგორც მშვიდობიან, ისე ომის პერიოდში.

მოკლე საჟურნალო ნარკვევში ძნელია ყველა იმ პირის ჩამოთვლა, ვინც უმაღლესი სამხედრო განათლება მიიღო. დავასახელებთ, მხოლოდ რამდენიმეს. გენერალური შტაბის აკადემიაში სწავლობდნენ: ლ. აგლაძე, პ. შიოშვილი და სხვები, მ. ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემიაში — ლ. ალაძე, თ. (ს.) ბუაჩიძე, ი. ბაბალაშვილი, ი. გირგვლიანი, მ. ღლონტი, კ. ჯახუა, ვ. ძაბახიძე, გ. კანაჩაძე, გ. ყურაშვილი, გ. ქუთათელაძე, მ. მიქელაძე, გ. სიხარულიძე, ს. ტარიელაშვილი, გ. თუხარელი, რ. ცუცქირიძე, პ. შიოშვილი და სხვ. სამხედრო-პოლიტიკურ აკადემიაში: პ. ყარაზანაშვილი, ო. მუსერიძე, ვ. მჟავანაძე, ი. მაისაია, პ. მიროტაძე, გ. ნადირაძე, გ. ოკრიბელაშვილი, გ. სანაკოევი, კ. სოხაძე, დ. შანშაშვილი და სხვ.; საარტილერიო აკადემიაში: ზ. ჭაფრინდაშვილი, ვ. ბაქრაძე, ი. ჯორჯაძე, ი. ჯულაშვილი, ა. ჟუჟიაშვილი, რ. მაღალაშვილი, ვ. სულაქველიძე, ი. ხახანაშვილი, ტ. ჰოხონელიძე, მ. როსტომაშვილი და სხვები; სამხედრო-საჰაერო აკადემიაში: შ. ძამაშვილი, დ. ნამგალაძე, კ. ოდიშარია, ე. ტატანაშვილი ა. ხარებოვი, ა. შინჯიაშვილი და სხვ. სამხედრო-საინჟინრო აკადემიაში: ბურძელაძე, ვ. კაკრიაშვილი, დ. საცერაძე, დ. შავდია; კავშირგაბმულობის აკადემიაში: ი. ბახტაძე, ნ. დალაქიშვილი, ე. ქათამაძე; სამხედრო-სატრანსპორტო აკადემიაში: ი. ბახტაძე, შ. ჟიჟიაშვილი, მანჯგალაძე, ა. მღვდელაძე, სამხედრო-ქიმიურ აკადემიაში: პ. კაციტაძე, ჩიხლაძე: სამხედრო-დიპლომატიურ აკადემიაში — მ. ცხადაია, სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში: კ. აბულაძე (ამჟამად პროფესორი), შ. ვაჩნაძე, გ. გელაშვილი, პ. დუმბაძე, ი. ჟორდანია (პროფესორი), დ. იოსელიანი (ამჟამად პროფესორი), ნ. კუკუჯანოვი (ამჟამად პროფესორი), ნ. ლეშკაშელი, შ. მიქელაძე (ამჟამად პროფესორი), შ. ნიჟარაძე, ა. ხელიძე, კ. ჩაჩავა (ამჟამად პროფესორი), ტ. ჩუბინიძე და სხვები.

ეროვნული სამხედრო კადრების მომზადება წარმოებდა საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოების „თავდაცვა-ავიაქიმის“ სასწავლო ორგანიზაციებშიც, სადაც ყოველწლიურად სხვადასხვა სპეციალობაში სამხედრო კვალიფიკაციას ღებულობდა ათი ათასობით ახალგაზრდა. მარტო 1939 წელს ამ საზოგადოების სასწავლო ქსელმა მოამზადა 9.099 მსროლელი და მეტყვიამფრქვევე, 1,218 ავტომობილისტი და ტანკისტი, 34000 ვოროშილოველი — მსროლელი, სასროლო საქმის 400 ინსტრუქტორი, საჰაერო-ქიმიური თავდაცვის 180000 ნიშნოსანი, 312 ნიშნოსანი-ალპინისტი (გარდა ამისა, საქართველოში აღრიცხული იყო 1603 ალპინისტი), აგრეთვე სხვა სახეობის დიდძალი სპეციალისტი. საზოგადოება თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურმა კლუბმა თბილისში, და სარაიონო კლუბებმა 1939 და 1940 წლებში მოამზადეს 1.054 პილოტი, 500-ზე მეტი პარაშუტისტი, 29 ავიამექანიკოსი, 27 პარაშუტისტი-სპორტსმენი, 10 ინსტრუქტორი-პარაშუტისტი და ა. შ. ამ კლუბების ბევრმა აღზრდილმა ოსტატობით და სიმამაცით თავი ისახელა დიდ სამამულო ომში; ზოგიერთი გახდა საბჭოთა ავიაციის ას-ი (საბჭოთა კავშირის გმირი ავიაციის გენერალ-მაიორი შ. ქირია, საბჭოთა კავშირის გმირები — ოფიცრები დ. ჯაბიძე, გ. ინასარიძე, გ. თვაური, ზ. ხიტალიშვილი, ო. ჩეჩელაშვილი, მართა სირტლანოვა და სხვები.

1941 წლის პირველ ნახევარში თავდაცვა-

ავიაქიმის საქართველოს საზოგადოების სასწავლო ქსელში მეცადინეობდა 47 ათასი ახალგაზრდა. ამ საზოგადოების ბევრმა აქტიურმა წევრმა დიდ სამამულო ომში გვიჩვენა ოსტატობა, გმირული შემართება და მთავრობის მაღალი ჯილდოები დაიმსახურა, ასე, მაგალითად, ლენინის ორდენი მიიღეს: ს. ი. აბულაძემ, გ. ა. გვენეტაძემ: წითელი დროშის ორდენი — ბ. ვაშალაშვილმა, ნ. კანაშვილმა, გ. მარგეიშვილმა, შ. ჰანტურიამ და სხვ.

ამავე საზოგადოების სასწავლო ორგანიზაციებმა მოამზადეს და გადაამზადეს თადარიგის ათასობით რიგითი და უმცროს მეთაურთა შემადგენლობა. 1940 წელს საბანაკო შეკრება გაიარა 1-ელი თანრიგის მე-2 კატეგორიის 32,325 მეთადარიგემ (ე. ი. პირებმა 36 წლის ასაკამდე, რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო ნამდვილ სამხედრო სამსახურში არ ყოფილან).

მნიშვნელოვან ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა წითელი ჯვრის საქართველოს საზოგადოება, რომელსაც 1939 წელს ჰქონდა 3.571 პირველადი ორგანიზაცია და ჰყავდა 232708 წევრი, ამ წელს საზოგადოებამ მოაწყო 1557 სანიტარული საგუშაგო, მოამზადა 100 მედიცინის და, აგრეთვე სანიტარული დაცვის 54 ათასამდე ნიშნოსანი. 1940 წელს მედიცინის დების მომზადება მრავალჯერ გაიზარდა, მოქმედებდა 25 სასწავლო ჯგუფი, რომელმაც ერთი წლის მანძილზე 650-ზე მეტი ფერშალი გამოუშვა.

ამრიგად, დიდი ლენინის მითითებათა განუხრელად გატარებით, პარტიისა და მთავრობის განუწყვეტელი ყოველდღიური — მზრუნველობით, სამხედრო ორგანიზაციების დაუცხრომელი მუშაობით და ნებაყოფლობით საზოგადოებათა დაუზარელი საქმიანობით მიღწეულ იქნა ის, რომ დიდი სამამულო ომის დაწყების წინ საბჭოთა კავშირის წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგებში ირიცხებოდა 126039 რიგითი მებრძოლი და უმცროსი მეთაური საბჭოთა საქართველოდან.

თუ ამას დავუმატებთ კადრის საშუალო და უფროს მეთაურთა შემადგენლობას, რომელმაც არმიაში ათეული წლები იმსახურა, ზევადიანი სამსახურის უმცროს მეთაურებს, სამხედრო სასწავლებლების კურსანტებს და 1940 წლის 25 იანვარს თადარიგიდან კადრში გაწვეულ 1,703 მეთაურს, ქართველ სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობა არმიასა და ფლოტში ომის წინ 130 ათას კაცს აღემატებოდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ვიდრე დიდი სამამულო ომი დაიწყებოდა, საბჭოთა საქართველომ შექმნა რა ძლიერი ეკონომიკა და მაღალი სოციალისტური კულტურა, მოამზადა პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით, მარქსიზმ-ლენინიზმისა და კომუნისტური პარტიის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულებით გამსჭვალული, კარგად გამოწრთობილი მრავალრიცხოვანი სამხედრო კადრები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი ვარდოსანიძე

# „ჩემი მაგნიტური არე“

ქართული პოეტური აზროვნების საგანძური არ შექმნილა ერთი თაობის, ან რამდენიმე თაობის ღვაწლით. ქართული პოეტური კულტურის განვითარება უწყვეტია, ერთიანია. და ამ განვითარებაში, ჩვენს საამაყოდ, ახალ დიდ საფეხურს წარმოადგენს ჩვენი დროის ქართული პოეტური აზროვნება, რომელიც გამდიდრებულია ეპოქის მოწინავე იდეებით, გამოსახვის ახალი ფორმებითა და საშუალებებით. ჩვენი დროის ადამიანისათვის პოეზია იქცა მუდმივ კეთილ თანამგზავრად, რომელიც, როგორც მეგობარი, მხარში უდგას მას ჭირში და ლხინში, ბრძოლაში და შრომაში, შთააგონებს მაღალ იდეებს, სულს უსპეტაკებს. ლექსების კრებულები იდო მებრძოლის ზურგჩანთაში და დღეს კოსმოსში თან მიაქვთ ჩვენი დროის გმირებს, რომლებიც დიდ ღვაწლს სდებენ კაცობრიობის პროგრესს.

პოეზიის როლი, დანიშნულება, ზემოქმედების ძალა ჩვენს დროში, მით უფრო ჩვენს საზოგადოებაში, განუზომლად გაიზარდა, ამაღლდა და გაფართოვდა. პოეტური მეტყველების საგანძურმა შემოინახა პოეტური სურათები დროის, ეპოქის საზოგადოებრივი ცხოვრებისა; შემოინახა სული ეპოქისა, ამ სულის წვა, დუღილი, მწუხარება და სიხარული. ჭეშმარიტი პოეზია ყოველთვის იყო ხალხის ცხოვრების შუაგულში, ყოველთვის იყო არა მაცქერალი, არამედ მონაწილე, ყოველთვის ემსახურებოდა საზოგადოებას, როგორც მოქალაქე, როგორც მებრძოლი ჯარისკაცი; პოეზია ყოველთვის იდგა საზოგადოებრივი ტკივილების სასთუმალთან.

ამ ტკივილებით, საზოგადოებრივი ცხოვრების მძაფრი შეგრძნებით, მღელვარე მოქალაქეობრივი დამოკიდებულებით ყოველივე იმისადმი, რაც მნიშვნელოვანია, არსებითია მთელი საზოგადოებისათვის, რაც განსაზღვრავს პროგრესს ან აფერხებს მას; იდეალებითა და განწყობილებებით, რომლებიც კვებავს და ამძაფრებს საზოგადოებრივ ცხოვრებას — აი, ყოველივე ამით სუნთქავს, შთაგონებულია ოთარ ჭელიძის პოემა „ჩემი მაგნიტური არე“, და ეს არის, ჩვენი აზრით, მისი უპირველესი ღირსებაც.

ლირიკული გმირის ვრცელ მონოლოგში, რომელიც პოემის სახით ყალიბდება, გმირის ფიქრები, გრძნობები და განწყობილებები დაკავშირებულია საზოგადოებრივ ცხოვრებასთან. თვით სიყვარულიც კი, ეს უაღრესად სუბიექტური გრძნობა, გახსნილი და გადმოცემულია საზოგადოებრივი ინტერესების თვალთახედვით. ტრფიალი ლირიკული გმირისა და ესპანელი გოგონასი, რომელიც ესპანეთიდან ჩამოიყვანა და იშვილა ქართველმა მებრძოლმა, პოეტისათვის უპირველესად საინტერესოა იმით, რომ ეს ტრფიალი, ბედი ორი ახალგაზრდისა, მათი თავგადასავალი, მათი ცხოვრების გზასთან დაკავშირებული ფაქტები და მოვლენები ჰქმნის პოეტურ ტილოს, რომელშიც გადმოცემულია თვით საზოგადოებრივი ცხოვრება, დრო, ეპოქის მაჯისცემა.

პოეტის მისწრაფებამ: ეთქვა პოეტური აღსარება თავის თანამედროვისა, გამოეხატა თავის აქტიური დამოკიდებულება საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი მოვლენებისადმი, ლირიკული გმირის პოეტურ მონოლოგში გადმოეცა საზოგადოებრივი ცხოვრების არსებითი ტენდენციები, პოეტური სიტყვით ამაღლებულიყო მოქალაქე-ტრიბუნის, მოქალაქე-ჯარისკაცის საბრძოლო საფეხურზე, — პოეტის ამ კეთილშობილმა და გაბედულმა მისწრაფებამ განსაზღვრა პოეტური ქმნილების მხატვრული ორგანიზმი. „ჩემი მაგნიტური არე“ თავისუფალი არ არის

ჟოფითი სურათებისაგან, მასში შეიმჩნევა პოეტური პროზის ელემენტები, მაგრამ პოემის სახეს განსაზღვრავს მისი ლირიკულ-პუბლიცისტური და დრამატული ხასიათი.

ამ მხრივ პოემა მეტად საინტერესოა, თავისებური პასუხია პოეტური კულტურის თანამედროვე მოთხოვნებისადმი. ცნობილია, რომ თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაში მძლავრად მოიდგა ფეხი პროზაულმა და პოეტურმა ნაწარმოებებმა, სადაც ავტორის იდეურ-ესთეტიკური პოზიცია გადმოცემულია ლირიკულ-პუბლიცისტური მხატვრული ხერხებითა და საშუალებებით, ლირიკულ-პუბლიცისტური მხატვრული სახეებით. ამ პროცესს განზე არ უდგას თანამედროვე ქართული მწერლობაც. უკანასკნელ ხანებში შეიქმნა არა ერთი ლირიკული პროზის ნიმუში, გავრცელება ჰპოვა ლირიკულმა პოემებმა, რომლებშიც ლირიზმი შერწყმულია სინამდვილის პუბლიცისტურ აღქმასთან.

რით აიხსნება ეს პროცესი, კერძოდ, პოეზიაში? ჩვენს დროში ცხოვრების აჩქარებული და დაძაბული ტემპი, მოვლენების სწრაფი განვითარება და მონაცვლეობა, სინამდვილეში მიმდინარე პროცესების სირთულე და სახესხვაობა, პიროვნების ინტერესების გადაჯაჭვა საზოგადოების ინტერესებთან, როცა პიროვნებას აღარ ძალუძს გამოერიყოს საზოგადოებრივ მდინარებას, როცა პიროვნება იძულებულია ყური მიუგდოს მთელი პლანეტის მაჯისცემას, პოეტისაგან მოითხოვს სწრაფ რეაგირებას, ოპერატიულ ჩარევას; მოითხოვს ანალიზს, გაზსჯას, შეფასებას; მოითხოვს მის ნათელ დამოკიდებულებას, პოზიციას.

პოეტური მეტყველების ეს პროცესი უთუოდ კანონზომიერია. ლირიკულ-პუბლიცისტური, ლირიკულ-ფილოსოფიური და დრამატიზირებული პოეტური აზროვნების ფართო სარბიელი დღეს ხაზს უსვამს ჩვენს დროში პიროვნების მოქალაქეობრივი როლის დიდ ზრდას, ადამიანის სულიერ და გონებრივ სიმწიფეს, ხაზს უსვამს პიროვნების პასუხისმგებლობის ამაღლებას მთელი საზოგადოების ბედისათვის.

ლირიკული გმირი პოემისა — „ჩემი მაგნიტური არე“ ჩვენი საზოგადოების საშუალო თაობის წარმომადგენელია. ეს ის თაობაა, რომლის ბავშვობა და ყრმობა ჩვენს ქვეყანაში ახალი ცხოვრების მშენებლობას დაემთხვა, რომელმაც სიჭაბუკეშივე განიცადა გაუკვალავი გზით სიარულის სიძნელეებიც და წარმატებათა სიხარულიც; რომელიც ბავშვობიდანვე შეეზარდა ხარაჩოს, ჩაქუჩსა და ნამგალს; რომლისთვისაც შრომა, შენება, წინსვლა და ერთობა არსებობის აზრად იქცა. ამ თაობისათვის უცხო არ არის პურისა და ნავთის რიგები, შიმშილი და სიცივე. ეს ის თაობაა, რომელიც ახალ წვერულვაშშლილი შეეგება დიდ სამამულო ომსა და თავის მხრებზე გადაიტანა ომის უმძიმესი ტვირთი; რომელმაც ხელახლა ააშენა ომით დანგრეული ქვეყანა. ეს ის თაობაა, რომელიც ჩვენი საზოგადოების წამყვან ძალას წარმოადგენს დღეს.

ამ თაობისათვის ჩვენი ქვეყნის ოცდაათიანი წლების შემდეგდროინდელი ისტორია — ეს საკუთარი ისტორიაა; სამ-ოთხ ათეულ წელში გავლილი გზა — ეს საკუთარი გზა არის. ამიტომ არის ამ თაობისათვის ძვირფასი ამ ისტორიის ყოველი მონაკვეთი, ამ გზის ყოველი მოსახვევი, ყოველი საფეხური. ამიტომ არის ასე მძაფრი მისი დამოკიდებულება ამ ისტორიისადმი, ამ გზისადმი. ამიტომ განიცდის იგი ასე მწვავედ განვლილი გზისათვის თვალის გადავლებას, მის შეფასებას, მისთვის მსჯავრის გამოტანას. და ამიტომ არ შეუძლია მას, არ იდგეს აქტიურ პოზიციაზე, არ შეუძლია ბოლომდე არ მიჰყვეს თავის მოქალაქეობრივ ვალს, არ შეუძლია აუღელვებლად, მხოლოდ მოწმის თვალით უცქიროს სინამდვილის ღრმა პროცესებს.

მსოფლმხედველობა, მრწამსი, იდეური კრედო, ზნეობრივ-ეთიკური და მორალური სახე ლირიკული გმირისა და მის მიღმა — მთელი თაობის, ჩამოყალიბდა თვით ცხოვრების, საზოგადოებრივი წინსვლის, შენების, ბრძოლის პროცესში. ამიტომ ლირიკული გმირის იდეების სამყარო, ფიქრი, აზრი, გრძნობა და განცდა მისთვის თავს მოხვეული კი არ არის, არამედ ორგანულია, სისხლხორცეულია. ამიტომ, თუმცა მისთვის უცხო არ არის სულიერი ტკივილები, დაეჭვება და ჩაფიქრება, იგი მთლიანია, მყარია, გამოკვეთილია. საგულისხმოა, რომ პოეტი თავის ლირიკულ გმირს ხატავს გაუზვიადებლად, მას წარმოგვიდგენს არა როგორც განსაკუთრებული თვისებებისა და უნარის მქონე ადამიანს, არა როგორც გმირს, არამედ როგორც ჩვეულებრივ პიროვნებას, თავის თაობის რიგით წევრს, რომლის ცხოვრების გზა არაფრით არ გამოირჩევა. მას არც კი უომია. მისი ეშელონი ფრონტზე მისვლამდე დაბომბეს მტრის თვითმფრინავებმა და იგი მძიმედ დაიჭრა, ხეიბარი გახდა. მაგრამ ლირიკული გმირის პორტრეტისათვის არსებითია არა ის, თუ მან რამდენი ფაშისტი მოჰკლა, მტრის რამდენი ტანკი დაამსხვრია, არამედ ის, თუ როგორია მისი დამოკიდებულება სინამდვილისადმი, როგორია მისი იდეურ-მორალური და ეთიკური სახე; რით საზრდოობს იგი, რას ესწრაფვის მისი სულიერი ცხოვრება, რას უარყოფს და რას ამკვიდრებს.

თუმცა ლირიკული გმირი თავის თაობის რიგითი წარმომადგენელია, მაგრამ იგი ზოგადი სახე-ხასიათია. იგი ჩვეულებრივია და ამ ჩვეულებრივობაშია მისი მასშტაბურობაც. მას გმირობა არ ჩაუდენია, წინამძღოლობა არ უკისრია; იგი მოვლენების სათავეში არ ყოფილა, მაგრამ ამ სახე-ხასიათში გადმოცემულია ეპო-

ქის ტკივილები, მინიშნებულია სინამდვილის წამყვანი ტენდენციები; ლირიკული გმირის მონოლოგებში დაყენებულია დროის საჭირბოროტო პრობლემები.

პოემის ლირიკული გმირისათვის უცხო არ არის ცხოვრების სიძნელეები, შავი დღეები, იგი გვერდს არ უვლის სინამდვილის ხარვეზებს, თვალებს არ ხუჭავს მანკიერებათა წინაშე და ყურს არ არიდებს თვით ცხოვრების მიერ დასმულ დიდ კითხვებს. პირიქით, პოემის მთავარი პათოსი სწორედ ის არის, რომ თვალი გაუსწოროს სინამდვილეს, ყველას გასაგონად თქვას ადამიანთა გულისნადები, საზოგადოებრივი აზრის სამსჯავროზე გამოიტანოს მწვავე და მღელვარე საკითხები, რომელთა გადაჭრას მოითხოვს თვით საზოგადოების შემდგომი პროგრესის ინტერესები. და პოემას ემოციურ ძალას ანიჭებს და შთამბეჭდავს ხდის პოეტის გულწრფელობა თავის მოქალაქეობრივი ვალის აღსრულებაში, გაბედული შემართება და შეუპოვრობა — ხელი ჩასჭიდოს გავარვარებულ ნაღვერდალს, გახსნას ყველაზე მწვავე იარები.

„ჩემი მაგნიტური არე“ არ არის ღია, მხიარული და საზეიმო ფერების პოემა. თვით დასაწყისი პოემისა შესრულებულია მუქი საღებავებით. უჟმურ შემოდგომას დავესწარი, წვიმდა უსიამოდ, განუწყვეტლადო, — იწყებს თავის ვრცელ მონოლოგს ლირიკული გმირი და ეს მუქი ფერები და მძიმე განწყობილება ბოლომდე გასდევს პოემას. ლირიკული გმირის და პოემის არც სხვა პერსონაჟების ცხოვრების გზაა ფიანდაზებით და ვარდ-ყვავილებით მოფენილი. მათ ბრძოლისა და შრომის ქარცეცხლში გამოიარეს, ცხოვრების ჭირ-ვარამი იწვნიეს, და საკუთარ თავზე გამოსცადეს არა მხოლოდ სიკეთე და კეთილშობილება, არამედ ბოროტება, შური და მტრობაც. მათთვის უცხო არ არის წაბორძიკება, დაეჭვება, სევდა და ცრემლი. მაგრამ წონასწორობა არასოდეს არ დაუკარგავთ, გზას არ ასცდენიან, იდეურ-მორალური სახე არ შეუბღალავთ, გამოიწვრთნენ და გამოიბრძმედნენ.

პოეტის მსოფლშეგრძნებით ადამიანის და მთელი საზოგადოების გზის გამკაფავი მძლავრი იარაღია, შუქურაა იდეური სიმტკიცე და სიწმინდე, შეუბღალავი რწმენა, ხვალინდელი დღის ნათელი პერსპექტივა. პოემის პერსონაჟები შთაგონებული არიან მაღალი იდეებით, მათი ძალა მათი რწმენის სიმტკიცეშია, მორალური სახის სიწმინდეშია. ამიტომ მათი სევდა, პესიმიზმი, რაც თავს იჩენს ხოლმე სინამდვილის გზაჯვარედინებზე, ცხოვრების აღმართებში, არ არის არსებითი მათი შინაგანი ბუნებისათვის; ისინი ბოლომდე რჩებიან ჯანსაღი, მებრძოლი სულის ადამიანებად, წარმოადგენენ ოპტიმისტურ სახე-ხასიათებს, და მთლიანად პოემა, მიუხედავად მუქი ფერებისა და მძიმე ინტონაციისა, მიზანსწრაფული და ოპტიმისტურია.

საგულისხმოა, რომ თითქმის ყველა პერსონაჟი პოემისა, ყველა კონკრეტული მონაწილე პოეტური დრამისა, ლირიკული გმირის გარდა, — იღუპება. სამამულო ომის ფრონტზე დაეცა ესპანეთის ბრძოლებგამოვლილი პედაგოგი. იქვე, მის გვერდით დაეცა მისი შვილობილი, ესპანელი ქალიშვილი. ეშელონში, მებრძოლებთან ერთად, მტრის ყუმბარების ნამსხვრევებით დაიღუპა შვილის საძებრად ფრონტზე გამგზავრებული ქართველი დედა. ზურგში, მარტოობაში გარდაიცვალა და მეზობლების სამოწყალოდ დასამარხი გახდა მამა. ფრონტიდან ხეიბარი დაბრუნდა თვით ლირიკული გმირი, ისე, რომ თოფიც არ გაუსვრია. და მაინც, პოემაში იმარჯვებს სიცოცხლე, იმარჯვებს სინათლე ,იმარჯვებს სიკეთე და სიმართლე. ადამიანებს სიცოცხლეს შთააგონებთ რწმენა მაღალი იდეალისადმი, რწმენა ადამიანისადმი. მათი არსებობის შინაარსია ბრძოლა სიკეთის სახელით, მათ ცხოვრებას ულამაზებთ კეთილშობილი სული, მოყვასისადმი ერთგულება. მათ სჯეროდათ ცხოვრებისა და ადამიანის და ისინი სიკვდილის შემდეგაც არ წასულან ცხოვრებიდან, დარჩნენ ადამიანებთან, განაგრძობენ არსებობას, ცოცხლობენ თავიანთი სიკეთით, სიყვარულით და კეთილშობილებით. ისინი ცოცხლობენ იმიტომ, რომ ცოცხლობენ და გზას მიიკვლევენ იდეები, რომლებიც შერწყმული იყო მათს სულს.

ეს მაღალი იდეები იყო, მაღალი მოქალაქეობრივი მორალი იყო, რომ მამა დენიკინს დააჭიდა, სამურაებთან და ბასმაჩებთან აბრძოლა. ჯარისკაცისა და ძველი ბოლშევიკის ტყვიით დაცხრილული ძველი ფარაჯა ასე გადმოგვცემს თავის და თავის პატრონის თავგადასავალს:

„ხვედრმა დენიკინთან დამაჭიდა,
ტყვიას მაჭედებდა სამურაი.
ცეცხლით მაფხავებდნენ ბასმაჩები,
ვთელე ტრამალები გადამწვარი“...

მაღალი იდეები და მაღალი მოქალაქეობრივი მორალი წარუძღვა რიგით ადამიანს ესპანეთის ბრძოლების ქარცეცხლში. ხოლო, როცა სამამულო ომი ატყდა, მან ისევ გადაიცვა მებრძოლის ფარაჯა, ომში რწმენით ჩაება და ამ რწმენას კიდეც შეეწირა. რწმენამ, მაღალმა იდეებმა, მოქალაქეობრივმა და ინტერნაციონალურმა სულისკვეთებამ აქცია მებრძოლ ჯარისკაცად კაფანდარა, სუსტი ესპანელი ქალიშვილი ლოლა სუარესი. იგი სიამაყით ამბობს: მე ვარ ქალიშვილი იბარურის... მიწა მეგულება იარაღად და მას ესპანეთი ეწოდებაო. ამიტომ ლოლასაგან არ იყო გასაკვირი, ცეცხლში თუ თავისით გადაფრინდა; ნევასთან დავი-

ცავ გვადალკვივირს, განგებამ სიკვდილთან შემაფეთაო.

ერთგულება მაღალი იდეებისადმი, ერთგულება რწმენისადმი, ერთგულება სიმართლისა და სიკეთისადმი, ერთგულება ადამიანისადმი — ამ შთაგონებით ცოცხლობს პოემის ამაღელვებელი სტრიქონები. ეს მსჭვალავს პოემას მაღალი, ჰუმანური აზრით, ანიჭებს მას ცხოველმყოფელობას, ტვირთავს ღრმა, ემოციური შინაარსით. პოემის პერსონაჟების ტკივილები — ეს სულიერი ტკივილებია. არაფერი არ სძრავს მათ არსებას ისე, როგორც სულიერი ტრავმები, როგორც დაეჭვება, როგორც სიმართლესა და ერთგულებაში ბზარის გაჩენა. როცა ესპანეთში ნაომარი ჯარისკაცის მოქალაქეობრივ სიმართლეში და ერთგულებაში ეჭვი იქნა შეტანილი და მის ადამიანურ და ჯარისკაცულ ღირსებას ღალატის საშინელი ბრალდება დაემუქრა, ამ ამბავმა ტრაგიზმით აავსო მისი მეგობარი, ძველი მებრძოლი-ბოლშევიკი. ამ ამბავს ასე აგვიწერს პოეტი:

„მზე რომ ჩადიოდა ფითრიანი,
შავ ზღვას წააწერა განაჩენი,
მაშინ მოგვევლინა თვითმფრინავით
შავად მოღრუბლული მამაჩემი“.

. . . . . . . . . . . . . .

„თითქოს წაბორძიკდა წასაქცევად,
შედრკა ელდანაცემ ქალიშვილთან.
ჯურღმულ-დილეგებში გამოვლილი,
მხრებით შამნგრეველი სასახლეთა,
ქამთა სიავისგან გაბოლილი
ძველი ბოლშევიკი ცახცახებდა...
ლოლას მოფერებით ჩამოვარცხნა
თმები — სიმწრისაგან გაოფლილი
და ძლივს გასაგონად გამომარცვლა:
გამოიძახესო მამობილი“.

მამობილის „გამოძახებამ“ თავზარი დასცა ესპანელ ქალიშვილს, იგი სულხორციანად შესძრა და ერთბაშად დააბერა:

„თითქოს მოღწეულა სიბერემდის
ქალი, ქალიშვილის ტანსაცმელით“.

. . . . . . . . . . . . . .

„იდგა ხანდაზმული ახალგაზრდა,
იგივ ახალგაზრდა ხანდაზმული,
შუბლზე მწუხარებას ახაზავდა
წუთი მონასავით დაღდასმული“.

რატომ? პასუხს იქვე იძლევა თვით ლირიკული გმირი:

„ვიდექ ორთაყვირად ორთაშუა,
ზღვა ზვირთთ აგელებდა კამეჩებად,
ჩემსკენ ტალღასავით მოაშურა
მღვრიე, ორჭოფულმა დაეჭვებამ“.

ამ დაეჭვებას, გაორებას, სულში გაჩენილ ბზარებს, ყოველივე იმისადმი რწმენის შერყევას, რაც წმიდათა-წმიდა და ხელშეუხებელი იყო, რაც შთაგვაგონებდა შრომაში მდევკაცობას და ბრძოლაში ლომგულობას, რისთვისაც სისხლს ღვრიდნენ და წარბშეუხრელად იხოცებოდნენ, ამ სასწაულებრივი ძალის სიმართლეში და სისწორეში დაეჭვებას შეუძრავს ჩვენი თანამედროვის, ლირიკული გმირის მთელი არსება, ტრაგიზმით აუვსია მისი სული, მოუდუნებია ენერგია, სევდით და უიმედობით დაუთალხავს ცხოვრების სარბიელი.

„ვთვლემდი უსაშველოდ მოთენთილი
ჩემი ულიმღამო არსებობით,...“

. . . . . . . . . . . . . .

„ვგავარ კატორღიდან გამოქცეულს,
წვერი მიბიბინებს მინდორივით“.

. . . . . . . . . . . . . .

„სხვა თუ გაზაფხულის სილამაზეს
ეტრფის, აპრილივით ჰრელკაბიანს,
ჩემთვის უხალისოდ მილასლასებს
და ჰგავს წელიწადი წელკავიანს“.

. . . . . . . . . . . . . .

„ფსკერზე დალექილი წამალივით
მამღვრევს გამჭოლავი დაეჭვება,“..

და ლირიკული გმირის წინაშე ორლესული მახვილივით მკაცრად აღიმართება დიდი კითხვა:

„რწმენა, ჰაპანწყვეტა, თავდადება,
თმები — ნაადრევად მოთოვლილი,
ნუთუ დავიწყებას ჩაბარდება
გზაზე გათელილი ფოთოლივით?“

. . . . . . . . . . . . . .

„ნუთუ მომხდარია მოსახდენი?
ვდგავარ უსუსური წიწილივით,
მე ვარ თავდალმართზე მოსახვევი,
თვლებქვეშ ვიღუნები სიმძიმილით“.

რა პასუხს სცემს პოემა სინამდვილის, ცხოვრების გარემოებათა მიერ დასმულ ამ მძიმე და მტკივნეულ კითხვას? არა, შეუძლებელია დავიწყებას მიეცეს სისხლი და ოფლი, შიმშილი და სიცივე, რის საფასურითაც მოვიდა გაზაფხული, მოვიდა განახლება; შეუძლებელია დაივიწყო შრომაში გაღუნული და ბრძოლაში დაცხრილული ძველი მებრძოლი; შეუძლებელია დაივიწყო სუსტი და კაფანდარა ქალიშვილი ყუმბარებით გადათხრილ გაყინულ მიწას რომ ჩაეკირა; შეუძლებელია დაივიწყო უფეხო, ხეიბარი ჯარისკაცი და უმკლავო მეომარი, ტაშის დასაკრავადაც რომ უვარგისია.

ღვაწლი, ამაგი, თავდადება, თავგანწირვა არ ცვდება, დროისა და გარემოების ბურუსში არ იკარგება, სისხლი წვეთ-წვეთად დაღვრილი ოკეანედ ერთვის მარადისობის მდინარებას. ოფლი გულს გამონაჟონი საუკუნეებს გადაანათებს. კაცი მას ვერ უარყოფს, რაც ერთხელვე სიცოცხლის აზრად გაუხდია, რაც გულით უტარებია, რითაც ფიქრი და ოცნება უსაზრდოე-

ბია. ადამიანისათვის უცხო არ არის ეჭვი და გაორება, სევდა და ნაღველი, წაბორძიკება და დაცემაც კი. მაგრამ საბოლოოდ სიმართლე ამარცხებს ეჭვს; სინათლე ფანტავს ღრუბლებს; იმედი და რწმენა დაცემულსაც კი ფეხზე წამოაყენებს.

და პოემაში მძიმედ ჩამოწოლილი ღრუბლები იფანტება, ეჭვი ქარწყლდება, გაორება ქრება. ასეც უნდა ყოფილიყო. თითქოს აქ არაჩვეულებრივი და მოულოდნელი არაფერია. ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის, სინათლესა და სიბნელეს შორის, უმეცრებასა და ჭეშმარიტებას შორის, ერთგულებასა და ორგულობას შორის გარდუვალად არსებობს. და ეს ბრძოლა, ბრძოლაში მიღებული ჭრილობები ცხოვრებას ამძაფრებს და კიდეც ახავერდებს.

„თუ ძველ დღიურებში ჩაგვრჩენია
ღია ჭრილობები ახალბედებს,
რა ვქნათ, დედამიწაც დაჭრილია,
მაგრამ სატკივარი ახავერდებს“.

. . . . . . . .

„თურმე ტკივილებით განვიახლე
ჯანი გატანჯული თაბაშირში...“

ლირიკული გმირის პესიმიზმი, გაორება და ეჭვი არ არის შედეგი ცხოვრების, საზოგადოებრივი ყოფის უკვე დასრულებული, წერტილდასმული პროცესისა. ეს რომ ასე ყოფილიყო, პესიმიზმი უიმედო იქნებოდა, სევდა და ეჭვი ანარეკლია ცხოვრების მოსახვევებში წარმოშობილი სიძნელეებისა, ანარეკლია პროგრესის გარდუვალი ძნელბედობისა. ეჭვი და სევდა გმირის სულში რწმენისა და ბრძოლის სულისკვეთების მხოლოდ სუსტი და ავადმყოფი ორეულია, რომელსაც დიდი დღე არ უწერია. სარბიელი ეკუთვნის სიმართლესა და სიკეთეს, ეკუთვნის რწმენას იმისას, რაც იყო, რაც არის და რაც იქნება. ამიტომ ლირიკული გმირის სულში უკომპრომისო ბრძოლიდან გამარჯვებული გამოდის დადებითი, პროგრესული საწყისი, იმარჯვებს იმედი, იმარჯვებს სიყვარული:

„არა, დედამიწა სამყაროა,
სადაც, წყაროსავით ლურჯტალღება,
მოჩქეფს განახლების მახარობლად,
დიდი სიყვარულის უკვდავება“.

რამ შთაბერა სული ამ გამარჯვებას, რატომ არის იგი მტკიცე და ჭეშმარიტი? სული შთაბერა თვით სინამდვილემ, იგი განაპირობა და გამოსჭედა საზოგადოებრივმა ყოფიერებამ, რომელიც თავისუფალი არ არის ჩრდილისა და ხარვეზებისაგან, დაზღვეული არ არის შეცდომებისაგან, მაგრამ პრინციპულად პროგრესულია, პრინციპულად მართალია; გამოსჭედა ქვეყანამ და ხალხმა, რომლის ძლევამოსილ ძახილს მთელი დედამიწა უსმენს; გამოსჭედა ხალხმა, რომელიც იბრძვის და იღწვის მომავლისათვის და სიმართლის თქმისა არ ეშინია.

პოემაში განსაკუთრებით არის ხაზგასმული ტრადიციის უდიდესი მნიშვნელობა, წარსულისა და აწმყოს ჯაჭვური ერთიანობა, მემკვიდრეობითობის უდიდესი დადებითი ძალა, კეთილ გზაზე მამათა და შვილთა თანადგომა და ბრძოლაში თანამოსაგრეობა. პოემაში წინაპართა კეთილშობილურ გზას, საბრძოლო ტრადიციას, მათ დიდ დამსახურებასა და ღვაწლს გამოხატავს მამა — ძველი თბილისელი პროლეტარი, წმინდა საქმისათვის სისხლდაღვრილი, რომელსაც ქედი არასოდეს დაუხრია, ჭირის არ შეშინებია და გულში გაზაფხული უყვაოდა, მამა გზას ულოცავს ფრონტზე მიმავალ შვილს და ჩააგონებს:

„—ქვეყნად არჩევანი რამდენია,
ერთი დაგრჩენია ასარჩევი.
მამის ჩამესმოდა შეგონება, —
როცა ჩაგიხელთებს განსაცდელი,
რწმენა ნურასოდეს გეგონება
იმ ძველ მაზარასებრ გასაცვლელი“.

და როცა ფრონტიდან ხეიბრად დაბრუნებულ შვილს ცხოვრების ჭირვარამმა და სინამდვილის ავბედობამ გული გაუბზარა, სულში სევდის ჭია შეეპარა და უმოქმედობამ დასძალა, — მხსნელად და შთაგონებად უკვე გარდაცვლილი მამის აჩრდილი მოევლინა.

„მეტყვის: გაბედულად თვითონ
რად არ გაუძღვები საქმეს?!
რად არ მიაშველებ სიტყვას
ქვეყნის ცხოველმყოფელ ძალას,
რად არ ჩამოახევ ნიღაბს,
ვინც ჩვენს სინამდვილეს სწამლავს“.

. . . . . . . .

„ეგებ გირჩევნია ჩრდილში
იდგე მოწმესავით ხვალაც!
თუ ხარ ჯარისკაცის ჯიშის,
სიტყვას მოიქნევდე ხმალად“.

პოემაში გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს და მას დიდ კეთილშობილურ აზრს სძენს მეგობრობის, ერთგულების, ადამიანისადმი ხელის გაწვდისა და უანგარო დახმარების ჰუმანიზმითა და კაცთმოყვარეობით აღსავსე მორალურ-ეთიკური და ზნეობრივი შინაარსი. ერთგულება პროგრესული იდეალისადმი, ერთგულება განვლილი გზისა და ხვალინდელი დღისადმი, სიყვარული და ერთგულება ადამიანისადმი — ამას მოგვიწოდებს პოემა დაჟინებით და შთაგონებით. სიყვარული და ერთგულება არის უკვდავებისა და განახლების, პროგრესის საფუძველი — ასეთია პოემის კეთილშობილური პათოსი.

პოემის პერსონაჟების დამოკიდებულება გამთბარია სიკეთით, სიყვარულით, ერთმანეთისათვის თავდადებით. ესპანეთის ბრძოლების მონაწილე ჯარისკაცმა იშვილა და საქართველოში ჩამოიყვანა განსაცდელში ჩავარდნილი ობოლი ესპანელი გოგონა. თავის მხრივ, ლოლა სუარესმა კეთილშობილებით და თავდადებით უპასუხა მამობილის მზრუნველობას; როცა მამობილი მძიმე სენით დაავადდა, ესპანელი გოგონა აღმოჩნდა მისი პატრონი; როცა მამობილს უსამართლობის საშინელი ტრაგედია დაატყდა თავს, იგი ისევ შვილობილის თავდადებამ იხსნა ცილისწამების მძიმე კლანჭებიდან; როცა მამობილმა ისევ გადაიცვა ჯარისკაცის ფარაჯა და სამამულო ომის ქარცეცხლში ჩაება, მას მხარში ამოუდგა და მასთან ერთად დაიღუპა ესპანელი ქალიშვილი. ავადმყოფ ჯარისკაცს დახმარების ხელი გაუწოდა ძველმა ბოლშევიკმა, თავისთან შეიხიზნა და მისი ჭირვარამი გაიყო და გაიზიარა. ესპანელი გოგონასადმი სიყვარულის ბოლომდე ერთგული დარჩა ლირიკული გმირი.

პოემის წამყვანი იდეის ხორცშესხმას, მის შთამბეჭდავად გამოკვეთას ემსახურება შედარებით უკანა პლანის პერსონაჟები, ბევრი მხატვრული დეტალი, სახე და სურათი. ლირიკული გმირის ჩახურულ გულს გასაღებს უპოვნის და უებარ მალამოდ ესალბუნება ომგადახდილი უფეხო და უხელო მასპინძელის ვაჟკაცური კეთილშობილება და თანაგრძნობა. ომიდან უხელოდ დაბრუნებულ, მძიმე სინამდვილით დადრეკილ ახალგაზრდა კაცს, ისევ ცხოვრებისაკენ უბიძგა შემთხვევამ ზოოპარკში, სადაც მან ნადირის კლანჭებს გამოსტაცა პატარა გოგონა და დამსწრეთა ქება მოიპოვა. ჯარისკაცები არა მხოლოდ ბრძოლაში დგანან მხარდამხარ, არამედ სიხარულის ადამიანურ ცრემლსაც მეგობრულად ინაწილებენ:

„ვიღაც ხეიბარი ჩამხვეოდა,
ცრემლად იღვრებოდა გულკეთილი.
მე მას ცარიელი სახელოდან
ხელი გადავხვიე მოკვეთილი“.

გასაჭირში ადამიანის მოსაგრეობისაკენ, ადამიანის ერთგულებისაკენ. ნათელი, კეთილი იდეისადმი სამსახურისაკენ არის მოწოდებული თვით ბუნებაც, მშობლიური მთები და მდინარეები, მიწა და ზეცა.

„თუ ჩემს არსებაში უმართებლო
ეჭვად დაფათურობს მორიელი, —
ჩემი დედულეთის გუმბათებო,
მთებო, შეგვიფარე ორივენი.
ისევ გადმოგვხედე ლაჯიხევით,
ლოცვა გვიჩურჩულე წარმართივით,
ჩემი დედულეთის საჯიხვენი
თავზე დაგვასხურე წყალვარდნილით...
რწმენა, ძალოვნება გადმოგვეცი,
ჰაერს შენარევი ოზონივით...“

„ჩემი მაგნიტური არე“ ყურადღებას იქცევს მხატვრული თვითმყოფობით, ინტონაციის თავისებურებით, პოეტური მეტყველების საშუალებათა შესამჩნევი ორიგინალობით. პოემაში არჩეულია პერსონაჟის დახასიათების, სახე-ხასიათის გადმოცემის ლირიკულ-პუბლიცისტური, ლირიკულ-დრამატული გზა. ლირიკული გმირი პოემისა წარმოგვიდგება არა იმდენად თავის მოქმედებით, რამდენადაც აზრებითა და ფიქრებით, გრძნობებითა და განწყობილებებით. იგი უფრო მეტს მსჯელობს, განიცდის, ვიდრე მოქმედებს. მას აქვს ცხოველი აზრები, მძაფრი განწყობილებანი მოვლენების მიმართ, ცხოვრების მიმართ, მაგრამ პრაქტიკულად თითქმის არ მონაწილეობს ამ მოვლენებში, თავის კონკრეტული საქმიანობით არ ახდენს გავლენას ცხოვრებაზე. კონფლიქტები და კოლიზიები, რომელიც თან ახლავს განვითარების პროცესს, სინამდვილეს არსებითად ლირიკული გმირისაგან დამოუკიდებლად არსებობენ. ხშირად იგი კონფლიქტის უნებური მონაწილეა. ლირიკული გმირი ჭვრეტს, განიცდის, აფასებს გარემოებას, სიტუაციებს, მაგრამ არ ქმნის მათ. მას აქვს საკმაოდ რთული თავგადასავალი, რომლის ავტორია თვით ცხოვრება, საზოგადოებრივ მოვლენათა მსვლელობა. იგი არის „სახე-განცდა“, „სახე-აზრი“, ვიდრე „სახე-მოქმედება“.

წარსულში, პოემის მიღმა აქვს მოქმედების ასპარეზი მამას, რომელიც ამჟამად, დღევანდელ სინამდვილეში აღარ წარმოადგენს აქტიურ ძალას. მისი მთავარი ფუნქცია პოემაში ისაა, რომ სიმბოლურად წარმოადგენდეს მამების თაობას, რომ შვილისათვის იყოს იმედი და გამამხნევებელი შთაგონება. მამობილისა და ლოლას ბიოგრაფია უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული ცხოვრებასთან, სინამდვილის მნიშვნელოვან მოვლენებთან. მათ აქვთ უფრო ვრცელი მოქმედების არე. მაგრამ ეს მოქმედება არ იშლება, არ ვითარდება ჩვენს თვალწინ, არამედ მის შესახებ ჩვენ ძირითადად ვიგებთ ლირიკული გმირის პირით.

და მაინც, პოემა, სახე-ხასიათები არ ხასიათდებიან სტატიკურობით, პირიქით: გამოირჩევიან მძაფრი დინამიზმითა და მწვავე დრამატულობით. რა გზით არის ეს მიღწეული? საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენები და კონფლიქტები, რომლებიც საფუძვლად უდევს პოემას, თავისთავად მეტად დრამატული არიან. ლირიკული გმირი მძაფრად აღიქვამს და განიცდის სინამდვილეს, მისი ინტელექტუალური და ემოციური სამყარო უაღრესად მგრძნობიარეა საზოგადოებრივი მოვლენებისადმი. ამასთანავე, ლირიკული გმირისათვის დამახასიათებელია

შინაგანი სულიერი კონფლიქტები და კოლიზიები, მისთვის უცხო არ არის გულგატეხილობა, სევდა და ეჭვი, ცრემლი და ღიმილი, დამარცხების სიმწარე და გამარჯვების ზეიმი. და ამ გზით იქმნება დინამიური, რეალისტური, პლასტიკური სახე-ხასიათი. დრამატული მოვლენები და გარემოებანი წარმართავენ მამობილის, დედის, ესპანელი ქალიშვილის ცხოვრებას და განსაზღვრავენ მათ ბედს.

დრამატიზმს ხელს უწყობს განცდით შესრულებული სურათები და ჩანახატები, რომლებშიაც გადმოცემულია სოციალური კოლიზიები და მანკიერებანი, რის მიმართაც ლირიკული გმირის აქტიური ემოციური და ინტელექტუალური პოზიცია კიდევ უფრო ამძაფრებს პოემის შინაარსს. ამავე მიზანს ემსახურება შუქჩრდილების განაწილება და მონაცვლეობა განწყობილებებისა და ინტონაციებისა, რაც სიტუაციის შესაბამისია.

საყურადღებოა, რომ ოთარ ჭელიძეს ეხერხება დახვეწილი, სახეობრივი ბგერწერა. ამასთანავე, სურათს ამძაფრებს ლირიკული გმირის დაჭიმული განწყობილება და ჰიპერბოლური შედარება.

„ფართო მოედანთა ფეთქვა,
რაღაც გარდუვალის შიში,
თბილისს შეუყრია ერთად,
ქვათლილ შენობათა ჩრდილში.
მივალ, გაბრუებულ ქუჩას
ჩემი არაფერი ესმის,
როგორც ჩაბნელებულ უჯრას —
წუხელ დაწერილი ლექსის“.

ხშირად ყოველი მომდევნო სტრიქონი ახალი სურათია, შინაარსითა და განწყობილებით ერთმანეთთან დაკავშირებული და ემსახურება ადამიანთა ბედისა და საზრუნავის გადმოცემას:

„ჩონჩხი აფეთქებულ ელსადგურთა
იწვნენ მდინარეთა ნაპირებთან.
ოხვრა გემდალეუპულ მეზღვაურთა
ჩვიდმეტწლიანებსაც გვაფიქრებდა“.

ავტორი ახერხებს რამდენიმე სტრიქონში მოგვცეს ომის დროის სურათი, დახატოს ომის ძნელბედობის გარემოება:

„ჩვენი მშობლიური, სანუკვარი
სკოლა ჰოსპიტალად გარდაიქმნა.
მისი ფანჯრებიდან თოფებივით
ჩანდა ყავარჯნები ხეიბართა,
წარუმატებლობა დროებითი
სისხლში შიმშილივით შეიზარდა“.

ან:

„დაჭრილ მეზღვაურებს არაყისგან
ზურგზე ასდიოდათ ოხშივარი,
ბაზრებს შეეზარდა დანასისხლად
მათი ყავარჯნები კოჟრიანი“.

ხშირად შედარების საფუძველია ასოციაცია, რომელიც თავის მხრივ ანარეკლია ყოფითი, სათავგადასავლო ან ემოციური გარემოებისა. ომგამოვლილი ჯარისკაცები საზეიმო სუფრაზე შეხვდებიან ერთმანეთს, არის მხიარულება, მაგრამ იქვეა გარდახდილი ომის აჩრდილიც, და იბადება შედარება:

„მზერა საცეკვაოდ წამოფრენილ
მოძმეს მივაპყარი ლულებივით“.

პოემაში არაერთი სტრიქონი არის მიძღვნილი სტალინისადმი. მაგრამ, ჩვენ ვფიქრობთ, სტალინის სახე კარგად არის დახატული ორადორ სტრიქონში, რომელიც სტალინის გარდაცვალებით გამოწვეულ განწყობილებას გადმოგვცემს:

„მისი სურათისგან შოფარებით
ქვეყნის სიმძიმილმა ამატირა“.

ასევე, ორად-ორი სტრიქონი გადმოგვცემს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ე. წ. „დიადი ათწლეულის“ პერიოდის ერთ-ერთ დამახასიათებელ და მეტყველ სურათს:

„ბოლმა — მალაზიებს შესეული —
პურის რიგებივით გაიზარდა“.

რა ნიშან-თვისებებით ხასიათდება პოემა კომპოზიციურად, აქვს თუ არა მას სიუჟეტი, უდევს თუ არა საფუძვლად ამბავი? პოემაში მოთხრობილია ახალგაზრდა ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების, მოქალაქედ აღზრდის ამბავი; გადმოცემულია სიყვარულის, მეგობრობის, ერთგულების თავგადასავალი. ამბავის მთავარი ძარღვია თვით ცხოვრება, დრო, ეპოქა, რომელიც ვითარდება, იცვლება. ამასთანავე, განვითარების პროცესი წინააღმდეგობრივია; ყოველი ისტორიული მონაკვეთი გამოირჩევა მისთვის დამახასიათებელი სიტუაციებითა და კონფლიქტებით, ვითარებით. როგორც ცნობილია, მაქსიმ გორკის მიაჩნდა, რომ სიუჟეტი არის ...„კავშირები, წინააღმდეგობანი, ანტიპათიები, ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებანი, საერთოდ, ამა თუ იმ ხასიათის ზრდის და ორგანიზაციის ისტორია“.

პოემის ცენტრში დგას თვით ლირიკული გმირი, რომლის სულში მძაფრად აღიბეჭდება სინამდვილე. და ლირიკული გმირის სულიერ ბრძოლაში ცხოვრების მოვლენებთან მისი მოკავშირეა არა მხოლოდ მშობელი მამა, არა მხოლოდ ახლობელი ადამიანები, არა მხოლოდ წარსულის დიდი ტრადიცია, არამედ იგივე სინამდვილე, იგივე ცხოვრება, რომელიც პრინციპულად ჯანსაღია, მართალია და ვითარდება წინააღმდეგობათა დაძლევის გზით. პოემაში არ არის კონფლიქტი პერსონაჟებს შორის, ლირიკული გმირი უკომპრომისო პოლემიკას უმართავს უხილავ, უსახო ძალებს, რომლებიც პოე-

მის მიღმა არსებობენ. ეს ძალები წინ ეღობებიან ცხოვრების მდინარებას, ცდილობენ ჩირქი მოსცხონ ჩვენს გუშინდელ დღეს, რწმენა შეგვიბღალონ, მომავალში დაგვაეჭვონ. მაგრამ იმარჯვებს სიმართლე, იმარჯვებს რწმენა.

ამბავი ძირითადად გადმოცემულია ლირიკული გმირის მონოლოგში, რომელიც შედეგია პიროვნების დამოკიდებულებისა ცხოვრებისადმი, რომელშიც გამოხატულია პოეტის მორალურ-ეთიკური და ზნეობრივი მრწამსი, გამჟღავნებულია მსოფლმხედველობა, გამოთქმულია პოზიცია. მონოლოგი — ეს იგივე პოემაა, რომელიც საკმაოდ ვრცელია და მას თავის მოცულობის მიუხედავად, შენარჩუნებული აქვს მაღალი ინტონაცია და დინამიზმი.

მონოლოგში შემოიჭრება ხოლმე ეპიკური თხრობა, ყოფითი სურათები და დეტალები. აქ ადგილი აქვს ლირიკული და ეპიკური თხრობის სინთეზის ერთგვარ ცდას, რაც საინტერესოა და, ამ კონკრეტული მაგალითის მიხედვით, — წარმატებითიც. მაგრამ ეს მაშინ, როცა ავტორი იცავს მხატვრულ ზომიერებას, როცა სინთეზს მოითხოვს მხატვრულ-სიუჟეტური განვითარების კანონზომიერება, მხატვრული კომპოზიციის შინაგანი ბუნება, მხატვრული ლოგიკა. ხოლო როცა სინთეზი ხელოვნურია, როცა ლირიკულ თხრობაში უხეშად და არაორგანულად იჭრება ეპიკური თხრობა, ყოფითი სურათები, — ეს იწვევს მხატვრული ორგანიზმის დეფორმაციას, ამძიმებს კომპოზიციურ სხეულს, გავლენას ახდენს პოემის რიტმზე, ინტონაციაზე, — აფერხებს, ადუნებს მას.

ნაწილობრივ ასეთ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე თავებში. პოემის ამ მონაკვეთში ავტორი ცდილობს ბევრი ამბავი და ეპიზოდი დააკავშიროს ერთმანეთთან. მეთექვსმეტე თავის დასაწყისში ვიგებთ, რომ ლირიკული გმირი აღარ იღებს ფრონტიდან სატრფოს ბარათებს და მას ეჭვი იპყრობს: ეგებ ლოლამ უღალატა ჩემს სამშობლოს და თუ ეს ასეა, მე იგი უნდა დავივიწყოო. ამასთანავე, მშობლიურ ბუნებას შესთხოვს, მხსნელად მოგვევლინეო. შემდეგ მოთხრობილია თანაკურსელთან შეხვედრის ეპიზოდი. თანაკურსელმა თავი მაღლა დაიჭირა, რაც აღელვებს და მისდამი კრიტიკულად განაწყობს ლირიკულ გმირს.

შემდეგ მოგონება სკოლისა, სტუმრობა სკოლის ამხანაგთან, სადაც თვალს აუჭრელებს პურმარილით ჩაზნექილი სუფრა; თანატოლი ძველი მსახურივით ეპირფლიდა და ჰკითხა: ბერლინიდან ავტომობილს ჩამოიტანდიო. გულნატკენი ლირიკული გმირი იგონებს თანატოლის მოწაფეობას და მას აუგად ახასიათებს; ისევ სკოლა, სადაც გაიგო, რომ ფრონტზე დაიღუპა ესპანეთში ნაომარი მასწავლებელი და მასთან ერთად— მისი ნაშვილები — ლოლა სუარესი. დიდი სევდა, დარდი, ფიქრი და განცდა სატრფოს დაკარგვის გამო; მწვავე შეგრძნება ომის საშინელებისა. შემდეგ ზოოპარკი, იქ მხეცის კლანჭებისაგან ბავშვის გადარჩენა. ამ შემთხვევით გამოფხიზლებული ლირიკული გმირი კვლავ უბრუნდება ცხოვრებას:

„წუთით გასხვაფერდა, გალამაზდა
ჩემი არსებობა გასაოცრად.
. . . . . . . . . . . .
„თითქოს გავმთლიანდი ათწილადი,
როცა პატარამაც გადამკოცნა“...

გოგონას დედისაგან ოჯახში მიწვევა. ქეიფი. ახალგაზრდების გართობა: კარტის თამაში, მაგნიტოფონი, ცეკვა-მხიარულება... ლირიკულ გმირი მტკივნეულად აღიქვამს სუფრის სიხალისეს, მას გარდახდილი ომის განცდა, ომში სატრფოს დაკარგვა უწამლავს გულსა და გონებას. იგი ანტიპათიურად განეწყო ყველასადმი, მათ შორის ოჯახის უფროსისადმი, რომელიც სუფრას თამადობს. მაგრამ იგი ომგადახდილი ყოფილა, ფრონტიდან ხეიბრად დაბრუნებულა და ლირიკული გმირი მისდამი სიმპათიით იმსჭვალება. თამადა იგონებს, — როგორ შეაჩერა იგი ქუჩაში ვიღაც ომგამოვლილმა, რომელმაც მასში შეცდომით ფრონტელი ამხანაგი შეიცნო. ომის აჩრდილი თალხავს სამხიარულო სუფრას. შემდეგ მასპინძელი ისევ გამხიარულდა და სუფრაც აიყოლია. ლირიკული გმირი სარკმლიდან გადასცქერის თვალწინ გადაშლილ ქალაქს. აგონდება მამა... ახსენდება სატრფო...

მოხაზული სქემიდან ჩანს, რომ აღნიშნულ თავებში ბევრი ამბავი და ეპიზოდია გადმოცემული. აქ ლირიკულ თხრობას ენაცვლება — ეპიკური, სულიერ ამოძახილს — ყოფითი სურათი და დეტალი, განცდას — ფიქრი, სევდას — სიხარული... ამასთანავე, ყოველთვის როდია მათ შორის ლოგიკური კავშირი. ლირიკული და ეპიკური თხრობის საშუალებათა სინთეზი ყოველთვის როდი იძლევა ჰარმონიულ, დახვეწილ მხატვრულ სურათს. ზოგიერთი ეპიზოდი ემსახურება არა მხატვრული ქსოვილის სრულყოფას, არა იდეის მხატვრულსახეობრივ გახსნას, არა სიუჟეტის პლასტიკურ დამუშავებას, არამედ ასრულებს პუბლიცისტური ინფორმაციის ფუნქციას. ასეთია, მაგალითად, თანაკურსელთან და სკოლის ამხანაგთან შეხვედრების, ამ უკანასკნელთან სტუმრობის და მისი მოწაფეობის მოგონებისადმი მიძღვნილი ეპიზოდები, ტენდენციურობის იერს ატარებს ზოგიერთი საკვანძო სიტუაცია. ლირიკული გმირის ფსიქოლოგიურ სამყაროში, მისი ბედისათვის არსებით მომენტად იქცა შემთხვევა ზოოპარკში. მაგრამ ეს შემთხვევა არ არის გაპირობებული სიუჟეტური განვითარების ლოგიკით, არ არის „აუცილებელი“.

ლირიკული გმირის დამოკიდებულებაში გარესამყაროსადმი წამყვან როლს ასრულებს გრძნობადი საწყისი. ავტორის ორეულს ხშირად ეცვლება გუნება-განწყობილება. და ეს ცვლილება, ერთი ფსიქოლოგიური განწყობილებიდან მეორეში გადასვლა, ყოველთვის არ არის სათანადოდ შემზადებული და არგუმენტირებული. ამასთანავე, განწყობილების სწრაფი ცვლა, ერთის მხრივ, თუ გარკვეული ემოციით მუხტავს სიუჟეტს, მეორეს მხრივ, ართულებს და ამძიმებს მხატვრულ-კომპოზიციურ ნახაზს. ლირიკული გმირის გაღიზიანებული დამოკიდებულება მის მიერ გადარჩენილი გოგონას ოჯახში გამართული წვეულებისადმი, — ბუნებრივია. მაგრამ ამ განწყობილების შეცვლა, ერთი ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა, არგუმენტირებულია ორადორ სტრიქონში: „ჩემსკენ მოკრძალებით წამოვიდნენ, მხარი დამიმშვენეს ყმაწვილებმა“.

და ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ „თვითონ ალიყურით დასასჯელი წამსვე მიმატოვა დამორცხვებამო.“ მომდევნო სტრიქონები კი გვაუწყებს, რომ ლირიკულ გმირს ისევ „გაუფუჭდა“ გუნება-განწყობილება და ამის მიზეზია ის, რომ იგი მასპინძელს მიიჩნევს კაცად, რომლისთვისაც „ყველაფერი თამაშია, სტუმარს მეჭიდება დასათრობად, ალბათ, დალხინებამ დააჩვია სიტყვაკვიმატობას, თამადობას“. მაგრამ ხასიათის „გაფუჭების“ არგუმენტი ამ შემთხვევაშიც მცდარი აღმოჩნდა, მასპინძელი ომგადახდილი, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი ყოფილა და ლირიკული გმირი მისდამი სიმპათიით იმსჭვალება. ეს „მცდარი არგუმენტაცია“ უდევს საფუძვლად ლირიკული გმირის განწყობილების ცვალებადობას და სულიერ ტრავმას ბევრ სხვა შემთხვევაშიც.

პოემაში გვხვდება მოჭარბებული და ნაძალადევი ფსიქოანალიზი, ხელოვნური სულიერი გაღიზიანება და ტკივილები, არაბუნებრივი და არაჯანსაღი ასოციაციებით ნაკარნახები განცდები. ფრონტიდან დაბრუნებულ ლირიკულ გმირს დახმარების ხელს გაუწვდიან, ბინას მისცემენ, მამისეულ ნადარაბალს გამოუცვლიან. ეს სავსებით ნათელი და კანონზომიერი სიტუაციაა. მაგრამ ლირიკულ გმირში, რატომღაც, ავადმყოფურ ზმანება-ასოციაციებს იწვევს. მას ეჩვენება, რომ ომში დაცემულთა აჩრდილები დაყვედრებით მოსძახიან: „შენ მანდ არასოდეს გაჩერდები, გახვალ დაღუპულის ოთახიდან!“.. რატომ? ნუთუ იმ მიზეზით, რომ ბინა, რომელიც მას მისცეს, ჯარისკაცს ეკუთვნოდა და იგი ომში დაიღუპა?

ამ გარემოებას ომგადახდილ ახალ მობინადრეში შეიძლება მართლაც აღეძრა ბინის ყოფილი პატრონისადმი სიბრალულის ადამიანური გრძნობა, მაგრამ მძაფრი სულიერი ტკივილი და ავადმყოფურობამდე გაზვიადებული განცდა, — მოკლებულია ფსიქოლოგიურ სიმართლეს და არგუმენტაციას. ავტორი უფრო შორს მიდის. არაჯანსაღი ფსიქოანალიზი და ხელოვნურად შექმნილი მძაფრი განწყობილება მას უბიძგებს კიდევ უფრო ღრმა მხატვრული შეცდომისაკენ. ლირიკულ გმირს გამოეცხადება შავოსანი დედაკაცი, რომელიც თავზე მთვარეულად დაადგება, — „უნდა უკვდავების წყაროსავით ღამის გასათევის დამადლება“. და არა მხოლოდ „დამადლება“, ქალი სასტიკ საყვედურს ეუბნება.

ეს შაოსანი ქართველი ქალი, რომელიც მებრძოლებთან ერთად დაიღუპა ეშელონში, ადრე პოეტმა დაგვიხატა დიდი სიყვარულით, სინაზით და კდემამოსილებით. იგი მკითხველის მეხსიერებაში ჩარჩა, როგორც დიდი კეთილშობილებითა და სულიერი სიფაქიზით შემკული ქართველი ქალი. და ეს ორი პორტრეტი კი არ ავსებს, კი არ ამდიდრებს ერთმანეთს, არამედ ერთმანეთის საწინააღმდეგოა. ეგებ, ასეთი ტკივილების საფუძველია მშობლიური გრძნობა; ეგებ, შვილისადმი სიყვარული აიძულებს მას, ასეთი რისხვით დაატყდეს თავს ფრონტიდან ხეიბრად დაბრუნებულ ახალგაზრდას, რომელსაც მისი შვილის ბინა მისცეს? ეგებ, დედას იმედი არ დაუკარგავს, რომ შვილი დაუბრუნდება და მის ბინაში კი სხვა ჩასახლებულა? სწორედ ასეთია ავტორის არგუმენტები, მაგრამ ისინი არ ესადაგება მხატვრული სახის ბუნებას, არ არის მისთვის ლოღიკური. ეს ფსიქოლოგიური დახასიათება არაფერს არ სძენს დედის სახეს, რადგან არ არის მართალი, არ არის „აუცილებელი“. დედისათვის, პირიქით, ნუგეში უნდა ყოფილიყო, რომ შვილისეულ ბინაში ომგადახდილი, ხეიბარი ახალგაზრდა ჩასახლდა; შვილის დაღუპვით დათუთქული გული ამ ახალგაზრდისადმი დედური სიყვარულით მოეშუშებინა.

ნათელია ავტორის მიზანი: მას სურს, მსგავსი უკიდურესად გამძაფრებული სიტუაციებითა და განწყობილებებით ღრმად განგვაცდევინოს ომის საშინელება, ღრმად ჩაგვახედოს ხალხთა ცხოვრებაში ამ საშინელი მოვლენის მახინჯ არსში, გვაჩვენოს თუ რა დიდ სულიერ ტკივილებს აყენებს და განუზომელი ტრაგიზმით მოსავს მათს არსებას. მაგრამ ამ იდეურ-მხატვრული ამოცანის გადაწყვეტაში პოეტი ყოველთვის ვერ იცავს მხატვრულ ზომიერებას, იგი თვით ექცევა სიტუაციის გავლენაში, თავს ვეღარ აღწევს უკიდურესად დაძაბულ განწყობილებებს და იქმნება შთაბეჭდილება თითქოს ავტორს აღარ შეუძლია კონტროლი გაუწიოს შექმნილ ვითარებას.

აქვე უნდა ითქვას, რომ ომი პოემაში ნაჩვენებია არა უშუალოდ ომის სურათებით, არა ფრონტული ცხოვრების აღწერით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ეშელონის დაბომბვის ეპიზოდს, არამედ ზურგის სინამდვილის ფსიქოლირიკული აღქმით, ლირიკული გმირის დამო-

კიდებულების გადმოცემით, მისი სულიერი მდგომარეობისა და განცდის ჩვენებით. და, როგორც ჩანს, ეს გარემოებაც უბიძგებს ავტორს ჭარბი ფსიქოანალიზისა და დაძაბული განწყობილებებისაკენ, როცა იკარგება ზომიერება და ირღვევა მხატვრული სიმართლე. .

რთული კომპოზიციური სქემით და დამძიმებული განწყობილებით ხასიათდება პოემის შესავალი. ულიმღამო არსებობით უსაშველოდ მოთენთილი ლირიკული გმირი თვლემს, საბანს კონვერტივით იკეცავს და შიგ წერილივით თავსდება. მას სურს, გაექცეს მძიმე სინამდვილეს, მაგრამ ამას ვერ ახერხებს, რადგან ეს სინამდვილე მისი „მაგნიტური არეა“, სინამდვილისათვის თავის დაღწევა შესაძლებელია მხოლოდ წარმოდგენით, სიზმარეულად, ოცნებით. სევდით, უმოქმედობითა და უმოძრაობით შეპყრობილი ლირიკული გმირისათვის ყველაფერს დაუკარგავს ფასი, ღირებულება; მისთვის ყველაფერი სულერთია, გარდა ერთადერთი ნახატისა. ეს ნახატია სატრფო; მხოლოდ სიყვარულს შერჩენია ძალა და სიმშვენიერე, და მას ესწრაფვის ლირიკული გმირი, იგი სიყვარულის გზას ადგება. ამასთანავე, სიყვარული არ არის გაგებული, როგორც მხოლოდ ქალისადმი ტრფობა, იგი განზოგადებულია და სიმბოლურად მიჩნეულია უკვდავებისა და განახლების პირობად.

პოემის შესავალშივე არის გამოკვეთილი რამდენიმე მოტივი, რომელიც ბოლომდე გასდევს კომპოზიციურ სქემას და მნიშვნელოვან შემკვრელ ძარღვს წარმოადგენს. ესენია, მაგალითად, სიზმარი-ოცნება, სიზმარეული თვითმფრინავი და ტრფობა-სიყვარული. ხშირად ლირიკული გმირის ყველაზე დაძაბული სულიერი მდგომარეობა გამოხატულებას პოულობს სიზმარში, ოცნებაში, მოჩვენება-ზმანებაში. სიზმარეული თვითმფრინავით ცდილობს იგი გაექცეს მძიმე სინამდვილეს; სიზმარეული თვითმფრინავით ადგება სატრფოსაკენ მიმავალ გზას; ჰოსპიტალში მწოლი სიზმარეული თვითმფრინავით მიაშურებს სამშობლო კუთხეს, მშობლის საფლავს; სიზმარში გამოეცხადებიან ომში დაცემული აჩრდილები; სიზმარში გულში იხუტებს სატრფოს; სიზმარს გადაჰყავს მოწაფეობისდროინდელ სამყაროში, სიზმრად ეჩვენება კომკავშირის ხეივანი, სკოლა „მეოცნებე კაპიტანთა, სადაც პიონერულ ყელსახვევით ყრმობა სანთელივით გამითავდაო“. მოგონება მოგონებას მოსდევს „ზღვისპირ მოფრენილი სიზმარივით“; და ა. შ. სიზმარი, როგორც მხატვრული ხერხი, სხვადასხვა აზრს იძენს სიტუაციის შესაბამისად, კონკრეტული იდეურ-მხატვრული გარემოების შესატყვის ფუნქციას ასრულებს.

ლირიკული გმირის თხრობას მუდამ თან სდევს ესპანელი ქალიშვილი. თითქოს, ლოლა სუარესი რომ არა, ძნელი იქნებოდა პოემის ცალკეული ნაწილების ერთმანეთთან დაკავშირება, მხატვრული ორგანიზმი დაკარგავდა მთლიანობას, ცხოველმყოფელობასა და მდგრადობას, ამასთანავე, ტრფობა-სიყვარულს არა მხოლოდ სითბო, სინაზე, და სიმშვენიერე შეაქვს ნაწარმოებში, არამედ იგი წარმოადგენს „ემოციურ ამღძვრელს“, „მოტორს“, რომელიც მეტ დინამიზმს ანიჭებს მხატვრულ სხეულს.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ ამ მაღალი გრძნობის დაბადებას პოეტი საფუძვლად უდებს პრიმიტიულ მოტივს — ხორციელ ლტოლვას, სიყვარულის ჩასახვის გადმოსაცემად მიმართავს ლიტერატურასა და ხელოვნებაში უკვე ვაცვეთილ და ტრაფარეტად ქცეულ ხერხს.

„ვნახე გოგონებში მოკისკისე,
ლოლა შიშველდებოდა მდინარესთან...“
. . . . . . . . . . . . .

პოემაში არის ცდა, — თხრობა წარიმართოს „შენაცვლებული“ მონოლოგით; მთელი მეექვსე თავი დათმობილი აქვს ესპანელი ქალიშვილის მონოლოგს. მაგრამ ასე ფართოდ მხოლოდ ამ ერთ შემთხვევაში იყენებს ავტორი ამ ხერხს და მას განსაკუთრებული თავისებურება არ შეაქვს პოემაში, თუმცა ერთგვარ კომპოზიციურ დისონანსად კი მოჩანს. შენაცვლებული მონოლოგის კანონზომიერი გამოყენებით შეიძლება პოემას მოეგო.

რას მეტყველებს პოემის სათაური, რა აზრია მასში ჩადებული? შესავალშივე ვკითხულობთ:

„მძლავრი მაგნიტური არესავით
რკინად მიმიტაცა, მიმიზიდა
და არ წამესვლება აღარსაით
ჩემი დამპყრობელი თბილისიდან“.

მხოლოდ ეს? მხოლოდ თბილისით შემოიფარგლება ლირიკული გმირის მაგნიტური არე? არა, მისი მაგნიტური არე ვრცელია. ეს არის მისი წინაპრები, დიდი ტრადიცია, დიდი წარსული და სისხლითა და ოფლით დღემდე მოტანილი თანამედროვეობა; ეს არის მაღალი იდეალები და მისწრაფებები; ეს არის სიყვარული, სიკეთე და ერთგულება, კეთილისა და ბოროტის, ნათელისა და ბნელის დაუსრულებელი ჭიდილი; ჩემი მაგნიტური არე — ეს ჩემი ქვეყანაა, ჩვენი დედამიწაა; ეს არის ჩემი ფიქრი, აზრი, გრძნობა, განცდა; ჩემი ტკივილი, მწუხარება, სევდა; ეს ჩემი ბრძოლაა, ჩვენი ბრძოლაა, ჩვენი იმედებია და ჩვენი გამარჯვებებია, რომელსაც ჩვენ, ადამიანები ვჭედავთ — ხელიხელჩაკიდებული. ჩემი მაგნიტური არე— სამოქმედო ასპარეზია, ის არეა, რომლის საზღვრები შეუზღუდველია, მაგრამ ყველაფერი მაინც ამ მაგნიტური არეს ფარგლებში ხდება, იგი პოეტური ინტუიციით მიგნებული იდეურ-სიუჟეტური და კომპოზიციური ჩარჩოა, რომლის შიგნით რელიეფურად მოჩანს ჩვენი თანამედროვის დაძაბული სულიერი ცხოვრების სურათები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ჯინორია

# „მოდერნიზმის“ არსი და ღირებულება თომას მანის „დოქტორ ფაუსტუსის“ მიხედვით

თანამედროვე ხელოვნების, ე. წ. „მოდერნისტულ“ მიმდინარეობათა რაობა-ღირებულების პრობლემა ჩვენი იდეოლოგიური ცხოვრების ერთ-ერთ უმწვავეს საკითხად ქცეულა, რამდენადაც მის „წმინდად“ ესთეტიკურ ასპექტებს მოუცილებელ სარჩულად ედება პოლიტიკურ ინტერესთა და ვნებათა მძაფრი ჭიდილი. მაგრამ რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს მასში ამ ჭიდილის ხვედრითი წონა, მოდერნიზმის პრობლემას, უწინარეს ყოვლისა, მაინც საკუთრივ-ესთეტიკური ხასიათი და მხატვრულ-შემოქმედებითი მნიშვნელობა აქვს, ისე რომ, მისი ჯეროვნად გადაწყვეტის გარეშე ძნელად შესაძლებელი ჩანს თანამედროვე ხელოვნების შემდგომი ნორმალურ-კანონზომიერი განვითარება.

ჩვენს დღევანდელ ესთეტიკურსა და კრიტიტიკულ ლიტერატურაში ამ პრობლემის გამო ორი „უკიდურესი“ თვალსაზრისი უპირისპირდება ერთმანეთს: ერთი მხრივ, მკვეთრად ნეგატიური პოზიცია, რომლის თანახმად „მოდერნიზმი“ მხოლოდ და მხოლოდ დეკადანსია“, „ტრადიციულ“-კლასიკური რეალიზმის დაკნინებისა და დაშლის ისეთი პროდუქტი, რომელშიც ხელოვნების დეჰუმანიზაციისა და დეესთეტიზაციის მეტი არაფერი მოიძევება; მეორე მხრივ, არსებითად აპოლოგეტური შეხედულება, რომელიც თუმცაღა კი აღიარებს „მოდერნიზმს“ ე. წ. „თანამედროვე ადამიანის“ სულიერი „შეჭირვებისა“ თუ „დაღლის“ ანუ, უფრო ცხადად რომ ვთქვათ, გარკვეული კრიზისის ნაყოფად, მაგრამ ამავე დროს მაინც სახავს მას „ახალი“ ან, სულაც, მომავალი ხელოვნების ეტალონად, ე. ი. ისეთ მოვლენად, რომელმაც მორიგი ისტორიული ეტაპის, შემდგომი ევოლუციური საფეხურის სახით „ბუნებრივად“ შესცვალა თითქოსდა XIX საუკუნეში ამოწურულ-დასრულებული „კლასიკური რეალიზმი“.

პირველ თვალსაზრისს უპირატესად იცავენ ჩვენი უფროსი თაობის ესთეტიკოსები და ხელოვნებათმცოდნენი, რომელთაგან ყველაზე უშელავათოდ განწყობილი *მიხეილ ლიფშიცი* ჩანს, რასაც კარგად მოწმობს მის უკანასკნელ „ანტიმოდერნისტულ“ წერილთა კრებულის თუნდაც ეს მოსწრებული სათაური: *„უსახურობის კრიზისი“*. ხოლო მეორე შეხედულებას უმეტესად ახალგაზრდები ემხრობიან, რომელთა ძალას უფრო ნაკლოვანის მხილება-უარყოფის პათოსი შეადგენს ვიდრე დადებითის ჯეროვანი სიზუსტით მტკიცება-დანერგვა.

ასე მაგალითად, აღნიშნული „პრომოდერნისტული“ თვალსაზრისი მკვეთრადაა გამოხატული *გურამ ასათიანის* „კრიტიკულ დიალოგებში“, რომლებიც მრავალმხრივაა ნიშანდობლივი ჩვენი დღევანდელი „ახალგაზრდული“ ესთეტიკური აზროვნების ტენდენციებისა და დონისათვის. გამოდის რა მართებული დებულებიდან, რომ საერთოდ ხელოვნებაში, კერძოდ კი ლიტერატურაში „ყველა ახალ ნაბიჯს“ შესაძლებელს ხდის, — „ამზადებს“ და „ნამდვილ ფუძეს“ უქმნის, — არა მარტო ესა თუ ის „უშუალოდ წინამორბედი“ მოვლენა, არამედ „დიდი ხნით ადრე“ დაწყებული სათანადო „ტრადიციაც“, გურამ ასათიანი ამგვარად ადგენს „მოდერნიზმის“ *მემკვიდრეობით კავშირს* „კლასიკურ რეალიზმთან“: „...ეგრეთწოდებული „ახალი რომანი“, „ცნობიერების ნაკადი“ და მისთანანი ევროპულ... მწერლობაში მხოლოდ მას შემდეგ აღმოცენდა, რაც XIX საუკუნის რეალიზმმა საბოლოოდ დაასრულა თავისი საქმე. ვიდრე ადამიანის რთული ქვეცნობიერი სამყაროს კვლევას შეუდგებოდა, დასავლეთის დიდ პროზას ფუნდამენტურად უნდა შეესწავლა ზედა-

პირული შრეები, ზნეობრივი იერი, სოციალური ფსიქოლოგია“.

აქ მართალი მხოლოდ იმ ფაქტის კონსტატაცია ჩანს, რომ „მოდერნიზმი“ კი არ უ ა რ ყ ო ფ ს მხოლოდ, არამედ კიდევაც ე მ ყ ა რ ე ბ ა წინამორბედ კლასიკურ-რეალისტურ ტრადიციას, მაგრამ მათ შორის არსებული კავშირის ხასიათი, ვფიქრობ, პრინციპულად მცდარადაა წარმოდგენილი. მართლაც: განა ჩვენი „ზნეობრივი იერი“ და „სოციალური ფსიქოლოგია“, რასაც კლასიკური რეალიზმი „სწავლობდა“, ადამიანური ყოფიერების მხოლოდ „ზედაპირულ შრეებს“ წარმოადგენენ, ხოლო ამ უკანასკნელის შიდაპირს თუ შიდა არსს „ქვეცნობიერი სააყარო“ შეადგენს? განა ამ „რთული“ სამყაროს „კვლევა“, რასაც „მოდერნიზმის“ გარკვეული მიმდინარეობები მოეკიდა, ასე ერთთავად წინგადადგმულ ნაბიჯად გვევლინება, ან იქნებ, იგი რაღაც არსებითი უკანდახევისა და, სულაც, დაქვეითების ნაყოფიც იყოს? ანდა ნუთუ „მოდერნიზმის“ ისეთი სიახლენი, როგორიცაა „ცნობიერების ნაკადი“ თუ „ახალი რომანი“, ნამდვილად მას შემდეგ განვითარდნენ ვითარცა უფრო მაღალხარისხოვანი მოვლენები, „რაც XIX საუკუნის რეალიზმმა საბოლოოდ დაასრულა თავისი საქმე“, ე. ი. ადამიანის „ზნეობრივი იერისა“ და „სოციალური ფსიქოლოგიის“ შესწავლა?

ეს და სხვა მსგავსი კითხვები წარმოადგენენ რთულ პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტა ძალუძს არა სქოლასტიკურ, ე. ი. „ავტორიტეტული“ ციტატებით „განმტკიცებულ“ განყენებულ მსჯელობებს, არამედ იმდაგვარ ყოვლისმომცველ, თანაბრად კონკრეტულსა და ზოგად ანალიზს, თანამედროვე ხელოვნების უმთავრეს —სოციალურ და ფსიქოლოგიურ, ფილოსოფიურ და ეთიკურ, ესთეტიკურ და პოლიტიკურ —ასპექტთა ერთ ისტორიულ ფოკუსში გარდამტეხ განხილვას, რომლის კლასიკურ, შეიძლება ითქვას, განუმეორებელ ნიმუშს შეიცავს თ ო მ ა ს მ ა ნ ი ს შემოქმედებითი გვირგვინი, მოდერნული „ინტელექტუალური“ რომანის შედევრი: „დ ო ქ ტ ო რ ფ ა უ ს ტ უ ს ი“.

თუმცაღა „დოქტორ ფაუსტუსი“, რომელშიც თანამედროვე „გერმანელი კომპოზიტორის ცხოვრებაა“ მოთხრობილი, არც საერთოდ ხელოვნებათ და არც კერძოდ მუსიკის-მცოდნეობითი ტრაქტატია, მასში მაინცაა ჩაქსოვილი ჩვენი დროის „დასავლური“ ხელოვნების ასეთი გასაოცრად სრული და ღრმა ანალიზი. მართალია, როგორც თომას მანი თვითონ აღნიშნავს, „მუსიკა, რამდენადაც რომანი მას შეეხება... აქ წარმოადგენს მხოლოდ წინა პლანსა და კერძოდ ნიმუშს, მხოლოდ პარადიგმას უფრო ზოგადი რამისა, მხოლოდ საშუალებას იმის გამოხატვისა, როგორია ჩვენს ერთიანად კრიტიკულ ეპოქაში საერთოდ ხელოვნებისა და სულაც ადამიანის, თავად სულის მდგომარეობა“; მაგრამ ვინაიდან მისი გოეთესებურ-რეალისტური მრწამსი იმას უკარნახებდა, რომ ხელოვანის შესახებ რომანში არ აკმარა მისი „ხელოვნების, გენიალობის, ქმნილების მარტოოდენ ქება- დიდება, მათ სულიერ ზემოქმედებათა გამო მარტოოდენ ენამჭევრობა“, არამედ „აუცილებელია რეალიზაცია, საჭიროა სიზუსტე“; ამიტომაც თომას მანი არ კმაყოფილდება აქ „მუსიკის, როგორც უნივერსალური სტიქიის“ ჩვენებით და პროფესიულ-„ცეხური“ მასალითაც აკონკრეტებს მას ანუ თავის ამ უდიდეს ქმნილებას, „კულტურისა და მთელი ეპოქის რომანად“ ჩაფიქრებულს, გ ა ნ ა ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ს, უწინარეს ყოვლისა, როგორც „მუსიკის რომანს“ (XII, 203—204) [1] — თანაც არა საერთოდ, არამედ სწორედ იმ მუსიკის რომანს, რომელიც ყველაზე უფრო წმინდად გამოხატავს მისი „ერთიანად კრიტიკული ეპოქის“ მთელი ხელოვნების არსსა და ღირებულებას.

თანაც აქვე მინდა ხაზი გავუსვა „მოდერნისტულ“ ხელოვნებაზე თომას მანის შეხედულებათა საგანგებო „ავთენტიკურობას“, რასაც, მეტი თუ არა, შემდეგი ორი მიზეზი მოეძევება. პირველი, უფრო ზოგადი, ის გახლავთ, რომ, გოეთესი არ იყოს, არც თომას მანის საერთო ესთეტიკური მრწამსი წარმოადგენს „პრეზუმციის“, განყენებულ-თეორიული განსჯის ნაყოფს, არამედ ემყარება ხელოვნების ბუნების იმ გასაოცრად თამამ და შეუცდომელ წვდომას, რაც უმაღლესი რანგის გენიოს მხატვართ სჩვევიათ ხოლმე; ხოლო მეორე, უფრო სპეციფიკური ისაა, რომ ე. წ. „დეკადანსი“, რომლის ნიშნითაც მეტ-ნაკლებადაა აღბეჭდილი მთელი „მოდერნიზმი“, თომას მანისათვის რაღაც „გარეგანი“ რამ, მხოლოდ აღქმის ობიექტი კი არ ყოფილა, არამედ ორგანულ-იმანენტურ მოვლენადაც იქცა, რომლის წიაღშიც იშვა და რომელთანაც ჭიდილშიც ჩამოყალიბდა იგი ვითარცა ადამიანი და ხელოვანი, დიდი ჰუმანისტი და დიდი რეალისტი. ავტობიოგრაფიულ კულტურულ-პოლიტიკურ ტრაქტატში „აპოლიტიკოსის მსჯელობანი“ თავად მწერალი ასე ადგენს თავისი შემოქმედებითი ევოლუციის ამ კანონზომიერებას; „მე ვეკუთვნი იმ თაობას მთელს ევროპაში გავრცელებული მწერლობისა, რომლებიც დეკადანსიდან გამოვიდნენ და, თითქოსდა, მის მემატიანეებად და ანალიტიკოსებად უნდა ქცეულიყვნენ, მაგრამ ამავე დროს გაიმსჭვალნენ დეკადანსისაგან განთავისუ-

1. ფრჩხილებში ჩასმული რომაულ-არაბული ციფრებით აქ და ქვემოთ აღნიშნულია თომას მანის თხზულებათა გერმანული თორმეტტომეულის 1955 წ. Aufbau-Verlag-ის გამოცემის წიგნი და გვერდი.

ფლებისა და მასზე ხელის ალების გადაწყვეტილებითაც... უფრო დაკვირვებული მეთვალყურე ყველა ჩემს ნამუშევარში შეამჩნევს საამისო მისწრაფების, ცდებისა და კეთილი ნების კვალს“. და სწორედ ეს გარემოება სძენს საგანგებო დამაჯერებლობას ადრიან ლევერკიუნის ტრაგიკული სახით წარმოდგენილ სინთეზურ ხატს დეკადენტი „მოდერნისტისა“: იგი,—ეს ხატი,—თანაბარი სიღრმითა და ძალითაა განცდილ-გააზრებული დიდოსტატის მიერ, რომელიც საკუთარი შეჭირვებული სულის უწვრილეს ძაფებსაც აქსოვს მასში და ამავე დროს ლაღადაც მაღლდება მასზე თავისი შემოქმედებითი არსების ჯანსაღი პოტენციით.

I

თომას მანის ამ რომანს წითელ ზოლად გასდევს აზრი, რომ ადრიან ლევერკიუნის დეკადენტური პიროვნება და შემოქმედება რაღაც კერძო, იზოლირებულ და ამ აზრით ერთეულ და შემთხვევით ხასიათს კი არ ატარებს, არამედ ულრმეს კანონზომიერებას ექვემდებარება, სახელდობრ, ლოგიკურად ამთავრებს იმ ხელოვნების ევოლუციას, რომელმაც რენესანსის ეპოქაში დაიდო საწყისი, ხოლო თავის მწვერვალს XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე მიაღწია გოეთესა და ბეთჰოვენის მემკვიდრეობის სახით.

ამიტომაც ვიდრე უშუალოდ ლევერკიუნის ხატის ანალიზს შევუდგებოდე, მოკლედ მოვხაზავ განვითარების იმ მრუდეს, რაც ევროპულმა ხელოვნებამ აღნიშნული მწვერვალიდან,—„ფაუსტისა“ და „მეცხრე სიმფონიის“ დროიდან,—თავის დასასრულამდე, ადრიანის „გოდებამდე“ გაიარა.

როგორც ცნობილია, ხელოვნების ისტორია,—ცხადია, თავისთვის ნიშანდობლივ-სპეციფიკური სახით,—იმ საზოგადოების ისტორიას უკუფენს ხოლმე, რომლის ნიადაგზედაც აღმოცენდება და ვითარდება. კერძოდ, ხელოვნებისა და ცხოვრების ეს შესაბამისობა ვრცელდება ბურჟუაზიულ ხელოვნებაზედაც,—თუ, უფრო სწორად, ბურჟუაზიული სოციალური სინამდვილის ნიადაგში ფესვგადგმულ ხელოვნებაზედაც,—და უზოგადესი სახით გამოიხატება ამ ორ უმთავრეს ასპექტში:

ა) თუკი ბურჟუაზიული საზოგადოების მთელ ისტორიას გასდევს მატერიალურ პროგრესსა და მორალურ რეგრესს, ცივილიზაციასა და კულტურას შორის წინააღმდეგობის თანმიმდევრული ზრდა, რომლის უკანასკნელ საფეხურზე თავად ცხოვრების ბურჟუაზიული წესი ირღვევა, ასევე ამ სოციალურ ნიადაგზე აღმოცენებულ ხელოვნებასაც ემჩნევა ორი ურთიერთის საწინააღმდეგო ტენდენციის ზრდა, რასაც საბოლოოდ ამ ხელოვნების დასასრული მოსდევს:

ერთი მხრივ, შეუჩერებელი ფორმალურ-ტექნიკური სრულქმნა ანუ იმ მხატვრულ „ოპერატორთა“ (ანუ გამოსახვის ტექნიკურ საშუალებათა თანმიმდევრული) დახვეწა, რომელთა მეშვეობითაც ცხოვრებისეული მასალა ესთეტიკურ სინამდვილედ ყალიბდება; და მეორე მხრივ, თანმიმდევრული შინაარსობრივი შეზღუდვა ანუ იმ მსოფლმხედველობრივ-იდეოლოგიური ჰორიზონტისა და თვალსაზრისის „რედუქცია“, დავიწროება-დაქვეითება, რომელიც გადამწყვეტ კრიტერიუმად ევლინება აღნიშნულ „ოპერატორთა“ საშუალებით სინამდვილის ესთეტიკურ ტრანსფორმაციას და რომლის კრიზისსაც მოსდევს ჯერ მხატვრული ფორმის გამოფიტვა და კვდომა, ხოლო საბოლოოდ ხელოვნების ერთიანი, — როგორც იდეურ-მხატვრული ფენომენის, — რღვევა და დასასრული.

შინაარსობრივ რეგრესსა და ფორმალურ-ტექნიკურ პროგრესს შორის ეს წინააღმდეგობა უკიდურეს სიმძაფრეს აღწევს ბურჟუაზიული ხელოვნების უკანასკნელ, ე. წ. „თანამედროვე“ ეტაპზე და მისი გათვალისწინება საგანგებოდაა საჭირო, ვინაიდან ამდროინდელი ე. წ. „მოდერნისტული“ ხელოვნების საერთოდ ნეგატიური ხასიათი, ასე ვთქვათ, „პირდაპირ“ აყენებს მებრძოლად განწყობილ ჰუმანისტსა და რეალისტს მისი „დეკადენტური“ მემკვიდრეობის ერთიანად, განუკითხავად უარყოფის საფრთხის წინაშე.

სინამდვილეში კი, როგორც ეს მახვილად შენიშნა თომას მანმა ამ ხელოვნებას გააჩნია ისეთი მონაპოვრები, — შესაძლოა, სწორედ მისი დეკადენტური არსითაც განპირობებული, — რომელთაც შენახვა-ათვისება მართებთ და არა განურჩევლად უკუგდება.

1939 წლის ესსეში „რომანის ხელოვნება“ თ. მანმა განაცხადა:

„...ხრწნისა და რღვევის ფენომენი, ე. წ. დეგენერაცია — მეტად თავისებური მოვლენაა; ეს, საზოგადოდ რომ ითქვას, რთული პრობლემაა, საკითხი სულის ბიოლოგიისა, რომელიც უბრალოდ როდი თანხვდება ბუნების ბიოლოგიას. აქ ხრწნა და რღვევა შეიძლება იქცეს ცარიელ სიტყვებად ანდა ისეთ სიტყვებად, რომლებიც რაღაც იმის საწინააღმდეგოს გამოხატავენ, რასაც ჩვეულებრივ ბიოლოგიაში ნიშნავენ: ადგენენ რა უფრო გვიანდელ ეტაპს, ისინი ამავე დროს ადგენენ უფრო მაღალ, უფრო განვითარებულ საფეხურსაც; „რღვევა“ შეიძლება ნიშნავდეს დახვეწასაც, გაღრმავებასაც, გაკეთილშობილებასაც და ამ შემთხვევაში მას შეიძლება აღარაფერი აკავშირებდეს სიკვდილთან და აღსასრულთან, არამედ, პირიქით, მიეცეს სიცოცხლის აღმავლობის, ამაღლების, სრულქმნის მნიშვნელობა“ (XI, 464).

მართალია, ამ დებულებაში შეიძლება ბევრი რამ გადაჭარბებულიც იყოს, კერძოდ, საბოლოო დასკვნა, რომ „სულის ბიოლოგიაში“ რღვევა შეიძლება არც იყოს სიკვდილთან და აღსასრულთან წილნაყარი ანუ ერთდაგვარად პოზიტიურ ფაქტორადაც კი იქცევა (რაც თომას მანმა, როგორც ამას ნიცშესადმი და საერთოდ დეკადენტური ხელოვნებისადმი მისი დამოკიდებულების ევოლუცია გვიჩვენებს, საბოლოოდ თვითონვე უარჰყო); მაგრამ მასში, ამ დებულებაში, დიდმნიშვნელოვანი სიმართლეცაა გამოხატული, კერძოდ, ის უდავო ფაქტია აღნიშნული, რომ „სულის ბიოლოგიის“ სფეროში „დეკადანსი“ არ ატარებს „მარტივ“ და „სწორხაზობრივ“, საბოლოოდ „ერთიან“ ხასიათს, რომ აქ მართალია, ძველის კვდომასთან გვაქვს საქმე, მაგრამ აღსრულების ეს პროცესი ერთობ წინააღმდეგობრივია, ისე რომ მასში გარკვეული რამ უთუოდ ისახება და იქმნება ახალი, რაც ძველს სწორედ თავისი უფრო დახვეწილი სახით, უფრო გაღრმავებულ-გართულებული ორგანიზაციით, უფრო განვითარებულ-სრულქმნილი აღნაგობით აღემატება.

ბოლოს და ბოლოს დღევანდელ „დასავლურ“ ხელოვნებაში იმის ანალოგიური მოვლენა შეიმჩნევა, რასაც საერთოდ იმპერიალიზმის სამყაროში აქვს ადგილი: ამ ხელოვნების, საერთო ხრწნას კი არ გამორიცხავს, არამედ კიდევაც გულისხმობს მის ცალკეულ მიღწევათა შესაძლებლობა-აუცილებლობას; ეს მიღწევები თანამედროვე კაპიტალიზმის საერთოდ ნეგატიური ხასიათის შესაბამისად მანკიერად არიან გამოყენებულნი, მაგრამ მათ თავისთავად დიდი პოტენცია ანუ რაციონალურად გამოყენების პერსპექტივაში მაღალი ისტორიული ღირებულება მოეძევებათ.

ბ) ამავე დროს, ისაა საგანგებოდ ხაზგასასმელი, რომ ე. წ. „დეკადანსი“, რომლის დაღითაც ესოდენ მკვეთრად დღევანდელი ბურჟუაზიული ხელოვნებაა აღბეჭდილი, მხოლოდ ამ ხელოვნებაში საცნაური მოვლენა კი არაა, არამედ მას გრძელი წინაისტორია, ხანგრძლივი „საინკუბაციო“ პერიოდი აქვს, რომელიც მთელი ბურჟუაზიული კულტურის უკვე „კლასიკურ“ პერიოდში იღებს თავის დასაბამს.

როგორც ბურჟუაზიული საზოგადოების მთელი ისტორია ნაწევრდება ორ ურთიერთის საწინააღმდეგო, — რევოლუციურ-დემოკრატიული და რეაქციულ-ანტიხალხური, — ტენდენციებით განმსჭვალულ ეპოქად, რომელთა წყალგამყოფს ფეოდალიზმზე გამარჯვების აქტი წარმოადგენს, ასევე ამ სოციალურ ნიადაგზე აღმოცენებული ხელოვნების განვითარებაც ნაწევრდება ანალოგიური ნიშნებით აღბეჭდილ ორ ეტაპად: გარკვეული აზრით აღმავალ რენესანსულ-განმანათლებლურ და დაღმავალ დეკადენტურ-„ნეორომანტიკულ“ პერიოდებად, რომელთა შორის თავისებურ „გადასაყვანლელს“ წარმოადგენს XIX საუკუნის 30—60-იანი წლების კლასიკური, — ვთქვათ, საფრანგეთში სტენდალ-ბალზაკ-ფლობერისეული, — კრიტიკული რეალიზმი, სადაც პირველი პერიოდის საუკეთესო მონაპოვრებიც ჯამდება და მეორე პერიოდის ნეგატიური ტენდენციებიც ჩნდება.

ამ გარდატეხის პირველ მიზეზს წარმოადგენს თვით ბურჟუაზიის ნეგატიური კლასობრივი არსი, ანტიდემოკრატიული და ანტიჰუმანური ბუნება, მდაბალი და შეზღუდული, უსულგულო და ეგოისტური, უგმირო და ფილისტერული ხასიათი, რომელიც ჯერ კიდევ განუვითარებელია და ფარულად მოქმედებს მისი ისტორიის პირველ ნახევარში, ვიდრე ფეოდალიზმის დამხობის ამოცანა „ისტორიული ტრაგედიის“ სიმაღლეზე დგომას მოითხოვს და, რომლის აჩქარებული გამოვლენაცა და „სრულქმნაც“ უმალვე იწყება, როგორც კი ბრძოლის ნამდვილი და საბოლოო მიზანი, — საკუთარი კლასობრივი ბატონობა, — მიღწეულია და რევოლუციური რომანტიკის ხანას მის მონაპოვართა „პროზაული გამოყენების ერა“ ენაცვლება.

და ამის შესაბამისად: თუკი თავის რევოლუციურ ეპოქაში დასავლეთ-ევროპული ბურჟუაზია საკუთარ ანგარებიან, ვიწროდ კლასობრივ ინტერესთა ჩარჩოებს არღვევს და ნაწილობრივ მაინც მთელი ხალხისა და ერის სულისკვეთებათა წარმომადგენლად გამოდის, ანუ, თომას მანის სიტყვებით რომ ვთქვათ, „თავის დიად შვილთა“ სახით „თვითგანთავისუფლებისა და თვითდაძლევის უნარს“ იჩენს და „საკუთარი თავიდან სულიერსა და ზებურჟუაზიულში გადაიზრდება“ (X, 125), XIX ს-ის დამდეგიდან მას მძაფრი „ფერისცვალება“ ეწყება. მისი დემოკრატიულობა სწრაფად კლებულობს, ვიდრე სავსებით არ ამოიწურება 1848 წლის რევოლუციის შედეგად, როცა ისტორიის ასპარეზზე პირველად გამოდის სოციალისტური პროლეტარიატი, როგორც დამოუკიდებელი ისტორიული ძალა და კაპიტალიზმის მომავალი მესაფლავე; ამ ბურჟუაზიის ლიბერალიზმი, რომელიც იმთავითვე ატარებდა ნახევრულ, მარტო ფორმალურ-პოლიტიკურ და არა სრულ, ნამდვილ-სოციალურ ხასიათს, ახლა ერთიან ფიქციად იქცევა, ცინიკურ მატყუარობად, ყოველნაირი ავკაცობის მფარველ ფარისევლობად გადაგვარდება; მისი „გონება“, ადრე აბსოლუტურ-ადამიანური აზრის მატარებლობას რომ ჩემულობდა და ასეთად ნაწილობრივ კიდევაც გამოდიოდა, უკვე სავსებით ამჟღავნებს თავის ნამდვილ რაობას, საბოლოოდ ყალიბდება „ბურჟუაზიულ გონებად“, რომელიც ყოველგვარ თეორიულ ინტერესებსა და იდეალურ მიზნებს

ცვლის მოაზროვნეთა კაბინეტებიდან ბირჟაზე გადაბარგებულ სპეკულაციაზე ანუ იქცევა უადამიანო, ყოველივე სულიერის გამაუფასურებელ, მშრალ და წვრილმან „საღ გონივრულობად“, მერკანტილური პრაგმატიზმის ნიშნით აღბეჭდილი პრაქტიციზმის დაცვა-განდიდებად.

ყოველივე ამის შედეგად გამარჯვებული კაპიტალიზმის ხანაში უმაღლეს ხარისხს, აბსოლუტურ, ყოვლისმომცველ ხასიათს იძენს ადამიანისაგან მისი ადამიანური არსის ის გაუცხოება, რაც კლასობრივი საზოგადოების კერძო-მესაკუთრეობრივი, ანგარებიან-ინდივიდუალისტური ყოფის განუყრელი თანამგზავრია. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ შემოქმედი, მწარმოებელი ადამიანის ყველა (როგორც მატერიალური, ისე სულიერი) უნარი და პროდუქტი თავის საკუთრივ-ჰუმანურ (მეცნიერულ, ეთიკურ თუ ესთეტიკურ, საერთოდ კულტურულ) ღირებულებას ჰკარგავს და თავისსავე სუბიექტს, — ადამიანს, — უპირისპირდება, როგორც ერთადერთ „რეალურ“ და „ნამდვილ“ ღირებულებად მიჩნეული მატერიალური დოვლათის წარმოების საშუალება, კაპიტალის დაგროვების იარაღი. და, დასასრულ, ყოველივე ამით ისაზღვრება ის გარემოება, რომ გაბატონებული ანუ თავისი ანტიჰუმანური ბუნების „პროზაული“ რეალიზაციის ხანაში შესული ბურჟუაზიული საზოგადოება, რომლის საზრუნავსაც მატერიალურ ერთეულებში გამოხატვადი „საცვლელი ღირებულების“ წარმოება შეადგენს, როგორც კ. მარქსი ამბობს, „მტრულადაა მიმართული სულიერი წარმოების ზოგიერთი დარგისადმი, როგორიცაა ხელოვნება და პოეზია“.

ხოლო პირველი ძირითადი დასკვნა, რაც ამ ფაქტიდან გამომდინარეობს, ისაა, რომ ხელოვნება, რომელიც თავისი იდეური შინაარსით ისევე ჰუმანისტურია, როგორც თავისი ესთეტიკური რაობით რეალისტური, მხოლოდ იმდენად ხდება შესაძლებელი ანტიჰუმანურ და ანტიესთეტიკურ კაპიტალისტურ სინამდვილეში, რამდენადაც აქტიურად და ქმედითად ეწინააღმდეგება ამ სინამდვილეს. ანუ ამ დასკვნის ნეგატიური ასპექტი ასეთი იქნება: ის ხელოვნება, რომელსაც ასეთი აქტიურ-ქმედითი ოპოზიციის უნარი არ შესწევს ანუ ბურჟუაზიულ „ცხოვრებაზე“ რეალურად ამაღლება არ ძალუძს, თავად ეცემა „გაუცხოების“ მსხვერპლად, ნამდვილობას ჰკარგავს, რომანტიკულ-დეკადენტურ ხელოვნებად იქცევა და, როგორც ასეთი, საბოლოოდ დასაღუპავად ხდება განწირული.

ამ კანონზომიერების ორივე აღნიშნული ასპექტი ყველაზე ადრე გერმანიაში იქნა დადგენილი, სადაც ბიურგერობის ოდინდელი სისუსტის შედეგად კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებამაც თავთავითვე უმახინჯესი ფორმები მიიღო და მათი დაძლევის ობიექტური შესაძლებლობაც ყოვლად უმნიშვნელო იყო.

აქ პირველად ი. კანტმა გამოაცხადა, რომ ჭეშმარიტი, ე. ი. როგორც ეთიკური იდეალის, ისე ესთეტიკური კანონის ერთგული ხელოვნება წარმოსადგენია მხოლოდ „წმინდა“ ხელოვნების ანუ „მიწიერი“ შინაარსისაგან გაცლილ, მატერიალურ-ანგარებიანი „ინტერესებისაგან“ თავისუფალ მხატვრულ ფორმათა „თამაშის“ სახით. ხელოვნების ამ კანტისეული გაგების უფრო გაღრმავებული, — ისტორიულ პლანში გაშლილ-დაკონკრეტებული, — ვარიაცია წარმოადგინა ფ. შილერმა. მისი აზრით, ნამდვილი და სრულძალოვანი „მეამიტური“ პოეზია, ანუ ცოცხალი ობიექტურ-ემპირიული სინამდვილით უშუალოდ მსაზრდოებელი რეალისტური ხელოვნება, ანტიკურ წარსულში იყო და შორეულ მომავალში იქნება შესაძლებელი, ხოლო „ამჟამად“, როცა „სარგებლიანობა ითვლება დროის დიად კერპად, რომელსაც ყველა ძალა ემორჩილება და ყველა ნიჭი ეწირება“, გამართლებულია ე. წ. „სენტიმენტალური“ ანუ რომანტიკული პოეზია, რომელიც „ზურგს აქცევს სინამდვილეს“ და იდეალის „რეგიონებში“ პოულობს შთაგონების წყაროს. ხელოვნების ბურჟუაზიულ სინამდვილესთან შეუთავსებლობის ამავე იდეის შემდგომ, — უკვე კრიზისულ, სუბიექტივისტურ-მისტიკურ, — განვითარებად გვევლინება ადრინდელ გერმანელ რომანტიკოსთა მოძღვრება „ირონიის“ შესახებ, რომლის თანახმადაც ზენარულ-რელიგიური „სულიერობისაკენ“ მსწრაფი პოეტი კრიტიკულად, ეჭვით ეკიდება თავისი „აღმაფრენის“ მიღწეულ შედეგს, რამეთუ გრძნობს, რომ ეს უკანასკნელი ერთობ დაშორებულია „იდეალს“, ვერაა ჯეროვნად „ამაღლებული“, ანუ სათანადოდ გაცლილი „მდაბალ“-მატერიული ცხოვრებისეული „ბალასტისაგან“. და, დასასრულ, სწორედ ეს რომანტიკული, თავისი „სუბსტანტური შინაარსის“ რელიგიაში მაძებარი პოეზია ესახებოდა ჰეგელს იმ კრიზისის მოდელად, რომელიც, მისი აზრით, ხელოვნებას ბურჟუაზიულ სინამდვილეში გაუცხოების შედეგად უნდა განეცადა და რომლის თანმიმდევრული ზრდა მართლაც იქცა XIX—XX საუკუნეთა „დასავლური“ ხელოვნების განვითარების ძირითად კანონად, გენერალურ ტენდენციად.

სწორედ ამ ტენდენციამ განსაზღვრა ის ძირითადი თავისებურება, რომელმაც XIX ს-ის ხელოვნება, — თანაც არა მარტო მისი გვიანდელ-დეკადენტური მოვლენები, არამედ უკვე

ადრინდელ-კლასიკური მიღწევებიც, — არსებითად განსხვავდა რენესანსულ-განმანათლებლური ხელოვნებისაგან.

ამ უკანასკნელის პირველ ნიშანდობლივ თვისებად მისაჩნევია მისი იდეოლოგიურ-მხატვრული მსოფლაღქმის ფართოდ დემოკრატიული, ხალხური დიაპაზონი. მისი შემქმნელი ტიტანები, როგორც ფ. ენგელსმა აღნიშნა, „ყველაფერს წარმოადგენენ, მაგრამ არ ყოფილან ბურჟუაზიულად შეზღუდულნი“; თ. მანის სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი ჭარბად იყვნენ აღჭურვილნი საკუთარი სოციალური ნაჭუჭიდან „ზებურჟუაზიულში გადაზრდის“ უნარით და ყალიბდებოდნენ „ხალხის ძალებით ნაკვებ გენიოსებად“ (X, 93), ისე რომ მათი შემოქმედება იძენდა „წინაინდივიდუალისტურ დროთათვის“ თვისობრივ „ფოლკლორისტულ“ ხასიათს (VI, 324); — ფოლკლორისტულს არა მარტო იმ აზრით, რომ იგი, ეს შემოქმედება, ხალხური ხელოვნების საგანძურიდან სესხულობდა გამოსახვის ფორმებს, არამედ გაცილებით მეტად იმით, რომ ხალხის ცხოვრებაში ეძებდა შთაგონების წყაროს, მის ყოფასა და სულისკვეთებაში პოულობდა თავის „სუბსტანტურ შინაარსს“. და ამის შესაბამისად, რენესანსულ-განმანათლებლური ხელოვნების ესთეტიკურ უპირატესობას შეადგენდა გარკვეული გამომსახველობითი სისრულე, ყოველ შემთხვევაში აქეთკენ, — სიფართოვისა და სიღრმისაკენ, — მიმართული ტენდენცია. ეს ხელოვნება პრაქტიკულ-ცხოვრებისეულ პლანში თუ ვერ აღწევდა, თეორიულ-წარმოსახვითში მაინც ესწრაფვოდა ადამიანის სრულძალოვან გამოსახვას, როგორც მისი ყოფის უარყოფით თვისებათა ჩვენებას, ისე მისი ბუნების დადებით მიდრეკილებათა გამოვლენას, რის გამოც მის შემოქმედებით მეთოდად იქცეოდა, ასე ვთქვათ, პოზიტიური რეალიზმი, რომელშიც რეალურის კრიტიკა მეტ-ნაკლებად ჰარმონიულად ეთანხმებოდა თუ, სულაც, ექვემდებარებოდა იდეალურის მტკიცებას. ამ რეალიზმის უმაღლეს მიღწევასა და. ამასთან ერთად, მთელი რენესანსულ-განმანათლებლური პოეზიის დაგვირგვინებას შეადგენენ გოეთეს „ფაუსტი“ და ბეთჰოვენის „მეცხრე სიმფონია“, სადაც საერთოდ ძველი. — წინასოციალისტური, — ხელოვნებისათვის მისაწვდომ ფარგლებშია განხორციელებული რეალისტურსა და რომანტიკულს შორის ის ორგანული ერთიანობა, რაც ხელოვნების უმაღლეს ესთეტიკურ მიზანს წარმოადგენს.

ხოლო შემდგომი „დასავლური“ ხელოვნების თავისებურება ისაა, რომ აქ სულ უფრო და უფრო ხდება ობიექტურად შეუძლებელი გოეთესა და ბეთჰოვენის მასშტაბის მხატვართა გაჩენა და „ფაუსტისა“ თუ „მეცხრე სიმფონიის“ ტიპის თხზულებათა შექმნა. კერძოდ, ამ ხელოვნებაში მოვლენათა აღქმის ფარგლისა და ხარისხის თანმიმდევრულ დავიწროება-კლებასთან ერთად, სულ უფრო ირღვევა ნეგაციისა და პოზიციის მანამდე ნიშანდობლივი თანაფარდობა, — პირველი აშკარად იხვეჭს უპირატესობას მეორეზე, — ისე, რომ მაგალითად, ამდროინდელი ლიტერატურის უმაღლეს-უძლიერესი პროდუქტი, სტენდალ-ბალზაკისა თუ თეკერეი-დიკენსის შემოქმედება, უკვე გარკვეული ცალმხრიობით გამოირჩევა, უპირატესად კრიტიკულ რეალიზმად გვევლინება.

მართალია, კლასიკურ კრიტიკულ რეალიზმს ჯერ კიდევ სინამდვილის განზოგადების ფართო მასშტაბი, მისადმი აქტიური მიმართების მაღალი ხარისხი ახასიათებს, მაგრამ ეს იმითაა განპირობებული, რომ მის სოციალურ სუბიექტს, ინტელიგენტურ წვრილბურჟუაზიას, ჯერ კიდევ მხოლოდ ეკარგებოდა, მაგრამ მთლად როდი ჩაჰკვდომოდა ადრინდელი რევოლუციურობა, რის ძალითაც იგი ამ დროს, — ვიდრე რევოლუციური პროლეტარიატი არ იყო მომწიფებული, — ისევ-ისე გამოდიოდა ხალხის ინტერესთა ნამდვილ წარმომადგენლად; ანუ სხვა სიტყვით, ამ რეალიზმის სიძლიერე იმდენად მისი ახალი, XIX საუკუნისათვის სპეციფიკური ნიშნებით კი არ ისაზღვრება, რამდენადაც იმ მსოფლმხედველობრივ-იდეოლოგიური გადანაშთებით, რომლებიც მას ძველთან, რევოლუციურ-განმანათლებლურ წარსულთან აკავშირებენ[1]. მის სპეციფიკურ, ახალი საუკუნისათვის თვისობრივ ნიშნებს კი, სულ უფრო ეტყობა ნეგატიური ხასიათი, კერძოდ, მასში შეუჩერებლივ იზრდება კრიტიციზმსა და პოზიტივიზმს შორის აღნიშნული შეუსაბამობა: გოეთეს „ფაუსტისაგან“ განსხვავებით, რომელშიც მეფისტოფელის კრიტიკულ-რეალისტურ სიმახვილეს ფაუსტის მაღალ-რევოლუციური რომანტიკა იქვემდებარებდა და ხსნიდა, აქ არსებულის გაღრმავებულ მხილებას სულ უფრო ეზავება უნიადაგო და რეაქციული უტოპიზმის ელემენტები (საკმარისია გავიხსენოთ ბალზაკი, რომელიც არისტოკრატის „ზნეობრივი კეთილშობილებისა“ და ბურჟუას „ენერგიულობის“ სინთეზზე ოცნებობდა, ანდა დიკენსი, რომელსაც

---

[1] საქმეც ესაა: 1848 წლამდელი ევროპის სპეციფიკას ის საზღვრავდა, რომ ამ დროს, ვ. ლენინის თქმისამებრ, „ბურჟუაზიული დემოკრატიის რევოლუციურობა კვდებოდა, ხოლო სოციალისტური პროლეტარიატის რევოლუციურობა ჯერ კიდევ არ მომწიფებულიყო“ და ამის შესაბამისად, მაშინდელი ევროპული კულტურის მთავარ წყაროდ გვევლინება ბურჟუაზიული დემოკრატიის ეს ჯერ კიდევ ცოცხალი ანუ „რეტროსპექტულად“ მზარდი რევოლუციური ტრადიცია, რომლის ზენიტიც განმანათლებლობის ეპოქაზე მოდის.

უზენაეს ბედნიერებად ის ფილისტერულ-სენტიმენტალური, უბირი და ყალბი „იდილია“ ესახება, რასაც საშობაო ღამით, — როცა „გარეთ“ სუსხიანი ზამთრის (საზოგადოებრივი ყოფის!) ქარბუქი მძვინვარებს —ქმნიან მოგიზგიზე ბუხარი, მახლობელთა სახეები, გემრიელი საჭმელ-სასმელი და ამ შინაური „მშვიდობის“ სიმბოლური ხატის, ჭრიჭინას ხმაური).

ხოლო 1848 წლიდან, როდესაც დამოუკიდებელი ისტორიული ძალის სახით სოციალისტური პროლეტარიატი გამოდის საზოგადოებრივი ბრძოლის ასპარეზზე, იწყება ბურჟუაზიული ხელოვნების აჩქარებული დაკნინება.

ჯერ — ერთი, „წითელი აჩრდილის“ გამოჩენის გამო, კაპიტალსა და პროლეტარიატს შორის გაჩაღებული ჭიდილის ვითარებაში, სულ უფრო ძნელდება თუ, სულაც, შეუძლებელი ხდება ბურჟუაზიული იდეოლოგიის ჩარჩოებიდან გაუსვლელად, ცხოვრების ბურჟუაზიულ წესთან შეურიგებლად დაპირისპირების გარეშე სინამდვილის ისევე თამამი მხილება, მის მანკიერებათა ისევე ფართო განზოგადება და ტიპიზაცია, როგორც ამას სტენდალი და თეკერეი, ბალზაკი და დიკენსი ახერხებდნენ.

მეორეც, — და მთავარი ესაა! — საერთოდ ბურჟუაზიული ხელოვნების მთავარი სოციალური სუბიექტი, წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია, სწრაფად ჰკარგავს იმ რადიკალიზმსა და ქმედობას, რაც ადრე გააჩნდა, ხოლო ახლა, გართულებულ სოციალურ-პოლიტიკურ სიტუაციაში, კაპიტალიზმის ძველებურად გაბედული, არსებითი მხილებისათვის ორმაგად მოეთხოვება. მეტიც: იმავე მიზეზის ძალით, — „წითელი აჩრდილით“ დამფრთხალი, — წვრილი ბურჟუაზია, მარტო თავის ადრინდელ დემოკრატიულ რევოლუციურობას კი არ ეთხოვება საბოლოოდ, არამედ თანდათანობით საერთოდ ჰკარგავს აქტიურ სოციალურ ფაქტორად ყოფნის უნარს.

როგორც ვ. ლენინმა აღნიშნა, „ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის გაამფთრებული ბრძოლის საზოგადოებაში, მეტადრე მაშინ, როცა ამ ბრძოლის რევოლუციით გამწვავება გარდუვალი, შეუძლებელია საშუალო ხაზი არსებობდეს, ხოლო წვრილი ბურჟუაზიის კლასობრივი პოზიციისა და მისწრაფებების მთელი არსი იმაში მდგომარეობს, რომ შეუძლებელი სურდეს, შეუძლებელს, ე. ი. სწორედ ასეთ „საშუალო ხაზს“ ესწრაფოდეს“. ამ არარსებული „საშუალო ხაზის“ თუ მესამე გზის ამაო ძიებას ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის უმწეო მერყეობა მოსდევდა და სწორედ ამ „მერყეობამ“ „ჩამოაშორა“ წვრილი ბურჟუაზია „აქტიური მოღვაწის როლს“ და წაართვა ადრინდელი პროგრესულობა: დააკარგვინა ხალხისა და მომავლის „ნამდვილი წარმომადგენლის“ როლი, რასაც იგი, ფ. ენგელსის თქმისამებრ, 1848 წლამდე ასრულებდა, და გადააქცია არა მარტო საკუთარი, არამედ საერთოდ ბურჟუაზიული შეზღუდულობის გამომხატველად. კერძოდ, მისი ეს „ფერისცვალება“ იმაში გამოიხატა, რომ წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია, ერთი მხრივ, სულ უფრო პასიურად და პლატონურად ეწინააღმდეგება კაპიტალისტური ბიზნესის სამყაროს, რომლის „უსულოება“ მასაც იქცევს თავის ყოვლის შემმუსვრელ და გამაუფასურებელ წნეხში, ხოლო მეორე მხრივ, სულ უფრო წყდება და შორდება ხალხის დემოკრატიულ მასას, რომელსაც თითქოსდა მთელი კაცობრიობისათვის სახიფათოდ ეუფლება ტოტალური რღვევისა და გათანაბრების „დემონი“ და ამგვარად იღებს კიდევაც სათავეს, კვლავ თ. მანის სიტყვებით რომ ვთქვათ, ის „დახშული წვრილბურჟუაზიული სულიერობა“ **dumpfes kleinbürgerliches seelentum**-ი (X, 125), რომლის სწრაფად დაწყებული „ხრწნა“, **Verrotten** (იქვე) უშუალო წყაროდ და საფუძვლად ექცევა ბურჟუაზიული ხელოვნების ხანგრძლივ კრიზისსა და, საბოლოოდ, სიკვდილსაც.

ეს პროცესი, — როგორც „წვრილბურჟუაზიული სულიერობის“ დახშობა, ისე ბურჟუაზიული ხელოვნების დეკადანსისაკენ გადახრა, რომელიც ყველაზე „სუფთად“ თუ „ნორმალურად“ საფრანგეთში იჩენს თავს, — თითქმის უშუალოდ თან სდევს 1848 წლის რევოლუციის მომყოლ რეაქციას. მართლაც, 50-60-იან წლებზე მოდის, როგორც კლასიკური კრიტიკული რეალიზმის დაკნინების დასაწყისი, ისე მის შემცვლელ დეკადენტურ მიმდინარეობათა ჩასახვა-აღმოცენება. ერთი მხრივ, ამ დროს წერს თავის მთავარ რომანებს გუსტავ ფლობერი, რომელიც ბურჟუაზიული საზოგადოების მხილებას ჯერ „კერძო“ — ოჯახური თუ „სუბიექტურ“-ფსიქოლოგიური ფარგალით ზღუდავს („მადამ ბოვარი“, 1857), მერე შორეული წარსულის ცხოვრებისეული ფორმებით ფარავს („სალამბო“, 1862), ხოლო საბოლოოდ იმ აზრისაკენ იხრება, რომ ამ საზოგადოების მდაბალი და მახინჯი გამოვლენებისაგან ხსნა ესთეტიზმშია საძებარი, „სპილოს ძვლის კოშკში“ ჩაკეტვითღა შეიძლება. და მეორე მხრივ, ამავე დროს განეკუთვნება თანამედროვე დეკადენტურ-„მოდერნისტული“ პოეზიის ისეთი ფუძემდებელი — და ისევ-ისე ესთეტიზმით გამსჭვალული — ძეგლების „გაჩენა“, როგორიცაა ტეოფილ გოტიეს „მინანქრები და კამეები“ (1852), შარლ ბოდლერის „ბოროტების ყვავილები“ (1857) და პარნასელთა „თანამედროვე პარნასი“ (1866).

ხოლო გადამწყვეტ სოციალურ-ისტორიულ ფაქტორად, რომელმაც ბურჟუაზიული ხელოვნების აღსასრული განაპირობა, იქცა თვად კაპიტალიზმის შესვლა ხრწნისა და კვდომის, იმპერიალიზმის სტადიაში, როდესაც მაქსიმა-

ლური ძალით ამოქმედდა ბურჟუაზიული — და საერთოდ კლასობრივი—საზოგადოების ყველა მანკი და ამის შესაბამისად უსასტიკესუმახინჯესი ფორმები მიიღო „გაუცხოვების ფენომენმაც“.

მართალია, იმპერიალიზმის, ასე ვთქვათ, „ზემანკიერება“ ახალ ბიძგსა და უხვ მასალას აძლევს კრიტიკულ-რეალისტური მიმართულებით ხელოვნების შემდგომ განვითარებას. მაგრამ, მეორე მხრივ, ამ ეპოქაში ძლიერ ანტირეალისტურ ფაქტორად იქცევა კლასობრივი ბრძოლის უაღრესად გამწვავების კვალდაკვალ „წვრილბურჟუაზიული სულიერობის“ უკიდურესად დახშობა.

ვ. ლენინი ასე ახასიათებს ამ რთულ ვითარებაში წარმოქმნილ მძაფრად წინააღმდეგობრივ ლიტერატურას: „ფინანსიური ოლიგარქიის საშინელი ბატონობის საშინელი ფაქტები იმდენად ეჩხირება თვალში ყველას, რომ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში, — ამერიკაშიც, საფრანგეთშიც და გერმანიაშიც, — გაჩნდა ლიტერატურა, რომელიც ბურჟუაზიულ თვალსაზრისზე დგას, მაგრამ მაინც დაახლოებით სწორ სურათს იძლევა და აკრიტიკებს კიდევაც, — რა თქმა უნდა, მეშჩანურად, — ფინანსიურ ოლიგარქიას“.

ეს ლენინისეული თეზისი ერთგვარ გასაღებს გვაძლევს წარსული საუკუნის მიწურულისა და მიმდინარე საუკუნის დასაწყისის მთელი ხელოვნების გასაგებად, რომლის მიღწევები არამც და არამც არ დაიყვანება „მოდერნიზმამდე“.

ისეთ შემთხვევებში, როდესაც ესა თუ ის ხელოვანი ახერხებს „წვრილბურჟუაზიული დახშულობის“ გარღვევას, — ე. წ. Durchbruch-ს, რაც აგრეთვე თომას მანის ცნებაა, საქმე გვაქვს გორკისა და მაიაკოვსკის ან ბრეჰტისა თუ არაგონის ტიპის დიდოსტატებთან, რომლებიც გვევლინებიან ნამდვილად ახალი ხელოვნების, სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებლებად.

სადაც კი ანტიიმპერიალისტური კრიტიციზმის „მეშჩანური“, ე. ი. წვრილბურჟუაზიული ხასიათი ბოლომდე დაუძლეველია, მაგრამ ასე თუ ისე მინიმალურად რჩება, იქ აგრძელებენ კლასიკური კრიტიკული რეალიზმის ტრადიციას ისეთი ხასიათისა და რანგის ხელოვანნი, როგორნიც არიან ფრანსი და როლანი, გოლზუორთი და შოუ, ლონდონი და დრაიზერი, ჰაინრიჰ და თომას მანები.

ხოლო, დასასრულ, დეკადენტური მოდერნიზმის ჩიხში ემწყვდევა ყველა, — თუნდაც უნიჭიერესი, „გენიალობის“ ნიშნით აღბეჭდილი, — ხელოვანი, ვის ცნობიერებასა და შემოქმედებაში ბურჟუზიულ-მეშჩანური თვალსაზრისი ისე მძლავრდება, რომ საბოლოოდ იმორჩილებს და კიდევაც ახშობს, სულაც თავის წინააღმდეგობად აქცევს ანტიიმპერიალისტურ კრიტიციზმს.

ამ ხელოვანთა შემოქმედებაზე, რომელთაც „თვითდაძლევისა“ და „ზებურჟუაზიულთან“ თუნდაც ნაწილობრივ-დროებით ზიარებას ძალა არ შესწევთ, დამღუპველ ზემოქმედებას ახდენენ „ფინანსიური ოლიგარქიის საშინელი ბატონობის საშინელი ფაქტები“. თუმცაღა მათ ქმნილებებსაც გამსჭვალავს ანტიიმპერიალისტური კრიტიკული ტენდენცია, მაგრამ ამ ტენდენციას არავითარ შემთხვევაში არ აქვს ის პოზიტიური ღირებულება, რომელსაც, მაგალითად, როჟე გაროდი ანდა ერნსტ ფიშერი ამჟამად მიაწერენ. საქმე ისაა, რომ ბურჟუაზიულ-მეშჩანურ თვალსაზრისს, რომელიც კრიტიკოს-რეალისტებთან თავის მინიმუმამდე დადის, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დეკადენტთა შემოქმედებაში, რის გამოც მათი ანტიიმპერიალისტური განწყობილებები აშკარად უკმარი რჩება სინამდვილის რეალისტურად ტიპიზაციისათვის. პირიქით, ეს კრიტიკული განწყობილებები აქ ისეა სინამდვილის წინაშე უმწეობით გამსჭვალული, რომ, სულაც, მისი ანტირეალისტური აღქმა-ასახვის იმპულსად იქცევა, ერთდაგვარ ახალ — ნატურალიზმზე დაფუძნებულ — რომანტიზმს ედება სარჩულად.

სახელდობრ: იმპერიალიზმისათვის ნიშანდობლივ მოვლენათა „დაახლოვებით სწორი სურათი“ აქ ფაქტოლოგიური სიზუსტის ვიწრო ჩარჩოებს არ სცილდება და მხატვრულ სიმართლეს დიდად დაშორებული რჩება, რამდენადაც ამ ჩარჩოებში გამოხატული ემპირიული რეალობის გააზრება-გაშუქება მთლიანად ბურჟუაზიულ-მეშჩანური თვალსაზრისისაგან ხდება დამოკიდებული; ხოლო ამდენად ეს სურათი მით უფრო მისტიფიცირებულ ხასიათს იძენს, რაც უფრო უმწეოდ, — სნეულად თუ სახიჩრად, დაცემულად თუ მდაბლად, ეულად თუ დაკარგულად, უიმედოდ და განწირულად, — გრძნობს თავს „გაუცხოვების“ მარწუხებში მოქცეული ბოდლერი ან უაილდი, პრუსტი ან ჯოისი, კაფკა ან ჰაკსლი, მოკლედ, ამ ჯურის ყველა ურწმუნო ადამიანისა თუ მოზიზღარი ცხოვრებისა.

თუმცაღა აქედან ის დასკვნა როდი გამოდის, რომ ყველა ამ მაღალნიჭიერი და სერიოზული ხელოვანის შემოქმედება მარტოოდენ დასაგმობია.

ვ. ლენინის მოტანილი დებულება იმასაც ცხადჰყოფს, რომ დეკადენტურ-მოდერნისტული ხელოვნების ხელაღებული მაძაგებლები პრინციპულად ისევე ცდებიან, — ცალმხრივად იხილავენ მას, — როგორც მისი ზედმეტად მაქებარნი. ამ დებულების შუქზე ისიც ჩანს, რომ ხსენებული ხელოვნება არავითარ შემთხვევაში არ გვევლინება ერთიანად ნეგატიურ მოვლენად ანუ შეიცავს „რაციონალურ მარცვალსაც“, „სიმართლის წილსაც“, ე. ი. რეალისტურ ელე-

მენტსაც, ვინაიდან კრიტიკულადაა განწყობილი იმპერიალიზმისდროინდელი კაპიტალიზმისადმი. და ისიცაა საცნაური, რომ ეს ხელოვნება საბოლოოდ მაინც ვერ იმსახურებს დადებით შეფასებას, რამდენადაც აღნიშნული კრიტიციზმი მასში „ბურჟუაზიულ თვალსაზრისს“ ექვემდებარება და „მეშჩანურადაა“ განხორციელებული.

ის ფაქტი, რომ „მოდერნიზმის“ ყველა დიდოსტატს გაუკაცურებულ კაპიტალისტურ სამყაროში სული ეხუთება, მათ გარკვეულ სუბიექტურ-ადამიანურ ღირსებას მოწმობს და თანალმობის ღირსადაც ხდის; ხოლო იმ გარემოებას, რომ ამ დიდოსტატათა შემოქმედებას დეჰუმანიზაციისა და ანტირეალიზმის დაღი აზის, ღრმად შემეცნებითი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც იმის საბუთს, თუ რაოდენ ტრაგიკულია ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ ყოფას დამორჩილებული, უფრო სწორად, თუნდაც ამ ყოფის წინააღმდეგ მეამბოხე, მაგრამ მისი ფარგლების ვერ „გამრღვევ“ ხელოვანთა ხვედრი. და ამიტომაც ასეთ შემოქმედთა ნაკლოვანი ესთეტიკური მემკვიდრეობის ცოდნა აუცილებელი ჩანს. ოღონდ იმ უთუო პირობით, თუკი ეს იქნება კრიტიკული, დამძლეველ-უარმყოფელი ცოდნა, რომელიც იმ ფაქტის შეგნებას ემყარება, რომ კაპიტალიზმის საშინელებათა ის აღქმა, რაც დეკადენტებს ძალუძთ, ადამიანს საბოლოოდ მარცხს უმზადებს და არა გამარჯვებას, ხოლო ხელოვნებას სიკვდილს უქადის და არა სიცოცხლეს.

საერთოდ კაპიტალიზმისა და მეტადრე იმპერიალიზმის დეკადენტური კრიტიკის მანკიერება და უმწეობა. — ბურჟუაზიულ-მეშჩანური ხასიათი, — იმით ისაზღვრება, რომ ფასეულობათა იმ გადაფასებას, რასაც დღის წესრიგში თვით ცხოვრება აყენებს, ეს კრიტიკა ეწევა „დახშული წვრილბურჟუაზიული სულიერების“ უბირ შესაძლებლობათა ფარგლებში. სახელდობრ, ამ კრიტიკას ბურჟუას ორგანულ ნაკლოვანებათა პოზიტიურად დაძლევის უნარი არ შესწევს. კერძოდ, თუკი განმანათლებლების მიერ აღიარებული გონება სრულ დისკრედიტაციას განიცდის, ბოლომდე აჩენს თავის ვიწრო-კლასობრივ და, არსებითად, უგუნურ ხასიათს, ანუ სავსებით კოტრდება როგორც ცხოვრების შემფასებელ-მომწესრიგებელი პრინციპი, დეკადენტები მას უფრო მაღალი ტიპის თუ ხარისხის „რაციოს“ კი არ უპირისპირებენ, არამედ საერთოდ გონებაზე იღებენ ხელს და ირაციონალიზმში ვარდებიან, სკეპტიციზმსა თუ აგნოსტიციზმსა, ინტუიტივიზმსა თუ მისტიციზმს ქადაგებენ, ანდა: თუკი ბურჟუაზიულმა „მორალმა“ ისე გამოავლინა თავისი შინაგანი სიყალბე, ფარისევლური არსი, რომ მისი პატიოსნად დაცვა გამორიცხული დარჩა, დეკადენტები მას ნამდვილ, პირუთვნელ ზნეობრივ მრწამსს კი არ უპირისპირებენ, არამედ საერთოდ მორალზე იღებენ ხელს და იმორალიზმს ქადაგებენ, სიკეთისა და ბოროტების მიღმა დადგომას ლამობენ, რასაც საბოლოოდ ამორალიზმში გადაჩეხვა, ადამიანის ბოროტ არსებად „ცხოველად“ გამოცხადება „აგვირგვინებს“. და ასევე: თუკი „რესპექტაბელურ“ ბურჟუას გარეგნულად ლამაზ სახეს, — დორიან გრეის პორტრეტივით, — სულ უფრო ამახინჯებენ მისი ამორალური შიდაბუნების შტრიხები, დეკადენტები დეესთეტიზაციის ამ პროცესს მშვენიერების ახალ, უფრო მაღალ იდეალს კი არ უპირისპირებენ, არამედ კვლავ თავად მშვენიერებას აქცევენ ზურგს, ლამაზის კეთილთან ოდინდელ კავშირს წყვეტენ და ბოროტის ესთეტიზაციას იწყებენ, „ცისფერი ყვავილის“ რომანტიკას „ბოროტების ყვავილთა“ კულტით სცვლიან.

და ბუნებრივია, რომ ამგვარ დეკადენტურ „კრიტიკას“ გაუცხოვების ფენომენის დაძლევა და მოხსნა კი არ ძალუძს, არამედ, პირიქით, მისი სრული აბსოლუტიზაცია და მისადმი საბოლოო დამორჩილება მოსდევს.

ყველაზე უკეთ ის ცხადყოფს ამას, თუ როგორ „ართმევენ თავს“ დეკადენტები გაუცხოვების ფენომენის უმთავრეს ასპექტს: კაპიტალის ბატონობის სამყაროში ადამიანის პიროვნების გაუფასურებასა და ნიველირებას, თავისებურ „ატომიზაციას“ ანუ ყოველგვარი მეობისაგან, ინდივიდუალური თვითარსობისაგან განძარცვასა და ბიზნესის უსულო, კაცისა და ღმერთის ნებისაგან დამოუკიდებელი, ყოვლის შემმუსვრელი მექანიზმისადმი დამონებას.

ამ შემთხვევაშიაც ისინი ბურჟუაზიული მსოფლაღქმის ჩარჩოთა გაურღვევლად აპირებენ „თავის გაღწევას“, რასაც კვლავ მათი განზრახვის საწინააღმდეგო, ნეგატიური შედეგი მოსდევს. იმის ნაცვლად, რომ კაპიტალის წარმოება-დაგროვების სტიქიურ-ქაოტურ ხასიათს გონივრულ-გეგმიანი საზოგადოებრივი ყოფის იდეა დაუპირისპირონ და ამის შესაბამისად მისი გარდაქმნაც სცადონ, ისინი საერთოდ „ცხოვრების“ არსობრივ ნიშნად აცხადებენ სტიქიურობასა და ქაოტურობას; და ამავე დროს, იმის მაგიერ, რომ კაპიტალის წარმოება-დაგროვების „მექანიზმში“ ჩათრეულ-გაუკაცურებულ ბურჟუას, ვიწროდ-ანგარებიან, მატერიალური ინტერესებით დახშულ ფილისტერს, ჭეშმარიტი ადამიანი ანუ საზოგადოებრივი მისწრაფებებით განსულიერებულ-ამაღლებული ინდივიდი დაუპირისპირონ, ისინიც ისევ-ისე რჩებიან შეპყრობილნი ბურჟუაზიულ იდეოლოგთა ოდინდელი „ესთეტიკური ილუზიით“, რომლის თანახმადაც სამოქალაქო, ე. ი. რეალურ-პრაქტიკული ბურჟუაზიული საზოგადოების წევრი, — საკუთარ ინტერესთა ნაჭუჭში ჩაკეტილი ინდივიდი, — სოციალური განვითარების გამოსავალი წერტილია და არა შედეგი და, როგორც ასეთი, ისტორიულ ანუ გარდამავალ კატეგორიას კი არ წარმოადგენს, არამედ ნამდვილ ადამიანად, ბუ-

ნებრივ „პირველფენომენად“ გვევლინება; ხოლო, ამდენად, ამ „ბუნებრივი“ ადამიანის ანუ ბურჟუას ყოველგვარ დაკნინებას, კერძოდ კი დეჰუმანიზაციას, ისინი აღიქვამენ ვითარცა საერთოდ კაცობრიობის დაცემა-გადაგვარებას.

მართალია, ბურჟუას „გამოცდილების“ ასეთ განზოგადებას გარკვეულ ობიექტურ საფუძვლად ის ფაქტი ედება, რომ კაპიტალის ბატონობის სამყაროში მხოლოდ საკუთრივ-ბურჟუაზიული საზოგადოება კი არ იხრწნება, არამედ დემორალიზაციის მანკი ხალხის მასებსაც ედება, რამდენადაც ანგარებისა და სიხარბის ვნებები მათაც, სიღატაკითა და უუფლებობით შეჰირვებულთაც, ეუფლება. მაგრამ ეს გარემოება სულაც არ აბათილებს ხსენებული განზოგადების ცილისმწამებლურ ხასიათს, ვინაიდან ჯერ-ერთი, ხალხის „სიწამხდრე“, როგორც ეს ჩვენმა ილიამაც დიდებულად აღნიშნა „ოთარაანთ ქვრივში“, მხოლოდ მონატანია და ზედაპირული რჩება, მაშინ როდესაც „მაღალი საზოგადოების“ ამორალიზმი ორგანულ-სიღრმისეულია, და მეორეც — იმის გამო, რომ ხალხის დემორალიზაციის პირველმიზეზი თავად ეს საზოგადოებაა, ცხოვრების მის მიერ დამკვიდრებული წესია. და ამიტომაც წვრილბურჟუაზიული „კრიტიციზმი“, რომლის დედააზრს ბურჟუზიის მანკიერებათა ადამიანთა მოდგმაზე განვრცობა შეადგენს, თუმცაღა კი შეიცავს საგრძნობ რეალისტურ ელემენტს, მაგრამ საბოლოოდ მაინც რეალიზმის წყაროდ კი არ გვევლინება ხელოვნებაში, არამედ, პირიქით, ანტირეალიზმს ასაზრდოებს.

ამ ანტირეალიზმის არსი მარტო იმით კი არ ისაზღვრება, რომ აქ მანკიერი ბურჟუა ადამანის ეტალონად ანუ ადამიანი ბურჟუად ცხადდება, არამედ ისიც, რომ კაპიტალიზმის წვრილბურჟუაზიული კრიტიკოსები აღნიშნული ცთომილების შესაბამისად ეძებენ სხვადასხვა ამაო „წამლებს“, რომელთა აზრიც არსებითად ამ ერთადერთ ცდამდე დაიყვანება: „ბუნებრივ“ და, მაშასადამე, უცვლელ-გარდაუქმნელ არსებად მიჩნეული „ინდივიდუუმის“, — ეგოცენტრიკოსისა და ეგოისტის, — გარესამყაროსადმი ისეთი მიმართების დამყარებამდე, რომელიც მას „მიყუჩებულ“ ადგილს მოუპოვებდა და „გაუცხოვებისაგან“ იხსნიდა აგრეთვე უცვლელ-გარდაუქმნელად აღიარებული „ცხოვრების“ ქაოტურ სტიქიონში.

ასეთი ცდების ერთ-ერთ პირველ, — თანაც, აქტივისტურ, — ნიმუშს წარმოადგენს ფრიდრიხ ნიცშეს „ზეკაცის“ კულტი, რომელიც გაუკაცურებული, ფილისტერად დაკნინებული ბურჟუას „დაძლევას“ ლამობს მისი სუბსტანციური, ძირეულ-სიღრმისეული მანკის, — ეგოისტური ინდივიდუალიზმის, — პათოლოგიური ჰიპერტროფიით, აგრესიული აღზევებით (და აქაც იგივე მსოფლმხედველობრივფსიქოლოგიური კანონზომიერება ჩანს, რაც კაპიტალიზმის ყველა წვრილბურჟუაზიულ კრიტიკოსს ეტყობა: იმის ნაცვლად, რომ „გაუცხოვების ფენომენის“ მიზეზთამიზეზს — ბურჟუაზიული საზოგადოების ეგოისტურ-ატომისტურ წყობას შეუტიოს, ნიცშე იმით „უმხედრდება ამ საზოგადოებაში კაცის გაუპიროვნებას, რომ, რეაქციის სახით, წრესგადასულ ეგოცენტრიზმში, უკიდურეს ინდივიდუალზმში იჩხება).

ასეთსავე შემდგომ, — მაგრამ უკვე პასივისტურ, — ცდებს განეკუთვნება გვიანდელი ნიცშეს „ტოტალური ნიჰილიზმის“ საფუძველზე აღმოცენებული თანამედროვე, კერძოდ „ეგზისტენციალისტური“ მოძღვრებები ე. წ. „ცხოვრების ფილოსოფიისა“, რომელთა დედააზრიც „გაუცხოვების ფენომენის“ წინაშე მარტოხელა პიროვნების სრული უმწეობის შეგრძნებით ისაზღვრება; ამ მოძღვრებათა თანახმად, უსაშველო აბსურდის სარბიელად აღქმულ ცხოვრებაში „გადასროლილ“, მარტოობისა და შიშის, უსასოობისა და განწირულების განცდით შეპყრობილ ადამიანს ისღა „ძალუძს“, რომ ირონიითა თუ ზიზღით განიმსჭვალოს, როგორც საკუთარი უმწეობის, ისე მთელი ყოფიერების უაზრობის მიმართ და ამგვარად „დასძლიოს“ ერთიც და მეორეც, ასე წარმოსახვით „ამაღლდეს“ ორთავეზე, საერთოდ, არსებობის ტრაგიკომედიაზე.

და ამავე ცდების რიგს განეკუთვნება ე. წ. „სპილოს ძვლის კოშკში“ თავის შეფარების განზრახვა ანუ „ცხოვრებიდან“ ხელოვნებაში ლტოლვა, რომელიც წითელ ზოლად გასდევს ბურჟუაზიულ-დეკადენტური კულტურის მთელ — დღემდე მომდინარე — ევოლუციას.

ამ ლტოლვის ობიექტურ საფუძველს თუ არა, ერთგვარ „რეზონს“ ის გარემოება წარმოადგენს, რომ ხელოვნება თავისი იდეურ-ესთეტიკური არსით ანტიბურჟუაზიული მოვლენაა. მაგრამ ამ „რეზონს“ ის აბათილებს და, მაშასადამე, ხსენებულ ლტოლვასაც ის სძენს ილუზორულ ხასიათს, რომ კაპიტალის სამყაროში თავად ხელოვნება იქცევა „გაუცხოვების“ — დეჰუმანიზაციისა და დეესთეტიზაციის — საგნად, როცა ბურჟუაზიული ყოფის ჩარჩოებს ვერ არღვევს და, ხალხის ჰუმანურ სულთან დაუკავშირებელი, ბიზნესის უსულოებას ქმედით წინააღმდეგობას ვერ უწევს.

და სწორედ ამგვარ „გაუცხოვებულ“ ხელოვნებად გვევლინებიან თანამედროვე დეკადენტური, ანუ ე. წ. „მოდერნისტული“ მიმდინარეობანი, რომლებიც „დახშული წვრილბურჟუაზიული სულიერობით“ არიან შთაგონებულ-გამსჭვალულნი და რომელთა სახითაც თავის არსებობას ამთავრებს საერთოდ ბურჟუაზიული ხელოვნება.

ამ გაუცხოვებულ-დეკადენტური ხელოვნების უმთავრეს ნიშნად, კვლავ თ. მანის სიტყვით რომ ვთქვათ, მისი „ოსმოსური“ ანუ არა

ცხოვრებისეულ-ბუნებრივი, არამედ ექსპერიმენტულ-ხელოვნური ხასიათია მისაჩნევი.

ჯანსაღ ხელოვნებას, რომელიც ისევე რეალისტურია თავისი ესთეტიკური ბუნებით, როგორც ჰუმანისტური თავისი იდეური შინაარსით, ხალხის ცოცხალი, მიმდინარე ცხოვრება ემსახურება უშრეტ მასაზრდოებელ წყაროდ. ხელოვნებაში მარტოოდენ „სულის თანამედროვე სიცოცხლე“, „მხოლოდ აწმყოა უჰკნობი, ყოველივე სხვა უფერულია და მკრთალიო,“ — ამბობდა *ჰეგელი* და დასძენდა: „ყველა მასალა, რომელი ხალხის ცხოვრებიდანაც და რა ეპოქიდანაც არ უნდა იყოს ნასესხები, მხოლოდ ვითარცა ცოცხალი თანამედროვეობის მატარებელი იძენს თავის მხატვრულ სიმართლესო“. და სწორედ „სულის თანამედროვე სიცოცხლესთან“ ეს კავშირი უწყდება დეკადენტთა „ოსმოსურ“ ხელოვნებას, რომელიც „საარსებო სუბსტანტურ შინაარსს“ ვერც ბურჟუაზიულ ყოფაში პოულობს (რაკი ამ ყოფას ადამიანური აღარაფერი მოეძევება) და არც დემოკრატიის „საქმეებსა და დღეებში“ ეძიებს (ვინაიდან დემოსი „უბირად“ ესახება თავისი გარეგნული „სულიერი არისტოკრატიზმის“ პარკში „ჩაჭუპრულ“ დეკადენტს). ხოლო ამ ესთეტიკური „ეზოტერიზმის“ უშუალო შედეგად დეკადენტური ხელოვნება გადაულახავი კრიზისის მარწუხებში ექცევა, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, *ჩნდება მხატვრული მასალის გამოლევაში, თემებისა და მოტივების, სიუჟეტებისა და სახეების გაცვეთა-ნაკლებობაში.*

ამ კრიზისიდან დაღწევის პირველ ცდად გვევლინება უკვე XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაწყებული და დღემდე მომდინარე ტენდენცია ძველი მასალის „განახლებისა“, ასე ვთქვათ, „ძველს რუმბში ახალი ღვინის ჩასხმისა“. *ჰანს მაიერი* ასე ახასიათებს ამ ტენდენციას: „უკვე საუკუნეზე მეტია, რაც ჩვენი არქიტექტორები ერთგულად იმეორებენ ყველა ისტორიულად ცნობილი სტილის ფორმალურ ელემენტებს: ახალი გოტიკისა და ახალი რენესანსის ყაიდაზე, კლასიციზმისა და ბაროკოსადმი მიბაძვით, კრეტისა და იავის ორნამენტთა გამოყენებით აგებენ შენობებს. თანდათანობით ყველა ისტორიული სიუჟეტი და თემა იქნა ნასესხები: საკუნტალა და ცარცის წრე, რომისა და საბერძნეთის წარსული და მითოლოგია, რუსული და შვედური ისტორია, ირლანდიისა და ავსტრიის გლეხთა პრობლემები. შინაარსის შესაბამისად, ფორმებზედაც იგივე ითქმის. ბაძავდნენ იტალიელთა იმპროვიზაციულსა და ესპანელთა „დაშნისა და ლაბადის“ კომედიებს, ელისაბედისეულსა და იეზუიტურ დრამებს, გლეხურ საყველიერო თამაშებსა და სამურაების წარმოდგენებს. უკვე ყველაფერია „ნაცადი“. ძნელად მოიძებნება ბერძნული და რომაული წარსულის ისეთი მითი, რომლის ახალი სისხლით გაცოცხლება არ ეცადოთ ჩვენი დროის მწერლებს. ყველანი ესენი კვლავ გამოუყვანია სცენაზე ოდესღაც „ახალ დრამას“! მიდასი და ორფეოსი, ანტიგონე და ოიდიპოსი, ფედრა და იფიგენია, არიადნე და ელექტრა. ეს მასალა ყველას გასწვდა გერჰარტ ჰაუპტმანიდან — ჰუგო ფონ ჰოფმანსტალის ჩათვლით — ჰანს ჰენი ჟანამდე, კლოდელიდან ანუიმდე, სარტიდან ონეილამდე“, რომელნიც იმიტომ „იმეორებენ“ ძველს, რომ: „*არ ძალუძთ ნამდვილი ქმედითობა და სიწმინდე შესძინონ უშუალოდ თანამედროვეობიდან ნასესხებ მასალას*“.

მაგრამ ეს „ტრადიციონალისტური“ ტენდენცია ერთობ უკმარი იყო. როგორც იგივე გერმანელი ლიტერატორი აღნიშნავს, თავად ამ ტენდენციის მესვეურთათვის „ხდებოდა ცხადი, რომ ძველი თემების ამ განახლებას მხოლოდ არტისტული მხრით შეეძლო სიახლის მოტანა, მაგრამ ვერაფერი მოჰყვებოდა ისე ახალი, რაც არსებითად შთამბეჭდავი იქნებოდა“. მართლაც, ამგვარი „განახლების“ გზით შექმნილ თხზულებებს ნამდვილი თვითარსობა აკლია და აშკარად ემჩნევა „სქოლასტიკურ“-მწიგნობრული ელფერი, იმის ანაბეჭდი, რომ ისინი უფრო ერუდიციის ნაყოფს წარმოადგენენ, ვიდრე ცოცხალი შთაგონებისა. მართალია, ამ თხზულებათ თითქოსდა ის გარემოება ანიჭებს ერთგვარ სიახლეს, რომ აქ ძველი თემები და სახეები „პირდაპირ“ და „სერიოზულად“ კი არ მეორდება, არამედ *ირონიულ-პაროდიულ* პლანშია ხოლმე გამოყენებული. ასე, მაგალითად, როგორც „მოდერნიზმის“ ერთი მთავარი თეორეტიკოსი *ორტეგა-ი-გასეტი* შენიშნავს, „ბოდლერმა სწორედ იმიტომ მიმართა შავ ვენერას, რომ კლასიკური თეთრი იყო“. მაგრამ ძველის ასეთი „ნეგაცია“ სულაც ვერ სძენს „ახალს“ ჯეროვან სუვერენულობას. კერძოდ, თუმცაღა ბოდლერის „ვენერას“ რეალური პროტოტიპიც ჰყავს, — მულატი საყვარელი ჟანა დჟუვალი, — მას მაინც აკლია ობიექტურ-ცხოვრებისეული რეალობა და სიცოცხლე; საქმე ისაა, რომ „დჟუვალის ფენომენს“ საიმისო „სუბსტანტიური შინაარსი“ არ გააჩნია, რათა ესთეტიზაციის საგნად იქცეს, რის გამოც მისი თვითნებურ-სუბიექტივისტური მხატვრული პროექცია — შავი ვენერა — მაინც მკვდარ, არაცხოვრებისეულ სახედ გვევლინება, რომელსაც (ობიექტივაციის საკუთარ პოტენციას მოკლებულს) მხოლოდ კლასიკურ ვენერასთან შეპირისპირებით ანუ დაკავშირებით „იაზრებს“ თავად პოეტიც და ასევე გაშუალედებულად, რეფლექტურად „წარმოიდგენს“ მკითხველიც. და ამიტომაც მსგავს ხელოვნურ ქმნილებებს შინაგანი სუსტ-

ძალოვანების ძალი აზის: გერჰატ ჰაუპტმანის მოსწორებული შედარებისამებრ, ასეთი „ერთმანეთისაგან დამოკიდებული“ ქმნილებანი „ვამპირებივით ურთერთს სწოვენ სისხლს, ნაცვლად იმისა, რომ ცალ-ცალკე იდგნენ და სალი ფესვებით მიწიდან მიიღონ საზრდო“, „შორს და ღრმად გაიდგან ძირი ცხოვრებაში“ და ამგვარად „იქცნენ ჯანსაღ და ტანმაგარ ხედ“ ნამდვილი პოეზიისა. ანუ დეკადენტურ ხელოვნებას იმთავითვე ემჩნევა, როგორც ამას თ. მანი ათქმევინებს თავის ერთ გმირს, „საშუალებათა ისტორიული გაცვეთილობა და ამოწურულობა“ (VI, 184), რაც იმას ნიშნავს, რომ საბოლოოდ მას შინაგანი აუცილებლობის სახით უნდა აღმოაჩნდეს განსახიერების არა მარტო ტრადიციულ, „ჩვეულებრივ“-ცხოვრებისებურ, არამედ საერთოდ ობიექტურ-ცხოვრებისეულ ანუ ყოველგვარ რეალისტურ ფორმებზე ხელის აღების, მათი მსხვრევისა და უკუგდების ტენდენცია.

და, მართლაც, ზემოთ აღნიშნული კრიზისის დაძლევის მეორე — და საბოლოოდ უნაყოფო — ცდად სწორედ ეს უკანასკნელი ტენდენცია იქცევა, რომელიც დეკადენტურ ხელოვნებაში ჩვენი საუკუნის დამდეგიდან იჩენს თავს სხვადასხვა ფუტურისტულ-ექსპრესიონისტულ-სიურრეალისტურ მიმდინარეობათა სახით და დღევანდელ აბსტრაქციონიზმში აღწევს თავის საზღვარს ანუ ლოგიკურ დასასრულს.

და სწორედ ამ მოდერნისტულ-აბსტრაქციონისტული ტენდენციის წყალობით აღწევს თავის სისრულეს დეკადენტური ხელოვნების „ოსმოსურობა“, რომლის გასაოცრად ღრმა და ზუსტი აღწერილობა მოგვცა თ. მანმა თავისი შემოქმედებითი გზის დამაგვირგვინებელ რომანში — „დოქტორ ფაუსტუსი“.

## II

ამ ხელოვნების კრებით-სინთეზურ წარმომადგენლად აქ გამოყვანილია კომპოზიტორი ადრიან ლევერკიუნი, რომელიც თავად მწერლის თქმით, გვევლინება „ასე ვთქვათ, იდეალურ სახედ, „ჩვენი დროის გმირად“, მთელი ეპოქის ტკივილს რომ იტევს“, და რომელსაც ამდენად, თავისი ასეთი „იდეალურობით“, შეუძლია „სარწმუნო ადგილი“ დაიჭიროს თანამედროვე ბურჟუაზიული ხელოვნების „რეალურ მოღვაწეთა შორის“ (VI, 236).

ლევერკიუნის, როგორც ადამიანისა და შემოქმედის, ხასიათს განსაზღვრავს „გამოუსწორებელი ინდივიდუალიზმი“ (VI, 159) და აქედან მომდინარე „ცხოვრებას დაშორებულობა“, „უსულოება“ და „უკაცრიელობა“ (XII, 236) ანუ ყოველივე „გარეშეს“ მიმართ გულგრილობა. „მე მასზე გაცილებით მეტად მჩვეოდა საზოგადოებრივი ცნობისმოყვარეობა ან, უკეთ რომ ითქვას, ადამიანური გულისხმიერებაო“, ამბობს ადრიანის ჰუმანისტი მეგობარი და ბიოგრაფოსი ცაიტბლომი (VI, 388). ეს გარემოება, უწინარეს ყოვლისა, აქცევს მის ხელოვნებას „საკუთარ თავში ჩაწერტებულ და ყოვლად ცივ ეზოტერიკად“ (VI, 296), ასვამს მას მძაფრად ანტიდემოკრატიულ, მხოლოდ რჩეულ „გამოდბილთათვის“ დანიშნული ესთეტიზმის ბეჭედს. „რომანტიკული დემოკრატიულობისა და მორალური დემაგოგიისაგან დაღლილ“ ადრიანს ნებავს და აღაფრთოვანებს მარტოოდენ კამერული „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, რომელსაც სხვა „პატივმოყვარეობა“ არ ამოძრავებს, გარდა ერთისა, რომ თავისი საგანგებოდ დახვეწილი ფორმით, — „ფილიგრანული ნაკეთობით“, „ჭკვიანი, კომბინატორულ-იუმორისტული გროტესკულობით“, — აკმაყოფილებდეს ნატიფ „მხატვართა და მცოდნეთა“ ჰირვეულ არტისტულ გემოვნებას (VI, 296).

ლევერკიუნის იმავე პირველთვისებიდანვე გამომდინარე მეორე თვისებად „ოსმოსური“ ხელოვნებისა გვევლინება მისი ესთეტიზმის „საეჭვო ხასიათი“ (VI, 30). ხელოვნებას საერთოდ სჩვევია ერთდაგვარი „ილუზიონიზმი“: მხატვრული ნაწარმოები, რომელიც ხელოვნურადაა შექმნილი, მოგონლ-შეთხზულია, და მძიმე შრომითაა „გაკეთებული“, თავის მომხმარებელს, — მკითხველს, მაყურებელსა თუ მსმენელს, — წარედგინება და ევლინება, როგორც შემოქმედის გენიალური უნარის უეცარი ერუპციის, მსუბუქი აღმაფრენის, ლაღი თამაშის ნაყოფი, ვითარცა „ათენა პალადა, მთელი თავისი ბრწყინვალე მორთულობით აღჭურვილი რომ გამოხტა იუპიტერის თავიდან“ (VI, 245-6); ამ აზრით, „ილუზია“ ისევე „ხელოვნებითია“ ანუ ნორმალურია და აუცილებელი ხელოვნებაში, როგორც „ტყუილია აუტანელი ესთეტიკურადაც და მორალურადაც“ (XII, 592); ხოლო „ოსმოსურ“ ხელოვნებას, — კლასიკურ-ბუნებრივის საწინააღმდეგოდ, — სწორედ ტყუილისაკენ მიდრეკილება ემჩნევა, ისე რომ მასში ილუზიონიზმი გარკვეულ ყალთაბანდობად, ავანტიურიზმად იქცევა.

თუკი კლსიკურ-რეალისტურ ხელოვნებას „მეამიტურობა“, ე. ი. უშუალობა და უტყუარობა ახასიათებს, — ესთეტიკური ფორმის ცხოვრებისეულ შინაარსთან ის ორგანულ-თავისუფალი, ლაღი ერთიანობა, რაც თავის სტილურ გამოხატულებას, ლ. ტოლსტოის თქმისამებრ, ჭეშმარიტისათვის ანუ ბუნებრივცოცხალისათვის ნიშანდობლივ სისადავეში ჰპოვებს, — „ოსმოსურ“-დეკადენტურ ხელოვნებაში, რომლის შემოქმედადაც ცხოვრებისეული რეალობისადმი მტრული ან, სულაც, გულგრილი, რაიმე პოზიტიურ-ამაღლებულის

ურწმუნო „არტისტი“ გვევლინება[1], მხატვრული ფორმა იქცევა უპატიოსნო თამაშის, კერძოდ, ხელოვნურ-ნაძალადევი გართულება-გაყალბების საგნად. აქ იმდენად მეტი ყურადღება ექცევა თქმის გარეგან ეფექტურობას, რამდენადაც სათქმელს დაჰკარგვია შინაგანი ძალა, ანუ მოჩვენებით სისრულეს ეკისრება არსებითი ნაკლულობის კომპენსაცია. აქ ცოცხალი შინაარსით სავსე კლასიკურ ფორმათა „უპრეტენზიო ბუნებრიობას“ ენაცვლება „საკვირველი უცნაურობა“ ცარიელ-ფიქტიური ფორმებისა, რომლებიც მხოლოდ „თავს გვაჩვენებენ“ ფორმებად, „მხოლოდ ირჯებიან ისე“ (tun nur so), თითქოს მართლა გამოხატავენ ნამდვილად არსებულ რასმეს ანუ, როგორც ასეთნი, წარმოადგენენ მარტოოდენ „სავალალო იმიტაციებს სიცოცხლისა“ (VI, 30).[2]

თანაც „ეშმაკობის“, — თუ, სულაც, „ეშმაკის“! — დაღით დასმული ეს „ქყოცრობა“, როგორც წესი, წარიმართება „მოდერნიზმის“ ანუ კლასიკური ხელოვნების „ტრადიციულ“ ფორმებზე ხელის აღების მიმართულებით, რაც მესამე არსებით ნიშნად გვევლინება „ოსმოსური“ ხელოვნებისა.

ამ „მოდერნისტულ“ ტენდენციას, რასაკვირველია, ორიგინალომანია, სიახლით თავის გამოჩენის პატივმოყვარეობა კი არ ასაზრდოებს, არამედ იგივე პირველმიზეზი განაპირობებს, რაც თანამედროვე ბურჟუაზიული ხელოვნების დეკადანსს განსაზღვრავს. საქმე ისაა, რომ საკუთარ თავში შექცეულ ხელოვანს, რომელიც სულ უფრო ჰკარგავს როგორც სინამდვილის ობიექტური კანონიერების წვდომას, ისე მასზე ქმედითად ზეგავლენის უნარს, „ცხოვრება“, საერთოდ, ყოფიერება ესახება უაზრო დისონანსებითა და პარადოქსებით აღვსილ ქაოტურ სამყაროდ, რომელსაც აღარ შეეფერებიან და ვეღარ გამოხატავენ კლასიკური ხელოვნების „ტრადიციული“, — ჰარმონიისა და ერთიანობის, სიცხადისა და მშვენიერების ნიშნით აღბეჭდილი, — ფორმები. „თანამედროვე“ დეკადენტი ხელოვანის თვალში აღარავითარი „უფლებამოსილი კავშირი“ არ არსებობს, „ერთის მხრივ (მხატვრულ) ნაწარმოებს, როგორც ასეთს, ე. ი. თვითმყოფ და ჰარმონიულ მთელსა და, მეორეს მხრივ, ჩვენი საზოგადოებრივი ყოფის უმყარობას, პრობლემატურობასა და დისჰარმონიულობას შორის“ და ამიტომაც მას, ამ ხელოვანს, „ჩვენი ცხოვრების ამჟამინდელი საფეხურისათვის“ გაუმართლებელ და დაუშვებელ ტყუილად მიაჩნია კლასიკური ხელოვნებისათვის ნიშანდობლივი „ყოველგვარი, თუნდაც უმშვენიერესი და განსაკუთრებით სწორედ უმშვენიერესი ილუზია“ (VI, 245-6), რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ერთიან-ჰარმონიულ მხატვრულ ფორმათა მეშვეობით გამოსახული ესთეტიკური სინამდვილე წარმოიდგინება ვითარცა „ბუნებრივად“ წარმომდგარი და „მართლა“ არსებული. ეშმაკი, — მისი მეორე, დეკადენტურ-ანტიფაუსტური „მე“, — ასე უხსნის ამას ლევერკიუნს: „ხელოვნება იქცევა კრიტიკად... იგი უკვე ვეღარ იტანს თამაშსა და ილუზიას, ფიქციას, თავმომწონეობას ფორმისა, რომელიც აკონტროლებს, როლებად ანაწილებს, სურათებად წარმოგვიდგენს ადამიანურ ტანჯვებსა და ვნებებს. დასაშვებია ტანჯვის მარტოოდენ არაფიქტიური, არათამაშისეული, არათვალთმაქცური, გაუშუქებელი გამოხატვა

[1] გარე სამყაროთი დაუინტერესებლობასთან, ადამიანთადმი სიცივესთან ერთად ლევერკიუნის არსებით ფსიქო-მორალურ ნიშანთვისებას წარმოადგენს „აბსოლუტურ ღირებულებათა“ იმ რწმენის ნაკლებობა, „რომელიც, თუნდაც მარად ილუზორული იყოს, ცხოვრების აუცილებელ პირობად გვევლინება“ (VI, 62). იგი სიყრმიდანვეა გამსჭვალული ყველა ღირებულების „რელატიურობის“ გრძნობით და ყველაფრისადმი „ირონიულ-გამაუფასურებელ დამოკიდებულებას“ იჩენს, რაც ტიპიურად გამოიხატება ხოლმე მის, — ამ დეკადენტი ანუ გამოფიტულ-გაცვეთილი ფაუსტის, — მეფისტოფელისეულ, ყოვლის მქირდველ სიცილში.

[2] ტავრომაქიის მაგალითზე ანალოგიურად ახასიათებს დეკადენტურ ხელოვნებას ერნესტ ჰემინგუეიც. აქაც: „ძველი სკოლის ოსტატობას“ ახასიათებდა „პატიოსანი მუშაობა“, რამდენადაც ტორეადორს ევალებოდა ძლიერების, სიმამაცის, ნებისყოფისა და სიმარჯვის გამოვლენა, რის შესაბამისადაც იგი მოქმედებდა „ზუსტად, სუფთად და ლაღად“, ასე რომ თავის ყველა მოძრაობას თანმიმდევრულად უქვემდებარებდა უზენაესი ამოცანის — ხარზე ვაჟკაცური გამარჯვების — მკაცრ ლოგიკას“. ხოლო ახალი სკოლის ტორეადორთა არენაზე ქცევა ამოიწურება „დეკადენტური ტექნიკის ცრუსილამაზით“, ერთიანად გარეგან ეფექტზეა გაანგარიშებული და „სიყალბის“ ნიშნითაა აღბეჭდილი, ვინაიდან მათ ხელში ტავრომაქიას თავისი პირვანდელ-საკუთრივი, ნამდვილი და სერიოზული ეთიკურ-ესთეტიკური შინაარსი დაჰკარგვია; აქ ბრძოლის ჩვენების ადგილი ბრძოლის იმიტაციას დაუჭერია, რის შედეგადაც ტორეადორი იძულებული ხდება სხვადასხვა „უცნაური“ და „დაძაბული“ მოძრაობით შესრულებულ ათასნაირ „ტრიუკს“ მიმართოს, რათა „საშიშროებას ხელოვნურად გაუსვას ხაზი“, სულაც „საშიშროების შთაბეჭდილება“ შექმნას და „უაზრო საშინელებათა დახვავებით“ მიჩქმალოს ნამდვილი საფრთხისაგან თავის ყალთაბანდური განრიდება“ („ფიესტა“, თავები 15 და 18).

მის რეალურ წამში“ (VI, 327)[1]; ე. ი. უკეთურის თანახმად, „დღეს“ მისაღებია და დამაჯერებელი ქაოტურ-დისჰარმონიული საზოგადოებრივი ყოფის ჩვენება იმავე დეფორმირებულ-ანტიესთეტიკური სახით, რომლითაც იგი უშუალოდ ევლინება ხელოვანს ცხოვრებაში. დიახ, „ბოროტების ყვავილთა“ ისევე შეულამაზებლად—„გაუშუქებლად“—ხატვა, როგორაც ისინი „ბოროტების გარემოცვაში ჰყვავიან“ (VI, 373).

მაგრამ რამდენადაც ფორმა ერთიანობასთან ერთად გარკვეულობას ანუ კონკრეტულობას წარმოადგენს ხოლმე, „ქაოსად“ აღქმული სინამდვილის ეს ნატურალისტურ-დეფორმირებული აღქმა, ასე ვთქვათ, უფორმო ფორმებით ფიქსაცია, ორგანულად შეიცავს აბსტრაქციონისტულ ტენდენციას, რაც მეოთხე არსებით ნიშნად ექცევა დეკადენტურ ხელოვნებას.

თანაც ამ აბსტრაქციონისტულ ტენდენციას „ოსმოსური“ ხელოვნების მკვეთრად სპეკულატურ-რეფლექსური ხასიათი, ანუ იმ გრძნობადი შინაარსის ნაკლებობა „ასაზრდოებს“, რომელიც პლასტიკურ, კონკრეტულ-ხატობრივ ფორმებში იძენს ხოლმე ესთეტიკურ რეალობას. აკი ლევერკიუნის მუსიკას ემოციურ „თამაშად“ და „ილუზიად“ ყოფნა აღარ ძალუძს და „კრიტიკად“, სულაც, „შემეცნებად სურს ქცევა“ (VI, 246), ხოლო შემეცნებითი ანუ ანალიტიკურ-ლოგიკური აღქმა ხომ ცნებისმიერია, განყენებულ-სქემატური და უსისხლხორცო. ადრიანი იმთავითვე ყალიბდება, როგორც მკვეთრად ინტელექტუალიზირებული „მუსიკალური განცდის“ ხელოვანი, რომელსაც, მისი მასწავლებლის, კრეჩმარის, მსგავსად „ურიცხვი ნაწარმოები ელაგა თავში, ისე რომ ერთის გახსენებაზე მაშინვე მეორე აგონდებოდა“ და, რომლის „ვნებასაც

შეადგენდა შედარება და მიმართებათა გამოვლენა, გავლენათა მიკვლევა და კულტურის დახლართულ კავშირთა დადგენა“ (VI, 105); მას იმთავითვე ექცა „მაღალ მუსიკალური პრობლემების განუწყვეტელი გამოგონება და გადაწყვეტა მსგავსად საჭადრაკო ამოცანებისა“ (VI, 101), სადაც, როგორც ცნობილია, ისეთი ხელოვნური პოზიციებია ხოლმე შედგენილი, რომლებიც განყენებულ საჭადრაკო იდეებს გამოხატავენ და არასოდეს გვხვდებიან პრაქტიკულ პარტიაში; და როგორც ასეთნი, მისი თხზულებანი წარმოადგენენ არა პოეტური შთაგონების, გენიალური გაბრწყინების ცოცხალ, სილაღით აღბეჭდილ „ბუნებრივ“ ქმნილებებს, არამედ მარტოოდენ „ტექნიკურ თავსატეხს“ (VI, 326), „გონებამახვილ მელანქოლიურ ოინს“ (witzig-melancholischen Kunststück-ს), დიახ, გაჭირვებით (knappe Not-ით) ნაკარნახევ „ინტელექტუალურ“ სარჯელს, რომელიც „ხელოვნებას აქცევს ნიადაგ განუმუხტველ და დამძაბველ-თავბრუდამხვევ თამაშად შეუძლებლის (ანუ განუსახიერებლის — ო. ჯ.) საზღვარზე“ (VI, 296). და მისი ამ განყენებულ-რაციონალისტური ხასიათის შესაბამისად „ოსმოსური“ ხელოვნება თავის „უმაღლეს“ დარგად მუსიკას იჩემებს, რომელიც, კრეჩმარის თქმით, ხელოვნების „არაგრძნობადი, სულაც, ანტიგრძნობადი, ფარულად ასკეზისაკენ მიდრეკილი“ ანუ „ყველაზე სასულიერო“ და ამდენად „თითქმის აბსტრაქტული“, შინაგან-არსებითად მათემატიკას დანათესავებული სახეა VI, 85-86) მეტიც: ამავე გარემოების ძალით „ოსმატიკური“ ხელოვნების „იდეალური“ წარმომადგენელი, — შემოქმედების ცოცხალ წყაროებს მოწყვეტილი შემოქმედი, დეკადენტი ფაუსტი, — ადრიანივით მარტო მუსიკოსი, კომპოზიტორი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ არნოლდ შონბერგსაც უნდა ქცეოდა ორეულად, თანამედროვე მუსიკალური აბსტრაქციონიზმის ბურჯს, ვინც ისე „ადგენდა“. — აკონსტრუირებდა, — თავის მუსიკალურ „ამოცანებს“, რომ სავსებით უგულებელყოფდა მუსიკის ჟანრულ ბუნებას, ე. ი. მის იმ არსებით ელემენტს, რომლის მეშვეობითაც უკავშირდება ხელოვნების ეს ყველაზე აბსტრაქტულ-„სასულიერო“ სახე კონკრეტულ-მატერიალურ ცხოვრებისეულ სინამდვილეს.

და, დასასრულ, „ოსმოსური“ ხელოვნების მეხუთე ნიშანია ის ტრაგიკულობა, რომლითაც მისი ნაძალადევ-ხელოვნური, შინაგანად ნაკლულ-ძაბუნი კომპოზიციებია აღბეჭდილი. „მწუხარებისა“ და „უიმედობის“ ის გრძნობა, რასაც იმის განცდა ბადებს, რომ აქა გვაქვს იმგვარ „ფორმებთან თამაში, რომელთაც, როგორც ვიცით, სიცოცხლე გაჰყრია“ (VI, 329).

მართალია, ლევერკიუნი უმაღლეს ხელოვნება-

[1] ხაზგასასმელია ეს უკანასკნელი მოტივი: „გაუშუქებელი გამოხატვა მის რეალურ წამში“, ანუ ჯერ კიდევ ნატურალისტურ-იმპრესიონისტულ ხელოვნებაში ჩასახული და ეგზისტენციალისტურ ესთეტიკაში „სრულქმნილი“ პრინციპი სინამდვილის არა მიზეზ-შედეგობრივ კავშირში, ჟანრულ-სიუჟეტურ ერთიანობაში, არამედ მომენტურ დაშლილობასა და უფორმო სიმრავლეში აღქმისა. ამ პრინციპის თანახმად „თანამედროვე“ ხელოვნებაში შეუძლებელი ხდება არა მარტო დიდი მასშტაბის თხზულებები, არამედ, სულაც, „კომპოზიცია“ თავად მხატვრული ნაწარმოებისა, რასაც ლევერკიუნი ასე ამბობს: „ხელოვნების ნაწარმოები ტყუილია, სიმართლეს ეწინააღმდეგება და არა სერიოზულია, მართალი და სერიოზული მხოლოდ ზღვრულად შედედებული (höchst konsistente) მუსიკალური წამია“ (VI, 246). აქედან—დღევანდელი „ანტირომანის“ თუ „ანტიდრამის“, საერთოდ, „ანტიხელოვნების“ კონცეფცია.

ზე აცხადებს პრეტენზიას, რამდენადაც ფიქრობს, რომ უსიცოცხლო ფორმებით თამაში „თვითმყოფი“ ესთეტიკური ღირებულების მქონე უნატიფეს არტისტიზმამდე შეიძლება იქნას აყვანილი. მაგრამ ესაა მწარე ილუზია, სამწუხარო ცთომილება, რომელიც „ამპარტავანი სიცივით“ (VI, 178) დაზაფრული ესთეტის შინაგან უმწეობასა და განწირულებას ამხელს.

ამ არტისტიზმის ყველა მიღწევას ნაწვალეობისა და ნაცოდვილარობის, „ჯაფისა და უხალისობის“, **Mühsal und Unlust**-ის დაღი აზის (VI, 325). იგი ჭეშმარიტად ესთეტიკურ, ე. ი. ემოციურ დვრიტასაა მოკლებული და „რომანტიკის“, ანუ „გრძნობათა სითბოს“ ნაკლებობას თუ უქონლობას ტექნიკური ოსტატობით ანაზღაურებს, სულაც, „რომანტიკას“, „გრძნობათა სითბოს უგულებელჰყოფს ტექნიკური ოსტატობისათვის“ (VI, 437). მისი უშუალობა და ორიგინალობა მოჩვენებითია: „ამრიგად, გაბრწყინება, სამი, ოთხი ტაქტის საქმე, მეტი ხომ არა, — ამხელს ადრიანს ეშმაკი, — ყოველივე დანარჩენი კი ჯაფისა და ჯდომის ნაყოფია, არა? კეთილი. მაგრამ ჩვენ ხომ ლიტერატურის გაწაფული ექსპერტები ვართ და ვამჩნევთ, რომ გაბრწყინებას სიახლე აკლია, რომ იგი ერთობ გვაგონებს რაღაც ისეთს, რაც უკვე რიმსკი-კორსაკოვთან ან ბრამსთან შეგვხვედრია. რაღა ვქნათ? უთუოდ, შევცვალოთ ხოლო. შეუცვლელი გაბრწყინება განა ჩაითვლება გაბრწყინებად?“ (VI, 323).

მართალია, თითქოსდა აქაც კვლავ ირონიულ-პაროდიული ელემენტს მოაქვს შველა, კერძოდ, ამ არტისტიზმს ვითომდა ის გარემოება სძენს სიახლესა და თვითმყოფობას, რომ, საკუთარი ნაკლულობის შემგნებელი, იგი თვითდაცინვით, თავისი არასერიოზული ტონით, გროტესკული იერით ცდილობს თვითდაძლევასა და საკუთარ თავზე აღმატებას. მაგრამ ესეც მორიგ და საბედისწერო ცთომილებად რჩება. საქმე ისაა, რომ ამ ირონიასა და პაროდიას არ ძალუძს შინაგანად გამოფიტული „ეზოტერიული“ ხელოვნების ნამდვილად „პოტენცირება“, რამდენადაც თვითონაა მოკლებული შემოქმედებით დვრიტას, თავად რჩება ძაბუნი და უნაყოფო თავის „არისტოკრატიულ ნიჰილიზმში“ (VI, 629). მეტიც, ეს ირონია ჰკლავს ხელოვნებას, აშთობს მის პოზიტიურ-ადამიანურ არსს, ვინაიდან ბოროტ „დაცინვად“ ვლინდება, რომელიც „არავითარ საზრდოს არ სძენს სათნოებას“, რამდენადაც წარმოადგენს „ლუციფერისეულ სარდონიკას, პაროდიულ-ეშმაკურ ხოტბას“, რომელიც ლევერკიუნის შემოქმედებას აღავსებს „ვირტუოზულად ანტიმხატვრული განწყობითა“ და აქცევს „ნიჰილისტურ შემბღალველობად და მკრეხელობად“ (VI, 374).

თომას მანის აზრით, ირონიის გარეშე საერთოდ ხელოვნება ვერ იარსებებს და, კერძოდ, ეპოსია შეუძლებელი, რომლის თანამედროვე სახედაც რომანი გვევლინება. ოღონდ, ეს „რომანტიკული სუბიექტივიზმითა“ და „თვითნებობით“ ნაკარნახევი ირონია როდია, რომელიც „ყოველგვარ კლასიკურ სიმშვიდესა და ობიექტურობას უპირისპირდება გადაჭრით“ და თავისი „სიცივითა და გულგრილობით, დაცინვითა და ქირდვით“ ყოველივეს მტრობს, საკუთარ თავსაც კი აკნინებს; ესაა „გულის ირონია“, რომელიც „სიყვარულითაა აღსავსე“, „დიდსულოვანი სინაზით ეკიდება მცირეს“ და მას „ღიმილით“ მხოლოდ იმიტომ „დასცქერის ზევიდან“, რათა იმ დისტანციაზე დააყენოს, რომელზედაც მიუკერძოვებლად, — გადაუჭარბებლად და დაუკნინებლად, — დადგინდება მისი, როგორც დიადი მთელის ერთ-ერთი, მაგრამ სრულღირებული „ეპიზოდის“ რაობა. და ამ „ფართო და მაღალი“ გაგებით ირონია მარტო რომანის ბუნებას კი არ საზღვრავს, ვინაიდან მას ეპიურ ობიექტივიზმს ანიჭებს, არამედ „თავად ხელოვნების შინაარსად და აზრად გვევლინება“, რამდენადაც მისი „მზისებრ ნათელი და ლაღი, მთელის მომცველი მსოფლხედვა სწორედ ხელოვნების ის თავისუფალი და ობიექტური მსოფლხედვა გახლავთ, რომელსაც ვერავითარი მშფოთვარება და მორალიზმი ვერ აბნელებს“. „ესაა, — დასძენს თ. მანი, — დიდ გოეთეს მსოფლხედვა, რომელიც იქამდე ხელოვანი იყო, რომ ირონიაზე ეს საოცარ-დაუვიწყარი აზრი გამოსთქვა: „ირონია ის მწიკვი მარილია, ურომლისოდაც არავითარი კერძი არ იჭმებაო“; მისი ვარაუდით, გოეთეს მთელი სიცოცხლის მანძილზე იმიტომ აღაფრთოვანებდა შექსპირი, რომ ამ უკანასკნელის „დრამატიულ კოსმოსში ნამდვილად სუფევს ხელოვნების საყოველთაო ირონია“ (XI, 461—2).

ხოლო ადრიანისეული ირონია სწორედ „რომანტიკული სუბიექტივიზმითა“ და „თვითნებობითაა“ ნაკარნახევი და თავს იჩენს ვითარცა „სასოწარკვეთილ-გაცივებული გულის“ (VI, 193, 329) ყოვლის მქირდველი ქირქილი, როგორც გესლიანი და უნაყოფო დაცინვა, რომელიც „თითქმის ყველა საგანს წარმოადგენს საკუთარი თავის პაროდიად“ (VI, 183). ეს მართლაც სატანური სიცილია რწმენადაკარგული გონებისა, რომელიც მარტო იმიტომ კი არ უკრძალავს ლევერკიუნს სიყვარულს, რომ ეს კაცის საკუთარი თავიდან გამომყვანი და სხვა კაცთან დამაკავშირებელი გრძნობა ბოჭავს თავის თავში ჩაკეტილ და ამით ყოველივე გარეგან-უცხოსაგან „განთავისუფლებულ“ ხელოვანს, არამედ, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ სიყვარული არსებითად და ორგანულად ეუცხოება მას, ყოვლის გამაარაფრებელ „კრიტიკოსს“, იმიტომ, რომ „სიყვარუ-

ლი ათბობს“ (VI, 339) ანუ სიცოცხლის წყაროა, შემოქმედი, ნაყოფიერი ძალაა. სხვა სიტყვით, ანდრიანის *დეკადენტური* ირონია იმდენადვე *ანტიესთეტიკურია*, რამდენადაც შექსპირ-გოეთესეული „კლასიკური“ ირონია ხელოვნების ჰუმანისტურ შინაარსს გამოხატავს: ამ ირონიის მასულდგმულებელი ერთიანად „დესტრუქციული“, „ღვარძლიან-უარმყოფელი პაროდიისაკენ მიდრეკილი განწყობილება“ ცინიკურად აშთობს იმ „ჯანსაღ მიამიტობას“ (robuste Naivität-ს), რომელიც „სხვა თვისებათა შორის უკანასკნელი როდი განსაზღვრავს ხელოვნების არსს“; დიახ, ეს ირონია უმოწყალოდ კლავს ხელოვნებას, რომელიც თავისი *ესთეტიკური* ბუნებით „ვნებათა მასაზრდოებელია და ადამიანურ სულისკვეთებათა განმანათლებელი“ (VI, 435, 180, 404).

და ამრიგად, ესაა მკვდარი არტისტიზმი, რომელიც „გალვანიზაციას“ საჭიროებს, რათა როგორმე ნამდვილი ხელოვნებისათვის აუცილებელ „სულიერს ეზიაროს“ (VI, 316), და ამ მხრივ, ანუ გარკვეულ ხელოვნურ სტიმულატორად, მას ემსახურება ისეთი *ნეგატიური*, სიცოცხლის საწინააღმდეგო ფაქტორი, როგორიცაა *ავადმყოფობა*, *სენი*. თანაც, არა რაიმე „ჩვეულებრივი“, ვთქვათ, ღვიძლის ან გულის მანკი, არამედ მხოლოდ „მეტავენერიული, მეტაინფექციური“ სენი, რომელსაც „ტვინისმიერი, ცერებრალური“ ხასიათი აქვს და მოსდევს ხანმოკლე, მაგრამ მძაფრი „გადანაცვლება მეტაფიზიკურში“ (Metastasierung ins Metaphysische. VI. 316); სხვა სიტყვით: „მენინგიალური პროცესი“, რაღაც ასეთი სენი გვევლინება, ხელოვნურად ანიჭებს „ეზოტერიკოს“ ხელოვანს იმ „ნათელხილვას, აღმაფრენასა და შთაგონებას“, რომელთა უნარსაც მისი „სატანური“ კრიტიციზმი უხშობს, და ნაძალადევად,— „ოსმოსური დაწოლით“,— აზიარებს იმ „კეთილშობილსა და მაღალს“, ე. ი. ეთიკურ-ესთეთიკურ ფასეულობებს, რომლებსაც იგივე „კრიტიციზმი“, ნიჰილისტური სკეპსისი, მკვდარ აბსტრაქციებად, „ფიზიკას“, ცხოვრებისეულ რეალობას დაპირისპირებულ „იდეებად“ უსახავს. ეშმაკის წინასწარმეტყველებისამებრ, ათთორმეტ წელიწადში,— როცა „თავის აპოგეას მიაღწევს“,— მისი ვენერიული სენი შეაძლებინებს ლევერკიუნს „ოსმოსური“ ხელოვნების „შებოჭილობაზე და უძალობაზე ამაღლებას“ (VI, 319) და ისე დააძლევინებს იმ „სიძნელეებს, რომელთა ტყვეობაშიც დღეს, როგორც ყოველივე, მუსიკაც ჩავარდნილა“, რომ „თავბრუდამხვევი თვითალტყინებით აღგზნებული“ ადრიანი „ისეთ რამეებს შექმნის, რის გამოც წმინდა ძრწოლა შეიპყრობს“ (VI, 329—330). და ამიტომაც, იმავე ეშმაკის დასკვნისამებრ, „შემოქმედებითი, გენიალობას მაზიარებელი მანკი, სნება, რომელიც დაოთხილი ტაიჭით შეუჩერებლივ იღებს დაბრკოლებებს და ხელაღებული სითვრალით კლდიდან ევლება კლდეს, ათასწილ ურჩევნია სიცოცხლეს, ვიდრე ფეხით მოჩანჩალე სისაღე“ (VI, 330).

მართალია, ავადმყოფობის ამ კულტს ერთდაგვარი *ანტიბურჟუაზიული* ტენდენცია ახლავს, რამდენადაც იგი ცხოვრების ფილისტერული წესისათვის თვისობრივ უსულო კეთილსვეობასა და ფარისევლურ კეთილშესაფერობას ეწინააღმდეგება. ეშმაკის თქმით: „სენი, მეტადრე კი საძრახი, საფრთხილო, საიდუმლო სენი, გარკვეულ კრიტიკულ წინააღმდეგობად უპირისპირდება საზოგადოებას, ყოველდღიურ ყოფას, მეამბოხურად და ირონიულად განაწყობს კაცს ბურჟუაზიული წესრიგის მიმართ და აიძულებს თავის მსხვერპლს თავისუფალი სულის სამყაროში, წიგნთა, აზრთა სავანეში ეძებოს თავშესაფარი“ (VI, 316).

მაგრამ ამ „კრიტიკულ-მეამბოხური“ ტენდენციის მიუხედავად, ავადმყოფობის ეს კულტი მაინც ღრმად ბურჟუაზიულ ხასიათს ატარებს, ვინაიდან ერთიანად ბურჟუაზიული საზოგადოების რღვევა-კვდომის პროდუქტს წარმოადგენს.

ცნობილია: სიცოცხლისუნარიანი საღია, ხოლო ავადმყოფობას სიკვდილი მოსდევს; თანაც, სისაღეს სასიცოცხლო ძალთა ურთიერთკავშირი საზღვრავს, სნეულება კი ამ ერთიანობის რღვევასა და დაშლას წარმოადგენს. და ყოფიერების ამ ელემენტარულ-უნივერსალური წესის შესაბამისად სიცოცხლისუნარიანი, პროგრესულად განვითარებადი საზოგადოების გმირი ხდება *საღი ადამიანი*, რომელიც იმით ავლენს ხოლმე თავის „ეგზისტენციას“, რომ ცხოვრებისეულ გარემოცვასთან, პირველყოვლისა, თანაადამიანებთან აქტიურად და პოზიტიურად დაკავშირებული განახორციელებს თავის თავში ჩვენი ბუნების ძირითად „ხორციელ და სულიერ“, საწყისთა თუ უნართა ცოცხალ, განუყრელ ერთიანობას; და, პირიქით: იმავე წესის თანახმად, დაღმავალ-მომაკვდავი საზოგადოების „გმირად“ იქცევა ხოლმე *ავადმყოფი პიროვნება* ანუ გარესამყაროსგან გამოთიშული და საკუთარ „მე“-ში შექცეული ინდივიდი, რომელშიაც ურთიერთს შეურიგებლად გაყრიან „ხორცი“ და „სული“, რომელიც ამაოდ ცდილობს თავის ფიზიკურ-ვიტალურ ძალთა მოდუნება-დაშრეტის კომპენსაციას თავისი სულიერ-აზრისმიერი „პოტენციის“ დახვეწა-დაძაბვით, დიახ, „მეტაფიზიკურში მეტასტაზით“. კერძოდ, „ახალი ისტორიით“ რომ შემოვიფარგლოთ: თუკი საღი ადამიანის იდეალი რენესანსის ეპოქაში ისახება და გოეთეს ფაუსტის სახით აღწევს სისრულეს, ისე რომ თავისი ჰუმანისტური რაობით დიდად სცილდება როგორც არისტოკრატიულ ისე ბურჟუაზიულ ფარგლებს, ავადმყოფური „გმირი“ ბურჟუაზიულ რევოლუციათადროინდელ დეკადენტებთან, მეტადრე არისტოკრატ რომანტიკო-

სებთან ჩნდება პირველად, ხოლო საბოლოოდ „ყალიბდება“ უკვე იმპერიალიზმის დროინდელ ბურჟუაზიულ-დეკადენტურ იდეოლოგიაში „ნიცშეანური ადამიანის“ სახით. ნიცშემ, ბურჟუაზიული დეკადანსის ამ პირველმა და, როგორც ჩანს, უდიდესმა მესიტყვემ, საერთოდ ადამიანობის ატრიბუტად შერაცხა ავადმყოფობა, — „ადამიანი ავადმყოფი ცხოველია“, განაცხადა თავისი ნიჰილისტურ-ანტიჰუმანური განწყობის შესაბამისად. და ასევე, — უკვე თავისი ულტრაინდივიდუალიზმის ასპექტში,—ავადმყოფობა მიიჩნია მან ხელოვანის თვისობრივ ნიშნადაც: „ხელოვანს, — მისი რწმენით, — ქმნიან განსაკუთრებული გარემოებანი, რმელნიც ისე ღრმად ენათესავებიან და უკავშირდებიან ავადმყოფურ მოვლენებს, რომ, როგორც ჩანს, შეუძლებელია იყო ხელოვანი და არ იყო ავადმყოფი“. ხელოვანის ცნების ეს განსაზღვრება, ამა თუ იმ სახით, მთელმა თანამედროვე დეკადენტურმა ესთეტიკამ შეითვისა, ხოლო ერთ-ერთ უმკვეთრეს სუბიექტურ დადასტურებად მას ის ფაქტი ექცა, რომ ნიცშემ საკუთარ პიროვნებაში განახორციელა მაღალი მხატვრული ნიჭისა და მისი გამამძაფრებელი „საძრახ-ცერებრალური“ სენის ტრაგიკული „შეუღლება“ (რამაც თომას მანს შესაძლებლობა მისცა სწორედ იგი, ზარატუსტრას შემოქმედი, აერჩია ლევერკიუნის, როგორც დეკადენტი ხელოვანის ტიპიურ-იდეალური ხატის, ერთ-ერთ რეალურ პროტოტიპად).

და, ცხადია, ავადმყოფობის ეს ნეგატიური,— ბიოლოგიური თვალსაზრისით ანტივიტალური, ხოლო სოციალურ განასერში დეკადენტური, — ხასიათი გამორიცხავს მისი მეშვეობით „ოსმოსური“ ხელოვნების ნამდვილად „პოტენცირების“ შესაძლებლობას. უწინარეს ყოვლისა, იგი თავად ხელოვანისათვის მთავრდება კატასტროფით, რამდენადაც მის მიერ პროვოცირებული ხანმოკლე შემოქმედებითი აღტკინება ლევერკიუნის სიგიჟისდაგვარი სულიერ-ფიზიკური კრახით განიმუხტება ხოლმე; ხოლო უმთავრესი ისაა, რომ არსებითად იგი არაფერს შველის სულაც, მხოლოდ ვნებს ამ ისედაც დაძაბუნებულ ხელოვნებას, ვინაიდან „უწესოა“ და „ამორალური“ ანუ სწორედ იმ „კეთილშობილისა და მაღალის“ მიმართაა გულგრილი, რომელსაც რწმენადაკარგული ესთეტი უნდა კვლავ აზიაროს, დიახ, სწორედ იმ „ადამიანურ სულისკვეთებათ“ მტრობს, რომელთა „განათლებაც“ ხელოვნების ფუნქციას შეადგენს; ამიტომაც ეშმაკი საგანგებოდ „უხსნის“ და “შთააგონებს“ ლევერკიუნს, „ხელოვანი ძმაა დამთხვეულისა და ბოროტმოქმედისაო“ (VI, 322). ესეც არ იყოს, ავადმყოფობა, როგორც შემოქმედებითი „ფაქტორი“, თუნდაც იმით რჩება უკმარი, რომ ამ „ძალით“ დამუხტულ-აღტყინებული ხელოვანი ვერაფერს შექმნის პოზიტიურს, ცხოვრებისათვის „ჰო“-ს მთქმელს, სიცოცხლისათვის ნიშანდობლივი „სილაღით“ (Heiterkeit-ით) აღბეჭდილს, რასაც ისევ ლევერკიუნის მაგალითი ადასტურებს; მართლაც, „მენინგიალურმა“ სენმა მისი უდიდესი ქმნილება.—„დოქტორ ფაუსტუსის გოდება“,—შეათხზევინა ადრიანს, მაგრამ ეს სწორედ გოდებაა, კაცის — ecce Homo-სგაუკაცურებულის გამო უსასოო მოთქმა და არა გაუკაცურებულის კვლავ კაცად ქცევისათვის ბრძოლის პათოსით აღსავსე „მეცხრე სიმფონია“, რომელსაც კეთილის ზეიმის რწმენით შთაგონებული „სიხარულის ჰიმნი“ აგვირგვინებს[1].

ამიტომაც, ეშმაკის თეზისი, რომ სიცოცხლესა და ხელოვნებას შმაგი სნება ურჩევნია დუნე სისაღეს, არსებით კორექტივს საჭიროებს, რომელსაც კიდევაც აკეთებს თომას მანი, რითაც გადამწყვეტ გამარჯვებას ზეიმობს მისი ჰუმანიზმიცა და რეალიზმიც.

თ. მანი იმას უსვამს ხაზს, რომ აქ მსაზღვრელი ფაქტორი თავისთავად ავადმყოფობა კი არაა, არამედ თავად ავადმყოფია, მისი გენიალობა, ადამიანური ნიჭიერება, სენის ნაყოფიერად „ათვისების“ უნარი. „უწინარეს ყოვლისა, — წერს იგი ძალიან დამახასიათებლად დასათაურებულ ესსეში: „დოსტოევსკი, მაგრამ ზომიერად“, — საქმე ისაა, თუ ვინაა გიჟი, ეპილეპტიკოსი ან პარალიტიკოსი: შუალანა ბედოვლათი, რომელთანაც ავადმყოფობას სულიერი და კულტურული ასპექტი აკლია, თუ ნიცშესა და დოსტოევსკის მასშტაბის კაცი“ (X, 627). ანუ, თ. მანის გაგებით, სნეულება მხოლოდ „სტიმულატორია“ შემოქმედებითი პოტენციისა, ხოლო ამ უკანასკნელის რაობის, შინაარსის დემიურგად გვევლინება ხელოვანის ადამიანობა, დიახ, მისი ადამიანური ბუნების სისაღე, სენისადმი წინააღმდეგობის გაწევის უნარი. მეტიც, თ. მანი მხოლოდ იმ პირობით სცნობს ავადმყოფობის (და აგრეთვე მისი მომდევნო სიკვდილის) სარგებლიანობას, თუკი ხელოვანი (ისევე, როგორც საერთოდ ადამიანი) იმგვარად დასძლევს, — ალაგმავს და დაიქვემდებარებს, —

[1] ცაიტბლომი ასე ადგენს ადრიანისეული „გოდების“ ანტიპოდურ კავშირს ბეთჰოვენის „მეცხრე სიმფონიასთან“: „როგორც გოდების გრანდიოზული ვარიაცია, იგი გენეტიურად ენათესავება „მეცხრე სიმფონიის“ ფინალს,ვითარცა აღტაცების ვარიაციასო“ (VI, 659).

მათ, რომ სისალისა და სიცოცხლის საშუალებად აქცევს ორთავეს[1].

თუ როგორაა ეს შესაძლებელი, ამის ჩვენება შეადგენს თ. მანის სხვა განთქმული რომანის „ჯადოსნური მთის“ თემას. ეს ეპოპეა იმ აზრით გვევლინება „აღმზრდელობით რომანად“, რომ მისი გმირის, ჰანს კასტორპის სულიერ ევოლუციაში ხორცს ისხამს „ავადმყოფობისა და სიკვდილის, როგორც ცოდნისაკენ, სიხალისისაკენ და სიცოცხლისაკენ აუცილებელი გადასასვლელის გაგება“ (XII, 443). თ. მანი ასე განმარტავს თავის ამ ღრმად, — კვლავ გოეთესებურად[2], — დიალექტიკურ გაგებას: „ავტორს სიკვდილიცა და ავადმყოფობაც და ყველა შემზარავი თავგადასავალი, რასაც თავის გმირს განაცდევინებს, ესმის სწორედ ვითარცა პედაგოგიური საშუალებები, რომელთა შეწევნითაც ხდება მიამიტი გმირის ძლევამოსილი „აქტივიზაცია“ და მის თავდაპირველ დონეზე ამაღლება. ისინი, სწორედ პედაგოგიურ საშუალებათა სახით, იმისდა მიუხედავად იმსახურებენ ერთობ პოზიტიურ შეფასებას, რომ თავის განსაცდელთა შედეგად ჰანს კასტორპი თავს აღწევს თანდაყოლილ მოკრძალებას სიკვდილის წინაშე და წვდება იმ ჰუმანურობას, რომელიც რაციონალისტური ზიზღით კი არ უგულებელჰყოფს სიკვდილსა და ცხოვრების ყველა ბნელ, იდუმალ მხარეს, არამედ ისე მოიცავს მათ, რომ სულიერად არ ამარჯვებინებს თავის თავზე... რისი გაგებაც მან ისწავლა, ისაა, რომ ყოველი მაღალი სისალე [illegible] უნდა ეზიაროს სნეულებისა და სიკვდილის ღრმა გამოცდას, როგორც ცოდვის შეცნობა გვევლინება განწმენდის წინაპირობად“ (XII, 442-443).

სნეულებისა და სიკვდილის ასეთი გაგება იმის გასაღებს გვაძლევს, თუ ვინ ჩაითვლება, თომას მანის თანახმად, დეკადენტად და არადეკადენტად როგორც ხელოვნებაში, ისე საერთოდ ცხოვრებაში.

მართალია, თ. მანი დაბეჯითებით გვაგონებს, რომ ამჟამად მთელი ბურჟუაზიული ხელოვნება ისეა დასნეულებული დეკადანსის მანკით, რომ, სულაც, ველარ არსებობს თავისი ამ „ეშმაკეული“ ელემენტისა თუ ტენდენციის გარეშე, — აკი ლევერკიუნის ხსენებული კანტატის დედააზრი სწორედ იმის გამო გოდებაა, რომ „დღეს ის დრო დამდგარა, როცა სათნოდ, სადად (anf fromme, nüchteine Weis) აღარაფერი კეთდება და ხელოვნებაც შეუძლებელი გამხდარა ეშმაკის შეუწევნელად და ქვაბისთვის ჯოჯოხეთური ცეცხლის შეუკეთებლად“ (VI, 676), — მაგრამ, სნეულებისა და სიკვდილის მანისეული გაგების შესაბამისად, დეკადანსის მანკით შეპყრობილი ყველა ხელოვანი როდი ჩაითვლება დეკადენტად.

სახელდობრ: ასეთად მხოლოდ ის უნდა იქნას შერაცხული, ვინაც სულიერად ამარჯვებინებს თავის თავზე სნეულებასა და სიკვდილს, საერთოდ „ცხოვრების ყველა ბნელ და იდუმალ მხარეს“, ანუ — ის სუსტძალოვანი ინდივიდუუმი, რომელიც მათ პირისპირ ვითარცა ადამიანი ტყდება, ისე ჰკარგავს მათთან ბრძოლის უნარს, რომ უმწეოდ, — ბოდლერისეული სასოწარკვეთილი გამწარებით თუ კაფკასებური სტოიკური მორჩილებით, — ნებდება და აჰყვება თავის ავ „დემონს“: ყოვლის გამაუფასურებელ და უკუმგდებელ „არისტოკრატიულ ნიჰლიზმს.“

და, პირიქით: ის ხელოვანი არ გვევლინება დეკადენტად, რომელსაც, რაოდენ მძიმედაც არ იყოს დასნეულებული, საიმისო ადამიანური ძალა, „სულის სიმამაცე და სიმხნევე“ შესწევს, რათა არათუ არ ემონოს თავის სენს (თუნდაც, თავის თავში დაბუდებულ დეკადანსის „ვირუსს“), არამედ ისე შეეჭიდოს და აჯობოს მას, რომ — თავად თომას მანის მსგავსად! — მოიღოს იგი „ცოდნის, სისალისა და სიცოცხლის საშუალებად“.

ლევერკიუნის პირით თ. მანი ასე გამოსთქვამს ამ ღრმა ჭეშმარიტებას: ვინც „დროის დანაშაულს იკისრებს“ და „უკეთურს მოუხმობს, რათა მძიმე ავბედითობას თავი დააღწიოს“, იმას დიდი „ფხიზლობაც“ მართებს, ე. ი. იმან ისე უნდა მოიმსახუროს ეს „უკეთური“, რომ არ ემონოს და ბოროტმოქმედად არ იქ-

---

[1] საგულისხმოა, რომ ეს კორექტივი თ. მანს ფრიდრიჰ ნიცშესაგან აქვს „ნასესხები“, რომელიც წერს: „მასშტაბად რჩება სხეულის გაფურჩქნილობა, სულის სიმამაცე და სიმხნევე, მაგრამ, ცხადია, ისიც, სნეულების რა წილის ტვირთვა და დაძლევა შეუძლია მას“; „სენი, რომელიც დაღუპავდა უფრო ნაზ არსებას, სტიმულს აძლევს დიდ სიჯანსაღეს“ (კურსივი ნიცშესია). მაგრამ მიუხედავად ამისა თ. მანი აქ არსებითად უპირისპირდება ნიცშეს, რამდენადაც თავად სიჯანსაღე ესმის ანტინიცშეანურად, — ჰუმანისტურად, სწორედ კულტურულ ასპექტში, — მაშინ როდესაც მისმა ულტრაინდივიდუალიზმმა ბარბაროს „ესთეტად“ აქცია ნიცშე. თანაც, არსებითი ისიცაა, რომ თ. მანს მხოლოდ თანამედროვე „ოსმოსური“ ხელოვნებისათვის მიაჩნია აუცილებლად ავადმყოფობა მაშინ, როდესაც ნიცშეს სნეულება ესახება ხელოვნების მარადიულ „წყევად“, განუყრელ თანმხლებად.

[2] — გავიხსენოთ გოეთეს ბრძნული თქმა: „სიკვდილი სიცოცხლის გასახანგრძლივებელი „ფანდია“ ბუნებისა“, რომლის პოეტურ ორეულად გვესახება ჩვენი ვაჟას აფორიზმი: „სიკვდილო, სიცოცხლე მშვენობს შენითა“.

ცეს კეთილისაკენ მიმსწრაფე; და ჩვენი დროების ტრაგედიას იმდენად ეს კი არ ქმნის,— რომ ავბედითობისაგან თავის დასაღწევად „უკეთურის“ მოხმობა გამხდარა აუცილებელი,—რამდენადაც ის გარემოება, რომ „ყველას როდი ძალუძს ასეთი ფხიზლობა, რის გამოც მავანნი, იმის ნაცვლად, რომ ჰკუით იზრუნონ ქვეყნის გასაჭირის შემსუბუქებაზე და გონივრულად იმოქმედონ მშვენიერ ქმნილებათა მარგი წესრიგის ადამიანთა შორის აღდგენაზე, ისე აცდებიან ხოლმე სწორ გზას, რომ ჯოჯოხეთურ სიშმაგეში ჩავარდნილნი სწირავენ თავიანთ სულსა და მძორის შესაკრებ ადგილზე იღამებენ წუთისოფელს“ (VI, 676).

და სწორედ ეს „მავანნი“ არიან დეკადენტები: სუსტნი, რომელთაც ჯეროვანი „სიფხიზლე“ არ აღმოსჩენიათ, რომ „უკეთურს“ გამკლავებოდნენ და ადამიანობის გზას არ ასცდენოდნენ, უძალონი, რომელნიც ადამიანთა შორის „მშვენიერ ქმნილებათა მარგი წესრიგის“ აღსადგენად ზრუნვასა და მოქმედებას უქკუობად და უგუნურობად აცხადებენ და სასოწარკვეთილ-გაავებულნი სულის დიახაც „ჯოჯოხეთურ სიშმაგეში“ ვარდებიან, ნებით თუ უნებლიეთ კაცთ-მაზიზღარნი და-მოძულენი ხდებიან, ადამიანში ცხოველს,—ნადირსა თუ მწერს,—ჰვრეტენ, ბიწიერსა და მახინჯს ეტანებიან და, საბოლოოდ, სნეულებასა და სიკვდილს სისაღეზე და სიცოცხლეზე აზეიმებენ.

„დეკადანსის“ ამ მანისეული კრიტერიუმის თანახმად,—რაოდენ „მკრეხელობად“ არ უნდა მოეჩვენოთ ეს, ვთქვათ, ლუი არაგონსა და როჟე გაროდის!—წარსული საუკუნის მწერალთაგან უკვე შარლ ბოდლერი: მისაჩნევი ტიპიურ დეკადენტად, რომელიც, ბერთოლტ ბრეჰტის მოსწრებული თქმისამებრ, „მათრობელ შხამთა გამყიდველი უფრო იყო, ვიდრე მათიმსხვერპლი“

ჩვენი საუკუნის ხელოვანთაგან კი, ცხადია, სულ სხვა ხასიათისა და ხარისხის, მაგრამ არსებითად აგრეთვე ტიპიურ დეკადენტად გვევლინება ისეთი დიდი და ტრაგიკული ხელოვანი, როგორიცაა ფრანც კაფკა, რომელსაც „ცხოვრების ბნელ და იდუმალ მხარეთა“ ავადმყოფური განცდა „აქტივიზაციის“ ნაცვლად ყოვლად სავალალოდ თანგავს და აძაბუნებს; ისე თრგუნავს, რომ იგი,—„ფერისცვალებისა“ და „პროცესის“ ავტორი,—ქვეყნის გასაჭირზე ჰკუით მზრუნველ, არსებობის მოწესრიგებისათვის გონივრულად მოქმედ თანამებრძოლად კი არ ევლინება ადამიანს, არამედ,—თავისი დიდი სუბიექტური პატიოსნების მიუხედავად!—ცილსა სწამებს მას. წარმოგვიდგენს საკუთარი თავისაგან გაუცხოებულ და უკუნეთში დაკარგულ „სულს“ ქმნილებად, რომელიც იმაზე უკეთეს ხვედრს არ იმსახურებს, რომ ვითარცა ვაგლახად ჩამპალ და მიმქრალ ხოჭოს აქანდაზით სანაგვეში გადაუძახონ, ანდა „ქალაქგარეთ“, ცხოვრების ტიალ გარეუბანში გათრეული დაჰკლან, „როგორც ძაღლი“.

ხოლო თანადროული დეკადანსის უკიდურეს,—დიახაც „ჯოჯოხეთურ სიშმაგეში ჩავარდნილ“—წარმომადგენელთა სახით შეგვიძლია დავიმოწმოთ ორი „აბსოლუტური“ ნიჰილისტი: გერმანული ექსპრესიონიზმის მარჯვენა ფრთის მეთაური, ერთ-ერთი უგავლენიანესი ლირიკოსი გოტფრიდ ბენი და ე. წ. „დაკარგული თაობის“, შეიძლება ითქვას, ყველაზე დაკარგული ფრანგი წარმომადგენელი ლუი ფერდინანდ სელინი, 30-იან წლებში გახმაურებული რომანის „ღამის კიდეზე მოგზაურობის“ ავტორი. პირველმა, საწინააღმდეგოდ გოეთეს ცნობილი აფორიზმისა: „მარად ზეაღმავალი ბუნების უკანასკნელი შედეგია მშვენიერი ადამიანი“, მოკლედ მოსჭრა: „შემოქმედების გვირგვინი, ღორი, ადამიანი“. მეორემ კი ასეთი ფორმულებით ჩამოაყალიბა თავისი მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკური „კრედო“: „მე მწამს სიძულვილი და სიკვდილი“; „თუ გინდათ სწორად აჩვენოთ ადამიანი, იმაზე ცუდად უნდა წარმოადგინოთ, ვიდრე ის სინამდვილეში არის“. და ყოვლად კანონზომიერია და ლოგიკური, რომ ბენიცა და სელინიც ფაშიზმის მეხოტბეობამდე მიიყვანა მათმა უკიდურესმა, „ექსტრემულმა“ ურწმუნოებამ და გაბოროტებამ.

და „იდეალური“ დეკადენტის სახით ლევერკიუნი დიახაც „სარწმუნო ადგილს“ იჭერს, როგორც ბოდლერებსა და კაფკებს, ისე ბენებსა და სელინებს შორის. მათი არ იყოს, მასაც არ ეყო საიმისო „სიმამაცე და სიმხნევე“, რათა ჯეროვნად „ეფხიზლა“ და ეშმაკს გამკლავებოდა, რათა თავის სასოწარკვეთილებას მორეოდა და არ გაბოროტებულიყო, რათა „დოქტორ ფაუსტუსის გოდება“ მეცხრე სიმფონიის ტრაგიკული „ანტიპოდის“ — Gegenstück-ის სახით არ შეექმნა, როგორც იმის უარყოფა, რაც „კარგია და კეთილშობილი“ და რასაც „ადამიანური ჰქვია, მიუხედავად იმისა, რომ კარგია და კეთილშობილი“ (VI, 647). საქმეც ესაა: ლევერკიუნს ის ხდის ტიპიურ დეკადენტად, რომ საბოლოოდ ისე ნებდება თავის ეშმაკს, რომ ადამიანობის რწმენასა და სიყვარულს ჰკარგავს, ამ ცნებას „კარგისა და კეთილშობილის“ წინააღმდეგობად აღიქვამს და ამით სასოწარკვეთილ-გაშმაგებული თავ-

ად „კარგისა და კეთილშობილის“ მოსასპობად მხედრდება, სწორედ იმიტომ ლამობს თავის „ტიტანური“ კანტატით მათ Zurücknahme-ს, ე. ი. ადამიანისათვის წართმევა-გაუქმებას, რომ იგი, ადამიანი, თავის ატრიბუტად იჩემებს ამ ღირსებათ.

და ამრიგად ირკვევა, რომ ავადმყოფობა, რომელსაც ეშმაკი „მაცოცხლებელ“ წყაროდ უსახავს ლევერკიუნისეულ „ეზოტერიულ“ არტისტიზმს, „სარდონიკული“ ირონიის არ იყოს, არათუ შველის, არამედ, პირიქით, საბოლოოდ აპირობებს „ოსმოსური“ ხელოვნების ტრაგიკულ ხასიათს, უსაშველო განწირულებას: მართალია, სენი ერთდაგვარ დროებით სტიმულად ევლინება, მაგრამ, ამავე დროს, საბედისწეროდ ძვირადაც უჯდება დეკადენტ ხელოვანს, რომელსაც ისე სტეხს სულიერად, რომ მისივე თავის წინააღმდეგ წარმართავს, მის დეჰუმანიზაციასა და დეესთეტიზაციას ახდენს. კერძოდ, ავადმყოფობა კი არ აერთიანებს ლევერკიუნს გარესამყაროსთან, რაც მისი ხელოვნების გაჯანსაღების ერთადერთი გზაა, პირიქით, კიდევ უფრო ტიშავს და აუცხოებს მას ცხოვრებასა და ადამიანთაგან, რითაც საბოლოოდ უშრობს შემოქმედების ერთადერთ ნამდვილად ცხოველმყოფელ წყაროს.

საქმეც ეგაა და კიდევაც აქ ზეიმობს თავის უმაღლეს გამარჯვებას თომას მანის რეალიზმი: ლევერკიუნის შემოქმედი გასაოცარი სიღრმითა და სიმახვილით ადგენს „ოსმოსური“ ხელოვნების ცრუესთეტიზმს ანუ ანტიესთეტიკურობას, რომლის ძირებსაც პოულობს მის არაჰუმანურობაში; მას იშვიათი სიმკაცრითა და სიზუსტით „გამოჰყავს“ ამ ხელოვნების ფორმალური „სიახლე“ მისი შინაარსობრივი „სიძველიდან“, სახელდობრ, უშუალოდ „დაზნული წვრილბურჟუაზიული სულიერობისა“ და საერთოდ ბურჟუაზიული-ინდივიდუალისტური ჰუმანიზმის ისტორიული კრიზისიდან, მათი გამოფიტვისა და ხრწნის, ეგზისტენციალისტთა ტერმინით რომ ითქვას, „გაარაფრების“ ფაქტიდან. ლევერკიუნის მთელი შემოქმედებითი პრაქტიკა იმის საბუთია, რომ მისი „ეზოტერიული“ არტისტიზმის „მოდერნიზმი“ გაჭირვებისაა, ე. ი. იმითაა გამოწვეული, რომ მას შეჰყრია ე. წ „ძველ“ თუ „ტრადიციულ“ ანუ „ჩვეულებრივ საშუალებათა გამოყენების შეუძლებლობა“, Unmöglich-geworden-Sein der gang und gäben Mittel, რისი ფარულ-ნამდვილი მიზეზიც „სათქმელის უქონლობაა“, Nichts-mehr-zu-sagen-Häben-ი (VI, 184).

ხოლო ეს, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ „ოსმოსური“ ხელოვნების ფორმალური „სიახლეც“ ნეგატიურ, ხელოვნებისათვის დიახაც არაჩვეულებრივ ანუ [illegible]ბრივ, ე. ი. ანტიმხატვრულ ხასიათს ატარებს, დეესთეტიზაციის ნიშანს ატარებს, რასაც თ. მანი აგრეთვე საგანგებოდ უსვამს ხაზს. „საშუალებათა ისტორიული გაცვეთილობა და ამოწურულობა“, რომელიც დაკნინების გზაზე შედგომისთანავე ემჩნევა ბურჟუაზიულ ხელოვნებას, თავის უკიდურეს საზღვარს, საბოლოო მიჯნას აღწევს „მოდერნისტულ“ ხელოვნებაში, რაც, ეშმაკის თქმისამებრ, „სრულიად დაუძლეველ დაბრკოლებათა“ წინაშე აყენებს „დღევანდელ მთხზველობას“ VI, 329).[1] ანუ თ. მანი გვიჩვენებს,

---

[1] ამ დაბრკოლებათა მთავარ გამოხატულებას წარმოადგენს „ოსმოსური“ ხელოვნების სტრუქტურისათვის ნიშანდობლივი მძაფრი „პარადოქსულობა“, რომელიც შემდეგ ასპექტებში ვლინდება: ა) სინამდვილის მის „მომენტურ“ დისკრეტობაში ასახვის პრინციპს, რომელსაც ყოფიერების „კავშირთა“ შეუცნობადობის აღიარება კარნახობს, ადრიანი წინააღმდეგობაში მოჰყავს მის შემოქმედებით მოთხოვნილებასთან, შექმნას ხელოვნების სრულმასშტაბოვანი ნაწარმოები, რასაც ასე აღნიშნავს ცაიტბლომი: „როგორ არ უნდა შევეშფოთებინე ამას (ადრიანიის თეზისს, რომ „მართალი და სერიოზული მხოლოდ ზღვრულად შედედებული მუსიკალური წამია“ — ო. ჯ.), როცა ვიცოდი, რომ იგი თავად აპირებდა ხელოვნების ნაწარმოების შექმნას, ოპერის შეთხზვას“ (VI. 246); ბ) დეფორმირებულ-აბსტრაქტული, უფორმო ფორმებისადმი მიდრეკილება პრინციპულად გამორიცხავს მხატვრულობას, ხატოვანების, ხატვის, განსახიერების შესაძლებლობას; გ) შემოქმედებით „შთამგონებლად“ ეშმაკის ცივი, ყოვლის გამაუფასურებელი „კრიტიკული გონების“ აღიარებაც გამორიცხავს „მთხზველობას“, რამდენადაც ხელოვნების ჭეშმარიტად-ესთეტიკურ ნერვს ჰკლავს, „გრძნობათა სითბოს“, „რომანტიკას“ ახშობს; დ) ირონიაცა და სნეულებაც, რომელთაც „ოსმოსური“ ხელოვნება თვითმყოფობისა და არსებობის უნარიანობის მოსასპოვებლად იშველიებს, კვლავ მის ესთეტიკურ რაობას შლიან, რამდენადაც იმ ჰუმანურობას მტრობენ, რომელიც ხელოვნების სულიერ-კულტურულ, მორალურ-ადამიანურ არსს შეადგენს; ე) დასასრულ, ამავე „პარადოქსულობითაა“ აღბეჭდილი თავად პიროვნებაც „ოსმოსური“ ხელოვანისა: ერთის მხრივ, „ახალი“, მოდერნისტული ფორმების საძებრად სუბიექტური პატიოსნება და სერიოზულობა, დიახ, სიმართლის მოთხოვნილება უბიძგებს მას, ხოლო ამ ფორმების რეალურ სინამდვილეში უპოვნელობა, თავის მხრივ, აიძულებს „კომბინატორობასა“ და „მაიცრობას“.

რომ თანამედროვე „ოსმოსური“ ხელოვნება ყველა თავისი ფორმალური მიგნება-აღმოჩენის მიუხედავად თუ, სულაც, წყალობით პოზიტიურად ახალი პროგრესულად მომდევნო, უფრო მაღალი საფეხურის სახით კი არ ენაცვლება „ტრადიციულ“-კლასიკურს, არამედ ვითარცა ანტიხელოვნება უპირისპირდება მას, იმით უარყოფს თვისობრივად, რომ მოკლებულია ნამდვილი ხელოვნების სისაღესა და სიცოცხლეს, — ჰუმანისტურ შინაარსსა და რეალისტურ ფორმას, — და აღბეჭდილია უსაშველო სნეულების, ტრაგიკული უმწეობისა და განწირულების ნიშნით, ე.ი. ისტორიულ ჩიხს წარმოადგენს, ახალის დასაწყისი კი არ არის, არამედ ძველის დასასრულად გვევლინება, თანამედროვე ბურჟუაზიული ხელოვნების წინამორბედ-კლასიკურისადმი ასეთი ნეგატიური დაპირისპირება არსებითად სავსებით ეთანხმება გოეთეს ცნობილ კონცეფციას, რომლის თანახმადაც „კლასიკური“ ანუ ნამდვილი ხელოვნების ატრიბუტად „სისაღე“, ჰუმანისტურ-რეალისტური სრულძალოვნებაა მისაჩნევი, ხოლო „ავადმყოფურობა“, იდეურ-მხატვრული სიმცხრალე თუ იმპოტენცია ყოველ დეკადენტურ-რომანტიკულ ხელოვნებას „სჭირს“ ხოლმე.

ხოლო ამ ასპექტში საგანგებოდაა აღსანიშნავი, რომ „მოდერნიზმი“ არავითარ შემთხვევაში არ უპირისპირდება მხოლოდ XIX საუკუნის ან თუნდაც უფრო შორეული, მაგალითად, რენესანსის ეპოქიდან თუ სულაც ანტიკური ხანიდან მომდინარე კლასიკის იმ ნაკადს, რომელსაც ახასიათებს ემპირიული სინამდვილის ე. წ. „კეთილსინდისიერი“ რეპროდუქცია, „ნამდვილობის“, ილუზიის დაცვა ანუ განსახიერების „ნატურალისტური“ სტილი თუ მანერა. არა! იგი უპირისპირდება საერთოდ ყოველგვარ — წარსულისა და მომავლის — კლასიკას ანუ ყოველი ტიპის რეალისტურ ხელოვნებას, რომლის სისაღე და ნამდვილობა მდგომარეობს მის არსებობისუნარიანობაში, ე.ი. იმაში, რომ მას ძალუძს ცხოვრების შესაბამისი. ცვალებადობა-განვითარება, კერძოდ, განსახიერების ახლ-ახალი ხერხებითა და ფორმებით გამდიდრება, დიახ, დაუსრულებელი მოდერნიზაციაა და ამ აზრით მართლაც არ უდევს რაიმე ნაპირი და საზღვარი.

თუმცაღა, თ. მანის თანახმად, მთელი — როგორც წარსული, ისე მომავალი — კლასიკისადმი ეს არსებითად დაპირისპირებული ცრუხელოვნება, ამავე დროს, კანონზომიერი ნეგაციის, ლოგიკური დასასრულის სახით განუყრელად უკავშირდება თავის უშუალოდ წინამორბედ, ე. ი. ბურჟუაზიულ კლასიკას, რომლის დასაბამი რენესანსის ეპოქაზე მოდის, ხოლო მწვერვალი გოეთე-ბეთჰოვენის მემკვიდრეობითაა გაბრწყინებული.

ანუ „ოსმოსური“ ხელოვნების, როგორც დაკნინებისა და აღსრულების ნიშნით აღბეჭდილი მოვლენის, მანისეული კონცეფცია დიამეტრალურად უპირისპირდება დღევანდელ „დასავლეთში“ გავრცელებულ თვალსაზრისს, თითქოს „მოდერნიზმის,“ ვითარცა „მეოცე საუკუნის“ ხელოვნების, კრიზისულ-ექსპერიმენტული ხასიათი განპირობებულია „ახლის“ ძიების იმ აუცილებლობით, რომელიც წარმოიქმნა განსახიერების „ძველი,“ ტრადიციულ-კლასიკური ფორმების საერთოდ „ამოწურვითა“ და „შეუძლებლობით.“

თ. მანი არაერთგზის და საგანგებოდ უსვამს ხაზს იმას, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული ხელოვნება სწორედ დასასრულს წარმოადგენს და არა დასაწყისს. „დოქტორ ფაუსტუსში“ ლევერკიუნის მთელი „ოსმოსური“ მუსიკა მიჩნეულია საბოლოო წერტილად განვითარების იმ მრუდისა, რომლის აპოგეას ბეთჰოვენის „მეცხრე სიმფონია“ წარმოადგენს, და ამ აზრით მის უდიდეს ქმნილებას, — „დოქტორ ფაუსტუსის გოდებას,“ — ცაიტბლომი უწოდებს არა მარტო ადრიანის „უკანასკნელ ნაწარმოებს,“ არამედ „რაღაც ისტორიულად უკანასკნელსა და უკიდურესსაც“ (VI, 653), რომლის შემდეგ მსგავსი რამ უკვე შეუძლებელია. ხოლო „ერთი რომანის ისტორიაში“ თ. მანი უკვე არა მარტო ადრიანის ამ კანტატას, არამედ მისი ტრაგედიის ამსახველ რომანსაც, ე. ი. საკუთარ „დოქტორ ფაუსტუსსაც“ აკუთვნებს „უკანასკვნელ“ ნაწარმოებთა კატეგორიას და აღნიშნავს მის გარკვეულ „ნათესაობას“ ჯეიმს ჯოისის „ულისთან,“ მოდერნისტული რომანის ამ „კლასიკურ“ ნიმუშთან, რომელსაც მისმა ეთმა კომენტატორმა, ჰარი ლევინმა, უწოდა „რომანი, რომელმაც ბოლო უნდა მოუღოს ყოველგვარ რომანს“ (XII, 238). ამ უკანასკნელ თეზისში, როგორც მისი კონტექსტიდან ჩანს, იგულისხმება „ულისის“ მერე ყოველგვარი ბურჟუაზიული რომანის შეუძლებლობა და არა საერთოდ რომანის ჟანრული დასასრული. რისი ძახილიც „ავანგარდისტულ“ მოდად ქცეულა დღევანდელ „დასავლეთში.“ ემყარება რა გავრცელებულ თვალსაზრისს, რომ რომანი ისტორიულად „ბურჟუაზიული“ ჟანრია, ლევინი „ულისს“ იმდენად თვლის „უკანასკნელ“ რომანად, რომელიც „სცილდება რეალისტური ბელეტრისტიკის ფარგლებს,“ რამდენადაც მასში განსახიერებულია „საშუალო კლასის რღვევა“ (deconposition of fhe midle class) და თ. მანიც, იმოწმებს რა ლევინის ამ დებულებას, აშკარად ამავე აზრით დასძენს, „ეს არანაკლებ ითქმის... „დოქტორ ფაუსტუსზეო.“ საქმე ისაა, რომ „ოსმოსური“ ხელოვნების შესახებ თავისი რომანის ჯოისის „ოსმოსურ“ რომანთან „ნათესაობას“ თ. მანი ხედავს „ში-

ნაარსში“ (Wesen-“ში) და არა ლიტერარტურული „მანერაში“ (Haltung-ში). მართლაც: თუკი ამ უკანასკნელი თვალსაზრისით „ულისი“ და „ფაუსტუსი“ უფრო შორდებიან, ვიდრე უახლოვდებიან ერთმანეთს, — თ. მანი თავად შენიშნავს, „იმთავითვე ვიცოდი, რომ ჯოისის ექსცენტრიულ ავანგარდიზმთან შედარებით ჩემი ნაწარმოები მკრთალ ტრადიციონალიზმად გამოჩნდებოდაო“ (XII, 238), — შინაარსობრივად მათ ის „აერთიანებს,“ რომ მათი „გმირები,“ როგორც ლეოპოლდ ბლუმი და სტივენ დედალუსი, ისე ადრიან ლევერკიუნი, მომაკვდავი ბურჟუაზიული კულტურის საბოლოოდ გახრწნის პროდუქტები არიან. მართალია, ისინი სრულიად სხვადასხვა ასპექტებში არიან წარმოდგენილი, — პირველი ორი თანამედროვე ადამიანებად, მესამე კი თანამედროვე ბიურგერად, რითაც ჯოისი და მანი კიდევაც უპირისპირდებიან ერთმანეთს დეკადენტისა და ჰუმანისტის, რომანტიკოსისა და რეალისტის სახით, — მაგრამ ამასთანავე ისიც ცხადია, რომ „ულისისა“ და „დოქტორ ფაუსტუსის“ ტიპის რომანები მყისვე უსაგნო და შეუძლებელი გახდება ამ ერთიანად დეჰეროიზირებულ „გმირთა,“ „დახშული წვრილბურჟუაზიული სულიერობის“ ამ უკანასკნელ მოჰიკანთა გადაშენებასთან ერთად. და დასასრულ, ამავე აზრით ისაა საგულისხმო, რომ არა მარტო „ოსმოსური“ ხელოვნების შესახებ თავისი ეს რომანი, — „დოქტორ ფაუსტუსი,“ — არამედ ამ ხელოვნების წარმომშობი ბურჟუაზიულ-დეკადენტური კულტურის ამსახველი მთელი თავისი შემოქმედებაც ესახება თ. მანს „მწუხრის“ ნიშნით აღბეჭდილ და ამდენ „უკანასკნელ“ მოვლენად; კერძოდ, „დოქტორ ფაუსტუსის“ მომდევნო რომანის — „რჩეულის“ — გამო 1951 წელს გამოქვეყნებულ „შენიშვნაში“ იგი აღიარებს, აქ ჭარბად შეიმჩნევა „გვიანი ეპოქის ნიშანთვისებებიო,“ და მელანქოლიურად დასძენს, საერთოდ „ცოტა რამ მექნება იმის საწინააღმდეგო, თუკი გვიან მოსული და უკანასკნელი, დამამთავრებელი ვიქნებიო“ (XII, 483).[1]

და ამრიგად, „დოქტორ ფაუსტუსში“ ადრიანის მთელი შემოქმედებითი მეტაფორა კი „გოდებით“ არაორაზროვნულად — სიმბოლიზირებული ხრწნადი ბურჟუაზიული მსოფლაღქმის რკალში მომწყვდეული „ოსმოსური“ ხელოვნების აღსრულება და არა ტრადიციულ-კლასიკური, ე. ი. საღი და ნამდვილი ხელოვნების შემდგომი შეუძლებლობა. ანუ ამით აქ ისიცაა თქმული, რომ ხელოვნების მომავალი განვითარება ძევს ლევერკიუნის შემოქმედებითი „ცდის“ მიღმა, შესაძლებელია მისი უსიცოცხლო მემკვიდრეობის მხოლოდ დაძლევის პირობით, ე. ი. უნდა მოჰყვეს კლასიკური ხელოვნების იმ საღი ტრადიციების აღდგენას, პირველ ყოვლისა, იმ „ფოლკლორულობის“ განახლებას, რომელთა დაკარგვამაც განსაზღვრა „ძველი“ კლასიკის დეკადანსი.

სულაც, სწორედ ამის ცხადყოფა შეადგენს რომანის ერთ-ერთ დედააზრს, რომლის „მესიტყვეებად“ თ. მანი წარმოგვიდგენს, როგორც ჰუმანისტ ცაიტბლომს, ისე თავად ლევერკიუნსაც, რომელსაც კარგად ესმის თავისი ხელოვნების მანკიერებაც და მისი დაძლევის საშუალებაც, ოღონდ საიმისო ნება და უნარი არ შესწევს, — რაც კიდევაც შეადგენს მის ერთ-ერთ მტკივნეულ განსაცდელს, — რათა ამ საშუალებით ეზიაროს ნამდვილ ხელოვნებას.

ადრიანის აღიარებით, დღეს „ქვეყნად ერთი პრობლემა არსებობს, რომელსაც ეს ჰქვია: როგორ მოვახდინოთ გარღვევა, როგორ მოვიპოვოთ თავისუფლება, როგორ გამოვიდეთ ჭუპრიდან და ვიქცეთ პეპელად?“ (VI, 419). თანაც იგი დასძენს, რომ ეს კითხვა ცხოვრების რომელიმე ერთ დარგში კი არ იჭრება, არამედ მისი დროის „ერთიან სიტუაციაზე ბატონობს,“ კერძოდ, თანაბარი სიმწვავით დგას როგორც ეროვნულ-სოციალური ყოფის ასპარეზზე, ისე ესთეტიკის სავანეშიც. ვითარცა ბურჟუაზიული საზოგადოების სულიერი გადაგვარებისა და კვდომის მხატვარი, თ. მანი აქ გამოხატავს თავის ულრმეს და უთამამეს, ძველ სამყაროსათვის არსებითად სასიკვდილო განაჩენის მნიშვნელ დასკვნას. ამ დასკვნის აზრი ისაა, რომ დღევანდელმა ბურჟუაზიამ, თუკი არსებობის უფლება სურს შეინარჩუნოს, უნდა შესძლოს თავისი მანკიერი ეგზისტენციის ზღუდეთა „გარღვევა“ (Durchbruch-ის) და საკუთარი მიხრწნილი არსების „განახლება“, სახელდობრ, უნდა გამოიჩინოს „თვითგანთავისუფლებისა და თვითდაძლევის“ საიმისო უნარი, რათა „საკუთარი თავიდან სულიერსა და ზებურჟუაზიულში გადაიზარდოს“ და ხალხთან ის ორგანული კავშირი აღადგინოს, რაც ოდესღაც, ლუთერისა და გოეთეს ეპოქებში, მას „ისტორიული მისიის“ მატარებლად აქცევდა (X, 125, 93).

---

[1] ამასვე აღიარებს იგი ერთ-ერთი (1951 წლის 5 მაისის) კერძო ბარათშიც, როცა იმავე „რჩეულის“ „განუმეორებლობის“ გამო შენიშნავს: თუკი „ყოველი ექსპერიმენტი არ ჩაითვლება „ჩიხად,“ რომელშიც ტყვეობა სამუდამოდ უწერია ავტორს,“ არსებითად ჩემი ყოველი წიგნი ჩიხს წარმოადგენდა, საიდანაც იმგვარადვე გზის გაგრძელება შეუძლებელი იყო და მე ყოველთვის ახალი მიმართულებით მიხდებოდა თავის დაღწევაო“ (იხ. თ. მანის წერილთა S. Fischer-ისეული გამოცემის ტ. III, გვ. 208).

უფრო კონკრეტულად, სოციალურ-ისტორიულ პლანში, ასეთი „გარღვევა“ თ. მანს ესმის, როგორც „გარდატეხის ქარცეცხლში გზის გაკაფვა ახალი სულიერი და საზოგადოებრივი წყობილებისაკენ,“ რომელიც „იხსნის კაცობრიობას ზედმეტი, დამამცირებელი, გონების ღირსების შემბღალავი ტანჯვებისაგან“ და „კვლავ დაუბრუნებს სულიერს არსებობის უფლებასა და სუფთა ნამუსს“ (X, 123, 92, 125). ხოლო ის პერსპექტივა, რასაც ცხოვრების ამგვარად განახლების შესაბამისად აღნიშნული „გარღვევა“ ესტეთიკის სფეროში ქმნის, ასე ესახება — თავის ავტორთან ერთად! — ადრიან ლევერკიუნს: „ამრიგად, სულიერი სიცივიდან ახალი გრძნობის კადნიერ სამყაროში გარღვევა რომ მოხერხდეს, ეს ჭეშმარიტად იხსნის ხელოვნებას“ (VI, 437); ამ „გარღვევის“ შედეგად ხელოვნება იმით დააღწევდა თავს „უმოკლეს ხანში სრულ მარტოობაში ჩავარდნისა და ჩაკვდომის“ საფრთხეს, რომ „ხალხისაკენ, ანუ, ნაკლებ რომანტიკულად რომ ითქვას, ადამიანებისაკენ გაიკაფავდა გზას“; და მაშინ „სინამდვილედ იქცეოდა და ბუნებრივად მოგვევლინებოდა ის, რაც ამჟამად მხოლოდ გაჭირვებით წარმოგვიდგენია: ტანჯვის უცოდინარი, სულიერად საღი, არაპათეტიკური, უდარდელადმიმნდობი და კაცობრიობასთან „შენობით“ მოუბარი ხელოვნება“ (VI, 438).

და ამრიგად, „ოსმოსური“ ხელოვნების ისტორიულ ადგილსა და ბედს თ. მანი ადგენს „მეამიტურ“-რეალისტური და „სენტიმენტალურ“-რომანტიკული პოეზიის შილერისეული კონცეფციის ანალოგიურად, რითაც კვლავ ამჟღავნებს თავის ორგანულ-მემკვიდრეობით კავშირს გოეთესდროინდელ „კლასიკასთან.“ ამ კონცეფციის ასპექტში „ოსმოსური“ ხელოვნება გვევლინება უკიდურეს და უკანასკნელ სახეობად სენტიმენტალურ-რომანტიკული ხელოვნებისა, რომელიც კაპიტალიზმისდროინდელ სამწუხარო აუცილებლობას წარმოადგენს და, როგორც ასეთი, არსებითად უპირისპირდება კლასიკურ-რეალისტურს, რომლის „ოქროს ხანებიც“ განეკუთვნება შორეულ პრე-ბურჟუაზიულ წარსულსა და პოსტ-ბურჟუაზიულ მომავალს. ანდა, სხვა სიტყვით რომ ითქვას: თ. მანის თანახმად, „ოსმოსური“ ხელოვნება გვევლინება დასასრულად სენტიმენტალურ-რომანტიკული ხელოვნებისა, რომელიც მანამდე ენაცვლება ნამდვილს, კლასიკურ-რეალისტურს, ვიდრე ადამიანი ცხოვრებისეული სინამდვილისაგანაა გაუცხოებული, მაგრამ უმალვე დაუთმობს მას ადგილს, როგორც კი „ახალ ნერგზედ ახლად შობილი“ კვლავ დადგება ის „ოქროს საუკუნე,“ როცა ადამიანობა რეალობას წარმოადგენს და არა იდეას.

III

ამრიგად, თამამად ითქმის, რომ არც ერთ ესთეტიკოსსა თუ მხატვარს ისე ულმობლად არ უჩვენებია თანამედროვე „მოდერნიზმის“ დეკადენტური არსი და ისტორიული განწირულება, როგორც ეს თომას მანმა შესძლო.

მაგრამ აქ კიდევ ერთი არსებითი მომენტიც უნდა აღინიშნოს, რომლის გაუთვალისწინებლად ცალმხრივი და გაღარიბებული, ანუ ყალბი წარმოდგენა შეგვექმნება, როგორც ლევერკიუნის დეკადენტობაზე, ისე მანის რეალიზმზე.

საქმე ისაა, რომ „დოქტორ ფაუსტუსს“ ტყუილად როდი აქვს ეს ქვესათაური: „გერმანელი კომპოზიტორის, ადრიან ლევერკიუნის ცხოვრება, მოთხრობილი მისი მეგობრის მიერ.“ მართლაც, გვიჩვენებს რა თავისი გმირის განწირულებას, თ. მანი ამავე დროს ისე ცხარედ ეტრფის და თანაუგრძნობს მას, რომ გასაოცრად ემგვანება „მოხუც ბალზაკს,“ რომელსაც „ერთ-ერთ უდიდეს ღირსებად“ იმას უთვლიდა ფ. ენგელსი, რომ იგი დასაღუპავად განწირულ ადამიანებად განასახიერებდა თავისი დროის არისტოკრატებს, მიუხედავად *იმისა, რომ მათ მიმართ ულრმესი სიმ*პათიითა და სიყვარულით იყო გამსჭვალული. და ბალზაკის მსგავსად, აქაც დეკადენტი გმირისადმი ეს კეთილგანწყობილება იმდენად მხატვრის სუბიექტური მიდრეკილების მჩენელ ფაქტად კი არ გვევლინება, რამდენადაც იქცევა ობიექტურ ფაქტორადაც, რომელიც ღირსეულად აგვირგვინებს მანისეული რეალიზმის აღნიშნულ გამარჯვებას. სახელდობრ, „მეგობრობა“ იმას ავალდებულებს თ. მანს, რომ ლევერკიუნის ნეგატიური არსების ჩვენებით კი არ დაკმაყოფილდეს, — როგორც ეს „მოდერნიზმის“ ბევრ მტერსა და მეტადრე (ცოდვა გამხელილი სჯობს) ჩვენს კრიტიკოსებს სჩვევიათ ხოლმე, — არამედ მისი დადებითი თვისებებიც ჯეროვნად გამოავლინოს, ანუ ანალიტიკურად იმ ცხოვრებისეულ წინააღმდეგობრიობაში წარმოგვიდგინოს „იდეალური“ დეკადენტი, რომლითაც იგი კვლავაც „სარწმუნო ადგილს“ იჭერს თანამედროვე „დასავლური“ ხელოვნების რეალურ მესვეურთა შორის.

მაგრამ ვიდრე ლევერკიუნის სახით ამ მეორე ასპექტს მივხედავდეთ, წინასწარ ამის ხაზ-

გასმა არ იქნება ზედმეტი: ადვილი შესამჩნევია, რომ აქ, — ლევერკიუნის პიროვნებისა და თხზულებათა „დადებით“ პლანში დახასიათებისას, — ჩვენ მოგვიხდება იმის დიამეტრალურად საწინააღმდეგოდ ლაპარაკი, რასაც ადრიანის ვითარცა „იდეალური“ დეკადენტის გამო ადრე ვამბობდით. მაგრამ ამით ჩვენ, რასაკვირველია, რაიმე წინააღმდეგობაში კი არ ჩავვარდებით, არამედ თავად საანალიზო მოვლენის უაღრეს წინააღმდეგობრიობას აღვნიშნავთ, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ თანამედროვე „ოსმოსურ“ ხელოვნებაში ერთმანეთს შეურიგებლად, „სამკვდრო-სასიცოცხლოდ“ შებმია ურთიერთის გამომრიცხველი, დეკადენტური და კლასიკური ტენდენციები. და ეს ფაქტიც იმის უცილობელი საბუთია, რომ „მოდერნიზმი“ რაღაც „ახალის“ დასაწყისი კი არაა, არამედ მხოლოდ „ძველის“ დასასრული! საქმე ისაა, რომ პოზიტიურ და ნეგატიურ ტენდენციათა ის წინააღმდეგობა, რაც ბურჟუაზიულ ხელოვნებას იმთავითვე ახასიათებს და მის უდიდეს კლასიკოსთა შემოქმედებასაც ემჩნევა, აქ — „მოდერნიზმში“ — უკიდურეს სიმძაფრესა და დაძაბულობას ანუ იმ კრიტიკულ საზღვარს აღწევს, რომლის „იქეთ“ ამ ხელოვნების სრული დაშლა-გაქრობა ხდება აუცილებელი.

იმ მაღალ ობიექტურობას, რასაც თ. მანი ლევერკიუნის მიმართ იჩენს, „დეკადენტის“ ცნების იგივე დიალექტიკური გაგება ედება პრინციპულ სარჩულად, რომლის თანახმადაც ასეთად, ე. ი. დეკადენტად, მხოლოდ ის ხელოვანი გვევლინება, ვინც თავის თავზე სნეულებასა და სიკვდილს ამარჯვებინებს. ეს გაგება მარტო იმას კი არ გულისხმობს, რომ ყველა ავადმყოფი არაა დეკადენტი, არამედ იმასაც ცხადყოფს, რომ ვერც ერთი ნამდვილი და სერიოზული ხელოვანი, ვიდრე მასში ადამიანობისა და პოეზიის ნაპერწკალი ღვივის და სიცოცხლის პულსი სცემს, ვერ ჩაითვლება „წმინდა“ ანუ „სრულ“ დეკადენტად.

კერძოდ, რეალურთაგან, სწორედ ასე არ გვევლინება „აბსოლუტურ“ დეკადენტად თუნდაც იგივე ფრანც კაფკა, რომელიც, როგორც არ უნდა იყოს „ცხოვრების ბნელი და იდუმალი მხარეებით“ გატეხილ-დათრგუნვილი, მაინც იმდენად ინარჩუნებს, ერთი კომენტატორის თქმისამებრ, ძირითად ადამიანურ ძალას“ (menschliche Grundkraft-ს), რომ „მოულოდნელ სიმამაცეს“ იჩენს და ასე აყალიბებს თავისი ცხოვრების „მრწამსს“; „არ დანებდე! კიდევაც რომ არსაიდან მოგიოდეს ხსნა, ყოველ წამს გწადდეს მის ღირსად ყოფნა“; და ამიტომაც „კაფკას ფენომენის“ გაგება-შეფასებისათვის მარტო იმის აღნიშვნა არ კმარა, რომ იგი დეკადენტურად, „ვითარცა ძაღლს“, ჰკლავს იოზეფ კ-ს სახით წარმოდგენილ „სუსტ ადამიანს“, არამედ იმასაც ენიჭება არსებითი მნიშვნელობა, რომ რაოდენ საეჭვოც — ყოვლად პასიური! — არაა ღირსების კაფკასეული გრძნობა, სწორედ იგი სძენს მის „გმირს“ ერთგვარ ადამიანურ იერს (თუკი სადმე იმსახურებს იოზეფ კ. რაღაც პატივისცემას, მხოლოდ ბოლო წუთებში, როდესაც მართლაც და მოულოდნელად იჩენს გარკვეულ „ენერგიას“: ჯალათთა სურვილის საწინააღმდეგოდ თავისი ხელით, ანუ საკუთარი ნებით არ იკლავს თავს და იმის გამო სირცხვილით გამსჭვალულს აღმოხდება ძაბუნი სული, რომ „ძაღლივით“ დაჰკლეს).

მეტიც: საგულისხმოა, რომ გოტფრიდ ბენიც კი ვერ ჩაითვლება მთლად „აბსოლუტურ“ ნიჰილისტად და, მაშასადამე, „ერთიან“ დეკადენტადაც. ზევით აღინიშნა, რომ მისმა ნიჰილიზმმა იგი ფაშიზმამდე მიიყვანა, მაგრამ ეს არ იყო მთლად სწორი! სულ ზუსტად რომ ვთქვათ, ფაშიზმამდე იგი მარტო ნიჰილიზმმა კი არ მიიყვანა, არამედ, იმავე დროს, ნიჰილიზმის სიმძიმის აუტანლობამაც, დეკადანსისაგან განტვირთვის, თავის დახსნის იმედმა, რასაც ის მოჰყვა საბოლოოდ, რომ მას შემდეგ, რაც ჰიტლერიზმმა ეს იმედი გაუცრუა, ბენმა თამამად გასწყვიტა მასთან კავშირი. Deutsches Schriftstellerlexikon-ში (1967 წ.) ამის შესახებ ვკითხულობთ: „თავდაპირველად ბენი დემონსტრაციულად მიესალმა ნაცისტთა ხელისუფლებას, ვითარცა ბედისწერით განჩინებულ მოვლენას, რამდენადაც იმედი ჰქონდა, რომ მისგან განცხადებული „სახალხო განახლება“ და ახალი (ბიოლოგიური) ისტორიული ტიპი დასძლევენ გვიან-ბიურგერული დეკადანსის ნიჰილიზმს“... მაგრამ მალე ბენმა „შეიგნო თავისი ცთომილება“ და უკვე „1934 წლის მიწურულს განუდგა ნაცისტურ ბატონობას (რომლის ჩამოყალიბება-დამკვიდრებას თავისი შემოქმედებით თვითონვე შეუწყო ხელი)“, რის შედეგადაც „მოჰყვა სულ უფრო მზარდ იზოლაციაში; კერძოდ, 1936 წელს ნაცისტებმა „გადაგვარებულად“ გამოაცხადეს იგი, ხოლო 1938-ს მწერალთა რაიხსკამერიდან გარიცხეს და წერაც აუკრძალეს. მართალია, წმინდად პოლიტიკური თვალსაზრისით მისი ეს „განდგომა“ დიდ ვერაფერ მიღწევად ჩაითვლება, რამდენადაც ბენი მაინც რეაქციონერი დარჩა ბოლომდე, მაგრამ ხელოვნებისათვის იგი უთუოდ ბევრის მნიშვნელი ფაქტია, რამდენადაც ბენი სწორედ იმდენად გვევლინება და რჩება მნიშვნელოვან პოეტად, რამდენადაც თუნდაც მოთხოვნილების სახით ინარჩუნებს ადამიანურ სისაღეს და ბოლომდე ვერ ეგუება იმ სულიერ პროსტრაციას, რომელმაც „ესთეტიკური“ გამოხატულება „მოდერნიზმში“ მიიღო, ხოლო თავისი „ტოტალური“

პრაქტიკული რეალიზაცია ფაშისტურ ბარბაროსობაში ჰპოვა.

მაშასადამე, „წმინდა“ ანუ სრული დეკადენტი თეორიული აბსტრაქციაა, რომელიც პრაქტიკულად არასოდეს ხორციელდება მთლიანად, ვიდრე ხელოვნებისა ასე თუ ისე ცოცხალ ფაქტთან გვაქვს საქმე, რომელსაც „ასი პროცენტით“ თავად ეშმაკიც კი ვერ წარმოადგენს, რამდენადაც თავისი უარყოფის პათოსით ისიც კი არღვევს დეკადენტური ესთეტიკის გენერალურ პრინციპს: „არტისტის“ სიცივისა და უგრძნობლობის მოთხოვნას. და ამიტომაც ყოველ დეკადენტში, — თუკი, ცხადია, სერიოზული სუბიექტია იგი! — „ორი სული“ ებრძვის ერთმანეთს, რომელთაგან დეკადენტური თუმცაღა ჭარბ, მაგრამ მაინც მეორად ტენდენციად გვევლინება, ხოლო სალი პირველადი, ადამიანურ-პოეტური საწყისის ძალას ინარჩუნებს. ანდა ასეც ითქმის: არც ერთი დეკადენტი არაა მხოლოდ იმპოტენტი მეფისტოფელი და ყოველი დეკადენტი შემოქმედი ფაუსტიც რჩება ხოლმე და იქვე კვდება სულიერად, ანუ თავდება როგორც ხელოვანი, სადაც მასში ეშმაკი ფაუსტზე სრულ გამარჯვებას ზეიმობს.

ამ გაორებულობის, მისი „ორივე სულის“ გაუთვალისწინებლად გამორიცხულია „ოსმოსური“ ხელოვანის ნამდვილი რაობა-ღირებულების წვდომა და შეფასება. ამის კარგ ილუსტრაციას ახალგაზრდა ალექსანდრე ბლოკი გვაძლევს, რომელიც საბოლოოდ, თ. მანის არ იყოს, დეკადენტის თავის თავში დაძლევით გაიზარდა ნამდვილად დიდ მხატვრად. აღნიშნავდა რა სავსებით მანისებურად, რომ ჩვენი საუკუნის „ყველაზე მგრძნობიარე“ შვილებს „ირონიის სენი“ შეჰყრია, „დამრღვევი“ და „დამაძაბუნებელი“ სიცილის შეტევები სჭირთ, რომლებიც „ეშმაკურ-გამმასხარავებელი“, „პროვოკაციული ღიმილით“ იწყება და „მძვინვარებითა და მკრეხელობით“, „ადამიანის მთელი სულის, ყველა შემართების წალეკვის განზრახვით“ თავდება, იგი ამავე დროს, მოწიფულ მანისაგან განსხვავებით, ჯერ კიდევ „პროდეკადენტურად“ ითხოვდა: „ნუ უსმენთ ჩვენ სიცილს, ის ტკივილი შეისმინეთ, მის იქით რომ იმალება“. ამ თხოვნაში დეკადენტის „ორი სულის“ კონსტატაციაა საცნაური, ხოლო თავად თხოვნა ყოვლად შეუწყნარებელი ჩანს: „ეშმაკეული“ სიცილის „შეუსმენლობა“ ისევე მიჩქმალავს „ოსმოსური“ ხელოვნების ნეგატიურ ხასიათს, როგორც მის უკან საგრძნობი ტკივილის „გაუგონრობა“ უგულებელჰყოფს იმ პოზიტიურ-ემოციურ ელემენტს, რომელიც სასიცოცხლო ძარღვს, არსებობის შესაძლებლობას უნარჩუნებს ამ მკვდარ თუ, უფრო სწორად, მომაკვდავ ხელოვნებას. თანაც, სიზუსტისათვის, ესეცაა უთუოდ ყურადსაღები, რაც კვლავ მის დეკადენტურ ხასიათს მოწმობს: „ოსმოსურ ხელოვნებაში“, რომელსაც „ცხოვრების“ სალად და ლაღად აღქმის უნარი აღარ შესწევს, ეს პოზიტიურ-ემოციური ელემენტი აუცილებლად ნეგატიური სახით ვლინდება, ვითარცა ადამიანურ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობის ტრაგიკულად მტკივნეული განცდა, როგორც კეთილისა და ლამაზის შეუძლებლობის გამო უსასოო მოთქმა-ჩივილი.

და ამ მხრივაც „იდეალურ“ სახედ წარმოგვიდგება ადრიან ლევერკიუნი, რომელიც ერთიანად არასდროს ნებდება თავის მეორე — ეშმაკეულ-დეკადენტურ — სულს, ანუ თავისი სულიერი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე რჩება თუმცაღა მარცხიან-მგოდებელ, მაგრამ მაინც შემოქმედ, გრძნობათა ნაპერწკლით გამთბარ ფაუსტად.

დიახ, ლევერკიუნს მთლიანად არასოდეს გაჰყინვია გული, რომლითაც მას, ვითარცა ყოველ ფაუსტს, ორგანულად სძაგს თავისი მეორე, ინტელექტუალურ-ეშმაკეული „მე“, რაც კომენტატორებს რეალურ საფუძველს აძლევს ილაპარაკონ ჰუმანისტ ცაიტბლომთან მის გარკვეულ „იდენტურობაზე“. კერძოდ, ეს „იდენტურობა“ თავს იჩენს ისეთ კარდინალურ საკითხშიც, როგორიცაა ხელოვნებისა და საერთოდ კაცობრიობის მომავლის ბედი: თ. მანი საგანგებოდ შენიშნავს, რომ „გარღვევა“ ცაიტბლომის ცნებაა და ლევერკიუნიც მას, თავის ამ ერთადერთ მეგობარს ეთანხმება, როცა ამ საკითხზე თავის აზრებს გამოსთქვამს. სხვა სიტყვით: ადრიანი თავისი ავტორის, თ. მანის, უბრალო „რუპორად“ კი არ გვევლინება, არამედ საკუთარი აღმოუფხვრელი ადამიანურ-ესთეტიკური არსის ორგანულ მოთხოვნილებას გამოხატავს, როდესაც მომავლის ჭეშმარიტი, ცოცხალი ხელოვნებისაკენ „გარღვევის“ აუცილებლობაზე ლაპარაკობს, ხოლო ამ მოთხოვნილების საფუძვლად თუ წყაროდ ის გვევლინება, რომ მას თუმცაღა ცაიტბლომზე „ბევრად ნაკლებად“, მაგრამ მაინც სჩვევია „საზოგადოებრივი ცნობისმოყვარეობა“ თუ „ადამიანური გულისხმიერება“, არასოდეს დაშრეტია სიყვარულის ის ადამიანური, — პირადი „ეგზისტენციის“ ფარგლებიდან ინდივიდის გამომყვანი ანუ კაცად მქცეველი, — გრძნობა, რომელსაც ხელოვანს კატეგორიულად უკრძალავს დეკადენტი-ეშმაკი.

„ვინ ჰყვარებია ამ კაცს?“ — კითხულობს რომანის დასაწყისში ცაიტბლომი და წინასწარვე ასე გვამცნობს თავისი ავბედითი მეგობრის მთელი ცხოვრების რომანს: — „ოდესღაც ერთი ქალი — ალბათ. დასასრულ ბავშვი — შესაძლოა. და ერთი მომხიბვლელი ქარიხვე-

ტიაც, რომელიც სწორედ იმიტომ თუ მოიშორა ბოლოს, რომ მისკენ მიდრეკილება იგრძნო, — თანაც სასიკვდილოდ მოიშორა. ვისთვის გაუხსნია მას თავისი გული. ვინ შემოუშვია თავის ცხოვრებაში? ასეთი რამ არასოდეს მოსვლია ადრიანს“ (VI, 11).

მისი პირველი სიყვარულის საგანი გახდა „შხამიანი პეპელა“ (XII, 231), ცხვირპაჭუა და ნუშისთვალება მეძავი, რომელსაც ლაიპციგის ბორდელში შეხვდა, სადაც გიდის სახით მოვლენილმა ეშმაკმა შეიტყუა, მაგრამ მხოლოდ ერთი წლის შემდეგ ბრიუსელში მიეკარა, იმისდა მიუხედავად, რომ ქალმა გააფრთხილა, ავად ვარო.

მართალია, ლევერკიუნის ეს „გატაცება“ სრულიადაც არ ყოფილა „სრულყოფილი“: იმაზე თუ არაფერს ვიტყვით, რომ საბოლოოდ იგი „დამღუპველი“ (unheilvoll) აღმოჩნდა, რამდენადაც იმ „ცერებრალური სენის“ მიზეზი გახდა, რამაც განაყოფიერების ნაცვლად, მარტოოდენ გადაძაბვამდე გაამძაფრა ადრიანის შემოქმედებითი უნარი, დიახ, მის ამ „შემთხვევით“ შედეგს რომ მოვეეშვათ, ამ ვნებას თავისთავადაც აკლდა სათანადო ამაღლებულობა, ვინაიდან წარმოადგენდა იმდენად არა „სულიდან“ მომდინარე ადამიანურ გრძნობას, რამდენადაც „შიშველი ინსტინქტით“ აღძრულ „ჟინს“ (Begierde-ს). მაგრამ ეს ქვეცნობიერიდან აღმომსკდარი და ხელოვანის „ამაყ სულზე“ გამარჯვებული ჟინი მაინც „არჩევანს“ დაექვემდებარა, „ერთ გარკვეულ და ინდივიდუალურ მიზანზე“, სწორედ ხსენებულ „პეპელაზე“ იქნა „ფიქსირებული“ და ამდენად „მაინც არ დარჩა ყოველგვარ სულიერ საბურველსა და ადამიანურ კეთილშობილებას მოკლებული“, გაიმსჭვალა „სასიყვარულო განწმენდის მიდრეკილებით“ (VI, 208), რომელიც ლევერკიუნის მთელ შემოქმედებას ექცა ცხოველმყოფელ პირველ წყაროდ. ადრიანს არათუ „არასოდეს დავიწყნია“, არამედ ისე ჩარჩა მეხსიერებაში თავისი პირველი და უკანასკნელი სატრფო, რომელსაც სულ ერთადერთხელ შეეუღლა, რომ „ჰეტერა ესმერალდა“, — ის სახელი, რაც „იმთავითვე უწოდა“ მეძავს, — „რუნების დარად სულდგმულობდა მისი შემოქმედების წიაღში“ (VI, 210). სულაც: ეს ვნება, რომელშიც „სიყვარული და შხამი სამუდამოდ შეირწყნენ მისთვის საზარელ ერთიანობად“ (VI, 209), იმ ემოციურ დვრიტად მიენიჭა ლევერკიუნს, რომლის ძალითაც დისონანსებისაკენ მიდრეკილმა, დეფორმაციისაკენ დაქანებულმა მისმა მუსიკამ მუსიკალური ხასიათი შეინარჩუნა. სახელდობრ: ამ სიყვარულმა წარმოშვა Hetaera esmeralda-ს ის „დამახასიათებლად მწუხარე“ ჰანგი, რომელიც „ყოველნაირი ჰარმონიული და რიტმიული ვარიაციების“ სახით „გასაოცრად ხშირად მეორდებოდა“ ადრიანის „მუსიკალურ გრუნილებში“, „ლაიტმოტივურ ფიგურად“ ჟღერდამის ქმნილებებში დაწყებული ლაიპციგისდროინდელი ჭაბუკური თხზულებებიდან და გათავებული „დოქტორ ფაუსტუსის გოდებით“, „სადაც კიდევ უფრო გარკვევით შეიმჩნევა მელოდიურ ინტერვალთა ჰარმონიული ერთდროულობისაკენ მისწრაფება“ (VI,211).

მართალია, „უკუღმართად“, თავისი მარცხიანი დასასრულით, მაგრამ კვლავ არსებითად იმოქმედა ლევერკიუნის შემოქმედებაზე „მომხიბვლელი ქარიხვეტიას“ — მევიოლინე რუდი შვერდტფეგერის — მიმართ მისმა სიყვარულმაც.

ადრიანის ამ მეორე „გატაცებამ“ სრულად ცხადჰყო, თუ რაოდენ უსაშველოდაა იგი შინაგანად გაორებული, თუ რარიგ ტრაგიკულად გათიშულან მასში ადამიანი და ხელოვანი, თუ როგორ ერთდროულად კიდევაც ესაჭიროება და კიდევ ეუცხოვება მას სიყვარული, ეს საკუთრივ ადამიანური გრძნობა, რომელიც, არღვევს რა ეგოიზმის ნაჭუჭს, აკავშირებს რა ერთ პიროვნებას მეორესთან, აქცევს მას მორალურ ინდივიდად, საზოგადოებრივ ერთეულად, ვინც ნებაყოფლობით ბოჭავს „თავის“ ინტერესებს, თავისუფლად თმობს „საკუთარ“ უფლებებს „სხვისი გულისათვის“.

რუდი ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურაა თ. მანის ე. წ. „ცხოვრების კაცთა“ გალერეისა, რომლებიც მარტივნი და მიამიტნი, ზერელენი და მსუბუქნი არიან, მაგრამ თავინთი სისაღითა და სილაღით, ხალისიანობითა და გულგახსნილობით ხიბლავენ და იზიდავენ სიმარტოვითა და სნეულებით დამძიმებულ, სიცივითა და ეჭვით დაზაფრულ „ხელოვანთ“, დეტლევ შპინელისა და ტონიო კროგერის, გუსტავ აშენბახისა და ადრიან ლევერკიუნის მსგავს „დაწყევლილ“, „ეშმაკთან“ წილნაყარ „ასკეტებს“. მართალია, რუდი ყველგან იოლად იხვეჭდა წარმატებას, რაც „დემონიურობის“ ელფერს სძენდა მის პიროვნებას, მაგრამ ეს იყო „აბსოლუტურად გულუბრყვილო, ბავშვური, დიახ, კობოლდისებური დემონურობა“ (VI, 472), რომელიც ცხოვრებაში ქალებზე ნადირობით კმაყოფილდებოდა, ხოლო ხელოვნებაში სალონურ-კონცერტური მუსიკით იზღუდებოდა. და აი ეს „ცისფერთვალება უბადრუკობა“ (VI, 565), — ნიჭიერი და გულმართალი, მაგრამ ქერქეტა და უმნიშვნელო სუბიექტი, — „უმალვე მიეტანა ადრიანს“, — „არა მარტო პატივმოყვარეობის კარნახით, არამედ იმიტომაც, რომ გულწრფელად აფასებდა ამგვარ ინტელექტუალურად აღმატებულ ადამიანებთან ურთიერთობას, რომელსაც შეეძლო მისი სრულქმნა და ამაღლება“ (VI, 271). ხოლო ადრიანს რაც შეეხება, მისი ამაყი, ეზოტერიზმის კოშკში ჩაკეტილი „მე“ თუმცაღა ჯიუტად წინაღუდგა, მაგრამ საბოლოოდ, — „მრავალი წლის შემდეგ“ — მაინც და-

ნებდა რუდისაგან ამ „ხელყოფას“. ოღონდ ამ კაპიტულაციის მიზეზი იმდენად შემომტევის შეუპოვრობა კი არ იყო, — ის გარემოება, რომ „ვერავითარმა სიცივემ, თავშეკავებამ, გაუცხოვებამ ვერ გამოაფხიზლა, ვერ დააფრთხო და ვერ უკუაგდო“ ჭაბუკ მევიოლინის „უჩვეულო გულმოდგინება“ (VI, 271), — რამდენადაც თავად ადრიანის შინაგანი „სისუსტე“, ის საგულისხმო ფაქტი, რომ „ბოლოს და ბოლოს თავი იჩინა (ადრიანის) ხიმარტოვის უმწეობამ ასეთი თავგამოდების წინაშე“ (VI, 478), რომლითაც რუდიმ ამ „სიტყვაძვირ მარტოსულს“ (VI, 273), როგორც ეს უკანასკნელი თავად ეუბნება, „პირველად აგრძნობინა ადამიანური სითბო“ (VI, 592).

მაშასადამე, აქ ადრიანის სულში „ადამიანი“, — თუნდაც დროებით და ნაწილობრივ, — იმდენად იმარჯვებს „ხელოვანზე“, რამდენადაც ამ უკანასკნელს ვერ უტვირთია „ეშმაკის“ მიერ მოთხოვნილი „ესთეტიკური ასკეტიზმი“. რაოდენ უბადრუკიც არ უნდა იყოს რუდის სახით წარმოდგენილი ადამიანობა, იგი დაუძლეველ „ცდუნებად“ ექცევა ლევერკიუნს, რამეთუ მისი სითბოს მოთხოვნილება მით უფრო მწვავედ იპყრობს „ოსმოსურ“ არტისტს, რაც უფრო აუტანლად სთოშავს „ცხოვრებისაგან“ გაუცხოების სუსხი.

მაგრამ ლევერკიუნის ტრაგედიაც, დიახ, დეკადენტური განწირულებაც ისაა, რომ მას აღარ ძალუძს თავისი ამ საარსებო მოთხოვნილების განხორციელება, აღარ შესწევს ადამიანური არსებობის უნარი, ვინაიდან სიყვარულის, მეგობრობის, „სხვებთან“ თანაარსებობის ტვირთი საბოლოოდ უფრო თრგუნავს, ვიდრე სუსხი სიმარტოვისა.

რუდისთან მეგობრობა, ცხადია, მარტო იმით არ ხელჰყოფს ლევერკიუნს, რომ ყოველგან წარმატებულ და ყოველთვის კმაყოფილ ქარიხვეტიასთან „შენობით“ ლაპარაკს აიძულებს. გაცილებით მწვავედ იმას განიცდის ადრიანი, რომ „სხვასთან“ ეს დაახლოება მის შემოქმედებით თავისუფლებასა და თვითარსობასაც ემუქრება. როცა ადრიანი შესჩივლებს, რუდი თავისთვის სავიოლინო კონცერტის დაწერას მთხოვსო, მისი მიუნხენელი დიასახლისის უმცროსი ასული, კლარისა როდე აფრთხილებს, „ეს არ ქნათ, საამო სამკაულთა მეტს ვერაფერს შექმნით, თუკი რუდის შეეწყობითო“ (VI, 277); მაგრამ, ვერ იჩენს რა ჯეროვან „მოქნილობას“, ადრიანი ასრულებს რუდის თხოვნას და, მართლაც, თხზავს „ბრწყინვალე და ინსტრუმენტულად ფრიად მადლიერ ნაწარმოებს“, „ნაღდი ეფექტებითა“ და „ამაღლებული ფლირტით“ აღსავსე „ჰიბრიდულ ქმნილებას“, რომელიც თავისი „მუსიკალური მანერის ვირტუოზულ-კონცერტული თავაზიანობით“ წარმოადგენდა „სალონური მუსიკის აპოთეოზს“ და „რამდენადმე შორდებოდა ლევერკიუნის ულმობლად რადიკალურსა და უკომპრომისო შემოქმედებას“ (VI, 554, 556). ხოლო უმთავრესი ისაა, რომ ეს „ჰიბრიდული ქმნილება“ რუდისადმი სიყვარულმა დააწერინა ადრიანს, ანუ იგი, რუდისავე სიტყვებით რომ ითქვას, „ადამიანობითაა ინსპირირებული“ (VI, 991), რაც თავად არსსა და საფუძველს ეწინააღმდეგება „ოსმოსურ“-დეკადენტური ხელოვნებისა, რომელშიც, „ეშმაკის“ თანახმად, არავითარ ადამიანურ გრძნობას არ უნდა ჰქონდეს ადგილი.

და ადრიანიც „იღებს დიად მსხვერპლს“, — ულმობელად იცილებს თავიდან აბეზარ „ცხოვრების კაცს“, რათა დარჩეს „ეშმაკის“ ერთგული, ხოლო საამისოდ „დანაშაულსაც“ არ ერიდება, — სასიკვდილოდაც კი იმეტებს რუდის, რასაც ყოვლად „მაკიაველისტურად“, ჭეშმარიტად ეშმაკეული სივერაგით აღწევს.

ლევერკიუნმა იცის, რომ რუდის, ერთის მხრივ, საყვარლად ჰყავს ნევროპათი და ქმრით უკმაყოფილო ინეს ინსისტორისი, ზემოთ ხსენებული კლარისა როდეს უფროსი და, რომელიც ეჭვიანობის გამო მოკვლით დაემუქრა „მიუნხენელ დონ ჟუანს“, ხოლო მეორეს მხრივ მოსწონს მხატვარი ქალი მარი გოდო, რომლის ცოლად შერთვა მას (ადრიანს) თავად მოსვლია აზრად. და ამ გარემოებას ერთობ ულირსად, — ცაიტბლომის თქმით, „საძრახად“ (sträflich), — იყენებს საიმისოდ, რათა „თავგანწირვით კვლავ ჩაიკეტოს მარტოობაში“ (VI, 599). სახელდობრ: იმ იმედით აგზავნის რუდის თავის შუამავლად მარი გოდოსთან, რომ წუწკი და პატივმოყვარე მექალთანე თვითონ გააბამს რომანს „ახალგაზრდა თუ ჯერ კიდევ ახალგაზრდა“ მხატვართან. რითაც საბაბს მისცემს ინესს შეასრულოს თავისი მუქარა. და ყველაფერი, „მისი ნებისამებრ“, სწორედ ისე მოხდა, როგორც ლევერკიუნს „მეტ-ნაკლებად წინდაწინ ჰქონდა გათვალისწინებული“ (VI, 599).

„ის, რასაც იგი რუდის უწყობს, წინასწარ მოფიქრებული, ეშმაკის მიერ ნაკანახევი მკვლელობაა ო“, — შენიშნავს „რომანის რომანში“ თ. მანი. — და ეს ბოროტმოქმედება უკლებლივ აჩენს ლევერკიუნის, ვითარცა „კლასიკური“ ესთეტის, არსებით მანკიერებას, რომლის „ძალითაც“ იგი მარტო თანამედროვე დეკადენტური ხელოვნების ტიპიურ წარმომადგენლად კი არ გვევლინება, არამედ იმ საზოგადოების „გმირადაც“ გვესახება, რომელმაც ამ ბარბაროსული, ადამიანური შინაარსისაგან გაუცხოვებულ ხელოვნებასთან ერთად ისეთი ბარბაროსული სოციალ-პოლიტიკური მოვლენაც წარმოშვა, როგორიცაა ფაშიზმი.

უდავოა, ცაიტბლომის თითქოსდა „პარადოქსული“ თეზისი „ესთეტიზმისა და ბარ-

პაროსობის მეზობლობაზე“, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ „ესთეტიზმი გზას უკაფავს ბარბაროსობას“ (VI, 506), თანაბრად ემყარება ლევერკიუნის როგორც ხელოვნებით, ისე ცხოვრებისეულ პრაქტიკას, რომლის „აპოგეად“ გვევლინება რუდის მკვლელობა.

„მოდერნიზმის“ დღევანდელ დამცველთ სასტიკად აღაშფოთებს „ესთეტიზმის“ ცნების „ბარბაროსობასთან“ ასეთი „დაახლოვება“ და მით უფრო მკრეხელურად ესახება მისი „ფაშიზმთან“ დაკავშირება. მაგრამ თ. მანი ჭეშმარიტად დიდოსტატური დამაჯერებლობით არაფერს სტოვებს აქ აუხსნელ-დაუსაბუთებელს. მისი „დოქტორ ფაუსტუსის“ ძირითადი თემა-მიზანი ლევერკიუნის ვითარცა „იდეალური“ დეკადენტის მაგალითზე სწორედ იმის ჩვენებაა, თუ როგორ უკაფავს გზას ესთეტიზმი ბარბაროსობას, რომლის უკიდურეს და უსაშინელეს სახეობად ფაშიზმი დაატყდა კაცობრიობას. ხოლო ამ კავშირის ფსიქოლოგიურ-მორალური „ფორმულა“ ასეთია: ესთეტიზმის კოშკში ჩაკეტილ ლევერკიუნს, რომელსაც იმთავითვე სჭირდა „საზოგადოებრივი ცნობისმოყვარეობის“ ნაკლებობა, ისე იპყრობს ყოველივე გარეგანის მიმართ „უსულობა“, Seelenlosigkeit-ი, რომ მხოლოდ გულგრილ მოწმედ კი არ ხდის, არამედ უშუალო თანამონაწილედაც აქცევს იმ გაველურებისა, იმ გაბოროტებისა, რაც სულ უფრო და უფრო მკვიდრდება მისი საზოგადოებისა და დროის ნიშნად. და ამიტომაცაა, რომ ცაიტბლომი სწორედ ფაშისტთა გერმანიაში სუფევისა და მათ მიერ გაჩაღებული ომის ფონზე მოგვითხრობს თავისი მეგობრის ტრაგედიის ამბავს, რომლის დასასრულსაც,—ლევერკიუნის გაგიჟებას,—თითქმის უშუალოდ ამთხვევს იმ გრძელ-საზარელი ღამის დასაწყისს, რომელმაც ჰიტლერიზმის გაბატონებასთან ერთად მოიცვა მისი სამშობლო.

მაგრამ ჩვენი დროის ბოროტებასთან ასეთი თანაზიარობა კვლავ მხოლოდ ერთ — ნეგატიურ — მხარეს შეადგენს ლევერკიუნის სახისა. ხოლო მეორე — პოზიტიური — ისაა, რომ ვიდრე მას ცნობიერება მთლად არ დაბნელებია, ლევერკიუნს არა მარტო პირადად ჩადენილი დანაშაულის, არამედ აგრეთვე მის გარშემო მძვინვარე ბოროტებისათვის პასუხისმგებლობის შეგრძნება სტანჯავს.

როგორც საფუძვლიანად ეპარება ცაიტბლომს „მტკივნეული ეჭვი“, როცა ადრიანი „ბარბაროსობას“ იხსენიებს აუგად (VI, 506), ასევე მთლად უსაფუძვლოდ როდი სწყინს ადრიანს, როცა რუდი შენიშნავს, რომ მის ბაგეთაგან „საოცრად უადგილოდ ჟღერს“ სიტყვები „ადამიანი“ და „ადამიანური“ (VI, 591). და საქმეც ესაა: ადამიანობის ჩაუქრობელი ნაპერწკალი, რომელიც ჯერ რუდისადმი აღძრული სიყვარულის, შემდეგ კი ამ სიყვარულისაგან თავის დასახსნელად ჩადენილი ავკაცობის განცდის სახით უღვივის, მძაფრ შინაგან განხეთქილებას იწვევს, მწვავე სულიერ ჭიდილს აღძრავს ადრიანის „გაყინულს“ არსებაში.

და სწორედ ეს შემორჩენილი „ადამიანობით ინსპირირებული“ ემოციური დინამიკა ექცევა ლევერკიუნს შემოქმედების ცხოველმყოფელ წყაროდ. რომელიც მისი მთელი ნაძალადევი ხელოვნურობის მიუხედავად მაინც სძენს ესთეტიკურ რეალობასა და მხატვრულ ძალას მის „ოსმოსურ“ მუსიკას. კერძოდ, ეს დინამიკა ასულდგმულებს მის „აპოკალიფსურ ორატორიას“, რომლის „კონცეფციაც“ იმის კვალდაკვალ მწიფდებოდა ფარულად, რამდენადაც, ადრიანს „თითქოსდა მთლიანად ეფიტებოდა სასიცოცხლო ძალები“ და რომელიც „გამალებული სისწრაფით სულ რამდენიმე კვირაში დაიწერა“ (VI, 482) იმ განსაცდელის ზეგავლენით, რადაც ლევერკიუნს რუდის სიყვარული შეუტრიალდა. დიახ, ეს განსაცდელი ექცა სუბიექტურ-ემოციურ წყაროდ და საფუძვლად ადრიანის ამ „პირველ მთავარ ნაწარმოებს“, რომელშიც ისეა „ერთიან ფოკუსში თავმოყრილი“ მთელი წინამორბედი ესქატოლოგიური ტრადიციის „ყველა ელემენტი“, რომ „გვიანი მხატვრული სინთეზის“ სახით, ვითარცა მის თვალთა წინაშე დადგმულ სარკეში, „გამაფრთხილებლადაა“ (drohend) ნაჩვენები საყოველთაო დანაშაულისა და განწირულების, უსაშველო კატასტროფის ის გარდუვალობა, რასაც ასე „ახლოს მოადგა“ კაცობრიობა (VI, 485), ანუ ამიტომაცაა, რომ დაწვრილებითი და ვრცელი აღწერა ამ „ყოვლად შეუდარებელი ორატორიისა“, რომელშიც „დასასრულის ყველა მანამდელი წინასწარმეტყველება შეჯამებული“ (VI, 486), თ. მანს საგულდაგულოდ აქვს ჩასმული რუდისადმი ადრიანის დანაშაულებრივი სიყვარულის ბიოგრაფიულ ჩარჩოში.

და დასასრულ, ამავე თვალსაზრისით საგანგებო და, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ლევერკიუნის „უკანასკნელი სიყვარული“ (VI, 649), აღტაცებული ტრფიალი ყრმა დისწულ ნეპომუკისადმი, რომლის ხანმოკლე „მოვლენამ მის ცხოვრებაში ნათელმოსილი ეპოქა შექმნა“ (VI, 633). ამ „ელფისდარად“ მშვენიერი ბავშვით გატაცება ცხადს ხდის, თუ რაოდენ ძლიერი რჩება დეკადენტური სენით დაზაფრული ადრიანის მოთხოვნილება იყოს ადამიანი, თუ როგორ მტკივნეულად,—ვითარცა უსასტიკეს წყევასა და უმძიმეს ტვირთს[1], — აღითქვამს იგი თავის გულგრილობასა და ურწმუნოებას. ნეპომუკის ჭვრეტისას ადრიანი აღარაა დეკადენ-

[1] ამ კონტექსტში იმის გახსენება არ ჩანს ზედმეტი, რომ ნიცშეს ზარატუსტრაც თავის ეშმაკს „სიმძიმის სულს“ უწოდებს ხოლმე.

ტი: ეს „ზეციური“ სიტურფითა და სიწმინდით აღბეჭდილი ყრმა, რომელსაც თანსდევდა „რაიღაც ნეტარების დარი, მარად მხიარული და ნაზი სითბო გულისა“ (VI, 628), ალხობს ადრიანის სულის ყინულსაც, დაუოკებელი მღელვარებითა და სიხარულით ავსებს მის „სასოწარკვეთილ გულს“ და სიცილის წადილსაც კი უკლავს ყოვლის მქირდველს. ამ ეფექტს, — ლევერკიუნში ადამიანის ასეთ გამოცოცხლებასა და ეშმაკის შესაბამის უკუქცევას, — ნეპომუკი ერთბაშად აღწევს, რაც იმას მოწმობს, თუ რაოდენ დიდია თავად ადრიანის საამისოდ „განწყობა“, თუ როგორ მონატრებია მის ბნელით მოსილ და გატანჯულ სულს სინათლე. „ხედავ, როგორ გაგიხარდა ჩემი ნახვაო“, პირველ შეხვედრისთანავე მიამიტად ეუბნება ბავშვი თავის ანაზდეულ მეგობარს, რაზედაც ეს უკანასკნელი სხვა „დიდებთან“ ერთად გაიცინებს, მაგრამ „ელფის სახით პყრობილი“ იქვე შეცბება და დასძენს: „ნუ შევაკრთობთ ბალღს სიცილით... თან, სასაცილოც არაფერია“ (VI, 626-627). ჭეშმარიტად, უდაბნოში მოწყურებულივით ეწაფება ადამიანი იმ „ოაზისს“, რადაც მოულოდნელად ნეპომუკი მოევლინა: საათობით ართობს მას, ასეირნებს და ზღაპრებს მოუთხრობს, ხოლო სხვა დროს „ფარულად“ თხზავს შექსპირის ყველაზე პოეტური პერსონაჟის, სინათლისა და ალმაფრენის სულის, არიელის სიმღერებს, რომელთაც ავსებს „ტურფად მორიალე“ მიწიერ-ეთეროვანი ჰანგებით (VI, 636-637). და კვლავ საქმეც ესაა: ეს ცხოვრებისეულ-ადამიანური გრძნობიერება თუ, სწორედ, გულისხმიერება, რომელიც ესოდენ „უჩვეულოდ“ გაუღვიძა ნეპომუკთან დამეგობრებამ, ასე თუ ისე, მეტ-ნაკლებად ყოველთვის „ბოჭავდა“ ადრიანს და ამიტომ მისი მუსიკაც, მთელი თავისი მოდერნისტული „სითამამის“ მიუხედავად, ვერასოდეს აღწევდა დეკადენტისათვის სანუკვარ „თავისუფლებას“, ანუ მუდამ რჩებოდა „მარად თავდაუღწეველის (Nieentkommenen-ის) მუსიკად“ (VI, 114), რითაც კიდევაც იძენდა თავის იდეურ-ესთეტიკურ ღირებულებას, ადამიანურ შინაარსსა და მხატვრულ ფორმას.

ამის უძლიერესი საბუთია ადრიანის „მეორე მთავარი თხზულება“, იგივე „გოდება“, რომელიც იმიტომ იქცევა, როგორც „ოსმოსური“ ხელოვანის უდიდეს ქმნილებად, ისე ნამდვილი ხელოვნების „ტიტანურ“ ძეგლად, რომ მასში, ბლოკის თქმისამებრ, ჭეშმარიტად ტრაგიკულად გაისმა ის ტკივილი, დეკადენტის სარდონიკული სიცილის იქით რომ „იმალება“ ხოლმე.

რაოდენ ანტიჰუმანისტური და ანტიმხატვრული განზრახვითაც არაა იგი მოფიქრებული, ესთეტიკურ აქტად ეს ქმნილება მხოლოდ მას შემდეგ იქცევა, რაც გრძნობად იმპულსად შეექმნება თუმცაღა ტრაგიკულად შეტრიალებული, მაგრამ თავის პირველარსში ღრმად ადამიანური განსაცდელი, რომელსაც ადრიანის ისედაც გატანჯულ-გაწვრილებულ სულს ნეპომუკის საზარლად მოულოდნელი და უაზრო სიკვდილი მიაყენებს. თ. მანი თავისთვის ჩვეულებრივი ფსიქოლოგიური სიმახვილით ადგენს ადრიანის „გოდებისათვის“ ამ არსებითად ნიშანდობლივ წინააღმდეგობას დეკადენტურ-ნეგატიურ ჩანაფიქრსა და პოზიტიურ-ემოციურ შედეგს შორის. რომანში თითქოსდა „გაკვრით“ ორგზისაა აღნიშნული, რომ ლევერკიუნს ნეპომუკის მოვლენა-გაქრობამდე საკმაოდ (დაახლოებით მთელი წლით) ადრე მოეფიქრებინა „გოდების“, როგორც „მეცხრე სიმფონიის“ უარყოფის, „კონცეფცია“ და „გეგმა“, რომელთა „განხორციელებაც სწადდა (gedachte) სხვათაგან ფარულად, კაცის რაიმე ჩარევის გარეშე“, stille für sich. ohne eines Menschen Zutun (VI, 621-22. 653); მაგრამ ამ ჩანაფიქრის მხატვრული განხორციელება მას თუმცა ყოვლად უკუღმართმა, მაგრამ მაინც სწორედ „ადამიანურმა ჩარევამ“ შეაძლებინა: მხოლოდ ნეპომუკის დაკარგვით სასოწარკვეთილ-გაბოროტებულს გადაექცა ადრიანს ემოციურ მოთხოვნილებად ბეთჰოვენის ნათელი ქმნილების, როგორც „კარგისა და კეთილშობილის“ უწმინდესი განსახიერების, კაცობრიობისათვის „წართმევა“, „უკან წაღება“ და „გაუქმება“. ხოლო რამდენადაც ამ მიზანთროპიული ვნების პირველსაფუძველი მაინც ის შემონახული კაცთმოყვარეობა, ის აღმოუფხვრელი გულისხმიერება შეადგენს, რომელმაც ნეპომუკისადმი ტრფიალის სახით გაღვივებულმა, ადრიანის სნეული სულის დეკადენტური ზღუდეები თუნდაც დროებით „გაარღვია“, ამდენად მისი „გოდების“ თავდაპირველი ნიჰილისტური ამოცანაც არსებითად განუხორციელებელი რჩება; მეტიც: ამის შედეგად თავისი ჟღერადობით ეს გოდება თუმცაღა „ოსმოსური“ ხელოვნებისათვის ნიშანდობლივი ნეგატიური სახით, მაგრამ ერთგვარად მაინც ამტკიცებს იმ ფაუსტურ სულისკვეთებებს, რომელთა გასაბათილებლადაც იქნა დანიშნული: კვლავ ბლოკის ფორმულის თანახმად რომ ვთქვათ, მასში იმდენად იმ „კარგისა და კეთილშობილის“ აბუჩადამგდები ჯოჯოხეთური ხარხარი როდი გვესმის, „რისთვისაც ადამიანთ ციხეები ბრძოლით აუღიათ და რაიც ბრძენკაცთ ზეიმით განუცხადებიათ“ (VI, 647), რამდენადაც ყურსა გვჭრის ამ ხარხარის იქით გასაგონი უსაზმნო ტკივილი, დიახ, „აპოკალიფსური“, „ყველა სიმღერას შორის უსაზარლესი“ მოთქმა იმის გამო, რომ ამიერიდან და სამარადისოდ, — როგორც ეს ადრიანს ჰგონია! — ecce Homo-დ, ანუ კაცურ კაცად, ფაუსტად ყოფნა მხოლოდ ეშმაკის, ბოროტმოქმედის სახით გამხდარა შესაძლებელი (VI, 657).

და ადამიანობის იგივე ჩაუქრობელი, — მეტიც: ნეპომუკის მოვლენით კვლავ ანთებული, ხოლო მისი დაკარგვით მძვინვარედ აელვარებული, — ნაპერწკალი სძენს ესთეტიკურ რაობასა და მხატვრულ ძალას ლევერკიუნის „უმაგალითო“, „მონსტრუალურ“ შედევრს (VI, 658), რომელიც თავისი ანტიჰუმანური დანიშნულებისამებრ ფორმალურადაც წარმოადგენს „მეცხრე სიმფონიის“ ანტიპოდს და მხოლოდ „ნეგატიურად ენათესავება“ მას. სახელდობრ, აღნიშნული ადამიანურ-გრძნობადი შინაარსი, ის უსაზღვრო ტკივილი, აპოკალიფსური მოთქმა, ჯოჯოხეთურ ხარხარს რომ ახშობს, იმდენად ერევა დეკადენტურ-ანტიხელოვნებით ტენდენციებსაც, კერძოდ, ისე ანელებს ფორმის რაციონალისტურ გამოფიტვასა და აბსტრაქციონისტულ გაუსახურებას, რაც „ოსმოსურ“ ხელოვნებას სჩვევია, რომ იმ ცხოველსა და მკვეთრ ხატოვნებას უნარჩუნებს „გოდებას“, რომელიც მხატვრული ნაწარმოების ნამდვილობასა და ძალას ავლენს ხოლმე. ცაიტბლომის სიტყვებით რომ ითქვას, ხსენებული ადამიანურ-პოეტური ნაპერწკალი ამაღლებს ადრიანის შედევრს „ფორმის სულიერობისა და სიმკაცრის იმ საფეხურამდე, რომელიც საიმისოდ უნდა ყოფილიყო მიღწეული, რათა კალკულატორული სიცივე (რომლითაც „გოდება“ ეშმაკმა შთააგონა, უფრო ზუსტად, მოაფიქრებინა ადრიანს — ო. ჯ.) შეტრიალებულიყო სულის ექსპანსიურ კივილად და ქცეულიყო წრფელი გულითადობის აქტად“ (VI, 657).

მაგრამ ამ „სულის ექსპანსიურ კივილს“ მაინც არ ძალუძს აქციოს „გოდების“ ავტორი ბეთჰოვენის დარ და კონგენიალურ შემოქმედად (დიახ, შემოქმედად და არა არტისტად!). თუმცაღა, „აპოკალიფსური ორატორიის“ არ იყოს, „გოდებაც“ მნიშვნელოვან (და თავად ლევერკიუნის უდიდეს) ქმნილებად აქცია აღნიშნულმა ემოციურმა ელემენტმა. მაგრამ ჭეშმარიტად დიდ ნაწარმოებად, რომელიც თავისი მასშტაბითა და ძალით ნამდვილად ტოლფასოვან ესთეტიკურ მოვლენად დაუპირისპირდებოდა „მეცხრე სიმფონიას“ და ამ აზრით მართლაც „მოხსნიდა“ მას, „გოდება“ არ ქცეულა და ვერც იქცეოდა, რამდენადაც საბოლოოდ მაინც ნაკლულოვან, დეკადენსის უარყოფითი ნიშნით აღბეჭდილ „ძეგლად“ გვევლინება. მას ოდნავადაც არ ეტყობა „ადამიანთა სიყვარულის (ის) რევოლუციური რწმენა“, რასაც თ. მანი მიიჩნევს ბეთჰოვენის მუსიკის ნიშანთვისებად (XII, 323). მართალია, ნ. ვილმონტის შენიშვნისამებრ, „ეს კანტანტა, შესაძლოა, კიდევაც ნიშნავდა ერთგვარ „გარღვევას ემოციისაკენ“, „უშუალო გრძნობისაკენ“, რამეთუ „ასე თუ ისე ადამიანებისადმი იყო მიმართული“ და, ამდენად, აღარ ქცეულა მარტოოდენ მუსიკალურ დეგუსგატორთათვის დანიშნულ ცივ „ექსპერიმენტატორობად“. მაგრამ მისი ეს „ემოციურობა“ არ აღმოჩნდა საკმარისი; მას „უშუალობის კომპონენტი“ აკლდა საიმისოდ, რათა ხელოვნების ნამდვილ და სრულძალოვან, — „ლაღ“ ანუ „კლასიკურ“, — ქმნილებად ქცეულიყო. საქმე ისაა, რომ, როგორც იმავე ვილმონტმა კარგად დასძინა, აღნიშნული „ემოციური გარღვევის“ მიუხედავად იგი „ვერ ჩაითვლება ჭეშმარიტ „გარღვევად ადამიანებისაკენ“, „ხალხისაკენ“, ვინაიდან მას, — თავად მისი ჩანაფიქრის არსის შესაბამისად, — აკლია იმაზე ზრუნვა, „რომ ადამიანთ უკეთ ეცხოვრებოდეს დედამიწაზე“. მართლაც, ასეთი გონივრული „ზრუნვის“ ნაცვლად აქ მარტოოდენ „გოდება“ ისმის, რომელსაც, თანაც, გაბოროტება, ყოველივე ადამიანურის წართმევა-გაუქმების წადილი ერევა ჯოჯოხეთურ დისონანსად, რაც კვლავ იმის უტყუარ საბუთად გვევლინება, რომ ლევერკიუნისდაგვარი დეკადენტი ესთეტი საბოლოოდ უფრო ბარბაროსი რჩება, ვიდრე ხელოვანი.

და დასასრულ, სწორედ ხსენებული ადამიანურ-პოეტური ნაპერწკალი თვით ლევერკიუნს აქცევს დადებით თუ არა, ღრმად ტრაგიკულ გმირად, რომელიც თავისი შინაგანი წინააღმდეგობრივობითა და სირთულით დიახაც „მთელი ეპოქის ტკივილს მოიცავს“ და არა მარტო ბოდლერის, ჯოისისა თუ კაფკას ტიპის დეკადენტებს, არამედ საკუთარი ავტორის, თავად თომას მანის მსგავს ჰუმანისტ და რეალისტ ხელოვანთაც ემსახურება „მოდელად“. აკი „დოქტორ ფაუსტუსის“ შემქმნელის „მე“-შიც სასტიკად შეეჭიდნენ ურთიერთს შემოქმედი ფაუსტი და დეკადენტი ეშმაკი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ „კეთილმან სძლია ბოროტს“, თუმცაღა ეს გამარჯვებაც ისევე დარჩა დაუსრულებელი, როგორც ლევერკიუნის მარცხი არ ყოფილა მთლად სრული. ანუ ასე იქმნება კიდევ ერთი საკვირველი „პარადოქსი“: ლევერკიუნი, ვითარცა „იდეალური“ დეკადენტი, ანტიპოდადაც უპირისპირდება თ. მანს და, ამავე დროს, ერთგვარ ავტობიოგრაფიულ და, როგორც მწერალი თავად აღიარებს (XII, 236), უსაყვარლეს გმირადაც გადაექცევა თანამედროვე „დასავლეთის“ ამ უდიდეს, შეიძლება ითქვას, ერთადერთ გოეთესებურ ხელოვანს.

მაგრამ ეს ფაქტი ოდნავადაც არაა თ. მანის „დეკადენტობის“ საბუთი. როგორაც არ ეტრფის იგი თავის დეკადენტ ფაუსტსა თუ მის ამათუიმ რეალურ პროტოტიპს, თ. მანი მაინც მუდამ შეუპოვრად ებრძვის და იმდენად აღემატება კიდევაც როგორც საკუთარ თავში დაბუდებულ „ეშმაკს“, ისე გარედან მომდინარე „ეშმაკეულ“ გავლენებს, რომ თითქმის ყოველთვის და, თანაც, სულ უფრო და უფრო გვევლინება დეკადანსის მხატვრად და არა წარმომადგენლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ ქუანია

# ილია ჭავჭავაძის ერთი წერილის გამო

თბილისის ოლქის სასამართლოს 1875 წლის 7 აპრილს განუხილავს თავადი კონო მირიმანის ძე ერისთავის საჩივარი. კ. ერისთავს იმავე სასამართლოს უფროსი ნოტარიუსისათვის მიუმართავს, რათა უკანასკნელს მიეცა მიწის გირავნობის მოწმობა, თბილისის საადგილმამულო ბანკში წარსადგენად. საქმე ეხებოდა დუშეთის მაზრის სოფელ ცოლდაში მდებარე აგარაკს, რომელიც ერისთავს თავისი მოზიარისაგან ჰქონდა მიღებული, მორიგებითი გაყოფით. ნოტარიუსთან წარდგენილი ყოფილა სათანადოდ დამოწმებული მორიგებითი გაყოფის ხელშეკრულების, მიწისმზომელ მიხაილოვის მიერ 1854 წ. 10 სექტემბერს შედგენილი ოქმისა და მიწის ნაკვეთის გეგმის ასლები. უფროს ნოტარიუსს მიწის გირავნობის მოწმობის გაცემაზე უარი უთქვამს. უფროსი ნოტარიუსი განკარგულებაში მიუთითებდა, რომ აღნიშნული დოკუმენტები არ განსაზღვრავდნენ კონო ერისთავის საკუთრების უფლებას აღნიშნულ აგარაკზე და აუცილებელი იყო წარედგინა ამიერკავკასიის ოლქის მიწების გამიჯვნის 1861 წლის 29 ივნისის დებულების 299,305 და 324 მუხლების შესაბამისად შედგენილი ოქმი, მიწის გეგმა და სხვა აუცილებელი დანართები ან მიწის ნასყიდობის, ნაჩუქრობისა თუ მემკვიდრეობით მიღების ნოტარული დოკუმენტების დედნები.

კონო ერისთავს უფროსი ნოტარიუსის მოქმედება გაუსაჩივრებია ოლქის სასამართლოში, რომელმაც მისი საჩივარი უკანონოდ ჩასთვალა და უფროსი ნოტარიუსის განკარგულება ძალაში დატოვა.

გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკის“ 1875 წლის 3 მაისის № 74-ში დაიბეჭდა ამ საქმის თაობაზე სასამართლოს განხილვის ანგარიში, რასაც ღრმად დასაბუთებული კრიტიკული წერილით გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძე.

ილია ოლქის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას უკანონოდ მიიჩნევს და თუმცა იგი ეხება ერთ, ცალკეულ შემთხვევას, მაგრამ მაინც არ ტოვებს მას რეაგირების გარეშე, „რადგან, — წერს იგი, — ჩვენ არაფრით არ ვართ დაცული, რომ მომავალშიაც ანალოგიური გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, სხვა მრავალი ასეთივე შემთხვევების დროს“. ამ კერძო შემთხვევის განზოგადებისა და საყოველთაო მსჯელობის საგნად გადაქცევის მიზეზი კი ის იყო, რომ კონო ერისთავის საქმე ეხებოდა იმ დროისათვის მეტად მნიშვნელოვან უფლებრივ საკითხს, რომელიც მეპატრონის მიერ მისი უძრავი ქონების გასხვისებასთან ან გაცვლასთან იყო დაკავშირებული.

მიწის მესაკუთრეთა უფლება, თავიანთი ქონება გაესხვისებინათ ან დაეგირავებინათ, ოლქის სასამართლოს მიერ კონო ერისთავის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების მიხედვით, რომელიც ტონს აძლევდა სასამართლო პრაქტიკას შემდგომში, მეტად შეზღუდულ პირობებში აყენებდა და ეწინააღმდეგებოდა როგორც კანონის მოთხოვნას, ასევე მთელი ერისა და საზოგადოების ეკონომიური კეთილდღეობის ინტერესებს. საქმე იმაშია, რომ იმ პერიოდში შეიქმნა მეტად ხელსაყრელი პირობები[1] სოფლის მეურნეობის ეკონომიური გაძლიერებისათვის, ბანკიდან საადგილ-

«Кавказ»-ის 1875 წ., 16, 18, 21 მაისის №№ 55, 56, 57 წერილი „168 статья нотариального положения и применение ее Тифлисским окружным судом“ ილია ჭავჭავაძის ხელის მოწერით. ეს წერილი ილიას თხზულებათა არც ერთ კრებულში არ შესულა და იგი ფართო საზოგადოებრიობისათვის, ფაქტიურად, ცნობილი არ არის.

[1] თბილისის საადგილმამულო ბანკი სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა და მიწათმოქმედს მიეცა სესხის აღების საშუალება.

მამულო კრედიტების მიღების საშუალებით. ბანკს კი კრედიტის გაცემა შეეძლო ფულის მსესხებლის მიერ თავისი მამულის დაგირავების საფუძველზე, რასაც წინ უსწრებდა სათანადო ნოტარალური დოკუმენტაცია...

კონო ერისთავის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების მიხედვით, ოლქის სასამართლომ უფროსი ნოტარიუსის მოქმედებას მისცა ისეთი გაგება, რომელიც ზღუდავდა მიწათმფლობელის უფლებებს და ფაქტიურად აფერხებდა მსურველებისათვის ბანკიდან კრედიტის მიღებას.

„ჩვენ ჩვენი მხრიდან, — აღნიშნავს ილია, — კარკვეულად ვაცხადებთ, რომ ასეთ დასკვნას არ აქვს არავითარი კანონიერი საფუძველი, იგი უსწოროა. ამაში ადვილად შეიძლება დარწმუნდეს ყველა, ვინც ზერელედ მაინც ფლობს იურიდიულ განათლებას, აქვს ზოგიერთი უნარი დააახლოვოს სამართლის საფუძვლები და გაარკვიოს კანონის შინაარსი სიტყვათა გრამატიკული განსაზღვრით, კანონში გამოთქმული ცნებების და აზრის ლოგიკური დაპირისპირებით. არაფერს არ ვამბობ რა იმათზე, ვისაც სერიოზული და სოლიდური იურიდიული განათლებით გააჩნიათ უნარი განსაზღვრონ კანონი მისი იმ შინაგანი კავშირით, რომელიც არსებობს სხვა საკანონმდებლო დადგენილებებთან და რომელიც ამ საკითხზე ერთ მთლიანობაში აკავშირებს ყველა სამართლებრივ ინსტიტუტებს და სამართლებრივ ნორმებს“.

ილია მიუთითებს, რომ „სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების სწორად გატარების მთელი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლოს დადგენილებაში ზუსტად და დასაბუთებულად უნდა იქნეს მითითებული, თუ რა საფუძვლითაა გამოყენებული ესა თუ ის კანონი. კონო ერისთავის საქმეში ოლქის სასამართლომ ამას გვერდი აუარა და, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ჩამოწერა კანონთა კრებულის X ტომის I ნაწილის მუხლების მწკრივი, უფრო გაუგებარი გახადა მათი გამოყენების საფუძველი და მოსპო თვალყურის დევნების საშუალება. თუ რა საფუძვლით მივიდა იგი ასეთ „კატეგორიულ დასკვნამდე.“

ილია განმარტავს, რომ ნოტარიუსის მოქმედება უნდა გამოვლინდეს მხოლოდ იმ პირობების გარკვევაში, თუ გარიგება რამდენად სწორადაა ნაწარმოები, ანუ რამდენად სწორია კანონით დაშვებული ცალკეულ მოქალაქეთა ნების გამოვლინება. ნოტარიუსმა თავისი ავტორიტეტით უნდა დაამოწმოს ეს გარიგება, სხვა მისი მოქმედებით კი იგი სცილდება მისთვის მინიჭებული ხელისუფლების ფარგლებს — ამეტებს უფლებამოსილებას ან თავს არიდებს მოვალეობის აღსრულებას. ასეთ ქმედებებზე ნოტარიუსის წაქეზება კანონისათვის მოუთმენელია და ეწინააღმდეგება სანოტარო დებულების 167 და 168 მუხლების მოთხოვნებს. ამ დებულების გასამტკიცებლად ილია იშველიებს ცნობილი რუსი იურისტის პობედონოსცევის აზრს და ასკვნის, რომ ნოტარიუსის მოვალეობაა: 1. გარიგების დასამტკიცებლად გაერკვეს თუ ვის საკუთრებად ირიცხება უძრავი ქონება, 2. რომ გარდა დამკვიდრების სიგელისა, საკმარისია თვით ფაქტის დამადასტურებელი სხვა წერილობითი საბუთები და 3. რომ უძრავი ქონების გადაცემის დადასტურება არის საცნობარო და არა სარევიზიო ხასიათისა.

ილია ანალიზს უკეთებს კანონთა კრებულის X ტომის II მუხლის II ნაწილის შინაარსს და უთითებს: „კუთვნილების ფაქტიური მფლობელობისა და განკარგვის ცნებების შეერთება კანონმდებელს არ უკრძალავს, პირიქით, უშვებს ამას, რაც მოჩანს იმავე კანონთა კრებულის X ტომის II ნაწილის 1381 და 1389 მუხლების შეპირისპირების დროს“. X ტომის, II მუხლის II ნაწილი გაგებული უნდა იქნას უძრავი ქონების „არა აუცილებელი და განსაკუთრებული კუთვნილების თვალსაზრისით, არამედ მისი მფლობელობისა და ნამდვილი განკარგვის თვალსაზრისით — როდესაც ამ ქონებაზე არ არის სხვა პირის ხელყოფა...“ (ე. ი. მის კუთვნილებაზე სხვა არ უნდა დავობდეს. ვ. ქ.).

იგივე დებულების განსამტკიცებლად ილია იძლევა ამ საკითხზე სენატის საკასაციო დეპარტამენტის 1869 წლის № 583 დადგენილების და კანონთა კრებულის X ტომის 779, 789 და 782 მუხლების განმარტებას, სადაც მითითებულია, რომ უძრავი ქონების გასხვისებისათვის საკმარისია მისი ფაქტიური მფლობელობა და განკარგვა, თუ, რასაკვირველია, ამ ქონებაზე ვინმე სხვა პირი არ აცხადებს პრეტენზიას, სასამართლოში სარჩელის წარდგენით.

მოქმედი კანონმდებლობის დეტალური მიმოხილვით, ილიამ დამაჯერებლად განმარტა, თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული სანოტარო დებულების 167 და 168 მუხლები და აქედან გამომდინარე, რა უფლებით არის აღჭურვილი უფროსი ნოტარიუსი.

ილია არც იმას უშვებს მხედველობიდან. რომ მას შეიძლება შეედავონ და დაიწყონ მტკიცება: თითქოსდა, კანონთა კრებულის X ტომის, I ნაწილის 683 მუხლით უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მთავარ მტკიცებად, ნასყიდობის სიგელთან ერთად, გამიჯვნის სიგელი არის ნახსენები. იგი აქვე აცხადებს, რომ ეს კანონის არასწორი გაგებაა. სანოტარო დებულების „ლოგიკური და გრამატიკული განმარტებით“, კანონის სათანადო მუხლებთან მისი შეპირისპირებით ცხადი ხდება, რომ „სხვა მტკიცებებში“, გამიჯვნისა და ნასყიდობის სიგელების გარეშე, ყველა სხვა წერი-

ლობითი დოკუმენტი მიიჩნევა. „და რომ ეს სხვა მტკიცებანი, — აღნიშნავს ილია, — მართლაც სხვაა და არა სიმტკიცის[1] აქტები, ამაში უფრო დაჯერებით გვარწმუნებს სანოტარო ნაწილის დროებითი დებულების 77-ე მუხლი. ამ მუხლში ლაპარაკია, რომ ქონების კუთვნილების მტკიცების წარსადგენად... უფროსი ნოტარიუსი იძლევა მოწმობას... ცნობების ან დოკუმენტების მიღების შესახებ დაწესებულებიდან, სადაც ისინი შესაძლებელია ინახებიან“.

ყველა ამ განმარტებისა და მსჯელობის შემდეგ ილია საბოლოოდ აყალიბებს შემდეგ დებულებებს:

1. თანახმად სანოტარო დებულების მითითებული მუხლებისა, ნოტარიუსისათვის საკმარისია დარწმუნდეს მხოლოდ ქონების კუთვნილების (მისი ფაქტიური ფლობის) ფაქტში, რათა დაამტკიცოს მისი გასხვისებისა თუ გირავნობის აქტი; 2. გარდა ნასყიდობისა და გამიჯვნის სიგელებისა, შეიძლება გამოყენებული იქნეს კანონით გათვალისწინებული სხვა წერილობითი მტკიცებები,[2] რომლებიც ადასტურებენ უძრავი ქონების ფაქტიურ ფლობას, და 3. რომ ნოტარიუსის მოქმედება ატარებს საცნობარო ხასიათს და იგი არ შეიძლება გადაიზარდოს სარევიზიო მოქმედებაში, რომელიც სასამართლო განხილვის საგანია და არა ნოტარიუსისა.

„არც სასამართლო და არც ნოტარიუსი, კერძოდ, — ამბობს ბოლოს ილია, — იმის მომიზეზებით, რომ არ არის გამაგრებული უფლება მამულზე, არ უნდა მსჯელობდნენ ყიდვის ან გირავნობის სამოქალაქო გარიგების სარგებლობის შესახებ... სხვანაირად ეს იქნებოდა სამოქალაქო გარიგების თავისუფლების საერთო სამართლებრივი საწყისების ხელყოფა, რომლის ძალითაც გარიგებაში შემავალ ამა თუ იმ მხარეს ეძლევა უფლება და საშუალება ცალკეულ შემთხვევაში განსაზღვროს, რამდენად შეეფერება ყოველი გარიგება მის პირად ინტერესებს. ეს იქნებოდა ხელისუფლების ფარგლებს გარეთ გასვლა, მისი შეჭრა მოქალაქეთა უფლებებში, რაც არ შეიძლება მოხდეს, და, როგორც ადრევე აღვნიშნეთ, არამც თუ წახალისებული იქნეს, არამედ მოითმინოს კანონმა“.

ილიას ამ წერილზე ოფიციალურად პასუხი არავის გაუცია. ჩვენი აზრით, ეს მოწმობს იმას, რომ თბილისის ოლქის სასამართლოს შემადგენლობამ ვერ უარყო ილიას აზრი და გაჩუმება ამჯობინა.

საბოლოოდ რა ბედი ეწია თავადი კონო ერისთავის საქმეს, ცნობილი არ არის, მაგრამ ერთი უდავოა: თბილისის ოლქის სასამართლოს აღნიშნული სახელმძღვანელო გადაწყვეტილება უფროსი ნოტარიუსის შემდგომ მუშაობაში გამოყენებული არ ყოფილა. ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლება იმ დიდი რაოდენობის გირავნობის ხელშეკრულებების დამოწმებით, რომლებიც მომდევნო წლებში გაფორმდა ნოტარულად და წარედგინა თბილისის საადგილმამულო ბანკს სესხის მისაღებად.

[1] „სიმტკიცე“ აქ ნასყიდობის შინაარსის მატარებელია, ვ. ჟ.

[2] იგულისხმება თავადი კონო ერისთავის მიერ წარდგენილი წერილობითი დოკუმენტებიც (ვ. ჟ).

## ქართველო, მეგობრებო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დავით ბაქრაძე**
საბჭოთა კავშირის გმირი

# ფერფლში გადარჩენილი სიცოცხლე

რაც უფრო ხანი გადის, მით უფრო დიადი ბრწყინვალებით იმოსება ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანების გმირობა. ჩვენი სამშობლო ერთადერთი სახელმწიფო იყო, რომელსაც აღმოაჩნდა ცხოველმყოფელი მორალური, პოლიტიკური და სამხედრო-ეკონომიური ძლიერება, რომ წინ აღდგომოდა ნაცისტთა კბილებამდე შეიარაღებულ არმიას, გარს შემოეკრიბა განთავისუფლებული აღმოსავლეთ ევროპის ხალხები და წაეყვანა ისინი მტრის საბოლოო გასანადგურებლად. ამ დიდ ბრძოლაში ჩაეყარა საფუძველი ჩვენი მოძმე ქვეყნების ძლევამოსილ არმიებს.

ამ დიდ ბრძოლაში გამოიჭედა ჩვენი და აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა ურღვევი ერთიანობა და მეგობრობა.

ამ ურღვევი ერთიანობისა და მოძრაობის ნათელ დადასტურებას წარმოადგენდა ახლახან ფაშისტური არმიისაგან პოლონელი ხალხის განთავისუფლებაში მონაწილე, ყოფილი საბჭოთა პარტიზანების შეხვედრა თავის პოლონელ თანამებრძოლებთან.

ჩვენ სტუმრად მიგვიწვია პოლონეთის მთავრობის ხელმძღვანელობამ თავისი შეიარაღებული ძალების 25 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმზე.

დელეგაციაში შედიოდნენ ამხანაგები: ყოფილ პარტიზანთა ცენტრალური შტაბის უფროსი, ამჟამად ვეტერანთა საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გენერალ-პოლკოვნიკი სერგეი ბელჩენკო, პარტიზანთა რაზმის ყოფილი უფროსი, ამჟამად ქ. შოსტკის ხორცკომბინატის დირექტორი სერგეი სანკო, პარტიზანთა რაზმის შტაბის ყოფილი უფროსი, ციმბირელი ვიქტორ ტრანკველიცკი, პარტიზანთა რაზმის ყოფილი უფროსი მიხეილ ნედელინი, ამჟამად ქ. უჟგოროდის მარილის საბადოს დირექტორი, ლვოველი პედაგოგი, პარტიზანთა ყოფილი რაზმის უფროსი გრიგოლ კოვალიოვი, საბჭოთა კავშირის გმირ კოვპაკის პარტიზანული დივიზიის მესამე პოლკის მეთაური პეტრე ბრაიკო, ნიკოლოზ პროკაბიუკის პარტიზანული შენაერთის შტაბის ყოფილი უფროსი და ვეტერანთა კომიტეტის წარმომადგენელი ლევ კარჩბიტი.

ოთხ ოქტომბერს მატარებელმა ქალაქ ვარშავაში თექვსმეტ საათზე მიგვიყვანა. ბაქანზე ზღვა ხალხი შემოგვეგება. ჩვენ დელეგაციაზე მომაგრებულმა ამხანაგებმა მოგვათავსეს მინისტრთა საბჭოს სასტუმროში, რომელიც საბჭოთა წარმომადგენლობის პირდაპირ მდებარეობს. ცოტა ხნის შესვენების შემდეგ გაგვანაწილეს ჯგუფებად. თვითეულ ჯგუფში სამი კაცი შედიოდა. ჩვენს ჯგუფს წინასწარ შემუშავებული მარშრუტით უნდა გაევლო იმ ადგილებში, სადაც ჩვენმა დივიზიამ რეიდით გაიარა ლიუბლინის და ჟესოვსკის ოლქებში და 1944 წლის იანვარ-მარტის თვეებში დიდი ბრძოლები გადაიტანა. ასეთი დიდი შენაერთის მოქმედება საბჭოთა პარტიზანებისა პოლონეთის ტერიტორიაზე პირველი იყო. ზემოხსენებული პარტიზანული რაზმები ჩვენს შემდეგ შევიდნენ და მოქმედებდნენ პოლონეთის ტერიტორიაზე.

ჩვენი ჯგუფის გამყოლმა პოდპოლკოვნიკმა კაზიმირ კავალსკიმ, პოლონეთის გენერალური შტაბის წარმომადგენელმა, შესანიშნავად იცოდა რუსული ენა.

ოთხ ოქტომბერს ვახშამზე მიგვიწვია პოლონეთის სამხედრო მინისტრის პირველმა მოადგილემ დივიზიის გენერალ-ლეიტენანტმა ედუარდ კარჩინსკიმ.

ვახშამმა მეტად მხიარულად ჩაიარა. უეცრად ჩემსკენ გამოემართა გენერლის ფორმაში გამოწყობილი შესანიშნავი გარეგნობის მამაკაცი და ქართულად მომმართა: „გაუმარჯოს საქართვე-

ლოს“, მერე გადამეხვია და გადამკოცნა. როგორც გამოირკვა, ომის დროს იგი თბილისის ჰოსპიტალში წოლილა. გული სიხარულით ამიძგერდა, როდესაც გენერალმა გულთბილად და უდიდესი სიყვარულით მოიხსენია ჩემი სტუმართმოყვარე მშვენიერი ქვეყანა და მშობლიური ხალხი.

ხუთ ოქტომბერს მანქანით გავემგზავრეთ ლიუბლინში. ვარშავისა და ლიუბლინის ოლქების საზღვარზე შეგვხვდნენ ქ. ლიუბლინის ხელმძღვანელობა და სამხედრო ნაწილების წარმომადგენლები. მოგვათავსეს სასტუმროში, ხოლო საღამოს თეატრში მიგვიპატიჟეს. აქ გამყოლად დაგვინიშნეს პოლკოვნიკი ბოგუსლავ მოზგოვი, რომელიც ძალიან კარგად იცნობდა ლიუბლინის ოლქს.

ვინახულეთ ომის წლებში ლიუბლინის მახლობლად აშენებული საკონცენტრაციო ბანაკი, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია მაიდანეკის სახელწოდებით. ეს ერთად-ერთი ბანაკია, რომელიც გერმანელებმა ქალაქთან ახლოს ააშენეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

უკანდახევისას ფაშისტებმა ვერ მოასწრეს საკონცენტრაციო ბანაკის მოსპობა. ჩვენმა არმიებმა ყველა გზა გადაუჭრეს გასაქცევად გამზადებულ ფაშისტებს. ამნაირად გადარჩა მაიდანეკის ბანაკში დანადგარები, რომლებითაც ტყვეებს სპობდნენ. მათ შორის გაზის საკანი და საკრემაციო ღუმელი.

პოლონეთის მთავრობის საგანგებო დადგენილებით, ლიუბლინის საკონცენტრაციო ბანაკის ნაწილი მუზეუმად გადაკეთდა, რათა საკუთარი თვალით იხილონ მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებმა ის საშინელებანი, რასაც ჩადიოდნენ გერმანელი ფაშისტები ტყვეების მიმართ.

მაიდანეკის დათვალიერების შემდეგ გავეშურეთ იმ ადგილების მოსანახულებლად, სადაც გვიხდებოდა ბრძოლა კოვპაკელებს. ჩავედით ქ. ულიანოვში, სადაც ნაღმზე აგვიფეთქდა სამოცდათექვსმეტდიუმიანი ქვემეხი, ამ ქალაქში ჩვენმა დივიზიამ 1944 წელს მთლიანად შემუსრა გერმანელთა გარნიზონი. იქიდან სოფელ ქშეშოვისკენ გავემგზავრეთ. გზადაგზა გავიარეთ საბჭოთა პარტიზანების მიერ ბრძოლით გავლილი კრასნიკა, რომელიც ამჟამად რაიონულ ცენტრს წარმოადგენს. იქიდან კი ქ. იანვლუბელსკში ჩავედით.

უნდა გამოვტყდე, პირველად ჩემს სიცოცხლეში მთლად შემომეფანტა ყურადღება. აქ, იანვლუბელსკში ხალხმრავალი მიტინგი შედგა ჩვენს პატივსაცემად, თავს გაოგნებულივით ვგრძნობდი. ასეთი შეგრძნება არასოდეს მქონია. არ მესმოდა, რას ლაპარაკობდა ირგვლივ ხალხი, ან რას მეუბნებოდნენ. თვალწინ ჩემი პაწია მზვერავის ვასია მიროშკინის ყინვისაგან გაცრეცილი სახე მედგა, განუწყვეტლივ, ყურში ჩამესმოდა მისი ზარივით წკრიალა სიცილის ხმა. აქ არის სადღაც დამარხული ვასია, ჩემი პარტიზანული პოლკის ღირსეული, ყველაზე მამაცი და საყვარელი შვილობილი. აქ, ამ ადგილებში, განგმირა გერმანელთა ტყვიამ მისი სამშობლოსადმი სიყვარულით ანთებული პატარა გული.

მიტინგის დამთავრების შემდეგ გავწიეთ ძმათა სასაფლაოზე, სადაც მარხია მაიორი შეპიგა, ყოფილი პარტიზანული რაზმის სახელოვანი მეთაური. მე თან მახლდა ამ რაზმის შტაბის ყოფილი უფროსი ამხანაგი ტრანკველიცკი, მივედით სასაფლაოზე. გარს პოლონელი მეგობრები გვეხვევიან, ხელს გვართმევენ, გვკოცნიან. მათ შორის მგონი, ნაცნობი სახეებიც ურევია, მაგრამ მე თვალებზე კვლავ თითქოს ბინდი მაქვს აფარებული. მეძახის ვასია, ნამდვილად მესმის მისი ხმა. მე ვთხოვე ჩემს გამყოლს, წავეყვანე სოფელ შელიგში, სადაც სამუდამოდ განისვენებს ჩემი პატარა მზვერავი ვასია მიროშკინი.

გავეშურეთ სოფელ შელიგისაკენ. მე წამსვე ვიცანი ოდნავ შემაღლებული ბორცვი, სადაც ვასიას გავუთხარეთ სამარე. ამ ბორცვის ადგილას სოფლელებს თავიანთი სახსრებით მონუმენტი აღუმართავთ, საფლავზე, ლამაზი ყვავილები დაურგავთ, მონუმენტიც ცოცხალი ყვავილებით იყო შემკული.

გამარჯობა, ვასია!... მე კვლავ მოვედი შენთან, კვლავ შევხვდით ერთმანეთს. არ შემრცხვება ამდენ ხალხში დავიჩოქო შენს საფლავზე და მამის მაგიერ დაგიტირო, ჩემო ობოლო, მტრისაგან სიყრმე გამწარებულო ბიჭო! მაგრამ არა! შენ მონუმენტად გაცოცხლებულხარ ამ ალალი და პატიოსანი ხალხის გულში, გარს ყვავილებივით გეხვევიან შენი თანატოლი გოგო-ბიჭები და სატირალი რა გჭირს, ვასია! აი, 25 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ერთმანეთი აღარ გვინახავს, მე ჭაღარა შემეპარა თმაში, შენ კი მარად ჭაბუკად დარჩი და მუდამ უჭკნობი იქნება შენი ნათელი სიჭაბუკე.

ვასიას საფლავზე ყოველ კვირა დღეს მიდიან პიონერები და კომკავშირელები, უვლიან საფლავს, მიაქვთ ყვავილები, ანთებენ პიონერულ კოცონს და საუბრობენ პატარა გმირი პარტიზანის გმირობასა და მამაცობაზე.

ვერ წარმოიდგენთ, როგორ გაიხარეს პოლონელმა ყმაწვილებმა, როცა გაიგეს, რომ მე იმ პარტიზანული პოლკის მეთაური ვიყავი, რომელშიაც იბრძოდა ვასია. მთხოვეს, მომეთხრო მათთვის თუ როგორი იყო იგი, როგორც მებრძოლი და ადამიანი. მე შევუსრულე მათ თხოვნა. ბავშვები სულგანაბულნი მისმენდნენ. დავასრულე თხრობა, მაგრამ არც ერთი მათგანი არ დაძრულა ადგილიდან. იდგნენ ასე გაუნძრევლად და დუმდნენ. უცებ ერთმა მშვენიერმა გოგონამ თვალებზე მიიფარა ხელები და ატირდა. მივედი მასთან. დავუყვავე. ვუთხარი, რომ გმირს არ

შეჰფერის ტირილი. ყმაწვილები ერთსულოვნად დამეთანხმნენ და ყოველმა მათგანმა დადო პირობა, რომ იქნებიან სოციალისტური სამშობლოს ისეთივე პატრიოტი შვილები, როგორიც იყო ვასია მიროშკინი. მერე ყველა პიონერსა და კომკავშირელს დავაბნიე მკერდზე ლენინის ბავშვობისდროინდელი სურათი. ძალზე გაიხარეს ყმაწვილებმა და დიდი მადლობა გადამიხადეს. მთხოვეს, გადამეცა საბჭოთა საქართველოს პიონერებისა და კომკავშირელებისათვის მათი გულწრფელი სალამი. მე სიხარულით ვასრულებ ამ თხოვნას.

მეორე დღეს ვარშაველი და ლიუბლინელი ამხანაგები პოდპოლკოვნიკი კაზიმირ კოვალსკი და მოზგოი ბოგუსლავსკი წამოგვყვნენ ოლქის ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად.

რაიკომის მდივანმა იან ვაიკოვიჩმა გაგვაცნო თავისი რაიონი, რომელიც განთქმულია მაღალხარისხოვანი თამბაქოს და ჭარხლის უხვი მოსავლით. მერე დაგვათვალიერებინა ტრაქტორების სარემონტო სახელოსნო. აქ გავიცანით სამამულო ომის ვეტერანები, რომელთაც გავუცვალეთ ვეტერანთა სამკერდე ნიშნები.

იქიდან გავეშურეთ ქალაქ იანვლუბელსკისაკენ, სადაც საგანგებო საზეიმო ცერემონიალზე ამირჩიეს ქალაქის საპატიო მოქალაქედ. ცერემონიალის დამთავრების შემდეგ წამიყვანეს ტყეში. აქ, გზის პირას, აღმართულია უზარმაზარი ნაძვი. ომის დროს, ერთ-ერთ გაафთრებულ ბრძოლაში, რათა დაეფარა თავისი ამხანაგების უკან დახევა, ახალგაზრდა ასულა ამ ხეზე, აუტანია ხელის ტყვიამფრქვევი, ტანი ხეზე მიუკრავს ქამრით და უთანასწორო ბრძოლაში მტრის რამდენიმე ათეული ჯარისკაცი და ოფიცერი გაუნადგურებია, მტრებმა ბოლოს შესძლეს ახალგაზრდა მებრძოლის მოკვლა. ფაშისტების ტყიდან წასვლის შემდეგ გლეხებს ჩამოუხსნიათ ყმაწვილი ხიდან და ნაძვის ძირას დაუსაფლავებიათ. მისი გვარი და სახელი უცნობია. სასაფლაოზე ყვავილები იყო დარგული. ხეზე კი ლითონის ფირფიტაა მიკრული წარწერით: აქ განისვენებს უცნობი ახალგაზრდა პარტიზანი, რომელმაც ხეზე აიტანა ხელის ტყვიამფრქვევი და ათობით მტრის ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპო. ყველა გამვლელს ვთხოვთ, წუთით შეღგეს ამ საფლავის წინ და პატივი სცეს უცნობი პარტიზანის ხსოვნას“.

ვინ იცის რამდენია ასეთი უცნობი მებრძოლის საფლავი, რომელთაც ელიან მშობლები, ნათესავები, ახლობლები.

მე პოლონელ ამხანაგებთან საუბარში გავარკვიე, იქ თურმე იმ დროს პოლკოვნიკ ნიკოლოზ პროკაპიუკის შენაერთი ყოფილა. იქნებ ვინმემ პროკაპიუკის შენაერთის მებრძოლთაგანმა, იმ ახალგაზრდა პარტიზანის ვინაობა გაიხსენოს და გვაცნობოს მისი გვარი და სახელი.

ქალაქ კარსნიკში დავათვალიერეთ საკისრების ქარხანა, სადაც დაახლოებით 7000 კაცი მუშაობს. იქ ვინახულე ჩემი თანამებრძოლი პარტიზანი შიმონ გრანდაიფუზეკი, რომელსაც მეტსახელად „კომსტას“ ვეძახდით.

შიმონი დავაუკაცებულა, დაცოლშვილებულა. მიმიპატიჟა შინ, მაგრამ საამისო დრო არ მქონდა.

ღამით, როცა ლიუბლინის სასტუმროში დავბრუნდით, მაცნობეს, ქართული ხალხური სიმღერებისა და ცეკვების ანსამბლი ჩამოსულაო.

ტელეფონით დაუკავშირდა თეატრს ჩვენი გამყოლი და სთხოვა, ანსამბლის ხელმძღვანელთან დაგველაპარაკეთო. მერე ყურმილი მე გადმომცა.

მე რუსულად გამოველაპარაკე, კილოთი მაშინვე მიხვდა, რომ ქართველი ვიყავი. ანსამბლის ხელმძღვანელი ჩემი კარგი მეგობარი გუგული ყიფიანი აღმოჩნდა. პოლონელ მეგობრებთან ერთად გავეშურეთ თეატრში. გუგულიმ მიგვიწვია დარბაზში. ყველანი დიდად ნასიამოვნები დავრჩით.

პოლონელმა ამხანაგებმა ანსამბლთან ერთად გუგული რესტორანში მიიპატიჟეს, მაგრამ მათი გასტროლები ლიუბლინში უკვე დამთავრებულიყო და ამავე ღამეს ვარშავაში მიემგზავრებოდნენ, ხოლო მეორე დილას ქალაქ კრაკოვში უნდა წასულიყვნენ. მეტი რა გზა გვქონდა, გამოვემშვიდობეთ ანსამბლის წევრებს, ვუსურვეთ წარმატებები და დავბრუნდით სასტუმროში.

მომდევნო დღეს მარშრუტი ბელგორაისაკენ ავიღეთ. იქაური მხარე ჩემთვის კარგად არის ნაცნობი. თითქმის ყველა სოფელი ბრძოლით გავიარეთ.

ქალაქის მოედანზე სახელდახელო მიტინგი მოეწყო. ამ მიტინგზე კვლავ ამირჩიეს ქალაქის საპატიო მოქალაქედ.

მოვიდნენ ჩემი ყოფილი მებრძოლები: იან ლებრიკი, მეტსახელად „ლოსი“, ბოგუსლავ მარინი, რომელსაც „ბოკს“ ვეძახდით და სხვანი.

მიტინგის დამთავრების შემდეგ მინდოდა მომენახულებინა ჩემი ყოფილი მოწყალების და მარუსია. წამიყვანეს მის ახლო ნათესავთან. იგი მაიდანეკის ყოფილი პატიმარი აღმოჩნდა, პარტიის ძველი წევრი იოზეფ ბოროდანი. რომ შეიტყო, საბჭოთა კავშირიდან ვიყავით სტუმრად, იმ წამსვე გამოგვეგება და სახლის აივანზე პოლონეთისა და სსრ კავშირის დროშები ჩამოკიდა. მერე ბინაზე მიგვიწვია. როცა ჩემი გვარი გაიგო და ისიც უთხრეს, რომ კოვპაკელი ვიყავი, ცრემლები ველარ შეიკავა—„ჩემი მარუსია შარშან დამელუპა, ველარ მოესწრო ამ ბედნიერ დღეს. მადლობელი ვარ. რომ ინახულეთ მისი ოჯახი, პან დავით“. — მითხრა იოზეფმა. მე მარუსიას ბავშვებს საჩუქრები გადავეცი. იოზეფმა გადმომცა თავისი ჩანაწერები, რომელსაც

ალბათ გამოვაქვეყნებ. მე კვლავ ვინახულე იოზეფი. ამჯერად მასთან სტუმრად იყვნენ პიონერები. მათ მთხოვეს, ვსტუმრებოდი იმათ სკოლას, მომეთხრო საბჭოთა პიონერებისა და კომკავშირელების ცხოვრებაზე. ჩავჯექით მანქანებში და ტარნაგოროდისაკენ ავიღეთ გეზი, სადაც იმყოფება ეკონომიური ტექნიკუმი. სკოლა ოთხსართულიანია. ეზოში და სადარბაზო შესასვლელში შემოგვეგებნენ სკოლის ფორმაში გამოწყობილი მოსწავლეები. ტექნიკუმის დირექტორმა გააცნო ახალგაზრდებს ჩვენი ვინაობა, როცა სიტყვა მე მომცეს, ერთხმად შემომძახეს, თარჯიმანი არ გვინდა, რუსული ენა კარგად ვიცითო. საუბრის დამთავრების შემდეგ მთხოვეს, გადამეცა საბჭოთა პიონერებისა და კომკავშირელებისათვის სალამი და კეთილი სურვილები. ჩვენი სურვილია დავამყაროთ კავშირი ქართველ პიონერებთან და კომკავშირელებთანო, მისამართიც გადმომცეს: პოლონეთი, ლიუბლინის ოლქი, ბალგორაის რაიონი, დაბა ტარნაგოროდი, სკოლის დირექტორი იოზეფ გონტაჟი.

სკოლიდან გავემგზავრეთ ჟესოვსკის ოლქში, სადაც 1944 წლის 22 თებერვალს, ღამით, მდინარე სანის ნაპირზე, მწყობრიდან გამოვიყვანეთ გერმანელთა საარტილერიო ქარხანა.

მე ზემოთ მოვიხსენიე, რომ ჩვენ ვარშავიდან გამოგვყვა პოდპოლკოვნიკი კაზიმირ კოვალსკი, ბელგორაიდან კი ჩემი ყოფილი მებრძოლი ივანე მუტი, მეტსახელად „ვოლკი“. ყოფილი საბჭოთა პარტიზანები: ვიქტორ ტრანკველიცკი და გრიგორ კოვალიოვი თავიანთი ნაბრძოლი ადგილების მოსანახულებლად გაემგზავრნენ.

იმ ყოფილ საარტილერიო ქარხანას ახლა ჰქვია „ხუტა სტალევოვოლი“. მისი დირექტორია ინჟინერი მზდისლავ მილიცკი. ამხანაგმა მზდისლავმა თავის სამუშაო კაბინეტში მიგვიღო. გაიმართა საინტერესო საუბარი. მე ვთხოვე მზდისლავს, მოეყვანათ ვინმე ქარხნის მუშათაგანი, რომელიც მოწმე იყო 1944 წლის 22 თებერვლის ღამით მომხდარი ამბებისა. ათი წუთის შემდეგ კაბინეტში შემოვიდა ჭარმაგი მამაკაცი. მისი სახელი და გვარია იუზეფ სარკიენიცკი.

— პატივცემულო იუზეფ!—მივმართე მე,—ძალიან მაინტერესებს, თუ როგორ შეხვდნენ ქარხნის მუშები იმ ღამით ჩვენს მოსვლას. იქნებ გახსოვთ რაიმე?...

— როგორ არა! იმ ღამეს რა დამავიწყებს! ჩვენ ვიცოდით, რომ აღმოსავლეთიდან პოლონეთის ტერიტორიაზე შემოვიდნენ რუსი პარტიზანები, მაგრამ თქვენ თუ ქვემეხები გექნებოდათ, აბა საიდან უნდა წარმოგვედგინა? ფაშისტებმა რადიოთი გადმოსცეს, რომ „რუსი ბანდიტები“ გადმოვიდნენ მდინარე ბუგზე, ისინი მთლიანად გავანადგურეთ და მხოლოდ პატარა ჯგუფი მიიმალა ტყეშიო.

— მერე დაიჯერეთ?

— დავიჯერეთ. გავიდა რამდენიმე კვირა და პარტიზანებზე აღარაფერი გაგვეგონა.

— მაშ ვინ გეგონეთ? რა გითხრეს, იმ ღამით ქარხანაზე თავდასხმა ვინ მოაწყო?

— მოგახსენებთ, პან დავით,—იუზეფმა სიგარეტის კოლოფი ამოიღო. მე ჩვენებური „საკურორტო“ მივაწოდე. მთხოვა, კოლოფი მეჩვენებინა. მე გახსნილი პაპიროსის კოლოფი მივართვი, ზედ ქართული ჩაი „თაიგული“ და ერთი ბოთლი კონიაკი „თბილისი“ დავურთე. იუზეფი გაწითლდა. იუარა. მე დაბეჯითებით ვთხოვე, მიეღო ჩემგან ეს მცირედი საჩუქარი. როგორც იქნა დამთანხმდა. მერე განაგრძო.

— მადლობელი ვარ. ჩემი შვილიშვილი ეხლა ჩეხოსლოვაკიაში იმყოფება. იგი საბჭოთა ჯარებთან ერთად იცავს ჩეხოსლოვაკიის ხალხის ინტერესებს. როცა დაბრუნდება, მასთან ერთად დავლევ ამ კონიაკს.

მე საუბარში კვლავ 1944 წლის 22 თებერვლის ამბავს დავუბრუნდი. ქარხნის დირექტორმა, მზდისლავ მალიცკიმ კარადა გააღო, კონიაკი და შოკოლადი გადმოიღო. მე ვთხოვე, ჩემ მიერ ჩამოტანილი კონიაკით გამასპინძლებოდა სტუმრებს, მაგრამ ამხანაგმა მზდისლავმა არაფრით არ ჰქნა. იგი თავისი ეროვნული სასმელით გაგვიმასპინძლდა, ხოლო ჩემი მირთმეული კონიაკი და ჩაი საგანგებოდ შეინახა კარადაში.

— ჰო, იმას ვამბობდი, მოხუცმა სასმელი გადაჰკრა და მომიბრუნდა. — იმ ღამეს დაახლოებით 3-4 საათი იქნებოდა, უცებ ყუმბარების აფეთქებამ მთელი ქარხანა შეაზანზარა. ძალიან ყინავდა, დიდი თოვლი იდო, გვეგონა, რუსები თვითმფრინავებიდან გვბომბავდნენ. თუ მეხსიერება არ მღალატობს, ასეთმა მდგომარეობამ ნახევარ საათს გასტანა. შემდეგ ატყდა ავტომატებისა და ტყვიამფრქვევების კაკანი, მწყობრიდან გამოვიდა ელექტროსადგური და წყალსადენი. გერმანელებმა დიდი შიში ჭამეს. მიატოვეს საგუშაგოები და მიიმალნენ. იმ ღამეს ოცდაშვიდი გერმანელი იმსხვერპლეთ. სამწუხაროდ, ყუმბარების აფეთქებისას ჩვენი შვიდი მუშა დაიღუპა. ორი საათის მერე ყველაფერი მიყუჩდა, მოახლოვდა გათენება, ჩვენ სახლებში ვაპირებდით წასვლას, მაგრამ ქარხნის უფროსმა ესესელები მოიყვანა, თითქოს ჩვენ ვიყავით დამნაშავენი, რომ რუსი პარტიზანები მოვიდნენ. გავიგეთ, რომ რუსთა რეგულარული ჯარები კი არა, პარტიზანები იყავით მოსულნი. ცოტა უფრო მაგრად რომ შემოგეტიათ და მდინარე სანი გადმოგელახათ, ქარხანას მთლიანად გამოიყვანდით მწყობრიდან, მაშინ ძალიან ბევრი მუშა დააპატიმრეს. ქარხანა მალე აღადგინეს. იტალიიდან მოიტანეს დანადგარები და სამ კვირაში ქარხანა კვლავ მწყობრში ჩადგა. მაშინ ეს საწარმო ძალიან პატარა იყო ეხლანდელთან შედარებით. მაშინ სულ დიდი 4500 კაცი მუშაო-

ბდა, ახლა კი დიდი ქარხანაა! ქალაქში 75000 სული ცხოვრობს. აქედან ჩვენს ქარხანაში 20000-ზე მეტი ქალი და მამაკაცი მუშაობს.

— რას უშვებდა ქარხანა ომის დროს? — შევეკითხე მოხუცს.

— ვარემონტებდით ყველა სისტემის ქვემეხებს და ვამზადებდით ყუმბარებს, ხოლო ახლა რა კეთდება, სჯობია თქვენი თვალით ნახოთ, მითხრა მოხუცმა და ქარხნის დირექტორს გადახედა.

დავათვალიერეთ ქარხნის რამდენიმე საამქრო. მთლიანად მის დათვალიერებას ალბათ რამდენიმე დღე დასჭირდება.

მე დიდი მადლობა გადავუხადე ქარხნის დირექტორს და მოვიპატიჟე საქართველოში, მან მიიღო ჩემი მიწვევა და შემპირდა, აუცილებლად ჩამოვალ კურორტ ბორჯომშიო. იგი ხშირად ჩამოდის თურმე მოსკოვში თავის კოლეგებთან. სამი დღის წინათ მოსკოვიდან დაბრუნებული ყო.

*მიმაცილეს მანქანამდე. გულთბილად გამოვე*თხოვე ჩემს მასპინძლებს და გავემგზავრეთ სოფელ კლიშუვში, საიდანაც ჩვენმა პარტიზანებმა ქარხანას ქვემეხებით ყუმბარები დაუშინეს. შემდეგ გავეშურეთ ბელგორაისაკენ, სადაც ამხანაგები გველოდებოდნენ.

გზაში ჩვენს გამყოლს კაზიმირს სიტყვა ჩამოვუგდე ჩვენი მეგზურის, პოლონეთის პარტიზანული რაზმის მეთაურის „პოდკოვას“ ვინაობაზე. მან არაფერი იცოდა. ვარშავაში დაბრუნებისას კი „პოდკოვა“ თვითონ მეწვია სასტუმროში. ახლაღა გავიგე მისი გვარი და სახელი: იგი ტადუეშ კუნცევიჩი ყოფილა.

იმ ღამეს მას ავტომატი ვაჩუქეთ კონდახზე წარწერით. ის ავტომატი ბრძოლაში გადატეხოდა.

ჩვენ გზა განვაგრძეთ ბელგორაისაკენ, სადაც სხვა ამხანაგებს უნდა შევხვედროდით.

საღამოს ექვსი საათი იყო, როცა სოფელ ვანიშარკაში მივედით. მინდოდა მენახა მეტყევის მაშინდელი სახლი, მაგრამ ტყეში ის სახლი აღარ იყო. ვინახულე სოფელ ასუხში ძმათა სასაფლაო, სადაც განისვენებენ მიხეილ ატამანოვი, რომელსაც მეტსახელად მიხეილ „ტატარინს“ ვეძახდით. იგი დაიღუპა 1943 წლის პირველ ივნისს. ტატარინი იყო რაზმის მეთაური, იგი შემდეგში შეცვალა „ვასკა გრუზინმა“—ვასილ მანჯავიძემ, რომელსაც თბილად იხსენიებენ მისი თანამებრძოლი ამხანაგები. მანჯავიძე 1944 წლის თებერვლიდან შემოგვიერთდა და ჩემს პოლკში იყო ასეულის მეთაურად, ახლა იგი საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს თანამშრომელია. პოლონელი მეგობრები ასევე გულთბილად იხსენიებენ ლადო ძნელაძეს, რომელიც პროკაბიუკის შენაერთში დაზვერვის უფროსი იყო და 1967 წელს პოლონელმა ამხანაგებმა საგანგებოდ მიიწვიეს სტუმრად. ამჟამად ლადო თბილისში ცხოვრობს და მუშაობს ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში. პოლონელ თანამებრძოლ პარტიზანებს კარგად ახსოვთ შალვა ბაბუნაშვილი: შალვაც ახლახან იყო მიწვეული პოლონელი მეგობრების მიერ. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო პოლონელი ხალხის ფაშისტ დამპყრობთაგან განთავისუფლების საქმეში და ამიტომაც უყვართ იგი აქ. ამხანაგი შალვა ახლა წყალტუბოში ცხოვრობს და მუშაობს მთავარ ბუღალტრად წყალტუბოს საკურორტო სამმართველოში.

ზემოხსენებულ ძმათა სასაფლაოზე შეგვხვდნენ ბელგორაისა და იანვლუბელსკის ხელმძღვანელები: ჩესლავ ვიტოვსკი, ლუდვიგ კაზიმეში, სტანისლავ ფიზელი, ლეონ მენდრე. მათ წაგვიყვანეს ტყეში, სადაც უნდა აგვენთო პარტიზანული კოცონი. გაანათეს ტყე მანქანის ფარებით, მოაწყვეს პარტიზანული სამხარი და ბოლოს საზეიმო ვითარებაში გადმომცეს აღნიშნული ქალაქების საპატიო მოქალაქის დიპლო*მები.*

გვიან დაღამებამდე გაგრძელდა კოცონი. ვსაუბრობდით ბელგორაის და იანვლდელსკის წარსულ ბრძოლებზე, ჩვენი ხალხების ურღვევ მეგობრობაზე, მომავალ შეხვედრებზე. დიპლომების მიღებისას მხურვალე მადლობა გადავუხადე ყველას დიდი ნდობისა და პატივისცემისათვის.

კარგად დაღამებული იყო, როცა ლიუბლინისაკენ გზას გავუდექით. გამოვეთხოვე სტუმართმოყვარე მასპინძლებს.

იწურებოდა ჩვენი ლიუბლინის ოლქში ყოფნის დრო, უნდა წავსულიყავით ვარშავაში.

ღამე ლიუბლინში გავათიეთ. დილით ადრე სასტუმროში მოსულა ჩვენი პოლკის ყოფილი მზვერავი, იან კავა. იგი ჩემთან მოვიდა 1944 წელს. მაშინ თოთხმეტი წლისაც არ იყო. მთხოვა, პოლკში ჩამერიცხა. ჩვენი ბიჭების დახასიათების შემდეგ იან კავა მივიღეთ პოლკის მზვერავად. როდესაც პოლონეთის ტერიტორიას ვტოვებდით, იგი რობერტ სატანოვსკის შენაერთს გადავეცით. იანს გაზეთებისა და რადიოს მეშვეობით გაეგო, რომ მე პოლონეთში ვიმყოფებოდი. ოთხმოცდაათი კილომეტრი გამოევლო და დილის ექვს საათზე სასტუმროში ნამდვილად პარტიზანულად დამესხა თავს. დილას ოთახიდან, რომ გამოვედი და ამხანაგებთან შევედი, ვხედავ, მომჩერებია ვიღაც ახალგაზრდა. მე მეგონა, ისიც სასტუმროში ცხოვრობდა. თურმე ვიქტორ ტრანკველიცკის შეხვედრია და უთქვამს, რომ მე დავით ბაქრაძის ყოფილი მებრძოლი ვარ და მინდა მისი ნახვაო. შემოვიდა თუ არა, ვიქტორმა მომაძახა.

— დავით ილიჩ, აბა თუ იცნობთ ამ ახალგაზრდასო.

იანმა მორიდებით გამომიწოდა ხელი და მომესალმა. მე გულდასმით დავაკვირდი, მაგრამ

ვერაფრით ვერ გავიხსენე. მაშინ თვითონ მითხრა:

— პან ბაქრაძე, მე იან კავა ვარ, თქვენ რომ პეჩეხოვსკში პოლკის მზვერავად ჩამრიცხეთ იქნებ გაიხსენოთ, ერთხელ მე და ვასია მიროშკინი კასაბუდაში გაგვაგზავნეთ დაზვერვაზე.

უცებ ყველაფერი გამახსენდა, იანი გულში ჩავიკარი. მას შემდეგ იგი აღარ მომცილებია, ვარშავაშიაც მინახულა და როდესაც სამშობლოში მოვდიოდი, სადგურზეც გამომაცილა. შემპირდა, საქართველოში ჩამოვალო.

9 ოქტომბერს დილის 10 საათზე მივაღწიეს სამხედრო ნაწილში, იქ ვნახე რუკა ჩვენი დივიზიის რეიდისა, ლიუბლინის ოლქსა და პოლონეთის სხვა რაიონებში.

ნაწილის სამახსოვრო წიგნში ჩავწერეთ ჩვენი შთაბეჭდილებანი. დავემშვიდობეთ ამხანაგებს და გავეშურეთ ლიუბლინის ოლქის პარტიულ კომიტეტში, სადაც მიგვიღეს კომიტეტის მდივნებმა. გვესაუბრნენ ოლქის ეკონომიკაზე, მის სიმდიდრეზე, კულტურაზე, მათ განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი საბჭოთა პარტიზანების დიდ დამსახურებას პოლონეთის მიწა-წყლის განთავისუფლებაში.

საუბარს ესწრებოდა საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე, მაიდანეკის ყოფილი პატიმარი, პაველ დომბკა. ამხანაგმა დომბკამ გაიხსენა წყალტუბო. დიდი მადლობითა და სიყვარულით მოიხსენია ქართველი ხალხი, დამავალა, გულწრფელი სალამი გადამეცა ამხანაგ შალვა ბაბუნაშვილისათვის.

ამხანაგმა დომბკამ ოლქის საზღვრამდე გამოგვაცილა. ჩვენ გზა განვაგრძეთ ვარშავისაკენ.

სასტუმროში შესვლისთანავე გადმომცეს წერილი ქალაქ პოზნანიდან, რობერტ სტანოვსკის მიერ გამოგზავნილი. ის ხომ ახლა პოზნანის ყოფილი სამეფო ოპერის დირექტორია. ომის პერიოდში რობერტი პარტიზანულ რაზმს ხელმძღვანელობდა. ომის შემდეგ დაამთავრა კონსერვატორია და შემდეგ ორკესტრს დირიჟორობდა. რობერტ სტანოვსკი საქართველოშიც იყო და პოლონურ კონცერტებს დირიჟორობდა. მასაც გაეგო ჩემი პოლონეთში ჩამოსვლა და პოზნანში მიმიპატიჟა. მან ვერ შესძლო ჩემთან ჩამოსვლა ავადმყოფობის გამო. მე დავუკავშირდი მის მეუღლეს ტელეფონით და ვუსურვე მალე გამოჯანმრთელება.

ვინახულეთ ვარშავის ღირსშესანიშნავი ადგილები, ისტორიული მუზეუმი, სადაც მთხოვეს გადავუგზავნო ჩემი სურათები.

ტელეფონით დამირეკა და მინახულა დივიზიის გენერალმა ზიგმუნდ ბერლინგმა. ეს ის ბერლინგია, რომელიც პოლონეთის ტადეუშ კოსტიუშკოს სახელობის პირველი დივიზიის მეთაური იყო. დივიზია ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირში და მან პირველი ბრძოლა გერმანელ ფაშისტებს გაუმართა 1944 წლის 12 ოქტომბერს. ამ დღიდან ჩაეყარა საფუძველი სოციალისტური პოლონეთის არმიის დაბადებას. ამ დიდი თარიღის აღსანიშნავად მრავალი საბჭოთა და პოლონელი ჯარისკაცი და ოფიცერი მიიწვიეს ლენინოში, სადაც ზეიმით აღინიშნა პოლონეთის ჯარის დაბადების დღე.

1964 წელს ბერლინგი საქართველოს ეწვია, როგორც ომის ვეტერანი, ჩვენს ძვირფას სტუმარს ვაჩვენეთ საქართველო, გავაცანით მისი მოწინავე ადამიანების მიღწევები ეკონომიკასა და კულტურაში. ზიგმუნდი მოხიბლული დარჩა ჩვენი ქვეყნის სილამაზითა და სტუმართმოყვარეობით. მან გაიხსენა, როგორ დანიშნა იგი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინმა დივიზიის მეთაურად.

— გუშინდელ დღესავით მახსოვს, როდესაც ამხანაგმა გომულკამ კრემლში წამიყვანა და მითხრა, ჩვენ ამხანაგი სტალინი მიგვიღებს და მასთან საუბარი გვექნება პოლონეთის განმანთავისუფლებელი არმიის ჩამოყალიბებაზეო. მოულოდნელობისაგან დავიბენი. არ ვიცოდი, რა მეთქვა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისათვის. დილის ცხრა საათზე სტალინის სამუშაო ოთახის მოსაცდელში შევედით. იმ წუთშივე იქ მჯდომი მამაკაცი თავაზიანად მოგვესალმა და გვითხრა, სტალინი გიცდითო. სამუშაო ოთახის კარი გავიღო და შევედით. სტალინი შუა ოთახში შემოგვეგება და მოგვესალმა, — თქვენს მოსვლას გაუმარჯოსო. მერე მრგვალი მაგიდისაკენ მიგვიწვია, სიგარებით სავსე კოლოფი მოგვაწოდა, თვითონ კი ჩიბუხი თუთუნით გატენა და დაკვირვებით შემათვალიერა.

— ამხანაგო გომულკა, თქვენ მითხარით, რომ ამხანაგი ბერლინგი წარმატებით გაართმევს თავს დივიზიის მეთაურის მოვალეობას. გეთანხმებით. მითხარით, როგორი უნდა იყოს თქვენი დივიზიის შეიარაღება?, ხომ არა გაქვთ რამე პროექტი შეიარაღების თაობაზე?...

ამხანაგმა გომულკამ გადასცა სია. სტალინმა სწრაფად გადაავლო თვალი სიას, ულვაშებში ჩაიღიმა და დინჯად წარმოსთქვა:

— ამხანაგო ბერლინგ, ამ იარაღით გინდათ დაამარცხოთ გერმანელები?...

— ამხანაგო სტალინ, ჯერ-ჯერობით მეტს ვერაფერს მოგთხოვთ, — ვუპასუხე მე. სტალინი ახლა გომულკას მიუბრუნდა.

— ამხანაგო ვლადისლავ, დაფიქრდეს ამხანაგი ბერლინგი და ხვალ დილის ცხრა საათზე თვითონ მოიტანოს ჩემთან მოთხოვნა იარაღზე. მაშ ხვალ გელოდებით. ხელი ჩამოგვართვა და დაგვემშვიდობა.

მთელი ღამე ვიმუშავეთ. შევადგინეთ უფრო სრულყოფილი სია შეიარაღებისა, მერე გავიპარსე და გავწიე კრემლისაკენ. ძალიან ვღელავდი, რომ მოხსენების დროს არ დავბნეულიყავი. გომულკამ მითხრა:

— ნუ ღელავ, როდესაც მიხვალ სტალინთან, ისე მოგეპყრობა, რომ თავს შინაურულად იგრძნობ, ისე თბილად და მეგობრულად მიგიღებს.

— ცხრას ხუთი წუთი აკლდა, როცა გამოვცხადდი სტალინის მისაღებში. ზუსტად ცხრა საათზე სტალინმა ზარით იხმო მოსაცდელ ოთახში მდივანი და ისიც სწრაფად შევიდა. იმ წამშივე გამობრუნდა და გადმომცა, ამხანაგი სტალინი გთხოვთო.

— მუნდირი შევისწორე და კაბინეტში შევედი. მინდოდა სამხედრო წესით მომეხსენებინა, მაგრამ არ დამანება. მომიახლოვდა, მკლავში ხელი მომკიდა და მაგიდასთან მიმიყვანა. დიდხანს ათვალიერებდა ჩემს მიერ წარდგენილ მოხსენებით ბარათს და შევნიშნე, რამდენიმე ციფრი გულდასმით შეასწორა.

— ამხანაგო ბერლინგ, თქვენს დივიზიას ახლა მძლავრი იარაღი ესაჭიროება. მან პირველი შეტევისთანავე უნდა გატეხოს მტრის წინააღმდეგობა. პირველ ყოვლისა არტილერიის სიმძლავრე სამჯერ მაინც უნდა გაიზარდოს. — სტალინმა ბრძანება გასცა, პოლონური დივიზიისათვის გადაეცათ უახლესი ტიპის ქვემეხები და ნაღმტყორცნები. და მართლაც, სწორედ ამის მეოხებით გავიმარჯვეთ პირველსავე ბრძოლაში ქ. ლენინოსთან.

ბერლინგმა განსაკუთრებით გულთბილად მოიხსენია ნოე იაშვილი, რომელიც პოლონეთში სტუმრად იყო მოწვეული 1968 წელს. როგორც ცნობილია, ნოემ თავისი პარტიზანული შენაერთით დიდი ბრძოლები გადაიხადა ფაშისტების მიერ ოკუპირებულ პოლონეთის ტერიტორიაზე.

12 ოქტომბერს პირადად მიგვიღო პოლონეთის თავდაცვის მინისტრმა დივიზიის გენერალმა ვოიცეხ იარუზელსკიმ. იგი ძალზე ახალგაზრდაა, დაახლოებით 45 წლისა. მან დიდი მადლობა გადაგვიხადა პოლონეთის შეიარაღებული ძალების 25 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმზე აქტიური მონაწილეობისათვის და გადმოგვცა მედლები „იარაღით თანამეგობრობისათვის“. იგი წარმოადგენს მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში გამოჭედილ პოლონელი და საბჭოთა ხალხის ურღვევი მეგობრობის სიმბოლოს.

საღამოს ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელმა სერგეი ბელჩენკომ წაგვიყვანა მე და პეტრე ბრაიკო ვეტერანთა საზეიმო შეკრებაზე. მან საბჭოთა ვეტერანების სახელით პოლონეთის თავდაცვის მინისტრს, აგრეთვე რამდენიმე გენერალსა და ოფიცერს გადასცა საკავშირო ვეტერანთა საპატიო მედლები.

დავესწარით სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულ ოფიცერთა ფიცის მიღების ცერემონიალს გამარჯვების მოედანზე, სადაც გავეცანით ყოფილ თავდაცვის მინისტრს, პოლონეთის მარშალს მარიან სპიხალსკის, ამჟამად პოლონეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს და სხვა ოფიციალურ პირებს.

მეორე დღეს საგანგებოდ მიგვიწვიეს მეცნიერებისა და კულტურის სახლის დასათვალიერებლად. ეს ცათამბჯენი ულამაზესი არქიტექტურული ნაგებობაა. ჩვენმა ხალხმა საჩუქრად მიუძღვნა მოძმე პოლონელ ხალხს. მისი მოპირკეთებისას უხვად გამოუყენებიათ სვანეთის, ლოფოთის და სალიეთის მარმარილო, რაც კიდევ უფრო მიმზიდველსა ხდის ამ გრანდიოზულ შენობას. როდესაც გაიგეს, რომ მე საქართველოს მარმარილოს ტრესტის მმართველი ვიყავი, ხელი მტაცეს და წარმადგინეს ამხანაგებთან. მე სიხარულით მევსებოდა გული, როდესაც ვისმენდი პოლონელი მეგობრების სიტყვებს, რომლებიც აღტაცებულნი იყვნენ ჩემი დიადი სამშობლოს ძლიერებით, სიმდიდრით, წიაღისეულის მრავალფეროვნებით და სილამაზით.

იმ დღეს ვარშავაში ჩამოფრინდა საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრი, მარშალი, ამხანაგი ანდრია ანტონის-ძე გრეჩკო, თავდაცვის მინისტრის მოადგილე, მარშალი, ამხანაგი ივანე ეგნატეს-ძე იაკუბოვსკი. მათ სსრ კავშირის ორდენები და მედლები გადასცეს პოლონეთის სამხედრო პირთ, ჯარისკაცებს, ოფიცრებსა და გენერლებს, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა და პოლონეთის მიწა-წყლის გერმანელ ფაშისტთაგან განთავისუფლებაში.

საღამოს ვარშავის ოპერისა და ბალეტის თეატრში დავესწარით საზეიმო სხდომას, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ვლადისლავ გომულკამ. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი ამხანაგი ა. ა. გრეჩკო, პოლონეთის თავდაცვის მინისტრი ვოიცეხ იარუზელსკი და სხვები.

სხდომის შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი, რომელსაც ესწრებოდნენ პოლონეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იუზიფ ცირანკევიჩი, მარიან სპიხალსკი და სხვები.

მეორე დღეს გამარჯვების მოედანზე გვირგვინებით შევამკეთ უცნობი ჯარისკაცის საფლავი.

ამის შემდეგ გავემართეთ ძმათა სასაფლაოზე, სადაც განისვენებენ ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში გმირად დაცემული საბჭოთა მეომრები. სასაფლაოზე აღმართულია დიდი ობელისკი. აქ ათასამდე მებრძოლია დასაფლავებული. სამწუხაროდ, მე დრო აღარ მრჩებოდა, რომ გულდასმით დამეთვალიერებინა საფლავთა წარწერები. ვინ იცის, იქნებ ვინმე ქართველი მებრძოლიც მიაბარეს აქ მიწას მეგობრებმა. ვთხოვე პოლონელ ამხანაგებს, დაწვრილებით შეისწავლონ ამ ძმათა სასაფლაოზე დაკრძა-

ლულ მეომრების ვინაობა და მაცნობონ. ჩვენ ხომ ვიცით, ჯერ კიდევ ძალიან ბევრი ქართველი დედა, მამა, მეუღლე, ძმა და აგრეთვე მეგობარი ელის ომში დაკარგულს. იქნებ რომელიმე მათგანს ეღირსოს ახლობელი ადამიანის საფლავზე ტირილი მაინც..

დავბრუნდით სასტუმროში. იქ დაგვხვდნენ ყოფილი პოლონელი პარტიზანები: „მუხას" სახელით ცნობილი ნიკოლოზ კუნიცკი, ავტორი არა ერთი პარტიზანული მემუარისა, ჩემი მზვერავი იან კავა, ცნობილი პარტიზანთა ედუარდ გროჩეკი, „შეპიურკას" სახელით ცნობილი, ამჟამად ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი. მან გულთბილად გაიხსენა თავისი თანამებრძოლი და მეგობარი ლადო ძნელაძე, სულ ბოლოს მოვიდა სახელგანთქმული პარტიზანი „პოდკოვა", იგივე ტადეუშ კუნცევიჩი.

ძნელია იმ განცდის აღწერა, რომელიც დაგვეუფლა მეგობრებს შეხვედრისას. ნუთუ ჩვენი დიდი ბრძოლებიდან 25 წელმა განვლო? თითქმის ყველას შეჰპარვია თმაში ჭაღარა, თვით იან კავასაც კი, მაგრამ ყველა მხნედაა, გულს არავინ იტეხს, მათ ხომ ცხოვრების ნათელი გზა განვლეს, რასაც დრო და ჟამი ვერასოდეს ვერ წაშლის.

პოლონეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ იუზეფ ცირანკევიჩმა გამართა წვეულება, რომელსაც ესწრებოდენნ ამხანაგები: ვლადისლავ გომულკა, მარიან სპიხალსკი, ა. ა. გრეჩკო, ი. ე. იაკუბოვსკი, პოლონეთში აკრედიტებული ყველა ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობა.

საღამოს გვაჩვენეს ოპერა „მადამ ბატერფლაი".

სამშობლოში გამგზავრების წინადღეს შინ მიგვიპატიჟა ცნობილმა პოლონელმა მწერალმა სტანისლავ ბრონსკიმ. მასთან სტუმრად იყო პოეტი სტანისლავ დობროვოლსკი. ჩემმა მასპინძელმა არც კი მაცალა რიგიანად მივსალმებოდი მის სტუმრებს, დასტაცა ხელი კედელზე ჩამოკიდებულ, ვერცხლით მოჭედილ ყანწებს და დამემუქრა, ახლავე კონიაკით აგივსებ და ბიჭი იქნები და არ დალევო. მერე გახსნა ქართული კონიაკის ბოთლი. მე თავზე ვიტაცე ხელი. კაცს ათასი სიკვდილი გამომივლია, აქ კი როგორცა ჩანს, ველარ გადავრჩები ცოცხალი-მეთქი. მერე სტანისლავ ბრონსკიმ ალერსით გადაუსვა ხელი საქართველოში ნაჩუქარ ყანწებს და ქართული ღვინით ვადღეგრძელეთ პოლონელი ხალხი, მისი მწერლობა, კულტურა და მომავალი.

მასპინძელმა ვახშმის შემდეგ შემომთავაზა, დაგვეთვალიერებინა ძველი ვარშავა. ამ ძველ უბნებში მილიონი პოლონელი პატრიოტი დაიღუპა ფაშისტების ხელით. თითქმის ყოველ ნაბიჯზე გვხვდება წარწერები თუ რამდენი კაცი დახვრიტეს, ან ჩამოახრჩეს ოკუპანტებმა ვარშავის აჯანყების დროს. ეს ყველაფერი კარგად ახსოვს პოლონელ ხალხს და უალრესად დიდ პატივს სცემენ მათ განმანთავისუფლებელ საბჭოთა ხალხს და არმიას.

ერთი დღე და ღამე გვრჩებოდა პოლონეთში სტუმრობისა. არ გვინდა, რაიმე დაგვრჩეს უნახავი. ქუჩაში დიდი თუ პატარა ჩვენ შემოგვცქერის. სადამდეც ხელი მიმიწვდება, ყველას ვაბნევ მკერდზე სამახსოვრო ნიშნებს. ერთმა სტუდენტმა გოგონამ, როდესაც მკერდზე ლენინის სურათი დავუბნიე, მადლობა გადამიხადა და უცებ გაუჩინარდა. არ გასულა ორი-სამი წუთი და უცებ ყაყაჩოსავით მთლად გალაჟღაჟებული, ვარდების მშვენიერი თაიგულით გამომეცხადა. გადამკოცნა და მთხოვა, სალამი გადამეცა საბჭოთა ახალგაზრდებისათვის.

ძალზე უხდებათ პოლონელ სტუდენტებს სტუდენტური ფორმა, ამ ფორმით წამსვე შეგიძლიათ გაარჩიოთ, თუ რომელი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტია ესა თუ ის ახალგაზრდა. ჩემი აზრით, ურიგო არ იქნება თუ ჩვენშიაც შემოვიღებთ სტუდენტებისათვის ფორმას.

დრო იწურებოდა. უნდა დავემშვიდობოთ ჩვენს სტუმართმოყვარე პოლონელ მასპინძლებს. სამშობლოში გამომგზავრების წინ სადილი გაგვიმართა თავდაცვის მინისტრის მოადგილემ პოლიტიკურ ნაწილში, იოზეფ ურბანოვიჩმა. საპასუხო სიტყვაში გამოსულმა ამხანაგებმა მადლობა გადაუხადეს პოლონეთის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს პატივისცემისა და სტუმართმოყვარეობისათვის.

მეორე დღეს ქალაქის ვაგზალზე საზეიმო გაცილება მოგვიწყვეს. მოვიდნენ ჩვენი მასპინძლები, მაღალი რანგის ოფიცრები, ოფიციალური პირები. ცოცხალი ყვავილების თაიგულები მოგვართვეს პიონერებმა.

— მალე ნახვამდის, მეგობრებო!...

კარგია სტუმრად ყოფნა მოძმე ქვეყანაში, მაგრამ სამშობლოს ბადალი ქვეყანად არაფერია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ავალიანი

# პროხოროვის კლდე

ტურისტებით სავსე ოცადგილიანი ავტობუსი მესტია-ზუგდიდის გზას ნელი ტაატით მიუყვებოდა. ავტობუსში ტურისტების გარდა, მხოლოდ სამი კაცი იჯდა: მანქანის მძღოლი, მზისაგან ძალზე გარუჯული, ბრგე ვაჟკაცი, რომელსაც სახელად მუშნი ერქვა; ტურისტების გამცილებელი, მესტიის ტურბაზის თანამშრომელი, მაღალი, ქერა, შუახნის მამაკაცი, და ერთიც სუფთად წვერმოპარსული, სასიამოვნო შესახედაობის მოხუცებული. მძღოლი და ტურისტების მეგზური მოხუცს ბიძია პარმენს ეძახდნენ.

მანქანა გასცდა სოფელ დიზს და სალ კლდეზე გაჭრილ ვიწრო გზას დაადგა. გზა მაღალი, ფრიალო კლდის თავზე გადიოდა. ძირს, ასიოდე მეტრის დაშორებით, ადიდებული ენგური ბორგავდა, უზარმაზარ ლოდებს ენარცხებოდა, შემდეგ კვლავ ბურთივით იკვრებოდა და მომეტებულის სიძლიერით კლდოვან ნაპირებს ასკდებოდა.

მოსახვევთან, სადაც გზის კლდიანი ქიმი ენგურზე სხვენივით იყო გადაფარებული, მანქანა შეჩერდა. ტურისტები გადმოვიდნენ და გზის პირზე ჩამწკრივდნენ. ზოგი კიდეზე ავიდა, ზოგიც გაუბედავად მოშორებით შეჩერდა, თან ცერებზე შემდგარი და კისერწაგრძელებული ცდილობდა ადიდებული მდინარის ხილვაში სხვას არ ჩამორჩენოდა. ჭაბუკები ქალიშვილებს ხელს ჰკიდებდნენ და ქარაფისაკენ ეწეოდნენ, აგულიანებდნენ, უსაფრთხოებაში არწმუნებდნენ, თუმცა სიფრთხილესა და შიშს ვერც თვითონ ფარავდნენ.

მძღოლიც გამოვიდა კაბინიდან, მანქანის ძრავას საფარველი ახადა და რაღაც ნაწილს გულმოდგინედ დაუწყო ჩხიკინი. ის ყურადღებას არ აქცევდა მეგზურის ლაპარაკს, რომელიც ტურისტებს ამ ადგილზე მომხდარ რაღაც ისტორიულ ამბავს მოუთხრობდა.

მოხუცი ავტობუსში დარჩა. მეგზური ისე ხმამაღლა ლაპარაკობდა, რომ მოხუცს ყველაფერი გარკვევით ესმოდა:

— 1921 წლის 25 თებერვალს ქართველი ბოლშევიკების ხელმძღვანელობით აჯანყებულმა მუშებმა და გლეხებმა წითელი არმიის ნაწილების დახმარებით საქართველოდან მენშევიკური მთავრობა განდევნეს და საბჭოთა წყობილება დაამყარეს. დამარცხებულმა მენშევიკებისა და შავრაზმელების ბანდებმა შორეულ მთიან სოფლებს შეაფარეს თავი და კვლავ ძალების მოკრებას შეუდგნენ. რევოლუციის მტრებმა სვანეთის მიუვალ მთებშიც შეაღწიეს. ისინი ცდილობდნენ ხალხი ნათელი მომავლის გზიდან აეცდინათ და თავიანთი შავბნელი ზრახვების ბრმა იარაღად ექციათ. მაგრამ ხალხი არ ემხრობოდა მოთარეშე ბრბოებს. მაშინ ისინი არბევდნენ სოფლებს, ასახიჩრებდნენ ურჩებს, იტაცებდნენ პირუტყვს, სურსათს და თავის ბანაკებში მიჰქონდათ. ყაჩაღთა თვითნებობითა და თავხედური მოხდომებით მოსახლეობა სასოწარკვეთილებაში ჩავარდა.

მოხუცს თანდათან გამოცოცხლება დაეტყო. მეგზური განაგრძობდა.

— კონტრრევოლუციონერებისაგან სვანეთის სოფლების გასაწმენდად რევოლუციური მთავრობის მიერ წითელარმიელებისა და სვანი რევოლუციონერების გაერთიანებული რაზმი გაიგზავნა. რაზმს გმირი რევოლუციონერი, წითელარმიელი პროხოროვი მეთაურობდა.

რევოლუციონერთა რაზმი ენგურის ხეობით მოდიოდა. მაგრამ არც ყაჩაღთა ბანდებს ეძინათ. მათ შეიტყვეს რაზმის მოახლოება და გადაწყვიტეს სწორედ ამ ვიწროებში დახვედროდნენ მას.

მოხუცი უკვე მეგზურს აღარ უსმენდა. მისმა ნაამბობმა მთლიანად მოგონებათა ბურუსში გაჰხვია, და მერე მის მეხსიერებაში მკვდრეთით აღდგა წარსულის ფერფლგადაყრილი, ცოცხალი სურათები.

ლენხერის ხეობაში სქელი ნისლი ჩამოწოლილიყო. დროდადრო თქორი ჩამოუვლიდა ციცაბო, ტყიან კალთებს. რაზმი მუხვდარის მდელოებზე იდგა ბანაკად. ასწლიან მუხებისა და ცაცხვების ქვეშ წითელარმიელებს კოცონები დაენთოთ. ადრე გაზაფხული იყო და ჯერ კიდევ ციოდა.

წითელარმიელთა რაზმის მეთაური ივანე პროხოროვი და მისი თანაშემწე კოლია ქუკოვი ლახამულიდან შემოგებებული ალი, ჰანდრი და ისმა დავითიანებს ესაუბრებოდნენ. შორიახლოს შეიარაღებული სვანების ჯგუფში თვითონ პარმენიც ელოდა მეთაურთა გადაწყვეტილებას.

— მაშ ემზადებიან? — მცირე ჩაფიქრების შემდეგ იკითხა პროხოროვმა, თან ცხვრის ტყავის შავი ფაფახი ფრთხილად გადაიძრო და ხეზე შეაბერტყა. ფაფახის სქელ ბეწვში ღრმად ჩამჯდარი პატარა, წითელი ვარსკვლავი ძლივსღა მოსჩანდა. პროხოროვმა ქუკოვს გადახედა, რომელსაც რუხი მაუდის გრძელყურებიანი, ვარსკვლავიანი ქუდი ეხურა.

— ეხ! ამ კლდეებში რა უნდა უყოს კაცმა იმ არამზადებს, — აბა, ერთი სადმე გაშლილ ადგილზე შეგვხვდნენ, სულ კუდით ქვას ვასროლინებთ, მაგრამ აქ ისევ სიფრთხილე და მოხერხებულობა სჯობს. აბა სხვებსაც უხმეთ!

— ისლამ! ხაჯი! ქექევ! თემრაზ! პარმენ! ფარნავაზ! — თითო-თითოდ დაუძახა ჰანდრიმ და გამოძახებულნიც რიგრიგობით შემოერტყნენ ირგვლივ ხის ძირში, ქვაზე მჯდომ პროხოროვს.

პროხოროვი ალი დავითიანის კარნახით ქაღალდზე რაზმის მომავალ მარშრუტს ხაზავდა. შიგადაშიგ ისმაც ჩაურთავდა თავის აზრს. იგი რუსეთის არმიაში ნამსახური იყო, იმპერიალისტურ ომში ავსტრიის საზღვართან იბრძოდა, და რუსული სხვებზე უკეთ იცოდა.

— ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ დიზში ავასწროთ. აი, იმ, მაღალ გორას იქეთაა ეს სოფელი. ამ კლდეებიან გორას კი სორმელდაში ჰქვია. დიზში ახლა მურზაბექისა და სოზარის რაზმები ყველა ოჯახში განაწილებულან, რიგ-რიგობით ართმევენ საკლავსა და არაყს. თუ სოფელში მოვიმწყვდიეთ, ეჭვი არა მაქვს, რომ დავამარცხებთ, მაგრამ თუ სორმელდაშში ჩასაფრება მოგვასწრეს, მერე იმათთან ბრძოლა უშედეგო იქნება, ტყვია-წამალი ბლომადა აქვთ, თოფები კი ყველას, რუსული შაშხანები უშოვნიათ, ამ კლდეებზე კატებივით დაცოცავენ. წითელარმიელებს აქ მათთან ბრძოლა ძალზე გაუჭირდებათ.

ისმა დავითიანის აზრს უყოყმანოდ დაუჭირეს მხარი სხვა სვანებმაც, მაგრამ ასეულის მეთაური პასუხს აყოვნებდა.

— აქაური ადგილები რომელმა იცით უკეთ? — იკითხა მან ბოლოს.

— ადგილები ყველამ კარგად ვიცით, — უპასუხა პროხოროვს ალიმ, — მაგრამ თუ რაიმე დავალება გაქვს, მე და ისმა შევასრულებთ.

— არა, აქ უფრო საჭირო ხართ. მე გადავწყვიტე პირადად ავიდე იმ გორაზე და შევისწავლო სოფლის მისადგომები. თქვენ ქუკოვს უნდა დაეხმაროთ. თუ ყოველივე რიგზე იქნება, გორაზე კვამლს დავაყენებთ და ჯარი ამ ნიშანზე დასძარით. ეცადეთ, იაროთ ძალიან ჩქარა. ჩემთან კი, აი, ეს ახალგაზრდები წამოვლენ, — და ასმეთაურმა თითით პარმენსა და ისლამზე უჩვენა.

პარმენი და ისლამი წამოდგნენ, თოფები კონდახებით წინ დაიბჯინეს, თანაც ტანზე სავაზნეებისა და ხანჯლების სწორება დაიწყეს.

— კრავჩენკო! ისევ გაისმა მეთაურის ძახილი, — ჩემთან წამოხვალ!

— არის, ამხანაგო მეთაურო! მზად ვარ! — მოისმა პასუხად და ცეცხლის პირას მოსაუბრე წითელარმიელებს შუატანის, პირტიტველა, ქერა ვაჟკაცი გამოეყო. იგი მიუახლოვდა პროხოროვს და მასთან მდგომ სვანებს, ჯერ ჯარისკაცულად მიესალმა, ხოლო შემდეგ სათითაოდ ხელი ჩამოართვა.

პროხოროვმა საგულდაგულოდ დაარიგა ქუკოვი და ორიოდე წუთის შემდეგ მის მიერ არჩეულ სამ თანამგზავრთან ერთად მუხვდარის ხშირ მუხნარში მიიმალა.

მგლისმუხლა აღმოჩნდა მეთაური. თავისი დღე და მოსწრება ამ ციცაბო მთების ბილიკებზე ნავალ ისლამს ფეხდაფეხ მიჰყვებოდა, შემდეგ პარმენი მიდიოდა. კრავჩენკო კი სულ დაიტანჯა. როცა კრავჩენკო ორმოც-ორმოცდაათ ნაბიჯზე ჩამორჩებოდა, პროხოროვი შედგებოდა და დაწინაურებულები ჩამორჩენილს მოუცდიდნენ, ცოტა სულს მოათქმევინებდნენ და კვლავ სვლას განაგრძობდნენ.

ჯგუფმა აატავა აღმართი. აქ ბილიკი შვეული კლდის წვერისაკენ წაუძღვათ. საცალფეხო გზა სორმელდაშის კლდის თავანიდან ოციოდ ნაბიჯზე გადიოდა, გორას გარს გველივით ეხლაკნებოდა და მერე სოჭისა და ნაძვის ხშირ ტევრში იკარგებოდა. ტყის პირიდან დიზიც ჩანდა და კარგ ამინდში თავრალის კოშკების თეთრ სილუეტებსაც გაარჩევდით.

ბილიკს ყველაზე წინ ისლამი შეჰყვა, მისგან ხუთ ნაბიჯზე პროხოროვი, შემდეგ პარმენი და ბოლოს კრავჩენკო. დაბლა, ორასიოდე მეტრზე, ადიდებული ენგურის ქაფმორეული ზვირთები დგაფუნობდნენ. ზოგან ბილიკიდან კლდის კედელი ისე შვეულად ჩადიოდა, რომ გადავარდნილი კენჭი წყლამდე არაფერს ეხებოდა.

შვეული კედლის ბოლომდე რომ ოციოდე ნაბიჯი უკლდათ, კლდის წვერიდან თოფმა იჭექა. ტყვია პროხოროვის წინ კლდეს მიეფშ-

ვნა. პროხოროვი ელვისებურად უკან გადახტა და ბილიკზე წამოშვერილ ლოდს მიეფარა. ცხადი იყო, გზა დამხდურთ გამოეთოფათ.

— უკან სათითაოდ უნდა დავბრუნდეთ! გზა შეკრული გვაქვს! — შესძახა მან, თან ლოდი იფარა და თოფმომარჯვებულმა ბილიკს გულმოდგინე ზვერვა დაუწყო.

უკანგამობრუნებულ კრავჩენკოს სროლითა და ყიჟინით გადაუღობეს გზა. თავ-პირზე ყაბალახშემოხვეული ჩოხოსნები ფოცხვერივით მარჯვედ დაცოცავდნენ ქარაფებზე.

კრავჩენკომ ჩაიჩოქა და რომელსაც თვალი შეასწრო, ხეზე ამოფარებულს, ესროლა. ჩოხიანი მოწყდა და ორწოხში თავქვე ჩაცურდა, მაგრამ იმავე წამს ზემოდან ნასროლმა ტყვიამ კრავჩენკოს ყანყრატოში გაუარა და მოცელილი კლდეს მიანარცხა.

სრულიად ღია ადგილზე დარჩენილი ისლამი ჩაჩოქილი და თოფმომარჯვებული ელოდა მტრის გამოჩენას, მაგრამ უბედურს გასროლა არ დასცალდა. ვიღაცას მიერ მარჯვედ ნასროლი ტყვია წელზემოთ, ხერხემალში მოხვდა. ბილიკზე გულაღმა გაშოტილი ერთი-ორჯერ გადაბრუნდა და ქვემოთ, თხილის ბუჩქს მოჭრილი კუნძივით მიაგორდა ძირში. ამ დროს პარმენს მარჯვენა მკლავი დაუბუჟდა და თოფი ხელიდან დაუვარდა, დაიხედა, მხარსქვემო ნაწილი ცალკე ყანყალებდა, ჭრილობიდან ამოხეთქილი სისხლი კი ნიკაპზე ესხმებოდა. პარმენმა ირგვლივ თვალი მოავლო და კარგად გაარჩია, რომ კლდის ქიმს ამოფარებულ პროხოროვს ყოველი მხრიდან უახლოვდებოდნენ შავჩოხიანები. აშკარად ჩანდა, მისი ცოცხლად ხელში ჩაგდება ეწადათ.

პროხოროვმა ერთი კი შეათვალიერა მომხდურები, თოფს პირში ტყვია მისცა, ყველაზე ახლოს მისულს პირდაპირ გულში დაახალა, შემდეგ შურდულივით მოსწყდა საფარს, ბილიკზე ელვის სისწრაფით გაიჭრა და ქარაფში გადაზნექილ ლოდებს თავზე მოექცა.

გუშინდელივით ახსოვს ეს სურათი პარმენს. მარჯვენა ხელში შაშხანაშემართული პროხოროვი თავგანწირული ხმით გაჰყვიროდა, ის სიტყვები ახლაც ყურში უწიოდა მოხუცს:

„—ძირს კონტრრევოლუციონერი ყაჩაღები! გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლუციას!“

ჩოხოსნები უკვე უშიშრად უახლოვდებოდნენ მსხვერპლს და ის-ის იყო ხელი უნდა ეტაცათ, რომ პროხოროვმა ძლიერი ნახტომით უფსკრულს მისცა თავი. პარმენს მეტი არც ახსოვდა რამე. გონს რომ მოვიდა, სოფელ ჯორკვალში, ერთი სვანის ქოხში, თივაზე იწვა ხელმხარშეხვეული. თავზე ქექევი და ჰანდრი ადგნენ. ქოხის მეორე კუთხეში ალი, ისმა, ფარნავაზი, ხაჯი და თეიმურაზი პროხოროვის გვამისათვის საკაცეს ამზადებდნენ. ჯორკვალის ლაკადში[1] გამოერიყა ენგურს გმირი რევოლუციონერი. ისმა და კრავჩენკო ერთად დავმარხეთო მუხვდარის მინდორში, ჩაუჩურჩულა ჰანდრიმ.

— ამ რუსების გულისათვის რაზე აკვდებით ერთმანეთს, შვილებო, — წაილაპარაკა ქოხის პატრონმა, მოხუცებულმა სვანმა, რომელიც ზღურბლთან წნელის გიდელს წნავდა.

— რას ამბობ, ბიძია ნუა, ეს რუსები ჩვენი საქმისათვის იბრძვიან, მეტი არ წამოგცდეს ამისთანა! —სწრაფად ჩააჩუმა იგი ჰანდრიმ და კვლავ დაჭრილის მოვლას მიჰყო ხელი.

— მას შემდეგ ამ კლდეს გმირი რევოლუციონერის პატივსაცემად „პროხოროვის კლდე“ ეწოდება.—კვლავ გაარჩია პარმენმა მეგზურის ხმა, რომელიც განაგრძობდა — ორმოცდახუთ წელზე მეტი გავიდა. დიდი ხანია ამ კლდეებში გაჭრილ შარაზე მანქანები მიმოქრიან. დიდი ხანია სვანეთის ცადასვეტილი მთების უბეში სინათლე დამკვიდრდა სამარადისოდ. და მთების მკვიდრნიც სათუთად ინახავენ მათი ბედნიერი ცხოვრებისათვის თავდადებულთა ნათელ ხსოვნას...“

მეგზური გაჩუმდა. ტურისტებიც დუმდნენ. მხოლოდ ენგურიღა დგაფუნობდა კვლავ მომეტებული ხმოვანებით, თითქოს მეგზურის მონათხრობის პირუთვნელი მოწამე ამით ადასტურებდა მომხდარი ამბის სიმართლეს.

---

1. ლაკად — ამოსაღები — ადგილი, საღაც მდინარე ხეებს გამორიყავს.

## ნარკვევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ბურჯენიძე

# მესხეთ-ჯავახეთის ეკონომიური და კულტურული განვითარება

მესხეთ-ჯავახეთი ანუ სამხრეთ საქართველო, რომელიც ამჟამად ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის ადმინისტრაციული რაიონებისაგან შედგება, ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი მდიდარი და ლამაზი მხარეა. არსებული მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლით ნათელი ხდება, რომ მესხეთ-ჯავახეთი წარსულში, განსაკუთრებით კი რუსთაველის ეპოქაში, მეტად დაწინაურებული და კულტურული მხარე იყო, რომელიც თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ეკონომიკითა და მაღალი კულტურით ადრიდანვე დიდ როლს ასრულებდა საქართველოს საზოგადოებრივი განვითარების ისტორიაში.

ამ მხარის მცხოვრებნი ძველთაგანვე დახელოვნებული მიწათმოქმედნი ყოფილან. ისინი თესავდნენ ხორბალს, ქერს და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებს, გაშენებული ჰქონდათ ხეხილის ბაღები, ვენახები და სხვა. განვითარებული ყოფილა მესაქონლეობა, მეცხვარეობა, მეფუტკრეობა და მეღორეობა. გამოჰყავდათ აბრეშუმი.

მებაღეობამ და მებოსტნეობამ დიდი გავრცელება ჰპოვა მესხეთში. სახელდობრ, ახალციხესა და მის მიდამოებში, მდინარე მტკვრის ორივე ნაპირას, ასპინძისა და ვარძიის გაყოლებით (ასპინძა, ტოლოში, ვარნეთი, სარო, ხერთვისი, თმოგვი და სხვ), ადიგენის რაიონის მრავალ სოფლებში (უდე, არალი, ვარხანი, წარბათუბანი და სხვა) მოშენებული იყო ვაშლისა და მსხლის უამრავი სხვადასხვა ჯიში. მეხილეობის დარგში მესხეთი არა თუ ჩამორჩებოდა საქართველოს სხვა ნაწილებს, არამედ, პირიქით, იგი ერთ-ერთ მოწინავე მხარედაც კი ითვლებოდა[1].

მებაღეობასთან ერთად, წარსულში მესხეთ-ჯავახეთში, განსაკუთრებით კი მესხეთში, თვალსაჩინო ადგილი ეჭირა ვაზის მოშენებას და ღვინის წარმოებას[1]. ამაზე თვალნათლივ მიგვითითებს მრავალი ისტორიული წყარო და ძეგლი, სადღეისოდ შემორჩენილი მევენახეობის ამსახველი ადგილ-მდებარეობის სახელწოდებანი, ვარძიაში დღემდე კარგად შემონახული ღვინის მარანი, ძველი ნასოფლარებისა და ნასახლარების გათხრების დროს აღმოჩენილი ღვინის ქვევრები და მარნები.

ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი, ჯერ კიდევ მე-6 საუკუნეში წერდა: „მესხეთში ამ თემის მთაგორიანობის მიუხედავად, იქაურ მკვიდრთ თავიანთი შრომითა და ცოდნით, ვითარცა დახელოვნებულ მიწისმომქმედთ ხეხილიცა და ვენახებიც გაუშენებიათ და ხილნაყოფიც საკმაოდ ჰქონიათ“[2]

თუ რაოდენ ფართო არიალით ყოფილა გავრცელებული მევენახეობა ძველ მესხეთში, ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს თურქ-დამპყრობთა მიერ აღნიშნულ მხარეში XVI ს. ბოლოს ჩატარებული აღწერა. ამ აღწერის მასალებიდან ირკვევა, რომ სამხრეთ საქართველოს ანუ „გურჯისტანის ვილაიეთის“ თვითეული ლივა ანუ რაიონი იხდიდა ვენახზე გადასახადს. ასე, მაგალითად, ახალციხის ლივას ევალებოდა ყოველწლიურად გადაეხადა 90400 ახჩა (მაშინდელი ფულის ერთეულია ვ. ბ.), ხოლო ახალქალაქის ლივას — 10.400. ზემოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ახალაქალაქის ლივა ვენახების გავრცელების მხრივ ბევრად ჩამორჩებოდა ახალციხის ლივას, თავისი მაღალი გეოგრაფიული მდებარეობის გამო. მაგრამ ერთი

---

1. გ. ტივაძე, „სამცხე-საათაბაგოს წარსულიდან“, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტომი V, ნაკვ. 2, ეკონომიურ-გეოგრაფიული სერია. სამცხის რაიონები, თბ., 1950წ. გვ. 4.

1 შ. წიქვაძე, „მევენახეობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები მესხეთში“, თბილისი, 1958 წ.

2 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, თბ., 1935, გვ. 110.

რამ მაინც ცხადია, ძველად, ოსმალთა შემოსევამდე ახალქალაქის რაიონშიც ყოფილა ვენახები.

წარსულში სამხრეთ საქართველოში, მევენახეობის ფართოდ გავრცელებაზე თვალნათლივ მოგვითითებს სადღეისოდ შემორჩენილი ორიკები (ტერასები) და გაველურებული ვაზები, რაც მეტ-ნაკლებად გვხვდება როგორც ასპინძის რაიონში (სოფლების საროს, ხიზაბავრის, ხერთვისის, ტოლოშის, გოგაშენის და სხვათა მიდამოებში), აგრეთვე ახალციხისა (აწყურის, წინუბნის, გურკელის, წოხტევის, ანდრიაწმინდის, ოხერის, ტობის, წყრომის, მუსხის წრიოხის და სხვ.) და ადიგენის რაიონის (სოფლების უდის, ზარზმის, დიდი სმადის და სხვა) მიდამოებში.

წარსულში მესხეთ-ჯავახეთში დიდად იყო განვითარებული მიწათმოქმედება. ისტორიული წყაროები მოგვითხრობენ, რომ აღნიშნული მხრიდან მარცვლეული დიდი რაოდენობით გაჰქონდათ გასასყიდად მეზობელ მხარეებში. ცნობილია, რომ მესხეთ-ჯავახეთი, როგორც თამარის ეპოქაში, ისე მის შემდეგაც, საქართველოსათვის მარცვლეულის ნამდვილ ბეღელს წარმოადგენდა[1].

„ქართლის ცხოვრება" გადმოგვცემს, რომ როცა საქართველოს სხვადასხვა რაიონში, მრავალრიცხოვანი მტრის შემოსევის შედეგად, ხდებოდა მოსახლეობის დარბევა-აწიოკება, ანდა სტიქიური უბედურების გამო, შიმშილი მძვინვარებდა, რასაც როგორც წესი, ხშირად თან სდევდა მოსახლეობის მასობრივი დაავადება და ფიზიკური განადგურება, ხალხი გამოკვებისა და დაღუპვისაგან გადარჩენის მიზნით, ჩვეულებრივ, დიდ რაოდენობით მიემგზავრებოდა სამცხეში და იქ აფარებდნენ თავს[2].

მიწათმოქმედების განვითარებასთან ერთად, მესხეთ-ჯავახეთში ფართოდ მისდევდნენ მესაქონლეობას. მესაქონლეობის, კერძოდ მეცხვარეობის მხრივ, აღნიშნულ მხარეს მთელ საქართველოში წამყვანი ადგილი ეჭირა[3]. მესხეთ-ჯავახეთში მესაქონლეობის განვითარებას ხელს უწყობდა საუკეთესო საძოვრები და სათიბები. აქაური ვრცელი საძოვარ-საბალახოებით, როგორც გ. ტივაძე აღნიშნავს, იკვებებოდა არა მარტო ადგილობრივი საქონელი, არამედ საქართველოს სხვა რაიონებიდან დიდი რაოდენობით გადმოყვანილი ცხვრის ფარებიც. საუკეთესო ბუნებრივ საძოვრებს ემატებოდა ხელოვნურად მოყვანილი საქონლის საკვები მასალა იონჯასა (სამყურა) და სხვების სახით. ყოველივე ეს ქმნიდა საუკეთესო ბაზას როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა საქონლის მოშენებისათვის.

სოფლის მეურნეობის გვერდით, რომელიც მესხეთ-ჯავახეთის ეკონომიური ძლიერების ძირითად წყაროს წარმოადგენდა, წარსულში მნიშვნელოვან განვითარებას მიაღწია, მეთევზეობამ, მეფუტკრეობამ, და, განსაკუთრებით კი ვაჭრობამ.

თევზი დიდი რაოდენობით მოიპოვებოდა არა მარტო მტკვარსა და მისი შენაკადების — ფოცხოვისა და ურავლის წყლებში, არამედ ჯავახეთის მრავალრიცხოვან ტბებშიც. „ტბანი კითილნი და თევზიანნი"[1]. შენიშნავს ვახუშტი. თევზის ჭერას მესხეთ-ჯავახეთში სისტემატური ხასიათი ჰქონდა. მას აწარმოებდნენ სხვადასხვა ადგილას სპეციალურად შექმნილი თევზის საწარმოები. მეურნეობის ეს დარგიც იძლეოდა დამატებით შემოსავალს, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა აღნიშნული მხარის ეკონომიურ წინსვლას.

ვაჭრობის დიდი განვითარება მესხეთ-ჯავახეთში განპირობებული იყო ამ მხარის მოხერხებული ადგილმდებარეობით.

საქართველოს ეს ნაწილი ყველაზე უფრო ახლო მდებარეობდა ბაღდადზე მიმავალ მსოფლიო სავაჭრო გზებთან[2]. აქ ერთდებოდნენ დასავლეთიდან აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ მიმავალი სავაჭრო გზები. მესხეთ-ჯავახეთის საშუალებით, მტკვრისა და არაზის ხეობით, საქართველოს მუდმივი სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა სომხეთსა და ირანთან, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით, საქართველო მესხეთის საშუალებით დაკავშირებული იყო საბერძნეთსა და მცირე აზიის დიდ სავაჭრო ქალაქებთან, ინდოეთთან და სხვ.[3]

ვიდრე თურქები კონსტანტინეპოლს აიღებდნენ (1453 წ.) და ევროპასა და ლევანტს შორის არსებული სავაჭრო გზები ჩაიკეტებოდა. მესხეთ-ჯავახეთის ვაჭრობა დიდი აღმავლობით ხასიათდებოდა. თუ რაოდენ განვითარებული იყო მესხეთ-ჯავახეთში ვაჭრობა, ეს ჩანს ბექასა და აღბუღას სამართლიდან. აღნიშნული წყაროდან ირკვევა, რომ ვაჭრობის განვითარებასთან დაკავშირებით სამცხის ათაბაგებს ჩაუტარებიათ ფულის რეფორმა. „ყაზანური ფული"

1 ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, მეორე გამოცემა, თბ., 1946 წ. გვ. 216.

2 „ქართლის ცხოვრება", 1899 წ. გვ. 637-638.

3 ი. კერესელიძე, სამცხე-საათაბაგო (მოგზაურობითაგან) ჟურნ. „ცისკარი" 1870 წ. გვ. 67.

1 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, თბ., 1941 წ. გვ. 123.

2 ქ. კეკელიძე, საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური ვითარება რუსთაველის ეპოქაში, თბ., 1940 წ.

3 შ. გოგებაშვილი, სამცხის რაიონების საარაიონთაშორისო ეკონომიური კავშირი და საქონელბრუნვა. ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, ნაკ. 2, ეკონომიურ-გეოგრაფიული სერია. სამცხის რაიონები. თბ., 1950 წ., გვ. 185-186.

ნიშნები შეუცვლიათ გიორგაულით და, რადგან ახალი ფულის ნიშნები არ აღმოჩენილა საკმარისი საქონლის მიმოქცევისათვის, დაუდგენიათ, რომ ბრუნვაში დამატებით ყოფილიყო ვერცხლის ზოდებიც, რომლის ღირებულებას მისი ბუნებრივი წონა განსაზღვრავდა. ამავე დროს ბექასა და აღბუღას სამართლიდან ჩანს, სამცხე-საათაბაგოს ვაჭართა ფენის მნიშვნელოვანი ეკონომიური სიძლიერე, რომლის საშუალებითაც, ვაჭრებს მოუხვეჭიათ პოლიტიკური პრივილეგიებიც ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში[1].

მესხეთში ყოველთვის მრავლად იყვნენ ვაჭრები, რომლებსაც უცხო ქვეყნებიდან შემოჰქონდათ დიდი რაოდენობის საქონელი (შაქარი, ჩაი, ყავა სხვადასხვა სურნელოვანი მცენარეულობა, ქსოვილები, ჩითები, ქურქები, ლილა, შაბი, შაბიამანი, საღებავები, რკინეულობა, სახელოსნო და საარტილერიო იარაღი და სხვ.) და ამასთანავე გაჰქონდათ საქართველოში წარმოებული პროდუქცია (ბამბა, მატყლი, აბრეშუმი და სხვ.)

მესხეთ-ჯავახეთის ეკონომიურ სიძლიერესთან სდევდა კულტურული წინსვლაც.

მესხეთ-ჯავახეთის მიწაზე დაირწა ფეოდალური საქართველოს კულტურის აკვანი აქ შეიქმნა კულტურისა და ხელოვნების დიდებული ნიმუშები. აქ სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ქართველი ერის სასიქადულო შვილები: გრიგოლ ხანძთელი, კათალიკოსი არსენ დიდი, ბასილ ზარზმელი, გიორგი მერჩულე, გრიგოლ ოშკელი, ექვთიმე მთაწმინდელი, მიქელ მოდრეკილი, სტეფანე მტბევარი; გამოჩენილი მწერლები და პოეტები, ერის სიამაყენი: რუსთაველი და ჩახრუხაძე, შავთელი და თმოგველი, სახელგანთქმული ოქრომჭედლები — ბექა და ბექშენ ოპიზარები, კანონმდებლები — ბექა და აღბუღა ჯაყელები და სხვები...

მესხეთ-ჯავახეთის მდიდარ ლიტერატურულ ტრადიციებზე აღმოცენდა ჩვენი ერის სულიერი საგანძური — ქართული კლასიკური მწერლობა. ამ მხარის შესახებ დიდი ილია ამბობდა: „ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აღყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს აქ უჩქეფია, ჩვენის სულის ძლიერებას აქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა“,[2] ხოლო ვაჟა ფშაველა ასე ახასიათებდა ამ მხარეს: „დიდებულია იგი ქვეყანა, იქ გაფანტული კულტურის ნაშთები სულია ჩვენი ერის“[3], ასეთივე მაღალ შეფასებას აძლევდა მას ცნობილი მკვლევარი და ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი, როცა წერდა: „არ შეიძლება დავიწყებული იქნეს აკვანი საქართველოს დიდებისა... მესხეთ-ქართველებისათვის ის არის წინსვლა-განათლების საქმეში, რაც საბერძნეთი კაცობრიობისათვის“[1].

თუ რაოდენ დიდ განვითარებას მიაღწია მესხეთში განათლებამ, კულტურამ, მეცნიერებამ ეს ნათლად ჩანს, აგრეთვე, ბექასა და აღბუღას სამართლის კანონებიდან, რომელიც თავისი შინაარსით ერთობ პროგრესული იყო და წინ უსწრებდა ევროპის ქვეყნების იმ დროინდელ სამართალს.

საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დასუსტების შემდეგ, დაწყებული XIII საუკუნიდან, ჩვენმა სამშობლომ, კერძოდ, მესხეთ-ჯავახეთმა მტრების მრავალი შემოსევა და აოხრება განიცადა.

ფეოდალიზმის განვითარების შედეგად, მცირე აზიაში თურქ-სელჯუკთა სახელმწიფოს ცალკეულ საემიროებად დაშლის საფუძველზე წარმოშობილმა ოსმალეთის სახელმწიფომ თავიდანვე აგრესიული პოლიტიკის გატარება იწყო. თურქი დამპყრობლები ცდილობდნენ დაეპყროთ და მოეხდინათ დაპყრობილი ადგილების მტაცებლური ექსპლოატაცია, მოესპოთ ადგილობრივი, ნაციონალური კულტურა, ცეცხლითა და მახვილით გაევრცელებინათ ისლამის სარწმუნოება, ჩარეულიყვნენ დაპყრობილი ქვეყნების შინაურ საქმეებში, მათი დამოუკიდებლობის მთლიანად მოსპობის მიზნით, და ეს მხარეები გადაექციათ ოსმალეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილებად — საფაშოებად.[2]

ბიზანტიისა და სხვა სახელმწიფოების (მოლდაველთი, ვლახეთი, რუმინეთი, ალბანეთი, შავი ზღვის სანაპიროები, ანატოლია, ჰეჯასი, სირია, პალესტინა, ეგვიპტე, ტრიპოლიტანია, ტუნისი, ალჟირი და სხვ.) დაპყრობის შემდეგ ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფო, რომლის კეთილდღეობა უმთავრესად დაფუძნებული იყო ახალ-ახალ დაპყრობებზე, შეეცადა აღმოსავლეთში თავის მტაცებლობის საგნად გადაექცია, აგრეთვე, საქართველოც. ამისათვის კი, პირველ რიგში, საჭირო იყო მისი სამხრეთი ნაწილის დაუფლება.

ფ. ენგელსი, როცა იხილავდა სამხედრო ოპერაციების გაშლის საკითხს ოსმალეთის აღმოსავლეთ ნაწილში, მესხეთ-ჯავახეთში მიმავალი გზების სტრატეგიულ მნიშვნელობას შემდეგნაირად განმარტავდა: „არსებობს სამი გზა: ერთი მიჰყვება მტკვრის ზემო წელს ახალციხეზე, მეორე არაქსის ზემო წელს ერევანზე, მესამე მიდის ყარსში, მთების გადავლით. სამივე ეს გზა ორივე მხრიდან დაცულია

---

[1] გ. ტივაძე, ზემოდასახელებული შრომა. გვ. 5-6.

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტომი IV, თბ., 1955 წ. გვ. 11-12.

[3] ვაჟა ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული, ტ. V, თბ., 1961 წ. გვ. 268.

---

[1] მ. ჯანაშვილი, მესხეთი. თბ., 1915., გვ. 12.

[2] გ. ტივაძე, ზემოდსახელებული შრომა, გვ. 212.

მაგარი პოზიციებით და ფორპოსტებით, ძნელი გადასაწყვეტია, რომელი მათგანი უფრო ხელსაყრელია რუსებისათვის და რომელი მათგანი თურქებისათვის. კიდევ უნდა დაემატოს, რომ ახალციხის გზით თურქეთის არმიას შეუძლია პირდაპირ შევიდეს კავკასიის ყველაზე ვნებადს ადგილებში".[1] სწორედ ამიტომ იყო, რომ თურქმა დამპყრობლებმა თავიანთი მახვილი თავდაპირველად მესხეთის წინააღმდეგ მიმართეს. ოსმალეთმა ისარგებლა რა მტრებთან ბრძოლებში დასუსტებული საქართველოს უილაჯობით, 1550-1552 წლებში მოახერხა სამცხე-საათაბაგოს ერთი ნაწილის — ტაოსა და არტანუჯის ხელში ჩაგდება, ხოლო შემდეგ, 1578 წელს, დიდი სისხლისღვრის ფასად, აღნიშნული მხარის დროებით დაპყრობა.

ამრიგად, XVI საუკუნის მეორე ნახევარში თურქმა დამპყრობლებმა ძალით მოსწყვიტეს დედა-სამშობლოს ერთ-ერთი მისი პოლიტიკურად, კულტურულად და ეკონომიურად დაწინაურებული ნაწილი, მესხეთ-ჯავახეთი და იგი თავის საფაშოდ აქციეს.

„საქართველოს მოსწყდა და მისი ეროვნული კულტურის შემოქმედებაში აღარ მონაწილეობდა ქვეყანა, — ნათქვამია საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში, — რომელიც საქართველოს ტერიტორიის ერთ მესამედს შეადგენდა. გადაგვარების გზას დაადგა ფეოდალური საქართველოს ერთი ყველაზე უფრო დაწინაურებული და კულტურული შემოქმედების უნარით დაჯილდოებული ნაწილი, — სამშობლო ექვთიმე და გიორგი ათონელებისა, ბექა ოპიზარისა და შოთა რუსთაველისა".[2]

სამცხე-საათაბაგოს დაპყრობისთანავე მიწები ოსმალეთის სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადდა. მთელი ადგილ-მამული დანაწილებული იქნა სხვადასხვა ზომის ნაკვეთებად და ოსმალეთის სამხედრო პირებსა და მოხელეებს გადაეცა იმისდა მიხედვით, თუ ვის როგორი დამსახურება მიუძღოდა ოსმალეთისადმი.

თავიდანვე აუტანელი შეიქმნა ოსმალი-დამპყრობთა ბატონობა მესხეთ-ჯავახეთში. მხეცურად, არაადამიანურად ექცეოდნენ ქართველებს, ანადგურებდნენ ან ოსმალეთის შიდა რაიონებში ასახლებდნენ.[3]

ქართული სკოლების მოსპობით მოისპო მოსახლეობაში წერა-კითხვისმცოდნეობა. სამცხე-საათაბაგოს ძირითად რაიონებში თანდათანობით ფეხი მოიკიდა თურქულმა ენამ და სამხედრო-ფეოდალურ ოსმალეთისათვის დამახასიათებელმა უხეშობამ.

„თურქებმა ფოთისა და ანაკლიის ბაზრებთან ერთად ახალციხის ბაზრებიც ქართველ ტყვე ქალ-ვაჟთა სავაჭრო ობიექტად აქციეს".[1]

თურქი დამპყრობლები იმთავითვე შეუდგნენ დაპყრობილი ადგილების მტაცებლურ ექსპლოატაციას. მოსახლეობაზე გადასახადების დაწესების მიზნით, თურქმა ბარბაროსებმა 1595 წელს მოსახლეობისა და მათი დასაბეგრი ობიექტების სრული აღწერა ჩაატარეს, რის შედეგად შედგენილი იქნა ეგრეთწოდებული „გურჯისტანის ვილაიეთის[2] დიდი დავთარი".

მართალია, ეს „დავთარი"[3] თავისი მიზანდასახულობით წმინდა ფისკალური ხასიათის დოკუმენტია, მაგრამ, ამასთანავე ერთად, აქ გეოგრაფიულ-ადმინისტრაციული თანმიმდევრობით თავმოყრილია ზემოაღნიშნული მხარის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის ამსახველი ძვირფასი ციფრობრივი მასალა. „შეიძლება ითქვას, — წერს პროფ. ს. ჯიქია, — რომ საქართველოს სხვა კუთხისათვის ეკონომიური და გეოგრაფიულ ტოპონომიკურ ხასიათის მასალის ასე უხვად და კონცენტრირებულად შემცველი ძეგლი ჩვენ არ მოგვეპოვება, არც ადრინდელ და, შეიძლება, არც უფრო გვიანდელ ეპოქისათვის".[4]

ამ „დავთრის" სახით გვაქვს, ჯერ ერთი, თვით დამპყრობილ თურქი მოხელეების მიერ შედგენილი, ფრიად მნიშვნელოვანი ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი ჩვენი სამშობლოს ამ მნიშვნელოვანი მხარის ძალით მიტაცებისა და დაბეგვრის მიზნით მისი აღწერა („გურჯისტანის ვილაიეთის", ე. ი. მათ მიერ დაპყრობილი საქართველოს ოლქის დავთარი); მეორე მხრივ,

1 Ф. Энгельс, Статьи и письма по военным вопросам, М., 1924 г., გვ. 47—48.

2 საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, თბ., 1948 წ. გვ. 235.

3 თუ რა დიდი რაოდენობით ყოფილან ქართველები გადასახლებული თურქეთში, რომელთა ერთ ნაწილს დღესაც კი არ დაუკარგავს თავისი სალაპარაკო მშობლიური ენა, ამის შესახებ ფრიად საინტერესო ახალ მასალებს გვაწვდის პროფ. ო. გიგინეიშვილი. „ამჟამად თურქეთში იმ ქართველთა რიცხვი, — წერს იგი; — რომელთა მშობლიურ ენად კვლავ ქართული რჩება, აღემატება 500,000 კაცს" (იხ.. ო. გიგინეიშვილი, „ჩვენებურები", გაზ., „კომუნისტი", 1967 წ. 8 მარტი).

1 დ. კოჟორაძე, ნ. ალელიშვილი, მესხეთ-ჯავახეთი ძველად და ახლა, თბ., 1963 წ., გვ. 5.

2 ვილაიეთი თურქული ადმინისტრაციული ერთეულია და თავისი სიდიდით დაახლოებით დღევანდელ ოლქს უდრის.

3 ეს ძეგლი მოიცავს ცნობებს დღევანდელი მესხეთ-ჯავახეთის რაიონების შესახებ და, აგრეთვე, ბორჯომის რაიონსა (ქვიშხეთამდე), და ამჟამად თურქეთის მფლობელობაში მყოფი ყარსის ოლქის (არტაანისა და ოლთისის) მოსახლეობისა და მეურნეობრივ საქმიანობაზე.

4 ს. ჯიქია, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი", წინასიტყვაობა; ტექსტი. წიგნი I. თბ., 1947, გვ. VIII.

ეს დავთარი ნათელ სურათს გვაძლევს თუ იმ დროის შესაფერისად რაოდენ დაწინაურებული იყო მესხეთ-ჯავახეთი; მესამე, მხრივ, დავთრის ცნობები აშკარად ლაპარაკობენ საქართველოს ამ ნაწილის ძალით გათურქების, ამოწყვეტა-გაპარტახების მძიმე პროცესის დაწყებასა და მის პირველ მწარე შედეგებზე; მეოთხე მხრივ, დავთრიდან თვალნათლივ ჩანს, რომ ოსმალური საგადასახადო სისტემის შემოღებით ქართულ ტერიტორიაზე ფეხს იკიდებდა თურქული ფეოდალური მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფორმები.

მძიმე იყო თურქ დამპყრობთა ბატონობის შედეგები სამხრეთ-საქართველოში. ქალაქთა ცხოვრება ჩაკვდა. ადგილობრივი ქართული მოსახლეობა აჰყარეს თავიანთი საცხოვრებელი ბინებიდან და ჩაასახლეს მიუვალ ადგილებში. გაპარტახდა სოფლის მეურნეობა... თითქმის მთლიანად მოისპო მევენახეობა და მეღორეობა. აღიკვეთა მეურნეობის ყველა ის დარგი, რომელიც მუსულმანური რელიგიისათვის მიუღებელი იყო. ამას თან მოჰყვა იმ დროისათვის მესხეთ-ჯავახეთში არსებული საუკეთესო საირიგაციო სისტემის მოშლა და ამ მხარის ეკონომიური ძლიერების დაცემა.

თურქ იანიჩართა რაზმების თავისუფალმა თარეშმა მთელ სამხრეთ საქართველოში, და მოსახლეობის სისტემატურმა ძარცვა-რბევამ, თურქი მოხელეების მექრთამეობამ და სისასტიკემ მთელ რიგ ადგილებში გამოიწვია მშრომელი მოსახლეობის გამოსვლები და აჯანყებანი, თურქ-დამპყრობთა წინააღმდეგ. „კლასობრივი წინააღმდეგობანი თანდათან გადაიზარდნენ ნაციონალურ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში იმის გამო, რომ გაბატონებულ კლასს ძირითადად თურქობა წარმოადგენდა, ხოლო ექსპლოატირებულს — ქართველობა“[1].

ერთი ასეთი ხასიათის მოძრაობას წარმოადგენდა ახალციხის მაზრის მშრომელთა აჯანყება (1816 წლის) რომელსაც შემდეგში მხარი დაუჭირა, აგრეთვე, აჭარის გლეხობამ. იმ დიდი, სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ, რომელიც წარმოებდა აჯანყებულებისა და თურქ ხელისუფალთა შეიარაღებულ ძალებს შორის, გამარჯვება ხვდა აჯანყებულებს; ახალციხის მმართველი ბაბა-ფაშა იძულებული გახდა თავისი ამალით გაქცეულიყო. „ქართველი ხალხის ბრძოლა თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ იმდენად გაიზარდა, რომ მისთვის არ შეეძლოთ ანგარიში არ გაეწიათ ახალციხის იმ ფაშებს, რომელნიც წარმოშობით ქართველები იყვნენ. ეს უკანასკნელნი თავიანთი განდიდებისა და ხალხის ზეგავლენით აღარ ემორჩილებოდნენ ოსმალეთის სულთანებს. ამის გამო, სულთანის განკარგულებით ახალციხის ფაშები ხშირად იხსნებოდნენ და სიკვდილით ისჯებოდნენ. ახალციხის საფაშალიკოს მმართველის სელიმ ფაშა ხიმშიაშვილის სიკვდილით დასჯის დღიდან (1815 წ.), ვიდრე ახალციხის ოსმალთა ბატონობიდან გათავისუფლებამდე (1828) წ. 10 ფაშა შეიცვალა“[1].

მაგრამ სამხრეთ საქართველოს გლეხთა ცალკეული აჯანყებანი, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობანი ვერ აღწევდნენ თავიანთ მიზანს—მოესპოთ თურქ დამპყრობთა ბატონობა. ხელისუფალნი ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდნენ მეამბოხეებს, ცოცხლად დარჩენილთ კი მიერეკებოდნენ ოსმალეთის შიდა რაიონებში. თურქი ბარბაროსები თავიანთი ზურგის სიმტკიცის მიზნით ხშირად დაცარიელებულ ადგილებზე ასახლებდნენ მათივე მახლობელ ტომებს — ქურთებსა და თარაქამებს.

სამცხე-საათაბაგოს ძირითადი რაიონების განთავისუფლება, და კვლავ დედა-სამშობლოსთან შეერთება შესაძლებელი გახდა მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, სასტიკი, სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად, 1828 წ. 15 აგვისტოს რუსეთის არმიის მიერ ფელდმარშალ გენერალ პასკევიჩის ხელმძღვანელობით განთავისუფლებული იქნა ქ. ახალციხე, ოსმალთა ბატონობის მძლავრი დასაყრდენი სამცხე-სათაბაგოში.

აღსანიშნავია, რომ ამ ბრძოლებში ფრთობ დიდი ენერგია და ინიციატივა გამოიჩინა ქართულმა ჯარის ნაწილებმა (გრენადერთა პოლკმა), რომელიც რუს ჯარისკაცებთან ერთად მოქმედებდა. მან პირველმა გაარღვია ციხისაკენ მისასვლელი გზები და ციხეზე თავისი დროშა ააფრიალა. არტილერისტი, რომელმაც ნამგალა მთვარე ჩამოაგდო ახალციხის სიმაგრეზე იყო, ახალგაზრდა ქართველი პოეტი და მხედარი გრიგოლ ორბელიანი.

ამრიგად, 1828 წელს რუსეთის არმიის დახმარებით, თურქი დამპყრობლების ბატონობისაგან განთავისუფლებული იქნა სამცხე-საათაბაგოს ძირითადი ნაწილი — ახალციხე-ახალქალაქის მხარე.

ცარიზმის პირობებში მესხეთ-ჯავახეთის მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში თითქმის არავითარი არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. მიწები მემამულეების, ბეგებისა და ვაჭრების ხელში იყო მოსახლეობა მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მშრომელი ადამიანის ყოველდღიური თანამგზავრი იყო სიშიშვლე, შიმშილი, უშეშობა და უწყლობა. ყველა ამას თან ემატებოდა პოლიტიკური უუფლებობა.

მაგრამ ჩაგრულმა და ტანჯულმა ხალხმა იწ-

---

[1] გ. ტივაძე. ზემოდასახელებული ნაშრომი, გვ. 11.

[1] იქვე, გვ. 11.

ყო გამოღვიძება და, რუსეთის მშრომელებთან ერთად, ჩაება საერთო მტრის — რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში. მესხეთ-ჯავახეთის მშრომელები ადგილობრივი რევოლუციური კომიტეტის ხელმძღვანელობით აწყობდნენ მეფის ბიუროკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ საპროტესტო მიტინგებსა და დემონსტრაციებს, მოითხოვდნენ აჯანყების გზით თვითმპყრობელობის დამხობას და დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნას.

ცარიზმის ბატონობის წლებში მესხეთ-ჯავახეთის მშრომელთა მრავალრიცხოვანი გამოსვლებიდან დიდი ორგანიზებულობითა და შედეგებით აღსანიშნავია: 1905-1907 წლებში ახალციხესა და ახალქალაქში ჩატარებული მშრომელთა პოლიტიკური დემონსტრაცია პირველი სათათბიროსათვის ბოიკოტის გამოცხადების, აჯანყების გზით თვითმპყრობელობის დამხობისა და დროებითი რევოლუციური მთავრობის *შექმნის ნიშნით. 1905 წლის ნოემბერს* ახალციხე ახლქალაქის ფოსტატელეგრაფის კანტორის მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვა სრულიად რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა მოთხოვნილებათა მხარის დასაჭერად. 1905-1911 წ. წ. მესხეთ-ჯავახეთის მშრომელ გლეხთა შეიარაღებული გამოსვლები სოფლებში: აწყურში, ვალეში, უდეში, ზველეში, გოკიოში, ხულგუმოში და სხვ. რევოლუციურად განწყობილი გლეხები ხელში იგდებდნენ მემამულეების, ბეგებისა და აღების მიწებს და ურთიერთშორის ინაწილებდნენ მათ ჭირნახულს. თავიდან იშორებდნენ რა სოფლის მამასახლისებს, ირჩევდნენ გლეხთა კომიტეტებს სასოფლო საქმის მოსაგვარებლად.

მესხეთ-ჯავახეთის მშრომელებს რევოლუციური ტრადიციებისათვის არც შემდგომ წლებში უღალატნიათ და ყოველთვის აქტიურად ეხმაურებოდნენ რუსეთის რევოლუციურ მოძრაობას. ასე, მაგალითად, თებერვლის რევოლუციის გამარჯვების ერთი თვის თავზე, 1917 წლის 25 მარტს ახალციხესა და აბასთუმანში შედგა მრავალრიცხოვანი მიტინგი. მიტინგის მონაწილეთა ერთსულოვანი გადაწყვეტით მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს; მოითხოვდნენ დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ მოწვევას, ომისა და ზავის საკითხების გადაწყვეტას.[1]

რევოლუციური მუშაობა რომ ფართოდ იყო გაშლილი არა მარტო მშრომელებში, არამედ მესხეთ-ჯავახეთში დაბანაკებულ ჯარის ნაწილებს შორისაც, ამას ადასტურებს შემდეგი გარემოება: 1917 წლის 8 ოქტომბერს ახალციხის გარნიზონის დასაყრდენი პუნქტის ექვსციხოვნო არტილერიის ჯარისკაცთა საერთო კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოითხოვდა: მუშებისა და რევოლუციური ჯარისკაცების შეიარაღებას, გლეხობისათვის მემამულეთა მიწების უსასყიდლოდ გადაცემას, კორნილოვშჩინის მეთაურთა დაპატიმრებას, კონტრრევოლუციური ორგანიზაციის — სახელმწიფო საბჭოსა და სათათბიროს დახურვას, ჯარისკაცთა სიკვდილით დასჯის გაუქმებას. მთელი ძალა-უფლების გადაცემას მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების განახლებული საბჭოების ხელში და წარმოებაზე მუშათა კონტროლის შემოღებას[1].

1917 წლის 7 ნოემბრის (25 ოქტომბერი) ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით, დიდი ლენინის ხელმძღვანელობით მუშების, გლეხების, ჯარისკაცებისა და მატროსების *შეიარაღებული აჯანყების შედეგად რუსეთში* გაიმარჯვა სოციალისტურმა რევოლუციამ. მშრომელებმა დაამხეს მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლება და დაამყარეს მშრომელთა ხელისუფლება.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ქართველი ხალხის უბოროტესმა მტრებმა—მენშევიკებმა, კაპიტალისტური ქვეყნების რეაქციული ძალების დახმარებით, საქართველო რევოლუციურ რუსეთის მოსწყვიტეს.

მენშევიკების ბატონობის წლებში (1918-1921) საქართველოს, კერძოდ, მესხეთ-ჯავახეთის ეკონომიურმა ჩამორჩენილობამ კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. მენშევიკების უკუღმართი პოლიტიკა ხელს კი არ უწყობდა აღნიშნული მხარის წინსვლას, არამედ, პირიქით, ყოველმხრივ ბორკავდა მას. კიდევ მეტი, მენშევიკურმა მთავრობამ თავისი უილაჯო პოლიტიკით შესაძლებლობა მისცა თურქებს ხელმეორედ მოეწყვიტათ საქართველოსაგან მესხეთ-ჯავახეთი[2], დაპატრონებოდნენ მას და, ადგილობრივ ბეგებთან ერთად, ეწარმოებინათ მოსახლეობის ხელახალი რბევა და აწიოკება.

მძიმე მდგომარეობაში მყოფი ქრისტიანი მოსახლეობა ხშირად ტოვებდა თავის მამა-პაპურ კერას და გარბოდა, რათა სიცოცხლე შეენარჩუნებინა. ასე, მაგალითად, ახალქალაქის მაზრის ქრისტიანი მოსახლეობა რამდენიმეჯერ გაიხიზნა ბაკურიანში, ბორჯომსა და წალკაში. „1918 წლის ივნისში ბაკურიანის ტყეში თავს აფარებდა 80.000-მდე გახიზნული ქართველი და სომეხი, 10,000-მდე კი წალკის ტერიტო-

---

1 ა. ნებიერიძე, „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამოძახილი მესხეთში", გაზ. „წითელი დროშა", ქ. ახალციხე, 17/VII, 67.

1 იქვე.

2 1918 წლის 4 ივნისს დადებული საზავო ხელშეკრულებით თურქეთის ხელში გადადიოდა ახალციხე-ახალქალაქის მაზრები.

რიაზე იმალებოდა. ახალქალაქის მაზრის გახიზნულ მცხოვრებთაგან უკან ველარ დაბრუნებულა 50,000 სული, ბევრი იმსხვერპლა მტრის ტყვიამ, ბევრი დაიხოცა შიმშილის, სიტიფლისა და ეპიდემიისაგან"[1].

მენშევიკების ბატონობის წლებში მესხეთ-ჯავახეთის მოსახლეობა დიდ ტანჯვა-წვალებას რომ განიცდიდა, ამას მაშინდელი პრესაც ვერ მალავდა და აღნიშნავდა; „დღეს მესხეთ-ჯავახეთისთანა გაოხრებული და კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი კუთხე არ არის მთელ საქართველოში, შიმშილისაგან და სიტიფლისაგან სულს ლაფავდნენ ამ კუთხის მცხოვრებნი, სარწმუნოების მიუხედავად"[2].

მიუხედავად იმ მძიმე მდგომარეობისა, რომელშიაც მესხეთ-ჯავახეთი იმყოფებოდა მენშევიკების ბატონობის წლებში, მშრომელი მასა ირაზმებოდა მათ წინააღმდეგ და იმედიანად შეჰყურებდა მომავალს. მას სჯეროდა, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მზე სულ მალე საქართველოშიაც შემოანათებდა. მისი სხივი მისწვდებოდა მის ყველა მხარესა და კუთხეს, რაგინდ დაშორებულიც არ უნდა ყოფილიყო იგი. ეს ასედაც მოხდა.

1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ცოტა მოგვიანებით წითელი დროშა მესხეთ-ჯავახეთშიც აფრიალდა და ბოლო მოეღო არა მარტო მენშევიკების, არამედ თურქ დამპყრობთა ბანდების ბატონობასაც.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხელისუფლების წლებში, რესპუბლიკის სხვა მხარეებთან ერთად, უდიდესი ცვლილებები მოხდა მესხეთ-ჯავახეთის პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში. ხელისუფლებას დაეპატრონნენ მშრომელები, წარმოების საშუალებები გადაიქცა საზოგადოებრივ, სოციალისტურ საკუთრებად. ჩამორჩენილი აგრარული მხარიდან იგი გადაიქცა განვითარებული სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მხარედ. ახლა მესხეთ-ჯავახეთში იწარმოება არა მარტო ისეთი ძვირფასი პროდუქცია, როგორიც არის ქვანახშირი, დიატომიტი, აქატი, არამედ მეტად განვითარდა ელექტროტექნიკური, სატყეო და ხის დამამუშავებელი, მსუბუქი და კვების მრეწველობა.

მესხეთ-ჯავახეთის სამრეწველო პროდუქცია დიდი სახალხო და სამეურნეო მნიშვნელობის მქონეა. იგი ფართო პოპულარობით სარგებლობს როგორც ჩვენთან, ისე უცხოეთში. მათი ექსპორტირება ხდება მრავალ ქვეყანაში, აღნიშნულის ნათელსაყოფად მოვიყვანოთ ორიოდე მაგალითი.

მესხური დიატომიტი ძვირფასი გამოსაყენებელი მასალაა, იგი ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მრავალ დარგში გამოიყენება. დიატომიტი იხმარება თხევადი მინისა და ულტრამარინის, სხვადასხვა სახის სილიკატების, სინთეზური ბენზინის, შუშხუნების, ელექტრომოწყობილობისა და აკუმულატორების დასამზადებლად. დიატომიტი კარგი საფილტრე მასალაა. მას ხმარობენ ცხიმებისა და ზეთების გასაწმენდად, შაქრის დანაკარგების ასაკვეთ ნივთიერებად და სხვა. დიატომიტის შერევით მიიღება უმაღლესი ხარისხის ცემენტი.

მაღალეფექტიანი თბოიზოლაციური და ბგერაიზოლაციური პროდუქცია, რომელიც წინათ საზღვარგარეთიდან შემოგვქონდა, ახლა მთლიანად დიატომიტის ბაზაზე იწარმოება.

თუმცა ახალციხის ელექტროძრავის ქარხანას არსებობის დიდი ხნის ისტორია არა აქვს, მაგრამ მან თავისი მაღალხარისხოვანი პროდუქციით შორს გაითქვა სახელი. ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქცია იგზავნება მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვის, ტაშკენტის, შორეული აღმოსავლეთისა და ჩვენი რესპუბლიკის ბევრ საწარმოში. ამ ქარხნის პროდუქცია იგზავნება, აგრეთვე, საზღვარგარეთ — ეგვიპტეში, ინდოეთში, არაბეთში, სირიასა და სხვა ქვეყნებში.

რაც დრო გადის, სულ უფრო მეტად ხდება მესხეთ-ჯავახეთის სამრეწველო საწარმოთა აღჭურვა თანამედროვე მაღალი ტექნიკით, უმჯობესდება შრომის ორგანიზაცია და ანაზღაურება, რის შედეგადაც განუწყვეტლივ იზრდება შრომის ნაყოფიერება, მატულობს გამომუშავებული პროდუქციის რაოდენობა და მაღლდება მისი ხარისხი.

ამჟამად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული მესხეთ-ჯავახეთის მრეწველობის მუშაკები ენერგიულად იბრძვიან იმისათვის, რათა ვადაზე ადრე შეასრულონ სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ხუთწლიანი გეგმის მიხედვით აღებული ვალდებულებანი და საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდნენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

მსგავსად მრეწველობისა, მესხეთ-ჯავახეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ერთობ დიდი მნიშვნელობის მქონეა. იგი დიდი მოწონებით სარგებლობს ჩვენს ქვეყანაში. საჭიროა აღინიშნოს, რომ საღღეისოდ ჯავახეთში იწარმოება სსრ კავშირის შვეიცარიული ყველის თითქმის ერთი მეოთხედი. აქვე დიდი რაოდენობით მზადდება ჰოლანდიური და საბჭოური ყველი, კარაქი და რძის შაქარი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ძირეულად გაუმჯობესდა მიმოსვლის საშუალებანი და კავშირგაბმულობა. თუ წინათ მიმოსვლისა

[1] დ. კოჟორაძე ნ. ალელიშვილი, მესხეთ-ჯავახეთი ძველად და ახლა, თბ., 1963 წ., გვ. 11.
[2] იქვე, გვ. 12.

და ტვირთის გადატანის საშუალებას მხოლოდ საჭაპანო ტრანსპორტი წარმოადგენდა, ამჟამად მესხეთი საქართველოს სხვა რაიონებთან დაკავშირებულია რკინიგზისა და საავტომობილო ტრანსპორტით, ხოლო ჯავახეთი საავტომობილო და საჰაერო ტრანსპორტით. დღეისათვის ამ მხარეში, ავტობუსები დაჰქრიან არა მარტო სარაიონო ცენტრებსა და ბარის სოფლებში, არამედ მაღალმთიან სოფლებშიც. ერთობ დიდი წარმატებებია მოპოვებული კავშირგაბმულობის ყველა სახის განვითარებაში. მესხეთ-ჯავახეთში არსებითად ახლად შეიქმნა ტელეგრაფი, საქალაქთაშორისო ტელეფონი, საქალაქო სატელეფონო ქსელი, სასოფლო სატელეფონო კავშირი, სამავთულო რადიოქსელი, რადიომაუწყებლობა, ტელეხედვა.

მესხეთ-ჯავახეთის მშრომელებმა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში დააღწიეს თავი სიღარიბესა და სიბნელეს და დაიწყეს შეძლებული, კულტურული ცხოვრება. გაიზარდა როგორც მუშამოსამსახურეთა ხელფასი, ისე კოლმეურნეთა შემოსავალი.

მესხეთ-ჯავახეთის მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლების საქმეში ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი ადგილი საბინაო მშენებლობასაც უჭირავს. წლების მანძილზე ამ მხარეში საბინაო მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის შესრულების შედეგად განხორციელდა თითქმის ყველა მოსახლის მიწური სახლიდან ამოყვანა, როგორც ქალაქად, ისე სოფლად. აიგო მრავალი ათასი ახალი ქვიტკირის სახლი. მშრომელი მოსახლეობა ტოვებს უკანასკნელ მიწურებს, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე მტერთან ბრძოლაში წარმოადგენდა არა მარტო მათ საცხოვრებელ კერას, არამედ თავშესაფარ ადგილსაც.

ერთობ დიდი წარმატებებია მოპოვებული სახალხო განათლებისა და კულტურის დარგში. რევოლუციამდე მესხეთ-ჯავახეთის მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა (90 — 96 პროცენტმა) წერა-კითხვა არ იცოდა. მცირე იყო სკოლები და კულტურული დაწესებულებები. მდგომარეობა მთლიანად შეიცვალა საბჭოთა ხელისუფლების დროს. უკვე დიდი ხანია ბოლო მოეღო წერა-კითხვის უცოდინარობას და ეს მხარე მოიფინა სკოლებითა და კულტურის კერებით. ზოგად-საგანმანათლებლო სკოლების გარდა, გაიხსნა რამდენიმე სპეციალური სასწავლებელი. თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მესხეთ-ჯავახეთში არცერთი სკოლამდელი დაწესებულება არ ყოფილა, ახლა ნორჩი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეს ემსახურება სკოლამდელი ტიპის რამდენიმე ასეული დაწესებულება.

დიდი მიღწევებია მოპოვებული მოსახლეობის კულტურული მომსახურების დარგში. თუ წარსულში მესხეთ-ჯავახეთის მშრომელთა კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. ამჟამად მშრომელთა სამსახურშია 400-მდე კულტსაგანმანათლებლო დაწესებულება. 1967 წელს მესხეთში გაიხსნა სახელმწიფო თეატრი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა და უაღრესად სასარგებლო სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია, რომელიც დამსახურებული სახელით სარგებლობს როგორც სსრ კავშირში, ისე მთელ მსოფლიოში. სასარგებლო მუშაობას ეწევიან ახალციხის, ვარძიისა და ბოგდანოვკის მუზეუმები.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მესხეთ-ჯავახეთის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ყურადღება არ ექცეოდა. საკმაო რაოდენობით არ იყო არც სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებანი და არც სამედიცინო პერსონალი. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყო ჯავახეთის მოსახლეობა. ექიმბაშებისა და მკითხავების ამარა დარჩენილ ამ მხარის სოფლის მოსახლეობას მუსრს ავლებდა ათასგვარი სენი და ავადმყოფობა.

სადღეისოდ მესხეთ-ჯავახეთის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება 100-ზე მეტი სხვადასხვა სახის სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება, მრავალრიცხოვანი სამედიცინო პერსონალით.

მესხეთ-ჯავახეთი თავისი ღირსშესანიშნავი კლიმატური პირობებითა და მდიდარი სამკურნალო მინერალური წყლებით მშრომელთა ჯანმრთელობის კერად იქცა. ჩვენი ქვეყნის ხალხის ჯანმრთელობის დაცვის სამსახურშია არა მარტო მსოფლიოში კარგად ცნობილი მესხეთის კურორტი აბასთუმანი მრავალრიცხოვანი სანატორიუმებით, არამედ ასპინძა და ახალციხე შესანიშნავი სამკურნალო ფაქტორებითა და ტურისტული ბაზებით.

რაც დრო გადის, სულ უფრო ლამაზდება და კეთილმოწყობილი ხდება მესხეთ-ჯავახეთის როგორც რაიონული ცენტრები, ისე მისი მრავალრიცხოვანი საკოლმეურნეო სოფლები. დღითიდღე მაღლდება მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობა. ბევრი, ძალიან ბევრი რამ გაკეთდა ოქტომბრის მზით განათებულ მესხეთ-ჯავახეთში საბჭოთა ხელისუფლების წლებში და კიდევ ბევრი გაკეთდება. მესხეთ-ჯავახეთი განახლდა, აღორძინდა.

მესხეთ-ჯავახეთის მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს ხუთწლედის სამი წლის დავალებანი, ამჟამად დიდ შრომას ეწევიან, რათა დროულად და გადაჭარბებით შეასრულონ მიმდინარე 1969 წლის საგეგმო დავალებანი, ღირსეულად შეხვდნენ დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავის სახელოვან იუბილეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საინტერესო გამოკვლევა

აკაკი წერეთლის თაოსნობით აღმოცენებულ ჭიათურის მანგანუმის მრეწველობაზე მდიდარი ლიტერატურა არსებობს. მიუხედავად ამისა, ბევრი უმნიშვნელოვანესი საკითხი მაინც მოითხოვს დამატებით შესწავლასა და გარკვევას.

ამიტომ ბუნებრივად იბადება კითხვა: სარეცენზიო მონოგრაფიაში რომელი ახალი პრობლემაა ან უკვე ცნობილი პრობლემის რომელი ახალი ასპექტია განხილული, ნაშრომი მთლიანად წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს, თუ მხოლოდ ახალ არგუმენტირებას უკვე საყოველთაოდ ცნობილი დებულებისა.

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გ. მარგიანის ნაშრომი ემყარება ძირითადად ახალ საარქივო წყაროებს, რომელთა უმეტესობა პირველად გამოიყენება სამეცნიერო კვლევაში. წყაროთა კრიტიკული ანალიზის საფუძველზე პრობლემის ბევრი ასპექტი მონოგრაფიაში ახლებურად არის გააზრებული და გაკეთებულია საინტერესო დასკვნები.

მიუხედავად ზოგიერთი შენიშვნისა, გ. მარგიანის ეს ნაშრომი საბჭოთა ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად უნდა მივიჩნიოთ.

სარეცენზიო ნაშრომის მთავარი ამოცანაა ჭიათურის მრეწველობის მაგალითზე გააშუქოს ეროვნული სამრეწველო ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის წარმოშობა-განვითარების ძირითადი პროცესები იმერეთის ისეთ უკაცრიელ კუთხეში, რომელზეც ვახუშტი წერდა: მდინარე ყვირილის ორივე მხარეს მხოლოდ „კიდენი არს ფრიად მაღალი კლდე, და არიან მას შინა ქვაბნი მრავალნი, გამოკვეთილნი სახიზრად".

ეს კლდენი მკვეთრად შეცვლილი იერით ახლაც დგანან, უფრო გამრავლებულან „ქ ვ ა ბ ნ ი", მაგრამ არა „სახიზრად", არამედ უძვირფასესი მადნის მოსაპოვებლად. რამ განაპირობა მთელი ამ ხეობის რადიკალური ეკონომიური და სოციალური გარდაქმნა, როგორ ყალიბდებოდა აქ ახალგაზრდა პროლეტარიატი „კლასად თავისათვის", რამ გამოიწვია მისი გაბედული შერკინება ცარიზმთან სოციალისტური რევოლუციისათვის და სხვა. ასეთია ის ძირითადი საკითხები, რომლებიც საბუთიერად არის გაშუქებული გ. მარგიანის ნაშრომში და დაპირისპირებულია თანამედროვე ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის „თეორიებისადმი, კერძოდ, „მუშათა კლასის ქრობადობისა" და ჩვენში სოციალისტური რევოლუციის არაკანონზომიერ მოვლენად გამოცხადების შესახებ.

პრობლემის მარტო ამ კუთხით განხილვაც საკმაოდ მკაფიოდ მეტყველებს საკვლევი თემის მნიშვნელობასა და აქტუალობაზე. ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ზოგიერთი საბჭოთა მკვლევარი რევოლუციამდელ საქართველოში მსხვილი მრეწველობის არსებობის უარყოფით უნებლიედ ამაგრებს მოწინააღმდეგის პოზიციას, ართულებს სოციალისტური რევოლუციის კანონზომიერებისა და მისი ისტორიული წანამძღვარების საკითხის სწორად გაგებას (გვ. 10-11). მართლაც, ზოგიერთი ივიწყებს, რომ ე. წ. ხელოსნური — „ნახევრადკუსტარული" წარმოება არ შეიძლება ყოფილიყო საკუთარი დიქტატურისათვის მებრძოლი პროლეტარიატის ჩამოყალიბებისა და განვითარების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ახალი საზოგადოებისაკენ მისწრაფება მუშებში იზრდებოდა ისტორიულად და მსხვილი კაპიტალისტური წარმოების პირობებში. „მხოლოდ მსხვილი მანქანური წარმოება, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — აღვიძებს მუშებს, ანათლებს და რაზმავს მათ, ობიექტურ პირობებს ქმნის მასობრივი მოძრაობისაკენ" (ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 20, გვ. 455).

მონოგრაფიაში დამოწმებულია უხვი ფაქტობრივი მასალა, რომლითაც ნათელყოფილია, რომ რევოლუციამდელი ჭიათურის მრეწველობა არ წარმოადგენდა ხელოსნურ — „ნახევრადკუსტარულს" (გვ. 310-313).

საინტერესოა ავტორის მიერ შემოთავაზებული ჭიათურის მრეწველობის ისტორიის პერიოდიზაცია, რომლის მთავარ კრიტერიუმად აღებულია მადანზე მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილება და ამის შესაბამისად მნიშვნელოვანი თვი-

---

**გ. მ ა რ გ ი ა ნ ი. სამთამადნო მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი რევოლუციამდელ საქართველოში, „საბჭოთა საქართველო", 1968.**

სებრივი ცვლილებანი თვით მრეწველობაში, მუშებისა და მრეწველთა შემადგენლობაში. მკვლევარი სამართლიანად უარყოფს ს. წერეთლის არამეცნიერულ პერიოდიზაციას, რომელიც სულ ორ პერიოდად წარმოგვიდგენს აღნიშნული მრეწველობის განვითარებას: „პრიმიტიულ-რაინდული ხანა (1879-1896 წწ)“ და „კუსტარული ხანა (1896-1919 წწ)“. მონოგრაფიაში ხაზგასმულია, რომ ჭიათურის მრეწველობა აღმოცენებისთანავე მჭიდროდ დაუკავშირდა მსოფლიო ბაზარს და მხოლოდ უკანასკნელი განაპირობებდა მრეწველობისა და მთელი ამ კუთხის ეკონომიურ, სოციალურ და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ცვლილებებს, რაც კარგად არის ასახული ნაშრომის ყოველ თავში.

შემდეგი მნიშვნელოვანი ასპექტია ჭიათურის რაიონში ეროვნული სამრეწველო ბურჟუაზიის წარმოქმნისა და მისი რიგების შევსების სოციალური წყაროების შესახებ.

ეს ერთობ საინტერესო საკითხი ასე ვრცლად და საბუთიერად ჯერ არავის განუხილავს ლიტერატურაში. ავტორს უზარმაზარი მუშაობა ჩაუტარებია, რომლის შედეგად დადგენილია მრავალი საგულისხმო მოვლენა.

გიორგი წერეთლის გადმოცემით, ჭიათურის საბადოთა „ვაჭრულმა გამოყენებამ“ მყისვე მიიზიდა სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებმაც შეადგინეს სამრეწველო ბურჟუაზია: ადგილობრივი ვაჭრები, მემამულენი, თავადაზნაურები, ინტელიგენტები, მღვიმის დედათა მონასტერი და გლეხები. ჭიათურის მრეწველობაში ჩაებნენ დიდვაჭრებიც, რომლებიც წინათ, საერთოდ, გაურბოდნენ სამრეწველო წამოწყებაში კაპიტალის დაბანდებას.

საგულისხმოა, რომ დასაწყისში მრეწველთა ნახევარი შედგებოდა ადგილობრივი მესაკუთრე, სახელმწიფო და დროებით ვალდებული გლეხებისაგან (გვ. 41-42), რომელთა ხვედრითმა წონამ 1894 წელს 62,1 პროცენტს მიაღწია (გვ. 66). მკვლევარს დაუდგენია, რომ მრეწველებად გამხდარი ყოფილი ვაჭრების საგრძნობი ნაწილიც გლეხობიდან წარმოსდგებოდა (გვ. 71-72), კერძოდ მათი თვალსაჩინო წარმომადგენლები — გედეონ ჩუბინიძე და პავლე მოსეშვილი, — რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს უცხოურ კაპიტალთან ბრძოლასა და მრეწველობის გაფართოებაში (ალბათ, ამიტომ ზოგიერთი ავტორი ამ პირებს შეცდომით მიიჩნევდა ჭიათურის მრეწველობის პირველდამწყებ პიონერებად). ამ ორი ყოფილი გლეხივაჭრის დიდმა კომერციულმა წარმატებამ ბიძგი მისცა სამრეწველო ასპარეზზე გამოსულიყო ზოგიერთი საზოგადო მოღვაწეც, მათ შორის ნიკო ღოღობერიძე — წარსულში რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების ზეგავლენით პროგრესული იდეებისათვის მებრძოლი. მან დიდი უნარი გამოიჩინა მრეწველობის სფეროშიც და მალე ცნობილი მსხვილი მრეწველი გახდა. პირველად მან დანერგა თავის მაღაროებში ზოგიერთი ტექნიკური სიახლე.

ჭიათურის მრეწველობაში მონაწილეობდნენ ყოფილი წვრილი ხელოსნებიც: ფოთელი მჭედელი პ. დათებავა, თბილისელი ზეინკალი დ. ბარნაძე და სხვ. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია რაჭველი მჭედლის შვილი — ფარნაოზ ვაწაძე, რომელმაც ჭიათურაში ააგო ორთქლის ენერგიით მოქმედი გამამდიდრებელი ფაბრიკა (გვ. 75-76).

ასეთ რთულ სოციალურ კონგლომერატად წარმოგვიდგება მონოგრაფიაში ჭიათურის სამრეწველო ბურჟუაზია და იგი ერთხანს ნიშანდობლივად ახასიათებდა მრეწველობის ამ დარგს. მრეწველთა შორის ყოველთვის ქართველები სჭარბობდნენ (გვ. 66).

მონოგრაფიაში ისიც სწორად არის აღნიშნული, რომ მოწინავე ქართველი საზოგადოება თავიდანვე მჭიდროდ დაუკავშირდა ჭიათურის მრეწველობას და მხარს უჭერდა ადგილობრივ მრეწველებს უცხოურ კაპიტალთან ბრძოლაში, რადგან ეროვნული ბურჟუაზიის მომძლავრებაში ხედავდა ქვეყნის ეკონომიური აღორძინების საშუალებას. 1885 წელს უცხოურ კაპიტალზე გამარჯვებაშიც გარკვეული წვლილი მიუძღვოდათ მოწინავე ქართველ მოღვაწეებს. ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე ავტორი სამართლიანად უარყოფს ზოგიერთი მკვლევარის მცდარ შეხედულებას იმის შესახებ, რომ ჭიათურაში თითქოს დასაწყისიდანვე უცხოური კაპიტალი იყო გაბატონებული.

გ. მარგიანის ნაშრომში შემდეგი საინტერესო საკითხია თუ რა როლს ასრულებდა რევოლუციამდელ საქართველოს მრეწველობაში უცხოური კაპიტალი. ეს საკითხი დღემდე სათანადოდ არ არის შესწავლილი. ნაშრომში სწორად არის აღნიშნული, რომ სწრაფად განვითარებად და დიდი პერსპექტივების მქონე სამრეწველო დარგს აღარ შეეძლო დამყარებოდა წვრილი მეწარმეობის ფორმას და გარდუვალად უნდა წასულიყო მსხვილი კაპიტალისტური წარმოების მიმართულებით. ასეთ ვითარებაში ადგილობრივ წვრილ მრეწველებს თანდათანობით და იძულებით უნდა დაეთმოთ ადრე მოპოვებული პოზიციები. ასეთია ჩვენი მკვლევარის სწორი კონცეფცია, რაც საკმაოდ კარგად არის არგუმენტირებული სარეცენზიო ნაშრომში.

ჭიათურაში რკინიგზის გაყვანის შემდეგ განსაკუთრებით გაიზარდა უცხოური მსხვილი სავაჭრო და სავახშო კაპიტალის მოძალება, აგრეთვე უშუალოდ მრეწველობაში უცხოური კაპიტალის ხვედრითი წონა (გვ. 80). გაიზარდა უკანასკნელის მხრით კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა, უმთავრესად მატერიალურ-ტე-

ქნიკური ბაზის გარდაქმნის სფეროში, რათა თავისი კარნახის ქვეშ მოექცია მთელი სამრეწველო რაიონი. ეს პროცესი უფრო მეტად გაღრმავდა 900-იანი წლებიდან, რასაც შედეგად მოჰყვა წვრილ მრეწველთა შევიწროება, ნაწილის სრული გაკოტრება და კრიზისების პერიოდში ზოგიერთი მათგანის მუშათა რიგებში გადასვლა.

ამასთან დაკავშირებით, ადგილობრივი მრეწველები იძულებული გახდნენ გაერთიანებული ძალებით წინააღმდეგობა გაეწიათ მათი დამღუპველი ტენდენციისათვის. ამ მიზნით მათ განიზრახეს გამოენახათ მსხვილი უცხოური კრედიტორი და ამ გზით უცხოური კაპიტალის სახსრების გამოყენება ისევ უცხოური კაპიტალის მოძალების წინააღმდეგ. ასეთ კრედიტორად გამოძებნეს მსხვილი გერმანული ფირმა „მანგანსინდიკატი“, მაგრამ ანგარიშში მოტყუვდნენ, რადგან ეს უკანასკნელი ცდილობდა ადგილობრივი მრეწველების მძიმე მდგომარეობით ესარგებლა და მათივე სამუალებით ხელთ ეგდო მთელი საბადოები. ამიტომ, გასაგებია, მან მყისვე „დახმარების“ ხელი გაუწოდა ადგილობრივი მრეწველების სინდიკატის მაგვარ ახალ გაერთიანება „შავ ქვას“, რომელმაც უყოყმანოდ მიიღო „მანგანსინდიკატის“ მიერ შემოთავაზებული კაბალური ხელშეკრულება.

სარეცენზიო ნაშრომში სწორად აღინიშნება, რომ ადგილობრივი სინდიკატი „შავი ქვა“ დასაწყისშივე დიდ იმედებს არ უნერგავდა საქმეში ჩახედულ და შორსმჭვრეტელ მოღვაწეებს (გვ. 203). მაგალითად, დიდმა აკაკი წერეთელმა მაშინვე განჭვრიტა გერმანული „მანგანსინდიკატის“ ხელგაშლილობის ფარული ზრახვები და „შავი ქვის“ დაღუპვა იწინასწარმეტყველა.

სწორედ ასე მოექცა გერმანული „მანგანსინდიკატი“ ადგილობრივ მრეწველებს და სულ მალე აიძულა ისინი ბერლინისათვის შეეთავაზებინათ ჭიათურის მრეწველობის მთლიანად თავის ხელში აღება. მაგრამ ამას ხელი შეუშალა რუსეთის პირველმა რევოლუციამ, რომლითაც დაშინებულმა გერმანიამ სიფრთხილე გამოიჩინა (გვ. 205). რეაქციის გამარჯვებამ კი ნიადაგი შეუქმნა გერმანულ ფირმებს დაეწყოთ ახალი იერიში, რასაც ვერ გაუმკლავდნენ ვერც მეტროპოლიის მსხვილი მრეწველები და ვერც ჭიათურის მრეწველთა ყრილობა. მოწინავე პოზიციებზე გამოვიდა გელზენკირხენის საზოგადოება და ეს გასაგებიცაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ უკანასკნელი აერთიანებდა 68 უმსხვილეს აქციონერს, რომელთა შორის იყო თვით გერმანიის იმპერატორი—ვილჰელმი, რომელმაც ომისათვის მზადების წინ გერმანიის მსხვილი სამრეწველო კაპიტალი, მათ შორის მანგანუმის გერმანული ფირმები, მთლიანად იმპერიალიზმისადმი სამსახურში ჩააყენა (გვ. 296).

ამასთან ერთად, მონოგრაფიის ავტორი სწორად შენიშნავს ჭიათურაში უცხოური კაპიტალის მოძალების ობიექტურად სასარგებლო შედეგებს: მუშათა კონცენტრაციას მსხვილ მრეწველობაში და წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მნიშვნელოვან გარდაქმნას (გვ. 233-234). მარტო ერთმა გერმანულმა ფირმამ ითხვისში ააგო უახლესი ტექნიკით გაწყობილი გამამდიდრებელი ფაბრიკა, საგანგებო ელექტროსადგურით. პირველად მან გამოიყენა მადნის ტრანსპორტირებისათვის ავტომობილები, მოტორმზიდავები და პატარა ორთქლმავლები. ასეთივე დიდი კაპიტალური დაბანდებებით ხასიათდებოდა სხვა მსხვილი ფირმების, მათ შორის გელზენკირხენის საზოგადოების მოღვაწეობა, რასაც თან სდევდა ჭიათურაში მსხვილი წარმოების ხვედრითი წონის ზრდა. ყოველივე ამის საფუძველზე გ. მარგიანი სავსებით სწორად უარყოფს მცდარ შეხედულებას რევოლუციამდელ საქართველოში მსხვილი მრეწველობის არ არსებობის შესახებ (გვ. 322).

აქ აღარ შევჩერდებით ჭიათურაში რკინიგზის გაყვანასა და მის შედეგებზე, თუმცა შრომის ამ ნაწილშიც გაშუქებულია რიგი ახალი მომენტები.

ზოგიერთი მკვლევარისაგან განსხვავებით, გ. მარგიანი ძირითადად სწორად აფასებს ჭიათურის მრეწველთა ყრილობისა და მისი საბჭოს მოღვაწეობას. ობიექტურად დადებით შედეგებთან ერთად აღნიშნულია მათი ნაკლიც, კერძოდ, საბჭოს ხელმძღვანელობის ლიბერალური პოზიცია მსხვილი კაპიტალის მიმართ, რაც იწვევდა მასების კანონიერ უკმაყოფილებას, ქართველი რევოლუციონერი მარქსისტების, აგრეთვე, წვრილ მრეწველთა ე. წ. „ოპოზიციის“ მკაცრ კრიტიკას. სარეცენზიო ნაშრომში სწორად აღინიშნება, რომ მრეწველთა ხსენებულ ორგანოებს, თავიანთი კლასობრივი შემადგენლობის გამო, არ შეეძლოთ დაეძლიათ ყველა წინააღმდეგობა. ისინი არც ისახავდნენ მიზნად მშრომელთა მდგომარეობის რადიკალურად გაუმჯობესებას, და თუ ამ მიმართულებით მაინც რამე კეთდებოდა, მხოლოდ იძულებით და მუშათა თვალის ასახვევად. მუშათა საკითხზე „ზრუნვა“ წარმოადგენდა ფორმალურ, დროებითი დათმობის ფანდს (გვ. 431), რაც აღრმავებდა კაპიტალსა და შრომას შორის ანტაგონიზმს, მათ შორის წინააღმდეგობასა და ბრძოლას.

სარეცენზიო მონოგრაფიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ჭიათურის მუშების — რევოლუციამდელი საქართველოს სამრეწველო პროლეტარიატის რიცხვმრავალი და ძლიერი რაზმის — „კლასად თავისათვის“ ჩამოყალიბებისა და მისი განვითარების ძირ-

თანდ. პროცესების გაშუქება. ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ეს საკითხი, საერთოდ, პირველად არ ისმება, მაგრამ გ. მარგიანს აქაც ზოგიერთი მნიშვნელოვანი ახალი მომენტი შემოაქვს კვლევაში და ამით რამდენადმე აფართოებს ჩვენს ცნობიერებას ამ დარგში. მხედველობაშია მუშათა რაოდენობრივი და თვისებრივი ზრდა.

მრეწველობის გაფართოებასთან ერთად ნაჩვენებია მნიშვნელოვანი ცვლილებები მუშათა რაოდენობრივ შემადგენლობაში. ხაზგასმულია მისი სწრაფი ზრდა. მაგალითად, თუ დასაწყისში ჭიათურის მრეწველობაში დასაქმებული იყო 346 სამთო მუშა, 1894 წ. — 2183, ხოლო 1914 წერს—7000 კაცი. რაც შეეხება ყველა კატეგორიის მუშათა საერთო რიცხვს, მკვლევარი დაახლოებით 11500 კაცს ვარაუდობს. საგულისხმოა, რომ მუშათა საერთო რაოდენობის 80—85 პროცენტს ქართველები შეადგენდნენ. ამით უარყოფილია ზოგიერთი მკვლევარის ის აშკარად მცდარი შეხედულება, თითქოს ჭიათურაში გარედან მოსულ მუშათა რაოდენობა სჭარბობდა.

ამრიგად, ირკვევა, რომ ჭიათურის მრეწველობის მრავალათასიან მუშათა რიგებს შევსების ძირითად სოციალურ წყაროს წარმოადგენდა ადგილობრივი ღარიბი გლეხობა. მაშასადამე, მრეწველობის გაფართოებამ გამოიწვია ადგილობრივი გლეხური მოსახლეობის ნაწილის გამუშურება, მრეწველობასთან მისი დაკავშირება. საინტერესოა მონოგრაფიაში აღნიშნული ის ფაქტიც, რომ მუშათა დიდი ნაწილი ბინადრობით და მეურნეობრივადაც კვლავ დაკავშირებული იყო სოფელთან, რაც კეთილმყოფელ გავლენას ახდენდა მშრომელ გლეხობასთან მუშათა კლასის პოლიტიკური კავშირის გაღრმავებაზე, რამაც დიდი როლი შეასრულა ცარიზმის წინააღმდეგ ერთობლივ გამოსვლებში.

მრეწველობის გაფართოებამ და განვითარებამ გამოიწვია, რევოლუციამდელ საქართველოში ერთ-ერთი პირველი სამრეწველო დაბის ჭიათურის აღმოცენება, უმთავრესად მახლობელი სოფლებიდან მოსული გლეხების ხარჯზე. მრეწველთა საბჭოს აპარატში მომუშავე მწერალი დავით კლდიაშვილის მეთაურობით 1903 წელს ჩატარებული სტატისტიკური აღწერის მიხედვით, დაბა ჭიათურის საერთო მოსახლეობის 71 პროცენტს შეადგენდნენ გლეხები, ხოლო 75,7 პროცენტს ქართველები. ამის გარდა, მაღაროების მახლობლად წარმოიშვნენ მუშათა პატარ-პატარა დასახლებანი.

საინტერესოა მკვლევარის მონაცემები იმის შესახებ, რომ ჭიათურის მუშათა შორის სისტემატიურად და სწრაფად იზრდებოდა ცოდნისადმი მისწრაფება და ამის შედეგად მათ შორის წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა, რაც ხელს უწყობდა მუშების პოლიტიკურ გათვითცნობიერებას.

თავისთავად იგულისხმება, რომ სარეცენზიო ნაშრომში ვრცლად და კარგად არის გაშუქებული მუშათა უმძიმესი მატერიალური და უფლებრივი პირობები, უსასტიკესი ექსპლოატაცია, გამოძალვის, მოტყუებისა და აბუჩად აგდების ფაქტები; წარმოებაში ხშირი უბედური შემთხვევები, აუტანელი ანტისანიტარული პირობები და ეპიდემიური დაავადებანი.

ყოველივე ეს ბუნებრივად ზრდიდა მუშებში მრეწველთა წინააღმდეგ ბრძოლის სურვილს. ახშირებდა წვრილ კონფლიქტებს, რაც აახლოვებდა მათ შორის შეტაკებას. ასეთი პერიოდიც დადგა. 90-იანი წლების დამლევს მოთმინებიდან გამოსულმა მუშებმა ქვებით სცემეს „თავიანთ“ მრეწველებს, ხოლო ჩალვადრებმა იძულებული გახადეს ექსპლოატატორები წარმოება მიეტოვებინათ და მიმალულიყვნენ.

ნაშრომში ხაზგასმულია, რომ მუშათა კლასობრივი თვითშეგნების ზრდასა და პოლიტიკურ გამოფხიზლებაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს ადგილობრივმა რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა, მათ მიერ წარგზავნილმა გამოჩენილმა მარქსისტებმა — ი. სტალინმა, ა. წულუკიძემ, ა. ჯაფარიძემ, ფ. მახარაძემ და სხვებმა, რომლებიც რაზმავდნენ მუშებს რევოლუციური ბრძოლებისათვის ცარიზმისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ. მუშათა კლასობრივმა გამოფხიზლებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ეკონომიური მოთხოვნების მასობრივ პოლიტიკურ გაფიცვებად გადაზრდაში. სოციალიზმი თანდათანობით ორგანულად უკავშირდებოდა მუშათა მოძრაობას. ჭიათურის მუშები უკვე სოციალიზმისა და დემოკრატიული რესპუბლიკისათვის საბრძოლო ლოზუნგებით გამოდიოდნენ, რასაც მაღალ შეფასებას აძლევდა ლენინური „ისკრა“ (გვ. 226).

გ. მარგიანი სწორად ასკვნის, რომ ჭიათურის მუშათა მზარდი მოძრაობა მალე გასცდა თავის სამოქმედო ვიწრო გეოგრაფიულ არეს, თან გაიყოლია შორაპნის მაზრის მშრომელები და რუსეთის მუშათა მოძრაობას დაუკავშირდა. თუ 1905 წლის შემოდგომამდე ჭიათურის მუშათა მოძრაობა წარმოადგენდა ბათუმის რევოლუციური მუშათა ზეგავლენის შედეგს, ამიერიდან თვით იგი გადაიქცა დასავლეთ საქართველოს მშრომელთა ავანგარდი და ტონის მიმცემი. იმაში, ადგილობრივი ს.-დ. ორგანიზაციების იდეოლოგიური ზემოქმედების გარდა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჭიათურაში მსხვილი მრეწველობის ზრდამ. რამაც გამოაღვიძა მუშები და ობიექტური პირობები შეუქმნა სოციალისტური რევოლუციისათვის მასობრივ მოძრაობას.

ასეთია, მოკლედ, სარეცენზიო ნაშრომის ძი-

რითადი შინაარსი, საიდანაც ნათლად ჩანს მისი საინტერესო და საყურადღებო მიღწევები.

ბუნებრივია, თუ ესოდენ დიდმოცულობიანი და ბევრი ახალი ასპექტის შემცველი ნაშრომი ზოგიერთ შენიშვნასაც იმსახურებს. აღვნიშნავთ მხოლოდ რამდენიმე მათგანს:

1. უწინარეს ყოვლისა, ნაშრომის არქიტექტონიკაზე. ჩვენი აზრით, უკეთესი იქნებოდა ნაშრომი აგებულიყო პრობლემური პრინციპის მიხედვით, რაც, უხერხულობასთან ერთად, ნაწილობრივ აგვარიდებდა ტექსტუალურ განმეორებებს. მეორე მხრივ, მრეწველთა ყრილობისა და მისი საბჭოს მოღვაწეობა (თავი VI), ჭიათურაში რკინიგზის გაყვანა და ამ გზაზე მაღალი ტარიფის შედეგები (თავი VII) ორგანულად არიან დაკავშირებული საკვლევ თემასთან და ამიტომ ისინი ძირითად თავებად უნდა ყოფილიყო შეტანილი ნაშრომში და არა „დამატების“ სახით. რაც შეეხება გელზენკირხენის ქონების ირგვლივ ატეხილ ბრძოლას, უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია მეხუთე თავის ბოლო პარაგრაფად მიგვეცა, ოღონდ შემოკლებული სახით.

2. გადაჭარბებულად გვეჩვენება ავტორისეული შეხედულება რევოლუციამდელ ჭიათურაში სამრეწველო გადატრიალების შესახებ, კერძოდ, საწარმოო ტექნიკის სფეროში. ძირითადი და გადამწყვეტი საწრმოო ოპერაცია (მადნის მონგრევა) სრულდებოდა ისევ არქაული „ტექნიკით“ — წერაქვით და სოლით, რომელთაც არავითარი ცვლილება არ განუცდიათ. ამას არც ნაშრომის ავტორი უარყოფს (გვ. 168, 234), მაგრამ ერთ ადგილას რატომღაც ამის საწინააღმდეგოს გვაუწყებს: „საგრძნობლად განვითარდა მადნის მოპოვების... ტექნიკა“ (გვ. 171). ასეთი გარდატეხა, ნამდვილად რევოლუციური გადატრიალება, მადნის მოპოვების და, საერთოდ, მიწისქვეშა სამუშაოთა ტექნიკაში მხოლოდ საბჭოთა პერიოდში დაიწყო, ხოლო 30-იანი წლებიდან — მასობრივად.

3. ნაშრომში საინტერესო ცნობებია დამოწმებული ყველა კატეგორიის მუშათა საერთო რაოდენობრივ ზრდაზე. მაგრამ, სამწუხაროდ, ჭიათურის მრეწველობაში დასაქმებულ მუშათა საერთო რაოდენობის ზუსტად დადგენის საკითხი მაინც ღიად რჩება, რადგან გამოყენებული წყაროების, მათ შორის ბოქაულის ცნობის, აბსოლუტური სიზუსტე არ შეიძლება ეჭვს არ იწვევდეს. ბოქაულის ცნობა არ შეიძლება სანდოდ მივიჩნიოთ კიდევ იმიტომ, რომ მას, როგორც მონოგრაფიაშიც არის აღნიშნული, გამორჩენია 10 გამამდიდრებელი ქარხნის მუშათა აღრიცხვა, და ამდენად მის მიერ შემოთავაზებული ჯამური რიცხვი სრული არ არის. ამის გარდა, საეჭვოა, რომ ქრთამებით გაწუწკებულ ბოქაულს ზუსტად აღერიცხა მუშა ქალები, მოზარდები და მცირეწლოვანნი, რომელთა შრომის გამოყენება მიწისქვეშა და ღამის სამუშაოებზე კანონით აკრძალული იყო, მაგრამ ეს კანონი სისტემატურად ირღვეოდა ისევ ბოქაულებისა და სხვა მოხელეთა ხელშეწყობით.

4. სამწუხაროდ, ვერც სარეცენზიო ნაშრომის ავტორი ასცდა ზოგიერთი გაზეთის გაუმართლებელ პრაქტიკას და სიტყვა „მანგანუმის“ ნაცვლად იყენებს „მარგანეცს“, თუმცა უკვე კარგა ხანია არსებობს ოფიციალურად დამტკიცებული ტექნიკური ტერმინოლოგია.

5. მისაბაძია, რომ ნაშრომს დართული აქვს რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე, ოღონდ საჭირო იყო მათი უფრო ვრცლად მიცემა.

მაგრამ ეს შენიშვნები, თავიანთი ხასიათით და შინაარსით, არ იძლევიან საბაბს უარვყოთ ნაშრომის საერთო ღირსება და მნიშვნელობა. იგი ავტორის არა ტრაფარეტული კვლევის, არამედ შემოქმედებითი, მეცნიერული ძიებისა და აზრის ნაყოფია, მას გვერდს ვერ აუვლის რევოლუციამდელ საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების ვერც ერთი მკვლევარი. გ. მარგიანის ამ ახალმა გამოკვლევამ ყველასათვის ნათელი გახადა, ჯერ კიდევ რამდენი მნიშვნელოვანი საკითხი ყოფილა შესასწავლი და დასაზუსტებელი. ამ ნაშრომს კმაყოფილებით გაეცნობა ფართო საზოგადოებრიობა.

ა. კოჩლავაშვილი

## ორიგინალური გამოკვლევა ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობის შესახებ

პროფ. ს. წერეთელი, დიალექტიკის ისტორიისა და თეორიის გამოჩენილი მკვლევარი, ფილოსოფიის ისტორიის სისტემატური კურსის შექმნაზე 50-იანი წლებიდან მუშაობდა. ამ მუშაობის შედეგები ნაწილობრივ 1962 წლიდან გახდა ცნობილი. ამ წელს დასტამბულ იქნა „ფილოსოფიის ისტორიის“ სახელმძღვანელო, რომლის ძირითადი ავტორები არიან კ. ბაქრაძე და ს. წერეთელი. ზოგადი კურსის გამოცემამდე, ს. წერეთელი ფილოსოფიის ისტორიის ვრცელი კურსის შედგენაზე მუშაობდა.

თბილისის სახემწიფო უნივერსიტეტის გა-

ს. წერეთელი, „ანტიკური ფილოსოფია“, თსუ, 1968.

მომცემლობამ 1968 წელს გამოსცა ს. წერეთლის „ანტიკური ფილოსოფია", როგორც სახელმძღვანელო ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტთათვის, მაგრამ ნაშრომის მნიშვნელობა გაცილებით აღემატება სახელმძღვანელოს მოთხოვნებს. აქ წარმოდგენილია ორიგინალური ფილოსოფიურ-ისტორიული კონცეფცია, რომლის მიხედვით, შესაბამის მეცნიერულ დონეზე განხილული აზროვნების ისტორიული ფაქტები, თეორიები, სისტემები განვითარებაში ქმნიან ერთიან ლოგიკურ კანონზომიერებას, ერთიან ფილოსოფიურ სისტემატურ მთლიანობას. ფილოსოფიურ თეორიათა დაპირისპირების, განსხვავებისა და ბრძოლის მიუხედავად, ყველა მათ აქვთ ერთიანი პრობლემატიკა, რაღაც საერთო, გამაერთიანებელი ზოგადობა, რომელიც საფუძველი ხდება აზრის ერთიანი ლოგიკური განვითარებისა, რაც ფილოსოფიის ისტორიას ერთიან ფილოსოფიურ სისტემად წარმოგვიდგენს.

მეორე მხრივ, ეს კონცეფცია მოითხოვს ყოველი თეორიის კრიტიკულ ანალიზს და ამის საფუძველზე აზრის განვითარების ერთიან-ლოგიკურ თანმიმდევრობაში მათი ადგილისა და მნიშვნელობის მეცნიერულ განსაზღვრას.

ს. წერეთლის ფილოსოფიურ-ისტორიული კონცეფცია ფილოსოფიურ პრობლემატიკაში ღრმა და საფუძვლიანი გარკვევის შესაძლებლობას იძლევა. ამით ადვილი მისაწვდომი ხდება არა მხოლოდ ის სიძნელეები, რომელთა წინაშე აღმოჩნდნენ ანტიკური მოაზროვნენი ძირითად პრობლემათა გადაწყვეტის დროს, არამედ გასაგები ხდება ისიც, თუ მომავალში რა მიმართულებით უნდა განვითარებულიყო ფილოსოფიური აზრი რთულ პრობლემათა გადაწყვეტაში. მეტი გარკვეულობისა და სისრულის მიღწევისათვის.

ფილოსოფიის ისტორიული განვითარების ერთიანი გზის დახასიათების დროს ს. წერეთელი კვალდაკვალ იძლევა ცალკეულ ფილოსოფიურ თეორიათა ყალბი ინტერპრეტაციის მკაცრ კრიტიკას.

ნაშრომის შესავალ ნაწილში, ფილოსოფიის ისტორიის ზოგადი დახასიათების შემდეგ, განხილულია ძველი ბერძნული ფილოსოფია სამ ეტაპად: 1. წინასოკრატული ფილოსოფია, 2. სოკრატესა და პლატონის ფილოსოფია და 3. არისტოტელეს ფილოსოფია. ამას თან ერთვის არისტოტელეს შემდეგი დროის ბერძნული ფილოსოფიური სკოლების, რომაული ფილოსოფიისა და შუა საუკუნეების ფილოსოფიის მოკლე მიმოხილვა.

ნაშრომის განსაკუთრებულ ღირსებას წარმოადგენს პლატონის მოძღვრების ვრცელი და საფუძვლიანი ანალიზი, ამ რთული თეორიის პრობლემატური დანაწევრება და ღრმა მეცნიერული გარჩევა ძირითადი დიალოგების მიხედვით, ყურადღების ცენტრში დიალექტიკის პრობლემის დაყენება და პლატონის დიალექტიკური მეთოდის, როგორც შემეცნების მეთოდის გარკვევა. პლატონის მოძღვრების ასეთი ღრმა, მეცნიერული ანალიზი და ამის საფუძველზე გაშლილი კრიტიკა პირველია ჩვენს მარქსისტულ ლიტერატურაში. წიგნის ამ ნაწილის შემდეგ მკითხველი გულდაწყვეტილი რჩება იმის გამო, რომ კარგად დაწყებული საქმე ვერ დასრულდა და კარგად მოფიქრებული გეგმა ბოლომდე ვერ განხორციელდა პროფ. ს. წერეთლის უდროოდ გარდაცვალების გამო.

ს. წერეთელს ხელნაწერის სახით დარჩა საგანგებოდ მოფიქრებული და თეორიულად ღრმაშინაარსიანი გამოკვლევის ერთი დიდი ნაწილი. მას არ დასცალდა ბოლომდე განეხორციელებია დასახული ამოცანა. აქ ანტიკური ფილოსოფიის განვითარება ვრცლად და ერთიან ლოგიკურ-ისტორიულ თანმიმდევრობაში გადმოცემულია მხოლოდ არისტოტელეს ეპოქამდე. არისტოტელესა და შემდეგი დროის ფილოსოფიის შესახებ კი მის ხელნაწერებში აღმოჩნდა საკმაოდ დიდი მასალა დაწერილი ფილოსოფიის ისტორიის შედარებით მოკლე კურსისათვის, პროფ. გ. თევზაძემ თავისთავზე აიღო მთელი ამ ხელნაწერი მასალის გამოსაცემად მომზადება. ეს მეტად პასუხსაგები ამოცანა მან საქმის დიდი ცოდნით, წარმატებით შეასრულა.

ნაშრომის ორი ძირითადი ნაწილის სხვაობის მიუხედავად, მან მთლიანობაში წარმოადგინა პროფ. ს. წერეთლის ფილოსოფიურ—ისტორიული კონცეფცია ანტიკური და შუა საუკუნეების შესახებ. ეს კონცეფცია, ასე გაშლილი სახით განხორციელებული არისტოტელეს მოძღვრების გარჩევამდე, შესაძლებლობას იძლევა წინასწარ განისაზღვროს, თუ რა სიღრმითა და სისავსით იქნებოდა განხილული მომდევნო პერიოდის ფილოსოფიური აზრის განვითარებაც.

ფილოსოფიის ისტორია, პროფ. ს. წერეთლის გამოკვლევაში წარმოდგენილია კანონზომიერ პროცესად, ფილოსოფიური აზრის პროგრესულ განვითარებად. განვითარების მამოძრავებელია აზრთა ბრძოლა, დაპირისპირება. ფილოსოფიის ისტორიული განვითარება მატერიალიზმსა და იდეალიზმს, დიალექტიკასა და მეტაფიზიკას შორის ბრძოლის სახეს ატარებს. ამასთანავე ფილოსოფიის ისტორია არკვევს, თუ როგორ მიიღწევა დასაბუთებითი აზროვნების სრულყოფილება, რადგან იგი დასაბუთებით აზროვნების განვითარებაცაა. აქედან გამომდინარე, ფილოსოფიის ისტორია განხილული უნდა იქნას, როგორც ფილოსოფიური აზრის ლოგიკური განვითარება. რო-

მელიც რეალურ ისტორიულ პროცესს ასახავს.

ს. წერეთლის გამოკვლევაში ფილოსოფიის ისტორია წარმოდგენილია, როგორც მეცნიერული მატერიალისტური ფილოსოფიური მსოფლმხედველობის შემუშავების ისტორია, ხოლო მარქსისტული ფილოსოფია, როგორც წინა ფილოსოფიური აზროვნების შედეგი, რომელშიც, მოხსნა-შენახვის დიალექტიკური პრინციპის ძალით, შენარჩუნებულია ჭეშმარიტების ყველა მარცვალი, რაც კი საკაცობრიო აზროვნების ისტორიამ გამოიმუშავა.

ს. წერეთელი მკაცრ მეცნიერულ-თეორიულ კამათში იწვევს აზრის ისტორიული განვითარების ჰეგელიანური, კანტიანური და პოზიტივისტური მიმართულების წარმომადგენლებს.

ს. წერეთლის გამოკვლევა „ანტიკური ფილოსოფია“ ფილოსოფიური მეცნიერების დიდი შენაძენია. იგი სიღრმისეულად გვაცნობს ფილოსოფიური აზროვნების წარმოშობისა და მისი თავდაპირველისახით განვითარების სპეციფიკას, ბერძნული ფილოსოფიური აზრის სიძლიერესა და მომხიბვლელობას, მის თეორიულ სიძნელეებსა და დაძლევის შესაძლებლობებს.

საქართველოში ანტიკური ფილოსოფიის კვლევას საკმაოდ ძველი და დიდი ტრადიცია აქვს. ბერძნული კლასიკური მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლის მიმართულებით დიდი ღვაწლი მიუძღვით ცნობილ მკვლევარებს გრ. წერეთელს, ს. ყაუხჩიშვილსა და პ. ბერაძეს. ანტიკური ფილოსოფიის მეცნიერული კვლევის დანერგვა ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში და ამ კვლევა-ძიების მაღალ დონეზე გაშლა პროფ. ს. დანელიას დამსახურებაა. მისი შრომები, შესრულებული 1925—1930 წწ., მთლიანად შეესატყვისებოდა ფილოსოფიური დარგის იმდროინდელ მოთხოვნებსა და საერთო მეცნიერულ დონეს. მაგრამ ფილოსოფიურ მეცნიერებათა განვითარება, თანამედროვე ეტაპზე ანტიკური მემკვიდრეობის შესწავლის მიმართულებით ახალი მეცნიერული კვლევა-ძიებანი, ახალ მოთხოვნებს აყენებს ფილოსოფიის ისტორიკოსის წინაშე. სწორედ ამ ახალ მოთხოვნათა სიმაღლეზე დგას პროფ. ს. წერეთლის ორიგინალური გამოკვლევა ანტიკური ფილოსოფიის შესახებ.

პროფ. ს. წერეთლის ამ გამოკვლევის გაცნობის შემდეგ ნათელი ხდება, თუ რატომ დარჩებიან „ძველი ბერძნები ყოველთვის ჩვენ მასწავლებლებად“ (კ. მარქსი), თუ როგორ გახდა შესაძლებელი ისეთი „გრანდიოზული ობიექტური გულუბრყვილობის“ მიღწევა, რომელმაც მათ შესაძლებლობა მისცა „ყოველი საგანი გარეგანი საზღვრისაგან განეთავისუფლებინათ“ და თავისი შინაგანი ბუნებრივი სიმდიდრით გამოეტანათ ჭეშმარიტი შემეცნების სინათლეზე, რომელიც თუმცა ჯერ მკრთალი სინათლე იყო, მაგრამ განუმეორებლად წმინდა და უშუალო.

ᲛᲔᲠᲘ ᲥᲔᲚᲘᲫᲔ

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

«МНАТОБИ»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ